თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ახალი ქართული ენის კათედრა

გესარიონ ჯოჯუბენაძე

ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თ ბ ი ლ ი ს ი 1980

4 Г
81.2Гр
499.962.1—55
Ж 711

ნაშრომში განხილულია თანამედროვე ზოგადი და ქართველური ენათმეცნიერების აქტუალური პრობლემები: ენის რაობა, მუდმივი და ცვლადი ენაში, ენობრივი ფორმისა და ფუნქციის ანალიზის მეთოდოლოგიური საკითხები.

წიგნი განკუთვნილია ენათმეცნიერთათვის.

რედაქტორები: შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი
დ. გ ე წ ა ძ ე

რეცენზენტი ი. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე

Бесарион Аркадьевич Джорбенадзе

ПРИНЦИПЫ ФОРМАЛЬНОГО И ФУНКЦИОНАЛЬНОГО АНАЛИЗА ГРУЗИНСКОГО ГЛАГОЛА

(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета
Тбилиси 1980

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1980

70100
D
M 608 (06)-80

წინასიტყვაობა

ენათმეცნიერებაში კარგა ხანია დაისვა საკითხი ენობრივი ფორმისა და ენობრივი ფუნქციის ურთიერთმიმართების თაობაზე. ასეთ ვითარებაში აუცილებელი ხდება დადგენა იმ კრიტერიუმებისა, რომლებიც შეგვაძლებინებენ ენობრივი ფორმისა და ენობრივი ფუნქციის შინაგანი რაობის გარკვევას და მათ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ანალიზს.

ამ ტიპის კვლევა-ძიება იმთავითვე მოითხოვს ონტოლოგიური და მეთოდოლოგიური საკითხების დასმას, მათი ურთიერთმიმართების გარკვევას.

გარდა ამისა, უნივერსალიების, ანუ ენის უზოგადესი კანონების, ენის ფუნქციონირების საერთო პრინციპების გამოსავლენად ჩატარებული კვლევა-ძიების პარალელურად აუცილებელი ჩანს იმ კანონებისა და პრინციპების დადგენაც, რომელნიც ამა თუ იმ ენის სპეციფიკურ თავისებურებას წარმოადგენენ, რომელნიც სწორედ ამ კონკრეტული ენის შინაგან რაობას განსაზღვრავენ.

კვლევის ამოცანა განსაზღვრავს კვლევის მიზანს:

საკუთრივ ენათმეცნიერების თვალსაზრისით განიმარტოს ენა და ამის საფუძველზე განისაზღვროს ენობრივი ფორმისა და ენობრივი ფუნქციის იმანენტური რაობა.

გამოვლინდეს ფორმობრივი და ფუნქციური სისტემებისა და სტრუქტურების აგების ძირითადი პრინციპები და ამის საფუძველზე დადგინდეს ფორმობრივი და ფუნქციური კვლევის კრიტერიუმები.

გამოვლინდეს ენაში მოქმედი ფორმობრივი და ფუნქციური დეტერმინიზმის არსი, დადგინდეს მიხი შესწავლის საშუალებანი.

ყოველი ენობრივი მოვლენა განხილულ იქნეს თავისსავე მოქმედებაში, დინამიკაში.

აი, ზოგადად ის პრობლემები, რომელთა შესწავლა და დადგენა ივარაუდება წინამდებარე ნაშრომში.

თავი I

ენათმეცნიერების საგანი: ონტოლოგიისა და მეთოდოლოგიის საკითხები

1

ყოველი საგნის შეცნობისა და შესწავლის პროცესი ორ ასპექტს მოიცავს—ონტოლოგიურსა და მეთოდოლოგიურს. პირველი ცდილობს საგნის ბუნებითს არსში ჩაწვდომას, მეორე ქმნის თეორიულ ბაზას ამ შეცნობისათვის.

ერთსა და იმავე ობიექტს მეცნიერების მრავალი დარგი შეისწავლის. ეს ობიექტის მრავალსახოვანობითაა გამოწვეული, იმით, რომ იგი სინამდვილის სხვა ობიექტებთან და მოვლენებთან ამყარებს არა ერთგვაროვან, არამედ მრავალგვაროვან კავშირს და, შესაბამისად, მრავალგვაროვან მნიშვნელობას, დანიშნულებასა და ღირებულებას იძენს.

ჩვენი კვლევის ობიექტიც — ენაც ნაირგვარი ასპექტით იწვევს ინტერესს და ამიტომაც იგი, გარდა ენათმეცნიერებისა, სოციოლოგიური, ესთეტიკური, ფსიქოლოგიური, ისტორიული, ლოგიცისტური, ფიზიოლოგიური თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. ეს ინტერესი თვით ენის იმანენტური შესაძლებლობითა და ყოფიერებაში მისი ადგილითაა განპირობებული.

სოციოლოგიისათვის ენა მნიშვნელოვანია როგორც საზოგადოებრივი პროდუქტი, როგორც ერთ-ერთი ძირითადი პირობა საზოგადოების ჩამოყალიბებისა, არსებობისა და მისი შემდგომი განვითარებისა: ენის გარეშე ვერ იარსებებდა ვერცერთი საზოგადოება.

ენაში უკუფენილია საზოგადოების განვითარების ყოველი საფეხური, საზოგადოებრივი ფორმაციის ყოველი კონკრეტული გამოვლინება. ამ საკითხით უშუალოდაა დაინტერესებული ისტორია.

ესთეტიკას (და უპირველესად ლიტერატურისმცოდნეობას) ენა აინტერესებს როგორც მხატვრული შემოქმედების წყარო და შესაძლებლობა, როგორც თავისებური ფაქტურა მხატვრულ სახეთა სისტემების შესაქმნელად, როგორც პოეტური ლოგიკის ფენომენი.

ფსიქოლოგიისათვის ღირებული აღმოჩნდა სახელდების, აღქმის, გაგებინების, ემოციის ენობრივი გამოხატვის პრობლემები.

ენა, როგორც სასიგნალო სისტემა, ფიზიოლოგიის კვლევის საგანია.

ფიზიკაც კი, როგორც ბგერის აკუსტიკური ბუნებით დაინტერესებული დარგი, ჩართული აღმოჩნდა ენის შემსწავლელ მეცნიერებათა რიგში.

ენა, როგორც ნიშანთა სისტემა, სემიოტიკის კვლევის სფეროს შეადგენს.

ენა, როგორც აზროვნების ფორმა, და, საერთოდ, ენის და აზროვნების ურთიერთობა ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა ფილოსოფიისა და, კერძოდ, ლოგიკის მეცნიერებისა.

ენის იმანენტური ბუნებისა და თვისების, მისი ფორმობრივი და და ფუნქციური სისტემების კვლევა ენათმეცნიერების სფეროს განეკუთვნება.

ასე რომ, ენით დაინტერესებულ და ენის შემსწავლელ მეცნიერებათა სიმცირეს ვერ დავიჩივლებთ.

II

ობიექტი ერთია, შემსწავლელი დარგი — მრავალი. რა განასხვავებს მათ ერთმანეთისაგან? ვიტყოდით: დაინტერესება ობიექტის სხვადასხვა მხარეთიო, მაგრამ ეს არც მთლად ზუსტი იქნება და არც მთლად სწორი.

ზუსტი არ არის იმის გამო, რომ ობიექტის მხოლოდ სხვადასხვა მხარით დაინტერესება არ გულისხმობს სხვადასხვა შემსწავლელი დარგის არსებობის აუცილებლობას. ამისთვის, გარდა ხსენებულისა, სხვა დამატებითი ფაქტორიც უნდა არსებობდეს. გარდა ამისა, აქ საკითხი პირუკუც დაისმება: ობიექტის მრავალსახოვნება კი არ განსაზღვრავს მეცნიერების სხვადასხვა დარგის არსებობის აუცილებლობას, არამედ, პირიქით, მეცნიერების უკვე ჩამოყალიბებული სხვადასხვა დარგის, და აქედან გამომდინარე, სხვადასხვა თვალსაზრისის მიერ შემუშავებული კრიტერიუმით მიდგომა ერთი და იმავე ობიექტისადმი განაპირობებს ობიექტში სხვადასხვა მხარის (ანუ: ობიექტის მრავალსახოვანობის) აღმოჩენას. ამის თვალნათლივ დადასტურებას მოვლენის შესწავლის ისტორია იძლევა. უძველესი ინდოელი გრამატიკოსები თუმცა ძირითადად ენის საკუთრივ ენობრივი სტრუქტურით იყვნენ დაინტერესებული, მაგრამ ასეთ ვითარებაშიც კი საცნაურია ამოსავალი კრიტერიუმი: ენა ღვთიური მოვლენაა, უშუალო გამოვლინება ღვთაებრივი ნებისა, მისი პრიორიტეტი (აქედან გასაგებია მნიშვნელობა ბიბლიური გამოთქმისა: „პირველად იყო სიტყვა!“ სიტყვა როგორც ღვთიური გაცხადება და ღვთიური ნების მატერიალიზაცია). შემდეგ ენაში აღმოაჩინეს ისეთი თვისებები, რომლებიც რელიგიური, აქედან კი ფილოსოფი-

ური განხილვის საგანი გახდა. ასე მოხვდა ენის რაობის პრობლემა პლატონის ფილოსოფიაში. ენა, როგორც აზროვნების ფორმა, და, ამდენად, ლოგიკის საფუძველი, არისტოტელეს მიერაა აღმოჩენილი. სხვადასხვა მოდიფიკაციებით ამ თვალსაზრისმა თითქმის XX საუკუნემდე მოაღწია, არნოსა და ლანსლოს ამ თვალსაზრისით კლასიკური ნაშრომი შეგვძინა და ამ ბოლო წლებში ხელახლა დაიწყო აღორძინება უკვე სხვა მეთოდებითა და სხვა კრიტერიუმებით გამდიდრებულმა. XIX საუკუნემ ენაში ფსიქიკური მომენტების ამოცნობა შეძლო და ენობრივი კვლევა ფსიქოლოგიზმის კრიტერიუმით შეაიარაღა. შემდეგ ის იყო, რომ მათემატიკური კვლევის საფუძველიც დაინახეს ენაში. ამდენად, გარკვეულად მართებული ყოფილა მტკიცება, ობიექტის მრავალსახოვანობა კი არ განსაზღვრავსო მეცნიერების სხვადასხვა დარგის შექმნას, არამედ უკვე არსებული დარგები მეცნიერებისა, უკვე არსებული თვალსაზრისი განაპირობებს ობიექტის სხვადასხვა მხარის დანახვას, ობიექტის სხვადასხვა კუთხით შეფასებას. მართლაც, ფიზიკა იმიტომ კი არ არსებობს, რომ ენას აკუსტიკური ბუნება ახასიათებს, არამედ, პირიქით, ფიზიკა დაგვეხმარა ენის ამ თავისებური ბუნების წარმოჩენასა და შეცნობაში. სხვადასხვა მეცნიერებას სხვადასხვა მხარე (ანუ: არსებობისა და გამოყენების სხვადასხვა თვისება) აინტერესებს ერთსა და იმავე ობიექტში და მასში თავისი ინტერესის საგანს ზოგადი, დედუქციური კრიტერიუმების საფუძველზე აღმოაჩენს ხოლმე. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამგვარად აღმოჩენილი „ინტერესის საგნის“ კვლევაც ასეთი ზოგადი, დედუქციური მეთოდებით ხდება (თუმცა მეცნიერების ისტორია ამნაირ უმართებულო მოთხოვნათა მოწმეცაა). რასაკვირველია, მეცნიერების რომელიმე დარგი იმთავითვე თავისთავადი მონაცემი არ არის, მისი წარმოქმნა და ჩამოყალიბება ობიექტური აუცილებლობითაა შეპირობებული, მაგრამ ყოველი კონკრეტული შესასწავლი მოვლენისადმი იგი უპირველესად ამ მოვლენის აღმომჩენი და წარმომჩენი თვალსაზრისია და არა მისი შედეგი.

ზემოხსენებული განსაზღვრა მთლად სწორი არ არის იმის გამო, რომ ხშირად მეცნიერების სხვადასხვა დარგს ობიექტის ერთი და იგივე მხარე აინტერესებს და, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც მეცნიერების ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ დარგებად რჩებიან. ასეთია, მაგალითად, ენათმეცნიერება, ფსიქოლოგია და სოციოლოგია, რომლებიც ერთნაირად არიან დაინტერესებული ენის საკომუნიკაციო თვისებით. ასევე ერთნაირად აინტერესებთ ენა, როგორც სასიგნალო სისტემა, ფსიქოლოგიას, ფიზიოლოგიას, სემიოტიკასა და ენათმეცნიერებას; ენა, როგორც ხატოვანი აზროვნების ფაქტურა, ლიტერატურისმცოდნეობას, ენათმეცნიერებასა და ფსიქოლოგიას, ასევე ერთნაირად აინტერესებთ უძველესი რეალიების ენაში დაცული სახელწოდებანი ისტო-

რიასა და ენათმეცნიერებას და ა. შ. მართალია, ამ ერთობლივმა დაინტერესებამ ზოგი მომიჯნავე დარგი გააერთიანა კიდეც და ამგვარი თანაშრომლობა, ჩანს, მომავალში უფრო გაძლიერდება ([2], 54-55), იხ. ამ თვალსაზრისით: სოციოლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა, ენის ფილოსოფია... მაგრამ ამან მაინც ვერ შეუშალა ხელი თითოეულ ამ დარგს შეენარჩუნებინა თავისი დამოუკიდებელი სტატუსი. რატომ? იმიტომ, რომ ერთი და იმავე საკითხების შესწავლას მეცნიერების სხვადასხვა დარგი სხვადასხვა კრიტერიუმებით უდგება და ერთი და იმავე ობიექტური რეალობის ნაირგვარ შეფასებას იძლევა, ერთნაირად ღირებულს ჰეშმარიტების შეცნობისათვის.

III

ამდენად, დაისვა მეთოდის საკითხი. საჭიროა გაირკვეს მისი რაობა.

ზოგადი განსაზღვრით, მეთოდი არის რაიმეს განხილვის, კვლევის, შეცნობის საშუალება, ხერხი. მეთოდი უშუალოდ არ ასახავს სინამდვილეს, მაგრამ მისი საშუალებით აისახება სინამდვილე. ყოველი მეთოდი შეპირობებულია ზოგადი პრინციპით, თვალსაზრისით, უკეთ: მსოფლხედვით. ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ მეთოდი კონკრეტული მოვლენის კვლევის დროს კონკრეტული გამოყენებაა ზოგადი პრინციპებისა, თვალსაზრისისა, მსოფლხედვისა: მოვლენის ისტორიული განხილვა-შეფასების თვალსაზრისმა შეაპირობა ისტორიული მეთოდის გამომუშავება, ობიექტის, როგორც სტრუქტურული მთლიანობისა და მისი შემადგენელი ელემენტების მკაცრი ურთიერთდამოკიდებულების პრინციპმა განსაზღვრა სტრუქტურული მეთოდის ჩამოყალიბება და ა. შ.

ამრიგად, მეთოდი არ გამომდინარეობს ობიექტიდან, ობიექტის რაიმე თვისებით არ არის შეპირობებული, იგი სავსებით და მთლიანად განსაზღვრულია კვლევის პრინციპებით, საკვლევი ობიექტისადმი ნაირგვარი დამოკიდებულებით, საკვლევი ობიექტის შეფასებით ნაირგვარი მსოფლხედვის საფუძველზე.

მეთოდს, რასაკვირველია, უპირველესად ის მოეთხოვება, რომ იძლეოდეს ობიექტის არსში წვდომის, მისი შინაგანი ბუნებისა და თვისების ამოცნობის ზედმიწევნით ზუსტ და ობიექტურ საშუალებას, მაგრამ მაშინ, როცა ეს ვერ ხერხდება (მეთოდის მოუქნელობის, შეზღუდვის ან დაუხვეწელობის გამო), მეთოდი ხდება საფუძველი გარკვეული დაშვებისა (კონვენციისა, პირობითი პრინციპისა), რომლითაც ხერხდება ობიექტის, მისი ურთიერთმიმართებების „მოწესრიგება“ ცნებით სისტემებში (კატეგორიებში). ამ დროს, რა თქმა უნდა, აისახე-

ბა ობიექტის არა თავისთავადი არსი, არა მისი იმანენტური სტრუქტურა, არამედ ჩვენი წარმოდგენები ამ ობიექტზე, რომლებიც მთლიანადაა დამოკიდებული ობიექტის მოხმარებითს, გამოყენებითს თვისებებზე. ეს არის ცნებით სისტემებში, ცნობიერებაში წარმოსახული ობიექტი, განსხვავებით ონტოლოგიურ სისტემებში წარმოსახული ობიექტისა, როცა ხერხდება ობიექტის თავისთავად, იმანენტურ არსში წვდომა. პირველ შემთხვევაში ხდება სინამდვილის შეფასება ცოდნის თანამედროვე დონისა და გარკვეული მეთოდოლოგიური თვალსაზრისის შესაბამისად, მეორე შემთხვევაში კვლევას სინამდვილის შეცნობის პრეტენზია აქვს. პირველ შემთხვევაში მეთოდი სინამდვილის შეფასების საშუალებაა, მეორე შემთხვევაში სინამდვილის შეცნობისა.

მეთოდის არსზე უშუალო გავლენას ახდენს კვლევის მიზანიც. ერთ შემთხვევაში კვლევის მიზანია მოვლენის ბუნებითი თვისების ამოცნობა, მეორე შემთხვევაში მისი გამოყენებითი, დანიშნულებითი თვისების მიგნება.

მეთოდი არსებობს ზოგადი და კერძოობითი.

ზოგადი მეთოდების საკითხი (სტატიკა და დიალექტიკა, ინდუქცია და დედუქცია) მსოფლმხედველობითი საკითხია, ბაზისი ნებისმიერი მეცნიერული განხილვისა, მეცნიერული კვლევის სტრატეგიის საკითხი, თუ შეიძლება ასე ითქვას.

ამ აბამისად, კერძოობითი მეთოდები კვლევის ტაქტიკური საშუალებაა, ამიტომაც მეცნიერების თითოეული დარგი თავისი სპეციფიკის მიხედვით იყენებს, ამდიდრებს და ხვეწს მათ.

IV

ყოველი მეცნიერული კვლევა სამი ეტაპისაგან შედგება: 1. ემპირიული მასალის მოპოვება, მასალაზე დაკვირვება და სისტემატიზაცია, 2. მასალის ანალიზი (სეგმენტაცია და სეგმენტირებულ ელემენტებს შორის მიმართებათა დადგენა), 3. მიღებული შედეგების სინთეზი (ინტეგრაცია და ინტერპრეტაცია). კვლევის ეს სამი ეტაპი შეესაბამება მოვლენის შეცნობის სამ თანმიმდევრულ საფეხურს: ჭვრეტას, ანალიზსა და გაცნობიერებას. მოპოვებული მასალა კვლევის საგანია, ანალიზი იძლევა მის შინაგან ბუნებაში შეღწევის საშუალებას, სინთეზი ახდენს მის გაცნობიერებას. ამ გზით ყოფიერების ფაქტი ცნობიერების ფაქტიც ხდება. მიღებული შედეგის ინტერპრეტაცია, მაგალითად, ენათმეცნიერების საგნისა, შეიძლება იყოს წმინდა ლინგვისტური (იმანენტური), ფილოსოფიური, ლოგიცისტური, ფსიქოლოგიური და ა. შ. ნებისმიერი მასალის გაცნობიერების მიზანია ცნობიერე-

გაში შექმნას ყოფიერებაში არსებულის ადეკვატური მოდელი ([17], 208).

კვლევის ხსენებული სამი ეტაპი ნებისმიერ მეთოდს იგუებს. ეს ნიშნავს, რომ ისინი ერთმანეთს არ უპირისპირდებიან სხვადასხვა მეთოდების გამოყენების საჭიროებით. სამივე ეტაპი შეიძლება მოიცვან ისტორიულმა, სტრუქტურულმა, შედარებითმა, შეპირისპირებითმა მეთოდებმა. სხვაობას აქაც თვალსაზრისი იწვევს: განიხილება რომელიმე მოვლენის შემადგენელი ელემენტები როგორც მხოლოდ თანაგანლაგებით, თანაარსებობით ურთიერთდაკავშირებული და შეპირობებული, თუ როგორც მიზეზობრივად ურთიერთდამოკიდებული და ერთმანეთით მკაცრად დეტერმინირებული. მარტოოდენ პირველი თვალსაზრისით დაკმაყოფილება კვლევის დროს ხშირად იძულებითია: კვლევის არსებული ხერხები და საშუალებანი არ იძლევიან მოვლენის ელემენტებს შორის მიზეზობრივი კავშირის დაძებნის შესაძლებლობას. მიზეზობრივი კავშირის არსი კი ხსენებულ ელემენტებში არის ის, რაც არ ტქვემდებარება ცვლილებას ენის მუდმივი განვითარების დროს და რაც განსაზღვრავს მოცემული კონკრეტული ენის რაობას მისი არსებობის, ფუნქციონირების მთელ მანძილზე. მისი ცვლილება იწვევს მთლიან გადასხვაფერებას და მაშინ ენის განვითარების ორი საფეხური ფაქტიურად ისევე დაუპირისპირდება ერთმანეთს როგორც ორი დამოუკიდებელი ენა. მუდმივი ცვლილებისა და განვითარების პირობებში ენაში ყოველთვის არის ის უცვლელი რამ, რაც განაპირობებს მის თვითმყოფად, სხვა ენათაგან განმასხვავებელ სტატუსს.

V

მეცნიერული კვლევა მიზანდასახულობის მიხედვითაც უნდა განირჩეს. ერთია ობიექტის ან მოვლენის კვლევა აღწერის მიზნით (რასაც პირობითად „ექსპოზიციურ კვლევას“ ვუწოდებთ), მეორე—კვლევა ახსნის მიზნით (რაც „კაუზალურ კვლევად“ შეიძლება იწოდოს). პირველი პასუხს იძლევა კითხვაზე: „რა გვაქვს?“ მეორე — კითხვაზე: „რატომ გვაქვს?“ ამ განსხვავებასაც ნაირგვარი მეთოდების გამოყენება არ ქმნის, რადგან ერთი და იმავე მეთოდით შეიძლება წარიმართოს როგორც მოვლენის აღწერის, ასევე ახსნის მიზნით ჩატარებული კვლევა. კვლევის ხსენებული მიზანდასახულობანი სრულიადაც არ არიან დაპირისპირებულნი ან ერთმანეთის გამომრიცხველნი. პირიქით, ისინი ერთმანეთს ვარაუდობენ და ავსებენ კიდეც: თუ არ ვიცით, რა გვაქვს, ვერასოდეს გავიგებთ რატომ გვაქვს.

რა მივიღეთ?

მივიღეთ ის, რომ ერთი და იმავე მეთოდის გამოყენებით შესაძ-

ლებელი ყოფილა აღწერაც და ახსნაც (კვლევის მიზანდასახულებას გააჩნია!). მაგრამ შესაძლებელია კი ერთი და იმავე მეთოდის ამგვარი „გაორება“, ერთი და იმავეს გამოყენება განსხვავებული მიზნების მისაღწევად?

შესაძლებელია! შესაძლებელია არა იმის გამო, რომ მეთოდი დუალისტური ბუნებისაა, არამედ იმიტომ, რომ ერთი და იმავე მეთოდის გამოყენების ნაირგვარი მეთოდიკა არსებობს. მეთოდიკა ამ შემთხვევაში გაიგება როგორც მეთოდის მოხმარების (გამოყენების) პროცედურა ([17], 215). ერთი და იმავე ფაქტისათვის ერთი და იმავე მეთოდის გამოყენებისას კვლევის შედეგის ნაირგვარობა დამოკიდებულია მასალის არა მხოლოდ რაოდენობრივ, არამედ თვისობრივ მხარეზეც, რაც ერთ შემთხვევაში მხოლოდ აღწერის (მიმართებათა კონსტატაციის) საშუალებას იძლევა, ხოლო მეორე შემთხვევაში ახსნის (მიმართებათა შორის მიზეზობრივი კავშირის გამოვლენის) საშუალებასაც.

კვლევის დროს ნაირგვარი მეთოდიკის გამოყენება ხშირად იძულებითი ხასიათისაა, ობიექტური მიზეზებითაა შეპირობებული, მასალის სიმცირისა და სიმწირის შედეგია.

მაგრამ შესაძლებელია ამ შემთხვევაში არჩევანი ნებაყოფლობით ხასიათს ატარებდეს. ამის მიზეზი უკვე უპირატესად სუბიექტური ხასიათისაა, მკვლევარის მეცნიერულ კრიტერიუმზე, განხილვის ამოსავალ თვალსაზრისზეა დამოკიდებული. ამ მხრივ მრავლისმთქმელია მ. ჯუზის პრინციპი: „ჩვენ ვცდილობთ ზუსტად აღვწეროთ, ჩვენ არ ვცდილობთ რაიმეს ახსნას“ ([35], 349). უფრო კატეგორიულია ეს პრინციპი შემდეგ გამონათქვამში: „საკითხი ენობრივ ცვლილებათა მიზეზების შესახებ არ არის არსებითი ენის შემსწავლელი მეცნიერებისათვის“ ([32], 29). ონტოლოგიური წვდომის სრული უარყოფაა მოცემული ამ ფორმულირებაში: „რაც უნდა მივიჩნიოთ „სტრუქტურად“, აბსოლუტურად დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ იგი ისევე არ იქნება მსგავსი ენისა, როგორც ბოტანიკოსის მიერ აღწერილი ვაშლი არ ჰგავს ნამდვილ ვაშლს. თქვენ ვერ მოახერხებთ ვაშლის ბოტანიკოსისეული აღწერის შეჭმას ისევე, როგორც ენის ენათმეცნიერისეული აღწერით ლაპარაკს, მაგრამ როგორც კი მოგეცემათ ვაშლი ან ეხა, თქვენ კარგი აღწერის საშუალებით შეძლებთ არა მხოლოდ მათ (ე. ი. აღწერილისა და ნამდვილის) იდენტიფიკაციას, არამედ წინასწარ გეცოდინებათ კიდეც გრძნობით აღქმებთან დაკავშირებული მათი ყველაზე უფრო დამახასიათებელი ნიშან-თვისებებიც.“ ([31], 263).

ამდენად, სუბიექტური ფაქტორის შემოტანა აქ სავსებით კანონზომიერია, თან თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ მეთოდი არსებობს მხო-

ლოდ ცნობიერებისათვის (ყოფიერებაში ჩვენ გვაქვს მხოლოდ მოვლენა, ფაქტი, მათი არსებობისა და განვითარების, მათი სხვა მოვლენებთან ურთიერთმიმართების ფაქტორები). ამიტომაც მეთოდი განიმარტება როგორც „სუბიექტური დიალექტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კატეგორია“, იმავდროულად სუბიექტური დიალექტიკა გაკეპულია როგორც აზროვნების, შემეცნების დიალექტიკა (იხ.: [25], 260, 270).

აქ, ბუნებრივია, დაისვას შეკითხვა: 1. თუკი მეთოდი „სუბიექტური დიალექტიკის“ კუთვნილებაა, შესაძლებელია თუ არა, რომ ყოველმა მკვლევარმა გამოიმუშავოს თავისი მეთოდი, ე. ი. საჭიროების შემთხვევაში დაუბრკოლებლად, თავისი შეხედულებების მიხედვით შექმნას მანამდე არარსებული მეთოდი? და 2. კვლევის ყოველგვარი ხერხი, საშუალება თუ შეიძლება მივიჩნიოთ მეთოდად?

პასუხი ორივე შემთხვევაში უარყოფითი იქნება.

ყოველ მკვლევარს კვლევის თავისი სტილი, მანერა აქვს. ეს, რა თქმა უნდა, არსებითად ახდენს გავლენას კვლევის შედეგსა და დამაჯერებლობაზე, მაგრამ კვლევის სტილი არსებული მეთოდების გამოყენების თავისებურებით განისაზღვრება და არა ახალი მეთოდების შექმნით. ყოველი ზედმიწევნითი სიზუსტით წარმართული კვლევა ხვეწს და ამდიდრებს მეთოდს, მაგრამ ვერ ცვლის მას და, მით უმეტეს, ვერ ქმნის თვისობრივად რაიმე ახალს. ყოველი მეთოდი, როგორც ითქვა, ზოგადი თვალსაზრისის საფუძველზე მუშავდება, ზოგადი პრინციპები მოითხოვენ და განაპირობებენ მის შექმნას. ასე რომ, ახალი მეთოდის შექმნას ობიექტური წანამძღვრები მოეპოვება: თუ არ წარმოიქმნა ახლებური თვალსაზრისი, ახალი მსოფლხედვა და პრინციპები, საკვლევ ობიექტთან დამოკიდებულების ახალი კრიტერიუმი, ობიექტის რაობისა და რაგვარობის შეფასების ახლებური მოთხოვნილებანი, მაშინ შეუძლებელია ლაპარაკი კვლევის ახალი მეთოდების შემუშავებაზე.

კვლევის ყოველგვარი საშუალება, ხერხი ვერ მიიჩნევა ძეთოდად თუნდაც იმის გამო, რომ ყოველი კონკრეტული საკითხის შესწავლა ხშირად მოითხოვს მისადმი დიფერენცირებულ მიდგომას, მისი უკეთ წარმოჩენისათვის ახალ-ახალი საშუალებების გამოძებნას, საშუალებებისა, რომელთა მოხმარება მიზანშეწონილია სწორედ მოცემული საკითხის შესწავლისათვის და ნაკლებ გამოსადეგი ან სავსებით გამოუსადეგარი სხვა საკითხების განხილვის დროს. სწორედ ეს არის საკუთრივ კერძო ხერხი, საშუალება რაიმე საკითხის გარკვევისა. მეთოდისათვის გამორიცხულია ასეთი დიფერენცირებული მიდგომა, არ შეიძლება ერთსა და იმავე გრამატიკულ სისტემაში სახელები ისტორიულ-შედარებითი მეთოდით იქნენ განხილული, ზმნები კი— სტრუქ-

ტურული მეთოდით. მაშასადამე, საყოველთაობა განხილვის მოცემული სისტემისათვის, აი, ეს არის მეთოდის პირველი ძირითადი ნიშან-თვისება.

საყოველთაობა განაპირობებს მეთოდის წარმმართველ ძალას კვლევის დროს, უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით: ობიექტის შეცნობის დროს. ამიტომ მეორე ძირითადი ნიშან-თვისების მიხედვით მეთოდი ასე შეიძლება განიმარტოს: მეთოდი არის ძირითადი წარმმართველი ფაქტორი კვლევის მოცემულ სისტემაში, ანუ: მეთოდი არის ძირითადი წარმმართველი ფაქტორი მისი წარმოშობი თვალსაზრისის საფუძველზე ჩატარებული კვლევა-ძიების დროს.

რომელიმე მეთოდის ჩამოყალიბებას განაპირობებს გარკვეული ზოგადი თვალსაზრისის, პრინციპის არსებობა, ნათქვამი იყო ზემოთ. ეს ნიშნავს, რომ მეთოდში განხორციელებულია, განთვისებულია ამ ზოგადი თვალსაზრისის მოთხოვნები. თავის მხრივ, ყოველი თვალსაზრისის საფუძვლად ობიექტური მონაცემები ძევს. აქედან გამომდინარე, ყოველი მეთოდის ჩამოყალიბებას ობიექტური მიზეზები განაპირობებს. მეთოდის საშუალებით ხდება გარკვეული ზოგადი თვალსაზრისის მოთხოვნათა ხორცშესხმა ობიექტური რეალობის კვლევის დროს, მოცემული თვალსაზრისის შესაბამისად ობიექტის შეცნობა, მისი ბუნებისა და თვისების ამოხსნა. ნათქვამის საფუძველზე ვასკვნით: მეთოდში ქმედების პრინციპადაა განხორციელებული რომელიმე ზოგადი თვალსაზრისი და სწორედ ეს არის მეთოდის მესამე ძირითადი ნიშან-თვისება.

VI

ამრიგად, მეთოდი არის დასაბუთებული ცოდნის მოპოვების ხერხი, საშუალება ([5], 199), დაფუძნებული ამა თუ იმ ზოგად პრინციპზე, თვალსაზრისზე. ეს საფუძველი განსაზღვრავს მეთოდის შინაარსს (ისტორიული თვალსაზრისი — მოვლენის ისტორიის წარმოსაჩენად მოსახმარი მეთოდის გამოყენებას და ა. შ.). მეთოდის გამოყენების ფორმა განპირობებულია მეცნიერების ამა თუ იმ დარგის თავისებურებებით.

მეთოდი განხილვის ხერხია.

განხილვას თავისი პირობაც აქვს.

არსებითად აქ ორი პირობა იგულისხმება:

1. ყოველი მოვლენა უნდა განხილულ იქნეს დროსა და სივრცეში მასთან თანაარსებულ მოვლენებთან ურთიერთდამოკიდებულებაში, როგორც ნაწილი მთლიანისა, რომელიც განაპირობებს მის ბუნებასა და თვისებას და რომელიც თავის მხრივ განისაზღვრება ამ ნაწილის თავისებურებებით;

2. ყოველი მოვლენა უნდა განხილულ იქნეს არა როგორც პრეპარირებული და მუმიფიცირებული მონაცემი, არამედ თავის მოქმედებაში, თავისი შინაგანი პოტენციის გამოვლენისა და ქმედების პროცესში, მოცემულ სისტემაში მისი ფუნქციონირების დროს.

პირველი პირობის დაცვა მოვლენის ნაირგვარ მიმართებებს წარმოაჩენს, მეორე პირობის განხორციელება კი მოვლენის ქმნადობის, წარმოქმნა-განვითარების არსში ჩაგვახედებს.

მაგრამ მეთოდი არა მხოლოდ განხილვის ხერხია, არამედ იგი საფუძველიც ხდება ამა თუ იმ მეცნიერული თეორიის ჩამოყალიბებისა. ამიტომაც მეცნიერული თეორია უნდა განიმარტოს როგორც ამა თუ იმ მეთოდის საფუძველზე გამომუშავებული მეთოდოლოგიური ღირებულების მქონე კრიტერიუმი. მეთოდოლოგიური ღირებულების მქონედ მიიჩნევა ისეთი კრიტერიუმი, რომელსაც ხელეწიფების ყოველი პრაქტიკულად ამოსახსნელი კონკრეტული საკითხის მოქცევა („მოთავსება") კვლევის საერთო („სტრატეგიულ") პროცესში და საშუალებას იძლევა გარკვეული ზოგადი თვალსაზრისის შესაბამისი ცოდნის მოპოვებისა ობიექტური რეალობიდან. სხვაგვარად: თეორია ეს არის გარკვეული მეთოდის დახმარებით მოპოვებულ ცოდნათა თვისობრივი ერთიანობა. ამასთან დაკავშირებით სხვა პრობლემაც დაისმის, კერძოდ, რა არის ენაში ცდისეული და რა — ცდისგარეშე და რა წვლილი უძევს ამაში თვით საკვლევ ობიექტს?..

VII

მეთოდს არ შესწევს უნარი იყოს მეცნიერების დარგების განმასხვავებელი, მეთოდი ვერ დაუპირისპირებს მეცნიერების ერთ დარგს მეორეს. და, მართლაც, ისტორიული თვალსაზრისი და აქედან გამომდინარე ისტორიული მეთოდი გამოყენებულია არა მხოლოდ ენათმეცნიერებაში, არამედ გეოლოგიასა და ბიოლოგიაში ([5], 200). სტრუქტურული მეთოდი მოიხმარება როგორც ენათმეცნიერებაში, ასევე სოციოლოგიაში, ლოგიკაში, ხელოვნებისმცოდნეობაში, ასევე ბუნებისმეტყველებითს დარგებში (იხ.: [24], ასევე: [23]). ამდენად, ერთი და იგივე მეთოდი შეიძლება მოემსახუროს მეცნიერების სულ სხვადასხვა დარგს, იგი არ წარმოადგენს რომელიმე მეცნიერების სპეციფიკას ან პრიორიტეტს. სულ სხვა საკითხთან დაკავშირებით ნ. კრუშევსკი შენიშნავს: „მეცნიერებას სახელდებენ არა მისი მეთოდის, არამედ მისი ობიექტის მიხედვით" ([18], 242). ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ თავისთავად ვერც ობიექტი განარჩევს მეცნიერების დარგებს ერთმანეთისაგან.

ამიტომაც ვერ გავიზიარებთ იმ ვარაუდს, რომელიც მეცნიერების რომელიმე დარგის საფუძველდამდებად მეთოდს ასახელებს. ასეთი ვარაუდი კი, სხვადასხვა მოდიფიკაციით გამოთქმული, არც თუ ისე იშვიათია. შეფარულად იგი ფ. დე სოსიურის კონცეფციაშიცაა მოცემული: „ობიექტი სრულიადაც არ განაპირობებს თვალსაზრისს. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ თვალსაზრისი ქმნის თვით ობიექტს". რატომ? იმიტომ, რომ თვალსაზრისს გააჩნია, თუ რად მივიჩნევთ ფრანგულ სიტყვას nu-ს: ბგერად, აზრის გამოხატვად, ლათინური nūdum-ის შესატყვისად თუ სხვ. ([29], 46). აქედან გამომდინარე, თუკი თვალსაზრისი ქმნის ობიექტს, მაშინ ამ თვალსაზრისით განპირობებული მეთოდი ქმნის მოცემული ობიექტის შემსწავლელ დარგს. ეს რომ მართლაც ასე იყოს, მაშინ ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება და სტრუქტურული ენათმეცნიერება (ე. ი. ენის ისტორიულ-შედარებითი მეთოდით შესწავლა და ენის სტრუქტურული მეთოდით შესწავლა) მეცნიერების ორი სხვადასხვა დარგი უნდა ყოფილიყო ([28], 35). ადვილი მისახვედრია, რომ არას გვარგებს ამ გზით სიარული.

VIII

რა მივიღეთ?

მივიღეთ ის, რომ ვერც კვლევის ობიექტი და ვერც კვლევის მეთოდი (მით უფრო ამ მეთოდის განმაპირობებელი ზოგადი თვალსაზრისი) ვერ გამიჯნავს ერთმანეთისაგან მეცნიერების სხვადასხვა დარგს, მაგრამ ვერ გამიჯნავს ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. ხოლო თუკი კვლევის ობიექტი და კვლევის მეთოდი განხილულ იქნება ერთ მთლიანობაში, მაშინ აღმოჩნდება, რომ მეცნიერების დარგი, რომელსაც უნარი შესწევს ისტორიული (ასევე: სტრუქტურული, შედარებითი, შეპირისპირებითი...) თვალსაზრისით განიხილოს ენა, როგორც თავისთავადი ობიექტი, არის მხოლოდ და მხოლოდ ენათმეცნიერება. ანუ: ისტორიული (სტრუქტურული, შედარებითი, შეპირისპირებითი...) მეთოდით საკუთრივ ენის განხილვა მხოლოდ ენათმეცნიერების სფეროს კუთვნილებაა. მეცნიერების სხვა დარგს არ შესწევს უნარი თავის ფარგლებში დაიტიოს ამგვარი მთლიანობა ენისა (ე. ი. კვლევის მოცემული კონკრეტული ობიექტისა) და კვლევის (ნებისმიერი) მეთოდისა.

პასუხი დასმულ კითხვაზე მართებული ჩანს, მაგრამ სრული მაინც არ არის. უთუოდ გასათვალისწინებელია ზემოთ უკვე ნახსენები ერთი ფაქტორიც. მხედველობაში გვაქვს ის, რასაც კვლევის მიზანი ვუწოდეთ. რა უნდა იქნეს ჩვენს შემთხვევაში მიჩნეული ძირითად მიზნად: მოვლენის (ენის) ბუნებითი თვისების ამოცნობა, თუ მოვლენის (ენის)

გამოყენებითი, დანიშნულებითი თვისების მიგნება? და, აქედან გამომდინარე, რა არის კვლევის მიზანი: მოვლენის შეცნობა თუ მოვლენის შეფასება? უეჭველია, რომ ენის ბუნებითი თვისების ამოცნობა, ენის შეცნობა, მის არსში წვდომა უნდა იყოს და არის კიდეც ენათმეცნიერების უპირველესი და უმთავრესი მიზანი.

ამრიგად, სწორედ ეს განასხვავებს ენათმეცნიერებას მეცნიერების სხვა დარგებისაგან: ენის ბუნებითი თვისების ამოცნობის მიზნით კვლევა ენისა (ამა თუ იმ მეთოდის გამოყენებით). მიღებული შედეგი, უკვე როგორც გაცნობიერებული ფაქტი, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მეცნიერების სხვა დარგების მიერ თავიანთი სპეციფიკური ინტერესებისათვის.

მაშასადამე, კვლევის მიზნის, კვლევის მეთოდისა და კვლევის ობიექტის ერთიანობა განაპირობებს მეცნიერების ამა თუ იმ დარგის დამოუკიდებელ სტატუსს. კვლევის ობიექტი აქ ობიექტური რეალობაა და მიზეზია მეცნიერული განხილვისა. კვლევის მეთოდის გარეშე შეუძლებელი ხდება ობიექტის მეცნიერული განხილვა. კვლევის მიზანი რეალურ დანიშნულებასა და გაცნობიერებულ მიმართულებას ანიჭებს მეცნიერულ განხილვას. ამიტომაც ეს სამი კომპონენტი საკუთრივ ენათმეცნიერული განხილვისა ერთმანეთს ვერ დასცილდება.

ამ შემთხვევაში მართლაც შესაძლებელი ჩანს ერთმანეთს დავუპირისპიროთ ობიექტი და საგანი მეცნიერებისა: „ობიექტი მეცნიერებისაგან დამოუკიდებლად არსებობს, მეცნიერების საგანი კი, პირიქით, თვით მეცნიერების მიერ ყალიბდება... მეცნიერების საგანი არ არის იდენტური მეცნიერების ობიექტისა: იგი არის ადამიანის გონების მაანალიზებელი და მასინთეზებელი ქმედების შედეგი, და, როგორც ადამიანისმიერი განსაკუთრებული ქმნილება, როგორც რაიმეს გამოსახულება, ექვემდებარება განსაკუთრებულ კანონზომიერებებს, რომლებიც არ თანხვდება ობიექტის კანონზომიერებებს". ავტორი ამ ვარაუდისა გ. პ. შჩედროვიცკი განაგრძობს: „ერთსა და იმავე ობიექტს შეიძლება შეესაბამებოდეს რამდენიმე განსხვავებული საგანი მეცნიერებისა". თუ რატომ, ამის პასუხად გვეუბნება: „ეს აიხსნება იმით, რომ მეცნიერების საგნის რაობა დამოკიდებულია არა მხოლოდ იმაზე, თუ რა ობიექტს ასახავს იგი, არამედ იმაზე, თუ რისთვის, რა ამოცანის გადასაწყვეტად არის ეს საგანი ფორმულირებული" ([33], 75). ეს ვარაუდი ძირითადად მისაღებად მიგვაჩნია. ჩვენ დავით გვეჩვენება მხოლოდ მეცნიერების ობიექტისა და მეცნიერების საგნის გადაჭარბებული ურთიერდაპირისპირება. ამ საკითხს ასე განვმარტავდით: მეცნიერების საგანი იგივე ობიექტია მეცნიერებისა, ოღონდ კვლევის მიზნითა და კვლევის მეთოდით გაცნობიერებული.

IX

უკვე ითქვა, რომ ნებისმიერ ობიექტს მრავალმხრივი და მრავალგვარი მიმართებანი ახასიათებს დროსა და სივრცეში მასთან თანაარსებულ სხვა ობიექტებთან. ითქვა ერთი და იმავე ობიექტის მრავალგვაროვანი გამოყენების შესაძლებლობაზეც, ე. ი. ობიექტის პრაგმატული მხარეც იქნა გათვალისწინებული.

ამრიგად, ობიექტს ახასიათებს:

1. ნაირგვაროვანი მიმართებანი,
2. ნაირგვაროვანი დანიშნულებანი.

პირველი განპირობებულია ობიექტის იმანენტური ბუნებითი თვისებით, მეორე — მისივე იმანენტური დანიშნულებითი (შესაძლებლობითი) თვისებით. პირველი არსია (რეალური რაობაა) ობიექტისა, მეორე—მისი პოტენცია. ეს ორი რამ ურთიერთდამოკიდებულია და ურთიერთშეპირობებული. ამის მიხედვით რომელიმე ობიექტის შემსწავლელი მეცნიერებანი ორ დიდ ჯგუფად განაწილდება: პირველ ჯგუფში მოქცეულ მეცნიერებათა დარგებს ობიექტის შინაგანი ბუნებითი არსის კვლევა დაესახება მიზნად, მეორე ჯგუფის დარგები ობიექტის დანიშნულებითა და გამოყენებით დაინტერესდებიან, ობიექტის მოსმარებითი განზომილებანი იქნებიან მათი კვლევის საგანი.

ენის შინაგან (იმანენტურ) მიმართებათა შესწავლა და არსებულ ფორმობრივ და ფუნქციურ სისტემათა კანონზომიერების დადგენა ამ თვალსაზრისით, ე. ი. ენის ბუნებითი თვისების რკვევა (როგორც ფორმობრივი, ასევე ფუნქციური ასპექტით) ენათმეცნიერების საგანს წარმოადგენს.

ენის დანიშნულებითი, მოხმარებითი თვისება სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის, ლოგიკის კვლევის საგანია. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ინტერესი აქვს ენისადმი ლიტერატურისმცოდნეობასაც.

X

უშუალოდ მივადექით საკითხს: რა არის ენა? როგორ განიმარტება ენა?

არ არსებობს ზოგადი ენათმეცნიერების არცერთი კურსი, რომელშიც ენის განმარტება არ იყოს მოცემული, არ იყოს ცდა ამა თუ იმ კუთხით ენის რაობის დადგენისა.

ყველა მათგანის განხილვა შეუძლებელიცაა და მიზანშეუწონელიც. შეუძლებელია სიმრავლის გამო. მიზანშეუწონელია იმიტომ, რომ ამ განმარტებათა უმეტესობა ამა თუ იმ მოდიფიკაციით იმეორებს უკვე არსებულ ფორმულირებებს.

ამიტომ აქ მხოლოდ ტიპიურ, სხვადასხვა ენათმეცნიერულ მიმდინარეობებში ამოსავალ პრინციპად მიღებულ განმარტებებს შევეხებით.

XI

უძველესი გაგება და განმარტება ენისა თეოლოგიური იყო. განსაკუთრებული ღირსება, რომელიც მოპოვებული ჰქონდა ენის მეცნიერებას ძველ ინდოეთში, განპირობებული იყო მეტყველების აბსოლუტური განღვთიურებით. „თვით ცნება „ბრაჰმანი" შეიცავდა ენობრივ ასპექტსაც და ამ ასპექტში განიყოფებოდა ორ სახეობად: მატერიალურ სიტყვად (შაბდაბრაჰმან) და ტრანსცენდენტურ სიტყვად (პარაბრაჰმან)". ძველი ინდოელი გრამატიკოსის ბჰარტრიჰარის თქმით, „სიტყვა, მეტყველება (ვაჩ) ყველა მეცნიერების, ხელოვნებისა და ხელობის საფუძვლად ძევს. ყოველი საგანი მისი ძალით წარმოიქმნება და განმასხვავებელ ნიშან-თვისებას (თავისთავადობას) იძენს" ([19], 373). ჩანს, აღმოსავლეთის წიაღში იღებს სათავეს იოანეს სახარების ცნობილი დასაწყისი: „პირველითგან იყო სიტყუაჲ, და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი. ესე იყო პირველითგან ღმრთისა თანა. ყოველივე მის მიერ იქმნა, და თჳნიერ მისა არცა ერთი რაჲ იქმნა, რაოდენი-რაჲ იქმნა" (თავი I, მუხლი 1-3). მართალია, გოეთე დაუპირისპირდა ამ დებულებას („პირველითგან იყო საქმე". [1]), მაგრამ ეგ არსებითად რაციონალიზმის ძიება იყო უკვე გაბუნდოვანებულ გამოთქმაში: სიტყვა, ე. ი. ღვთიური გაცხადება.

ამავე მიზეზით იყო განსაკუთრებულ პატივში გრამატიკა ძველ საბერძნეთსა და რომში, როგორც სიბრძნის ერთ-ერთი უმთავრესი ღარგი იმდროინდელ სკოლებსა და აკადემიებში. იგივე ითქმის საქართველოში იყალთოსა და გელათის აკადემიებზე.

რა თქმა უნდა, დროთა განმავლობაში ღვთიურობის საბურველი ეცლება ენას, მაგრამ იგი მაინც ინარჩუნებს საგანგებო ყურადღებას, როგორც კაცობრიობის „უდიდესი, უკეთილშობილესი და ხელშეუვალი მონაპოვარი" ყველა მონაპოვართა შორის, რომელთაც ადამიანები გულმოდგინედ იცავდნენ და ტრადიციით გადასცემდნენ ერთმანეთს ([13], 64).

შუა საუკუნეებში გრამატიკა ერთ-ერთი უპირველესია სხვა შვიდ ე. წ. „თავისუფალ ხელოვნებას" შორის (რიტორიკა, არითმეტიკა, ასტრონომია, დიალექტიკა, მუსიკა, გეომეტრია და, უპირველესი მათ შორის, გრამატიკა). ეს პატივი მას შესასწავლი ობიექტის მეოხებით ერგო.

მას შემდეგ, რაც ენის მეცნიერება განთავისუფლდა თეოლოგიური წახაბძღვრებისაგან და ენის რეალური, იმანენტური არსის შეცნობის საკითხი დადგა, ამ პოზიციებიდან ენის განმარტების პრობლემაც დაისვა. ცდა მრავალი იყო, ფასეული შედეგი—გაცილებით უფრო ნაკლები, საბოლოოდ კი იმის თქმა შეიძლება, რომ დღესაც არ მოგვეპოვება ენის რაობის იმანენტური განმარტება, არ მოგვეპოვება, რადგან ყველა არსებული განმარტება არსებითად არის ენის შეფასება მეცნიერების სხვა დარგების (და არა ენათმეცნიერების) პოზიციებიდან.

XII

საკითხის თანამედროვე მდგომარეობის საჩვენებლად · რამდენიმე ტიპიური განმარტების (უკეთ: განმარტებითი ფორმულის) განხილვა მოგვიწევს.

ა) ფორმულა: „ენა არის ურთიერთობის (კომუნიკაციის) საშუალება“ რამდენიმე მოდიფიკაციით გვხვდება. არსი ყველგან ერთი და იგივეა: ეს არის ენის განმარტება არა ენათმეცნიერების, არამედ სოციოლოგიის (საზოგადოებათმეცნიერების) პოზიციიდან. ენა განიმარტება არა თავისი იმანენტური არსის, რაობის, არამედ თავისი დანიშნულების (მოხმარების) თვალსაზრისით. ეს არის ენის შეფასება არაენობრივი ფაქტიდან ამოსვლით.

უეჭველია, რომ ენას მართლაც აქვს საკომუნიკაციო დანიშნულება და იგი უშუალოდ გამომდინარეობს ენის შინაგანი თვისებიდან, მაგრამ ზუსტად ახასიათებს რა ენის ერთ-ერთ უმთავრეს დანიშნულებას, ენის არსებობის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს, ეს განმარტება ვერ წარმოაჩენს ენის შინაგან არსს. მეტიც: ფაქტიურად იგი არც ისახავს ამას მიზნად ამოსავლად მიღებული პოზიციის გამო: განსაზღვროს ენა საზოგადოებაში მისი მოხმარების თვალსაზრისით, საზოგადოებისათვის მისი ღირებულების მიხედვით. საცნაურია, რომ ამ თვისების მიხედვით განმარტავენ ენას არა მხოლოდ ენათმეცნიერები (ჰ. შუხარდტი, ო. იესპერსენი, ე. სეპირი, ა. მეიე, ჟ. ვანდრიესი, არნ. ჩიქობავა...), არამედ ფილოსოფოსებიც (ფ. ბეკონი, ჯ. ლოკი, დ. დიდრო. . .).

ბ) ფორმულა: „ენა არის აზროვნების იარაღი, საშუალება“ (ან: „ენა არის აზროვნების ფორმა“) ასევე მრავალი ნაირსახეობით გამოიყენება. პოზიცია, რომლის საფუძველზე ეს ფორმულა ჩამოყალიბდა, საკმაოდ ნათლად და გამოკვეთილად არის წარმოჩენილი ვ. ჰუმბოლდტის მიერ: „ენა არის აზრის წარმომქმნელი ორგანო... ენა არის, ასე ვთქვათ, ხალხის სულის გარეგანი გამოვლინება. ხალხის

ენა არის მისი სული და ხალხის სული არის მისი ენა. ენა არის სულის უწყვეტი მოქმედება, რომელიც ისწრაფვის აზრის გამომხატველად აქციოს ბგერა“ ([14], 71, 73); შდრ.: კ. ფოსლერთან: „ენა არის სულიერი გამოხატულება... ნებისმიერი ენობრივი გამოხატულება არის ინდივიდუალური სულიერი შემოქმედება“ ([30], 296). ამ პოზიციაზე დგანან ფილოსოფოსებიც (ჰეგელი, ბ. კროჩე) და ენათმეცნიერებიც (ა. შლაიხერი, ფ. ფორტუნატოვი, ა. პოტებნია. ..). ენა აქაც თავისი დანიშნულების, თავისი მოხმარების თვალსაზრისითაა განმარტებული. უეჭველია, რომ ენა ცნობიერების უშუალო პროდუქტია და იმავდროულად იმავე ცნობიერების გამოხატვის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა. ამიტომაც ამ პოზიციიდან ენის შესწავლა უთუოდ მნიშვნელოვანი პრობლემაა, მაგრამ ენის იმანენტური რაობა აქაც მხედველობის გარეშე რჩება.

გ) ფორმულა: „ენა არის ფსიქიკური სტატუსის უშუალო გამომხატველი“ ყურადღებას მიაპყრობს გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი ფსიქიკური მოქმედების, მდგომარეობისა და მიმართებების, როგორც ენის შინაგანი სტრუქტურის საფუძვლის, კვლევისაკენ. ფორმულა: „ენობრივი ნიშნები თავისი ბუნებით ფსიქიკურნი არიან“ – უკვე სხვა კუთხით, მაგრამ არსებითად ისევე ფსიქოლოგიზმის თვალსაზრისით განიხილავს ენას.

ენის განხილვა ფსიქოლოგიის პოზიციებიდან უკვე არა მხოლოდ ენის დანიშნულებითი თვისების („ენა, როგორც განცდათა და განწყობილებათა გამომხატველი“) რკვევას გულისხმობს, არამედ ენის წარმოქმნის მექანიზმში ჩაწვდომასაც ცდილობს. მისთვის ენა საინტერესოა არა მხოლოდ როგორც გამომხატველი, არამედ, არა ნაკლებ, როგორც პროდუქტი ფსიქიკისა.

ამ პრინციპებით ენის განხილვას კარგა ხნის ისტორია აქვს და ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმდინარეობებში თავისი წვლილი შეიტანეს და თავისი კვალიც (დადებითიც და უარყოფითიც) დაამჩნიეს მას.

იქნებოდა ეს ენის კვლევა „ხალხთა ფსიქოლოგიის“ (ანუ „ეთნო-ფსიქოლოგიის“) კონცეფციის საფუძველზე (ენათმეცნიერი ჰ. შტაინთალი, ფსიქოლოგები მ. ლაცარიუსი, ვ. ვუნდტი. ამ მხრივ ნიშანდობლივია შტაინთალისა და ლაცარიუსის მიერ დაარსებული ჟურნალის სახელწოდება: „ხალხთა ფსიქოლოგია და ენათმეცნიერება“. მიზანი ამგვარი კვლევისა სხარტად ჩამოუყალიბებია ვუნდტს: იგი ვარაუდობს „ფსიქოლოგიური ცოდნის მოპოვებას ენის ფაქტებიდან და, უწინარეს ყოვლისა, ენის ისტორიიდან“);

იქნებოდა ეს ენის შესწავლა ე. წ. „იხდივიდუალისტური ფსიქოლოგიის“ პოზიციებიდან (ჰ. პაული, ბ. დელბრიუკი, კ. ბრუგმანი, ჰ. ოსტჰოფი, მ. ბრეალი... პაულის მიხედვით, ფსიქოლოგია დამხმარე

საშუალებაა ენის განვითარების შესაცნობად. ფსიქოლოგიური ცოდნა კი არ უნდა მოვიპოვოთ ენის ფაქტებიდან, როგორც ამას ვუნდტი ვარაუდობდა, არამედ, პირიქით, ფსიქოლოგიის მონაცემები უნდა გამოვიყენოთ ენობრივი მოვლენების ასახსნელად. იხ. [26], 23);

იქნებოდა ეს ბიჰევიორიზმისა (ფსიქოლოგი ჯ. უოტსონი, ენათმეცნიერი ლ. ბლუმფილდი) თუ ფსიქოლოგიის სხვა მიმდინარეობათა პოზიციებიდან შეფასებული ენა.

როგორც ვხედავთ, აქაც არაენობრივი პოზიციიდან ამოსვლით განიმარტება ენა. თვით ენის წარმოქმნის ფსიქოლოგიური მექანიზმის კვლევაც ვერ მიიჩნევა ენათმეცნიერების საგნად, რადგან ამის მიზანიც და კვლევის ობიექტიც იმ ფარგლებს გარეთ ძევს, რომლებიც საზღვრავენ ენის, როგორც სინამდვილის ობიექტის, კონტურებს. ენათმეცნიერების ფარგლებში შემოვა მხოლოდ პროდუქტი ზემოხსენებული ფსიქიკური მოქმედებისა: ენა, როგორც შედეგი ადამიანის ფსიქიკის შემოქმედებისა. ამ მიჯნის იქით კი ენათმეცნიერებას არც თავისი მიზნით და არც თავისი კვლევითი კრიტერიუმებით არაფერი ესაქმება.

დ) ფორმულა: „ენა ნიშანთა სისტემაა“, როგორც გარკვეული კონცეფციის ამოსავალი დებულება, ფაქტიურად XX საუკუნეში პოულობს მოქალაქეობრივ უფლებას და ბოლო ხანებში მან თითქმის განდევნა კიდეც ენათმეცნიერებიდან სხვა პრინციპებს დაფუძნებული ფორმულირებანი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადრე არავინ ვარაუდობდა ენის ამგვარ დახასიათებას. ამ განმარტებას (ფორმულირებას) საკმაოდ მძლავრი წანამძღვრები და კარგა ხნის ისტორია აქვს და საჭიროდ მიგვაჩნია ერთი თვალის გადავლებით მაინც მათი გახსენება.

XIII

ენის, როგორც ნიშანთა სისტემის, დახასიათება სათავეს ფაქტიურად არისტოტელეს ფილოსოფიურ სისტემაში იღებს. მისი განმარტებით, „ენობრივი გამოხატულებანი არსებითად წარმოადგენენ ნიშნებს სულიერი შთაბეჭდილებებისათვის, ხოლო დამწერლობა ნიშანია პირველისა. ისევე, როგორც დამწერლობა ყველას ნაირგვარი აქვს, ნაირგვარია ენაც. მაგრამ სულიერი შთაბეჭდილებანი, რომელთაც თავიდანვე მიემართებიან ეგ ნიშნები, ერთნაირია ყველასათვის. ასევე საგნები, რომელთაგან მიღებული შთაბეჭდილებანიც წარმოადგენენ მათ წარმოსახვას, ყველასათვის ერთნაირია“ ([7]). არსი ამ დებულებისა ასეთია: ყველა ენა საერთო ობიექტურ სინამდვილესა და, აქედან გამომდინარე, საერთო (ახლა ითქმება: უნივერსალურ) შინაარსს ნაირგვარი (თავისი სპეციფიკური) ფორმით გამოხატავს.

ამ აზრს ჯ. ლოკი ასე ავითარებს: „სიტყვებს მოპოვებული აქვთ ზოგადი ხასიათი იმის გამო, რომ ისინი ზოგადი იდეების ნიშნებად არიან ქცეულნი“ ([21], 426). ჯ. ბერკლის მიხედვით, „ენას ქმნის შრავალფეროვან და დაპირისპირებულ ნებისმიერ ნიშანთა დიდი რიცხვი“ (იხ.: [3], 61). არსებითად ამავე პოზიციაზე დგას თ. ჰობსიც: „ნიშანთა შორის ზოგი ბუნებრივია... სხვანი ნებისმიერნი, ე. ი. ჩვენს მიერ ნებისმიერად ამორჩეული: ამათ განეკუთვნებიან... სიტყვათა განსაზღვრული შეხამებანი, რომლებითაც აღინიშნება ჩვენი აზრები და ჩვენი სულის მოძრაობანი (სულიერი ქმედებანი).“ და შემდეგ: „ადამიანები, რომლებიც ერთსა და იმავე სიტყვებს იყენებენ, ამ სიტყვათა დაკავშირებისა და განლაგების საშუალებით გადასცემენ ერთმანეთს თავისეულ გაგებასა ან აზრს თითოეული საგნის შესახებ, აგრეთვე თავიანთ სურვილებს, შიშსა ან სხვა გრძნობებს. მათი (ე. ი. სიტყვების განსაზღვრულ დაკავშირებათა, ურთიერთობის, ბ. ჯ.) ამგვარი გამოყენების გამოა, რომ ისინი ნიშნებად იწოდებიან“ ([12], 61-62; [12. ა], 66). უკვე სავსებით გამოკვეთილად ეს იდეა გ. ლაიბნიცთანაა ჩამოყალიბებული: „ჩვენი აზრების უმრავლესობა... სიმბოლოთა უბრალო მანიპულაციით გამოიხატება მსგავსად იმისა, მავანნი რომ ალგებრული ფორმულებით სარგებლობენ... სიტყვები ასრულებენ იმავე ფუნქციას, რასაც არითმეტიკული ან ალგებრული ნიშნები“ ([20], 164). ეს ზოგადი იდეა უძევს საფუძვლად ლაიბნიცისეულ Characteristica universalis-ს (ზოგად აღნიშვნას, საერთო ენას, ანუ: სიმბოლოთა ენას), რომელმაც არსებითი ზეგავლენა იქონია თანამედროვე მათემატიკური ლოგიკის (და აქედან ე. წ. „მათემატიკური ლინგვისტიკის“) ამოსავალი, საფუძველდამდები პოსტულატების ჩამოყალიბებაზე.

ი. კანტს არსებითად ჩამოყალიბებული აქვს ნიშანთმოძღვრების ძირითადი პრინციპები. კანტი განარჩევს სიმბოლოებსა და ნიშნებს, რომელთაგან პირველნი ცნებათა საშუალებით რისამე წარმოსახვას ემსახურებიან, ხოლო მეორენი თავისთავად არაფერს ნიშნავენ და მხოლოდ რაიმესთან მიმართებით მივყავართ ჭვრეტისაკენ, ხოლო ჭვრეტის გზით ცნებებისაკენ. ი. კანტის მიხედვით ნიშნები სამი სახისაა: ნებისმიერი ნიშნები, ბუნებრივი ნიშნები და ცრუნიშნები. ნებისმიერი ნიშნები მრავალგვარია: ჟესტ-მიმიკის, წერილობითი, მუსიკალური, რიცხვითი, სამსახურეობრივი (მუნდირი, ლივრეა), წოდებრივი (ღერბები), გაკიცხვის (დამღა) ნიშნები. მათვე განეკუთვნება სასვენი ნიშნები (ნაწერში). აქვე შემოდის ენა: „ყოველი ენა აზრების აღნიშვნაა და პირუკუ: აზრების აღნიშვნის საუკეთესო საშუალება არის ენა.“ ბუნებრივ ნიშნებად (რომლებიც ორ ქვეჯგუფად განიყოფება: სადეხოსტრაციო და პროგნოზულ ნიშნებად) კანტი მიიჩნევს მაჯისცემას,

რომელიც ექიმს პაციენტის მდგომარეობაზე მიანიშნებს, ისევე, როგორც კვამლი — ცეცხლზე... აქვე შემოაქვს კანტს ყორღანები და მავზოლეუმები, როგორც გარდაცვლილთა ხსოვნის უკვდავყოფის ნიშნები, ვულკანური ნარჩენები იქ, სადაც ამჟამად არავითარი ცეცხლი არ ამოხეთქავს ხოლმე, ძველ არქიტექტორულ ნაგებობათა ნანგრევები—ნიშანი ყოველივეს წარმავლობისა, ციურ მოვლენათა მანიშნებელი სიმპტომები და სხვანი. რაც შეეხება ცრუნიშანს, იგი უშუალო გამოვლინებაა ცრურწმენისა. ასეთია, მაგალითად, რაიმე ციური მოვლენის მიჩნევა ომის დაწყებისა ან შავი ჭირის გაჩენის ნიშნად და მისთანანი ([16], 429—432). როგორც ვხედავთ, მომავალი სემიოტიკის უკვე მრავალი სიმპტომია მოცემული ი. კანტის ამ განმარტებებში.

ჰეგელი უკვე საკმაოდ გამოკვეთილად აყალიბებს ნიშანთა თეორიას და იძლევა ნიშნის ისეთ განმარტებას, რომელიც თითქმის უცვლელადაა წარმოდგენილი დღევანდელ სემიოტიკურ ლიტერატურაში: ნიშანი არის ის, რაც გვეძლევა უშუალოდ ჰვრეტით და რომელიც „წარმოგვიდგენს სულ სხვა შინაარსს, ვინემ იმას, რაც მას აქვს თავისთავად". მისგან განსხვავებით, სიმბოლო მეტ-ნაკლებად იმ შინაარსს წარმოგვიხატავს, რომელიც თვით მას მოეპოვება, თვით მისი დამახასიათებელი თვისებაცაა. ჰეგელი განარჩევს ენასა და მეტყველებასაც: „ბგერა, რომლის შემდგომი დანაწევრება ხდება გარკვეულ წარმოსახვათა გადმოსაცემად,— მეტყველება, და მისი სისტემა — ენა ანიჭებენ შეგრძნებებს, ჰვრეტას, წარმოდგენებს მეორე ცხოვრებას, უფრო ამაღლებულს, ვინემ მათი უშუალოდ არსებული მყოფობაა". შემდეგ: „ენის ფორმობრივი მხარე მაინც გონების საქმეა, რომელიც აღბეჭდავს მასში თავის კატეგორიებს; ეს ლოგიკური ინსტინქტი წარმოშობს მათ გრამატიკულ მხარეს". სახელები, განაგრძობს ჰეგელი, „თავისთავად რაიმე აზრის უქონელი გარსაცმებია, რომელთაც გარკვეული მნიშვნელობა მოპოვებული აქვთ მხოლოდ როგორც ნიშნებს... სახელი არის უბრალო ნიშანი ჭეშმარიტი, ე. ი. მარტივი... წარმოსახვებისა". ნიშანი ნებისმიერია. ეს გვაიძულებს თავდაპირველად ვისწავლოთ ნიშანთა მნიშვნელობა. „ეს განსაკუთრებით მართებულია ენობრივ ნიშანთა მიმართ". ჰეგელს გამოყოფილი აქვს ნიშანთა დონეებიც: ბგერა, თავისთავად რაღაცის ნიშანი, წერილობით ასოთი გადმოიცემა და, ამდენად, ეს უკანასკნელიც ნიშანია, „სხვა ნიშნების ნიშანი". ([11], 265—269).

XIV

ენობრივი ნიშნის ხსენებული განმარტებანი და თეორიები, მხარდაჭერისა თუ უარყოფის მიზნით, ბუნებრივია, იმ ენათმეცნიერულ

კონცეფციებშიც აისახებოდა, რომლებიც წინარე ფილოსოფიურ მოძღვრებებს ემყარებოდნენ ან ითვალისწინებდნენ მაინც.

უპირველესად აქ ვ. ჰუმბოლდტი უნდა დავასახელოთ. მას თავისებურად აქვს წარმოდგენილი ეს საკითხი, რადგან მისეული განმარტება უშუალო ზედნაშენია მისი ენობრივი კონცეფციისა, სადაც არ-ებითია ენა „როგორც აზრის წარმომქმნელი ორგანო," ენა „როგორც მსოფლხედვა", ენა „როგორც ხალხის სულის უშუალო გამოხატულება". ამისდა კვალობაზე „სიტყვებად უნდა გავიგოთ ცალკეულ ცნებათა ნიშნები. მარცვლები ქმნიან ბგერით ერთობლიობას, მაგრამ სიტყვებად იქცევიან მხოლოდ მაშინ, როცა მიიღებენ მნიშვნელობას... ბგერითი ფორმა არის გამოხატულება, რომელსაც ენა უქმნის აზროვნებას, მაგრამ იგი შესაძლოა წარმოვიდგინოთ იმ შენობადაც, რომელშიც თავსდება ენა... სიტყვაში ყოველთვის წარმოდგენილია ერთობლიობა ორგვაროვანისა—ბგერისა და ცნებისა"... მაგრამ ეს არის მხოლოდ ბგერითი (გარეგანი) ფორმა, რომელსაც ჯერ კიდევ არ შესწევს უნარი „შექმნას სულის (გონის) შესაფერისი ენები"; ეს მოვალეობა აკისრია ენის შინაგან ფორმას. სწორედ იგი აქცევს ბგერით ფორმებს ენობრივ შემოქმედებად, „სწორედ ეს, ბგერითი ფორმების სავსებით შინაგანი და წმინდად ინტელექტუალური მხარე არსებითად წარმოადგენს კიდევაც ენას". ენის შინაგანი ფორმა ჰუმბოლდტს წარმოდგენილი აქვს „იდეის" სახით, რომლის რეალური არსი მას არ დაუზუსტებია. ამ „იდეის" განსაზღვრა მასთან მკვეთრ კონტურებს მოკლებულია და უფრო მეტაფორული გამოთქმის ხასიათს ატარებს: ბგერითი ფორმები ენად არ იქცევა მანამ, სანამ „ენაზე მიმართული იდეის სხივმოსილი ნათელი არ აავსებს მათ თავისი სინათლითა და სითბოთი". ეს კი სხვა არაფერია, თუ არა „გზები, რომლებითაც მიემართება ენობრივ შემოქმედებაში სულიერი (გონითი) მოქმედება, ანუ, თუკი სხვა შედარებას მოვიტანთ, ფორმები", რომლებშიც ეს სულიერი ქმედება გამოიხატება. ამგვარად, ჰუმბოლდტის თანახმად, ენა ორ ფორმობრივ მხარეს მოიცავს: გარეგანს, ბგერითს და შინაგანს, „ინტელექტუალურს" (აზროვნებითს). ორივეში ძირითად მომენტებად გვევლინება ცნებათა აღნიშვნა და სიტყვათშეხამების კანონები. თავის მხრივ აღნიშვნა ორგვარად ხდება: იძებნება გამოხატულებანი სავსებით თავისთავადი საგნებისათვის, ანდა გამოიხატებიან მიმართებანი, რომელნიც, მოიცავენ (შეეხებიან) რა მთელ რიგ საგნებს, ფორმის მიხედვით ერთ საერთო (ზოგად) ცნებაზე დაიყვანებიან. ცნებათა აღნიშვნის საჭიროებისათვის ბგერითი ფორმით იქმნება სიტყვები, რასაც ენის შინაგან ფორმაში შეესაბამება ცნებათა წარმოქმნა. არტიკულაციურმა შეგრძნებამ (ჩვევამ) ამ აღნიშვნის გამოსახატავად აუცილებელი ბგერების გამოძებნა რომ შეძლოს, საჭიროა ყოველი

ცნება ენის შინაგან სფეროში გამოირჩეოდეს რაიმე თავისეული ნიშან-თვისებით, ანდა კავშირი ჰქონდეს დამყარებული სხვა ცნებებთან. ჰუმბოლდტს ცნება დაპირისპირებული აქვს საგანთან: „თუკი, მაგალითად, სანსკრიტში სპილო იწოდება ან როგორც ორჯერ მსმელი, ან როგორც ორეშვიანი, ან როგორც ხელიანი, ამ შემთხვევაში აღინიშნებიან განსხვავებული ცნებები, თუმცა იგულისხმება ერთი და იგივე საგანი“. მიზეზი ამისა ნათელია: „ეს ხდება იმიტომ, რომ ენა აღნიშნავს არა თვით საგნებს, არამედ ცნებებს, რომელთაც სული (გონი) მათგან დამოუკიდებლად წარმოქმნის ენობრივი შემოქმედების პროცესში“. ცნებათა სწორედ ამგვარი წარმოება (რომელიც უნდა შეფასდეს როგორც „ღრმად შინაგანი პროცესი და რომელიც წინ უსწრებს არტიკულაციურ შეგრძნებას“) იგულისხმება ზემოხსენებულ შემთხვევაში. თუმცა „ეს გამიჯვნა ხდება ენის ანალიზის მიზნით, ბუნებაში კი იგი არ არსებობს“. ([14], 82—85; ამასთან დაკავშირებით იხ.: [3ა]).

როგორც ჩანს, ჰუმბოლდტი შინაგან ფორმაში შინაგანად მოტივირებულ ნიშნებს, ანუ სიმბოლოებს გულისხმობს. ამით მან ენა დაუპირისპირა წმინდა ნიშანთა სისტემას, როგორც ამ უკანასკნელისაგან არსებითად განსხვავებული ფენომენი. ეს აზრი ახლებური მოდიფიკაციით თავს იჩენს ეგზისტენციალისტებთანაც: „ცოცხალი სიტყვები არასდროს არ წარმოადგენენ უბრალო ნიშნებს“ ([34], 401).ეს ფორმულა ფაქტიურად უპირისპირდება ნეოპოზიტივისტების უკიდურესად ფორმალური ენის იდეას, თავისებურად გამოხატულს კარნაპის სიტყვებში: „ფილოსოფიური, ანუ ლოგიცისტური კვლევა არის ენის ანალიზი“. ასეთი გათანაბრება მხოლოდ წმინდა ნიშანთა სისტემამდე დაყვანილი ენის შემთხვევაში შეიძლება, მაგრამ ენა არ არის ნიშანთა სისტემა, ენა მხოლოდ იყენებს ნიშანთა სისტემას.

XV

უბრალო (ანუ: ნებისმიერ, არამოტივირებულ) ნიშანთა სისტემამდე დაყვანილი ენა კარგავს თავის არსებით თვისებებს — ხატოვანებასა (ამ სიტყვის ფართო გაგებით) და ცნებითობას (არაცნებითი ენაში მხოლოდ საკუთარი სახელებია).

ენას მიეწერება ნებისმიერობა მაშინ, როდესაც საკუთრივ ენაში არაფერია ნებისმიერი, ხოლო აღსანიშნთან მიმართებაში ნებისმიერობა შეზღუდულია, რეგლამენტირებულია.

ენობრივ ელემენტებს მიეწერება ერთმნიშვნელოვანება მაშინ, როდესაც ისინი მრავალმნიშვნელოვანი არიან.

ენას მიეწერება იარლიყის თვისება მაშინ, როდესაც იარლიყი ნებისმიერად შეიძლება შეიცვალოს, ენის ნებისმიერად შეცვლა კი შეუძ-

ლებელია, ენა არ ექვემდებარება ნებისმიერ ან ძალდატანებით ცვლილებას.

ყველა სხვა ნიშნებს შორის ურთიერთმიმართება შეთანხმებითია, ენობრივ ნიშნებს კი, პირიქით, თვითორგანიზაცია ახასიათებს. ამ პროცესში ჩარევა, მასზე ძალდატანებით ზემოქმედება, მისთვის ენის შინაგანი მოთხოვნილებით შეუპირობებელი დანიშნულების თავზე მოხვევა შეუძლებელია. ეს თვითორგანიზაცია ხდება ენის შინაგანი პოტენციისა და თვისების საფუძველზე. უამისოდ ენა უვარგისი აღმოჩნდებოდა თავისი ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულებისათვის — იყოს ურთიერთობის (კომუნიკაციის) საშუალება.

ყველა სხვა ნიშანსა და აღსანიშნს შორის ურთიერთობა არ გულისხმობს მათ ურთიერთზეგავლენას. ენაში კი, პირიქით, ეს ზეგავლენა საკმაოდ ხელშესახებია.

„წმინდა“ ნიშანმა შეუძლებელია გაიფართოვოს ან დაიეიწროვოს აღნიშვნის ფარგლები, „ენობრივი ნიშნები“ კი ადვილად იგუებენ მნიშვნელობის გაფართოვებასაც და დავიწროვებასაც.

„წმინდა“ ნიშანი მაშინვე უვარგისი აღმოჩნდება ხოლმე თავისი დანიშნულების შესასრულებლად, როგორც კი მის აღსანიშნში რაიმე სემანტიკური ცვლილება მოხდება, რადგან ეს ნიშანი მხოლოდ და მხოლოდ მანიფესტაციაა რაიმე ზუსტად ზღვარდადებული შინაარსისა (აღსანიშნისა), ამის საპირისპიროდ, ენობრივი ნიშანი ერთნაირად გამოსადეგი აღმოჩნდება ხოლმე როგორც ლოგიკური, ასევე პოეტური სისტემების აღსანიშნად. გრამატიკულ ფუნქციათა ცვლილებანი თუ ლექსიკურ მნიშვნელობათა მეტაფორული სახესხვაობანი ყოველგვარი ძალდატანების გარეშე „თავსდებიან“ უკვე არსებულ ფორმობრივ ყალიბებში.

ყველა სხვა ნიშანი ან ხელოვნურადაა შექმნილი, ან ხელოვნურად მისადაგებული აღსანიშნთან. „ენობრივი ნიშანი“ კი იმთავითვე მოცემულია. გამორიცხულია მისი ხელოვნური შექმნა ან მნიშვნელობასთან ხელოვნური მისადაგება ნებისმიერი ენის ჩამოყალიბებისა და განვითარების საწყის საფეხურზეც კი.

XVI

მაშასადამე, შეუძლებელია ენის (უკეთ: ენობრივი ფორმის) სრული და უკომპრომისო გათანაბრება სხვა ყველა სახის ნიშანთა სისტემებთან. შეუძლებელია, რადგან არამოტივირებულ (ნებისმიერ, „წმინდა“) ნიშანთა ფაქტიურად არცერთი თვისება არ აღმოაჩნდა ენას. ენაში, რა თქმა უნდა, არსებობს არამოტივირებული (უკეთ: ამჟამად ამოუცნობი მოტივაციის მქონე) სიტყვები, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ

ენობრივი ნიშანია არამოტივირებული. ენობრივი ნიშანი ენის ფორმას ქმნის, ენის ფორმა კი არ შეიძლება იყოს არამოტივირებული. ენის ფორმისა და ენაში არსებული სიტყვების მოტივირება ერთი და იგივე არ არის. ამ თვალსაზრისით მართებული ჩანს ე. ბენვენისტის შენიშვნა, რომ ენობრივი ნიშანი შეიძლება ნებისმიერი იყოს აღსანიშნი ობიექტის მიმართ, მაგრამ შეუძლებელია იგი ასევე ნებისმიერი იყოს მოცემულ ენობრივ სისტემაში, არამოტივირებული იყოს ამ სისტემის სხვა ელემენტების მიმართ ([8], 95): რომელიმე „ხ-ა-რ-ი" სიტყვა შეიძლება არამოტივირებული და, ამდენად, ნებისმიერი იყოს აღსანიშნი ობიექტის მიმართ, მაგრამ არაფრით არ შეიძლება ითქვას, რომ მისი ენობრივი ფორმა, ე. ი. რომ ენაში არსებობს ხ (ამ შემთხვევაში მიღებული ჯ ბგერისაგან), ა, რ, ი ბგერები, რომელთა სტატუსი დგინდება სხვა ბგერებთან მიმართებაში და სწორედ ამით არიან ისინი მოტივირებული, რომ ამ ფორმას ახასიათებს ბგერათა განსაზღვრული თანაგანლაგება და მათი მიზეზობრივი კავშირი, რომ ამავე ფორმას მოეპოვება გარკვეული გრამატიკული ღირებულება, დერივაციული და კონსტრუქციული თვისებანი, რაც ისევ და ისევ სხვა ფორმებთან მიმართებებში ელინდება, რომ ყველაფერი ეს ნებისმიერია. ენაში ყველაფერი ურთიერთდეტერმინირებულია და, ამდენად, მოტივირებულიც, იმავდროულად ურთიერთშეწონასწორებულიც. ამრიგად, ენა, როგორც თავისთავადი ფენომენი, არ შეიძლება მივიჩნიოთ არამოტივირებულ (ნებისმიერ) ნიშანთა სისტემად.

მაგრამ ენას ვერც მოტივირებულ ნიშნებს (ე. ი. სიმბოლოებს) გავუთანაბრებთ. მაშასადამე, ეგზისტენციალისტების საპირისპიროდ, ენას ვერც სიმბოლოთა სისტემად მივიჩნევთ.

სიმბოლო საგნობრივადაა მოტივირებული. სიმბოლო საგნის ან მოვლენის რაიმე ნიშან-თვისების გამოყენებაა მთლიანად საგნის ან მოვლენის აღსანიშნად. აქ ორ შემთხვევასთან გვაქვს საქმე:

1. ნიშან-თვისების, სიმპტომის უცვლელად გამოყენება რისამე აღსანიშნავად,

2. ნიშან-თვისების აბსტრაჰირებული (ან სტილიზებული) გამოყენება რისამე აღნიშვნის მიზნით.

ამრიგად, სიმბოლო საგნობრივი წარმოშობისაა, საგნობრივი ბუნებისაა და უშუალოდ მიემართება საგანს როგორც მისი შემადგენელი ნაწილი და იმავდროულად მისი აღმნიშვნელიც. მართალია, ენა შეიძლება ასახავდეს უშუალო საგნობრივ მიმართებებსაც (ასეთია ენაში საკუთარი სახელი, რომელიც უშუალოდ მიემართება კონკრეტულ ობიექტს, თუმცა მას ჩვეულებრივ სიმბოლოდ მაინც ვერ მივიჩნევთ), მაგრამ შეუძლებელია ენობრივი ფაქტი (ფორმა) აღსანიშნის შემადგენელი ელემენტი ან ნიშან-თვისება იყოს. „წმინდა" სიმბოლოსაგან გან-

სხვავებით, ენას მატერიალურად საერთო არაფერი აქვს აღსანიშნ ობიექტთან. ამიტომაც იგი ვერ იქნება სიმბოლო. „დედამიწის“ აღსანიშნავად ენა სფეროს კი არ აღბეჭდავს (ე. ი. დედამიწის კონფიგურაციას კი არ იმეორებს), არამედ „დედამიწის“ ცნების (ე. ი. ცნობიერებაში წარმოსახული „დედამიწის“) გამოხატვას ახდენს ენობრივი ფუნქციისა და ენობრივი ფორმის ერთიანობის საფუძველზე. ცნებები, რა თქმა უნდა, უშუალოდ არ აისახება ენობრივი ფორმით. ეს მიმართება ყოველთვის გაშუალებულია ცნებათა ენობრივი ტრანსფორმაციის საფუძველზე ჩამოყალიბებული ენობრივი (როგორც ლექსიკური, ასევე გრამატიკული, ე. ი. როგორც სახელმდები, ასევე — მიმართებათა გამომხატველი) ფუნქციებით.

XVII

ზემოთქმული, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ენა საერთოდ არ იყენებს ნიშანთა ან სიმბოლოთა სისტემებს. ამის გარეშე შეუძლებელია ენის სრულყოფილი ფუნქციონირება. სიმბოლოები ენაში ხმაბაძვითობის სარეალიზაციოდაა გამოყენებული. რაც შეეხება ნიშანს, იგიც ენობრივი ფორმაა ფაქტიურად, მაგრამ არა ენობრივ ფუნქციასთან, არამედ საგანთა სამყაროსთან მიმართებაში. ენობრივი ფორმის არსებითი დანიშნულება კი სწორედ ენობრივი ფუნქციის აღნიშვნაა, უკეთ: ენობრივი ფუნქციის ასახვა, გამოხატვა: ენის ფორმობრივი ელემენტები მხოლოდ პირობითად შეიძლება მივიჩნიოთ საგანთა და მოვლენათა სამყაროსთან უშუალოდ დაკავშირებულად. სინამდვილეში ენა ასახავს არა ყოფიერების ფაქტს, არამედ ცნობიერების ფაქტს, არა საგნებსა და მოვლენებს უშუალოდ, არამედ ცნობიერებაში აღბეჭდილ საგნებსა და მოვლენებს, ცნებებად ტრანსფორმირებულ საგნებსა და მოვლენებს და ისიც მხოლოდ მაშინ, როცა ეს ცნებები ენაში ენობრივ ფუნქციებად გარდაიქმნებიან. ენობრივი ნიშნის (უკეთ: ენობრივი ფორმის) აღსანიშნი (უკეთ: გამოსახატავი) ენობრივი მნიშვნელობაა (ფუნქციაა) უპირველესად. მივიჩნიოთ ენობრივი ფორმისა და ფუნქციის ერთობლიობა აღმნიშვნელად ობიექტურ რეალობაში არსებული საგნებისა და მოვლენებისა, ეს, რასაკვირველია, სავსებით დასაშვებია (და ძირითადად სწორედ ამ პრინციპით უდგებიან ამჟამად ენობრივ ფენომენს), მაგრამ ეს ფაქტი ენის იმანენტური რაობის, შინაგანი თვისების, მისი ონტოლოგიური არსის შეცნობისათვის არსებითად ვერაფერს იძლევა და ფაქტიურად არც ენათმეცნიერების კომპეტენციას წარმოადგენს. ენის ეს მხარე შესწავლის საგანია იმ მეცნიერებისა, რომლის შექმნაც, ე. ბენვენისტის აზრით, ორი პიროვნების, პოლარულად განსხვავებული ორი გენიოსის, ჩ. პირსისა და ფ. დე სოსიურის

დამსახურებაა ([8], 69). ეს მეცნიერებაა სემიოტიკა (ფ. დე სოსიურით—სემიოლოგია). ჩ. პირსმა აღადგინა ჯ. ლოკის Σημειωτική. ჯ. ლოკი, რომლისთვისაც ამოსავალი იყო ლოგიკა და თვით ლოგიკას კი განმარტავდა როგორც ენის თეორიას, ამ ტერმინს იყენებდა ნიშნებისა და მნიშვნელობების შემსწავლელი მეცნიერების სახელწოდებად.

XVIII

ენისა და ნიშანთა სისტემის სრულმა გაიგივებამ შედეგად მოგვცა მთლიანი გათანაბრება ისეთი განსხვავებული სისტემებისა, როგორებიცაა ენა, შუქნიშანი, მორზეს ანბანი, ყრუ-მუნჯთა ჟესტ-მიმიკა და ა. შ.

ლ. იელმსლევი, რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული ენის უკიდურესი ფორმალიზაციის ერთ-ერთი ძირითადი თეორია, უარყოფს რაიმე არსებითი ხასიათის განსხვავებას ზემოხსენებულ სისტემებს შორის: „დანიური ენა, იქნება იგი ზეპირი, წერილობითი, მორზეს ანბანით ტელეგრაფირებული, თუ საერთაშორისო საზღვაოსნო დროშოვანი სიგნალიზაციით გადმოცემული, ყველა შემთხვევაში რჩება იმავე დანიურ ენად და არ წარმოადგენს ოთხ სრულიად სხვა ენას". ([15], 420). ჯერ ერთი, ზეპირი და წერილობითი ენა — ეს ერთი და იმავე მოვლენის ორი მხარეა: წერილობით ხდება მხოლოდ ფიქსაცია ე. წ. ზეპირი (ანუ „ნამდვილი") ენისა. გარდა ამისა, მორზეს ანბანისა ან საზღვაოსნო სიგნალიზაციის საშუალებით გადმოიცემა არა ვთქვათ, დანიური ენა, არამედ ის (აზრი, ფუნქცია), რაც სათქმელი იყო დანიური ენით, ოღონდ ეგ შინაარსი წარმოსათქმელი ტექსტისა ამჯერად მორზეს ანბანისა თუ საზღვაოსნო სიგნალიზაციის ნიშნებით არის განხორციელებული. მაგრამ ენა არის არა მხოლოდ ინფორმაციის გადამცემი საშუალება (უფრო სწორად, ეს არც არის ენა, არამედ ენის ერთ-ერთი დანიშნულებაა), არა მხოლოდ ფორმობრივი რეალიზაცია რაიმე მნიშვნელობისა, არამედ შინაგანად მარგანიზებელიც გამოსახატავი ფუნქციისა. თავი რომ დავანებოთ იმ ფაქტს, რომ არ არსებობს (და ვერც იარსებებს) ენის სისტემათა სავსებით ადეკვატური კოდების სისტემა და პირობითად კიდეეც დავუშვათ ასეთი შესაძლებლობა, იგი ფაქტიურად მაინც ენობრივ მიმართებათა სქემად დარჩება, რადგან მოკლებული იქნება ენის იმანენტური თვითორგანიზების უნარს. ხსენებული პრინციპით ენობრივი ფორმის კვლევა, იქნებ ფრიად ნაყოფიერიც სემიოტიკისათვის, არსებითად გამოუსადეგარი აღმოჩნდება თვით ენის ფუნქციონირების, მისი ფორმობრივი გენერაციისა თუ რეგენერაციის, შინაგანი ორგანიზებულობისა თუ მისი, როგორც გარკვეული ფუნქციისათვის არსებული ყალიბის, ჭეშმარიტი ბუნების და-

სადგენად, რადგან, ვ. ბრონდალის მართებული თქმით, უნდა ვერიდოთ „ლინგვისტური მოვლენების ნაირსახეობათა გამოყვანას აბსტრაქტული სქემებიდან“ ([10], 417). შუქნიშანსა და სხვა მსგავს ნიშანთა სისტემებს არავითარი სხვა მისია არ აკისრიათ, გარდა რაიმეს აღსანიშნად პირობითად დათქმული სტატუსის აღბეჭდვისა მაშინ, როდესაც ენა მექანიკურად კი არ აღბეჭდავს, არამედ შემოქმედებითად წარმოსახავს სინამდვილეს და ამით არა მხოლოდ აღნიშნავს, არამედ აფასებს კიდევაც წარმოსახულ ობიექტურ რეალობას. სწორედ ეს, სტილისტური ნიშანი, სავსებით გაუთვალისწინებელი რჩება ენისა და ნიშანთა სხვა სისტემების გაიგივების დროს.

XIX

მაინც რამ გამოიწვია ენის გათანაბრება ნიშანთა სისტემასთან?

იშვიათია სხვა საკითხი, რომლის ფორმულირებაში სხვადასხვა, ხშირად დაპირისპირებული, მიმდინარეობების წარმომადგენლები ესოდენ სოლიდარული იყვნენ. ამას, რა თქმა უნდა, თავისი მიზეზი აქვს. სათავეს იგი სიტყვის რაობის შესახებ ჯერ კიდევ ანტიკურ საბერძნეთში წამოწყებულ კამათში იღებს: აღსანიშნი საგნის მიმართ სიტყვა ბუნებითია თუ ნებისმიერი (ე. წ. ფიუსეი-თეორია და თესეი-თეორია). ეს დილემა მომდევნო საუკუნეებში სიტყვის ნებისმიერობის სასარგებლოდ გადაწყდა. ეს კანონზომიერიც იყო, რადგან ენათა ზედაპირული შედარებაც კი (ერთსა და იმავე საგანს სხვადასხვა ენაში სხვადასხვა სახელი ჰქვია) თითქოს იმას ამხელს, რომ საგნის სახელწოდება საგნის ნიშან-თვისებით არ უნდა იყოს შეპირობებული. პირუკუ შემთხვევაში სახელწოდებები ყველა ენაში ერთნაირი უნდა ყოფილიყო. ეს საკითხი უშუალოდ უკავშირდება მოტივირების პრობლემას.

საერთოდ, მოტივირების პრობლემა არ არის ერთგვაროვანი და იმავდროულად არსებითი ღირებულებისაა ენის რაობის, ენის იმანენტური ბუნების რკვევისას, ენის შინაგან დამოკიდებულებათა დადგენისათვის.

მოტივირების პრობლემა არაერთგვაროვანიაო, რომ ვახსენეთ, საკუთრივ მოტივირების სხვადასხვა სახეობასა დ მასთან დაკავშირებულ კვლევით სპეციფიკას ვგულისხმობდით. მოტივაციის ნაირსახეობათაგან დავასახელებთ მხოლოდ ძირითადს:

ა) ფონეტიკური მოტივაცია,

ბ) მორფოლოგიური მოტივაცია,

გ) სინტაქსური მოტივაცია.

დ) ლექსიკური მოტივაცია.

ამათგან მხოლოდ ლექსიკური მოტივაციაა საგნობრივი (ისიც,

უშუალოდ არა, გაშუალებულია ცნებით), მხოლოდ აქ შეიძლება ვილაპარაკოთ არამოტივირებულ (აღსანიშნისადმი ნებისმიერ) და მოტივირებულ (აღსანიშნისადმი არანებისმიერ) მიმართებებზე. პირველის ხიმუშებია: მამა, ცა, ხელი... მეორისა — მამიდა, ცისარტყელა, ხელმძღვანელი... როგორც ვხედავთ, აქ ენობრივად გამჭირვალე და გაუმჭირვალე ეტიმოლოგიებზე დადის არსებითად ყველაფერი. თანაც იგულისხმება ერთდროული (სინქრონიული) მოცემულობა, თორემ სხვა მხრივ არამოტივირება (გაუმჭირვალე ეტიმოლოგია) მერყეევია და მეცნიერული ჩარევის შემდეგ შეიძლება ამჟამად მიჩქმალული მოტივირების საფუძველი ამოიხსნას კიდეც. მაშინ, ბუნებრივია, არამოტივირების სტატუსი (ყოველ შემთხვევაში, მოცემული მაგალითისათვის) მოიხსნება. ასეთი ჩაძიებით შესაძლოა ოდითგანვე არამოტივირებული ლექსიკური ერთეული აღარც კი შემოგვრჩეს (თეორიულად უფლება გვაქვს ასეთი იდეალური შემთხვევის დაშვებისა).

მაშ, რა გამოდის? რომ თეორია, რომელიც ადრევე იქნა უკუგდებული და რომელიც სახელწოდებას საგნის ბუნებიდან მომდინარედ აღიარებდა, მართებულია? მაშ, რა პასუხი მოვუძებნოთ ხსენებული თეორიის ერთ-ერთ მძლავრ კონტრშეკითხვას: რატომღა არის სხვადასხვა ენაში სხვადასხვა სახელით რომ იწოდება ერთი და იგივე საგანი?

ვფიქრობთ, დამაჯერებელი პასუხის დაძებნა შესაძლებელია.

მიზეზი სხვადასხვა ენაში ერთი და იმავე საგნის ნაირგვარად სახელწოდებისა უნდა ვეძიოთ სახელდების ნაირგვარ პრინციპებში. მაგალითად: ქართული „შავბალახა“ რუსულად пустырник არის. ორივე შემთხვევაში ეტიმოლოგია გამჭირვალეა, ანუ: ორივე შემთხვევაში სახელწოდება მოტივირებულია სახელდებული საგნის მიერ, საგნის ბუნებამ, საგნის რაობამ განაპირობა სახელწოდების წარმოქმნა და მისი ენობრივი სტრუქტურა. მაშასადამე, აქ ნაირგვარი სახელწოდება იმიტომ კი არ გვაქვს, რომ იგი საგნის ბუნებით არ არის შეპირობებული (ანუ: საგნის ბუნების მიმართ ნებისმიერია), არამედ იმიტომ, რომ საგნის ბუნების სხვადასხვა ნიშანია ამოსავალი სახელდებისათვის. ე. ი. სხვადასხვა ენა ამ შემთხვევაში ნებისმიერობას იჩენს სახელდებისათვის საგნის ამა თუ იმ ნიშნის არჩევაში და არა მისგან სრულ დამოუკიდებლობაში. მაგრამ არჩევანის ნებისმიერობაც მოჩვენებითია: იგიც იმთავითვე შეპირობებულია მოცემული ენის სემანტიკური სტრუქტურით.

ამ სახის მინიშნებები ჯერ კიდევ პლატონთან გვხვდება, დიალოგში „კრატილი“. ეს ნაწარმოები ორგვარ, ურთიერთსაწინაღმდეგო განწყობას ქმნის: ერთი მხრივ, შესაძლოა ძნელად დამარწმუნებელი, მაგრამ უთუოდ გასათვალისწინებელი ღრმა თეორიული მსჯელობა და, მეორე მხრივ, ამ თეორიის გასამტკიცებლად მოხმობილი ყოველმხრივ

მიუღებელი, მიამიტი, სრულიად გაუგებარი ეტიმოლოგიები. ეს თხზულება, როგორც ცნობილია, წარმოადგენს სოკრატე-კრატილისა და სოკრატე-ჰერმოგენის დიალოგებს. აი, რამდენიმე ამონარიდი სოკრატეს მსჯელობიდან:

„სოკრატე:... „ჩვენ უკვე ვიპოვეთ რაღაც ნიმუში, რომლის მოხმობითაც შეგვიძლია თვით სახელებში მოვიძიოთ დადასტურება იმისა, რომ ნებისმიერად კი არ ყალიბდება ყოველი სახელწოდება, არამედ გარკვეული მართებულობით... სახელწოდების მართებულობა, ვამბობდით ჩვენ, ის არის, რომ იგი მიუთითებს, თუ როგორია საგანი"... ([27], 433, 474 და შმდგ.).

ამ დიალოგში არა მხოლოდ საგანთა და სახელწოდებათა ურთიერთობის შესახებაა დასმული საკითხი, არამედ საგანთა რაობისა და თავისთავადობის შესახებაც. საგანი (პლატონისეული გაგებით: საგანი, როგორც იდეის ხორცშესხმა) ამოსავალია, საფუძველდამდებია სახელწოდებისათვის. ეს უკანასკნელი მისი ხატია, ანაბეჭდია და, ამდენად, მისი ნიშანთვისებების ამსახველიც, მისგან პირობადებულიც. ჩანს, ასე უნდა გავიგოთ პლატონის ამ საკმაოდ ბუნდოვანი თხზულების დედააზრი.

რასაკვირველია, საგანი (მოვლენა) და მისი სახელწოდება უშუალოდ ვერ დაამყარებენ ერთმანეთთან კავშირს. ამის თაობაზე ზემოთაც ითქვა. ცნობიერების ფაქტორი გამოდის მათ შორის გამაშუალებლად. სწორედ მისი გზით შეაპირობებს საგანი თავის აღმნიშვნელ სახელწოდებას. ამიტომაც უძველეს ფორმულირებაში: „საგნებს სახელები შეერქვათ თავისი ბუნების შესაბამისად", უთუოდ არის ჭეშმარიტების მარცვალი: დღესაც კი მრავლისაგან მრავალი სიტყვის შინაგანი სემანტიკური სტრუქტურა გამჭირვალე ჩანს ამ თვალსაზრისით. საკითხის დასმის საფუძველი გექონია, მის გადასაწყვეტად კი ჯერ ბევრი რამ არის დასადგენი და გასარკვევი.

XX

ენის საფუძველს ენობრივ ფორმათა ურთიერთმიმართება წარმოადგენს და არა საგანთა ურთიერთმიმართება.

ენა თავისი ფონემატური შემადგენლობითა და ფორმობრივი სტრუქტურით სრულიად დამოუკიდებელია საგანთა სამყაროსაგან. ენა არ არის და არც შეიძლება იყოს საგანთა მექანიკური აღბეჭდვა. საგანთა სამყარო და ენა, როგორც ფორმობრივი სუბსტანციები, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სისტემებია. ამიტომაც ენის სემანტიკური სტრუქტურის შეპირობება გაცნობიერებულ საგანთა სამყაროთი

სრულიადაც არ გულისხმობს მისი ფორმობრივი სტრუქტურის შეპირობებასაც.

მაშასადამე, საგანმა შეიძლება შეაპირობოს და აპირობებს კიდეც სახელწოდების სემანტიკურ მხარეს, მაგრამ ფორმობრივად სხვადასხვა ენა სხვადასხვანაირად ასახავს ამას. საგანთა სამყარო (ანუ: მატერიალური სინამდვილე) ვერავითარ არსებით გავლენას ვერ მოახდენს ენის ფორმაზე (გამონაკლისებია, ისიც გარკვეული თვალსაზრისით, ე. წ. ხმაბაძვითი სიტყვები). ამიტომაც დასაშვებია (და რეალურადაც ასეა), რომ თვით ერთი და იმავე მოტივაციის მქონე სიტყვებიც კი სხვადასხვა ენებში სხვადასხვა ფონეტიკური შემადგენლობისა არიან. ამიტომაც მიამიტი ეტიმოლოგია (მაგალითად, პლატონთან) საკუთრივ ეტიმოლოგიის უსაფუძვლობაზე მიგვანიშნებს და არა თეორიის უვაოგისობაზე. მაგრამ, სამწუხაროდ, სწორედ ამგვარმა ეტიმოლოგიებმა გაუტეხეს სახელი თეორიულად არც თუ მთლად უმართებულო ვარაუდებს. უკეთური სამსახური გაუწია ამ მხრივ ხსენებულ თეორიას ფონეტიკური სიმბოლიზმის პრინციპმაც, რომელიც უშუალოდ ეფუძნებოდა იტალიური ნეოლინგვისტური სკოლის ამოსავალ პოსტულატებს: ფონეტიკური სიმბოლიზმი ანიჭებს „სიმბოლურ ან ექსპრესიულ მნიშვნელობას გარკვეულ ბგერებს: i იწვევს მცირე ზომის საგნებისა და არსებების წარმოდგენას, o და a — დიდი ზომისა, ž — სრიალა საგნებისა ან მოქმედებისა, ავრეთვე ათვალწუნებისა და ა. შ... ეს შესაბამისად ეთანხმება ნეოლინგვისტთა კონცეფციას, განიხილოს ენა როგორც პოეტური ქმნილება. პოეტური ჰარმონიის, თვით პოეზიის საიდუმლო, ჩანს, ბგერისა და მნიშვნელობის იდუმალ კავშირში ძევს“- აღნიშნავდა იტალიური ნეოლინგვისტიკის ერთ-ერთი თეორეტიკოსი ჯ. ბონფანტე ([9], 321). სავსებით სამართლიანადაა შენიშნული, რომ „ამ შეხედულებათა დასაბუთება გადაულახავ სიძნელეებს ხვდება... ძნელია ირწმუნოს კაცმა, რომ სახელდება ამ პრინციპის მიხედვით ხდებოდა“ ([4], 13).

XXI

თუკი ის თვალსაზრისი, რომელსაც ჩვენ ვემყარებით, მართებულია, მაშინ ენობრივი ნიშნის პრობლემა კი არ მოიხსნება, არამედ, პირიქით, უფრო მწვავედ დაისმის. მართლაც, თუკი საგნის მიერ სიტყვის შეპირობება (იგულისხმება სიტყვის სემანტიკური მხარე) და საგნის მიმართ სიტყვის ნებისმიერობა (იგულისხმება სიტყვის ფორმობრივი მხარე) ერთმანეთს კი არ გამორიცხავს, არამედ, პირუკუ, ერთმანეთს მოიცავს და ერთ ენობრივ მონაცემშია გაერთიანებული, სავსებით რეალურად და ბუნებრივად დადგება საკითხი ენობრივი ნიშნის

ადგილის (სტატუსის) შესახებ ამ რთულ მიმართებებში, სხვაგვარად საკითხი მისი დანიშნულების შესახებ. მაგრამ მანამდე საჭირო ჩანს იმის გარკვევა, თუ რა ესმით ნიშნად ენათმეცნიერებაში, რა არის ნიშანი ენათმეცნიერებისათვის, როგორ განისაზღვრება ამ თვალსაზრისით ნიშანი.

XXII

თვალის ერთი გადაულებაც კი საკმარისია იმის დასადგენად, რომ „ნიშანი" ენათმეცნიერებაში ფაქტიურად სულ სხვადასხვა რამეს ჰქვია.

ა) „ენაში ნიშნებია სამეტყველო ბგერები"

-თუკი ნიშნის რაობის მიღებულ განსაზღვრას გავითვალისწინებთ („ნიშანი უპირველესად არის ის, რაც რაიმეს აღნიშნავს"), ბგერა არ შეიძლება იყოს ნიშანი, რადგან ცალკე, თავისთავად აღებული, იგი არაფერს აღნიშნავს: მას არ მოეპოვება აღსანიშნი, არ არსებობს საგანი ან მოვლენა, რომელსაც ცალკე, იზოლირებულად აღებული ბგერა აღნიშნავს. არ არსებობს არც რაიმე ენობრივი მნიშვნელობა, რომლის აღნიშვნაც ასე იზოლირებულად აღებულ ბგერას შეეძლოს. სხვა ბგერებთან მიმართებაში აღებული ბგერა კი აღარ არის მარტოოდენ ბგერა. იგი მორფემისა ან სიტყვის ღირებულებას იძენს და მისი, როგორც ნიშნის, დასახასიათებლად სწორედ ეს ღირებულებაა მნიშვნელოვანი. ამავე მიზეზით არ შეიძლება იყოს ნიშანი არაორგანიზებული ბგერათკომპლექსიც.

ბ) „ენაში ნიშანია სიტყვა"

-მაგრამ სიტყვა ნიშანია საგნისა ან მოვლენისა, ე. ი. იმისა, რაც ენობრივი განხილვის სფეროში არ შემოდის. გარდა ამისა, სიტყვა ფორმისა და ფუნქციის ერთიანობაა. რა მივიჩნიოთ ნიშნად? ეს ერთობლიობა აღსანიშნი საგნისა ან მოვლენის მიმართ, თუ სიტყვის მნიშვნელობა ნიშანია საგნისა ან მოვლენისა (არაენობრივი ფაქტისა), ხოლო სიტყვის ფორმა (ბგერითი მხარე) კი, თავის მხრივ, ნიშანია სიტყვის მნიშვნელობისა (ენობრივი ფაქტისა)?

გ) „ენობრივი ნიშანი აკავშირებს არა საგანსა და სახელს, არამედ ცნებასა და აკუსტიკურ სახებას. ეს უკანასკნელი... არის ბგერის ფსიქიკური ანაბეჭდი, წარმოდგენა, მიღებული ჩვენი გრძნობათა ორგანოების მიერ... ნიშანი არის ცნებისა და აკუსტიკური სახების კომბინაცია" ([29], 99-100).

-ამრიგად, ორსაფეხუროვანი მიმართებაა. ის, რაც ნიშნით აღინიშნება, აქაც ფაქტიურად ენათმეცნიერების კომპეტენციის გარეთ ძევს. მაგრამ აქ მთავარი მაინც სხვა რამ არის: აღსანიშნიცა და აღმნიშვნელიც

ფსიქიკურ მოვლენადაა გაგებული, ფსიქოლოგიური კუთხით („ფსიქოლოგიური ტერმინოლოგიით") აღიწერება. „ფიზიკური მომენტები ენობრივი ნიშნისა უგულვებელყოფილია, ხელში შეგვრჩა მხოლოდ ფსიქიკური ელემენტები.-ენობრივი ნიშანი, როგორც „ორმხრივი ფსიქიკური რაობა"([5], 84).

დ) სიტყვა „ნიშანი" „ჩვეულებრივ გამოიყენება აზრის შეტყობინების ხილული პროცესის აღსანიშნავად" ([22], III).

— ამ შემთხვევაში ენა ფაქტიურად ხასიათდება როგორც აზროვნების ხილული პროცესი, თვით განმარტებისათვის კი ამოსავალია ის, რომ ნიშნისათვის ძირითადია „აზრის შეტყობინების" განხორციელება, ე. ი. ენობრივი ნიშანი განიმარტება თავისი დანიშნულების და არა თავისი იმანენტური რაობის მიხედვით. თანაც ბუნდოვანია, თუ რა იგულისხმება „აზრში".

ე) „ნიშანი არის მოცემული ენობრივი მნიშვნელობის მაჩვენებელი, გამომხატველი" ([6], 158).

— ეს განმარტება ენის ფარგლებშია მოქცეული და, ამდენად, ენათმეცნიერების კომპეტენციას შეესაბამება, მაგრამ დასაზუსტებელია, თუ რა იგულისხმება, ერთი მხრივ, ენობრივ მნიშვნელობაში, ხოლო, მეორე მხრივ, ენობრივ მაჩვენებელში, გამომხატველში. როგორც ჩანს, „ენობრივი მნიშვნელობა" აქ ძალიან ფართოდ გაიგება: იგულისხმება არა მხოლოდ ლექსიკური ან გრამატიკული მნიშვნელობა, არამედ ინტონაციაც (კითხვა, ბრძანება), ბგერის ფონოლოგიური თვისებებიც (ნაზალურობა, მკღერობა...) და ა. შ. ყველაფრის ამის მაჩვენებლად, გამომხატველად ივარაუდება ნიშანი. ამ რიგში ჩართულია დიაკრიტიკული, გრაფიკული, იდეოგრაფიკული ნიშნებიც. ვფიქრობთ, რომ ყველაფრის ამგვარი გათანაბრება ძნელად გასაზიარებელია. ეს ერთიანობა მათ მსგავს თვისებებს კი წარმოაჩენს, მაგრამ იჩქმალება უმთავრესი: სპეციფიკურობა, შინაგანი თავისებურება, განუმეორებელი თავისთავადობა თითოეული მათგანისა, რის ნათელყოფასაც ესწრაფვის ენათმეცნიერება.

XXIII

ასე რომ, თანხმობა არ ყოფილა თვით ამოსავალ განსაზღვრაში: რა არის ენობრივი ნიშანი, რა მივიჩნიოთ ენობრივ ნიშნად. ამიტომაც სხვაობა ნიშნის თეორიებში შედეგია არა მხოლოდ ერთსა და იმავე პოსტულატზე ნაირგვარი მეთოდოლოგიური სისტემის აგებისა, არამედ (ძირითადად და არსებითად) ამოსავალი დებულებების ნაირგვაროვნისაც.

გასარკვევი ყოფილა თვით ენობრივი ნიშნის რაობა, ის, თუ რა უნ-

და მივიჩნიოთ ასეთ ნიშნად. ეს არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხია, რადგან იგი უშუალოდ უკავშირდება თვით ენის რაობის პრობლემას.

ცნობილია ზოგადი, ყველა და ყოველგვარი ნიშნის განმსაზღვრელი დებულება: ნიშანი უწინარეს ყოვლისა ხასიათდება როგორც რაღაცის ნიშანი. ე. ი. ნიშანი განისაზღვრება თავისი ფუნქციით. ნიშანი აღნიშნავს, მიუთითებს. ყველაფერი ის, რაც აღნიშნავს, მიუთითებს, არის ნიშანი, განსხვავებით არანიშნისაგან, იგი მნიშვნელობის მქონეა, ეს მნიშვნელობაა ის, რასაც იგი აღნიშნავს. ნიშანი არის „რაღაცის" ნიშანი და ეს „რაღაც" ნიშნის გარეთაა.

ამრიგად, ნიშანი ხასიათდება არა იმით, თუ რას წარმოადგენს იგი თავისთავად, არა იმანენტურად, არამედ იმით, თუ რა მიმართებას ამყარებს იგი აღსანიშნთან. ეს მიმართება კი, ბუნებრივია, ერთადერთი შეიძლება იყოს: ნიშანი აღნიშნავს აღსანიშნს, ნიშნით აღინიშნება აღსანიშნი. სწორედ ამგვარმა მიდგომამ, სწორედ აღსანიშნიდან ამოსელით ნიშნის განსაზღვრამ განაპირობა ის, რომ ყველაფერი, რაც კი მატერიალურია და რაიმეზე მიუთითებს (ან შეიძლება, რომ მიუთითებდეს) ნიშნად იქნა შერაცხული. საკითხისადმი ამგვარმა მიდგომამ გამოიწვია ის, რომ თვით ნიშნის იმანენტური რაობით, მისი, როგორც ნიშნის, სტატუსით დაინტერესება ნაკლებ იგრძნობა. ამის გამოა ასე ბუნდოვანი ნიშნის და, კერძოდ, ენობრივი ნიშნის საზღვრებიც.

როდესაც ენობრივ ნიშანს განვმარტავთ, აუცილებელ პირობად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ ენობრივი ნიშანი უნდა მიემართებოდეს ენობრივ ფაქტს, ენობრივ მოვლენაზე უნდა მიუთითებდეს. ენობრივი ნიშნის განსაზღვრა არ უნდა სცილდებოდეს ენის იმანენტური რაობის ფარგლებს, ამიტომაც ენობრივი ნიშანი არ შეიძლება უშუალოდ მიემართებოდეს საგანსა ან მოვლენას, ე. ი. იმას, რაც ენის გარეშე არსებობს.

რა უნდა აღინიშნოს ენაში?

ბუნებრივია, რომ ენაში უნდა აღინიშნოს ის ფუნქციები, რომლის გამოხატვასაც ესწრაფვის ენა. ფუნქცია აქ, რა თქმა უნდა, მხოლოდ ლექსიკურ მნიშვნელობას არ გულისხმობს. როგორც ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი ივარაუდება გრამატიკული ფუნქციებიც.

ლექსიკური მნიშვნელობაცა და გრამატიკული ფუნქციაც, რასაკვირველია, ობიექტური რეალობითაა განპირობებული, მაგრამ არა უშუალოდ, არამედ ცნებითი სისტემების, ცნებითი კატეგორიების, ცნობიერებაში არსებული სამყაროსეული ხატების საშუალებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ლექსიკური მნიშვნელობაცა და გრამატიკული ფუნქციაც ენის შინაარსობრივ სისტემებად გარდაქმნილი ცნებითი სისტემებია. ამ სახით ლექსიკური მნიშვნელობა საგანთა ან მოვლენა-

თა სტატუსის ფარდია ენაში, გრამატიკული ფუნქცია კი — მათ შორის არსებულ მიმართებათა ფარდი.

მართალია, ლექსიკური მნიშვნელობაცა და გრამატიკული ფუნქციაც არაენობრივი მონაცემებითაა განპირობებული, არაენობრივ მონაცემებთან ამყარებს კავშირს, მაგრამ საკუთრივ ლექსიკურ მნიშვნელობად ან გრამატიკულ ფუნქციად გარდასახული ცნებითი სისტემები უკვე წმინდა ენობრივი მოვლენაა და განიხილება როგორც ენის იმანენტური მონაცემი.

ცნებითი სისტემების გარდასახვა ენობრივ მნიშვნელობათა სისტემებად ხდება იმიტომ, რომ არსებობს მათი ენის საშუალებით გადმოცემის საჭიროება. სხვა შემთხვევებში ცნებითი სისტემები ჟესტის, მიმიკის ან გადმოცემის რაიმე სხვა საშუალებათა მნიშვნელობებად გარდაიქმნებიან. ამ უკანასკნელთ თავისი იმანენტური სემანტიკური სტრუქტურა მოეპოვებათ და ენობრივ მნიშვნელობებს მხოლოდ ძალზე შორეულად (ვიტყოდით: პრიმიტიულად) უთანაბრდებიან და ემსგავსებიან. ფაქტიურად მათი მსგავსება იმით ამოიწურება, რომ ყველა მათგანი ობიექტური რეალობის გადმომცემია. სხვა მხრივ მათ არაფერი აქვთ საერთო.

ლექსიკური მნიშვნელობა, ისევე როგორც გრამატიკული ფუნქცია, აღინიშნება (უკეთ: გამოიხატება) ენობრივი ფორმით. გვაქვს, მაგალითად, „მუქარა"—ობიექტური რეალობის მოვლენა, რომლის ფარდს (კორელატს) ცნობიერებაში წარმოადგენს „მუქარის" ცნება. ეს უკანასკნელი, ე. ი. „მუქარა", როგორც უკვე ცნობიერების ფაქტი, გარდაისახება ენობრივ მნიშვნელობად, მაგრამ გარდასახვის პროცესი არავითარ შემთხვევაში არ უნდა წარმოვიდგინოთ მექანიკურ გარდაქმნად, ერთი სფეროდან მეორეში რაიმეს სწორხაზოვან გადატანად, ერთი სისტემის მეორით უბრალო შენაცვლებად. გარდასახვის ამ პროცესს თან სდევს სიღრმისეული ძვრებიც. ენას თავისი თვალსაზრისი შეაქვს მასში. ენობრივ მნიშვნელობად ცნების გარდასახვისას ხდება არა მხოლოდ ამ უკანასკნელის „შემოსვა" პერსონალიზმით, სუბსტანტურობითა ან მობილურობით, ტემპორალობით და მისთ., არამედ ენა შეფასებასაც ახდენს იმავდროულად და ამის საფუძველზე კონკრეტულ მნიშვნელობებად დაანაწევრებს იმას, რაც ცნობიერებაში დაუნაწევრებელი („ამორფული") სახითაა მოცემული. ამიტომაცაა, რომ ზოგადი ცნება „მუქარისა" ენაში გარდაისახება „მუქარა", „იმუქრება", „მუქარობს", „ამუქრებს" ენობრივ მნიშვნელობებად (იგულისხმება ის ენობრივი მნიშვნელობები, რომლებიც ამ ფორმებშია ჩადებული). ის, რომ ენას მართლაც შეაქვს თავისი თვალსაზრისი ამ პროცესში, რომ იგი მართლაც ახდენს შეფასებას, განსაკუთრებით ნათლად იჩენს თავს ლექსიკურ მნიშვნელობებში: „ცისარტყელა", „ბედშავი", „ხელ-

მოკლე“ და სხვ. რა თქმა უნდა, ენა უკუგავლენასაც ახდენს ცნობიერებაზე და თავისი კორექტივი შეაქვს მასში. ამიტომაცაა, რომ ნებისმიერი პიროვნების ცნობიერებას მისთვის მშობლიური ენის ბეჭედი აზის, თავისი ენის საშუალებით ხედავს სამყაროს. ამის კარგი მაგალითია არისტოტელე, რომელიც ზოგადი ლოგიკის კანონებს ქმნიდა და სინამდვილეში კი თავისი მშობლიური ენის კატეგორიები წარმოსახა ლოგიცისტურ ტერმინებში ([8], 107).

ასე რომ, ცნებითი სისტემების გარდასახვას ენობრივ მნიშვნელობებად ღრმა ცვლილებები სდევს თან. ხდება დანაწევრება, დაკონკრეტება ზოგადისა („ამორფულისა“). სწორედ ამ კონკრეტული ენობრივი მნიშვნელობების გამოხატვას ესწრაფვის ენობრივი ფორმა, სწორედ მის წარმოსასახავად არსებობს იგი. ამიტომაც ენობრივი ფორმა ყოველთვის კონკრეტულია, ანუ: კონკრეტულად მიემართება გარკვეულ ენობრივ მნიშვნელობას (ამ კონკრეტულობის გარეშე ენა ვერ შეძლებდა თავისი ერთ-ერთი ძირითადი—საკომუნიკაციო—დანიშნულების შესრულებას). აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ არც ენობრივი მნიშვნელობის გამოხატვა ენობრივი ფორმით არის სწორხაზოვანი, მექანიკური პროცესი. ენა არ უნდა წარმოვიდგინოთ დამოუკიდებელ სემანტიკურ თავისთავადობად, ხოლო ფორმის ერთადერთ დანიშნულებად კი ამ „სემანტიკური თავისთავადობის“ მექანიკური აღბეჭდვა. ენობრივი ფორმა შემოქმედებითად ერევა ენობრივი მნიშვნელობის ორგანიზებაში ისევე, როგორც ენობრივი მნიშვნელობა უქვემდებარებს თავის მოთხოვნებს ენობრივ ფორმას. ეს, რა თქმა უნდა, არ უშლის მათ ხელს შეინარჩუნონ თავისი დამოუკიდებელი სტატუსიც.

ყველაფერი (და, მათ შორის, ენაც) არსებობს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ავლენს თავის თავს. წმინდა იდეები, წმინდა გონების აბსტრაქციები არ არსებობენ კონკრეტული მატერიალური საყრდენის გარეშე. თავის გამოვლენა კი ხდება იმ მიმართებების საშუალებით, რომელთაც ესა თუ ის ობიექტი ამყარებს სხვა ობიექტებთან, ესა თუ ის მოვლენა სხვა მოვლენებთან. ენაში ეს ობიექტები და ეს მოვლენები სემანტიკური სუბსტანტივებისა (მნიშვნელობა ფორმისა „თავი“) და სემანტიკური პროცესების (მნიშვნელობა ფორმისა „ათავებს“) სახით არსებობენ, ხოლო თავის თავს სემანტიკური მიმართებებით ავლენენ. სწორედ ამ მიმართებათა გამოხატვა ეკისრება ენობრივ ფორმას, სწორედ ამ მიმართებების ასახვაა ენობრივი ფორმის მიზანი და დანიშნულება. ამიტომაცაა, რომ ნებისმიერი ფორმა (საკუთრივ ფორმა და არა ნიშანი!)არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს და არც არის ნეიტრალური („გულგრილი“) იმისადმი, რასაც ასახავს. ამიტომაცაა, რომ ასახვა, გამოხატვა (ფორმის სტატუსი) უნდა განირჩეს აღნიშვნისგან (ნიშნის სტატუსისაგან). ენაში არ არსებობს ფუნქციისა-

გან განყენებული ფორმა. ენობრივი ფორმა მთლიანობაა, ცალკეულ ფუნქციათა აღმნიშვნელ ფორმობრივ ელემენტთა თვისობრივი ერთობლიობა. სწორედ ამიტომაა, რომ ენაში არ არსებობს ისეთი ფორმა, რომელიც არ ასახავს თუნდაც ერთ ფუნქციურ მიმართებას და მეტიც: რომელიც ამ მიმართების (თუ მიმართებათა) შინაგან ორგანიზებას არ ახდენს (ამჯერად უკვე ფუნქციაზე ფორმის უკუმოქმედების წყალობით). ეს ფუნქციური მიმართებანი ენაში პირის, რიცხვის, მოქმედების რაგვარობის და მისთანათა აღმნიშვნელ ნიშანთა ან ფორმათა ურთიერთმიმართებებით აისახება.

XXIV

ამრიგად, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ენობრივი ფორმა და ენობრივი ნიშანი.

ზემოთ ითქვა: ფორმა ასახავს (გამოხატავს), ნიშანი—აღნიშნავს. ეს არის ზოგადი, ძირითადი ფორმულა. ამ ფორმულას ახლა ესაჭიროება.

აღნიშვნის დროს ყოველ ნიშანს თავისი აღსანიშნი აქვს. სხვა მხრივ გამორიცხულია აღნიშვნის შესაძლებლობა. გამორიცხულია ნიშნის შეცვლა ან სხვა კონტექსტში მოქცევა. მაშინ ნიშანი ან სხვა ღირებულებას მოიპოვებს, ან საერთოდ დაკარგავს აღნიშვნის უნარს.

ასახვის (გამოხატვის) დროს არ არის სავალდებულო ყოველ ფუნქციას თავისი ამსახველი (გამომხატველი) ჰქონდეს, რადგან ასახავს (გამოხატავს) არა მხოლოდ ფორმის შემადგენელი ელემენტები, არამედ ამსახველად გვევლინება მათი ურთიერთმიმართებანიც. ეს არის, ასე ვთქვათ, „ფარული ფორმა“ (მსგავსად მხატვრული ტექსტის სტრიქონებს შორის ამოკითხული „ფარული ტექსტისა“, ქვეტექსტისა, ქვეაზრისა). რომელიმე „აკეთებს“ ფორმა ცალკეული ფორმობრივი ელემენტებისაგან (შეიძლება ითქვას: ნიშნებისაგან) შედგება: ა-კეთებ-ს. თითოეული გამოყოფილი ელემენტი რაღაცას აღნიშნავს (პირს, ლექსიკურ მნიშვნელობას, მიკუთვნებულობას ულვლილების ამა თუ იმ სისტემისადმი), მაგრამ ამ ელემენტებისაგან შედგენილი მთლიანი ფორმა, როგორც თვისობრივი ერთობლიობა, გარდა დასახელებული მნიშვნელობებისა, ასახავს დამატებით აწმყო დროში რეალურად მიმდინარე აქტიურ მიუმართავ (ანუ: ნეიტრალურ) მოქმედებას. არცერთს, ამ უკანასკნელ ფუნქციათაგანს, კონკრეტული ნიშანი (აღმნიშვნელი) არ მოეპოვება მოცემულ ფორმაში. ეს ფუნქციები ფორმაში მოცემულ ელემენტებს (ნიშნებს) შორის, მათი განლაგებისა და მიმართებების საშუალებით ამოიცნობა („ამოიკითხება“), ანუ: მათ ფორმა, როგორც მთლიანობა, ასახავს. ამის უნარი კი მხოლოდ ფორმას აქვს და არა აქვს ნიშანს.

XXV

ნიშნებს შორის ურთიერთობა მხოლოდ იმდენად არსებობს, რამდენადაც არსებობს ურთიერთობა იმათ შორის, რასაც ეს ნიშნები აღნიშნავენ, რისი ნიშნებიც ისინი არიან. მაგალითად, წითელ, ყვითელ და მწვანე ფერებს მხოლოდ მაშინ აქვთ აკრძალვის, გაფრთხილებისა და თავისუფალი სვლის აღნიშვნის უნარი, როცა შუქნიშნის სისტემაში არიან გაერთიანებული. იმავე ფერებს ფარდაგზე სულ სხვა დანიშნულება აქვთ. თეთრი ფერი, იმის მიხედვით, თუ რომელ სისტემაში მოექცევა, შეიძლება გამოხატავდეს სიწმინდესაც და მოწინააღმდეგის წინაშე კაპიტულაციასაც. ყველა ეს სისტემა წინასწარი დათქმის, შეთანხმების საფუძველზეა აგებული. ამ სისტემების გარეშე ეს ფერები ვერავითარ კავშირს ვერ დაამყარებენ ერთმანეთთან, არაფრის აღმნიშვნელნი არ იქნებიან. მათი ადგილი (განლაგება) სისტემაში მთლიანად და სავსებით დამოკიდებულია იმ საგნებისა და მოვლენების ადგილსა და მიმართებებზე, რომლებსაც ეს ნიშნები აღნიშნავენ. მეტიც: თვით ხსენებულ სისტემებშიც ეს ნიშნები (ფერები) ვერავითარ ზეგავლენას ვერ იქონიებენ ერთმანეთზე (არ ვგულისხმობთ ხედვით, წმინდა ფსიქიკურ, ეფექტს).

ფორმებს კი უკვე მოპოვებული აქვთ დამოუკიდებელი სტატუსი და მათ შორის ქმედებისა და მიმართებების იმანენტური კანონზომიერებაა გამომუშავებული: ენობრივი ფორმები არა მარტო ფონეტიკურ ზეგავლენას ახდენენ ერთმანეთზე (და ფონეტიკურად ცვლიან კიდევაც ერთმანეთს), არამედ მათი ურთიერთობა მორფოლოგიური და სინტაქსური ღირებულების განმსაზღვრელიცაა.

ნიშანს ერთი კონტექსტიდან (სისტემიდან) მეორეში ვერ გადააქვს ის მნიშვნელობა, რასაც აღნიშნავდა: წითელი ფერი შუქნიშანზე აკრძალვის ფერია, დროშაზე—რევოლუციური მგზნებარებისა, მათ შორის არავითარი კავშირი არ არის. თუ ასეთი კავშირი აღმოჩნდა, როგორც წესი, შემთხვევითი ან პირობითი იქნება. ამიტომ ნიშანი, თუკი წინასწარი შეთანხმება იქნება, ნებისმიერ კონტექსტში (სისტემაში) შეიძლება მოხვდეს.

ფორმას, მის შემადგენელ ელემენტებს, თან მიჰყვება თავისი მნიშვნელობა და მას იგი იმ კონტექსტშიც შეაქვს, რომლის კომპონენტიც ხდება. ამიტომ ნებისმიერ კონტექსტში მისი გამოყენება შეუძლებელი ხდება.

XXVI

ნიშანთა სისტემამ შეიძლება შექმნას ფორმა. მაგრამ აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ნიშანთა სისტემა ვერ იქცევა ფორ-

მად. ნიშანთა სისტემა რომ ფორმად იქცეს, ამისათვის ამ სისტემამ შინაგანი თვისობრივი მთლიანობა უნდა მოიპოვოს, ხოლო ნიშნებმა— ფორმობრივი ელემენტების სტატუსი. ამ შემთხვევაში ნიშანი და ფორმობრივი ელემენტი ერთმანეთს უთანაბრდება, ერთი და იგივეა ფაქტიურად. ა-კეთ-ებ-ს ფორმაში გამოყოფილი სეგმენტები ნიშნებია, რომელთაც ფორმობრივი ელემენტების სტატუსი აქვთ შეძენილი. ეს შესაძლებელი გახდა იმის გამო, რომ არა მხოლოდ საკუთრივ ამ ნიშნებმა, არამედ მათ შორის ურთიერთმიმართებებმაც მოიპოვეს გარკვეული ფუნქციის აღნიშვნის უნარი (იხ. ზემოთ) და უკვე მათი ეს უნარი, მათი ეს შეძენილი თვისება ხდება მათი ურთიერთდამოკიდებულების საფუძველი, მათი მკაცრი, დეტერმინირებული ორგანიზების მიზეზი და არა წინასწარი, მათთვის გარეშე, შეთანხმება, მათი ბუნებისაგან დამოუკიდებელი პირობა. სწორედ ეს, ფაქტიურად თვითორგანიზების უნარის მოპოვება ხდება ფორმობრივ სისტემათა ჩამოყალიბების საფუძველი. სწორედ ამის გამოა, რომ ფორმობრივი ელემენტი მუდმივ ღირებულებას გამოიმუშავებს ხოლმე, რომლის შეცვლა, რა თქმა უნდა, შეუძლებელი არ არის, მაგრამ ნებისმიერად მაინც ვეღარ მოხდება. მხოლოდ შინაგანმა კანონზომიერებამ შეიძლება დაუშვას ეს ცვლილება. ამიტომაც არის, რომ ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ერთი და იგივე ფორმობრივი ელემენტი შეიძლება სხვადასხვა ფუნქციის გამომხატველი აღმოჩნდეს, მაგრამ იმ ფუნქციებს შორის უთუოდ დაიძებნება შინაგანი თანამიმდევრული კავშირი, რაც შესაძლებელს ხდის ერთმა ფუნქციამ მეორეს „დაუთმოს“ თავისი გამომხატველი ფორმობრივი ელემენტი.

არის სხვა პირობაც, რომელიც შესაძლებელს ხდის ერთი და იგივე ფორმობრივი ელემენტი სხვადასხვა ფუნქციის გამომხატველი იყოს.

უეჭველი ფაქტია, რომ თავისი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ენა ახალ-ახალი ნაირგვარი ფუნქციებით აღიჭურვება ხოლმე ისე, რომ „ძველი ფუნქციები“ მათ პარალელურად განაგრძობენ არსებობას. რა საშუალებით ახერხებს ენა მათ გამოხატვას: წარმოქმნის მათ შესაბამის ახალ ფორმებს, თუ იყენებს თავისთვის შინაგანად დამახასიათებელ მოქნილობას?

აშკარაა, რომ ენაში არცთუ ისე ადვილად შესაძლებელია ახალი ფორმობრივი ელემენტებისა და ფორმების წარმოქმნა. ჩვეულებრივ ამ შემთხვევებში ენა იყენებს თავის შინაგან პოტენციას მინიმალური ფორმობრივი საშუალებებით მიაღწიოს მაქსიმალურ ფუნქციურ გამომსახველობას. ამის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა არა მხოლოდ ახალი ფუნქციების შემოტანა და მათი გამოხატვა, არამედ დროთა განმავლობაში ენის ფორმობრივი სტრუქტურები და სისტემები ისეთი რთული და მოუხერხებელი აღმოჩნდებოდნენ, რომ ენა სავსებით გა-

მოუსადეგარი გახდებოდა ურთიერთობისათვის. ამ სირთულეს ენა იოლად აღწევს თავს. სხვადასხვა ფუნქციების გამოხატვისას იგი არა მხოლოდ ნაირგვარად განალაგებს ერთსა და იმავე ფორმობრივ ელემენტებს, არამედ შეჰყავს ეს ელემენტები ნაირგვარ სისტემებში: „ტბ-ის ხაპირები“ — აქ -ის ხათესაობითი ბრუნვის ფორმანტია, რადგან მისი ქმედება შეესაბამება ბრუნვის ნიშნის სტატუსს: შედის ბრუნვის ნიშანთა სისტემაში (ტბა, ტბა-მ, ტბა-ს, ტბ-ის, ტბ-ით, ტბა-დ). მაგრამ „ტბ-ის-ი“ ტოპონიმში იმავე ფონეტიკური შედგენილობის -ის უკვე ტოპოფორმანტია, რადგან მისი ქმედება შეესაბამება ტოპონიმის მაწარმოებლის სტატუსს; იცვლის სისტემას და ახალი, ტოპონიმიკური სისტემის კუთვნილება ხდება: ურთიერთობას ამყარებს უკვე „წარმომაელობის მაწარმოებელ“-ელ და -ურ ფორმანტებთან; ძველ ქართულში ხდებოდა ფორმანტთა შენაცვლება (ამჟამად ეს მოვლენა ზოგიერთ დიალექტშია შემორჩენილი): ტბ-ის-ი — ტბ-ელ-ი — ტბ-ურ-ი, ახალ ქართულში ხდება ფორმანტის დართვა: ტბ-ის-ი — ტბის-ელ-ი — ტბის-ურ-ი. მაგრამ ორივე შემთხვევაში (ძველ ქართულშიც და ახალ ქართულშიც) ენამ შეძლო ამ „ტოპონიმიკური სისტემის“ დაპირისპირება ბრუნვის სისტემასთან და ამით ერთსა და იმავე ფორმანტს ნაირგვარი ფუნქციის გამოხატვის უნარი შესძინა. აქედან სხვა დასკვნაც გამომდინარეობს: არავითარ ფორმობრივ ელემენტს არა აქვს არავითარი დანიშნულება გარკვეული სისტემის გარეშე, თუმცა თავის „ძირეულ“ ფუნქციას იგი ყველა სისტემაში მეტ-ნაკლებად ინარჩუნებს. ვუწოდებთ რა რომელიმე ელემენტს „ტოპოფორმანტს“, ჩვენ ამით პირწმინდად შეფარდებით დახასიათებას ვიძლევით, რადგან ასეთ დროს ნებსით თუ უნებლიეთ ყოველთვის გარკვეულ სისტემას ვგულისხმობთ, ამ სისტემის ელემენტებს შორის ურთიერთმიმართებას.

ამრიგად, ფორმა, ფორმობრივი ელემენტი გაცილებით უფრო რთული, შინაგანი თვითორგანიზების უნარმოპოვებული ფენომენია, ვინემ ნიშანთა მხოლოდ რაოდენობრივ ერთიანობაზე აგებული სისტემა, ვინემ ამ სისტემის შემადგენელი ნიშანი. თუ რა პირობაა საჭირო იმისათვის, რომ ნიშანი იქცეს ფორმობრივ ელემენტად, რომ ნიშანთა სისტემამ მოიპოვოს ფორმის სტატუსი, ამის თაობაზე უკვე გვქონდა საუბარი.

XXVII

ნებისმიერი მონაცემი, რომელიც ფორმაა გარკვეული სისტემის ფარგლებში, სხვა სისტემაში შეიძლება ნიშნის სტატუსით გამოდიოდეს. განვმარტავთ ნათქვამს. რომელიმე ა- მორფემა (ფორმობრივი ელემენტი) გარკვეულ ყალიბში გარკვეული გრამატიკული

ფუნქციის გამომხატველად გვეელინება, გარკვეული გრამატიკული მნიშვნელობის აღმნიშვნელად. ამდენად, აქ იგი ფაქტიურად ნიშანია რაღაცისა. ასეთი სტატუსი აქვს მას, მაგალითად, ა-კეთ-ებ-ს ზმნაში. მაგრამ ყველაფერი ეს ეხება ენის მორფოლოგიურ სისტემას, სადაც ა- ხი'შის (ამ შეძთხვევაში შეიძლება ითქვას: ფორმობრივი ელემენტის) როლში გამოდის. მაგრამ იგივე ა, ბგერათა სისტემის სიბრტყეზე უკვე ფორმაა, რომელიც, თავის მხრივ, გარკვეულ ნიშანთა ერთობლიობის საფუძველზეა შექმნილი; ეს ნიშნებია: მჟღერობა, ღიაობა და სხვა მისთანანი. თავის მხრივ, სხვა სისტემაში უკვე მჟღერობა შეიძლება მოგვეელინოს ფორმად და მასაც დაეძებნება შემადგენელი ნიშნები. როგორც ვხედავთ, საქმაოდ შორეული და ღრმა დიფერენცირებისაკენ მივდივართ, „უსასრულოდ მცირე" ნიშნებისაკენ. ასევე: ა ასო ნი'შანია ა ბგერისათვის, მაგრამ თავისთავად აღებული, როგორც კუთვნილება ასოთა სისტემისა, იგი ფორმაა, მოეპოვება გარკვეული კონფიგურაცია, შედგება გარკვეული ნიშნებისაგან (ელემენტებისაგან, აქ შეიძლება ითქვას: შტრიხებისაგან).

ეს საკითხი უფრო მაღალორგანიზებული ფორმის მიმართაც დაისმის. ნებისმიერი ენობრივი ფორმა, რომელიც ფორმაა ენობრივი მნიშვნელობისათვის, უკვე ნიშნის როლში გამოვა შესაბამისი ცნებისათვის. ე. ი. იგი აღნიშნავს ცნებას, მაგრამ გამოხატავს (ამ ცნების საფუძველზე წარმოქმნილ) ენობრივ მნიშვნელობას.

მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება, საკითხის არსი იგივე დარჩება. ოღონდ ერთი რამ უნდა იქნეს ზუსტად განსაზღვრული: სანამდე, რომელ ზღვრამდე მიუწვდება ხელი ენათმეცნიერებას, პრობლემის რომელი ასპექტი შეადგენს მის კომპეტენციას. ზემოთ რომ ითქვა, ენობრივი ფორმა ნიშანია ცნებისათვის, ხოლო საკუთრივ ფორმა ენობრივი მნიშვნელობისათვის, ამით შემსწავლელი დარგების საკითხიც დაისვა: როგორც ნიშანს, მას ლოგიკა შეისწავლის, როგორც ფორმას — ენათმეცნიერება. შესაბამისად, ლოგიკაში იგი განიხილება როგორც აღმნიშვნელი, მიმანიშნებელი, მიმათითებელი, სხვა დანიშნულება მას იქ არა აქვს, მაგრამ ენათმეცნიერება უკვე ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაკმაყოფილდება ამით: ენათმეცნიერებისათვის იგი უკვე რთული, შინაგანად თვითორგანიზებული და დეტერმინირებული მონაცემია, აღსანიშნის (ენობრივი ფუნქციის) მიმართ აქტიური აღმნიშვნელია (ფორმაა), ენობრივი შემოქმედების ერთ-ერთი უძირითადესი ფაქტორი და ნებისმიერი ენის თვითმყოფადობის უტყუარად განმსაზღვრელი.

ვფიქრობთ, ყოველივე ამის გათვალისწინება აუცილებელია. დიფერენცირებული მიდგომა, თუ რა და რა სისტემაში შეიძლება იყოს ერთი და იგივე მატერიალური მონაცემი ნიშანი ან ფორმა, თავიდან

აგვაცილებს აღრევის შესაძლებლობას (უფრო სწორად: უთუოდ მოსალოდნელ აღრევას).

ზემოთქმულიდან ისიც ნათლად ჩანს, რომ ენა არ შეიძლება გაეუთანაბროთ ნიშანთა სისტემას, ენა არ არის ნიშანთა სისტემა, ენა მხოლოდ იყენებს ნიშანთა სისტემებს თავის შინაგან მიმართებათა გამოხატვის დროს.

XXVIII

გაირკვა, რომ ენა მარტოოდენ კი არ აღნიშნავს, არამედ გარდასახავს ობიექტურ რეალობას თავის კატეგორიებად და ისე გამოხატავს სინამდვილეს. ეს პროცესი გარდასახვისა ცნებითი სისტემებითაა გაშუალებული. ენა რეალიზმია, ნიშანთა სისტემებით აღნიშვნა კი — ნატურალიზმი.

ენა ცნობიერებითაა შეპირობებული. ყოფიერება უშუალოდ (ცნობიერების გარეშე) ვერ შეაღწევს ენაში. ენა რომ უშუალოდ ასახავდეს ყოფიერებას, მაშინ ენაში იმ საგანთა სახელწოდებანიც უნდა იყოს, რომელნიც ჯერჯერობით უცნობია ცნობიერებისათვის. ეს, რა თქმა უნდა, ასე არ არის და არც შეიძლება იყოს.

ობიექტური რეალობა იცვლება და ვითარდება. ამის მიზეზი შინაგანი კანონზომიერებაა. ეს პროცესი სათანადოდ უნდა აისახოს ენაში, სხვაგვარად ენა უიმედოდ ჩამორჩებოდა აზროვნებას და გამოუყენებელი გახდებოდა მომდევნო, განვითარების ახალ საფეხურზე ასული საზოგადოებისათვის.

ობიექტური რეალობის ამ თანმიდევნებაში, რა თქმა უნდა, აქტიურად ერევა ცნობიერება, მაგრამ ენობრივი ცვლილების საფუძველი უპირველესად ისევ და ისევ ენობრივი კანონზომიერებანი და გენის შინაგანი პოტენციაა. ენა, თავისი თანდაყოლილი მოქნილობის წყალობით, ადვილად იგუებს ახალ ფუნქციებს და მათ შინაგან ფორმობრივ ორგანიზებას ახდენს. ამიტომაც ენას აქვს არა მხოლოდ ფუნქციური, არამედ ფორმობრივი რაობაც. სწორედ ფორმობრივი რაობა აქცევს ხილულად ყოველი ენის ფუნქციურ თავისებურებებს და მატერიალურად განასახიერებს ყოველი ენის თვითმყოფად ბუნებას. ენობრივი ფორმა შეგრძნებადია, ენობრივი ფუნქცია — შეცნობადი, ორივე ცნობიერებაში იღებს სათავეს და საბოლოოდ ისევ მას მიემართება. ფორმაც ისეთივე სუბსტანციაა ენისა, როგორიც შინაარსია. შინაარსი გამოხატვას ესწრაფვის, ამის განხორციელება ფორმას აკისრია: შინაარსი გამოსახატავია, ფორმა — გამომხატველი. მათი ურთიერთზეგავლენა უეჭველია. უეჭველია ისიც, რომ მათ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, თვითმყო-

ფადი სტატუსიც მოეპოვება. ყველაფერი ეს განსაზღვრავს ენის იმანენტურ რაობასაც და ენის კვლევის მიზანსაც.

ენის იმანენტური განმარტება მთელ რიგ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ზემოთ ჩატარებული კვლევა, ვფიქრობთ, ენის წინასწარული განმარტების შესაძლებლობას მაინც იძლევა. რა თქმა უნდა, ენის იმანენტური რაობის განსაზღვრა ივარაუდება აქ და არა მისი დანიშნულების ან ცალკეულ გამოვლინებათა მიხედვით განმარტება, რაც ისედაც მრავლად მოგვეპოვება.

XXIX

ენა არის შინაგანად თვითორგანიზებულ და დეტერმინირებულ ფორმათა სისტემა, რომლითაც გამოიხატება (წარმოისახება) ენობრივ ფუნქციებად ტრანსფორმირებული სინამდვილე ცნობიერებისა.

ამრიგად, საქმე გვაქვს უშუალოდ ენობრივ ფორმასთან და ენობრივ ფუნქციასთან.

I

საკითხი ვარაუდობს ენობრივი პოტენციისა და რეალიზაციის რკვევას. რა არის არსებითი ენისათვის, რა განსაზღვრავს მის თავისთავადობას, მის სახეს: პოტენცია, რეალიზაცია, თუ ორივე ერთად? რითი ვლინდება ეს თავისთავადობა ენისა? აი, საკითხთა დასი, რომელთა გარკვევა, ვფიქრობთ, არსებითია ამა თუ იმ ენის ბუნების დადგენისას.

პოტენცია ენის შესაძლებლობაა, შეპირობებული თვით ენის შინაგან ბუნებით.

რეალიზაცია გამოხატვაა ამ შესაძლებლობისა, უკეთ: შესაძლებლობის ხორცშესხმა.

პოტენცია მუდმივი თვისებაა ენისა. იგი შეიძლება იყოს რეალიზებული ენის განვითარების რომელიმე საფეხურზე, შეიძლება — არა. მაგრამ ერთ შემთხვევაშიც და მეორე შემთხვევაშიც, ყოველთვის, ივარაუდება როგორც მუდმივი მოცემულობა, როგორც ბახა ამ ენაში ყოველგვარი ფორმათწარმოებისა.

რეალიზაციას, განსხვავებით პოტენციისაგან, ცვალებადობა ახასიათებს. ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ერთი და იგივე პოტენციური მონაცემი შესაძლოა ნაირგვარად იყოს რეალიზებული, ნაირგვარად იყოს გამოხატული (ან ფონეტიკურად იცვალოს, ან მორფოლოგიურ სტრუქტურაში მოხდეს ცვლილება).

ნათქვამის მიხედვით უკვე ნათელია, რომ სინქრონიული და დიაქრონიული დონეები განარჩევენ რეალიზაციის სხვადასხვა საფეხურს, რომ სინქრონია და დიაქრონია რეალიზაციის სფეროს განეკუთვნება და არ შეეხება ენის პოტენციას, ენის მუდმივ, „დროის გარეშე“ არსებულ მონაცემს.

მსჯელობის საფუძველზე მიღებული დასკვნა კონკრეტული ფაქტებით დადასტურებას საჭიროებს. ეს გაარკვევს იმასაც, თუ რა იგულისხმება ენობრივ პოტენციად და რა — რეალიზაციად.

II

სინქრონიული და დიაქრონიული კვლევის განსხვავების ცდას დიდი ხნის ისტორია აქვს ენათმეცნიერებაში. პირველი მინიშნება ამის თაობა-

ზე ი. გრიმთან და ვ. ჰუმბოლდტთან გვხვდება ,უფრო მოგვიანებით და უფრო მკვეთრად ჩამოყალიბებულია ჰ. პაულთან: „ისტორიული გრამატიკა, — წერს იგი, — წარმოიშვა ძველი, წმინდა აღწერითი გრამატიკიდან და ბევრი რამ მემკვიდრეობით მიიღო მისგან... ისტორიული გრამატიკა არსებითად რიგი პარალელური აღწერითი გრამატიკების შეერთებაა მხოლოდ... აღწერითი გრამატიკა ახდენს რეგისტრაციას ყველა გრამატიკული ფორმისა და წესისა. რომლებიც გამოიყენება მოცემულ ენობრივ საზოგადოებაში მოცემულ დროს... ასეთი გრამატიკის შინაარსს შეადგენენ არა ფაქტები, არამედ განსახილველი ფაქტების საფუძველზე მიღებული აბსტრაქციები. მოცემული საზოგადოების განვითარების სხვადასხვა პერიოდისათვის ეს აბსტრაქციები ნაირგვარი აღმოჩნდება. მათი შედარება დაგვანახებს, რომ ენაში ცვლილებები მომხდარა“ ([47], 45—46). ენათმეცნიერი, განაგრძობს პაული, რომელსაც ენის ისტორიის შესწავლა განუზრახავს, „გვერდს ვერ აუვლის... აღწერას... ასეთმა აღწერამ უნდა დაგვანახოს ის, რა შეადგენს „ენის ალღოს“; და ბოლოს: „ერთი რომელიმე ენის განვითარების სხვადასხვა პერიოდის აღწერათა არსებობა შექმნის აუცილებელ პირობას იმისათვის. რომ ამ აღწერათა შეპირისპირების გზით გამოვიმუშავოთ წარმოდგენა მომხდარი ისტორიული პროცესების შესახებ“ ([47], 53).

ამრიგად, აქ უკვე არის ჩამოყალიბებული ის კონცეფცია, რომ ისტორიული გრამატიკა იქმნება ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურების ამსახველი აღწერითი გრამატიკების შედარება-შეპირისპირების საფუძველზე. ეს კი ნიშნავს, რომ აქ უკვე გარჩეულია სინქრონიული და დიაქრონიული დონეები. ხაზგასმულიცაა მათი გამიჯვნის აუცილებლობა. სხვა საქმეა, თუ როგორი შეფასება ეძლეოდა ამ მოვლენას ენობრივი კვლევისათვის, როგორ განისაზღვრებოდა იგი მეთოდოლოგიური თვალსაზრისით. ჰ. პაული დაბეჯითებით აცხადებს: ენის მეცნიერული შესწავლა მხოლოდ ისტორიული შეიძლება იყოსო. მართალია, „იმ შემთხვევაშიც, როცა რომელიმე იზოლირებული კილოს განვითარების მხოლოდ განსაზღვრულ საფეხურთან გვაქვს საქმე, გარკვეული თვალსაზრისით შესაძლებელია მისი მეცნიერული განხილვა“, მაგრამ ამგვარ კვლევაშიც უთუოდ შემოიპრება ხოლმე ისტორიზმის ელემენტები ([47] ,43).

ამდენად, სინქრონიული და დიაქრონიული დონეები არსებობს, სინქრონიული და დიაქრონიული, აღწერითი და ისტორიული კვლევის გამიჯვნა აუცილებელია, ისტორიულობა და თანადროულობა ერთმანეთში არ უნდა გაითქვიფოს, მაგრამ აღწერითი კვლევა მაინც პირველი. საწყისი საფეხურია მომდევნო, მეცნიერული ანუ ისტორიული კვლევისა.

ფაქტი ზუსტადაა შენიშნული, ფაქტის შეფასება, ინტერპრეტაცია

სხვაგვარია, ღირებულებანი სხვაგვარადაა გადანაწილებული. ის, რაც ფ. დე სოსიურმა ლინგვისტური კვლევის ერთ-ერთ მეთოდოლოგიურ კონცეფციად აქცია, ადრეც ყოფილა შენიშნული, ოღონდ მარტოოდენ როგორც კვლევის ორი ასპექტი (თანაც არათანაბარი ღირებულების მქონე). სოსიური დაეყრდნო ამ ფაქტს და თეისობრივად ახალ მეცნიერულ სისტემაში მოაქცია იგი. და ეს მარტოოდენ სინქრონიული და დიაქრონიული დონეების გამოყოფაზე არ ითქმის. იმ იდეებითა და ცნებებით, რომლებიც ლინგვისტურმა სამყარომ ფ. დე სოსიურის ავტორობით გაიცნო, იმ წლებში „ჰაერი იყო დამუხტული" (ლ. ბლუმფილდის გამონათქვამს ვიმეორებთ). საჭირო იყო მხოლოდ მათი ერთიანი, მწყობრ კონცეფციად ჩამოყალიბება.

მეცნიერების ისტორიისათვის უცხო არ არის ამგვარი ფაქტები. ევოლუციის იდეებით „დამუხტულმა ჰაერმა" ჩ. დარვინის მოძღვრებას მისცა ბიძგი, სტრუქტურალიზმის იდეებმა (საწყისს ი. კანტის ფილოსოფიურ სისტემაში რომ ღებულობს, იხ., მაგალითად, მისი „პროლეგომენები...") მეცნიერების სხვადასხვა დარგში ერთდროულად იჩინა თავი. ნიშანდობლივია ისიც, რომ ასეთ ვითარებაში ხშირად რამდენიმე მეცნიერი მისულა ერთსა და იმავე დასკვნამდე, სიტყვასიტყვით თითქმის ერთნაირი კონცეფციაც ჩამოუყალიბებიათ, როგორც ეს, მაგალითად, ზემოხსენებულ შემთხვევაში დარვინსა და უოლესს დაემართათ...

ასე რომ, სოსიურსაც ჰყავდა ბევრი წინამორბედი და თანამედროვეც. სოლიდარული მისი კონცეფციისა. ის, რაც მის კონცეფციად იქნა ცნობილი, დროის მოთხოვნილებით იყო გამოწვეული. მისი სწრაფი პოპულარობის მიზეზიც ეს არის. ისიც კი ივარაუდება, რომ სინქრონიული და დიაქრონიული ასპექტების გამიჯვნისას სოსიური უშუალოდ ემყარებოდა ი. გრიმს, ო. კონტს (ფილოსოფიური და სოციოლოგიური თვალსაზრისით) და განსაკუთრებით კი ჰ. პაულს ([53]), მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, მათგან განსხვავებით სულ სხვა ღირებულება მიანიჭა ამას ლინგვისტურ მეთოდოლოგიაში.

III

ფ. დე სოსიურის კონცეფციაში სინქრონიულისა და დიაქრონიულის გარჩევა უშუალოდაა დაკავშირებული მეტყველებისა და ენის გარჩევასთან. სინქრონიული და დიაქრონიული, ამ შემთხვევაში, უდრის სტატიკურ და ევოლუციურ ენათმეცნიერებას ([48], 114). აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს დასკვნა: „ყოველივე დიაქრონიული ენობა მიღებულია მეტყველების საშუალებით. მეტყველებაშია ყოველი ცვლილების წყარო" ([48], 130). ეს დასკვნა უშუალოდ ეხმაურება პაულის გამონათქვამს: „სხვა არაფერია ენაზის ცვლილების ჭეშმარიტი მიზეზი,

თუ არა ჩვეულებრივი მეტყველების აქტი" ([47], 53). მაგრამ „მეტყველება თავისით არ ვითარდება", ამ განვითარების ჰეშმარიტი მატარებელნი არიან „ფსიქიკური ორგანიზმები" ([47], 49), რომლებიც თითოეულ ინდივიდში განუწყვეტლივ იცვლებიან. ამიტომაც „მეტყველების აქტის ყველა გამოვლინება გამომდინარეობს არაცნობიერის ბუნდოვანი არსიდან" ([47], 47).

ენათმეცნიერულ კვლევაში სინქრონიისა და დიაქრონიის პრინციპების ძირითად მეთოდოლოგიურ ელემენტებად შემოტანა, ბუნებრივია, შეცვლიდა მანამდე არსებულ ლინგვისტურ მოძღვრებათა შეფასებასაც: სოსიური განასხვავებს კლასიკურ და ტრადიციულ ლინგვისტიკას, რომელთაგან პირველს (კლასიკურს) ანიჭებს აშკარა უპირატესობას: იმ ეპოქის გრამატიკოსების თვალსაზრისი ჩვენთვის საინტერესო საკითხში უნაკლოაო (ასეთია,მაგალითად, პორ-როიალის გრამატიკა, რომელიც ლუდოვიკო XIV-ის ეპოქის ფრანგული ენის მდგომარეობას აღწერს და არ მიმართავს ფრანგული ენის განვითარების ადრინდელ საფეხურებს), ხოლო შემდგომი დროის ტრადიციული (სოსიურის თქმით, „ბოპის მიერ საფუძველჩაყრილი") ლინგვისტიკა მთლიანად დიაქრონიული კვლევით შემოიფარგლა, მის მიზანს არსებითად წარმოადგენს მოპოვებული მასალის საფუძველზე წინარე ენობრივი ტიპის ჰიპოთეტური რეკონსტრუქცია. ენობრივი სტატუსი, მდგომარეობა აქ გათვალისწინებულია არათანმიმდევრულად და არასრულყოფილად. ამიტომაც ამის საფუძველზე ჩამოყალიბებული შეფასება (გაგება) ენისა მერყეევია და საორჭოფო.

სინქრონიული და დიაქრონიული ენათმეცნიერების დაპირისპირება უშუალოდ გამომდინარეობს ენაში სინქრონიული და დიაქრონიული ჭრილების დაპირისპირებიდან. ეს დაპირისპირება, სოსიურის მიხედვით, „აბსოლუტურია და არ ითმენს კომპრომისს" ([48], 116). შემდეგ: „სინქრონიულ მოვლენას არაფერი აქვს საერთო დიაქრონიულთან: პირველი არის ურთიერთობა ერთდროულად არსებულ ელემენტებს შორის, მეორე—ერთი ელემენტის ცვლა მეორით დროის მაძილზე" ([48], 124). და ბოლოს: „სინქრონიული ენათმეცნიერება შეისწავლის იმ ლოგიკურსა და ფსიქოლოგიურ მიმართებებს, რომლებიც აკავშირებენ თანაარსებულ ელემენტებს და ქმნიან სისტემას, შეისწავლის რა მათ ისე, როგორც ისინი აღიქმებიან ერთი და იმავე კოლექტიური ცნობიერების მიერ. დიაქრონიული ენათმეცნიერება, პირუკუ, შეისწავლის იმ მიმართებებს, რომლებიც აკავშირებენ ელემენტებს თანამიმდევრობის მიხედვით, არა როგორც აღქმულს ერთი და იმავე კოლექტიური ცნობიერების მიერ, არამედ ელემენტებს, რომლებიც ერთი მეორეს ცვლიან, მაგრამ არ ქმნიან სისტემას". ([48], 132).

ფორმულა ასეთია:

სამეტყველო აქტი (მოქმედება) { ენა { სინქრონია / დიაქრონია ; მეტყველება ([48], 131).

ამდენად, სინქრონიაცა და დიაქრონიაც ენის მიმართაა ნავარაუდევი, მაგრამ ენაში ხვდება მეტყველებიდან: „ისტორიულად მეტყველება ყოველთვის წინ უსწრებს ენას... მეტყველება აუცილებელია იმისთვის, რომ ჩამოყალიბდეს ენა“ ([48], 57).

IV

ფ. დე სოსიურის კონცეფცია უშუალოდ სვამს საკითხს:

რა არის სინქრონია და დიაქრონია: არის იგი ობიექტის (ენის) ნიშან-თვისება და, ამდენად, გამომდინარეობს თვით ობიექტის არსიდან, თუ იგი მარტოოდენ კვლევის სფეროს განეკუთვნება, ე. ი. მარტოოდენ მეთოდოლოგიის პრობლემაა. თავის მხრივ, ისიც გასარკვევია, მეთოდოლოგიურად სინქრონია და დიაქრონია მხოლოდ თვალსაზრისია (მოვლენისადმი მიდგომის პოზიციაა), თუ იმავდროულად მეთოდიც.

მაშასადამე, დასადგენი ყოფილა: რას განეკუთვნება სინქრონია და დიაქრონია — ობიექტის არსს, კვლევის პოზიციას თუ კვლევის მეთოდს (თუ სამივეს ერთად)? სხვაგვარად: ონტოლოგიური მოვლენაა იგი თუ მეთოდოლოგიური (თუ: ონტოლოგიურიც და მეთოდოლოგიურიც)?

პრობლემა იმდენად აქტუალური აღმოჩნდა თანამედროვე ენათმეცნიერებისათვის, რომ იგი მრავალგზისი განხილვის საგანი გახდა არა მხოლოდ სპეციალურად ამ საკითხისადმი მიძღვნილ სტატიებსა თუ მონოგრაფიებში, არამედ სამეცნიერო სესიებზე, კონფერენციებსა და დისკუსიებზეც კი.

თვით სოსიურის მიერ, ეჭვს გარეშეა, სინქრონია და დიაქრონია ენის შინაგან ნიშან-თვისებად მიიჩნეოდა: სინქრონია „არის ურთიერთობა ერთდროულად არსებულ ელემენტებს შორის“, დიაქრონია კი „ერთი ელემენტის ცვლა მეორით დროის მანძილზე“ (იხ.: ზემოთ). თითოეულ მათგანს შესწავლის თავთავისი დარგი განეკუთვნება: პირველს — სინქრონიული, მეორეს — დიაქრონიული ენათმეცნიერება. სინქრონია სისტემას ქმნის, დიაქრონია — არა. რადგან ასეა, შესწავლის მეთოდებიც განსხვავებული იქნება. აქედან გამომდინარე, სინქრონია და დიაქრონია ერთნაირად ღირებულია ონტოლოგიურადაც და მეთოდოლოგიურადაც.

მეთოდოლოგიური ღირებულების მქონებლობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ არსებობს სინქრონიული და დიაქრონიული მეთოდები,

მაგრამ ის კი უეჭველია, რომ თითოეული მათგანი კვლევის განსხვავებულ მეთოდებს საჭიროებს, ვთქვათ, სინქრონია — აღწერით მეთოდს, დიაქრონია — ისტორიულ-შედარებითს.

გასარკვევი რჩება: სინქრონიულად და დიაქრონიულად დიფერენცირება რა საკლასიფიკაციო ერთეულს ქმნის ენათმეცნიერებაში, ძირითადია იგი, თუ დამატებითი, მთლიანად განმსაზღვრელია ენისთვის თუ ენის ცალკეულ სფეროებს შეეხება მხოლოდ.

V

უეჭველია, რომ სინქრონიისა და დიაქრონიის (ანუ: სტატიკისა და დინამიკის, სტატუსისა და ევოლუციის, — ეს სოსიურის მიხედვით, ამჟამად ვარაუდობენ, რომ სინქრონია არავითარ შემთხვევაში არ უდრის სტატიკას, სინქრონიაშიც დინამიკაა მოცემულიო) თვალსაზრისი ეს არის დროისა და სივრცის ზოგადი ფილოსოფიური პრობლემის შემოტანა ენობრივი სამყაროს კვლევაში (შეიძლება ითქვას: ზოგადი ფილოსოფიური პრობლემის ენათმეცნიერული ტრანსფორმირება).

ყოველი სივრცე დროის გარეშე — ეს არის სტატიკა. სივრცის ამგვარი სტატუსების გამუდმებითი ცვლა (ურთიერთშენაცვლება) იძლევა დროის გაგებას. სივრცის ცვლილება დროის არსებობის პირობაა. უცვლელი სივრცე რეალურად არ არსებობს. ე. ი. რეალურად სივრცე მუდმივ დინამიკაშია მოცემული. ეს არ ნიშნავს დროში ცვლილების რომელიმე მომენტის გამოყოფისა და მისი აბსტრაჰირების შეუძლებლობას. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ძალაუნებურად ვითვალისწინებთ დროის არსებობას, რადგან სტატიკა ფარდობითი ცნებაა, აუცილებლად უპირისპირდება დინამიკას. თუკი დროს საერთოდ გამოვრიცხავთ, მივიღებთ უაზრობას: სტატიკას, რომელიც არაფრიდანაა მიღებული და არაფრის წარმომშობია. ამგვარი აბსურდული ვაკუუმი იმთავითვე გამორიცხავს საერთოდ რაიმეს არსებობის შესაძლებლობას.

სტატიკა ფარდობითი ცნებააო, ვახსენეთ. სტატიკა იმავდროულად მეთოდოლოგიური ცნებაცაა, პირობითი დაშვებაა ობიექტის მიმართ მისი შესწავლის დროს. რადგან ობიექტურ რეალობაში სტატიკა არ არსებობს. ამდენად, როგორც ონტოლოგიური ცნება, სტატიკა იმთავითვე გამორიცხულია, უაზრობაცაა ამის დაშვება: ეს იგივეა, არარსი გავიხადოთ კვლევის საგნად.

ზემოხსენებული არ არის მეთოდოლოგიაში დაშვებული სტატიკის გამოყენების ერთადერთი შემთხვევა. სტატიკა მოიხმარება თვით მოძრავი საგნის მიმართაც, როგორც დროის გარკვეულ მომენტში მისი მყოფობა სივრცის გარკვეულ წერტილში. ამგვარი განჩილვის მეთოდო-

ლოგია ძენონის კონცეფციაში იღებს სათავეს. მოძრავი სხეული გარკვეულ მომენტში სივრცის გარკვეულ წერტილში იმყოფება. გარკვეულ მომენტში სივრცის გარკვეულ წერტილში მყოფობა სტატიკაა (უძრაობაა). ამიტომაც ამის მიხედვით მოძრაობა (სხეულის გადაადგილება) განიხილება როგორც ცალკეულ სტატიკათა მეტ-ნაკლები სისწრაფით ცვლა. ამ თვალსაზრისის აბსოლუტურობის დაშვებამ შესაძლოა, ძენონის კვალობაზე, მოძრაობის სრულ უარყოფამდე მიგვიყვანოს: „მოძრავი (საგანი) არ მოძრაობს იმ წერტილში, სადაც იგი იმყოფება და არც იმ წერტილში, სადაც იგი არ არის“ ([42], 299). მართლაც, თუკი სივრცის გარკვეულ წერტილში გარკვეული სხეულის მყოფობას დროის განსაზღვრულ მომენტში (და ასეთი მყოფობა რეალურად არსებობს) აბსოლუტურად მივიჩნევთ (აბსოლუტურ სიდიდედ ჩავთვლით, ე. ი. არ შევუფარდებთ სხეულის მყოფობას აღებული წერტილის წინა და მომდევნო წერტილებში), მაშინ ერთადერთი დასკვნა მოცემულ წერტილში სხეულის უძრაობა იქნება. ამგვარი განხილვით, სხეული ყველა წერტილში უძრავი აღმოჩნდება: გასროლილი „ისარი უძრავად დგას“ ([42], 299). რა თქმა უნდა, არც ახლა და არც მაშინ ეშვიც არავის ეპარებოდა, რომ მოძრაობაც არსებობს და ისარიც მოძრაობს, მაგრამ საკითხი აქ სხვა კუთხითაა დასმული: ამ რეალური მოძრაობის თეორიული დასაბუთება შეუძლებელია, ონტოლოგიური მონაცემი დასაყრდენს ვერ პოულობს მეთოდოლოგიაში, ამიტომაც ეს უკანასკნელი პირობითი კრიტერიუმებით განიხილავს მხოლოდ ხსენებულ პრობლემას. რეალობაში შეუძლებელია რომელიმე ამგვარი სტატუსის (მყოფობის) გამოცალკევება მოძრაობის საერთო პროცესიდან და პირუკუ, თეორიულად ვერ ხერხდებოდა მოძრაობის საერთო პროცესის განხილვა მისი ამგვარ „წერტილებად“ დანაწევრების გარეშე. ეს, რა თქმა უნდა, მეთოდოლოგიის ნაკლი იყო, მაგრამ იმავდროულად ერთადერთი შესაძლებლობაც რეალურ ვითარებასთან ოდნავი მიახლოვებისა მაინც.

მოძრაობის, ცვლილების, განვითარების განხილვა ამგვარი მეთოდოლოგიის საფუძველზე დღემდე იჩენს თავს, კერძოდ, ენათმეცნიერებაში. ენის განვითარების გარკვეული მომენტის, ენის ფუნქციონირების გარკვეული სტატუსის გამოცალკევება საერთო პროცესიდან და მისი აბსტრაჰირება, უკეთ: მისი მუმიფიცირება, მეთოდოლოგიურად დასაშვებად (ზოგჯერ — აუცილებლადაც კი) ითვლება ენის კვლევის დროს. ესეც, რა თქმა უნდა, იძულებითი ხერხია: რთული ერთდროული მიმართებები გაცილებით უფრო ხელმისაწვდომი ხდება, როცა ცალ-ცალკე პრეპარატების სახითაა წარმოდგენილი. პრეპარირებული მონაცემები კი უკეთეს შემთხვევაში გეომეტრიული სიზუსტით წარმოგვიდგენს რეალურად არსებულის აგებულებას, შენებას, სტრუქტურას, მაგრამ პასუხს ვერ გაგვცემს უმთავრეს საკითხზე: რა ძალა იწვევს ამ ცალკეულ ელემენტთა

ამოქმედებას, რა უძევს საფუძვლად მათ ფუნქციონირებას ერთ, ვანუყოფელ მთლიანობაში, რა იმანენტური სტიქიაა ამის მიზეზი, რა შინაგანი იმპულსი, სტიმული თუ პოტენცია განაპირობებს მათ მკაცრ ორგანიზებას და განუხრელ მიზანდასახულებას.

ერთადერთი მეთოდოლოგია შეძლებს ამ სიღრმისეულ სამყაროში შეღწევას, მეთოდოლოგია, რომელიც შექმნის ხელსაყრელ პირობას ყოველი მოვლენის მისსავე დინამიკაში განხილვისა. ამგვარი საკითხის დასმა ახალი არ არის ენათმეცნიერებაში. იგი ჯერ კიდევ ვ. ჰუმბოლდტის კონცეფციაში ილანდება, ხოლო ამ უკანასკნელის საფუძველზე, კიბერნეტიკის თანამედროვე პრინციპების დამატებით, მან ე. წ. „წარმომშობ ენათმეცნიერებაში“ იჩინა თავი. ამ პრობლემის აღორძინება ნ. ხომსკის კვლევა-ძიებას უკავშირდება (იხ., მაგალითად, [51]), მაგრამ ე. წ. „დინამიკური მოდელების“ წმინდა სქემებზე, ფორმულებზე დაყვანამ, რასაც ზოგადად ენის ფუნქციონირების ლოგიკური პრინციპების წარმოჩენის სურვილი უძევს საფუძვლად (თუმცა დასაბუთება კი რომელიმე კონკრეტული ენის მაგალითებით ხდება), ენის კვლევიდან ფაქტიურად ამოარიდა არსებითი: ენის შემოქმედებითი და სტილისტური დიფერენცირების უნარის შესწავლა, და მიზნად დაისახა წარმოჩენა ენის ფუნქციონირების წმინდა (სემანტიკური და ფორმობრივი) მექანიზმისა. თუკი, სამართლიანი შენიშვნით, „სტატიკური მოდელები წარმოადგენენ რთული მექანიზმის ფრაგმენტს“ ([36], 52), მაშინ შეიძლება ითქვას, რომ დინამიკური მოდელები მთლიანობაში წარმოდგენილი რთული მექანიზმების სქემებია მხოლოდ. ამრიგად, გლოსემატიკოსების ენობრივი წმინდა სქემა, როგორც სტატიკური მონაცემის აბსტრაქცია (იხ., მაგალითად, ლ. იელმსლევის კრედო: „რაც შემეხება მე, ჩემი განზრახვა მიმართული იქნება ენის — langue — როგორც წმინდა ფორმისა ან სქემის შესწავლისაკენ, მათი პრაქტიკული რეალიზაციებისაგან დამოუკიდებლად“, [41], 423), აქ უკვე ჩართული აღმოჩნდა წარმომშობ, წარმომქმნელ პროცესში, რამაც, მართალია, წარმოაჩინა ენის დინამიკა, მისი მოქმედი ბუნება, მაგრამ თავი ვერ დააღწია ცალმხრივობას: სქემატიზმს ენობრივი ფორმის განხილვისას და ლოგიციზმს (პორ-როიალის უნივერსალური ანუ რაციონალური გრამატიკის პრინციპები საყრდენი წერტილია ამ თეორიისა) სემანტიკური კვლევისას.

ასე რომ, ენობრივი პროცესების შესწავლა, ამ შესწავლისათვის სათანადო კრიტერიუმების დადგენა, ენის შინაგანი ბუნების წარმოჩენა თავისსავე დინამიკაში ისევ აქტუალურ პრობლემად რჩება.

VI

სინქრონიისა და დიაქრონიის აღიარება ენის იმანენტურ თვისებად (ფ. დე სოსიური, ბოდუენ დე კურტენე, ნ. კრუშევსკი...) საშუალებას

გვაძლევს განვიხილოთ ისინი როგორც განზომილების განსხვავებული სისტემები ([45], 121). სინქრონიის შემთხვევაში განიხილება სხვადასხვა რიგის ელემენტთა და მოვლენათა თანაარსებობისა და ურთიერთდამოკიდებულების პირობები და პრინციპები, ხოლო დიაქრონიულად, პირიქით, ერთი რიგის ელემენტები და მოვლენები, მათი ურთიერთმართება განიხილება ენის არსებობის მთელ მანძილზე. ყველაფერი ეს უშუალოდ გამომდინარეობს ობიექტის ბუნებიდან. მისი შინაგანი ნიშანთვისების ასახვაა, მეთოდოლოგიის სფეროში გადმოტანაა. მაშასადამე, ენა არსებობს ორ განზომილებაში, ეს ორი განზომილება შესაბამისად დროისა და სივრცის ზოგადფილოსოფიური არსის კონკრეტულენობრივი გამოვლინებაა. ამის თანახმად უნდა წარიმართოს მათი კვლევაც. თითოეულ მათგანს, გარდა თავისი ობიექტისა, კვლევის თავისი ასპექტიც შეესაბამება. ნათქვამი სრულიად არ გულისხმობს მათი დაცილების აუცილებლობას; არამთუ აუცილებლობას, შესაძლებლობასაც კი! ყოველი საგანი არსებობს დროსა და სივრცეში (და არა რომელიმე მათგანში ცალ-ცალკე). ყოველი ენა არსებობს სინქრონიულად და დიაქრონიულად, და არა რომელიმე ერთი განზომილების მიხედვით მეორისაგან დამოუკიდებლად. მათი ერთობლიობის გათვალისწინება ენის თავისსავე დინამიკაში შესწავლის ერთ-ერთი უპირველესი პირობაა: დროის ფაქტორის ჩამოცილება ენის „უძრაობის“ აღიარებას უდრის, სივრცის ფაქტორისგან გამორიდება ფრაგმენტულობისაკენ გვიბიძგებს. შეუძლებელია დინამიკაში სივრცული თანაარსებობის ფაქტორის გამორიცხვა (რადგან ყველა და ყველაფერი არსებობს მხოლოდ სხვასთან მიმართებაში), ისევე, როგორც სივრცულ თანაარსებობაში დინამიკის ფაქტორის უგულვებელყოფა. სინქრონიის ცნებიდან ევოლუციის ამორიდების შეუძლებლობაზე ჯერ კიდევ პრაღის ლინგვისტური წრის თეზისებში იყო ხაზგასმულად ნათქვამი: „...სინქრონიულმა აღწერამ შეუძლებელია მთლიანად გამორიცხოს ევოლუციის ცნება, რადგან თვით ენის სინქრონიულად განხილვის სექტორში მუდმივ წარმოჩენილია შეგნება იმისა, რომ არსებული სტადია იცვლება ამჟამად ფორმირების პროცესში მყოფი სტადიით“ ([49], 18). მეორე მხრივ, რ. იაკობსონის მართებული თქმით, „შეუძლებელია გავიგოთ ენის სისტემაში მომხდარი ცვლილებები იმ სისტემასთან კავშირის გარეშე, რომელშიც ეს ცვლილებები ხდება“ ([52], 104), სისტემას კი სწორედ სინქრონიული განზომილება წარმოაჩენს უპირატესად. სისტემურობა ევოლუციაში სწორედ ამითაა შეპირობებული. გარდა ამისა, ისევე, როგორც სინქრონია არ შეიძლება გავუთანაბროთ სტატიკას (თუმცა ფ. დე სოსიურთან სწორედ ამგვარი ტენდენცია ილანდება, რასაც მართებულად დაუპირისპირდნენ შემდგომ), არ შეიძლება დიაქრონიისა და ისტორიის გათანაბრებაც. ენის დიაქრონიული განზომილება, რასაკვირველია, განსაზღვრავს

ენის განვითარებაში ისტორიზმის პრინციპს, მაგრამ ეს ორი რამ სავსებით განსხვავებული ცნებაა. დიაქრონია ალბათ უნდა განისაზღვროს როგორც ენის ევოლუციური პოტენციის გამოვლინების ფაქტი. ამიტომაცაა, რომ იგი მუდამ თან ახლავს მოქმედ სისტემას.

VII

სინქრონია და დიაქრონია, როგორც ენის უშუალო მონაცემი (ე. ი. როგორც ონტოლოგიური ფაქტი) სრულიადაც არ არის საყოველთაოდ გაზიარებული ენათმეცნიერების თეორიაში.

განსხვავებული აზრი ასეთია: „სინქრონია — დიაქრონია უნდა მივაკუთვნოთ არა ობიექტის სიბრტყეს, არამედ კვლევის სიბრტყეს, ანუ: იგი უკავშირდება არა მეტყველების აქტს, არამედ ენათმეცნიერებას“ ([43], 145). ამ ვარაუდის მიხედვით, სინქრონია და დიაქრონია პირწმინდად მეთოდოლოგიური მონაცემია: სინქრონიულობა „განეკუთვნება აღწერის არსს და არა ენის არსს. ამიტომ იგი არც უნდა იქნეს შემოტანილი ენის ცნების განსაზღვრის დროს“ ([43], 154—155). ამიტომაც „დიაქრონიისაგან დამოუკიდებელია სინქრონიული აღწერა და არა ენის რეალური მდგომარეობა, რომელიც ყოველთვის წარმოადგენს წინარე მდგომარეობის შედეგს“ ([43], 148).

მაინც რატომ არ შეიძლება, რომ სინქრონია და დიაქრონია ენის ნიშან-თვისებად (ე. ი. ონტოლოგიურ) პრობლემად მივიჩნიოთ, რატომ არ არის ენა „თავისი ბუნებით“ არც სინქრონიული და არც დიაქრონიული მოვლენა? პასუხი ასეთია: იმიტომ, რომ არ არსებობენ მარტოოდენ (ან ერთდროულად) სინქრონიული და დიაქრონიული ობიექტები. შეუძლებელია არსებობდეს მყოფობის (ყოფიერების) ორი ერთმანეთის საპირისპირო სტატუსი, მყოფობის ორი ერთდროული და ერთმანეთის საწინააღმდეგო სახეობა, ანუ: შეუძლებელია ობიექტი (ენა) ერთდროულად არსებობდეს ორგვარი სახით ([43], 170).

VIII

ზემოხსენებული ვარაუდის შეფასებისას ასეთი კითხვა დაისმის: სინქრონიისა და დიაქრონიის მიჩნევა ენის შინაგანი ბუნება-თვისების გამოვლინებად, ენის იმანენტური რაობით განპირობებულ ორ განზომილებად ნიშნავს კი იმას, რომ ამით მყოფობის (ყოფიერების) ორი სახეობის არსებობის შესაძლებლობაა აღიარებული? შეიძლება კი, რომ ან სინქრონია, ან დიაქრონია გავუტოლოთ მყოფობას (ყოფიერებას), თუ ისინი ერთი და იმავე მყოფობის (ყოფიერების) ნაირგვარ ნიშან-თვისებად, ნაირგვარ გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ?

სინქრონია და დიაქრონია სივრცისა და დროის (ზოგადფილოსოფი-

ური და) ზოგადონტოლოგიური პრობლემის კონკრეტულ-ენობრივ გამოხატულებად ვივარაუდეთ ზემოთ. დასმულ კითხვასაც ამ პოზიციიდან უნდა გავცეთ პასუხი.

იმ შემთხვევაში, როცა სინქრონია და დიაქრონია მყოფობის (ყოფიერების) სახეობად მიიჩნევა, იმთავითვე წარმოჩინდება ის შინაგანი წინააღმდეგობა, რომელიც საკითხის ამგვარი თვალსაზრისით განხილვას ახლავს თან. ეს იგივეა, რომ სტატიკა და დინამიკა (უძრაობა და მოძრაობა) განვიხილოთ როგორც თანაბარი (და, ამდენად, ანტიპოდური, ურთიერთგამომრიცხველი) მონაცემები. სტატიკა და ევოლუცია უპირისპირდება და ეწინააღმდეგება ერთმანეთს. ამიტომაც შეუძლებელია ერთდროულად ერთ ობიექტში იყოს ორივე წარმოდგენილი, ერთი და იმავე ობიექტის არსს წარმოადგენდეს ორივე.

სინამდვილეში ეს, რა თქმა უნდა, ასე არ არის. რეალურად გვაქვს მხოლოდ დინამიკა, მხოლოდ მოძრაობა, ევოლუცია. რომელიმე მომენტში ევოლუციის „სეგმენტირება“ და ნებისმიერი „სეგმენტის“ გამოცალკევება-მუმიფიცირება სამეცნიერო ტერმინებში იძლევა სტატიკის (უძრაობის) ილუზიას. რასაკვირველია, რეალურია ის ფაქტი, რომ მოძრაობის დროს რომელიმე წერტილში აუცილებლად იმყოფება საგანი (გავიხსენოთ ძენონის ისრის მაგალითი), მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ წერტილის გამოცალკევება მოძრაობიდან რეალურად შეუძლებელია, რადგან იგი განუყოფელი შემადგენელი ელემენტია მოძრაობისა: მოძრაობას ამ წერტილების რაოდენობრივი ჯამი კი არ ქმნის (მაშინ მივიღებდით პარადოქსს: უძრაობათა ჯამი ქმნის მოძრაობას), არამედ ამ წერტილებში ობიექტის ფადანაცვლებათა თვისობრივი ერთობლიობა.

კვლევის მიზნებისათვის შესაძლებლად ითვლება ამ პირობითად არსებული წერტილის გამოყოფა მთლიანობიდან და მისი პრეპარირება. მაგრამ ამ დროს აუცილებელია ეს წერტილი (სეგმენტი) განვიხილოთ როგორც შედეგი წინარე მოძრაობისა და წარმომშობი მომდევნოსი. ე. ი. მოძრაობიდან ამოსვლით განვიხილოთ პირობითი უძრაობა (და არა პირიქით).

ამრიგად, თუკი იძულებული ვართ შესწავლის მიზნით ობიექტი განვიხილოთ პირობითად დაშვებულ სტატიკაში, უძრაობაში, მაშინ აუცილებელ მოთხოვნად უნდა მივიჩნიოთ ამ პირობითი სტატიკის შეფასება დინამიკის პოზიციიდან. ასეთ ვითარებაში სტატიკა მიიჩნევა დინამიკის პირობითად დაშვებულ სახეობად, რაც მათ შორის მოჩვენებით წინააღმდეგობასაც წაშლის. სტატიკა და დინამიკა ობიექტის მყოფობის (ყოფიერების) ორი სახე კი არ არის, ანუ: ორი მყოფობა (ყოფიერება) კი არ არის, არამედ ერთი და იმავე მყოფობის ორგვარი გამოვლინება, შეპირობებული თვით დინამიკის შინაგანი თავისებურებით.

მით უფრო ეს ითქმის სინქრონიასა და დიაქრონიაზე, რომელთაგან

პირველი, როგორც არა ერთხელ აღინიშნა, არ შეიძლება გავუტოლოთ სტატიკას, ხოლო მეორე—ისტორიას. სინქრონია თვისებაა ობიექტისა მოცემულ წერტილში მიემართოს (დაამყაროს მიმართება) ქვეყლა თახვედრილ (თანაარსებულ) ობიექტს, რაც განაპირობებს ამ ობიექტის თვისებას (თვისებრივ სტატუსს) ამ წერტილში. ამას სინქრონიული თვისება უნდა ვუწოდოთ. ამისდა კვალობაზე დიაქრონია შინაგანი თვისებაა ობიექტისა, იყოს თვისებრივი შედეგი წინარე და წარმომშობი მომდევნო დინამიკური პროცესისა. დიაქრონია არის ობიექტის ევოლუციური პოტენციის გამოვლინება, სინქრონია—ობიექტის შინაგან მიმართებათა გამოვლინება მოცემულ მომენტში (თუკი „მომენტი" გახისაზღვრება როგორც „დროის მოცემულ მონაკვეთში მოცემული სივრცე").

IX

სინქრონიისა და დიაქრონიის ამ პოზიციიდან განხილვა უშუალოდაა დაკავშირებული ენის იმანენტური რაობის პრობლემასთან, კერძოდ, ენის ფუნქციონირების საკითხთან.

ვ. ჰუმბოლდტმა ენა შემოქმედებად („ენერგეიად") გამოაცხადა: „ენა არის არა მოქმედების პროდუქტი („ერგონ"), არამედ მოქმედება („ენერგეია")... ენა წარმოადგენს სულის უწყვეტ მოქმედებას, რომელიც ისწრაფვის ბგერა აქციოს აზრის გამომხატველად... ენა უნდა განვიხილოთ არა როგორც მკვდარი პროდუქტი, არამედ როგორც შემოქმედებითი პროცესი" ([40], 73, 72). სადავო თითქოს არაფერია: ენა მართლაც შემოქმედებითი პროცესია, ყოველი ინდივიდი არსებული ენობრივი ინვენტარისა და ყალიბების საშუალებით ქმნის აზრის ახალ გამოხატულებას. მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ ინდივიდს ენობრივი ინვენტარი და მისი ორგანიზების ყალიბები მზამზარეულად ეძლევა, ენა არა მხოლოდ შემოქმედებითი პროცესია, არამედ ამ პროცესის შედეგიც ყოფილა. ანუ: ენა ერთდროულად წინარე შემოქმედებითი პროცესის შედეგიც ყოფილა და შემოქმედებითი ქმნადობაც, სხვაგვარად: ენა ისეთი შედეგია, რომელიც თავის თავში იმთავითვე შეიცავს შემოქმედების პოტენციას. ამის თაობაზე ფ. დე სოსიურიც შენიშნავდა: „სამეტყველო მოქმედება ყოველ მოცემულ მომენტში ვარაუდობს ჩამოყალიბებულ სისტემასაც და ევოლუციასაც; ნებისმიერ მომენტში ენა არის მოქმედი სისტემაც და წარსულის პროდუქტიც" ([48], 47).

იმ შემთხვევაში, როცა შედეგი საბოლოოა, როცა შედეგი არ შეიცავს (ენობრივი თუ არაენობრივი მიზეზების გამო) შემოქმედებით პოტენციას, ენა „მკვდარია" (როგორც ეს ძველ ბერძნულსა და ლათინურს დაემართა). როგორც შედეგი, ენა დიაქრონიული ასპექტის კუთ-

ვნილებაა, როგორც შემოქმედება — სინქრონიულისა. ეს ნიშნავს: დიაქრონიულად ენა გვეძლევა, სინქრონიულად ენა გამოიყენება, დიაქრონიაში არის მიზეზი ენის ამჟამინდელი იერ-სახისა, სინქრონიაში არის მიზანი მისი შემდგომი არსებობისა და, ჩანასახის სახით, მისი მერმინდელი სტატუსი. სინქრონიულ სტატუსშივე არის მოცემული საფუძველი ეხის შემდგომი ცვლილებისა: სტატუსი არ გვეძლევა როგორც უცვლელი მდგრადობა. სწორედ ეს ქმნის შემოქმედების (ქმნადობის) შესაძლებლობას.

მაშასადამე, ენა გვეძლევა როგორც ისეთი შედეგი, რომელშიც იმთავითვე არის მოცემული შემდგომი შემოქმედებითი განვითარების პოტენცია.

ენა რომ შედეგის სახით არ გვეძლეოდეს, მაშინ ყოველი ინდივიდი იძულებული იქნებოდა შეექმნა ახალი ენა.

ენის გამოყენება შემოქმედებითი აქტი რომ არ იყოს, ენას გაქვავების საშიშროება დაემუქრებოდა. ენა ვეღარ მისცებოდა აზროვნების განვითარებას (თუკი დავუშვებთ იმას, რომ ენის გარეშე შესაძლებელია აზროვნების განვითარება), საბოლოოდ კი, აზროვნების (ცნობიერების) განვითარების რომელიმე საფეხურზე ენა საერთოდ უვარგისი (არაკომპეტენტური) აღმოჩნდებოდა თავისი ძირითადი — კომუნიკაციური და ექსპრესიული—დანიშნულებებისათვის. ეს იმიტომ, რომ ცნობიერება და ენა იმდენად დასცილდებოდნენ ერთმანეთს, იმდენად არაადეკვატური აღმოჩნდებოდნენ, რომ ენას აღარ აღმოაჩნდებოდა უნარი მარადგანვითარებადი („მარადშევსებადი") ცნობიერების წარმოსახვისა.

ენა, როგორც შედეგი, გვავარაუდებინებს ენაში რაღაც მუდმივი (მისი ძირითადი სახის შემაპირობებელი) მონაცემის არსებობას.

ენა, როგორც შემოქმედება, გულისხმობს ენაში ცვლილებათა და გარდაქმნათა გარკვეული კანონზომიერების არსებობას.

ყველაფერი ეს აყენებს საკითხს ენის ცვლილებისა და განვითარების (ერთი მხრივ) და ენის მდგრადობის (მეორე მხრივ) შესახებ.

X

ცვლილების საფუძველი სინქრონიულადაა მოცემული.

ცვლილების განხორციელება დიაქრონიულად ხდება შესაძლებელი.

ბუნებრივია: პოტენციური მონაცემის გამოვლინება მხოლოდ დინამიკაში ხდება.

ცვლილება ენაში ნაირგვარი შეიძლება იყოს. ამიტომაც დიფერენცირებული მიდგომა და კვალიფიკაციაა საჭირო. ძირითადად გამოვყოფთ

ცვლილების ორ სახეობას: შენაცვლებას (საკუთრივ ცვლილებას) და განვითარებას.

კითხვას:

რა განასხვავებს შენაცვლებასა და განვითარებას ერთმანეთისაგან, ასეთი პასუხი უნდა გაეცეს:

შენაცვლება არის იმგვარი ცვლილება, რომელიც სისტემის მარტოოდენ ერთ რომელიმე წევრს შეეხება და, ამდენად, ვერ ახდენს გავლენას მთლიანად სისტემის შინაგან მიმართებებზე. მაგალითად. მო-ი-ტან-ა→ მე-ი-ტან-ა: ცვლილება მოხდა (მიზეზი ორი ნაირგვარი ხმოვნის ბუნობლობაა, მიზანი — მათი დაახლოვება-დამსგავსება წარმოთქმის გასაადვილებლად), მაგრამ მას არავითარი ზეგავლენა არ მოუხდენია თვით სისტემის ფორმობრივ იერ-სახეზე: ლოკალურად შეეხო მხოლოდ მსგავს პოზიციაში აღმოჩენილ ფორმებს, იქ კი, სადაც ასეთი პოზიცია არ დადასტურდა, ან უცვლელადაა წარმოდგენილი (მო-ტან-ა), ან ახალი პოზიციის შესაბამისი შენაცვლება განიცადა (მო-უ-ტან-ი-ა—მუ-უ-ტან-ი-ა). ეს ფონეტიკური შენაცვლებაა, მეტ-ნაკლებად გავრცელებული როგორც კუთხურ, ასევე ზეპირ სალიტერატურო მეტყველებაში უფრო იშვიათად ანალოგიურ შენაცვლებებს მორფოლოგიურ და სინტაქსური ასპექტითაც ვადასტურებთ.

განვითარება უნდა ეწოდოს იმ სახის ცვლილებას, როცა ეს უკანასკნელი „მეტასტაზების“ სახით აისახება სისტემის ან ყველა, ან რამდენიმე რგოლში მაინც და ამით სისტემის მთლიანი ფორმობრივი იერსახე შეიცვლება ხოლმე. მაგალითად,

ძველ ქართულში იყო (I):

აწმყო: წერ-ს

ნამყ. ძირთ.: და-წერ-ა

I თურმეობ.: და-უ-წერ-ი-ე-ს→(სტატიკ. ზმნის აწმყო:) უ-წერ-ი-ე-ს‖ს-წერ-ი-ე-ს

II თურმ.: და-ე-წერ-ა→(სტატ. ზმნის ნამყო:) ე-წერ-ა;

ახალ ქართულში არის (II):

აწმყო: წერ-ს

ნამყ. ძირთ.: და-წერ-ა

I თურმეობ.: და-უ-წერ-ი-ა→(სტატ. ზმნის აწმყო): უ-წერ-ი-ა‖ ‖ს-წერ-ი-ა

II თურმეობ.: და-ე-წერ-ა→(სტატ. ზმნის ნამყო): ე-წერ-ა.

როგორც ვხედავთ, ერთი ფორმის ცვლილებამ (და-უ-წერ-ი-ე-ს→და-უ-წერ-ი-ა) შესაბამისი ცვლილება გამოიწვია სისტემის მეორე რგოლშიც (ს-წერ-ი-ე-ს→ს-წერ-ი-ა).

სხვა რიგის მაგალითი:

იყო (III):

აწმყო: ა-ღ-ებ-ს→(I თურმ.:) გა-უ-ღ-ებ-ი-ე-ს
ნამყ. ძირთ.: გა-ა-ღ-ო;
არის (IV):
აწმყო: ა-ღ-ებ-ს
ნამყ. ძირთ.: გა-ა-ღ-ო→(I თურმ.:) გა-უ-ღ-ი-ა-→(სტატ. ზმნის აწმყო:) ღ-ი-ა.

აქ უკვე იცვალა არა ფორმობრივი სტრუქტურა, არამედ საყრდენი ფორმა სისტემის შემადგენელი ერთი ნაწილი ფორმებისათვის.

არის შემთხვევები, რომ ნაირგვარი საყრდენის მქონე ერთი და იმავე სისტემის ფორმები ცალკეულ პერიოდში თანაარსებობენ ენაში (ან ენასა და მის დიალექტებში):

აწმყო: ხატ-ავ-ს→და-უ-ხატ-ავ-ს (I თურმ., საყრდენია აწმყოს ფუძე),

ნამყ. ძირთ.: და-ხატ-ა→და-უ-ხატ-ი-ა (I თურმ., საყრდენია ნამყო ძირითადის ფუძე).

საყურადღებო შემთხვევებთან გვაქვს საქმე ერთი ტიპის ე. წ. სტატიკურ ზმნათა პარალელური ფორმების წარმოებისას, როცა საყრდენად სულ სხვადასხვა პარადიგმებისა ან წარმოების მონაცემები გამოიყენება:

აწმყო: ვ-დებ
ნამყ. ძირთ.: და-ვ-დევ-(ი)→(სტატიკური ზმნის აწმყო): დევ-ს
I თურმეობ.: და-მ-ი-დევ-ი-ა→(სტატ. ზმნის აწმყო): დევ-ი-ა (დიალექტური).

ამრიგად, პარალელურად დამოწმებულ დევ-ს და დვ-ი-ა ფორმებს წარმოქმნის განსხვავებული პრინციპები უძევს საფუძვლად, უფრო ზუსტად: ერთსა და იმავე სისტემაში დაშვებული წარმოების ორი განსხვავებული პრინციპი, რაც ორივე შემთხვევაში ამ სისტემის შინაგანი პოტენციის უშუალო გამოვლინებაა. ენა ამ შესაძლებლობას თავისი განვითარებისათვის იყენებს. ერთი რამ არის კიდევ აქ გასათვალისწინებელი: სავსებით ერთნაირი შესაძლებლობა სხვადასხვა ფორმაში შესაძლოა სხვადასხვა დროს გამოვლინდეს, ან ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა დიალექტში იჩინოს თავი. ყოველივე ამის შესწავლა სპეციალურადაა ნავარაუდევი, ზემოთ მოტანილი მარტივი მაგალითებით კი მხოლოდ იმის თქმა გვინდოდა, რომ ენაში სწორედ ამგვარი მიმართებებია ყურადსაღები, რომ ნებისმიერ ენობრივ სისტემას სწორედ ამგვარი მიმართებები ქმნიან და ენის შინაგანი პოტენციის, ენის განვითარების შესასწავლად სწორედ ამ მიმართებებს აქვთ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა.

რა თქმა უნდა, ცნება „განვითარება“ დაზუსტებას საჭიროებს. განვითარებად უნდა მივიჩნიოთ ენის შინაგანი პოტენციის ყოველგვარი გა-

მოვლინება, მომხდარი სისტემის დონეზე. ეს არ ნიშნავს, რომ ამით ენა „უკეთესი“ ან „უარესი“ ხდება. ამგვარი შეფასება პირწმინდად სუბიექტური ხასიათისაა. განმსაზღვრელია ის ფაქტი, რომ ენამ „ამჯობინა“ სისტემაში ერთი სახის მიმართებანი მეორე სახის მიმართებებს, რომ ენამ შეცვალა ურთიერთდამოკიდებულებანი სისტემის ელემენტებს შორის და ამით თავის შინაგან ორგანიზებაში შეიტანა ცვლილებები.

ამ თვალსაზრისით შენაცვლებასა და განვითარებას შორის არსებითი ხასიათის განსხვავებაა.

შენაცვლება, უკეთეს შემთხვევაში, ერთმანეთის პარალელურ ვარიანტებს შექმნის ენაში.

განვითარების საფუძველზე შესაძლოა: ა) იცვალოს სისტემის შემადგენელ ელემენტთა იერ-სახე, ბ) სისტემაში შემოვიდეს ახალი წევრი და ამის გამო სისტემის ელემენტები ახლებურად გადანაწილდნენ, გ) სისტემამ დაკარგოს რომელიმე წევრი, რაც აგრეთვე გამოიწვევს სისტემაში ახლებურ თვითორგანიზებას (ამის მაგალითია, ხოლმეობითის ფორმათა დაკარგვა სალიტერატურო ქართულში და მისი თანამდევი საკომპენსაციო პროცესები).

განვითარების დროს ხსენებული სახის ცვლილებანი ხდება როგორც მარტოოდენ ფორმაში (ისე, რომ ფუნქციას არ შეეხება), როგორც მარტოოდენ ფუნქციაში (ისე, რომ ფორმას არ შეუხება), ასევე ერთდროულად ან სხვადასხვა დროს ფორმაშიც და ფუნქციაშიც.

მარტოოდენ ფორმობრივი ცვლილების ნიმუშია თუნდაც ზემოხსენებული და-უ-წერ-ი-ე-ს—ს-წერ-ი-ე-ს მიმართების შენაცვლება და-უ-წერ-ი-ა—ს-წერ-ი-ა მიმართებით.

მარტოოდენ ფუნქციური ცვლილების ნიმუშად ინვერსიის მაგალითი გამოგვადგება: და-მ-ი-წერ-ი-ა, და-მ-ი-მალ-ავ-ს, გა-მ-ი-კეთ-ებ-ი-ა... მ-ი-ყვარ-ს, მ-წყურ-ი-ა, მ-ყავ-ს... მ-ე-მღერ-ებ-ა, მ-ე-პატარავ-ებ-ა ფორმებში ფუნქციური გადანაწილება სუბიექტურ და ობიექტურ პირებს შორის (ერთმანეთს ფუნქციურად შეენაცვლნენ) მოხდა ისე, რომ ეს ფორმობრივ სტრუქტურას, ფორმობრივ გამოხატულებას არ შეჰხებია: მ-ი-ყვარ-ს და მ-ი-წერ-ს ერთი ფორმობრივი სტრუქტურის მქონე ფორმებში გრამატიკული ფუნქციები ნაირგვარადაა განაწილებული. ეს ფუნქციური ცვლილება მთელ სისტემაში (უკვე ფუნქციურ სისტემაში) აისახა.

ფორმობრივი და ფუნქციური სისტემების თანაზომიერი ცვლილების ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს მ-ი-ყვარ-ს, მ-ძულ-ს, მ-გონ-ი-ა ფორმათა შეცვლა ვ-ყვარ-ობ, ვ-ძულ-ობ, ვ-გონ-ებ ფორმებით: I (გრამატიკულად, ფორმობრივად ობიექტური) პირის აქტიუროპის წარმოჩენამ („მოძალებამ“) შესაძლებელი გახადა ახალი ფორმობრივი სტრუქტურის წარმოქმნა.

XI

ენაში ცვლილების შესაძლებლობა უშუალოდ უკავშირდება იმას, რომ ენა შემოქმედებითი აქტია.

ის ფაქტი კი, რომ ცვლილებას მაინც აქვს საზღვრები, რომ იგი მოცემული ენის სტატუსის ფარგლებს არ სცილდება, განპირობებულია ენის მეორე თავისებურებით: ენა (გვეძლევა როგორც შედეგი, როგორც უკვე ფორმირებული თვითმყოფადი მონაცემი.

ცვლილება, უკეთ: განვითარება, ენას იცავს ცვეთისაგან, არ აძლევს ენას გაქვავების საშუალებას. ყოველგვარი ცვლილების საფუძველი თვით ენაში ძევს. ენა პოტენციურად გაცილებით მეტ შესაძლებლობას შეიცავს, ვინემ ეს მოცემულ მომენტში რეალურად რეალიზდება. აქ, ამ შემთხვევაში არ იგულისხმება ენისა და მეტყველების დაპირისპირება. ჩვენ საკუთრივ ენა გვაქვს მხედველობაში, მისი შინაგანი შესაძლებლობანი. განვითარების გარკვეულ საფეხურზე მ-ი-ყვარ-ს ფორმა სულ სხვაგვარი გრამატიკული ღირებულებისა იქნებოდა, ვინემ ახლაა (ინვერსიულ ზმნად იქცა) და ამის მიზეზი და საფუძველი თვით ენაში ძევს, მეტყველებამ ამ შესაძლებლობის რეალიზაცია (უკეთ: მანიფესტაცია, გაცხადება) მოახდინა მხოლოდ.

ენის პოტენცია ერთბაშად არასდროს რეალიზდება, იგი აკუმულირებულია ენაში და მისი მხოლოდ თანდათანობითი (უფრო ზუსტად: „გამოზოგვითი") გამოხატვა ხდება, თუნდაც იმიტომ, რომ პოტენციის უფრო სიღრმისეულ მოვლენათა გამოსავლინებლად საჭიროა ჯერ ზედაპირული ფენის მოხმარება, „აცლა". ენა სწორედ ასეთი მოხმარების შედეგად იძენს მოქნილობას, „უცვეთელობის" უნარს, სათანადო სიზუსტეს თავის სიღრმისეულ შესაძლებლობათა გამოყენებისას.

ენის ამ შინაგან შესაძლებლობათა გამოვლინება ხშირად, ასე ვთქვათ, „სამეტყველო ლიცენციის" სახით (რაც ძალიან ფართო მნიშვნელობით გვესმის) ხდება. აქვე შემოვა „პოეტური ლიცენციაც" (რომლის თარგზეც ვიყენებთ ზემოხსენებულ ტერმინს).

„პოეტური ლიცენცია" სპეციალურ ლექსიკონებში ნაირგვარად განიმარტება, მაგრამ არსი ყველა მათგანისა ძირითადად ეს არის: მწერლისა და, განსაკუთრებით, პოეტისათვის დასაშვები თავისუფლება (შესაძლებლობა), საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს ისეთი გრამატიკული ფორმები, კონსტრუქციები, წარმოთქმები, რომლებიც სავსებით ან ჩვეულებრივ არ იხმარება მეტყველებაში ([46], 58—59; [38], 84). ამგვარი განმარტების ნაკლი ის არის, რომ „პოეტური ლიცენციის" შექმნა-გამოყენება მთლიანად მწერლის ნება-სურვილზე დამოკიდებული ჩანს. გამოდის, რომ საჭიროების შემთხვევაში მწერალს საჭირო და სასურველი ნებისმიერი ენობრივი ფორმის შექმნა შეუძლია. სინამდვი-

ლეში ეს, რა თქმა უნდა, ასე არ არის. ენის შინაგან კანონზომიერებებს მწერალი ვერსად წაუვა. მწერალი მხოლოდ იყენებს ამ ენის შესაძლებლობებს, მათ შორის ისეთებსაც, რომლებიც მისი დროის წერით თუ ზეპირ მეტყველებაში არ გვხვდება. ამისდა კვალობაზე, პოეტურ ლიცენციას ასეთი განმარტება უფრო შეესაბამება: „პოეტური ლიცენცია" არის ენაში პოტენციურად მოცემული (მაგრამ მეტყველებაში არარეალიზებული) ფორმისა და ფუნქციის ინდივიდუალური რეალიზაცია მწერლის მიერ. ასეთი განმარტება აუცილებელს ხდის ნორმიდან („უზუსიდან") ყოველგვარი „გადახვევის" საფუძველი ისევ და ისევ ენაში ვეძიოთ. მწერალი პირველადმომჩენია ამ შესაძლებლობისა და არა გამომგონებელი.

ანალოგიური განმარტება უნდა მიეცეს „სამეტყველო ლიცენციასაც" (ამ ტერმინს ვამჯობინებთ ამჟამად გავრცელებულ „ინოვაციას", რადგან „სამეტყველო ლიცენცია", ვფიქრობთ, უკეთ წარმოაჩენს მოვლენის შემოქმედებით, „ქმნადობით" ასპექტს). პოეტურისაგან განსხვავებით, „სამეტყველო ლიცენცია" ყოველდღიურად უამრავი რაოდენობით წარმოიქმნება მეტყველებაში, მაგრამ ისევ უგზო-უკვლოდ იკარგვის და მხოლოდ მცირედი ნაწილი პოულობს ნოყიერ ნიადაგს გასავრცელებლად და დასამკვიდრებლად, მხოლოდ უმცირესი ნაწილი აღმოჩნდება საყოველთაოდ დამკვიდრებისათვის საჭირო მონაცემების მქონე და თანდათან, თითქმის შეუმჩნევლად, დაემყნობა ენაში, შემდეგ კი ასევე თანდათანობით იწვევს მანამდე არსებული შინაგანი წონასწორობის რღვევას, წარმოქმნის შინაგან მისწრაფებას ახალი თანაფარდობის დასამკვიდრებლად.

ყოველივე ეს აყენებს საკითხს ენობრივი პოტენციისა და რეალიზაციის შესახებ.

XII

ბ. კროჩემ თავისებურად ჩამოაყალიბა ის კონცეფცია, რომელიც ვ. ჰუმბოლდტთან იღებს სათავეს: ენა არის შემოქმედება და არა პროდუქტი. თუ ასეა, ჩვენ ვფლობთ არა ენას, არამედ მოცემულ ენაზე შემოქმედების (ანუ: მოცემული ენის შემოქმედებითად გამოყენების) უნარს. ე. ი. მეტყველ ინდივიდს ეძლევა არა ენა როგორც მზა პროდუქტი, არამედ ამ ენაზე შემოქმედების შესაძლებლობა: ლექსიკურ-გრამატიკული ინვენტარის, მიმართებათა დამყარების წესების მოხმარების უნარი ([44]). ამიტომაც, კ. ფოსლერის განმარტებით, „თავისი არსით ყოველი ენობრივი გამოხატულება ინდივიდუალური სულიერი შემოქმედებაა... მეტყველება სულიერი შემოქმედებაა" ([50], 296). ნიშანდობლივია ამ თვალსაზრისით კ. ფოსლერის ერთ-ერთი ნაშრომის

სათაურიც: „ენა როგორც შემოქმედება და განვითარება“, სადაც ფაქტიურად ფორმულის სახითაა მოცემული მისი ენობრივი კონცეფციის არსი.

ამრიგად, ინდივიდი კი არ იმეორებს ენას, არამედ ახდენს ენის თავისეულ წარმოსახვას (ჰუმბოლდტის თქმით: „ენის გაღვიძებას“), რადგან, აღნიშნავს ფოსლერი, „ვინმეს მეტყველების წარმოდგენა თუთიყუშების საქმეა... ისინი იმეორებენ მეტყველებას, მაგრამ არა აქვთ უნარი მისი შემოქმედებითი გამოყენებისა“ ([50], 296). მიუხედავად ზოგი საკამათო ან აშკარად მიუღებელი დებულებისა, უნდა ითქვას, რომ ენისადმი ასეთი დამოკიდებულება ენობრივი პროცესების ახლებურად დანახვის საშუალებას იძლევა. ამის კვალობაზე, ზემოხსენებული შეიძლება წარმოვადგინოთ ფორმულის სახით: ჩვენს მეტყველებაში ხდება არა ენის ფიქსაცია, არამედ ენის განვითარება. ეს, რა თქმა უნდა, მსგავსია უკვე ცნობილი და სავსებით მისაღები ფორმულისა, რომ ჩვენს მეტყველებაში ხდება არა განმეორება, არამედ წარმოსახვა ენისა, მაგრამ ხაზგასმა, რომ ხდება სწორედ განვითარება, წარმოაჩენს მიზეზს ენის უცვეთელობისა, იმისა, რომ, ბ. კროჩეს თქმით, „ენა დაუსრულებელი შემოქმედებაა“ ([44], 3).

მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, ენა რომ მარტოოდენ შემოქმედება (ენერგეია) იყოს, ყოველ ინდივიდს საშუალება ექნებოდა უკიდურესად თავისუფლად მოქცეოდა ენას. ეს კი ენას დაუკარგავდა თავის ერთ-ერთ ძირითად—კომუნიკაციურ—ფუნქციას. და თუ ასე არ ხდება, მხოლოდ იმიტომ, რომ ენა იმავედროულად მზა მოცემულობაც („ერგონ“, პროდუქტი, შედეგი) არის. სწორედ ამ „მზა მოცემულობაში“, შემოქმედებითად მიღებულ პროდუქტში (შედეგში) არის ჩადებული ის პოტენცია, რომლის ათვისებაც ხდება მეტყველის მიერ და რომელიც ენის შემდგომი განვითარების შესაძლებლობას შეაპირობებს. ამ განვითარებით, ამ ცვლილებებით განუწყვეტლივ იქმნება ენა. სამართლიანი თქმაა: „შევისწავლოთ ეს ცვლილებები... ნიშნავს, შევისწავლოთ ენობრივი ტრადიციების ჩამოყალიბება, ანუ: შევისწავლოთ თვით ენების შექმნის პროცესი“ ([43], 213). მაგრამ რატომ არის, რომ, მიუხედავად განუწყვეტელი განვითარებისა, ცვლილების, შექმნის განუწყვეტელი პროცესისა, ენა არ კარგავს თავისთავადობას, არ იქცევა სხვა ენად, როგორც მთლიანობა თვისობრივად არ უპირისპირდება იმას, რაც განვითარების მოცემულ საფეხურამდე იყო (XII საუკუნისა და XX საუკუნის ქართული ენა, მიუხედავად ცალკეული სხვაობისა, მაინც ერთი და იგივე ქართული ენაა)?. მაშასადამე, ენას ჰქონია რაღაც ისეთიც, რომელიც უცვლელი რჩება, რომელიც უნარჩუნებს ამ ენას თავისთავადობას, თავის შინაგან მთლიანობას, თავის გამოკვეთილ

ნიშან-თვისებას. ვუწოდოთ პირობითად ამ ფაქტორს „კონსტანტა“ („მუდმივი ფაქტორი“, „მუდმივა“).

XIII

ენობრივ ფორმათა უბრალო შეპირისპირებაც დაგვანახებს, თუ რა არის ეს „კონსტანტა“.

ზემოთ უკვე მოტანილი მაგალითი გავიხსენოთ:

ძველ ქართულში იყო:

და-უ-წერ-ი-ე-ს (I თურმ.)—ს-წერ-ი-ე-ს (სტატ. ზმნის აწმყო) ტიპის მიმართება,

ახალ ქართულში გვაქვს:

და-უ-წერ-ი-ა (I თურმ.)—ს-წერ-ი-ა (სტატ. ზმნის აწმყო) ტიპის მიმართება.

შეიცვალა მორფოლოგიური სტრუქტურა ფორმისა, შეიცვალა ამ სტრუქტურის შედგენილობაცა და მასში მონაწილე ფორმანტთა სახეობაც, უცვლელი დარჩა ერთი რამ: ფორმათა მიმართება.

სწორედ ეს ფაქტორი, ფორმათა მიმართების ფაქტორი განაპირობებს ენის შინაგან სტრუქტურას, სწორედ ამ ფაქტორის უცვლელობა განსაზღვრავს მოცემული ენის შინაგანი სტატუსის მუდმივობას. ენის შინაგანი ორგანიზაცია, რაც ფორმათა მიმართებებით ვლინდება, განაპირობებს ენის მდგრადობას.

რა თქმა უნდა, ყველა შემთხვევაში ასე იოლად არ წარმოჩნდება ეს შინაგანი მიმართებანი. ზოგჯერ კი ისეთი მაგალითებიც აღმოჩნდება, რომლებიც თითქოს სრულიად საპირისპირო ვითარებაზე მეტყველებენ.

XIV

ისევ უკვე ნახსენები მაგალითი მოვიგონოთ.

იყო: აწმყო: ა-ღ-ებ-ს—(I თურმ.:) გა-უ-ღ-ებ-ი-ე-ს

ნამყო ძირთ.: გა-ა-ღ-ო

არის: აწმყო: ა-ღ-ებ-ს—0

ნამყო ძირთ.: გა-ა-ღ-ო—გა-უ-ღ-ი-ა.

აშკარაა, რომ მიმართება იცვალა: I თურმეობითი სუყრდენად იღება აწმყოს ფუძეს, ახლა—იღებს ნამყო ძირითადის ფუძეს.

მაგრამ ამ პირველი შთაბეჭდილების მიხედვით რაიმე შორსმიმავალი დასკვნის გაკეთება ნაჩქარევი და გაუმართლებელი აღმოჩნდება ბოლოს. რამდენიმე არსებითი ხასიათის მომენტის გათვალისწინებაა აუცილებელი აქ.

უცვლელობა მიმართებებისა არ ნიშნავს აბსოლუტურად ყველაფრის უცვლელობას. ენობრივ მიმართებათა ერთი ნაწილი შეიძლება

იცვალოს, კერძოდ, ერთი სისტემის ფარგლებში მოხდეს ფორმათა მიმართებების გადანაწილება, ანდა ადრე დაუკავშირებელი სისტემების ფორმები დაუკავშირდნენ ერთმანეთს. ეს ცვლილება, რასაკვირველია, უკვალოდ არ ჩაივლის, თავის ნიშანს დაამჩნევს ენას, მის თვითმყოფადობას. იქ, სადაც ამ სახის ცვლილებებმა გლობალური ხასიათი მიიღო, შეიცვალა თვით ენის სტატუსიც. ასე დაუპირისპირდა ერთმანეთს, მაგალითად, ძველი ბერძნული და ახალი ბერძნული, ძველი სომხური და ახალი სომხური. ე. ი. ამ შემთხვევაში ენის განვითარების ორი საფეხური ერთმანეთს დაუპირისპირდება არა როგორც ორი მონაცემი ერთი და იმავე ენისა, არამედ როგორც ორი დამოუკიდებელი (ერთმანეთთან მხოლოდ გენეტურად დაკავშირებული) ენა. თუკი XX საუკუნის ქართული ენა მთლიანად და სავსებით არ უპირისპირდება V საუკუნის ქართულ ენას, როგორც ორი დამოუკიდებელი ენა ერთმანეთს, ეს იმიტომ, რომ ფორმობრივ მიმართებათა აბსოლუტური უმრავლესობა ქართულმა უცვლელად შეინარჩუნა. ამ შემთხვევაში ცვლილება წმინდა რაოდენობრივი ხასიათისა აღმოჩნდა, ისე, რომ იგი თვისობრივ ცვლილებად არ ჩაეთვლა.

მაგრამ მიმართებათა ცვლა შესაძლოა მოჩვენებითიც იყოს და, ვფიქრობთ, ზემოთ სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

თანამედროვე ქართულში გარდამავალი ზმნის I თურმეობითი ხან I სერიის ფუძეს იღებს საყრდენად (აკეთებ-ს — გააკეთ-ა — გაუკეთები-ა), ხან II სერიის ფუძეს (აღებ-ს — გააღ-ო—გაუღი-ა). ანალოგიური ვითარება გვაქვს II თურმეობითის წარმოების დროსაც: ხან I სერიის ფუძე გამოიყენება (აკეთებ-ს—გააკეთ-ა—გაეკეთებინ-ა), ხან II სერიისა (აღებ-ს — გააღ-ო — გაეღ-ო). ამ მაგალითების მიხედვით ვიტყოდით: თუ I თურმეობითი საყრდენად I სერიის ფუძეს იღებს (აკეთებს — გაუკეთებია), II თურმეობითიც (გაეკეთებინა) მასვე იმეორებსო, თუ ამოსავალია II სერიის ფუძე, ორივე თურმეობითში მაინც ერთნაირი მდგომარეობა დადასტურდებაო (აღებს — გააღო—გაუღია—გაეღო). მაგრამ ამგვარ დასკვნას ხსენებულის საწინააღმდეგო ფაქტები შეუშლის ხელს: ჯერ ერთი, -ავ და -ამ თემისნიშნიანი ზმნები განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებენ: I თურმეობითი ემყარება I სერიის ფუძეს, II თურმეობითი კი — II სერიისას:

აწმყო: მალ-ავ-ს — I თურმეობითი: და-უ-მალ-ავ-ს

ნამყ. ძირთ.: და-მალ-ა — II თურმეობითი: და-ე-მალ-ა.

გარდა ამისა, ძველ ქართულში, ხოლო ამჟამად ქართული ენის ზოგიერთ დიალექტში თანამედროვე სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებული მდგომარეობაა: II თურმეობითი საყრდენად იღებს II სერიის ფუძეს მაშინაც, როცა I თურმეობითისათვის ამოსავალია I სერიის ფუძე:

აწმყო: ა-კეთ-ებ-ს — I თურმეობითი: გა-უ-კეთ-ებ-ი-ა
ნამყ. ძირთ.: გა-ა-კეთ-ა — II თურმეობითი: (გა-ე-კეთ-ებ-ინ-ა კი არა, არამედ:) გა-ე-კეთ-ა.

ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ უნდა იყოს. არც ისაა შემთხვევითი, რომ დიალექტთა ერთ ნაწილში -ავ და -ამ თემისნიშნიანი ზმნები სხვაობენ სალიტერატურო ენის მონაცემთან შედარებით და ორივე თურმეობითში II სერიის ფუძეს ემყარებიან (მალ-ავ-ს — და-მალ-ა — და-უ-მალ-ი-ა — და-ე-მალ-ა).

ყველაფერი ეს გვავარაუდებინებს, რომ ჯერ სალიტერატურო ქართულში და არც დიალექტებში თავდაპირველი ვითარება სრულად არ უნდა იყოს დაცული, რომ ოდესღაც ერთიანი, მთლიანი სისტემის შემადგენელ მიმართებათა სხვადასხვა მონაცემია დაცული სხვადასხვა დიალექტში (დიალექტთა ერთი ნაწილიდან კი სალიტერატურო ქართულშია მოხვედრილი).

ძველი ქართულისა და დიალექტთა ერთი ნაწილის მონაცემთა საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ I და II თურმეობითებში პარალელურ ფორმათა არსებობა. ამ პარალელურ ფორმათაგან ერთი I სერიის ფუძეს იღებდა საყრდენად, ხოლო მეორე — II სერიის ფუძეს ემყარებოდა. მაშასადამე, უნდა გვქონოდა:

აწმყო: ა-კეთ-ებ-ს
ნამყო ძირთ.: გა-ა-კეთ-ა
I თურმეობ.: გა-უ-კეთ-ებ-ი-ა||*გა-უ-კეთ-ი-ა
II თურმეობ.: გა-ე-კეთ-ებ-ინ-ა||გა-ე-კეთ-ა

ამ სისტემაში ერთადერთი ფორმაა (*გა-უ-კეთ-ი-ა) თეორიულად აღდგენილი, დანარჩენი რეალურადაა დამოწმებული სალიტერატურო ენასა და დიალექტებში. ასევე ერთადერთი თეორიულად დასაშვები ფორმა იქნება აღდგენილი შემდეგ სისტემაში:

აწმყო: ა-ღ-ებ-ს
ნამყო ძირთ.: გა-ა-ღ-ო
I თურმეობ.: გა-უ-ღ-ებ-ი-ე-ს||გა-უ-ღ-ი-ა
II თურმეობ.: *გა-ე-ღ-ებ-ინ-ა||გა-ე-ღ-ო.

ანალოგიურად უნდა აიხსნას -ავ და -ამ თემისნიშნიანი ზმნების I თურმეობითში პარალელური ფორმების არსებობა:

აწმყო: მალ-ავ-ს
ნამყო ძირთ.: და-მალ-ა
I თურმეობ.: და-უ-მალ-ავ-ს||და-უ-მალ-ი-ა
II თურმეობ.: და-ე-მალ-ა.

და-უ-მალ-ი-ა არ არის ანალოგიით გაჩენილი ფორმა, როგორც ეს ზოგჯერ მიაჩნიათ (ანალოგიას ვარაუდობენ გა-უ-კეთ-ებ-ი-ა ტიპის ფო-

რმებთან). ეს რომ ასე იყოს, და-უ-მალ-ი-ა ფორმას ნაშთის სახით მაინც უნდა ჰქონდეს შემორჩენილი თემის ნიშანი: *და-უ-მალ-ვ-ი-ა ფონეტიკურ ნიადაგზე ეს თემის ნიშანი არ დაიკარგებოდა, აკი შენარჩუნებულია იგი იმავე თურმეობითში, როცა ორპირიან გარდაუვალ ზმნასთან გვაქვს საქმე: და-ჰ-მალ-ვ-ი-ა! გარდა ამისა, ანალოგიით ყველაფრის ახსნა შეუძლებელია. ანალოგიასაც თავისი მიზეზები და თავისი საზღვრები აქვს, თავისი საფუძველი ენაში, რისი გარკვევის გარეშე ანალოგიის დაშვება დამაჯერებელ ახსნად ვერ მიიჩნევა. ასე რომ, და-უ-მალ-ი-ა „თავისთავადი“ ფორმაა, II სერიის ფუძეზე დამყარებული, განსხვავებით და-უ-მალ-ავ-ს I სერიის ფუძეზე დამყარებული ფორმისაგან (შდრ.: [37]).

თუკი ეს ასეა, ასახსნელი დაგვირჩება მიზეზი, საფუძველი, ენობრივი მოდუსი ამგვარ პარალელურ ფორმათა არსებობისა, როცა I სერიას (ფორმობრივ) ფაქტიურად თავისი თურმეობითები მოეპოვება, II სერიას კი — თავისი. რა სახის სხვაობაა პარალელურ (და-უ-მალ-ავ-ს — და-უ-მალ-ი-ა) ფორმებს შორის: ოდენსტრუქტურული თუ იმავდროულად ფუნქციურიც? ახლა უფრო ის აზრი შეიძლება მოგვეჩვენოს მართებულად, რომ სხვაობა მარტოოდენ სტრუქტურული ხასიათისაა, მაგრამ სიღრმისეულმა ანალიზმა, არ არის გამორიცხული, სხვავარი აზრი დაბადოს. საქმე ისაა, რომ ხსენებული I თურმეობითები თავისი ბუნებით პერფექტებია. ცნობილი ფაქტია: პერფექტი წარმოადგენს აწმყოსა და ნამყოს თავისებურ სინკრეტულ ფორმას (აწმყოში მოცემულია მდგომარეობა, როგორც შედეგი ნამყოში ჩადენილი მოქმედებისა). ამ პოზიციიდან თუ შევხედავთ ზემოხსენებულ ფორმებს, ხომ არ უნდა გვეფიქრა, რომ ერთ-ერთ მათგანში (I სერიის ფუძეს რომ ემყარება) აწმყოს გრამატიკული ფუნქცია უნდა ყოფილიყო ხაზგასმული, ხოლო მეორეში (II სერიის ფუძეს რომ იღებს საყრდენად) — ნამყოს გრამატიკული ფუნქცია? მართალია, სულ სხვა პრინციპით, მაგრამ თურმეობითების პარალელურ ფორმებს შორის ფუნქციური დაპირისპირება ახლაც რეალური ფაქტია ქართული ენისა. იგულისხმება მოქმედებითი გვარისა და ე. წ. „მედიოაქტივის“ ფორმებით ლურმეობითები:

	მოქმედებითი:	„მედიოაქტივი“:
აწმყო:	ა-შფოთ-ებ-ს	შფოთ-ავ-ს
ყოფადი:	შე-ა-შფოთ-ებ-ს	ი-შფოთ-ებ-ს
ნამყო ძირთ.:	შე-ა-შფოთ-ა	ი-შფოთ-ა
I თურმეობ.:	შე-უ-შფოთ-ებ-ი-ა	უ-შფოთ-(ნ)-ი-ა
II თურმეობ.:	შე-ე-შფოთ-ებ-ინ-ა	ე-შფოთ-(ნ)-ა
(დიალექტ.: შე-ე-შფოთ-ა)		

როგორც ვხედავთ, ფუძეების მიხედვით აქ დინამიკური და სტატიკური (მოქმედებითი და „მედიოაქტივი“) ფორმებია დაპირისპირებული: პირველი მათგანი I სერიის ფუძეს ეყრდნობა I თურმეობითში, მეორე— II სერიის ფუძეს.

რა ფუნქციაა თავდაპირველი მიზეზი თურმეობითების პარალელურ ფორმათა დაპირისპირებისათვის, ამას დამატებითი კვლევა გაარკვევს, ის კი ნათელი უნდა იყოს (ვუბრუნდებით შინაგან მიმართებათა საკითხს!), რომ თურმეობითებსა და მათთვის ამოსავალ ფუძეებს შორის შინაგანი მიმართებები კი არ შეცვლილა, არამედ დიალექტების მიხედვით ნაირგვარად გადანაწილებულა, რაც შემდგომ კიდევ უფრო გაუღრმავებია თითოეულ დიალექტში უნიფიცირებისა თუ სხვა კილოური მოვლენის ტენდენციას.

ამრიგად, შესაძლოა კონკრეტულმა ფორმამ (ჩვენს შემთხვევაში „აღებს“ ზმნამ) შეიცვალოს სხვა ფორმებთან მიმართების სტატუსი, მაგრამ ეს სტატუსი ახალწარმოქმნილი, ამ კონკრეტული ფორმის მიერ ახლად შემოღებული კი არ არის, არამედ ენაში, სხვა ფორმების შემთხვევაში, რეალურად არსებულია და ფართოდ გამოყენებულიც. ასე რომ, აქ ენის შინაგანი მიმართებანი კი არ შეცვლილა, არამედ კონკრეტულმა ფორმამ უკვე არსებული ერთი სახის მიმართებიდან უკვე არსებულ მეორე სახის მიმართებაში გადაინაცვლა. ენობრივი „კონსტანტა“ ამ შემთხვევაში ზედმიწევნით შენარჩუნებული აღმოჩნდა, ენაში არაფერი შეცვლილა (ფორმათა გადანაწილება-გადანაცვლება მოხდა მხოლოდ, რაც ენის შინაგან ბუნებას, რა თქმა უნდა, ვერ შეცვლის).

მაშასადამე, ენის შინაგანი არსის, ენის თვითმყოფადობისა და თავისთავადობის შემნარჩუნებელი (დამცველი) „კონსტანტა“ უთუოდ რეალური მონაცემია. მისი უცვლელობაა ნებისმიერი ენის შინაგანი თვითმყოფადობის შენარჩუნების საფუძველი. ამ კონსტანტის ცვლილება ენის განვითარების ორ საფეხურს მკვეთრად დაუპირისპირებს ერთმანეთს, ხოლო გლობალური ცვლილება კი ფაქტიურად განვითარების ორ საფეხურს ისე დაუპირისპირებს ერთმანეთს, როგორც ორ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ (მხოლოდ გენეტურად დაკავშირებულ) ენას. ეს შეიძლება დაემართოს არა მხოლოდ საკუთრივ ენას, არამედ მის რომელიმე დიალექტსაც, რომელიც ამ მიზეზით დამოუკიდებელი ენის სტატუსს მოიპოვებს და ძირეული ენის პარალელურად იარსებებს.

ამრიგად, ენაში სინქრონიულისა და დიაქრონიულის გვერდით გამოიყო მუდმივი მონაცემიც, ის, რაც უცვლელადაა წარმოდგენილი ენის განვითარების ყველა საფეხურზე. ეს მუდმივი („კონსტანტა“) არის ენობრივ

ფორმათა და ფუნქცი თა შინაგანი ურთიერთმიმართებანი და სწორედ იგი განსაზღვრავს ენის თავისთავადობას, ენის მდგრადობას.

შინაგანი ურთიერთობა გულისხმობს ორი ან მეტი ენობრივი ფორმის (ასევე: ორი ან მეტი ენობრივი ფუნქციის) დამოკიდებულებას მკაცრი ურთიერთდეტერმინიზმის საფუძველზე. ამით ისიც ივარაუდება, რომ სწორედ ამ დეტერმინიზმის პრინციპზეა დამყარებული ყოველი ფორმისა და ფუნქციის სტრუქტურული ყალიბი ენაში, რადგან სტრუქტურის ყოველი ელემენტი დეტერმინირებულია, განპირობებულია სხვა ენობრივ ფორმებთან ურთიერთობით.

იმის გამო, რომ ყოველივე ზემოხსენებული ენის ძირითად არსს ქმნის, ენობრივი კვლევის ძირითადი გეზიც აქეთკენ უნდა წარიმართოს: დადგინდეს შინაგან მიმართებათა სახეობანი, მათი შემადგენელი ელემენტები, გაირკვეს მიზეზი ამა თუ იმ დამოკიდებულებისა. ეს ეხება როგორც ენობრივ ფორმას, ასევე ენობრივ ფუნქციას, ორივეს ცალცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და ორივეს მთლიანობაში, როგორც ერთმანეთზე დამყარებულთ. ეს კი აუცილებელს ხდის კვლევის შესაბამისი კრიტერიუმებისა და პრინციპების დადგენას; გარდა ამისა, ფორმობრივი და ფუნქციური კატეგორიების გამოყოფასა და მათი რაობის წარმოჩენა-შესწავლას.

XVI

სინქრონიისა და დიაქრონიის გვერდით ჩვენ განგებ არ ვასახელებთ „აქრონიას“ ან „პანქრონიას“, ტერმინებს, რომლებიც უკვე არსებობენ სპეციალურ ლიტერატურაში. არსი ამ ტერმინებისა ე. ბრონდალმა ასე ჩამოაყალიბა: „ხომ არ შეიძლება სინქრონიისა და დიაქრონიის გვერდით წარმოვადგინოთ პანქრონიაც ანუ აქრონიაც, ე. ი. საერთო-საკაცობრიობო ფაქტორები, რომლებიც მყარად მოქმედებენ ისტორიის მანძილზე და წარმოჩნდებიან ნებისმიერი ენის წყობაში?“ ([39], 417).

ტერმინი „აქრონია“, ანუ: „დროის გარეშე“ საერთოდ მიუღებლად მიგვაჩნია, რადგან ენაში არაფერი არსებობს ისეთი, რაც დროის გარეშე ფუნქციონირებს. თვით მუდმივიც დროსთან შეფარდებით დგინდება. რაც შეეხება „პანქრონიას“, იგი არსებითად განსხვავდება მუდმივის ჩვენეული გაგებისაგან: პანქრონია ის მუდმივია, რომელიც ყველა ენაში იჩენს თავს, არსებითად ეს არის ენის ფუნქციონირების ლოგიცისტური საყრდენის ძიება. „კონსტანტა“ („მუდმივა“) კი, ჩვენი წარმოდგენით, არის ის მუდმივი, რომელიც საკუთრივ მოცემულ ენაში იჩენს თავს და რაც მას სხვა ენებისაგან განასხვავებს.

შემდეგ: ენათმეცნიერული კვლევის მიზნად ენობრივ მიმართებათა აღწერა ადრეც იყო დასახული ([41], 424), მაგრამ, ჯერ ერთი, ეს იყო

სწორედ რომ აღწერის დასახვა მიზნად და არა ამ მიმართებათა მიზეზობრივი საფუძვლის შესწავლის მოთხოვნა. გარდა ამისა, ეს მიმართებანი იხსენიება როგორც აბსტრაჰირებული სქემები, რაც ფაქტიურად ძლიერ გამარტივებული წარმოდგენაა ენაში რეალურად არსებული ვითარებისა. და ბოლოს: მიმართებათა კვლევა მათში მონაწილე ელემენტთა შინაგანი სტრუქტურის გამოწვლილვით შესწავლასაც ვარაუდობს, რადგან კანონზომიერ ურთიერთდამოკიდებულებას ამყარებენ არა მხოლოდ ენობრივი ფორმები (და-თეს-ა — და-უ-თეს-ი-ა — ს-ი:ეს-ი-ა), არამედ თითოეული ამ ფორმის შემადგენელი ელემენტებიც (ფორმანტებიც): ურთიერთმიმართება რომელიმე და-უ-თეს-ი-ა ფორმის შემადგენელ ელემენტებს შორის არა ნაკლებ რთულია და არა ნაკლებ არსებითი ენის შინაგანი ბუნებისათვის. ნებისმიერ მიმართებაში მონაწილე ფორმათა შინაგანი სტრუქტურა არსებითად განსაზღვრავს მთლიანად ამ მიმართებათა სტატუსს: სისტემაში ყველაფერი — უმარტივესი შენებიდან ურთულეს სტრუქტურამდე აგების ერთიან პრინციპს ექვემდებარება. ამიტომაც ამ მიმართებათა აღწერისას მათში შემავალ ელემენტთა რაობის უგულვებელყოფა (ან მეორე რიგის მოვლენად მიჩნევა) სავსებით გაუმართლებელია, ხოლო მეთოდოლოგიურად ამგვარი შესაძლებლობის დაშვება (იხ. [41], 424) — მიუღებელი.

თავი III

ენის ფორმობრივი და ფუნქციური კვლევის მეთოდოლოგიური საკითხები

1

თანამედროვე ენათმეცნიერებაში უკვე კარგა ხანია დაისვა საკითხი ენობრივი ფორმისა და ენობრივი ფუნქციის ურთიერთმიმართების თაობაზე. ასეთ ვითარებაში აუცილებელი ხდება გამოძებნა იმ კრიტერიუმებისა, რომლებიც შეგვაძლებინებენ ენობრივი ფორმისა და ფუნქციის ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ანალიზს. მართალია, ამის აუცილებლობა ადრევე იყო აღნიშნული, მაგრამ ამ სწორი წანამძღვრის საფუძველზე, როგორც წესი, ორ, ერთმანეთის საპირისპირო უკიდურესობამდე მიდიოდა საქმე: ერთ შემთხვევაში ხდებოდა ენობრივი ფუნქციის (შინაარსის) სრული უგულვებელყოფა, ხოლო მეორე შემთხვევაში ფაქტიურად უყურადღებოდ რჩებოდა ენობრივი ფორმა და კლასიფიკაცია-კვალიფიკაცია მარტოოდენ ფუნქციის საფუძველზე ხდებოდა. მაგრამ ენათმეცნიერებაში შეუძლებელია იმთავითვე დავუშვათ რომელიმე მათგანის პრიმატი, რაც გარდაუვალ ცალმხრივობამდე მიგვიყვანს. ენაში არსებობს როგორც ფორმობრივი, ასევე ფუნქციური კატეგორიები და მიზანიც ეგ არის: დადგინდეს თითოეული მათგანისათვის კვლევის მართებული პრინციპები, თითოეული მათგანის სისტემათა და სტრუქტურათა თავისებურებანი, ხოლო შემდგომ მოხდეს მათ ურთიერთმიმართებათა გამოკვლევა, დადგენა იმისა, თუ რა ფორმით გამოიხატება რომელიმე ენობრივი ფუნქცია და რა არის ამის მიზეზ-საფუძველი.

ფუნქციისა და ფორმის ერთმანეთისაგან დამოუკიდებლივ კვლევის აუცილებლობაზე მიგვანიშნებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ენაში ძალიან ხშირად ხდება ნაირგვარი ფუნქციის გამოხატვა ერთი და იმავე ფორმით და, პირიქით, ერთი ფუნქცია ხშირად რამდენიმე ფორმით გადმოიცემა.

ამდენად, ჩვენს მიზანს წარმოადგენს, დავკვალოთ ის გეზი, რომელიც შეგვაძლებინებს ენობრივი ფორმის, მისი შემადგენელი ელემენტების ფუნქციისაგან დამოუკიდებელ ანალიზს. ეს იქნება გამოძიება კრიტერიუმისა, რომელიც წმინდა ფორმობრივ კვალიფიკა-

ციას მისცემს ენობრივი ფორმის შემადგენელ ელემენტებს, შეგვაძლებინეს ფორმანტთა (მორფემათა) კვალიფიკაციას მათივე ფორმობრივ მონაცემთა საფუძველზე.

II

რითი უნდა დავიწყოთ?

რა არის ის უცილობელი ფაქტი, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს მოვუძებნოთ ფორმობრივ ანალიზს მყარი, უეჭველი და უცვლელი საფუძველი?

გრამატიკისა თუ, საერთოდ, ენათმეცნიერების ისტორია აშკარად მოიცავს (როგორც ერთ-ერთ განმსაზღვრელს) ამგვარი კრიტერიუმების ძიების ფაქტებს. უძველესი ინდური (პანინის) გრამატიკიდან დაწყებული, შემდეგ: ბერძნულ-ლათინური გრამატიკების ჩათვლით (რომელთა პრინციპები ფაქტიურად დღემდე ბატონობს ჯველა ერისა და ენის სასკოლო გრამატიკებში), შუა საუკუნეების რაციონალურ-ლოგიცისტური გრამატიკები და შემდგომი დროის ცდები ლინგვისტური კვლევა-ძიების მეთოდების დადგენა-დახვეწისა, აშკარად მიგვანიშნებს იმ სტიქიურ თუ გაცნობიერებულ სურვილზე, რომ დაძებნილიყო ენაში ისეთი რამ, რაც უცვლელი პრინციპია მისი არსებობისა და ფუნქციონირების მთელ მანძილზე და რაც იმავდროულად განსაზღვრავს ენის ლინგვისტურ არსსა და სახეს. ამ ხანგრძლივი კვლევა-ძიების პროცესში აშკარად ილანდებოდა ერთი უცილობელი თვისება ენისა, კერძოდ: ენის ყოველი ფორმა, ყოველი სტრუქტურა თუ სისტემა მკაცრად დეტერმინირებულია, განსაზღვრულია სხვა ფორმით, სტრუქტურითა და სისტემით და თავადაც განმსაზღვრელად ევლინება სხვა სტრუქტურებსა და სისტემებს.

III

დეტერმინიზმის იდეას ფილოსოფიაში ხანგრძლივი და იმავდროულად წინააღმდეგობრივი ისტორია აქვს. სათავეს იგი (როგორც ბეცნიერული სისტემა) ანტიკურ ფილოსოფიაში იღებს (კერძოდ, დემოკრიტეს კონცეფციაში). გარკვეული მოდიფიკაციებით დეტერმინიზმის პრინციპი გამოყენებულ იქნა მეცნიერების სხვადასხვა დარგში, უპირველესად კი საბუნებისმეტყველო დარგებში.

რა განსხვავებაა დეტერმინიზმისა და სისტემის შემადგენელი ელემენტების ურთიერთშეპირობებულობა-განსაზღვრულობის ცნებებს შორის? უკანასკნელის კლასიკური კვალიფიკაცია ი. კანტის

მიერაა მოცემული: „წმინდა გონება არის ისეთი განკერძოებული, თავის თავში ჩაკეტილი სფერო, რომ წარმოუდგენელია მის რომელსამე ნაწილს შევეხოთ და სხვა ყველა დანარჩენი ნაწილი ხელუხლებელი დავტოვოთ... ყოველი მისი ნაწილის მნიშვნელობა და მოხმარება დამოკიდებულია იმ მიმართებაზე, რომელშიაც იგი იმყოფება გონების სხვა ელემენტებთან, როგორც თითოეული ორგანული სხეულის ნაწილების აგებულება ისეთია, რომ თითოეული ნაწილის მიზანი დამოკიდებულია ორგანული მთლიანობის ცნებაზე"... ([55], 55-56). ეს პრინციპი დაედო შემდგომ საფუძვლად სტრუქტურალიზმის იდეასა და განხორციელდა სტრუქტურული კვლევის პრინციპებში (თუმცა ზოგჯერ აშკარად ცალმხრივად).

როგორც ვხედავთ, მთლიანის ელემენტთა ურთიერთშეპირობებულობას ეს პრინციპიც აღიარებს. მაშ, რა განასხვავებს მას დეტერმინიზმისაგან? საქმე ისაა, რომ დეტერმინიზმი არა მხოლოდ ურთიერთშეპირობებულობას გულისხმობს, არამედ იმავდროულად მიზეზ-შედეგობრივობის დადგენასაც ვარაუდობს მოქმედი სტრუქტურისა თუ სისტემის ფარგალში.

IV

არ შეიძლება ითქვას, რომ ენათმეცნიერებაში ეს იდეა (თუნდაც სტიქიურად წარმოჩენილი) სრულიად უცნობი იყო, მაგრამ ფაქტია, რომ მან აქ დღემდე ვერ მოიკიდა მყარად ფეხი. მიზეზი ამისა მრავალია. ჯერ ერთი, ბოლომდე ვერ დადგინდა დეტერმინიზმის ენობრივი ბუნების არსი და მნიშვნელობა, მისი მექანიზმი. გარდა ამისა, ვერ იქნა მიკვლეული დეტერმინიზმის ნიშნები ყველა ფორმასა თუ სტრუქტურაში, რის გამოც ერთმანეთით აშკარად ურთიერთგანსაზღვრული ფორმები ერთმანეთისაგან სავსებით დამოუკიდებლად გახიხილება. სხვა მიზეზი: ამჟამად ლინგვისტური კვლევის ორი ურთიერთსაპირისპირო პრინციპი მოქმედებს: ერთის მიხედვით ენობრივი ფაქტების გამოძიება-კვალიფიკაცია არსებითად მკვლევარის ინტუიციას ემყარება, მეორე კი „ზუსტი" მეთოდების იმგვარ განუხრელ გამოყენებას მოითხოვს, რომ ხშირად ყოველი ამგვარი ფორმულა თუ სქემა ლინგვისტური ფაქტოლოგიის გარკვეული, წინასწარ დაშვებული კრიტერიუმებისადმი ხელოვნურ მისადაგებამდე დადის.

V

ამრიგად, ენობრივი ფორმების დეტერმინიზმი — მკაცრი მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთგანსაზღვრულობა ენობრივი ელემენტები-

სა და ამის საფუძველზე მათ ურთიერთმიმართებათა დადგენა, აი, ეს ჩანს ამჯერად ყველაზე უფრო რაციონალური კრიტერიუმი, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს ენის კვლევას.

VI

თავდაპირველად უნდა ვაჩვენოთ, თუ რას ნიშნავს ენობრივ ფორმათა დეტერმინიზმი და როგორ ვლინდება იგი კონკრეტულ ენობრივ სისტემაში.

ავიღოთ წყვილები:

1. ა-თეთრ-ებ-ს — თეთრ-დ-ებ-ა
2. ბარ-ავ-ს — ი-ბარ-ებ-ა || ი-ბარ-ვ-ი-ს.

ტრადიციული განმარტებით, თითოეულ მათგანში გვარის კონვერსიულ ფორმებთან გვაქვს საქმე: მოქმედებითი (ა-თეთრ-ებ-ს, ბარ-ავ-ს) და ვნებითი (თეთრ-დ-ებ-ა, ი-ბარ-ებ-ა || ი-ბარ-ვ-ი-ს). ეს ფაქტურად ამ ფორმათა ფუნქციური, შინაარსობრივი დახასიათებაა. დამატებით აქ გარდაქცევითობისა და ინსტრუნეტატივის ფუნქციების შემოტანაც შეიძლება, მაგრამ ეს ყველაფერი მაინც სემანტიკური სისტემის ფარგლებში ექცევა (ეგეც, რა თქმა უნდა, ცალკე ლინგვისტური კვლევის საკითხია და კვლევის თავისეულ მეთოდებს, პრინციპებსა და მიდგომას მოითხოვს). რაც შეეხება წმინდა ფორმობრივ ანალიზს, ტრადიციულად აქ ყველაფერი იწყება თითოეულ ფორმის შემადგენელი ელემენტების სეგმენტაციით ორი ძირითადი, კლასიკური პრინციპის მიხედვით: ა). განმეორებადი მორფემებისა და ბ). უცვლელი მორფემების ურთიერთშედარებით. ირკვევა თითოეული მათგანის ფუნქცია როგორც პარადიგმულ თუ სინტაგმურ ფორმებთან, ასევე მათი ურთიერთმიმართებების საფუძველზე. აქვე განიხილება ვნებითის ყალიბიც: სუფიქსიანი თუ პრეფიქსიანია წარმოებული ტიპი.

არსებითად ამით სრულდება ფორმობრივი ანალიზის ძირითადი საფეხური, რომლის შემდგომ კვლევა წარიმართება ან ფორმათა ისტორიის, ან სტრუქტურული შედგენილობის ანალიზის გეზით და ისიც გარკვეული მიზნით: დადგინდეს გენეტური ან ტიპოლოგიური ბსგავსება-განსხვავება სხვა ენების ანალოგიურ სტრუქტურებთან.

დეტერმინიზმის პრინციპი კი ვარაუდობს ზემოაღნიშნულ ფორმებს შორის მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთგანსაზღვრულობის დადგენასაც, იმის გამოკვლევას, თუ რომელი ფორმა რომლითაა პირობადებული. ამგვარი მიდგომა ჩვენს შემთხვევაში მაშინვე გაარკვევს, რომ ე. წ. მოქმედებითი გვარის ა+ ფუძე +ებ აწმყოსეულ ყალიბს,

როგორც წესი, ენებითში სუფიქსიანი ფორმები შეესაბამება (ყალიბი: ფუძე+დ+ებ), ხოლო ფუძე + -ავ ყალიბის მქონე ფორმები ე. წ. პრეფიქსიან ენებითებს შეითავსებენ (ყალიბი: ი ‖ ე+ფუძე+ები, ან: ი ‖ ე+ფუძე+ვ+ი-). რასაკვირველია, გამონაკლისები არის (მაგალითად, ა-გზნ-ებ-ს, ა-ქ-ებ-ს, ა-ღ-ებ-ს ფორმები სავარაუდო სუფიქსიანი ენებითების ნაცვლად პრეფიქსიან ენებითებს შეითავსებენ), მაგრამ ეს გამონაკლისები, ჯერ ერთი, უკეთ წარმოაჩენენ მთელი სისტემის ელემენტების მკაცრ ურთიერთშეპირობებულობას და, გარდა ამისა, დასვამენ ახალ საკითხს: რა არის მიზეზი ამგვარი „გადახრისა“, სად უნდა ვეძიოთ მისი საფუძველი? ეს კი შეგვაძლებინებს ახალი კუთხით შევხედოთ არსებული ლინგვისტური პრინციპების საფუძველზე უკვე თითქოსდა კარგად ცნობილ და დადგენილ საკითხებს.

ზემოაღნიშნული მარტივი და შესამჩნევი მაგალითია და თვალსაჩინოებისათვის იყო აქ მოტანილი. მისი ანალიზიც მარტოოდენ აქ მოხმობილი ფორმებით არ ამოიწურება. უფრო ღრმად ჩახედვა დეტერმინიზმის აშკარა ქმედების უფრო ფართო, შეიძლება ითქვას, გლობალურ არეს დაგვალანდინებს და ნათლად დაგვანახებს ენობრივ ფორმათა მიზეზ-შედეგობრივ ურთიერთდამოკიდებულების უცილობელ ფაქტს, რაც აგვახსნევინებს კიდეც თანამედროვე ენათმეცნიერებაში არსებითად უფრო აპრიორულად შენიშნულ, ვინემ ფაქტობრივ დასაბუთებულ მოვლენას, რომ ყოველი ცვლილება ენის რომელიმე მონაკვეთში არსებითი ხასიათის ძვრებსა და ცვლილებებს იწვევს თითქოსდა სავსებით დაცილებულ ფორმებსა და სტრუქტურებში.

VII

იმავდროულად აქ ჩვენ უშუალოდ მივადექით მორფემათა გამოყოფისა და კლასიფიცირების საკითხს.

ლ ბლუმფილდს მოაქვს ერთი მაგალითი, როცა აშკარად შედგენილი ფორმა არ ექვემდებარება დანაწევრებას, თუმცა ინტუიციურად მასში აშკარად გამოიყოფა შემადგენელი ელემენტები. ეს სიტყვაა ინგლისური სიტყვა blackbird („შაშვი“): სიტყვის სეგმენტირება უკვე არღვევს მის მთლიანობას და შემადგენელ ელემენტთა ანალიზი ფაქტიურად ვერაფერს მოგვცემს ამ სიტყვის, როგორც მთლიანობის, დახასიათებისათვის. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ black birds („შავი ჩიტები“) და გავთიშოთ კიდეც ეს შესიტყვება: black — I should say, bluish - black — birds („შავი — მე ვიტყოდი, მოლურჯო-შავი—ჩიტები“), ან დავაზუსტოთ განსაზღვრება: very black birds („ძალიან შავი ჩიტები“), მაგრამ სიტყვა blackbird („შაშვი“)

არ ექვემდებარება ამგვარ მანიპულაციებს და ამიტომაც ზემოაღნიშნულ ანალიზს არაფერი აქვს მასთან საერთო ([70], 251). იგი განუყოფელი მთლიანობაა (თვით ბლუმფილდი ამას „დაუნაწევრებელ ნიშან-თვისებას“ უწოდებს) და შესაფერის ანალიზს მოითხოვს, მისი მთლიანობის სრული დაცვითა და გათვალისწინებით. ისევე, როგორც ქართული „ცისარტყელა“, „ხმალამოწვდილი“ და ა. შ. მართლაც, რომელიმე „ხმალამოწვდილი“ ფორმა რომ დავშალოთ (ხმალ-ამოწვდილი) არსებული პრინციპების მიხედვით, უთუოდ წინააღმდეგობას წავაწყდებით: „ამოწვდილი“ ცალკე აღებულად ე. წ. ვნებითი გვარის (პასიური) მიმღეობაა, მაშინ, როდესაც ერთიანი ფორმა „ხმალამოწვდილი“ აშკარად მოქმედებითი გვარის (აქტიური) ფუნქციის მატარებელია (ამის შესახებ იხ.: [59], 583 — 586. [66], 077). მეტიც: ზოგჯერ ასეთი დანაწევრება ყველა შემადგენელი ელემენტის რაობასაც ვერ გაარკვევს. მაგალითად, სიტყვაში cranberry („შტოში“) ადვილად ამოიცნობა ელემენტი berry („კენკრა“), რაც სხვა კომპოზიტებშიც გვაქვს, (მაგალითად, blackberry „შავი მოცხარი“, სიტყვასიტყვით: „შავი კენკრა“), მაგრამ ცალკე აღებული *cran არ გვხვდება და არც სხვა რომელიმე კომპოზიტში შედის ([70], 167).

ზემოხსენებული ფორმები ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორაა შესაძლებელი ენაში ორი ელემენტი ისე შეხორცდეს და ერთ განუყოფელ მთლიანობად იქცეს, რომ ზოგჯერ მათ შორის შეერთების შეგრძნება მიჭნა, ზღვარი არც კი ილანდებოდეს. ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ კომპოზიციის დროს არ ხდება. უშუალოდ მორფოლოგიაშიც საკმაოდ დაიძებნება ანალოგიური მაგალითები. ამ რიგის ფორმაა, მაგალითად, „კრებ-ს“ (ასევე: „კრეფ-ს“), რომლის დანაწევრება ფუძის შემადგენელ ელემენტებად კვლევის არსებული აპარატურით შეუძლებელია: კრ-ებ, რომელიც ინტუიციურად თითქოს უეჭველია, სეგმენტირების არსებული კრიტერიუმებით ვერ საბუთდება.

VIII

ენობრივი მონაცემის შემადგენელ ელემენტებად დანაწევრებისათვის (სეგმენტირებისათვის), რასაკვირველია, არსებითი მნიშვნელობა აქვს ამ ელემენტთა ურთიერთდეტერმინირების ფაქტორს, იმას, რაზედაც გაკვრით ზემოთ გვქონდა საუბარი.

დეტერმინირების ცნება უცხო არ არის ენათმეცნიერებაში, სხვა საკითხია, თუ რა თვალსაზრისით გამოიყენება იგი. მაგალითად, ლ. იელმსლევი განმარტავს: „სელექციას ჩვენ ვუწოდებთ პროცესში

წევრებს შორის დეტერმინაციას, ხოლო დეტერმინაციას სისტემის წევრებს შორის—(ვუწოდებთ) სპეციფიკაციას“ ([73], 284—285), უფრო კონკრეტულად ეს ასე წარმოგვიდგება: ურთიერთდამოკიდებულებას, როცა ერთი წევრი გულისხმობს მეორის არსებობას და პირიქით, იელმსლევი უწოდებს „ინტერდეპენდენციას“, ხოლო ცალმხრივი დამოკიდებულება, როცა ერთი წევრი ვარაუდობს მეორის არსებობას, მაგრამ პირიქით კი აღარა, იწოდება „დეტერმინაციად“, უფრო თავისუფალი ურთიერთდამოკიდებულებები, როცა წევრები ურთიერთშეთავსებულია, მაგრამ აუცილებლად არ გულისხმობენ ერთმანეთის არსებობას, იწოდება „კონსტელაციებად“ ([73], 284).

ერთი შეხედვით, აქ სწორედ ისაა წარმოდგენილი, რაც ჩვენ დეტერმინაციად ვივარაუდეთ ზემოთ. მაგრამ თუკი გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ, მაგალითად, დეტერმინაციის ნიმუშად იელმსლევს დასახელებული აქვს წინდებულის მიერ გარკვეული ბრუნვის მოთხოვნა (ლათინურში sine წინდებული გულისხმობს ტექსტში მოქმედებითი ანუ დაწყებითი ბრუნვის არსებობას: sine patre „უმამოდ“), მაშინ გასაგები გახდება, რომ იელმსლევი ენის ანალიზის გლოსემატიკური პრინციპებისათვის ამ ტერმინებს დაახლოებით იმავე მნიშვნელობით იყენებს, რაც ივარაუდება ტერმინებში: „საურთიერთო მართვა“, „ცალმხრივი მართვა“, „მირთვა“. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს ენობრივი დეტერმინაციის ცნებაში შემოდის, მაგრამ დეტერმინაცია, ჩვენეული გაგებით, გაცილებით უფრო ფართო ენობრივ სფეროს მოიცავს: ჯერ ერთი, იგი სცილდება ტექსტის „ხაზოვანი განხილვის“ პრინციპს და ამიტომაც მხოლოდ იმას კი არ ითვალისწინებს, თუ რა მიმართებებია მოცემული ტექსტის მოცემული მონაკვეთის ელემენტებს შორის, არამედ განსახილველი სტრუქტურის საერთო-ენობრივ საფუძვლებსაც იკვლევს (იხ. მიმართება: „ათეთრებს→თეთრდება“ და „ბარავს→იბარება“, ასევე: „დაუწერია→სწერია“); გარდა ამისა, დეტერმინაცია, ვფიქრობთ, სწორედ ენობრივი დინამიკის თვალსაზრისითაა ფასეული, ენის შინაგანი ბუნებით გამოწვეულ ცვლილებათა გამოსაძიებლად და არა ენის აბსტრაჰირებული სტატიკური სქემების წარმოსადგენად.

IX

როდესაც ენობრივ მონაცემთა დანაწევრებაზე (სეგმენტირებაზე) ვლაპარაკობთ, ერთი არსებითი ხასიათის მომენტი უნდა გავითვალისწინოთ. კერძოდ, თავდაპირველად უნდა განირჩეს „საკომუნიკაციო სეგმენტაცია“ და „ლინგვისტური სეგმენტაცია“.

საკომუნიკაციო ფუნქცია განსაზღვრავს ენობრივ მონაცემთა სეგ-

მენტირებას ლოგიკური სისტემების მიხედვით, რაც შეაპირობებს კიდეც მყარი თუ მერყეევი პროკლიტიკისა და ენკლიტიკის შემთხვევებს, წინადადების ძირითადი ბირთვების ირგვლივ სხვა წევრების თავმოყრას და ა. შ. მართალია, ყოველი ენა თავისებურად „ანაწევრებს“ ობიექტური რეალობის მოვლენებს და ისე წარმოგვიდგენს მას, მაგრამ ეს დანაწევრება ემსგავსება მხატვრის მიერ ნახატზე ყოველი ნაკვთის თანამიმდევრულ და ნაწილ-ნაწილ გამოსახვას, რასაც სრულიადაც არა აქვს ის მიზანი, რომ მნახველმაც ასევე ნაწილ-ნაწილ, ნაკვეთების გამოსახვის თანამიმდევრობით აღიქვას სურათი. ასევე, ენით გადმოცემული ყოველი ინფორმაცია აღიქმება როგორც მთლიანობა და მისი შემადგენელი მონაკვეთების გამოყოფა ემსგავსება ცალკეულ გამოხატულ საგანთა გამოცალკევების შესაძლებლობას სურათზე წარმოდგენილი მთლიანობიდან (შდრ.: [80], 380). მაგრამ ისევე, როგორც ხელოვნებათმცოდნე სურათზე დაუწყებს ძებნას და შეფასებას გამოსახვის საშუალებათა ყოველ დეტალს, ენათმეცნიერიც, კვლევის მიზნებისათვის, შეეცდება ინფორმაციის გადმომცემი ყოველი მონაკვეთის გამოწვლილვით ანალიზს. საკომუნიკაციო სეგმენტაცია (რომელსაც ფართო მნიშვნელობით ვიყენებთ საერთოდ ყოველგვარი ენობრივი გამოხატვის აღსანიშნად) წმინდა პრაგმატული მოვლენაა. მისთვის არსებითია ის, რაც უნდა გადმოიცეს, ის ინფორმაცია, რომელიც უნდა მიეწოდოს ადრესატს, მისთვის სწორედ ეს არის განმსაზღვრელი და ამიტომაც იგი ხშირად „შეიწირავს“ ხოლმე სკრუპულოზური ლინგვისტური თვალსაზრისით აუცილებელ ელემენტებს, ადვილად შეელევა მათ , თუკი ეს მეტ ექსპრესიულობას შესძენს გამონათქვამს: „ჯაღარა გული“ გალაკტიონთან „ჯაღარა კაცის გულის“ ტრანსფორმირებით, „იისფერი თოვლი“ — „იისფრად მომჩინარი თოვლის“ ტრანსფორმირებით და ა. შ.

ლინგვისტური სეგმენტაციის მიზანია მოამზადოს ნიადაგი ენის ფორმობრივი ინვენტარის საანალიზოდ. რომელიმე გა-კეთ-ებ-ულ-ი მიმღეობა არასდროს სეგმენტირდება საკომუნიკაციო თვალსაზრისით. ამ დროს იგი დაუნაწევრებლად შედის ენობრივ მიმართებებში, უკეთ: თვით ქმნის ამ მიმართებებს როგორც მათი შემადგენელი ელემენტი. მაგრამ იმავდროულად იგი აუცილებლად დანაწევრდება ლინგვისტური თვალსაზრისით.

X

„მხოლოდ ინფორმაციის შემცველი ელემენტებია მნიშვნელოვანი ენათმეცნიერებისათვის“ — აღნიშნავს ა. მარტინე ([80], 396). გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მნიშვნელობას (ანუ: „ინფორ-

მაციის მქონებლობას") თითოეული ელემენტი ღებულობს და „აზუსტებს" მხოლოდ სხვა ელემენტებთან ურთიერთობისას. თავისთავად ცხადია, რომ ამ განმარტებით იმთავითვე ივარაუდება ფორმობრივ ანალიზში მნიშვნელობის შემოტანის აუცილებლობა. ეს არის, ასე ვთქვათ, პრინციპული დაპირისპირება წმინდა ფორმობრივი ანალიზის მიზნით ჩატარებული, ფაქტიურად ნაკლებშედეგიანი ან სულაც უშედეგო, ცდებისადმი. თვით ამგვარი კვლევის შესაძლებლობას, მეტი რომ არა ვთქვათ, უნდობლად შეხვდა ენათმეცნიერთა დიდი ნაწილი. ამგვარი დამოკიდებულება საკმაოდ მკვეთრად გამოთქვა ე. ბენვენისტმაც: „იმის ნაცვლად, რომ თავის დაღწევა ვეცადოთ „მნიშვნელობისაგან" და გამოვიგონოთ რთული, იმავდროულად უმოქმედო, საშუალებანი მხოლოდ ფორმობრივი ნიშან-თვისებების გამოსავლენად, სჯობს პირდაპირ ვაღიაროთ, რომ მნიშვნელობა ლინგვისტური ანალიზის აუცილებელი პირობაა" ([69], 132), ეს იმიტომ, რომ ენობრივი ფორმა და მნიშვნელობა უცილობლად ვარაუდობს ერთმანეთს: „ენობრივი ერთეულების დანაწევრება იძლევა მათ ფორმობრივ შენებას, ინტეგრაცია კი გვაძლევს მნიშვნელობის მქონე ერთეულებს" ([69], 136). მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ ამგვარი უნდობლობა სწორედ ზუსტი მეთოდების მოუნებლობის შედეგია და არა თვით თვალსაზრისის (წმინდა ფორმობრივი კვლევის მოთხოვნის) მცდარობისა. ეს თვალსაზრისი ენათმეცნიერების თანამედროვე ინტერესებითაა ნაკარნახევი და გამართლებული. რა თქმა უნდა, ბოლოდროინდელი ენათმეცნიერული თეორიების ხარვეზად უნდა ჩაითვალოს არა მათ საფუძველზე მიღებული და დადგენილი პოზიტიური კანონზომიერებანი (რომლებიც უთუოდ გვაქვს), არამედ ისევ და ისევ ის განზოგადოებანი, რომლებიც ნაწვალებ ტერმინოლოგიურ ბურუსში არიან გახვეული და აბსტრაჰირებელი ჰიპოთეზების ფარგლებს არ სცილდებიან. ჩანს, სწორედ ამან გამოიწვია უკანასკნელ ხანს საპირისპირო მიმართულება, რომლის არსი ასე შეაფასა ნ. ჩომსკიმ: „თანამედროვე ენათმეცნიერებაში წარმოჩენილმა მიდრეკილებამ ტრადიციული ამოცანებისა და თვალსაზრისისაკენ, თუმცა სიზუსტისა და ლოგიკური თვალნათლივობის უფრო მაღალი დონის გათვალისწინებით, შესაძლოა აღმოაჩინოს ახალი პერსპექტივები აღქმისა და სწავლების ბუნების გარკვევასთან დაკავშირებულ საკითხში" ([95], 482).

ენაში მოცემულია გარკვეული ფორმობრივი ინვენტარი, რომელსაც ენობრივი ფორმის ელემენტები ეწოდება. ეს ხდება მიზეზი ენობრივი შემოქმედების გარკვეული შეზღუდვისა, სრული თავისუფლება აქ შეუძლებელია: ენაში არის ისეთი სისტემები, რომ-

ლებიც არ ემორჩილებიან ენის ამა თუ იმ მფლობელის ნება-სურვილს. მაგრამ იმავდროულად ენაში პოტენციურად იგულისხმებიან ისეთი სისტემებიც, რომელთა გამოვლენის მეტ-ნაკლებობა ფაქტიურად ენის მფლობელის ინდივიდუალურ თვისებებზეა დამოკიდებული: ამგვარი უნარის ნაკლებობა იწვევს სტანდარტული შესიტყვებების მოჭარბებას, მისი მეტობა—ახალ პერსპექტივას უხსნის ენის განვითარებას. მაშასადამე, ორი მონაცემი გვქონია: ერთი ის, რასაც იძლევა ენა, მეორე ის, რასაც პირველის საფუძველზე ქმნის ამ ენის მფლობელი. ეს ორი მონაცემი არსებითად პოტენციისა და რეალიზაციის თავისებური წარმოსახვაა, ხოლო მათ ურთიერთმიმართებათა კვლევამ საფუძველი დაუდო ე. წ. „წარმომშობი გრამატიკის“ ამოსავალი პრინციპების ჩამოყალიბებას.

ამ პრინციპთაგან არსებითია:

„გრამატიკა არის ისეთი მოწყობილობა, რომელიც, როგორც წესი, იძლევა მართებულად შედგენილ წინადადებათა უსასრულო სიმრავლეს და თითოეულ მათგანს განსაზღვრავს ერთი ან რამდენიმე სტრუქტურული ნიშნით. იქნებ ასეთი მოწყობილობისათვის გვეწოდებინა „წარმომშობი გრამატიკა“, იმ აღწერით მტკიცებათაგან მის განსასხვავებლად, რომლებითაც ვანისაზღვრება მხოლოდ სტრუქტურულ დახასიათებებში მონაწილე ელემენტების ინვენტარი და მათი კონტექსტური ვარიანტები. წარმომშობი გრამატიკა შედგება ორი — სინტაქსური და ფონოლოგიური — ნაწილისაგან. პირველი წარმოშობს სინტაქსურად მოქმედი მინიმალური ელემენტების ჯაჭვს... და განსაზღვრავს მათ სტრუქტურულ ურთიერთდამოკიდებულებას. მეორე გარდაქმნის განსაზღვრული სინტაქსური სტრუქტურის ფორმატივთა (მინიმალურ ელემენტთა) ჯაჭვებს შესაბამის ფონეტიკურ გამოხატულებებად“ ([95], 467). იმის გამო, რომ ტექსტი გვეძლევა მთლიანობაში, აქ საქმე გვქონია სეგმენტაციის საპირისპირო პროცესთან — ინტეგრაციასთან. წარმომშობ გრამატიკას აქვს ორი განსხვავებული მოდელი: „პირველი... — ტაქსონომიური მოდელი უშუალო განვითარებაა თანამედროვე სტრუქტურული ენათმეცნიერების იდეებისა. მეორე... — ტრანსფორმაციული მოდელი გაცილებით უფრო ახლო დგას ტრადიციულ გრამატიკასთან“ ([95], 468). გამოიყოფა შესწავლის სამი დონე: „დაკვირვების ადეკვატურობის დონე, აღწერის ადეკვატურობის დონე და ახსნის ადეკვატურობის დონე“ ([95], 483).

აქ წარმოდგენილ პრინციპებში მიუღებელი არაფერი ჩანს. ენის ამგვარი თვალსაზრისით შესწავლა ახალი კუთხით წარმოაჩენს მას. მაგრამ საქმე ისაა, თუ კონკრეტულ ენობრივ მასალაზე როგორ, რა გზით მოხერხდება ამ ზოგადი პრინციპების გამოყენება-მოხმარება.

თვისობრივად ახალი იდეა ენათმეცნიერებაში იშვიათად ჩნდება. უფრო ხშირად არსებული თეორიების მეტ-ნაკლებად წარმოჩენილ მოდიფიკაციებთან გვაქვს ხოლმე საქმე. ამ მოდიფიკაციების მიზანი ერთია: როგორმე დაყვანილ იქნეს კონკრეტული ენობრივი ფაქტის საანალიზოდ გამოსადეგ მოხმარებამდე ზოგადი თვალსაზრისით სავსებით მართებული, მაგრამ არსებითად დედუქციის გზით მიღებული კრიტერიუმი. სხვაგვარად: ვიპოვოთ გზა, რომელიც შეგვაძლებინებს ენობრივი მასალით დავადასტუროთ დედუქციურად ჩამოყალიბებული ზოგადმეთოდოლოგიური ხასიათის დასკვნები (რომლებიც უმეტეს წილ მეტ-ნაკლებად რაფინირებულ ინტუიციას ემყარებიან, ვინემ კონკრეტულ ენობრივ ფაქტს).

რა თქმა უნდა, არ შეიძლება იმის თქმა, რომ ამგვარ ცდებს საერთოდ არ გამოუღიათ შედეგი. ზოგიერთი ენის კონკრეტული მასალის ანალიზმა ეს სავსებით ცხადად დაადასტურა. მაგრამ სწორედ ამ რომელიმე ერთი ენის კვლევისას მიღწეული წარმატება იქცევა ხოლმე შენიღბულ საშიშროებად, როცა ამ ენაზე გამოცდილი და მოწონებული პრინციპების განზოგადებასა და სხვა ენათა შესწავლისას განუხრელ გამოყენებას მოინდომებენ. ამ დროს ისეთ ვითარებაში აღმოვჩნდებით ზოგჯერ, გრამატიკის ისტორიამ ერთხელ უკვე რომ გამოცადა, როცა კლასიკური ბერძნულ-ლათინური გრამატიკებისადმი მისადაგებით იფარგლებოდა ყველა სხვა სისტემისა და ბუნების მქონე ენის განხილვა. ყოველი თეორეტიკოსი ძალაუნებურად თავისი მშობლიური ენის პოზიციებიდან ამოდის ხოლმე და ამგვარად წარმოქმნილი ზოგადი თეორიებიც ნებსით თუ უნებლიეთ იმ ენის დაღს ატარებს. ეს კი არა და, არისტოტელეც კი, ლოგიკის კატეგორიების ჩამოყალიბებისას, თავი ვერ დააღწია მისთვის მშობლიური ენის საზღვრებს ([69], 107).

მაგრამ აქ მაშინ სხვა საკითხი დაისმება: ხომ არ გამოიწვევს ეს მეორე უკიდურესობას, ანუ იმის მოთხოვნას, რომ ყოველი ენისათვის გამომუშავდეს საკუთარი, დამოუკიდებელი პრინციპები კვლევისა, ჩამოყალიბდეს საკუთარი მეთოდოლოგია, შეიქმნას დამოუკიდებელი თეორია?

XI

ენის ძირითადი ელემენტების გამოყოფისა და დახასიათების რა საშუალებები მოგვეპოვება დღემდე?

ბგერათა და ფონემათა კლასიფიკაცია, მათი დახასიათება იმთავითვე იქცა ფონეტიკისა და ფონოლოგიის პრიმატულ პრობლემად. ერთმანეთისაგან მკვეთრად განირჩა ბგერა და ფონემა, ჩამოყალიბდა

ფონემის გამოყოფის ოთხი წესი ([91], 53—59), რაც სავსებით განსხვავებულია ბგერათა გამოყოფის წესებისაგან. ამის საფუძველზე დადგინდა ფონეტიკისა და ფონოლოგიის საგანი:

„ფონეტიკა სწავლობს კანონებს, რომლებიც წარმართავენ ენის ბგერითი ერთეულების შეხამებასა და ურთიერთშენაცვლებას“ ([85], 3).

„ფონოლოგია არის მეცნიერება, რომელიც სწავლობს ადამიანის მეტყველების ბგერებს როგორც ენის განმასხვავებელ საშუალებებს“ ([79], 9).

და ბოლოს, კლასიკური განმარტება ასეთია:

„მოძღვრებას მეტყველების ბგერათა შესახებ ჩვენ ვუწოდებთ ფონეტიკას, ხოლო მოძღვრებას ენის ბგერათა შესახებ — ფონოლოგიას... ფონეტიკა შეიძლება განისაზღვროს როგორც ადამიანის მეტყველების მატერიალური მხარის (ბგერების) შემსწავლელი მეცნიერება... ფონოლოგმა მხედველობაში უნდა მიიღოს მხოლოდ ის, რასაც ბგერის შემადგენლობაში განსაზღვრული ფუნქცია აკისრია ენის მოცემული სისტემისათვის“ ([91], 9, 17—18).

შესაძლებელია, საკუთრივ ფონეტიკასა და ფონოლოგიაში ბევრი სადავო პოსტულატი იყოს, ამოსავალი, საფუძველდამდები დებულება კი უეჭველია: ბგერა და ფონემა ერთმანეთისაგან უნდა განირჩეს. შესაბამისად, უნდა განირჩნენ მათი შემსწავლელი დარგებიც.

გვაქვს თუ არა ასეთივე უეჭველი და მყარი ამოსავალი კრიტერიუმი მორფოლოგიისა ან სინტაქსისათვის? ანუ: გვაქვს თუ არა ასეთი საფუძველდამდები დებულება, რომელიც დაჯერებულად შეგვაძლებინებს მორფემისა ან სინტაგმის განსაზღვრა-დახასიათებას?

შეიძლება ითქვას, რომ არა გვაქვს.

ეს იმას, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ მორფემისა, ან სინტაგმის გამოყოფას ვერ ვახერხებთ (თუმცა ზოგჯერ ესეც ჭირს), არამედ იმას, რომ თითოეულ მათგანში წმინდა ფორმობრივი და წმინდა ფუნქციური სტატუსების გამიჯვნა დღემდე ვერ მოხერხდა.

მაშასადამე, უპირველესი, რაც უნდა გაკეთდეს, ეს არის ერთსა და იმავე მორფოლოგიურ ელემენტში განირჩეს, ერთი მხრივ, ფორმობრივი სტრუქტურა და, მეორე მხრივ, სემანტიკური ღირებულება. მაგალითად, რომელიმე ა-კეთ-ებ-ინ-ებ-ს ფორმის სტრუქტურაში გამოიყოფა ა-,-კეთ-,-ინ-... მორფოლოგიური ელემენტები (სეგმენტები). თითოეულ მათგანს აქვს თავისი შენება, თვისება და ქმედება, უნარი გარკვეული ფორმობრივი სტრუქტურის შექმნისა და იმავდროულად შემადგენელი წევრია გარკვეული ფორმობრივი სისტემისა. მათი იმანენტური ბუნებისა და მათი ურთიერთმიმართებე-

ბის უნარის დადგენა წმინდა ფორმობრივ ნიადაგზე გარკვეულ კანონზომიერებებს ექვემდებარება.

იმავდროულად თითოეულ მათგანს მოეპოვება ან მარტოოდენ განსაზღვრული გრამატიკული ფუნქცია, ან გრამატიკული ფუნქცია და ლექსიკური მნიშვნელობა ერთად. ამ ფუნქციათა ერთ ენობრივ სტრუქტურაში ურთიერთდაკავშირების შესაძლებლობაც განსაზღვრულია ენობრივი კანონზომიერებებით, რაც, თავის მხრივ, შეპირობებულია იმ სემანტიკური სისტემებით, რომელთა ელემენტებადაც გვევლინება ეს ფუნქციები. ზემოაღნიშნული ნიმუშის მიხედვით, მაგალითად, ჩანს შესაძლებლობა კაუზალობის, აწმყო დროის, პერსონალიზმის, მიუმართავი ქმედების (საარვისო ქცევის), გარდამავლობის, „კეთების" ლექსიკური მნიშვნელობის, ე. ი. ყველა ამ ფუნქციის ერთ სემანტიკურ სტრუქტურაში ურთიერთდაკავშირებისა (რაც, რა თქმა უნდა, არ უნდა გავიგოთ მოცემულ ფორმობრივ სტრუქტურაში მორფემათა შემადგენლობის ანალოგიითა და თანმიდევნებით ჩამოყალიბებულ პოსტულატად. ფორმობრივი და ფუნქციური სტრუქტურები ერთმანეთს შეიძლება დაემთხვეს და შეიძლება არა. მაგალითად, ამავე სემანტიკურ სტრუქტურაში შემოიტანება დინამიკურობისა და აქტიურობის ფუნქციებიც, რომლებიც ფორმობრივ სტრუქტურაში „უგულვებელყოფილია", ე. ი. უნიშნოდაა დატოვებული). ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სემანტიკურ სტრუქტურაში გვაქვს არა ფუნქციათა რაოდენობრივი ჯამი, არამედ თვისობრივად ახალი მთლიანობა, განუყოფელი, ერთიანი მნიშვნელობა საკომუნიკაციო და ექსპრესიული თვალსაზრისით, მაგრამ როდესაც ლინგვისტურ ანალიზზე მიდგება საქმე, აუცილებელ საჭიროებად გვეჩვენება გამოკვლევა იმისა, თუ რა ცალკეული ფუნქციებია შესაძლებელი მოექცნენ ერთ სტრუქტურაში, როგორ „ამოირჩევენ" ისინი ერთმანეთს და რა მიმართებებს ამყარებენ ერთმანეთთან.

მაშასადამე, ფუნქციათა ერთ სტრუქტურაში შეხამების პრობლემა ისევე ღირებული ჩანს, როგორც ფორმობრივი ელემენტების შეხამების საკითხი.

ანალოგიისათვის: ფორმობრივი სტრუქტურები მათემატიკაში ინტეგრალებსა და დიფერენციალებს მოგვაგონებენ — ეს არის მოქმედ ელემენტთა შეერთებითა თუ დანაწევრებით მიღებული ახალი სიდიდე, მოცემულობა. სემანტიკური სტრუქტურები ამ მხრივ უფრო ქიმიურ პროცესებს წააგავენ: ორი მონაცემის შეერთება იძლევა სავსებით ახალ, მესამე მონაცემს.

ამრიგად, ზემოაღნიშნულ მაგალითში ა-,-კეთ-,-ებ-,ინ-... მორფემებია, რომელთაც შესწევთ უნარი მოექცნენ ერთ სტრუქტურაში, შექ-

მნან გარკვეული ფორმობრივი ყალიბი, სხვაგვარად: შესწევთ უნარი „ამოიცნონ“, „ამოირჩიონ“ ერთმანეთი და შექმნან ერთი ფორმობრივი სტრუქტურა.

რაც შეეხება სემანტიკურ სტრუქტურას, აქ მისი ელემენტები შესაძლოა თან მოჰყვეს ფორმობრივი სტრუქტურის ელემენტებს (-ს III სუბიექტური პირის ნიშანიაო, ვამბობთ, ეს ნიშნავს, რომ -ს ფორმობრივი სტრუქტურის ელემენტს, მორფემას თან ახლავს სემანტიკური სტრუქტურის ელემენტიც: დიფერენცირებული პერსონალიზმი), მაგრამ ფუნქციური ელემენტი შესაძლოა შემოტანილ იქნეს ფორმობრივი რეალიზაციის გარეშეც (წერ-ს ზმნის სემანტიკურ სტრუქტურაში აქტიურობის ფუნქციაც შემოდის, მაგრამ იგი არავითარი ცალკე ნიშნით არ არის წარმოდგენილი).

XII

ის აუცილებლობა, რომ მორფემათა დახასიათებაში გათვალისწინებულ იქნეს როგორც ფორმობრივი, ასევე ფუნქციური მხარე მათი ერთმანეთთან შერევის გარეშე, კარგა ხანია შენიშნეს. ამისდა კვალობაზე, განხილვაში სიახლის წარმოსაჩენად, ტერმინოლოგიასაც ცვლიდნენ და ერთი და იგივე ელემენტი, იმის მიხედვით, თუ რა ღირებულებას ანიჭებდა მას ესა თუ ის ენათმეცნიერული სისტემა, ნაირგვარად იწოდებოდა: იქნებოდა ეს ზოგადად „ელემენტი“ ან „სეგმენტი“, თუ დახასიათების მცდელობის შემცველი „აფიქსი“ (შესაბამისად: „პრეფიქსი“, „სუფიქსი“, „ინფიქსი“, „კონფიქსი“), „მორფემა“, „ფორმანტი“, „ფუნქტივი“ თუ სხვა.

ამჯერად ჩვენთვის არსებითია არა ის, თუ რამდენად მოსახერხებელია ესა თუ ის ტერმინი, არამედ ის ცნება, ის მნიშვნელობა, რომელსაც ამ ტერმინებში დებენ სხვადასხვა მიმდინარეობათა წარმომადგენლები, შესაბამისად, ის, თუ რა ესმოდათ მორფოლოგიის ძირითად, ამოსავალ ელემენტად.

XIII

ტერმინები „ელემენტი“ და „სეგმენტი“ არავითარ (არც ფორმობრივ და არც ფუნქციურ) დახასიათებას არ იძლევიან. ამათგან პირველი („ელემენტი“) ფაქტიურად გულისხმობს ყველაფერს, რისი გამოყოფაც კი შეიძლება ენაში, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა რაიმე ფორმობრივი ან შინაარსობრივი ღირებულება გამოყოფილ მონაკვეთს. ამ ტერმინის გამოყენება და, შესაბამისად, ამგვარი ნე-

იტრალური „დახასიათება“ შესაძლოა გამართლებულიც იყოს კვლევის დასაწყის ეტაპზე, როდესაც გამოყოფილ მონაკვეთებს ჯერ არა აქვთ მიცემული რაიმე კვალიფიკაცია, მაგრამ კვლევის ყველა ეტაპზე ამგვარი „ნეიტრალობა“ გაუმართლებელი ჩანს.

ტერმინი „სეგმენტიც“ ფაქტიურად იმავე დანიშნულებისაა, რაც „ელემენტი“, ოღონდ ტექსტის დანაწევრებისას გარკვეული კანონზომიერი (და არა მექანიკური, როგორც „ელემენტის“ შემთხვევაში) პრინციპის გამოყენებასაც გულისხმობს. მაგრამ ეს „კანონზომიერად“ გამოყოფილი მონაცემიც ფაქტიურად დაუხასიათებელი რჩება.

„ძირი“ (ლათინური: radix), „აფიქსი“ (ლათ.: affixum — მიმაგრებული), „სუფიქსი“ (ლათ.: suffixum—თან-მიმაგრებული) — ეს ტერმინები ჯერ კიდევ XVI საუკუნეში გვხვდება, დადასტურებულია იგი 1506 წელს ლათინურ ენაზე დაწერილ ძველი ებრაული ენის გრამატიკაში, რომლის ავტორია იოჰან როიხლინი (ვიმოწმებთ შემდეგი გამოცემის მიხედვით: [83], 234). ბუნებრივია, რომ აქ ეს ტერმინები ასახავენ გრამატიკული კვლევის კლასიკურ პრინციპს: ძირი, აფიქსი, სუფიქსი — ეს არის გარკვეული ენობრივი ფორმისა და ენობრივი შინაარსის (ლექსიკური მნიშვნელობისა თუ გრამატიკული ფუნქციის) განუყოფელი ერთიანობა. მეტიც: ძირითადი აქ გრამატიკული (თუ ლექსიკური) ფუნქციაა, თვით ფორმა კი საინტერესოა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი ამა თუ იმ ფუნქციის გამომხატველი ბგერითი გარსია.

ნაირგვარი მოდიფიკაციებით ეს პრინციპი დღემდე არსებობს გრამატიკაში. მოდიფიკაციები კი ძირითადად მიზნად ისახავდა ამ პრინციპების მისადაგებას სხვადასხვა თეორიული წანამძღვრებისადმი. მაგალითად, ერთი ასეთი ნიმუში: „ყოველგვარი გრამატიკული კატეგორია წარმოიქმნება ფსიქოლოგიური კატეგორიის საფუძველზე, — აღნიშნავდა პაული, — პირველი სხვა არაფერია, თუ არა მეორის გარეგანი გამოხატულება. როგორც კი ფსიქოლოგიური კატეგორიის ქმედება იწყებს გამოხატვას ენობრივი საშუალებებით, ეს კატეგორია იქცევა გრამატიკულ კატეგორიად... მნიშვნელობის ცვლილება ძალიან ხშირად შეაპირობებს იმას, რომ გრამატიკული კატეგორია აღარ აღმოჩნდება ადეკვატური ფსიქოლოგიური კატეგორიისა“... ([84], 315). ამრიგად, ამოსავალი თვალსაზრისი ახალია — ენობრივი მოვლენები იხსნება ფსიქოლოგიზმის პოზიციებიდან, ისახება ახლებური გეზი კვლევისა, ჩნდება ახალი პრობლემები, მაგრამ ენობრივი ინვენტარის შეფასების პრინციპი ისევე ძველი

რჩება: გრამატიკული ფორმა ეს მხოლოდ და მხოლოდ რეალიზაციაა გარკვეული ფუნქციისა.

სხვა ნიმუში: „ინდოევროპული სიტყვა შედგება სამი ნაწილისაგან: ძირისა, სუფიქსისა და დაბოლოებისაგან, რომელთაგან ყოველი ასრულებს განსაკუთრებულ როლს: ძირი მიანიშნებს სიტყვის ზოგად მნიშვნელობაზე, სუფიქსი მას უფრო ზუსტად განსაზღვრავს, ხოლო დაბოლოება (ბგერათა შენაცვლებასა და ტონის აწევის ადგილთან ერთად) განსაზღვრავს სიტყვის როლს წინადადებაში. ამ სამი ნაწილისაგან არცერთი არ არსებობს ცალკე, მთლიანი სიტყვის გარეშე... მორფოლოგიური ელემენტები, რომლებადაც ნაწევრდება ინდოევროპული სიტყვა, არ არის გრამატიკოსების მიერ შექმნილი აბსტრაქცია: ესაა სიმბოლოები, რომელთა დახმარებით გაშიფრატება ასოციაციათა სისტემები, საერთო ერთი და იმავე ენობრივი კოლექტივის ყველა წევრისათვის“. ეს განსაზღვრა ა. მეიეს ეკუთვნის ([81], 167, 169). აქაც: განხილვის სხვა, ახლებური თვალსაზრისი, მაგრამ მორფოლოგიური ინვენტარის შეფასება ისევ ძველია და ნაცნობი: მორფოლოგიური ელემენტები იმდენად არიან საინტერესონი, რამდენადაც გარკვეულ ფუნქციათა სიმბოლოებს წარმოადგენენ. აფიქსს არსებითად ერთი და იგივე შეფასება ეძლევა ზამოაღნიშნულ სამ სრულიად განსხვავებულ გრამატიკულ სისტემაში (ი. როიხლინთან, ჰ. პაულთან და ა. მეიესთან). ასე რომ, სინამდვილეში აფიქსი გაიგებოდა გრამატიკულ ფუნქციად, რომელსაც შესაბამისი ფორმობრივი გამოხატულება ჰქონდა, სხვაგვარად: ეს იყო მატერიალიზებული ფუნქცია. ამაზე, სხვათა შორის, მათი დასახელებაც მიგვანიშნებს: მესამე სუბიექტური პირის სუფიქსი, ან: ვნებითის გვარის სუფიქსი, ან: უკუქცევითობის პრეფიქსი და ა. შ. ყველა ამ შემთხვევაში ფუნქცია არსებითია, განმსაზღვრელია, ფორმა მხოლოდ მისი რეალიზაციაა. ეს, რა თქმა უნდა, თვით გრამატიკული კონცეფციის უშუალო გამოძახილია. აქა-იქ წმინდა ფორმობრივი დახასიათებაცაა მოცემული ტერმინში და ისიც ამა თუ იმ ელემენტების ადგილ-მდებარეობას განსაზღვრავს ყალიბში: ზმნისწინი, წინდებული, თანდებული...

XIV

ენათმეცნიერების საარსებო მოთხოვნებმა კანონზომიერად დასვეს საკითხი ენობრივი ფორმის რაობის შესახებ, შესაძლებლად და საჭიროდ აღიარეს მისი დამოუკიდებელი კვლევა, წარმოაჩინეს ენობრივი ფორმის შინაგანად კანონზომიერი, სისტემური ხასიათი.

ყოველივე ამასთან ერთად ტერმინის საკითხიც დაისვა.

მორფოლოგიურ ელემენტს ეწოდა „მორფემა“. მართალია, იგი მაინც ითვალისწინებდა გრამატიკულ ფუნქციას (ეს არის ფორმობრივი ელემენტი, რომელიც ამა თუ იმ ფუნქციას აღნიშნავს). მაგრამ მორფემული ანალიზის დროს უკვე საკმაოდ წარმოჩენილ ადგილს იკავებს ენობრივი ფორმა, მისი შემადგენელი ელემენტების შენების კვლევა.

სირთულისაგან თავის დაღწევა მაინც ვერ მოხერხდა: მორფემის აშკარა ორპლანოვანობა ენის აღწერისას მრავალრიცხოვან, ნაირგვარ წინააღმდეგობას აწყდებოდა. ამას ერთ-ერთმა პირველმა ვ. სკალიჩკამ მიაქცია ყურადღება. მან გრამატიკის უმცირეს ერთეულად დაასახელა „სემა“, ეს კი ნიშნავდა, რომ სეგმენტაციის უმცირეს ელემენტს იგი ეძებდა მორფოლოგიური ფუნქციის და არა მორფოლოგიური ფორმის პოზიციიდან. ეს ფაქტიურად ტრადიციული პრინციპებისაკენ მიბრუნება იქნებოდა, ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი რომ არა: ვ. სკალიჩკა კი არ ცვლის „სემით“ „მორფემას“, არამედ ერთმანეთის პარალელურად იყენებს მათ: „შეიძლება კივარაუდოთ, — აღნიშნავს იგი, — რომ სემისა და მორფემის დაპირისპირებით ვლინდება დაპირისპირება ფუნქციასა და ფორმას შორის“ ([87], 136), სხვაგვარად: „მორფემას მოეპოვება ფორმობრივი საფუძველი, სემას — აზრობრივი“ ([88], 122). მართალია, ფორმა და ფუნქცია აქ სავსებით „ურთიერთგამოთავისუფლებული“ არ არიან, მაგრამ არსებითად ეს არის პირველი და დასაბუთებული, პრინციპული ღირებულების მქონე განაცხადი ფორმობრივი ელემენტის დაპირისპირებისა ფუნქციურ ელემენტთან (უფრო ადრე ამ თვალსაზრისით ჩატარებული ცდები საერთოდ უგულვებელყოფდნენ ფუნქციას, რაც, რა თქმა უნდა, მცდარი ვარაუდია). ამ ელემენტების ურთიერთდამოკიდებულება, ლ. ნოვაკის მართებული თქმით, უშუალოდაა დაკავშირებული ენათმეცნიერებისათვის ფუნდამენტალური ღირებულების მქონე პრობლემასთან: ენაში ფორმისა და ფუნქციის ურთიერთმიმართებასთან ([82], 211).

XV

ენობრივ ფორმაზე ყურადღების გამახვილება, მისი ენობრივი ღირებულების შეცნობისაკენ სწრაფვა შემთხვევითი არ იყო.

ენობრივი ფორმის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჯერ კიდევ ვ. ჰუმბოლდტის მიერ იყო შენიშნული: „იმ მიზნით, რომ განსხვავე-

ბულ ენათა აგებულების დამახასიათებელ თავისებურებათა შედარება წარმატებით განვახორციელოთ, აუცილებელია გულმოღგინედ გამოვიკვლიოთ თითოეული მათგანის ფორმა და ამით განვსაზღვროთ საშუალება, რომლითაც ენები წყვეტენ ენის ფორმირების ამოცანას საერთოდ... ენის ფორმის შეცნობა მკვლევარს გზას უხსნის ენის საიდუმლოებათა ამოხსნისა და მისი ბუნების გარკვევისაკენ... ფუძეთა წარმოქმნა თვით უნდა აიხსნას ენის ფორმით, რადგან ამ ცნების გამოყენების გარეშე განუსაზღვრელი დარჩება ენის არსიც კი... ფორმის აღწერით უნდა დადგინდეს ის სპეციფიკური გზა, რომლითაც აზრის გამოხატვისაკენ მიდის ენა და მასზე მოლაპარაკე ხალხი... თავისი ბუნებით ენის ფორმა, მატერიის საპირისპიროდ, არის ენის ცალკეული ელემენტების აღქმა მათ სულიერ ერთიანობაში... ენათა განსხვავება ეფუძნება მათ ფორმას, ეს უკანასკნელი კი მჭიდროდ უკავშირდება ხალხის მსოფლხედვასა და იმ ძალას, რომელიც ქმნის და გარდაქმნის მას“ ([72], 73, 75 — 77, 83).

ამ ვრცელ ამონაწერში მოცემულია ყველა ძირითადი პოსტულატი ვ. ჰუმბოლდტის კონცეფციისა ენის ფორმის თაობაზე. აქ ნათლადაა წარმოჩენილი ის დიდი ღირებულება ენობრივი ფორმისა, რომელმაც განსაზღვრა მისდამი განსაკუთრებული ყურადღება ბოლო ხანებში. მაგრამ ერთია თეორიულად დასაბუთებული აუცილებლობა, ხოლო სხვაა — მისი პრაქტიკული განხორციელება. უკანასკნელის მოთხოვნებმა კი შესაძლოა საკითხის ახლებური გააზრება ან ამოსავალი თეორიული პოსტულატის ცვლილებაც კი გამოიწვიოს.

ა. შლაიხერი გრამატიკის შემადგენელ ნაწილებად თვლიდა მოძღვრებას ბგერებზე („ფონოლოგიას“, როგორც თვითონ უწოდებდა), მოძღვრებას ენობრივ ფორმათა შესახებ („მორფოლოგიას“), მოძღვრებას ფუნქციათა (ანუ: მნიშვნელობათა და მიმართებათა) შესახებ და სინტაქსს ([96], 89). აქ თითქოს უკვე მოქალაქეობრივი უფლება აქვს მოპოვებული და ცალკე არის გამოყოფილი ენობრივი ფორმის შემსწავლელი დარგი — მორფოლოგია. ეს აზრი უფრო მკვეთრადაა ჩამოყალიბებული შემდეგ ფორმულირებაში: „სიტყვის, და აქედან კი საერთოდ ენის, არსი განისაზღვრება სამი მომენტით: ბგერით, ფორმითა და ფუნქციით“ ([97], 93). ფორმა კი, ა. შლაიხერის მიხედვით, ასე უნდა დახასიათდეს: „სიტყვათშეერთების ხერხების ნაირგვარობა... ნაწილობრივ ეფუძნება არა ბგერას ან ფუნქციებს, არამედ მიმართებათა გამოხატულების მქონებლობასა ან უქონლობას და, გარდა ამისა, იმ ურთიერთობას, რომელ-

საც ერთმანეთთან ამყარებენ მნიშვნელობათა გამოხატულება და მიმართებათა გამოხატულება. ენის ამ მხარეს ჩვენ ვუწოდებთ ფორმას“ ([97], 93). ამდენად, შლაიხერს ენობრივი ფორმის განსაზღვრისათვის, როგორც არსებითი, შემოაქვს მიმართებათა გამოხატულების ფაქტორი. ეს კი ფრიად ღირებული ჩანს ენობრივი ფორმის რაობის რკვევისას.

ენობრივი ფორმის კვლევა უშუალო და ძირითადი შემადგენელი საკითხია პრობლემისა, რომელიც საერთოდ ენის რაობის დადგენას ვარაუდობს. ყოველ კონკრეტულ ენას ფაქტიურად ქმნის მისი ფორმა, ფორმობრივი ელემენტების ურთიერთმიმართებანი. ამ ურთიერთმიმართებებში უპირველესად იგულისხმება ერთი ფორმობრივი მონაცემის რეაგირება მეორე ფორმობრივი ელემენტის არსებობაზე და ამ არსებობის აბსტრაჰირებული ასახვის უნარი (კაც-ი წერ-ს ფორმათა მიმართებისას წერ-ს ფორმა რეაგირებს და აბსტრაჰირებულად, -ს ფორმანტით, ასახავს კაც-ი ფორმის არსებობას).

ენობრივი ფუნქციები, როგორც ზემოთ აღინიშნა, ტრანსფორმირებული ცნებებია. ამ უზოგადესი ცნებების ენობრივ ფუნქციებად გარდაქმნის პროცესი სხვადასხვა ენაში ნაირგვარია, რაც განსაზღვრავს კიდეც ამა თუ იმ ენის სემანტიკურ იერ-სახეს. ამდენად, ენობრივი ფორმა უშუალოდ ვერ ასახავს ცნებებს, აქ გამაშუალებლად უთუოდ უნდა გვქონდეს ენობრივი ფუნქციები. ენობრივი ფუნქციებისა და ზოგადი ცნებების ურთიერთკავშირი უეჭველია, მაგრამ მათი გაიგივება ყოვლად შეუძლებელია. სწორედ ეს მომენტი იყო გაუთვალისწინებელი და ფაქტიურად ასევე რჩება დღემდე. სწორედ ეს გაუთვალისწინებლობა გახდა მიზეზი ენის ლოგიცისტური პოზიციებიდან განხილვისა.

XVI

ამდენად, ენის შესწავლა ლოგიცისტური პრინციპების მიდევნებით — ეს არის ამოსვლა ენის ფუნქციური, შინაარსობრივი მხარიდან, და თანაც ისე, რომ ენობრივი ფუნქციისა და ცნებითი მნიშვნელობის გაიგივება ხდება. სწორედ ამ გაიგივებამ განაპირობა რეალური თუ მოჩვენებითი შესაძლებლობა ე. წ. „საყოველთაო გრამატიკის“ შექმნისა. საქმე ის არის, რომ თუკი ფორმა და ფუნქციები თითოეულ ენას სპეციფიკური აქვს, სამაგიეროდ ცნებითი მნიშვნელობები მეტ-ნაკლებად საერთოა (თუმცა ხშირად ენა უკუგავლენასაც ახდენს და ამ თვალსაზრისით გარკვეული სპეციფიკურობაც შეაქვს მათში).

ამ პრინციპების საფუძველზე ამა თუ იმ ენის გრამატიკის შექმნის ცდა ჯერ კიდევ ანტიკურ სამყაროში იპოვება. ჰერაკლიტე, დემოკრიტე, სოკრატე, პლატონი, არისტოტელე, მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა და ურთიერთდაპირისპირებისა თვით ენობრივ მოვლენათა კვალიფიკაციის დროსაც კი, არსებითად ერთი და იმავე პოზიციიდან უდგებოდნენ ენობრივი ფაქტების განხილვას: ეს იყო ენა, დანახული ანტიკური ფილოსოფიის პოზიციიდან, ენა — ფილოსოფიის ფენომენი და ენა — ლოგიცისტური სისტემების აგების საშუალება.

დამოუკიდებელი ღირებულება ენამ ფაქტიურად ალექსანდრიის ფილოლოგიურ სკოლაში მოიპოვა, განსაკუთრებით დიონისე თრაკიელისა და აპოლონიოს დისკოლოსის თხზულებებში. არსებითად იგივე პოზიციაა ძველი რომაელი გრამატიკოსების ვარონის, დონატის, პრისციანისა და სხვათა ნაშრომებში.

ამჟამად, ენათმეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეზე, რასაკვირველია, თვალშისაცემია პირველი გრამატიკოსების ხარვეზებიცა და აშკარა ცდომილებანიც. მაგრამ, ვფიქრობთ, ახლა უფრო არსებითია არა მათი შეცდომების აღნუსხვა, არამედ უდავო ნაპოვნების წარმოჩენა. ამჯერად არსებითია არა ის, თუ როგორ დაყვეს მათ ესა თუ ის ენობრივი ფორმა ან რა კლასიფიკაცია მისცეს მას, არამედ ის, რომ ფაქტიურად მათ აღმოაჩინეს ენაში ენობრივი და მისი შესწავლის ძირითადი გეზიც დასახეს.

ძველი ინდური, ჩინური და არაბული გრამატიკებიც ფრიად ღირსაცნობია ამ თვალსაზრისით.

ამრიგად, ძველ სამყაროშივე დაისახა ორგვარი გეზი ენობრივი მოვლენების კვლევისა: ფილოსოფიურ-ლოგიცისტური და ფილოლოგიური. უკანასკნელის პოზიტიურ მონაპოვარს დაეფუძნა თანამედროვე ენათმეცნიერების ჩამოყალიბება და განვითარება. ორივე ამ მიმართულებას ჰყავდა თავისი მიმდევრები და ინტერპრეტატორები. ეს ორი გეზი მეტ-ნაკლები ენთუზიაზმით ახლაც იჩენს თავს.

ენობრივი უნივერსალიებისა და სემანტიკური კატეგორიების განხილვის საფუძველი, თამამად შეიძლება ითქვას, პორ-როიალის გრამატიკულ მოძღვრებაში ჩამოყალიბდა, რასაც სათავე დაუდო ანტუან არნოსა (ლოგიკოსის) და კლოდ ლანსლოს (გრამატიკოსის) „საყოველთაო რაციონალურმა გრამატიკამ“ და ა. არნოსა და პ. ნიკოლის ერთობლივმა ნაშრომმა „ლოგიკა ანუ აზროვნების ხელოვნება“.

პორ-როიალის გრამატიკულ მოძღვრებაში პირველადაა მოცემუ-

ლი, როგორც მეცნიერული სისტემა, ენის ანალიზის პრინციპები (ნაცვლად ადრინდელი აღწერისა თუ ენის ნორმირების პრინციპებისა), იმავდროულად გამოცხადებულია დადგენილი კანონების საყოველთაობა და მათი რაციონალური (ლოგიკური) საფუძველი. მასალა აღებულია ძველი ებრაული, ძველი ბერძნული, ლათინური და ფრანგული ენებიდან. თავისი არსით ეს არის ლოგიკურ-ტიპოლოგიური გრამატიკა ([77], 15). ენობრივი კანონები აქ ლოგიკის საშუალებით იხსნება. ეს მოძღვრება გარკვეული თვალსაზრისით იმდენად ფასეული აღმოჩნდა, რომ იგი მიიჩნევა ენის მეცნიერული შესწავლის საფუძვლის დამდებად, კერძოდ კი, ზოგადი და შედარებითი ენათმეცნიერების პირველწყაროდ ([68], 205). საცნაურია ისიც, რომ თანამედროვე ენათმეცნიერებაში ახალი გზების ძიებისას პორ-როიალის გრამატიკული მოძღვრება არაერთხელ აღმოჩენილა ყურადღების ცენტრში (მაგალითად, ნ. ხომსკიმ სპეციალური ნაშრომი უძღვნა პორ-როიალის გრამატიკულ კონცეფციას: [98]). მიზეზი ამისა, ჩანს, არის ბოლო ხანებში ენის სემანტიკურ მხარეზე ყურადღების განსაკუთრებული გამახვილება, რაც, თავისი ახალბედობის გამო, ცდილობს ტრადიციის მოშველიებით გაიმყაროს საფუძველი, მით უმეტეს, თუკი ეს ტრადიცია ფასეულია. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ენის ფუნქციური კატეგორიები, ლოგიკური თუ პოეტური სისტემებით შეპირობებული ენობრივი ფუნქციები ალბათ უსისტემო გროვა იქნებოდა. მათზე ენობრივი ფორმის უკუგავლენა და მისი მაორგანიზებელი ძალა რომ არ არსებულიყო. ენის ფორმა აიძულებს ფუნქციას დაიდგინოს თავისი საზღვრები და ენობრივი სისტემის ფარგლებში დაამყაროს კავშირი სხვა ფუნქციებთან (და არა ამ ფარგლებს გარეთ).

XVII

ამრიგად, ენობრივი ფორმის ღირებულება ენათმეცნიერული კვლევისა და თვით ენის იმანენტური რაობისათვის უკვე იმდენად იყო წარმოჩენილი, რომ მისი ყოველმხრივი შესწავლა გადაუდებელ პრობლემად იქცა.

ამ თვალსაზრისით ჩატარებულმა კვლევა-ძიებებმა მეტ-ნაკლები წარმატების მქონე პოზიტიური შედეგები მოგვცეს, მაგრამ ენობრივი ფორმის იმანენტური კვლევის სრულყოფილი აპარატურა დღემდე მაინც არა გვაქვს. ეს უთუოდ იმიტომ, რომ ჯერჯერობით კერ მოხერხდა ენობრივი ფორმისა და ამ ფორმით გამოხატული ფუნქციის (კვლევის საჭიროებისათვის) ურთიერთდაცილება. მიზეზი ამისა თითოეული მათგანის შინაგანი თვისებების მიუგნებლობაა.

ძიების ამ გზაზე, მოპოვებული პოზიტიური შედეგებისა თუ აშკარა წარუმატებლობის თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა ამერიკული დესკრიფციული ლინგვისტიკის მაგალითი, რადგან ყველაზე უფრო მკვეთრად სწორედ აქ დაისვა საკითხი ენობრივი ფორმის სრული გამოცალკევებისა ფუნქციისაგან და ფორმის პრიმატმაც ყველაზე რელიეფურად სწორედ აქ იჩინა თავი. ზემოხსენებული „მორფემაც“ დესკრიფციული მორფოლოგიის ძირითადი, ამოსავალი ტერმინია.

დესკრიფციული ლინგვისტიკის ძირითად კრიტერიუმად იმთავითვე განისაზღვრა ენის შინაგანი სტრუქტურის შესწავლა, ხოლო ენის სამ მთავარ კომპონენტად გამოცხადდა გამოხატვის სტრუქტურა, შინაარსის სტრუქტურა და ლექსიკონი. გამოხატვის სისტემის ძირითად ელემენტებად მიჩნეულ იქნა ფონემა და მორფემა: „გამოხატვის სტრუქტურა სხვა არაფერია, თუ არა ამ ორი ძირითადი ერთეულის არანჟირების ყალიბთა ჯამი“ ([71], 43). მიუხედავად იმისა, რომ ფონემა და მორფემა ძირითადი, ამოსავალი ერთეულებია ენის სტრუქტურული აღწერის დროს, მათი ზუსტი განმარტება მთელ რიგ სირთულეებთანაა დაკავშირებული: „ამჟამად საკმარისია შემდეგნაირად განვმარტოთ მორფემა: ეს არის გამოხატვის სისტემის ერთეული, რომელიც დაკავშირებულია ენის შინაარსობრივ სისტემასთან... ფონემას არა აქვს მნიშვნელობა, მორფემას კი აქვს“ ([71], 43). და, აი აქ უკვე, თვით საყრდენი ერთეულის რაობის დადგენისას, დარღვეულია წმინდა ფორმობრივი აღწერის მოთხოვნა — ფორმობრივი ელემენტის დახასიათებაში შემოტანილია მისი შინაარსობრივი მხარეც (თავი რომ დავანებოთ თვით განმარტების ლოგიკურ შეუსაბამობას: ერთი ასპექტის დახასიათება-გახსაზღვრაში შემოტანილია მეორე ასპექტის ელემენტები. — სტრუქტურა განისაზღვრება არა თავისი არსით, ე. ი. იმით, რასაც თავად წარმოადგენს, არამედ იმ ფუნქციით, რომელიც მას ეკისრება). რა დასკვნის გამოტანა შეგვიძლია ამ განმარტებიდან? მხოლოდ იმისა, რომ გარკვეული ფორმობრივი ელემენტის (მორფემის) დანიშნულებაა გარკვეული მნიშვნელობის გადმოცემა. დაუდგენელი რჩება რაობა თვით ამ ერთეულისა, დადგენილია მხოლოდ მისი დანიშნულება. ვიცით, რა ფუნქციას ასრულებს, მაგრამ არ ვიცით, თუ რა არის თვითონ, რა ფორმობრივ მიმართებებს ქმნის, რა არის მისი, როგორც ენის ფორმობრივი ელემენტის, შინაგანი ბუნება; არც ის ვიცით,რატომ აქვს სწორედ ამ ფუნქციის (და არა სხვა რომელიმეს) გამოხატვის უნარი, ანდა, რამდენიმე ფუნქციის გადმოცემის დროს, რა იწვევს თითქოსდა სრულიად განს-

სვავებული ფუნქციების გადმოცემის შესაძლებლობას ერთი და იმავე ფორმობრივი ელემენტით?

მაგრამ იქნებ დესკრიფციული ლინგვისტიკა, შესაძლებლად მიიჩნევს რა კვლევისას ფუნქციის გათვალისწინებას, უკვე მოპოვებული შედეგების საფუძველზე წმინდა ფორმობრივ დახასიათებას აძლევს მორფოლოგიურ სტრუქტურებს? არა, აქაც იჩენს თავს მორფემის განმარტებისას დაშვებული დუალიზმი. აი, მაგალითად, როგორ არის წარმოდგენილი ტიპიური მორფემული ანალიზი: მორფებს ქმნის ფონემათა გარკვეული თანამიმდევრობა, მაგრამ ფონემათა ყოველგვარი თანამიმდევრობა არ წარმოადგენს მორფემას: /ŧn/ და /av/ ელემენტებს შორის ის განსხვავებაა, რომ უკანასკნელს ყველა შემთხვევაში აქვს მნიშვნელობა, ანუ: ამყარებს გარკვეულ კავშირს ენის შინაარსობრივი სტრუქტურის გარკვეულ ელემენტთან. ამის საპირისპიროდ, პირველს ფუნქცია არ მოეპოვება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი მნიშვნელობის მქონე თანამიმდევრობის ნაწილს შეადგენს: /k n/=can. ამრიგად, ამ შემთხვევაში მორფემებია /kŧn/ და /av/. მორფემა კავშირს ამყარებს სხვა მორფემებთან. ეს კავშირი ორი სახისაა. ფრაზაში: „study of language" გვაქვს /av/ მორფემის ფუნქციური დაკავშირება წინამავალ და მომდევნო მორფემებთან. გარდა ამისა, იმავე მორფემისათვის დამახასიათებელია უფრო ზოგადი მიმართებანიც. ასეთი განზოგადოების საშუალება გვექნება, თუკი შევუდარებთ ზემოაღნიშნულ შესიტყვებას სხვა ანალოგიურ შესიტყვებებს, რის საფუძველზეც დადგინდება, რომ of ელემენტის შემდეგ ჩვეულებრივ გვაქვს არსებითი სახელი, მაგრამ არა ზმნა. ზოგიერთ კონსტრუქციაში of შეიძლება შეიცვალოს on წინდებულით, სხვა შემთხვევაში მას ცვლის -'s ([71], 91 — 92).

როგორც ვხედავთ, არა მხოლოდ აღწერის ყველა საფეხური ითვალისწინებს ენობრივ ფუნქციას, არამედ უკვე აღწერილის ყოველი ფაქტი აუცილებლად დახასიათებულია მისი ფუნქციით. წმინდა ფორმობრივი მიმართებანი ფაქტიურად არც არის წარმოჩენილი.

შემდეგ: იმ შემთხვევაში, როცა რომელიმე მორფემას არა აქვს მნიშვნელობა, იგი განიმარტება მხოლოდ შესაბამის კონტექსტებში მისი დისტრიბუციის (განაწილების) მიხედვით. ასეთია, მაგალითად, ინგლისური to ნაწილაკი (to go). მაგრამ „რომელიმე მორფემის სრული გაგება გულისხმობს მისი დისტრიბუციისა და მისი მნიშვნელობის დადგენას" ([71], 96).

წინააღმდეგობა აქ კიდევ უფრო გაღრმავებულია: ერთ შემთხვევაში მორფემა განისაზღვრება თავისი მნიშვნელობითა და

დისტრიბუციით, ხოლო მეორე შემთხვევაში — მხოლოდ დისტრიბუციით, რადგან არ მოეპოვება მნიშვნელობა. რასაკვირველია, მნიშვნელობა ამ „უფუნქციო" მორფემებსაც მოეპოვება, ოღონდ, სხვა მორფემებისაგან განსხვავებით, ეს ფუნქცია მხოლოდ სხვა ფორმობრივ ელემენტებთან ურთიერთობისას წარმოუჩნდებათ, ასე ვთქვათ, „კონტექსტური ფუნქცია" ახასიათებთ მხოლოდ.

ამრიგად, ერთი და იმავე ენობრივი ფაქტის ორგვარი დახასიათება გვაქვს. იმათ კი, რასაც ერთ ცნებაში, ერთ ტერმინში ვაერთიანებთ, ნიშან-თვისებაც ერთნაირი უნდა დაეძებნოთ, უნდა წარმოჩნდეს მხოლოდ ის საერთო, რაც მათ ერთ ცნებაში გააერთიანებს და, ამდენად, მათი ერთი ტერმინით სახელდების უფლებას მოგვცემს. სხვაგვარად: მხოლოდ ის ენობრივი ელემენტები შეიძლება აღინიშნოს ერთი და იმავე ტერმინით, რომელთაც სისტემატურად გამოხატული რაღაც საერთო ნიშან-თვისება მოეპოვებათ. ყოველი დამატებითი განმასხვავებელი ნიშანი ამ მოვლენათა სხვაობის დამადასტურებელია და მაშინ მათი დამატებითი კლასიფიკაციაც აუცილებელი ხდება. ამისდა კვალობაზე, ან to არ არის მორფემა, ან თვით მორფემის განმარტებაა არაზუსტი.

მორფემებში გამოყოფენ ძირებისა და აფიქსების კლასს, „walk, talk" ეს არის ძირების ერთი კლასი, ხოლო "shelf, rug — ძირების მეორე კლასი" ([71], 100). აქაც არსებითად მნიშვნელობაა (მეტყველების ნაწილების მნიშვნელობა) კლასიფიკაციისათვის ამოსავალი. რასაკვირველია, ფორმობრივი და ფუნქციური მომენტები შეიძლება დაემთხვნენ ერთმანეთს, მაგრამ აქ დამთხვევასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ ის სისტემაა მოცემული, რომელიც ძალაუნებურად განაპირობებს ფუნქციის გათვალისწინების აუცილებლობას ფორმობრივი ანალიზისას და თუკი ამ ტიპის განმარტებათა არსს ჩავხედავთ, აღმოჩნდება, რომ არსებითად უკვე ცნობილი პრინციპები მხოლოდ ახალი ტერმინოლოგიითაა მოწოდებული.

წინააღმდეგობრივია „ალომორფების" კვალიფიკაციაც. ჩვენ აქ მარტოოდენ იმას კი არ ვგულისხმობთ, რომ მათ დახასიათებაშიც მნიშვნელობის ასპექტია შემოტანილი (ეს გასაგებიცაა, რადგან მორფემის განმარტებიდან იგი აქაც გადმოინაცვლებდა), არამედ საკუთრივ ალომორფების ჯგუფშია გაერთიანებული სხვადასხვა რიგის მოვლენები: ერთი მხრივ, ალომორფებია ფონოლოგიურად შეპირობებული ვარიანტები ერთი მორფემისა, მაგალითად, ინგლისურში მრავლობითობის აღმნიშვნელი /-z/ და /-s/, ხოლო, მეორე მხრივ, მორფოლოგიურად შეპირობებული ასევე მრავლობითის — en (წარმოდგენილი oxen ფორმაში. [71], 103 — 105). წინააღმდეგობ-

რივია აქ ის, რომ სხვადასხვა რიგის ვარიანტები (ფონოლოგიური და მორფოლოგიური) ერთსა და იმავე სისტემაშია თავმოყრილი და, შესაბამისად, ერთი ტერმინით გადმოიცემა. ცდა დამატებითი დახასიათებისა (ან ფონოლოგიური, ან მორფოლოგიური შეპირობებულობა) წინააღმდეგობას არსებითად მაინც ვერ მოხსნის. გარდა ამისა, თუკი ჩვენ ფუნქციიდან ამოვალთ, მაშინ ძალიან ხშირად ერთ გრამატიკულ მნიშვნელობას რამდენიმე ფორმობრივი გამოხატულება აღმოაჩნდება და მაშინ ეს ნაირგვარი ფორმები ერთმანეთის ალომორფებად უნდა გამოვაცხადოთ. ასეთი იქნება, მაგალითად, ქართულში მრავლობითის -ებ და -ნ / -თ ფორმანტები. ამ შემთხვევაში მორფემა წმინდა ფუნქციური (სემანტიკური) ცნება გამოდის, ოღონდ იმ პირობით, რომ მას აუცილებლად უნდა მოეპოვებოდეს ფორმობრივი გამოხატულება. ამისდა კვალობაზე, რომელიმე -ად (ვითარებითი ბრუნვის ნიშანი) და -ს მიცემითი ბრუნვის ნიშანი) ერთი მორფემის ალომორფებად უნდა მივიჩნიოთ იმ შემთხვევაში, როცა ორივე ერთ ფუნქციას (ვთქვათ, მოქმედების ადგილს) გადმოსცემს: „ქალაქ-ად / ქალაქ-ს წავიდა“. ამავე რიგისა აღმოჩნდება -ით (მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი) და -ს (მიცემითი ბრუნვის ნიშანი): დილ-ით / დილა-ს. მაგრამ სხვა შემთხვევაში მათ სხვა ფორმებთან აღმოაჩნდებათ გადამკვეთი ფუნქცია და მაშინ ისინი სხვა მორფემის ალომორფებად უნდა წარმოვადგინოთ. ზემოხსენებულ მაგალითებშიც მიცემითის ფორმა ხან ვითარებითთან ერთიანდება, ხან — მოქმედებითთან, ერთ შემთხვევაში ერთის ალომორფია, მეორე შემთხვევაში — მეორისა. ამით კი მორფოლოგიური ანალიზის ამოსავალი ელემენტის რაობა ფაქტიურად კონტექსტურ ღირებულებამდეა დაყვანილი.

ანალოგიური ხასიათის წინააღმდეგობა არ მოიხსნება დისტრიბუციის გათვალისწინების დროსაც: ა) ერთსა და იმავე პოზიციაში ერთი და იმავე ფუნქციით რომელიმე კონტექსტში გამოყენებული მორფემები (ე. ი. ერთმანეთის ალომორფები) სხვა კონტექსტში ან პოზიციას შეიცვლიან, ან ფუნქციას (ან ორივეს ერთად) და მაშინ ისინი უკვე სხვადასხვა ჯგუფში მოექცევიან (იხ. თუნდაც ზემოთ მოტანილი მაგალითები). გარდა ამისა, ბ) მოხდება ისეც, რომ ორი მორფემა არასდროს შეგვხვდება ერთსა და იმავე პოზიციაში, მაგრამ ფუნქცია კი ერთი აღმოაჩნდებათ. აქ ე. წ. „დამატებითი დისტრიბუციის“ შემთხვევა გვაქვს. ამ დროსაც ერთი მორფემის ალომორფებზე ლაპარაკობენ. თუ ასეა, მაშინ ერთი მორფემის ალომორფები ყოფილა ნა-(ნა-გრეხ-ი, შე-ნა-ძენ-ი) და -ილ (გრეხ-ილ-ი, შე-ძენ-ილ-ი), მაგრამ ამ ფორმანტებს ფუნქცია სავსებით განსხვავე-

ბული აღმოაჩნდებათ ნა-ტეხ-ი — გა-ტეხ-ილ-ი ტიპის მაგალითების შემთხვევაში, ხოლო ნა-ქალაქ-ევ-ი / ნა-ქალაქ-არ-ი ტიპის მაგალითები საერთოდ გამორიცხავენ ნა- ფორმანტის კავშირს -ილ ფორმანტთან. აქაც, მაშასადამე, ერთ შემთხვევაში ერთი მორფემის ალომორფებად მიჩნეული ფორმანტები სხვა შემთხვევაში სავსებით განსხვავებულ ჯგუფებში მოექცევიან.

ყოველივე ზემოხსენებული გამორიცხავს მორფემის „სტაბილური დახასიათების" შესაძლებლობას. ამით სრულიადაც არ გვინდა იმის თქმა, რომ მორფემათა ნიშან-თვისების კონტექსტურ გამოვლინებას ყურადღება არ უნდა მიექცეს, პირიქით: ამის გარეშე საერთოდ შეუძლებელია მორფემის რაობის გარკვევა (და იმავდროულად ენის თავისებურების დინამიკაში, მოქმედებაში აღწერაც), მაგრამ რომელიმე ენობრივი ელემენტის განმარტებაში ყოველთვის უნდა იყოს წარმოდგენილი ის მუდმივი, რაც ამ ელემენტს ყველა კონტექსტში ახასიათებს და რაც საყრდენი იქნება მისი ყველა კონტექსტში ამოცნობისა.

ასე რომ, ძველი გრამატიკებისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობა, როცა ყოველი აფიქსი ფაქტიურად ფუნქციათა ჯამის ფორმობრივ გამომხატველად მიიჩნეოდა (მაგალითად, მიცემითი ბრუნვა განიმარტებოდა როგორც ფორმა, რომელმაც შეიძლება გამოხატოს ქვემდებარის, უშუალო დამატების, ირიბი დამატების, ადგილის გარემოებისა და სხვა ფუნქციები, თანაც ამ ფუნქციებს შორის რაიმე შინაგანი კავშირი არ იძებნებოდა), ახალი წინააღმდეგობით შეიცვალა, რადგან ყურადღების გამახვილება მხოლოდ მორფემათა უნარზე, მონაწილეობა მიიღონ ნაირგვარ მიმართებებში, და აღწერის ძირითად დანიშნულებად ამის გამოცხადება აძნელებს საერთო, სტაბილური სტატუსის წარმოჩენას ენაში.

მაშასადამე, მორფოლოგიური სტრუქტურის ანალიზის დროს მნიშვნელობის გათვალისწინება აუცილებელი აღმოჩნდა თვით იმ ენათმეცნიერული მიმართულებისთვისაც კი, რომელიც ენაში ენობრივი ფორმის პრიმატს აღიარებს. ამიტომაც ჯერჯერობით ისევ მართებული რჩება ე. ბენვენისტის დასკვნა: „რა ხერხს არ მიმართავდნენ, რომ მხედველობაში არ მიეღოთ მნიშვნელობა, უგულვებელეყოთ, თავიდან აეცილებინათ იგი. ყველაფერი ამაო აღმოჩნდა: იგი მედუზას თავის მსგავსად ყოველთვის წარმოჩნდებოდა ენაში და მონუსხავდა ხოლმე მის მჭვრეტელს" ([69], 136).

გარდა ამისა, მორფოლოგიური ანალიზიდან მთლიანად იყო გამორიცხული პროცესის, დინამიკის ცნება. „მორფოლოგიური პროცესის ცნება შეუთავსებელია მორფემისა და ფონემის ცნებებთან", აღნიშნავდა ჩ. ჰოკეტი ([99], 282). სწორედ სტატიკურმა ხასიათმა

განაპირობა ძირითადად დესკრიფციული ენათმეცნიერების არსებითი წინააღმდეგობანი. ენის კვლევა განისაზღვრებოდა როგორც „მუმიფიცირებული ტექსტის“ პრეპარირება. მაგრამ ენა დინამიური პროცესია და მისი შესწავლისას ამის გაუთვალისწინებლობა ხელოვნურ ზღუდეებს შექმნის, ხელს შეუშლის ენობრივი ფორმისა და ფუნქციის ყველა გამოვლინების გათვალისწინებასა და დადგენას. რა თქმა უნდა, რთულია მარად ცვლადი, განვითარებადი, დინამიკური ობიექტის შინაგან სამყაროში შეღწევა, მაგრამ შესაძლოა ენათმეცნიერებისათვის უფრო ფასეული იყოს არა ამ მარადიულ პროცესში მონაწილე ელემენტების დადგენა და გამოცალკევება მათი მთელი სიგრძე-სიგანით აღსარიცხად ან მათი საექსპონატო ფიქსაცია, არამედ თვით იმ იდუმალი პროცესის არსში ჩახედვა, იმ თვითმაორგანიზებელი ძალის აღმოჩენა, რომლებიც მწყობრ ენობრივ სისტემად აქცევენ ზემოაღნიშნულ ელემენტებს.

მორფემის დახასიათების წინააღმდეგობრივმა ხასიათმა ეჭვი დაბადა: „შესაძლებელია თუ არა გრამატიკის ძირითადი ცნებების — მორფემისა და ფონემის — განსაზღვრა არასემანტიკური ტერმინებით“ ([86], 84). საკითხი ჯერჯერობით ღიად რჩება. ივარაუდებოდა, რომ „მნიშვნელობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ევრისტიკულად, როგორც საშუალება მიგნება-ამოცნობისა, მაგრამ განმსაზღვრელი კრიტერიუმები ყოველთვის უნდა გამოიხატოს დისტრიბუციის ტერმინებში“ ([100]). ზ. ჰარისის ეს დებულება ერთგვარად მაინც შეასუსტებდა წინააღმდეგობას, დისტრიბუციული ტერმინებით წმინდა ფორმობრივი დახასიათება რომ ხერხდებოდეს: ამ საზით აღწერილი ფორმობრივი სისტემა სავსებით გაუგებარი იქნებოდა ფუნქციების გაუთვალისწინებლად. ამ წინააღმდეგობის დაძლევას ვერ შველის ვერც ის ვარაუდი, რომელიც ენათმეცნიერის ამოცანად თვლის მნიშვნელობათა სიგნალებად გამოყენებულ შესიტყვებათა „ფორმობრივი ნიშან-თვისებების წარმოჩენას, შეწოწმებასა და აღწერას იმ სისტემის შიგნით, რომელშიც ისინი ფუნქციონირებენ“. ([94], 114), რადგან „მნიშვნელობათა სიგნალი“ იმთავითვე გულისხმობს მისი მიმართების გარკვევას მის მიერ აღნიშნულ მნიშვნელობისადმი. ამის გარეშე ცალმხრივი და ძალდატანებითი აღწერა გარდაუვალია, რომ არაფერი ვთქვათ ენობრივი მფნაცემის სიგნალთან გათანაბრების შეუძლებლობაზე.

XVIII

ენობრივი ფორმის ოპტიმალური პრინციპების ძიებისას, მის პარალელურად, ენობრივი ფუნქციის სრულყოფილი შესწავლის

საკითხიც დაისვა. იმავდროულად გასარკვევი აღმოჩნდა ენობრივი ფუნქციის ფორმისადმი მიმართების პრობლემაც.

სხვადასხვა მიმართულებამ ამ საკითხის კვლევასაც დაამჩნია თავისი კვალი.

„შეიძლება თუ არა მივიჩნიოთ, რომ სიტყვათა მნიშვნელობები ქმნიან სტრუქტურას?“ ლ. იელმსლევის ერთ-ერთი სტატიის სათაურში გამოტანილი ეს საკითხი მრავალმხრივ საყურადღებო აღმოჩნდა. შესაძლოა, ბოლომდე არ გავიზიაროთ ავტორისეული ინტერპრეტაცია, მაგრამ მიღებული დასკვნა (მნიშვნელობები ქმნიან სტრუქტურას) უთუოდ პოზიტიურია. მასთან ერთად სხვა საკითხიც იქნება დასადგენი, კერძოდ, ენობრივ ფორმაზე მნიშვნელობის, ფუნქციის გავლენის საკითხი. საკუთრივ ენობრივი ფორმის თავისებურებანიც არ შეიძლება აქ ყურადღების გარეშე დარჩეს.

დასმულ საკითხებზე გლოსემატიკა ასეთ პასუხს იძლევა:

ფორმობრივ სტრუქტურას აყალიბებს ფუნქცია, ფუნქციად კი აქ გაიგება ენობრივ ფორმებს შორის არსებული დამოკიდებულებანი. ეს არის ცდა, ისევ და ისევ სემანტიკისაგან დამოუკიდებლივ გახისაზღვროს ენობრივი ფორმა. მაშასადამე, ამ განმარტებით, ფორმობრივ სტრუქტურას თვით ამ სტრუქტურის შემადგენელი ელემენტების ურთიერთობა აყალიბებს. ეს ქმნის ენის იმანენტურ ალგებრას და სწორედ ეს უნდა ეგულისხმაო ფ. დე სოსიურს, როცა აღნიშნავდა, რომ ენა არის ფორმა და არა სუბსტანცია ([73], 206, 263). წმინდა ენობრივი იერარქია შეიძლება იწოდოს ენობრივ სქემად, ხოლო გარეენობრივი იერარქიის წარმოებულები, რომლებიც ენობრივ სქემას ექვემდებარებიან, ენობრივ უზუსად. ენობრივი სქემა მანიფესტირდება ენობრივი უზუსით. მანიფესტაცია კი, თავის მხრივ, არის ენობრივ სქემასა და ენობრივ უზუსს შორის არსებული ფუნქცია (ე. ი. დამოკიდებულება, მიმართება. [73], 337-338). თუ ზემოთქმულს დავუმატებთ იმას, რომ „ფორმასა და სუბსტანციას შორის მიმართება ნებისმიერია“ და ასევე ნებისმიერია და დამოუკიდებელი შინაარსის ფორმა მასალის (ანუ: ყველა ენისათვის საერთო ფაქტორის) მიმართ ([73], 310), მაშინ ბუნებრივია, რომ ენობრივი (აბსოლუტურად ავტონომიური) ფორმის სტრუქტურა სრულიად დამოუკიდებელია (ნებისმიერია) შინაარსის (მნიშვნელობის) მიმართ, იგი ვერ იქონიებს მასზე გავლენას. ეს აზრი უფრო გაძლიერებულია შემდგომ: „სწორედ იმიტომ, რომ თეორია (იგულისხმება გლოსემატიკური თეორია) აგებულია იმგვარად, რომ ლინგვისტური ფორმა განიხილება „სუბსტანციის“ (მასალის) გაუთვალისწინებლად, ჩვენი აპარატი ადვილად მიესადაგება ნებისმიერ

სტრუქტურას, რომლის ფორმა „ბუნებრივი“ ენის ფორმის ანალოგიურია“ ([73], 357). და ბოლოს: „სუბსტანცია არ წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას ფორმის არსებობისათვის, მაგრამ ენობრივი ფორმა გვევლინება აუცილებელ პირობად სუბსტანციის არსებობისათვის“ ([73], 361).

ვფიქრობთ, რომ ამ თვალსაზრისის გაზიარება გაჭირდება, თუმცა იგი თითქოს სავსებით პასუხობს მოთხოვნას, რომელიც ზემოთ იყო წამოყენებული: ენობრივი ფორმისა და შინაარსის ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ანალიზის საჭიროება.

ვერ გავიზიარებთ, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ფორმისა და შინაარსის ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ანალიზი სრულიად არ ნიშნავს ფორმის პრიმატის აღიარებას და ამით შინაარსის ენათმეცნიერული ღირებულების დაჩრდილვას. პირიქით: ენობრივი ფორმის სტრუქტურისა და სისტემის კვლევას ფაქტიურად არავითარი ღირებულება არ ექნება, თუ არ იქნა გათვალისწინებული ენობრივი შინაარსის სტრუქტურა და სისტემა, მისი მიმართება ფორმობრივ მოვლენებთან. ენობრივი შინაარსი ისევე ძირითადი ობიექტია ენათმეცნიერული შესწავლისა, როგორც ენობრივი ფორმა.

გარდა ამისა, ენობრივი ფორმის გლოსემატიკური დახასიათება მიგვიყვანს იელმსლევის მიერ წამოყენებულ დებულებამდე, რომლის თანახმადაც, ნებისმიერი ენა უთანაბრდება ნებისმიერ ნიშანთა სისტემას (მორზეს ანბანი იქნება ეს, საზღვაოსნო სიგნალიზაცია, თუ ქუჩაში მოძრაობის მომწესრიგებელი შუქნიშანი). სწორედ ამიტომაა, რომ გლოსემატიკას ფაქტიურად პრეტენზია აქვს, იყოს ყოველგვარ ნიშანთა სისტემის უნივერსალური თეორია. თუ რატომ არ შეიძლება ყოველგვარი ნიშნის, ყოველგვარი სიგნალის გათანაბრება ენასთან, ამის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. ერთსაც დავუმატებდით: საკუთრივ ნიშანი (სიგნალი) შეიძლება გავუტოლოთ ე. წ. „ცხოველთა ენას“, რამეთუ იგი ერთდროულად, დაუნაწევრებლად შეიცავს რამდენიმე ინფორმაციას, განსხვავებით ჭეშმარიტი (ადამიანთა) ენისაგან, რომელიც ყოველთვის თავის შინაგანი სტრუქტურის შესაბამისად ანაწევრებს ყოველგვარ ინფორმაციას.

XIX

რა არის პოზიტიური ზემოგანხილულ თეორიაში?

პოზიტიურია ენობრივი ფორმის თავისივე კრიტერიუმებით დახასიათების ცდა. ამ დახასიათებაში ფორმობრივი ელემენტების ურთიერთმიმართებათა აუცილებელი გათვალისწინების ფაქტორი ერთერთი ძირითადი პირობაა.

გარდა ამისა, პოზიტიურია იმის წარმოჩენაც, რომ მნიშვნელობას თავისი სტრუქტურა მოეპოვება.

სხვა საქმეა, დაგვაკმაყოფილებს თუ არა თვით კვლევის გეზი, განზრახულის ხორცშესხმა გლოსემატიკის მეთოდებითა და პრინციპებით.

ფორმის მინიმალური ერთეულის აღსანიშნად გლოსემატიკაში შემოღებულ იქნა ტერმინი „გლოსემა“ ([73], 336—337). მინიმალური ერთეული (გლოსემა) განიმარტება როგორც განუყოფელი (დაუნაწევრებელი) ინვარიანტი ([73], 337), თავის მხრივ, ვარიანტი განსაზღვრულია როგორც ყოველი წინადადების, ყოველი სიტყვის და ა. შ. ტექსტში წარმოჩენილი სხვადასხვა ნიმუში, ხოლო ის არსი, რომლის ნიმუშებსაც ისინი წარმოადგენენ, იწოდება ინვარიანტად ([73], 320). როგორც ვხედავთ, ინვარიანტს გარკვეულ ლინგვისტურ სისტემაში აბსოლუტურის პრეტენზია აქვს და იმავდროულად აბსტრაჰირებული მონაცემიცაა, რაც აძნელებს კონკრეტული ენობრივი კვლევისათვის ხელმისაწვდომი და მოსახმარი რაობის დადგენას. გარდა ამისა, აღწერის პრინციპი, რომელშიც მინიმალური ერთეული გლოსემაა, სიმბოლიკური ლოგიკის პრინციპია არსებითად. მივყვეთ კვლევის ამ გეზს, ნიშნავს ხელი ავიღოთ მრავალი ისეთი ფაქტის ანალიზზე, რაც ენათმეცნიერებას თავისი კვლევის სფეროში შემოაქვს (გლოსემატიკას კი — არა).

ნიშანდობლივია, რომ, ამახვილებს რა ყურადღებას წმინდა ფორმაზე (და ისიც ძირითადად სემიოტიკური თვალსაზრისით), გლოსემატიკა ან სრულიად უარყოფს ტრადიციულ ენათმეცნიერულ ტერმინოლოგიას, ან ძირეულად უცვლის მას მნიშვნელობას (ძველ ტერმინში სრულიად ახალ ცნებას დებს), ანდა თუ თავისი ძველი მნიშვნელობით იყენებს, მხოლოდ ენის სემანტიკურ ასპექტზე მსჯელობისას. სწორედ ამ აზრითაა აქ ნახმარი ტერმინი „მორფემა“, რომელიც განიხილება როგორც შინაარსის ელემენტი ([73], 285). „მორფემის“ ამგვარი მნიშვნელობით გამოყენებას საბაბი მისცა იმან, რომ მორფემის დახასიათებას თვით ისეთ ლინგვისტურ სისტემებშიც კი, რომელთაც წმინდა ფორმის აღწერის პრეტენზია აქვთ, არსებითად სემანტიკა უძევს საფუძვლად.

გლოსემატიკაში მეორე ძირითადი ტერმინიცაა — „ფუნქტივი“; რითაც იწოდება ფუნქციაში (ანუ: ურთიერთდამოკიდებულებაში) მოხაწილე წევრი ([73], 292). გლოსემატიკური გაგებით ფუნქტივი წმინდა ენობრივი ფორმის ძირითადი ერთეულია. იმავდროულად იგი აღწერის ძირითადი, ამოსავალი ელემენტიცაა, რადგან „ობიექტის აღწერა შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ ერთს: აღინუსხოს ის დამოკიდე-

ბულებანი, რომლებშიც მოცემული ობიექტი შედის, ან რომლებიც მასში შედიან", და მაშინ „ანალიზის პრინციპად უნდა ჩაითვალოს ამ დამოკიდებულებათა გამოვლენა" ([73], 287). ამ პრინციპის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ აქ ერთი რამ არის გასათვალისწინებელი: გლოსემატიკური აღწერა ენობრივი ფორმის სპეციფიკურობიდან კი არ ამოდის, არამედ დედუქციურად ჩამოყალიბებული თეორიის საფუძველზე იძლევა ანალიზის პრინციპს, რომელიც ერთნაირად გამოსადეგი უნდა იყოს სრულიად განსხვავებული (ე. ი. როგორც ენობრივი, ასევე არაენობრივი) მიმართებებისათვის: „ყველა მეცნიერება ჯგუფდება ენათმეცნიერების ირგვლივ... ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია ვივარაუდოთ, რომ საერთო პრინციპებიდან ზოგიერთი... ფასეულია არა მხოლოდ ენათმეცნიერებისათვის, არამედ საერთოდ მეცნიერებისათვის" ([73], 335, 337). შესაძლოა, ამგვარი ანალიზი საჭიროც იყოს სხვადასხვა ობიექტში საერთოობის გამოსავლენად, მაგრამ თუკი ეს ანალიზის ერთადერთ პრინციპად მივიჩნიეთ, აუცილებლად დაზარალდება კონკრეტული ობიექტი, რადგან განუხილველი (მეტიც: წარმოუჩენელი) დარჩება მისთვის და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, სპეციფიკური, ის, რაც მას განასხვავებს სხვა ობიექტებისაგან და რაც, სწორედ ამის გამო, განსაკუთრებით საინტერესოა და ფასეული. ამ მიზეზით გლოსემატიკას ზოგჯერ უწოდებენ „ენათმეცნიერებას ენის გარეშე": ეს არის ანალიზი არა საკუთრივ ენობრივი ფორმის ელემენტებისა, არამედ საერთოდ ყველა არსებული ან შესაძლებელი ფორმალური სისტემის ელემენტთა ანალიზის თეორია.

ხსენებულ წინააღმდეგობას თვით გლოსემატიკოსები გრძნობენ. ვფიქრობთ, სწორედ ამ წინააღმდეგობის დაძლევის ცდაა შეფარულად წარმოდგენილი შემდეგ ფორმულირებაში: „ენა... ნიშანთა სისტემაა. რათა სავსებით დააკმაყოფილოს ეს დანიშნულება, იგი ყოველთვის მზად უნდა იყოს ახალი ნიშნების, ახალი სიტყვების ან ახალი ძირების წარმოსაქმნელად. მაგრამ... ენა მოსახერხებელი უნდა იყოს ურთიერთობისას... ნიშანთა განუსაზღვრელი რაოდენობის პირობებში ეს მიიღწევა იმით, რომ ყველა ნიშანი შედგენილია არანიშნებისაგან, რომელთა რიცხვი მკაცრად შეზღუდულია. ასეთ არანიშნებს ჩვენ ვუწოდებთ ფიგურებს... განსაზღვრული რაოდენობის ფიგურებისაგან ნიშნის შედგენის შესაძლებლობაში წარმოჩნდება ყველაზე მეტად არსებითი თვისება ნებისმიერი ენის სტრუქტურისა. ეს ნიშნავს, რომ ენები არ შეიძლება აღიწეროს როგორც წმინდა ნიშანთა სისტემები. იმ მიზანდასახულებით, რომელიც ჩვეულებრივ მათ მიეწერება, ისინი პირველ ყოვლისა ნიშანთა სისტემებია, მაგრამ თავისი შინაგანი სტრუქტურით ისინი პირველ ყოვლისა სულ

სხვა რაღაცას წარმოადგენენ, სახელდობრ: ფიგურათა სისტემებს, რომლებიც, შესაძლოა, გამოყენებულ იქნენ ნიშანთა შესაქმნელად. ენის განსაზღვრა როგორც ნიშანთა სისტემისა, გამოწვლილვით განხილვისას, არადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა. იგი ეხება ენის მხოლოდ გარეგან ფუნქციას, არალინგვისტურ ფაქტორებთან მის დამოკიდებულებას... და არა მის საკუთარ, შინაგან ფუნქციებს" ([73], 305).

შედეგი ამგვარი განმარტებისა განზრახულის საპირისპიროა: იგი კიდევ უფრო აძლიერებს განხილული თეორიისათვის დამახასიათებელ შინაგან წინააღმდეგობებს: აღიარება იმისა, რომ ენა არ არის მხოლოდ ნიშანთა სისტემა და, ამდენად, განსხვავდება სხვა ნიშანთა სისტემებისაგან, ხოლო იმავდროულად მისი საერთო სემიოტიკური პრინციპებით შესწავლის მოთხოვნა უფრო მეტად ააშკარავებს ამ გზით ენობრივი ფორმის ჭეშმარიტი არსის დადგენის სათუო:ბას.

XX

ვუბრუნდებით ზემოთ დასმულ საკითხს: ქმნის თუ არა მნიშვნელობა სტრუქტურას? ამის გასარკვევად ჯერ ორ ასეთ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი: ა) ახდენს თუ არა გავლენას ენობრივი ფუნქცია ენობრივ ფორმაზე? და პირუკუ: ბ) ახდენს თუ არა ენობრივი ფორმა გავლენას ენობრივ ფუნქციაზე?

XXI

თუკი სტრუქტურად ვიგულვებთ სხვადასხვა სისტემიდან ამორჩეულ ელემენტთა ინტეგრაციას (ამის შესახებ ცალკე გვექნება საუბარი), მაშინ კითხვას: ახდენს თუ არა გავლენას ენობრივი ფუნქცია ენობრივ ფორმაზე, რა თქმა უნდა, დადებითი პასუხი უნდა გაეცეს: ფუნქციას არსებითი ხასიათის ღირებულება მიენიჭება ფორმობრივი სტრუქტურის ორგანიზებაში, იგი იქნება ის კალაპოტი, რომელიც შემოსაზღვრავს ფორმის ფარგლებს.

ნიმუშად ავიღოთ ფორმები: ა-ხერხ-ებ-ს და ხერხ-ავ-ს. მათგან პირველის ფუნქცია გარდაქცევითობის მნიშვნელობას უახლოვდება (რაიმეს ხერხად, ილეთად გადაქცევით საწადელს მიაღწევს), მეორის ფუნქციაა — ინსტრუმენტატივი (ხერხი იარაღია გარკვეული მოქმედების ჩასადენად). თითოეული მათგანის შემადგენელი ელემენტები (პირველისათვის: ა-, -ხერხ-,-ებ-,-ს; მეორისათვის; ხერხ-,-ავ-,-ს) სხვადასხვა ფორმობრივი სისტემის კუთვნილებაა (ა- განეკუთვნება გარკვეული დანიშნულების პრეფიქსთა სისტემას, -ხერხ- ფუძეთა,

ე. ი. ლექსიკური ღირებულების მქონე ელემენტთა, სისტემას და ა. შ.); ამ სხვადასხვა სისტემებიდან ხდება მათი ამორჩევა და ზემოხსენებულ სტრუქტურებად (ანუ: დეტერმინირებულ ფორმობრივ ერთიანობად) ინტეგრაცია. სწორედ ასეთ ვითარებაში შინაგანად გამომუშავებულ ურთიერთმიმართებათა საფუძველზე გარდაქცევითობის ფუნქცია აყალიბებს (უკეთ: კალაპოტს უქმნის) პირველ სტრუქტურას („ახერხებს"), ინსტრუმენტატივისა კი — მეორეს („ხერხავს"). ხსენებულ მაგალითებში განსხვავებულ სტრუქტურებს ისტორიული გამართლებაც აქვთ: „ახერხებს" და „ხერხავს" ახლა ომოფორმებს ვარაუდობენ ფუძედ (ხერხი — ილეთი, ფანდი და ხერხი — საჭრელი იარაღი), მაგრამ ძველი ქართული ენა (და ზოგიერთი თანამედროვე დიალექტი ქართული ენისა) გვიდასტურებს ამ ფორმათა ომონიმობის მეორეულობას (იყო: ჴერჴი — ილეთი, ფანდი და ხერხი — საჭრელი იარაღი). ამ ფორმათა საფუძველზე წარმოქმნილი ფორმობრივი სისტემები ახლაც განსხვავებულია: ახერხებს — მოხერხება — მოხერხებული — მოსახერხებელი... მაგრამ: ხერხავს — ხერხვა — გახერხილი — გასახერხი...

შენიშვნის სახით უნდა დავსძინოთ: ფორმობრივი სტრუქტურის შეპირობება ფუნქციით იმას არ ნიშნავს, რომ ამ ფორმობრივ სტრუქტურას დამოუკიდებელი ენობრივი ღირებულება არა აქვს თითქოს. აქვს და მისი დამოუკიდებელი შესწავლის შესაძლებლობაც ივარაუდება.

სხვა ნიმუში: ფ. დე სოსიურის „ზოგადი ენათმეცნიერების კურსის" შემდეგ საკმაო ყურადღება ექცევა მოტივაციის პრობლემას: „არ არსებობს ენა, სადაც არაფერი არ არის მოტივირებული, მაგრამ წარმოუდგენელია ისეთი ენაც, სადაც მოტივირებულია ყველაფერი" ([89], 128). ასე მაგალითად, „სამი" და „ოცი" თანამედროვე ქართულში არამოტივირებული სიტყვებია, მაგრამ მოტივირებულია უკვე „ოცდასამი" და „სამოცი". თუ რუსულს შევუპირისპირებთ, აღმოჩნდება, რომ რუსულში მოტივირებულია „оцiц" — двадцать (два десять), ხოლო შესაბამისად „оцдасамиц" (двадцать три) და „самоциц" (шестьдесят). გარდა ამისა: „სამოცი" და „шестьдесят" ქართულსა და რუსულში, ორივეგან, მოტივირებული კი არის, მაგრამ მოტივაციის საფუძველი სხვადასხვაა და, შესაბამისად, ეს ფორმებიც სხვადასხვა შედგენილობისაა: ქართულში არის 3×20 „სამოცი", რუსულში — 6×10 „ექვსჯერ ათი". ეს ფაქტი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ერთი და იგივე ფუნქცია სხვადასხვა ფორმობრივი სტრუქტურით შეიძლება გადმოიცეს (და არა მხოლოდ სხვადასხვა ენაში, არამედ ერთ ენასა და მის დიალექტებშიც: 120 სალიტერატუ-

რო ქართულში გადმოიცემა როგორც „ასოცი“ ე. ი. 100+20, ხევსურულში მისი ფარდია „ექვსოცი“, ე. ი. 6×20). მაშასადამე, „ზოგადი იდეა“ (ვთქვათ „სამოცისა“) ნაირგვარად შეიძლება იყოს რეალიზებული, მაგრამ ყველა შემთხვევაში სწორედ იგი განსაზღვრავს ფორმობრივი სტრუქტურის ყალიბს, იგი ქმნის ამ ფორმობრივ სტრუქტურას.

ყველაფერი ეს კი ისევ იმაზე მიუთითებს, რომ მნიშვნელობა „განაგებს“ ფორმობრივი სტრუქტურის ელემენტების ამორჩევასაც და მათ განლაგებასაც ამა თუ იმ ყალიბში: ამიტომაც განსხვავდება შედგენილობით „სამოცი“ (3×20) და „ოთხმოცი“ (4×20), ამიტომაც განსხვავდება განლაგებით „ოცდასამი“ (20+3) და „სამოცი“ (3×20). თუმცა ამ ორგანიზებაში არც საკუთრივ ენობრივი ფორმის აქტიური ჩარევა უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან.

მნიშვნელობის გავლენა ხელშესახებად წარმოჩნდება ე. წ. ომონიმურ ფორმებშიც, კერძოდ, ამ ფორმათაგან წარმოებულ სისტემებში: „ჯამი“ (ძენაკრები) — „აჯამებს“, მაგრამ: „ჯამი“ (თასი) ზმნურ ფორმაში ვეღარ მონაწილეობს. საყრდენი ფორმები აბსოლუტურად იდენტურია, ფორმათწარმოებაში სხვაობის მიზეზი მნიშვნელობის აქტიური ჩარევის შედეგია.

გრამატიკული ფუნქციის ფორმობრივ რეგულირებაში ჩარევის ღირსაცნობ ნიმუშს ე. წ. ფუძედრეკადი ზმნები იძლევიან. ცნობილია: ამ ზმნებს ფუძე I სერიაში ე-გახმოვანებით აქვთ წარმოდგენილი, II სერიაში — ი-გახმოვანებით: დრეკ-ს—დრიკ-ა, კრებ-ს—კრიბ-ა და ა. შ. აქ ფლექსიასთან გვაქვს საქმე, მაგრამ იმ სახის ფლექსიასთან, რომელსაც, ჩანს, ეძებნება ფონეტიკური საფუძველი: ივარაუდება ნამყო ძირითადის I და II პირების ფორმებში დამოწმებული -ე სუფიქსის გავლენა: *გა-ვ-დრეკ-ე—გა-ვ-დრიკ-ე, *გა-დრეკ-ე—გა-დრიკ-ე ([61], 36—37). ეს კი ნიშნავს, რომ ფუძედრეკად ზმნათა ფუძეებს რედუქციის თვისება აქვთ და, ამდენად, ხმოვნიან სუფიქსებს უნარი შესწევთ ფონეტიკურად ცვალონ ისინი: დაავიწროვონ ფუძისეული ხმოვანი: ე—ი. მაგრამ იმის გამო, რომ აქ ფონეტიკურ ცვლილებას მორფოლოგიური ღირებულება აქვს მოპოვებული (ერთმანეთს უპირისპირებს I და II სერიების ფუძეებს), ფონეტიკურად ხელსაყრელ ყველა ფორმობრივ პოზიციაში ეს ცვლილება არ ხდება. სწორედ ამიტომ არის, რომ აწმყოს მრავლობითი რიცხვის III სუბიექტურ პირში ფუძე ე-გახმოვანებით არის წარმოდგენილი (დრეკ-ენ), თუმცა პოზიცია ისეთია, რომ ხმოვანთმონაცვლეობისათვის ხელსაყრელი პირობებია შექმნილი. მაშასადამე, გრამატიკული ფუნქციის ჩარევის გამო, ანალოგიური (იდენტური) ფონეტიკური პირობები (დრეკ-ს — დრეკ-ენ და *ვ-დრეკ-ე—ვ-დრიკ-ე) სხვადასხვა შედეგს იძლევიან.

ფორმაზე ფუნქციის ზეგავლენის ნიმუშად გრამატიკული რიცხვის აღნიშვნასთან დაკავშირებული ერთი ფაქტიც გამოგვადგებოდა. იგულისხმება შემთხვევები, როცა მრავლობით რიცხვში შეთანხმება ხდება ზმნურ კონსტრუქციაში მოქმედად ნაგულვებ პირთან (რეალურ სუბიექტთან), მიუხედავად იმისა, იგი ზმნაში ქვემდებარედ იქნება გაფორმებული, თუ დამატებად.

შდრ. ამ თვალსაზრისით:

I მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეს /მოსწავლეებს
მასწავლებლები ეკითხებიან მოსწავლეს /მოსწავლეებს

მაგრამ:

II ლექცია/ლექციები ეკითხება სტუდენტს
ლექცია/ლექციები ეკითხებათ სტუდენტებს

ასევე:

I იგი ხვდება თავის შეცდომას/შეცდომებს
იგინი ხვდებიან თავის შეცდომას/შეცდომებს

მაგრამ:

II უსიამოვნება/უსიამოვნებანი ხვდება მას
უსიამოვნება/უსიამოვნებანი ხვდებათ მათ

მეორე ტიპის მაგალითებში აშკარად წარმოჩენილ ინვერსიასთან გვაქვს საქმე და ცდაც არის ინვერსიით გამოწვეული შინაარსობრივი გადასხვაფერების ფორმობრივ ყალიბში ასახვისა. ასეთი რამ ძველი ქართულისათვის არ იყო ნიშანდობლივი, ხშირად ახალ ქართულშიც შესამჩნევ მერყეობას განიცდის, მაგრამ მოქალაქეობრივი უფლების მოპოვებას კი დაჟინებით ცდილობს.

და ბოლოს, ნიმუში იმისა, თუ რა ძლიერ გავლენას ახდენს გრამატიკული ფუნქცია მთლიანად კონსტრუქციის სტრუქტურაზე. ამის მაგალითები კარგად არის ცნობილი ქართულში: ვგულისხმობთ შემთხვევებს, როცა კონსტრუქცია ანგარიშს უწევს ზმნა-შემასმენლის ფუნქციას და არა მის ფორმობრივ ყალიბს: „დაპირდა მან მას ის“, ნაცვლად „დაპირდა ის მას მას“ კონსტრუქციისა ([65], 9; იხ. აგრეთვე: [75], 5 და [76], 216). ამ შემთხვევაში ფუნქციის გავლენა იმდენად ძლიერია, რომ ზოგჯერ იმ დიალექტებშიც კი აღწევს, რომელთათვისაც არ არის დამახასიათებელი ამ დროს ამგვარი კონსტრუქციული ცვლილება. ამ დიალექტებიდან კი ამა თუ იმ მწერლის ენაშიც მოხვდება ხოლმე. მაგალითად, ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობში“ არის დამოწმებული: „ბოლოს, რომ არა ეშველათ-რა, წმინდა გიორგის ჯვარი დაჰპირდნენ იმას, ვინც მე ან ცოცხალს დამიჭერდა, ან მკვდარს მიმიტან-

და“ ([67], 116). ანალოგიური შემთხვევები სპორადულად ძველი ქართული ენის ძეგლებშიც არის შენიშნული ([57], 244—245).

XXII

ენას მოეპოვება (ანუ: ენას შეადგენს, მის სემანტიკურ მხარეს განსაზღვრავს) პერსონალიზმის, ნუმერულობის, ვერსიის, აქტიურობა-პასიურობის და სხვა ფუნქციები. თითოეული მათგანი ქმნის სემანტიკურ კატეგორიას. მათი გაფორმება (რეალიზაცია) ხდება, შესაბამისად, პირის, რიცხვის, ქცევის, გვარის გრამატიკული (უკეთ: ფორმობრივი) კატეგორიებით. მაგრამ გრამატიკული კატეგორიებით რეალიზაცია არ არის ამ ფუნქციათა გამოხატვის ერთადერთი საშუალება. პარალელურად ძალიან ფართოდ გამოიყენება ლექსიკური და კონტექსტური საშუალებანიც. უფრო ნათლად ეს წარმოჩნდება სხვადასხვა ენების შეპირისპირებისას, როცა, ვთქვათ, ერთი და იგივე ფუნქცია კაუზალობისა ფორმობრივ გადმოიცემა (რეალიზდება): ა) ორგანული გრამატიკული ფორმით — ა-ჭმ-ევ-ს (შდრ.: ჭამ-ს) ქართულში, ბ) ლექსიკური ფორმით кормит (შდრ.: е с т) რუსულსა და feeds (შდრ.: eats) ინგლისურში. ანდა, როცა გადმოიცემა: ა) ორგანული გრამატიკული ფორმით — ა-მეორ-ებ-ინ-ებ-ს (შდრ.: ი-მეორ-ებ-ს) ქართულში და ბ) აღწერითი (ანალიტიკური) ფორმით: заставляет повторять (შდრ.: повторяет) რუსულსა და makes repeat (შდრ. repeats) ინგლისურში. ხშირია შემთხვევები, როცა ერთსა და იმავე ენაში ხდება ერთნაირი ფუნქციური ოპოზიციის გადმოცემა (რეალიზაცია) ნაირგვარი ფორმობრივი საშუალებებით; მაგალითად, ქართულში აქტიურობა-პასიურობის ფუნქციური ოპოზიცია შეიძლება გადმოიცეს: ა) ორგანული წარმოების ფორმებით (ზმნის გვარის გრამატიკული კატეგორიით): ხატ-ავ-ს — ი-ხატ-ებ-ა, ბ) აღწერითი ფორმით: შე-ი-ტან-ა, მაგრამ: შე-ტან-ილ იქნა, გ) ლექსიკური საშუალებით: ა-გდ-ებ-ს — ვარდ-ებ-ა.

ზემოხსენებული სემანტიკური კატეგორიებისგან უნდა განირჩეს სემანტიკური ჯგუფები, რომლებსაც ლექსიკოლოგიაში (და სემასიოლოგიაში) გამოჰყოფენ ლექსიკური ფონდის სემასიოლოგიური დახასიათებისას: „ვინ“ და „რა“ ჯგუფის არსებითი სახელები, კნინობითი, ხელობის აღმნიშვნელი სახელები და სხვა ([58], 132 და შმდგ.).

ლექსიკური მნიშვნელობებისა და გრამატიკული ფუნქციების ურთიერთშეხამება ერთ-ერთი არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხთაგანია.

განვმარტავთ ნათქვამს:

რომელიმე „ფარ-“, „წურ-“, „ჩემ-“ ფორმობრივ ერთეულებში „ჩადებული“ ლექსიკური მნიშვნელობა იგუებს როგორც პერსონა-

ლიზმის, ასევე ნუმერულობის, ვერსიისა და აქტიურობა-პასიურობის ფუნქციებს:

ფარ-ავ-ს — ფარ-ავ-ენ, ფარ-ავ-ს — ი-ფარ-ავ-ს — უ-ფარ-ავ-ს, ფარ-ავ-ს — ი-ფარ-ებ-ა და ა. შ.

წურ-ავ-ს — წურ-ავ-ენ, წურ-ავ-ს — ი-წურ-ავ-ს — უ-წურ-ავ-ს, წურ-ავ-ს — ი-წურ-ებ-ა და ა. შ.

ი-ჩემ-ებ-ს — ი-ჩემ-ებ-ენ, ი-ჩემ-ებ-ს — უ-ჩემ-ებ-ს, ი-ჩემ-ებ-ს — ჩემ-დ-ებ-ა და ა. შ.

სამაგიეროდ, „ცა“, „მთვარე“, „მზე“ ფორმებში „ჩადებული“ ლექსიკური მნიშვნელობა (სხვაგვარად: ლექსიკური მნიშვნელობა ცისა, მთვარისა, მზისა) ვერ იგუებს ვერცერთ ზემოდასახელებულ გრამატიკულ ფუნქციას. მხოლოდ ზოგიერთი მათგანი, შუალედური საფეხურის გავლით, შეიგუებს ხსენებულ ფუნქციათაგან რომელიმეს: მზე—*მზე(ვ)-ურ-—ა-მზე-ურ-ებ-ს. გასათვალისწინებელია: *მზე(ვ)-ურ ფუძის ფონეტიკური ვარიანტი მზი-ურ- უკვე გამოუყენებელი ხდება ზმნურ სისტემაში, ე. ი. მასთან შეუძლებელია პერსონალიზმის, ვერსიის, აქტიურობა-პასიურობის ფუნქციათა შეხამება.

იმავდროულად, „ფარ-“, „ჩემ-“, „ცა-“, „მთვარე-“, „მზე-“ ფუძეებში ჩადებული ლექსიკური მნიშვნელობა ერთნაირად იგუებს, მაგალითად, გამოსვლითობის ფუნქციას: ფარისგან / ფარიდან, ჩემგან, ცისგან / ციდან, მთვარისგან / მთვარიდან, მზისგან / მზიდან... ყველა მათგანი, გარდა „ჩემ-“ ლექსიკური მნიშვნელობისა, იგუებს საგნობრივი სახელდების ფუნქციასაც: ფარ-ი, ცა, მთვარე, მზე... ზოგიც — ატრიბუციის ფუნქციას: „ჩემ-“ (ჩემი წიგნი), „მზე-“ (შდრ.: გალაკტიონ ტაბიძესთან: „დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ...“), ზოგიც — მსგავსებითობის აღნიშვნის ფუნქციას: „მთვარესავით სახე აქვს“ და ა. შ.

თავისთავად, წმინდა ფორმობრივი თვალსაზრისით, არცერთი ზემოთმოტანილი ფორმობრივი ელემენტის ურთიერთშეხამებას რაიმე წინააღმდეგობა არ ახლავს. ანუ: ფორმობრივად არაფერი უშლის ხელს ასეთ სტრუქტურებს: *ა-მთვარევ-ებ-ს, *ა-მზიურ-ებ-ს, *ცივ-დ-ებ-ა (შდრ. ზღვა—ა-ზღვავ-დ-ებ-ა), ასევე ფორმობრივად სავსებით დასაშვებია *ფარცხ-დ-ებ-ა (შდრ.: მარცხ-დ-ებ-ა), *ა-წიგნ-ებ-ს, *სურ-დ--ებ-ა (შდრ.: წყურ-დ-ებ-ა) სტრუქტურები. და თუ არ გვხვდება, მხოლოდ იმის გამო, რომ სემანტიკურად დაუშვებელი აღმოჩნდნენ, მხოლოდ იმიტომ, რომ ლექსიკურმა მნიშვნელობამ თუ გრამატიკულმა ფუნქციამ იქონია ამკრძალავი ზეგავლენა.

სემანტიკური ზეგავლენის (შესაძლებლობა-აკრძალვის) ხსენებული შემთხვევები არ უნდა გავუთანაბროთ ენაში დამოწმებულ იმ ფაქტს, როცა რომელიმე სემანტიკურადაც და ფორმობრივადაც შესაძლებელი სტრუქტურა არ რეალიზდება მხოლოდ იმის გამო, რომ ენას

სხვა ფორმობრივი სტრუქტურა აქვს ამ მიზნით გამოყენებული. მაგალითად, სემანტიკურად და ფორმობრივად სავსებით დასაშვები „უ-მე-ო“ ფორმა არ რეალიზდება „უ-ჩემ-ო“ ფორმის არსებობის გამო; ასევე სრულიად მისაღები „თბილ-დ-ებ-ა (შდრ.: სემანტიკური თვალსაზრისით — „ცივ-დ-ებ-ა“, „ცხელ-დ-ებ-ა“, ხოლო ფორმობრივი თვალსაზრისით — „რბილ-დ-ებ-ა“) ქართულში არ გვხვდება იმის გამო, რომ ამ ფორმისათვის ნავარაუდევი ფუნქცია რეალიზებულია „თბ-ებ-ა“ ფორმით.

ყოველივე ამის გათვალისწინების შემდეგ უკვე შესაძლებელია უშუალოდ მივხედოთ საკითხს, თუ რამდენად აქვს ფორმობრივ სტრუქტურას ფუნქციაზე ზეგავლენის უნარი.

ენაში გვაქვს შემთხვევები, როცა სემანტიკურად სავსებით დასაშვები სტრუქტურები არ რეალიზდება ფორმობრივი აკრძალვის გამო. ერთ ასეთ ნიმუშად ა. შანიძის მიერ დასახელებული მაგალითი გამოგვადგება: „გა-ი-ღ-ო კარი“, მაგრამ: „გა-ღ-ებ-ულ იქნა თანხა“ ([59], 295). მეორე ფორმისათვის არ იქნა გამოყენებული სემანტიკურად შესაძლებელი „გა-ი-ღ-ო“ ფორმა სწორედ ფორმობრივი აკრძალვის გამო: საქმე ისაა, რომ მოქმედებით გვარში ნეიტრალური ქცევის ვენციით გამოყენებული სასუბიექტო ფორმა ვნებითში ვერ იკეთებს იპრეფიქსიან ფორმებს: ა-ღ-ებ-ს—ი-ღ-ებ-ა, მაგრამ: ი-ღ-ებ-ს (თანხას, გა-ი-ღ-ებ-ს თანხას)—გა-ღ-ებ-ულ არის‖იქნება (თანხა).

სემანტიკურად ასევე დასაშვებია *გა-კეთ-ებ-ილ-ი, *ა-შენ-ებ-ილ-ი ფორმები (შდრ.: შე-კრებ-ილ-ი, შე-ღებ-ილ-ი), მაგრამ ისევ და ისევ ფორმობრივი აკრძალვის გამო (-ებ თემის ნიშანი ვნებითი გვარის წამყო დროის მიმღეობის მაწარმოებელთაგან მარტოოდენ -ულ ფორმანტს იგუებს) რეალურად არსებობს მხოლოდ გა-კეთ-ებ-ულ-ი, ა-შენ-ებ--ულ-ი ფორმები.

ზემოხსენებული სემანტიკურად დასაშვები *თბილ-დ-ებ-ა ფორმის ნაცვლად თბ-ებ-ა ფორმის გამოყენება აიხსნება არა მოცემული ჰიპოთეტური ფორმის შეუძლებლობით (აკი გვაქვს: „რბილდება“, „წყვილდება“ ფორმები), არამედ ფორმობრივი სისტემის ზეგავლენით, რომლის თანახმადაც, თბ-ილ-ი, ტკბ-ილ-ი სტრუქტურები ზმნურ სისტემებში ვერ მონაწილეობენ, ამის ნაცვლად გვაქვს მხოლოდ: ა-თბ-ობ-ს— თბ-ებ-ა, ა-ტკბ-ობ-ს — ტკბ-ებ-ა.

სემანტიკურად, შეიძლება ითქვას, ფაქტიურად თანაბარია შემდეგი ორი კონსტრუქცია: 1. მეგობარი ქალაქიდან წერილს მწერს, და: 2. მეგობარი ქალაქიდან წერილს იწერება; მაგრამ მაინც მათ სემანტიკაზე აშკარად ახდენს გავლენას ზმნის ორი განსხვავებული ფორმა, რის გამოც გარკვეული ადრესატისადმი მიმართული მოქმედება (1) არსებითად ნეიტრალური (2) ხდება ამ თვალსაზრისით. აქტიურობა-

პასიურობის მიხედვითაც, პირველისაგან განსხვავებ-თ, ნეიტრალური ჩანს მეორე კონსტრუქცია.

ერთი და იმავე მნიშვნელობის გამომხატველნი არიან ორგანული წარმოების „უ-ნახავ-ს“ და აღწერითი წარმოების „ნანახი აქვს“ ფორმები. მეტიც: „უ-ნახავ-ს“ ფორმაში უ- პრეფიქსი ფაქტიურად იმავე რელაციის (მიმართების) გამომხატველია, რაც აღწერით ფორმაში მეშველი ზმნით („აქვს“) გამოიხატება. მიუხედავად ამისა, ამ ერთი და იმავე მნიშვნელობის რეალიზაციის ნაირგვარი ფორმა აშკარად უკუგავლენას ახდენს სემანტიკაზე. ამის ნათელსაყოფად ერთი მაგალითიც საკმარისია: „უ-ნახავ-ს“ ფორმა შესაძლებელია მრავალგზისობის გაგებასაც მოიცავდეს („უნახავს ხოლმე“), მაგრამ სავსებით გამორიცხულია ამგვარი გაგება დაუკავშირდეს აღწერით ფორმასაც (შეუძლებელია: „ნანახი აქვს ხოლმე“).

ასე რომ, ფორმა, ფორმობრივი ყალიბი არსებითად უკუზეგავლენის უნარის მქონეა, იგი თავის დაღს ასვამს სემანტიკას, გარკვეულ ჩარჩოებს უქმნის მას, შეჰყავს ამა თუ იმ სისტემაში, რითაც თითქოსდა აშკარა სემანტიკური პარალელიზმის დროსაც კი ნაირგვარ ღირებულებას წარმოაჩენს. შდრ., მაგალითად, შემდეგი პარალელური ფორმები:

ენდობა	—ნდობს	—ნდობა აქვს
ეცილება	—ცილობს	—ცილობა აქვს
ედარდება	—დარდობს	—დარდი აქვს
ეხათრება	—ხათრობს	—ხათრი აქვს
X	—შიშობს	—შიში აქვს და მისთ

ნაირგვარმა ფორმობრივმა რეალიზაციამ ფაქტიურად გააკეთა ის, რომ არა მარტო სემანტიკურ სტრუქტურაზე იქონია ზეგავლენა (მაგალითად, „ენდობა“ ზმნის სემანტიკურ სტრუქტურაში დინამიკურობის ფუნქცია შეიტანა, „ნდობს“ ზმნის სემანტიკურ სტრუქტურაში კი — სტატიკურობის ფუნქცია, ნაცვლად დინამიკურობისა), არამედ თითოეული მათგანის სინტაქსურ მიმართებებშიც (სხვაგვარად: კონსტრუქციაშიც) შეიტანა არსებითი ხასიათის ცვლილებები. შდრ.: „ენდობა /ნდობს ის მას“, მაგრამ: „ნდობა აქვს მას მისი“.

ამრიგად, სემანტიკაზე ფორმობრივი სტრუქტურის ზეგავლენა უეჭველი ჩანს.

XXIII

ახლა საგანგებოდ უნდა ითქვას რამდენიმე სიტყვა იმაზე, თუ რას გულისხმობს დებულება გრამატიკულ ფუნქციათა შეხამების შესახებ.

როცა აღნიშნავენ, რომ „ზმნა ქართულში უაღრესად რთული შინა-

არსის სიტყვაა: საპირისპირო ფორმათა არსებობის წყალობით მას მოეპოვება თოთხმეტიოდე მორფოლოგიური კატეგორია: პირი, რიცხვი, დრო, კილო, გზისობა, აქტი, თანამდევრობა, მწკრივი, გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, გვარი, ქცევა, კონტაქტი, რომელთაგანაც მას შეუძლია ათი-თორმეტი გვიჩვენოს ერთსა და იმავე დროს" ([59], 165), აქ, ამ შემთხვევაში უპირველესად სწორედ გრამატიკულ ფუნქციათა შეხამება უნდა ვივარაუდოთ, რაც განსაზღვრავს კიდეც იმის დადგენის აუცილებლობას, თუ რომელი გრამატიკული ფუნქციებია შესაძლებელი გამოყენებულ იქნან ერთ სემანტიკურ მთლიანობაში. „ტრადიციულ გრამატიკაში უპირატესად ფუნქციური ცნებებია გამოყენებული" ([63], 244, [64], 264) და, ამდენად, როცა ერთ გრამატიკულ ფორმაში რამდენიმე კატეგორიის გამოვლენაზე (თავმოყრაზე) ლაპარაკობენ, აქ იგულისხმება ამა თუ იმ გრამატიკული კატეგორიებისათვის დადგენილი ფუნქციების ერთ რომელიმე ფორმაში გაერთიანების შესაძლებლობა. ეს იმიტომ, რომ ზმნის პირის, რიცხვის, დროის, კილოს, გვარის და სხვა კატეგორიების დახასიათებისას ძირითადი აქცენტი სწორედ მათ ფუნქციურ მხარეზეა გადატანილი. მეტიც: ის, რასაც ტრადიციულად ფორმათა შეხამებას უწოდებენ, უპირატესად ფუნქციათა შეხამებაა სწორედ და ფორმათა შეხამებაზე ამ შემთხვევაში მხოლოდ იმდენად შეიძლება ლაპარაკი, რამდენადაც ესა თუ ის ფორმა ამა თუ იმ ფუნქციის მატარებელია.

მაინც რას გულისხმობს ცნება ფუნქციათა შეხამებისა?

გაკვრით უკვე გვქონდა ამაზე საუბარი. ერთმანეთს ეხამება, მაგალითად, ფუნქცია პერსონალიზმისა და დროისა, იმავდროულად ამავე სემანტიკურ სტრუქტურაში შესაძლოა რეალიზებულ იქნეს ფუნქცია აქტიურობა-პასიურობისა, მაგრამ ერთმანეთთან შეუთავსებელი აღმოჩნდნენ გარდაქცევითობისა და ინსტრუმენტატივის ფუნქციები: ერთ სტრუქტურაში მათი ორივეს ერთად წარმოდგენა შეუძლებელია. ასევე ვერ „მოთავსდება" ერთად დინამიკურობისა და სტატიკურობის ფუნქციები და ა. შ.


ერთ მთლიანობაში წარმოდგენილი ფუნქციები (პერსონალიზმი, აქტიურობა, გარდაქცევითობა, დრო, რეალიზებული, მაგალითად, „ა-კეთ-ებ-ს" ზმნით) ქმნიან სემანტიკურ სტრუქტურას. აქვე საჭირო ჩანს ზოგი ცნებისა და ტერმინის დაზუსტება. სემანტიკურ სტრუქტურათა ჰეშმარიტი ბუნების გასარკვევად აუცილებელია ერთმანეთისაგან განსხვავდეს „ფუნქციათა შეთავსება" და „ფუნქციათა შეხამება", რომელთაგან პირველი სწორედ იმის დადგენას ვარაუდობს, თუ რა ფუნქციებია შესაძლებელი მოექცნენ ერთ სემანტიკურ მთლიანობაში, ხოლო მეორე გულისხმობს ურთიერთშეთავსებულ ფუნქციათა შორის დამყარებულ მიმართებათა შესწავლას. ანუ: პირველი დაგ-

ვანახებს, რომ ერთმანეთს უთავსდება გარდაქცევითობა და აქტიურობა, მაგრამ ვერ უთავსდება გარდაქცევითობა და ინსტრუმენტატივი. შეუთავსებადია გარდაქცევითობა და სტატიკურობა, მაგრამ შეთავსებადია სტატიკურობა და პასიურობა. რა თქმა უნდა, შეთავსებულობის პირობები ყოველი ენისათვის თავისებურია, დამოუკიდებელია. თავის მხრივ, საკუთრივ შეხამების საკითხის რკვევა დაგვადგენინებს, რა მოსდის, რა დამატებითი სემანტიკით იტვირთება (ან არ იტვირთება), რა დამატებითი სემანტიკური ნიშანი უჩნდება (ან არ უჩნდება), მაგალითად, გარდაქცევითობის ფუნქციას აქტიურობის (პასიურობის, კაუზალობის, ვერსიის...) ფუნქციასთან შეთავსებულობის დროს.

XXIV

სემანტიკური სტრუქტურის რაობა, სემანტიკურ კატეგორიათა გამოყოფის ცდა, მათი კლასიფიკაცია, როგორც ფილოსოფიაში, ასევე ენათმეცნიერებაში, კარგა ხანია, რაც ერთ-ერთ ძირითად პრობლემად ითვლება.

საკუთრივ ენობრივ მნიშვნელობათა სტრუქტურის შესწავლა ბოლო ხანებში ღირსაცნობ პრობლემად იქცა. „შემოვიტანოთ სტრუქტურის ცნება სემანტიკური ფაქტების შესწავლისას გულისხმობს მნიშვნელობის ცნებასთან ერთად ღირებულების ცნების გათვალისწინებასაც“, აღნიშნავდა იელმსლევი ([74], 125). მაშასადამე, ამ შემთხვევაში იგი მთლიანად ემყარება ფ. დე სოსიურის თეორიას ენობრივი მნიშვნელობისა და ენობრივი ღირებულების შესახებ (იხ.: [90]). ანალიზის პრინციპი ასეთია: ვთქვათ, მოცემულია ოთხი სემანტიკური სიდიდე: „უფროსი ძმა“, „უმცროსი ძმა“, „უფროსი და“ და „უმცროსი და“, რომელთაც თავ-თავისი ენობრივი ფორმა აქვთ უნგრულში, მაგრამ მხოლოდ ორი ფორმით (ზოგადად „ძმა“ და „და“) არის წარმოდგენილი ფრანგულში, მალაურში კი ესეც არ არის გარჩეული. სქემაზე ეს ასე წარმოჩნდება:



ეს მაგალითი, იელმსლევის აზრით, ნათლად გვიჩვენებს სემანტიკური სტრუქტურების არათანხვდომობას სხვადასხვა ენაში. აქედან გასაგებია ისიც, თუ რას გულისხმობს იგი სემანტიკურ სტრუქტურაში: რაც, სოსიურის კვალობაზე, დგინდება სისტემის შემადგენელ ელემენტთა ურთიერთმიმართების საფუძველზე.

ამგვარ ძიებებში პოზიტიურად გვეჩვენება შინაარსის ელემენტთა დანაწევრების ცდა და ფორმობრივი დანაწევრებისადმი მის მიმართებაზე ყუოადღების გამახვილება. მაგალითად, ლათინურში — ibus ფორმანტი ნაწევრდება გამოხატვის (ფორმის) ოთხ ელემენტად (i, b, u და s), ერთი მხრივ, და შინაარსის ორ ელემენტად (დატივი||აბლატივი და მრავლობითი რიცხვი), მეორე მხრივ. ინგლისურში am გამოხატვის ორი ელემენტისაგან შედგება (a და m), ხოლო შინაარსობრივი დანაწევრების დროს კი ხუთი ელემენტი გამოიყოფა („ყოფნა"+I პირი+მსოლობითი რიცხვი+აწმყო+ინდიკატივი). ([74], 135).

XXV

ენობრივ მნიშვნელობათა სტრუქტურის დადგენისას უპირველესად ერთმანეთისაგან უნდა განირჩეს ცნებითი (ლოგიკური) და ენობრივი მნიშვნელობები. ობიექტის ენობრივი ასახვის მექანიზმი ასე წარმოგვიდგება: ობიექტი—ცნება—ენობრივი მნიშვნელობა—ენობრივი ფორმა. ზოგადად სქემაზე ეს ასეთ სახეს მიიღებს:

ობიექტი	ცნება	ენობრივი მნიშვნელობა	ფორმა
(თავი)	„ცხოველის ძირითადი ორგანო„; „რისამე ძირითადი, წარმმართველი ნაწილი"; „დამაგვირგვინებელი",	სიერცითი: 1. ძირითადი ორგანო, 2. წინწარმოჩენილი, 3. წინამძღოლი, 4. ძირითადი ერთეული.	თ ა ვ - ი
		დროითი: 1. რისამე დასრულება, დაგვირგვინება, „თავის დადგმა", 2. წინამძღოლობის გაწევა.	ა-თავ-ებ-ს თავ-დ-ებ-ა თა(ვ`-ობ-ს

რა თქმა უნდა, ცნების ჯგუფი ასეთი უსისტემო გროვის სახით არ წარმოგვიდგება: აქ, როგორც წესი, მკაცრი დეტერმინიზმი და ნათლად გამოკვეთილი სისტემა გვაქვს, მაგრამ რადგანაც ზემოხსენებული სქემა მხოლოდ ნიმუშად მოგვაქვს, იმის ნათელსაყოფად, თუ რისი თქმა გვსურს, ვფიქრობთ, იგი ამ სახითაც გაამართლებს თავის დანიშნულებას.

აქ ჩვენ არ შევეხებით ცნების სტრუქტურას, ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ცნებას განვიხილავთ როგორც ცნობიერებაში გარდასახულ რეალობას. სხვაგვარად: ცნება და ობიექტი იგივეობაა, ოღონდ ცნება არსებობს ცნობიერებაში, ხოლო ობიექტი — მატერიალურ სამყაროში. ყოველი ცნება ყალიბდება მსჯელობის საფუძველზე, მაშასადამე, მას წინ უძღვის აქტიური ან პასიური, ნებსითი თუ უნებლიე მსჯელობა, ამიტომაცაა, რომ ცნებაზე დაფუძნებულ (ცნებით შეპირობებულ) ენობრივ მნიშვნელობაში ზოგჯერ წარმოჩნდება კიდეც მსჯელობის ეტაპები, ელემენტები. რა თქმა უნდა, უპირატესად ეს ეხება ეტიმოლოგიურად გამჭირვალე სიტყვებს: „ცისარტყელა“, „ქინძისთავი“, „რკინიგზა“ და სხვა. რა თქმა უნდა, ცნება არ დაიყვანება დეფინიციებზე — ცნებაში ასახული ობიექტის არსებით ნიშან-თვისებათა აღნუსხვაზე. ის უცილობელი ფაქტი, რომ ცნება მჭიდროდ უკავშირდება ენის მატერიალურ გარსს, რომ ყოველი ცნება რეალურად ვლინდება ენით და რომ ცნება წარმოიქმნება სიტყვათა ბაზაზე, რის გამოც არ შეუძლია მათ გარეშე არსებობა ([78], 456), სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ცნება უშუალოდ რეალიზდება ენობრივი ფორმით. ეს რეალიზაცია აუცილებლად გაშუალებულია ენობრივი მნიშვნელობით. არ შეიძლება ცნების გათანაბრება მსჯელობასთანაც. მაგალითად, ზოგჯერ ცნება გაგებულია პრედიკატად, რომელიც განეკუთვნება „საგანთა გარკვეულ რიგს, რომლის შესახებაც მსჯელობენ და რომლის ელემენტებიც ზუსტად არ ფიქსირდება“ ([93], 24). ამის მიხედვით ცნების: „ციური სხეული“ სტრუქტურა ასე ჩაიწერება: „X — ციური სხეულია“, სადაც X ცვლადია და შესაძლებელია იყოს ნებისმიერი ციური სხეული ([78], 458). სინამდვილეში კი ცნება მსჯელობის შედეგია (და ცნობიერებაში მოპოვებული აქვს იგივეობა ობიექტთან) და არა მსჯელობა, მსჯელობის პროცესი, ან მისი შემადგენელი ელემენტი.

აღინიშნა, რომ ენათმეცნიერების კომპეტენციაში უშუალოდ შემოდის მხოლოდ ენობრივი ფორმა და ენობრივი მნიშვნელობა (ფუნქცია). ამის იქით ძევს ზღვარი, რომელსაც ენათმეცნიერება კვლევის თავისი პრინციპებითა და მეთოდებით ვერ გადასცდება. ამიტომაც ენათმეცნიერების „შეჭრა“ ცნებით სისტემებში უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ „ენობრივ თვალსაზრისს“ შეიტანს ლოგიკაში, ხოლო ცნებითი სისტე-

მების შემოტანა ენობრივი განხილვის სფეროში „ლოგიკის თვალსაზრისს“ მოგვახვევს თავს. ორივე გაუმართლებელია.

XXVI

ზოგადად გაირკვა, თუ რას ვგულისხმობთ ენობრივ მნიშვნელობაში (ფუნქციაში) და როგორ წარმოგვიდგება სემანტიკური სტრუქტურა.

ახლა ფორმობრივი და ფუნქციური კვლევის ურთიერთდამოუკიდებელი სფეროები უნდა შემოისაზღვროს.

ფორმობრივი კვლევა გულისხმობს ენობრივი ფორმის იმანენტური თვისებების, ფორმობრივ ელემენტებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის შესწავლას. თუ რა იმანენტური ნიშან-თვისებანი აქვს ენობრივ ფორმას, ამის თაობაზე შემდეგ გვექნება საუბარი.

შესაბამისად, ფუნქციური კვლევა ვარაუდობს ენობრივი ფუნქციების (მნიშვნელობების) სტრუქტურის, მათი ურთიერთმიმართებების განხილვას. ამ საკითხსაც ცალკე შევეხებით.

ცალკე პრობლემაა ფორმისა და ფუნქციის ურთიერთობა.

ტრადიციული თვალსაზრისით ფორმა განუყოფელია ფუნქციისაგან. ეს რომ მართლაც ასე იყოს, ჰ-პირ-დ-ებ-ა და ე-პირ-ებ-ა ფორმები ერთი და იმავე ფუნქციის გადმომცემი ვერ იქნებოდა და ვერც ერთი და იმავე ბარ-ავ-ს ფორმით გადმოიცემოდა რამდენიმე განსხვავებული ფუნქცია (აქტიურობისა, ინსტრუმენტატივისა, დროისა, პირისა და სხვანი). სწორედ ეს არის არსებითი: ერთი და იგივე ფუნქცია ნაირგვარი ფორმით შეიძლება გამოიხატოს, ერთსა და იმავე ფორმას რამდენიმე ფუნქციის გადმოცემის უნარი შეიძლება აღმოაჩნდეს. თუ ეს არ გავითვალისწინეთ და მისი ადეკვატური კვლევის პრინციპებიც არ მოვიშველიეთ, მაშინ ენობრივი განხილვა ფრიად ხარვეზიანად წარმოგვიჩენს ენაში რეალურად არსებულ ვითარებას. უთუოდ საშურია ტრადიციული (კლასიკური) გრამატიკის ჩარჩოების გაფართოვება, დადგა დრო ენათმეცნიერების ხსვადასხვა დარგების სტატუსის გადამოწმებისა და მათ შორის ახლებური მიმართების დამყარებისა. თუ ასე არ მოხდა, მაშინ, მაგალითად, მრავალგზისობისა ან განგრძობითობის ფუნქციის განხილვისას იძულებული გავხდებით ისევ და ისევ სპეციფიკური მორფოლოგიური ფორმებით შემოვისაზღვროთ (წერ-დ-ი-ს, და-წერ-ი-ს, და-ე-წერ-ი-ს) და მხედველობის გარეშე დავტოვოთ ამ ფუნქციათა გამომხატველი აღწერითი თუ კონტექსტით შეპირობებული ფორმები (წერს ხოლმე, წერდა ხოლმე... ასევე: „კოდალა ხეს უკაკუნებს და ტოროლა ცაში გალობს“, სადაც ჩვეულებითი მოქმედება ამა თუ იმ ნიშან-თვისებით ახასიათებს მოქმედს), რომ არაფერი ვთქვათ ისეთ ფორმებზე, როგორებიცაა „გაიარ-გამოიარა“, „გარბი-

გამორბის"... არადა, აქ „ნელწელა", „ჩქარჩქარა", „ხშირხშირად" ტიპის ზმნიზედებიცაა გასათვალისწინებელი, რადგან კონსტრუქციაში უთუოდ მათაც შეაქვთ მრავალგზისობისა თუ განგრძობითობის გაგება. არ შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერი ეს საერთოდ შეუმჩნეველი დარჩა და რომ არ იყო ცდები ამ საკითხის მოვლისა. მაგრამ ძირითადად ეს სტიქიურად ხდებოდა და მთლიანად მკვლევარის ინტუიციაზე იყო დამყარებული. ახლა კი უკვე ჩანს საჭიროება, რომ ამისთვის ობიექტური კრიტერიუმები და სათანადო მეთოდოლოგიური საყრდენი დაიძებნოს.

მაინც როგორ უნდა მოეკლოს ამ საკითხს?

ვფიქრობთ, რომ ასე: უნდა ვილაპარაკოთ არა მრავალგზისობისა ან განგრძობითობის ფორმებზე, რაც თავისთავად უკვე გულისხმობს მხოლოდ განსაზღვრული ფორმის არსებობას განსაზღვრული ფუნქციით, არამედ მრავალგზისობისა და განგრძობითობის ფუნქციებზე, მათ შინაგან სტრუქტურაზე, მათ ენობრივ რაობაზე, მათ სხვა ფუნქციებთან მიმართებაზე, ხოლო ამის შემდგომ თითოეული მათგანის ფორმობრივი რეალიზაციის ყველა შესაძლებლობაზე. და აი, აქ უკვე შესაძლებლობა გვეძლევა გლობალურად მოვიცვათ ყველა ის სპეციფიკური მორფოლოგიური ფორმა, ლექსიკური ერთეული, აღწერითი ფორმები თუ კონტექსტური საშუალებანი, რომლებიც ენას ამ ფუნქციათა ფორმობრივი ხორცშესხმის არსენალში აქვს. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა დაადასტურებდა, რომ მრავალგზისობის ფუნქცია შეიძლება რეალიზდეს როგორც სპეციფიკური მორფოლოგიური „და-ა-ჩქარ-ი-ს" ყალიბით, ასევე „ჩქარ-ობ-ს" ფორმითაც შესაბამის კონტექსტში, „ჩქარჩქარა" ზმნიზედის შემცველი კონსტრუქციითაც და ა. შ. ასეთი შესაძლებლობანი საკმაოდ მრავალი და მრავალფეროვანი (ზოგჯერ თითქოს მოულოდნელიც!) აღმოაჩნდება ენას და ყველა მათგანის გამოვლენა აუცილებელია ნებისმიერი ენის შინაგანი ჰეშმარიტი ბუნების დასადგენად. რაც ითქვა, ეს იყო ნიმუში ფუნქციიდან ამოსვლით ენობრივი ფორმისა და ფუნქციის მიმართებათა კვლევისა.

განსხვავებული საკითხები დაისმის მაშინ, როცა ენობრივი ფორმიდან ამოსვლით წარვმართავთ კვლევას. რომელიმე „და-ა-ჩქარ-ი-ს" ფორმა ჯერ იმანენტური მონაცემების საფუძველზე შეისწავლება, როგორც ელემენტი გარკვეული ფორმობრივი სისტემისა, მისი სხვა ფორმებთან მიმართებების გათვალისწინებით. შემდეგ კი ისიც უნდა დადგინდეს, თუ რომელი ფუნქციებით ხერხდება მისი აღჭურვა და ამის რა საფუძველს იძლევა თვით ეს ფორმობრივი სტრუქტურა.

რასაკვირველია, ანალიზის ამგვარი კრიტერიუმების მოხმარების საკითხი დეტალურ დამუშავებას მოითხოვს, მაგრამ თავისთავად ასეთ კვლევაზე იმედის დამყარება მართებულად გვეჩვენება. ყოველ შემთხ-

ეევაში, იგი შესაძლებლობას მოგვცემს ყოველგვარი გამონაკლისებისა და ანომალიების გარეშე ვილაპარაკოთ ენობრივ მოვლენებზე და გლობალურად მოვიცვათ ამა თუ იმ კატეგორიასთან დაკავშირებული საკითხები.

რისამე უგულვებელყოფა მისი თავიდან აცილების მიზნით წინასწარ დაგეგმილ ხიფათს ჰგავს. უგულვებელყოფილი ფაქტი ხშირხშირად შეგვახსენებს ხოლმე თავს კვლევის დროს და, რაც უფრო ღრმად ვცდილობთ ენობრივ სამყაროში შეჭრას, მით უფრო მძიმე საზღაურს მოითხოვს.

თავი IV

ფუძის წარმოქმნის დინამიკა ქართულში

1

ფუძის რეალურობა ჯერ კიდევ ანტიკურ გრამატიკულ ლიტერატურაში იქნა ეჭვმიუტანლად დადასტურებული, ხოლო თვით ფუძის ძირითადი ნიშან-თვისებანი იმდენად გამოწვლილვით შესწავლილი, რომ ფუძის დღემდე არსებულ ყველა განმარტებას ფაქტიურად სწორედ ის, უძველესი პოსტულატები უძევს საფუძვლად. ჯერ კიდევ მაშინ იყო ცნობილი პირველადი და წარმოქმნილი ფუძეები, დეტალურად დახასიათებული წარმოქმნის პრინციპები და საშუალებანი. განსაკუთრებით ძველ ინდურ გრამატიკებზე ითქმის ეს. ფუძე ძირითადი ღერძია სიტყვისა, ამიტომაც არაა გასაკვირი მისდამი ესოდენ დიდი ყურადღება.

ფუძის ტრადიციულად მიღებულ განმარტებას ორი არსებითი ხასიათის ნაკლი აქვს:

ა) ფუძე ძირითადად ლექსიკური მნიშვნელობის პოზიციიდან განიმარტება, რის გამოც მისი სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი, ნიშან-თვისებანი წარმოუჩენელი რჩება;

ბ) მუდმივი ფუნქციონირება, დინამიკა ენის არსებობის პირობაა, ამიტომაც ენის ყოველი მონაცემი უნდა განისაზღვროს ამ განუწყვეტელ დინამიკაში (რაც ენობრივ ფორმათა ურთიერთმიმართებებით ვლინდება) თავისი ადგილითა და როლით. მაგრამ ტრადიციულად კი განიმარტება მისგან განყენებით, ხდება მისი გამორიდება ამ პროცესიდან და არა მასზე დაკვირვება სწორედ ამ მუდმივგანახლებად პროცესში მონაწილეობის დროს.

II

ფუძის არსებულ განმარტებათა ძირითადი აზრი ასეთია: სიტყვის შემადგენელ იმ ნაწილს, რომელთანაც დაკავშირებულია ლექსიკური მნიშვნელობა, ფუძე ეწოდება. ეს არის ფუძის დახასიათება მისი მნიშვნელობის მიხედვით, თანაც მხოლოდ ლექსიკური მნიშვნელობის მიხედვით. ეს კი ნიშნავს, ჯერ ერთი, იმას, რომ არ მოგვეპოვება ფუძის წმინდა ფორმობრივი დახასიათება და იგი განიმარტება სულ სხვა—

კერძოდ, მნიშვნელობის, — პოზიციიდან, ანუ: არა გვაქვს იმანენტური განმარტება ფორმისა. გარდა ამისა, ფაქტიურად არ მოგვეპოვება სრულყოფილი ფუნქციური დახასიათებაც: ლექსიკური ფუნქცია (მნიშვნელობა) გათვალისწინებულია, გრამატიკული კი — არა. თუ ამას დავუმატებთ, რომ ფუძე სიტყვის ნაწილია და თვით სიტყვის განსაზღვრაც ზოგჯერ საკამათო ხდება, მაშინ ადვილი გასაგებია ამასთან დაკავშირებული ყველა სირთულე და წინააღმდეგობა...

მოთხოვნა ფუძის წმინდა ფორმობრივი დახასიათებისა იმდენად საშური იყო, რომ ფუძის დახასიათებაში მისი ჩართვის ცდა ადრევე დაილანდა. ძირითადად აქ აღინიშნებოდა ის, რომ ფუძე სიტყვის დაუშლელი ნაწილია (მაგრამ დაუშლელი შეიძლება იყოს და არის კიდეც სხვა ძორფემებიც!), ან ის, რომ ფუძე ფორმობრივ უცვლელია სიტყვის ფორმაცვალებადობის დროს (ა-კეთ-ებ-ს←გა-ა-კეთ-ა ტიპის მაგალითებზე ეს მართლდება, მაგრამ შეუძლებელი ხდება მისი გავრცელება შლ-ი-ს←და-შალ-ა, ან: დრეკ-ს→დრიკ-ა ტიპის მაგალითების მიმართ). დაუშლელობა ან უცვლელობა ფუძის ფორმობრივი რაობის განმარტება-განსაზღვრა კი არ არის, არამედ მისი ერთ-ერთი (და თანაც არაძირითადი) თვისების აღნიშვნა. ეს არის ფუძის ფორმობრივი ქმედების ერთ-ერთი მომენტის დასახელება და არა ფუძის ფორმობრივი დახასიათება.

III

წმინდა ფორმობრივი დახასიათებისას, ე. ი. იმ შემთხვევაში, როცა განმარტებაში არ ვითვალისწინებთ მის ლექსიკურ თუ გრამატიკულ ფუნქციას, ერთი შეხედვით, ფუძე არაფრით განსხვავდება სიტყვის სხვა სეგმენტებისაგან (მორფემებისაგან). მართლაც: ფორმობრივ სიტყვის ყველა მონაკვეთი (ფუძე იქნება იგი თუ ფორმანტი) დახასიათდება თავისი ფორმობრივი ურთიერთმიმართებებით. დახასიათების ამგვარი პრინციპი წარმოაჩენს ნებისმიერი ფორმობრივი მონაკვეთის ქმედებასა და თვისებას, სხვა ელემენტებთან მათი მიმართების ყველა შესაძლებლობას, მაგრამ მხოლოდ ამით თითქოს შეუძლებელია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ ფუძე და ფორმანტი. ამიტომაცაა, რომ განსხვავების მიზნით ფუნქციასაც წაახმარენ ხოლმე და ლაპარაკობენ, ერთი მხრივ, ფუძისეულ მორფემაზე (ე. ი. მორფემაზე, რომელსაც ლექსიკური მნიშვნელობა მოეპოვება) და, მეორე მხრივ, საკუთრივ მორფემაზე, რომელსაც მხოლოდ გრამატიკული ფუნქცია აქვს (მაშასადამე, აქ ფორმანტი იგულისხმება).

შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ფუძეს სხვა რიგის მორფემებისაგან განასხვავებს თავისი ერთი არსებითი ხასიათის მქონე თვისება: იგი, რო-

გორც წესი, საყრდენია ფორმათა სისტემებისათვის (და რომ ეს მართლაც ასეა, ამის დასაბუთებას ქვემოთ შევეცდებით), მაგრამ მაშინ უნდა დავარღვიოთ ფუძის ტრადიციული განმარტების ფარგლები (უფრო სწორად: უნდა გავაფართოვოთ იგი) და ფუძე განვიხილოთ როგორც პერმანენტულად ცვლადი მონაცემი. საყოველთაოდ ცნობილი მაგალითებიც ამას გვიდასტურებენ: მალ-ავ-ს—მალავ-დ-ა—მალავდ-ე-ს, ანუ: ფუძე პერმანენტულად იცვალა და მალ-—მალ-ავ-—მალავ-დ- თანმიმდევრულად გართულებული სისტემა მოგვცა. რა თქმა უნდა, მრავალთაგან მრავალ შემთხვევაში ასე მარტივად და ნათლად არ გადაწყდება ფუძის საკითხი, მაგრამ აქ ჩვენ მხოლოდ პრინციპი ვაჩვენეთ, ზოგადი თარგი, რაც, ვფიქრობთ, ყოველგვარი „ფუძეთწარმოების“ საფუძველში ძევს. ყოველი კონკრეტული ნაირსახეობა კი ვირტუალურ მიდგომას საჭიროებს. ამ ნაირსახეობათა სიმრავლე ამთავითვე შეგვიძლია ვივარაუდოთ. აქ იგულისხმება არა მხოლოდ ერთ სისტემაში მოქცეულ ფონეტიკურ ვარიანტთა ურთიერთმიმართება (დრეკ-: დრიკ-, ჩენ-: ჩინ-, შლ-ი-: შალ- ტიპისა), არამედ მორფოლოგიური ეკვივალენტების გამოყენების შემთხვევები ერთმანეთზე დაფუძნებულ სტრუქტურებში: ს-თხოვ-ს—მ-ა-თხოვ-არ-ი ფორმათა მიმართება ააშკარავებს, რომ უკანასკნელში დამოწმებული ა- პრეფიქსი ფუნქციური ეკვივალენტია მისთვის ამოსავალი ზმნის ფორმაში (ს-თხოვ-ს) არსებული ს- პრეფიქსისა (ირიბი ობიექტის ნიშნისა).

უღლილებისათვის, სადაც ფუძის პერმანენტული ცვლილება განსაკუთრებით რელიეფურადაა წარმოჩენილი, ფუძეთა განსაზღვრა ზემოხსენებული პრინციპის მიხედვით მეტ-ნაკლებად ადრეც იყო დამოწმებული, მაგრამ ფუძეთა სხვა სისტემებს იგი ფაქტიურად არ შეჰხებია.

IV

ფუძე საყრდენიაო ფორმათა სისტემისათვის, ითქვა ზემოთ. უნდა განიმარტოს ცნება „საყრდენი“, დაზუსტდეს მისი ფარგლები. საყრდენი ნაირგვარი შეიძლება იყოს, იმის მიხედვით, თუ რა თვალსაზრისს ეფუძნება იგი. ამიტომ ეს საკითხი შემთხვევით არ დასმულა აქ. შევუდაროთ, მაგალითად, ერთმანეთს ფორმები

	მოქმედებითი:	ვნებითი:
აწმყო:	რწყ-ავ-ს ——→	ი-რწყ-ვ-ი-ს‖ი-რწყ-ვ-ებ-ი-ს (ი-რწყ-ვ-ებ-ა)
ნამყო ძირით.:	მო-რწყ-ა →	მო-ი-რწყ-ა;

აშკარაა, რომ აქ ვნებითის თითოეული ფორმა ეყრდნობა მოქმედებითის შესაბამის პარადიგმს (აწმყო—აწმყოს, ნამყო ძირითადი — ნამყო

ძირითადს). როგორი კვალიფიკაცია მივცეთ ამ ფაქტს: ვილაპარაკოთ საყრდენ ფორმაზე როგორც თვისობრივ მთლიანობაზე და ამ პრინციპით მივუდგეთ საკითხის განხილვას, თუ საყრდენი ელემენტის საკითხი განვიხილოთ შესაბამისი სეგმენტების მიხედვით? ანუ: ჩავთვალოთ რწყ-ავ: რწყ-ვ (აწმყოს მოქმედებითისა და ვნებითის ფუძეები) ერთმანეთის ფონეტიკურ ვარიანტად, თუ მივიჩნიოთ ისინი დამოუკიდებელ მორფემებად. რომელთაგან ერთ-ერთის ცალკეული სეგმენტები საყრდენია მეორის შესაბამისი სეგმენტებისათვის: „რწყ-ავ-ს“ ფორმის „რწყ-“ და „-ავ“ შესაბამისად საყრდენია „ი-რწყ-ვ-ი-ს“ ფორმის „რწყ-“ და „-ვ“ ელემენტებისათვის. მაგრამ ისმის კითხვა: შესაძლებელია კი რისამე საყრდენი იყოს ცალკე, განყენებულად აღებული -ავ და სხვა მისი რანგის ელემენტები? შესაძლებელია კი ამ ელემენტებს რისამე ბაზისად მიჩნევა იმ ენობრივი ღირებულების გარეშე, რომელიც მათ მოპოვებული აქვთ მხოლოდ და მხოლოდ ერთი რამით: სტრუქტურის სხვა ელემენტებთან მიმართებით? სხვაგვარად: -ავ იმიტომაა რისამე საყრდენი, რომ იგი შედის ისეთ სტრუქტურაში, სადაც „გარანტირებულია“ მისი ენობრივი ღირებულება და თავისთავადობა და ამით უპირისპირდება, ვთქვათ, იმ -ა-ვ- ბგერათა თანამიმდევრობას, რომელიც თავ-ი, შავ-ი სიტყვებში გვაქვს, სადაც მისი სეგმენტირება (ყოველ შემთხვევაში, თანამედროვე ქართულისათვის) შეუძლებელია. იმავდროულად ეს თავისთავადობა იმდენად არის თავისთავადობა, რამდენადაც სტრუქტურულ მთლიანობაში აქვს მოპოვებული მკაცრად განსაზღვრული სტატუსი (როგორც ფორმობრივი, ასევე ფუნქციური). ასე რომ, -ავ სეგმენტი რაიმე ენობრივ ღირებულებას იძენს მხოლოდ სხვა სეგმენტთან მიმართებისას, სადაც ერთ შემთხვევაში მასთან განუყოფელ მთლიანობას ქმნის („თავ-ი“, „შავ-ი“), მეორე შემთხვევაში ფუძის დეტერმინაციას ახდენს („მალ-ავ-ს“, „რწყ-ავ-ს“). მხოლოდ იმ მიმართებით, რომელსაც ესა თუ ის ელემენტი ამყარებს სხვა ელემენტებთან, გაირკვევა მისი ენობრივი სტატუსი. ამიტომაც, ვუწოდებთ რა რომელიმე მონაცემს „თემის ნიშანს“ ან „ფუძის განუყოფელ ნაწილს“, ჩვენ ამით მას წმინდა ფარდობით დახასიათებას ვაძლევთ, სახელდებით მხოლოდ იმას, რაც მოცემულ მომენტში გვევლინება იგი. მეტიც და, ამდენად, სხვა ელემენტთაგან დამოუკიდებელი ღირებულება არ შეიძლება ჰქონდეს და არცა აქვს არცერთ ენობრივ მონაცემს (არც ფორმობრივსა და არც ფუნქციურს). აქედან გამომდინარე, რომელიმე გრამატიკული ცნება, ვთქვათ, „თემის ნიშანი“ მხოლოდ იმაზე მიგვითითებს, რომ მასში ელემენტი გარკვეულ სიტუაციაში სწორედ ამგვარ (და არა სხვაგვარ) მიმართებებს დაამყარებს სხვა ენობრივ ელემენტებთან. ანუ: „თემის ნიშნობა“ ამა თუ იმ ენობრივი ელემენტის ქმედების (დინამიკის) წარმომჩენ ცნებად უნდა მივიჩნიოთ. უპირველე-

სად და არა მუმიფიცირებულ სტრუქტურაში მისი ადგილის მიმჩენად-მიმნიშნებლად.

ანალოგიურად დაისმის საკითხი იმ მორფემის მიმართაც, რომელიც ფუძედ იწოდება. არაფრის საყრდენად არ გამოდგება ცალკე აღებული -კეთ- (ა-კეთ-ებ-ს ფორმაში რომ არის დამოწმებული), -ქ- (ა-ქ-ებ-ს), -ღ- (ა-ღ-ებ-ს), -მალ- (მალ-ავ-ს) ელემენტები, არავითარი ენობრივი ღირებულება არა აქვთ მათ განყენებულად, სხვა ელემენტებთან მიმართების გარეშე, ანუ, იგივე აზრი პოზიტიურად რომ გამოითქვას: მათ იმდენად აქვთ ენობრივი ღირებულება, რამდენადაც გარკვეულ ურთიერთმიმართებათა გამომხატველ ელემენტებს წარმოადგენენ. ეს ფაქტი ადრევე იყო ცნობილი. გავიხსენოთ თუნდაც ფ. დე სოსიურის ცნობილი მაგალითი ჭადრაკის თამაშზე ([148], 61). ამგვარი თვალსაზრისის სათავე დემოკრიტეს დეტერმინიზმსა და, უფრო მოგვიანებით, ი. კანტის წმინდა გონების კონცეფციაში უნდა ვიგულისხმოთ, ხოლო დიალექტიკური მთლიანობის პრინციპით ჰეგელის ფილოსოფიურ სისტემაში იქნა განხილული.... მაგრამ ყველა შემთხვევაში საქმე ისე არის წარმოდგენილი, თითქოს ერთსა და იმავე ელემენტებს ნაირგვარ მიმართებებში ყოველთვის ერთი და იგივე დანიშნულება, ღირებულება აქვთ. ანუ: მათი ქმედებისა და მიმართებების არე სტატიკურია, მათ გავლენის მკაცრად განსაზღვრული სფერო აქვთ. ისევ ჭადრაკის მაგალითი რომ ავიღოთ: მხედარი რომელ უჯრაზეც უნდა იყოს, მისი გავლენის სფერო და „სელა" აბსოლუტურად ერთნაირია, მისი ღირებულება სხვა ფიგურებთან მიმართებებში სტაბილურია. სინამდვილეში მიმართებათა ნაირგვარობა ცვლის მასში მონაწილე ელემენტების ღირებულება-დანიშნულებას: -კეთ- ელემენტი კეთ-ილ-ი ფორმაში და ა-კეთ-ებ-ს ფორმაში განსხვავებული ენობრივი ღირებულებისაა როგორც ფორმობრივ. ასევე ფუნქციურად. ეს კი ნიშნავს, რომ ერთი და იმავე ენობრივი ელემენტების ღირებულება სხვადასხვა ელემენტებთან მიმართებებში ლაბილურია, დამოკიდებულია ამ მიმართებათა ნაირსახეობაზე (შეპირობებულია ამ ნაირსახეობებით). აქ არ იგულისხმება, რომ აუცილებლად და ყოველთვის ლაბილურია, მაგრამ უდავოა, რომ ლაბილურობის პოტენცია აქვს, ლაბილურობისაკენ იჩენს ყოველთვის მიდრეკილებას. წმინდა ფორმობრივად ეს კარგად ჩანს -ქან- ტიპის მორფემების მაგალითზე: ერთი ტიპის მორფემებთან მიმართების დროს მათ ფორმობრივი ცვლილება ახასიათებთ (იკუმშებიან): ა-ქნ-ევ-ს (ე. ი. ხდება კუმშვის პოტენციის რეალიზაცია), სხვა ტიპის მორფემებთან მიმართებისას კი უცვლელი (უკუმშველი) რჩებიან: ა-ქან-ებ-ს (ე. ი. კუმშვის პოტენცია არ რეალიზდება). ფორმობრივ იმავე რიგის ა-ძლ-ევ-ს და ა-ძალ-ებ-ს მაგალითების მიმართ ვამბობთ, რომ აქ ზმნური (ა-ძლ-ევ-ს) და სახელადი (ა-ძალ-ებ-ს) ფუძეებია ერთმანეთთან დაპი-

რისპირებული. რა თქმა უნდა, თავისთავად ეს ასეა: ა-ძალ-ებ-ს ფორმაში -ძალ- იმიტომ არ იკუმშება, რომ ამით იგი სახელადობის სტატუსს ინარჩუნებს, თუმცა თავის მხრივ -ებ ფორმანტს კუმშვის გამოწვევა შეუძლია (შდრ.: და-ვ-ა-კელ, მაგრამ: ვ-ა-კლ-ებ), მაგრამ ზმნურობისა და სახელადობის სტატუსს ეს ფუძისეული მორფემები ფაქტიურად ისევ და ისევ სხვა მორფემებთან ურთიერთკავშირის დროს იძენენ.

იმედი შედეგს მივიღებთ ფუძე ფუნქციური თვალსაზრისით რომ განვიხილოთ. ამ თვალსაზრისით ფუძე უპირველესად ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელი მორფემაა, მაგრამ განა შეიძლება ჰქონდეს დამოუკიდებლივ რაიმე ლექსიკური მნიშვნელობა -ქ-, -ღ-, -კეთ-, -კარ- ელემენტებს? ყველა ეს ელემენტი ლექსიკურ მნიშვნელობასაც კი მხოლოდ და მხოლოდ სხვა მორფემებთან ურთიერთობისას იძენს: ა-ქ-ებ-ს, ა-ღ-ებ-ს, ა-კეთ-ებ-ს, შე-ვ-კარ... ეს რომ მართლაც ასეა, დასტურდება თუნდაც იმით, რომ ზოგ ამ ელემენტთაგანს სხვადასხვა სტრუქტურულ გარემოცვაში ლექსიკური მნიშვნელობა ეცვლება კიდეც. უმეტესად მნიშვნელობის ნიუანსირებასთან გვაქვს საქმე, ზოგჯერ — არსებითი ხასიათის ცვლილებასთანაც, შდრ.: ა-ღ-ებ-ს და ი-ღ-ებ-ს, ან: ა-ნათ-ებ-ს. ნათ-ელ-ი და ა- ნთ-ებ-ს (აქ დამატებით ფორმობრივი ცვლილებაც ხდება სტრუქტურულად აბსოლუტურად ერთგვაროვან გარემოცვაში, შდრ.: ა-ნათ-ებ-ს და ა-ნთ-ებ-ს); ასევე საინტერესოა ამ თვალსაზრისით: კეთ-ილ-ი და ა-კეთ-ებ-ს, ტკბ-ებ-ა და ტკბ-ილ-ი და სხვანი. ისტორიულად ყველა ეს მაგალითი, მათი დაპირისპირებულობა, რასაკვირველია, ერთი ფორმაციისა და ღირებულების არ არის, მაგრამ თანამედროვე ქართულში ისინი ერთმანეთის გვერდით ფუნქციონირებენ და ხშირად ერთი და იგივე ენობრივი ღირებულება აქვთ მოპოვებული.

ამგვარად, გაირკვა, რომ თვით ლექსიკური მნიშვნელობაც კი ენობრივ მონაცემთა ურთიერთმიმართების დროს დგინდება.

V

შენიშვნის სახით უნდა ითქვას, რომ გრამატიკულ ლიტერატურაში საკმაოდ ხშირად გამოყენებული ცნება ძირისა არ განეკუთვნება ენის რეალური ფუნქციონირების სფეროს, ე. ი. ძირი უშუალოდ არ ფუნქციონირებს ენაში და ფუნქციონირებას იწყებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ფუძის შემადგენლობაში შევა. ენისათვის მოქმედი („ცოცხალი") ელემენტი ფუძეა და არა ძირი. ძირი აბსტრაჰირებული ცნებაა, იმ რიგის წმინდა მონაცემია, რომელიც მხოლოდ „ლაბორატორიული წესით" მიიღება. ამიტომაც არის მისი საზღვრები ასე ბუნდოვანი: იგი ხან ფუძეს ემთხვევა (და მაშინ მხოლოდ ტერმინოლოგიურ ნაირგვარობასთან გვაქვს საქმე, რეალური არსი კი ერთი და იგივეა), ხან განსხვავდება

მისგან და ეს განსხვავება უმეტეს წილ ან ისტორიული მონაცემია, ან თეორიულად დასაშვები შესაძლებლობა და არა თანამედროვე ენის ფაქტი. ასე მაგალითად, ა-ნათ-ებ-ს ფორმაში ფუძედ მიიჩნევა -ნათ-, იგი რეალური ფაქტია ენაში, მაგრამ ძირად ამ შემთხვევაში ივარაუდება -თ-, ხოლო ნა- ძირს მიხორცებული პრეფიქსია. ეს -თ- კი არც კლასიკურ და არც თანამედროვე ქართულში არავითარ ურთიერთმიმართებაში უშუალოდ არ შედის და, ბუნებრივია, არც რაიმე ლექსიკური მნიშვნელობა მოეპოვება. იგი წმინდა აბსტრაქციას წარმოადგენს, ელემენტს, რომელიც გამოყოფილია და განყენებული ნათ-ელ-ი — ა-თენ-ებ-ს — ა-თევ-ს — გან-თი/ვ/-ად-ი (←*გან-თევ-ად-ი) ფორმების შედარება-შეპირისპირების საფუძველზე.

VI

ზემოთქმულიდან პოზიტიური დასკვნა ასეთია: ფუძე (ფორმობრივადაც და ფუნქციურადაც) უნდა განიმარტოს იმ ურთიერთმიმართებათა მიხედვით, რომლებსაც იგი ამყარებს სტრუქტურის შემადგენელ სხვა ელემენტებთან.

რადგან ასეა, მაშინ უპირველეს ყოვლისა უნდა დადგინდეს ის ურთიერთმიმართებანი, რომლებიც ფუძის სტატუსს ქმნიან.

VII

ენისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა ერთი რომელიმე ფუძისგან ახალი ფუძის წარმოება. მაგალითად: ა-კეთ-ა→ა-კეთ-ებ-ს→გა-კეთებ-ულ-ი; პირველ შემთხვევაში ფუძეა -კეთ-, მეორე შემთხვევაში -კეთებ-, მესამე შემთხვევაში -კეთებულ-. მიზეზ-შედეგობის თვალსაზრისით -კეთ- ამოსავალია -კეთებ- ფუძისათვის, ეს უკანასკნელი კი -კეთებულ- ფუძისათვის. ასე ჯაჭვური პრინციპით ერთმანეთზე აგებული ფუძეები ხშირად საკმაოდ მრავალრიცხოვანია. ეს ვითარება კარგად ცნობილიცაა და სათანადოდ აღნიშნულიც. ვუწოდოთ ამას ფუძეთა წარმოება ხაზოვანი პრინციპით.

ამ მოვლენის სახელდება იმისთვის გვჭირდება, რომ არსებობს ფუძეთა წარმოების მეორე, ჩანაცვლების, პრინციპიც. რომლის ნიმუშებად ა-კეთ-ებ-ს და კეთ-ილ-ი, უ-კეთ-ურ-ი, სი-კეთ-ე: ქს-ოვ-ს და ქს-ელ-ი; გახ-ა-გრძ-ობ-ს და გრძ-ელ-ი; ტკბ-ებ-ა და ტკბ-ილ-ი, მ-ტკბ-არ-ი ტიპის მაგალითები უნდა დავასახელოთ.

ამრიგად:

ა) ხაზოვანია: ა-კეთ-ებ-ს→გა-კეთ-ებ-ულ-ი...

ბ) ჩანაცვლებულია: ა-კეთ-ებ-ს: კეთ-ილ-ი: სი-კეთ-ე...

(შესაბამისად ნიშნები — და : ვარაუდობენ მიზეზ-შედეგობრივ კავშირს ან „თავისუფალი თანაარსებობის“ შესაძლებლობას).

აქ ერთი კითხვა დაისმის: დავუშვათ, რომ ა-კეთ-ებ-ს და კეთ-ილ-ი ჩანაცვლებული ფუძეებია, რადგან -კეთ- ელემენტთან მიმართებას ერთ შემთხვევაში ა- — -ებ კონფიქსი ამყარებს, ხოლო მეორე შემთხვევაში -ილ სუფიქსი: ე. ი. ხდება ამ ელემენტების ურთიერთჩანაცვლება მათ მიმართ მუდმივადმოცემულ -კეთ- ელემენტთან. მაგრამ თავის მხრივ კეთ-ილ- ფუძეც ხომ ამოსავლად -კეთ- ფუძეს ვარაუდობს (კეთ- —კეთ-ილ-ი, ისევე როგორც: ა-კეთ-ა—ა-კეთ-ებ-ს) და მაშინ ხაზოვანი პრინციპი აქაც გვქონია. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ძალზე იშვიათია ისეთი შემთხვევები, როცა ხაზოვანი და ჩანაცვლების პრინციპები ერთმანეთისაგან სავსებით დამოუკიდებლად მოქმედებენ ენაში (თუმცა ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ მათ თითქოს არ ჰქონდეთ მკაცრად განსაზღვრული ქმედების არე)...

თანამედროვე ქართული ენა ფუძეთა წარმოების თვალსაზრისით ძირითადად ხაზოვან პრინციპზეა გადასული. ზოგჯერ ამ პრინციპითაა გაწყობილი ისეთი ფუძეებიც, რომლებიც კლასიკურ ქართულში, როგორც წესი, ჩანაცვლების პრინციპს ემყარებოდნენ.

იყო ჩანაცვლება: ძნ-ელ-ი: ძნ-ი/ვ/-ად: შე-უ-ძნ-დ-ა

არის ხაზოვანი: ძნ-ელ-ი—ძნელ-ად, ძნ-ელ-ი—გა-უ-ძნელ-დ-ა.


მაგალითები, ბუნებრივია, ამით არ ამოიწურება, ანალოგიური ნაშუშების მოტანა მრავლადაა შესაძლებელი.

ზოგჯერ შეინიშნება მერყეობაც (ასე ვთქვათ, გარდამავალი საფეხური): გან-ა-გრძ-ობ-ს: გრძ-ელ-ი ჩანაცვლებული ფუძეებია ერთმანეთის მიმართ, მაგრამ ამჟამად უფრო ხშირად გამოიყენება ხაზოვან პრინციპზე აგებული მიმართება: გრძ-ელ-ი—ა-გრძელ-ებ-ს, ნიველირებულია განსხვავება „განაგრძობს“ და „აგრძელებს“ ზმნებს შორის.

VIII

აღმოჩნდა, რომ ფუძეთა წარმოება ხაზოვანი და ჩანაცვლების პრინციპებით არ მოქმედებს ერთმანეთისაგან სავსებით გათიშულად და რომ ისინი არსებითად ერთმანეთს ავსებენ. ზემოთქმული არ გამორიცხავს იმას, რომ ფუძეთა წარმოების განსხვავებულ პრინციპებს თავ-თავისი მიზეზი და საფუძველი აქვს ისტორიულად. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ისინი ერთმანეთის პარალელურად მოქმედებენ ენაში, მაშინ შეგვეძლება იმ ვარაუდის დაშვებაც, რომ ამ ორი განსხვავებული პრინციპით ნაწარმოებ ფუძეებს შორის თვისობრივი დაპირისპირებაც გვაქვს...

ნიმუში -კეთ- ამოსავალი ფუძისგან ნაწარმოები ფუძეების განაწილებისა ხაზოვანი და ჩანაცვლების პრინციპების მიხედვით:



და ა. შ.


ეს სქემა ასე წაიკითხება:

ა) ხაზოვანი პრინციპითაა აგებული: ა-კეთ-ა→*კეთ-ებ-→*კეთებ-ელ-→მ-კეთებელ-ი; ასევე: ა-კეთ-ა→*კეთ-ებ-→გა-კეთ-ებ-ულ-ი; ა-კეთ-ა→*კეთ-ებ-→ა-კეთებ-ს→ა-კეთებ-დ-ა (აქ შეიძლება V საფეხური მივუმატოთ:→ა-კეთებდ-ე-ს); ასევე ხაზოვანია: ა-კეთ-ა→*კეთ-დ-(გა-კეთ-დ-ა)→კეთდ-ებ-ა; ა-კეთ-ა→კეთ-ილ-ი; ა-კეთ-ა→*კეთ-ურ-→→უ-კეთურ-ი→ა-უკეთურ-ებ-ს (ამას შეიძლება დაემატოს V და VI საფეხურები: →აუკეთურებ-დ-ა→აუკეთურებდ-ე-ს) და ა. შ.

ბ) ჩანაცვლების პრინციპით მიემართებიან ერთმანეთს: *კეთ-ებ-: *კეთ-დ-: კეთ-ილ-(ი): *კეთ-ურ-; ასევე: *კეთებ-ელ-: კეთებ-ულ-: ა-კეთებ-(ს) და ა. შ.

როგორც ვხედავთ, ჰორიზონტალური რიგი ფუძეთა თანდათანობითი გართულებისა ხაზოვან პრინციპს წარმოგვიჩენს, თითოეული ვერტიკალური რიგის ფუძეები კი ჩანაცვლებულია ერთმანეთის მიმართ.


არის შემთხვევები, როცა ფუძის რომელიმე საფეხური ენაში რეალურად წარმოდგენილი არ არის, მაგრამ ფორმათა შეპირისპირება ადვილად აღგვადგენინებს მას:



*დგ-ომ, *დგ-ურ, *დგ-ილ, *დგ-არ ვარსკვლავით აღნიშნული ფუძეები თეორიულადაა აღდგენილი. პირობითად ვუწოდოთ მათ „ფარული ფუძეები“. აქ წარმოდგენილი საფეხურებით არ ამოიწურება ფუძეთა წარმოების პროცესი, მაგრამ პრინციპის საჩვენებლად, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია. ფარული ფუძეები მარტოოდენ თეორიულ აბსტრაქციად არ უნდა მივიჩნიოთ. ასეთი ფუძეების არსებობის პოტენციაზე სხვა ენობრივი ფორმები მიგვითითებენ: თუკი რეალურია გრძ-ელ- ფუძე ყოველგვარი პრეფიქსის გარეშე, ასევე სავარაუდებელია *დგმ-ელ- ფუძეც; თუკი გვაქვს თბ-ილ- (ტფ-ილ-) ფუძე, ასევე სავსებით დასაშვებია *დგ-ილ- ფუძის რეალურობაც. სა-დგურ- და *ნა-დგურ- ფუძეები ისევე უნდა უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს, როგორც სა-დგომ-ი და ნა-დგომ-ი (ე. ი. „ა-ნადგურებ-ს“ ეტიმოლოგიურად ასე აიხსნება: ნადგომად აქცევს). არ არის სავალდებულო, რომ ფარული ფუძე აუცილებლად რეალიზებული იყოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, იგი პოტენციურად არსებობს და შემდგომი საფეხურის


ფუძეთა საწარმოებლად ესეც სავსებით საკმარისი აღმოჩნდება ხოლმე. საკითხის ამგვარი განხილვა, ვფიქრობთ, უკეთ წარმოაჩენს ფუძეთა წარმოქმნის შინაგან დინამიკას.

ფარული ფუძეების გათვალისწინება რიგ შემთხვევაში ფუძეთა წარმოქმნის მექანიზმის მთელ რიგ თავისებურებას დაგვანახებს, ისეთსაც კი, რომელსაც ჩვეულებრივ არ მიმართავს ენა. აი, ერთი ასეთი მაგალითი:



ცოდ-ნ-ა და ცოდ-ინ- იმავე რიგისა ჩანს, რაც ლოდ-ნ-ა და ლოდ-იხ-ი, ხოლო ცოდინ-არ- ფუძე მ-ცინ-არ-ი||გა-უ-ცინ-არ-ი ტიპის ფორმებში დამოწმებული ცინ-არ- ფუძის რიგისაა.

გარდა ფარული ფუძეებისა, გვაქვს შემთხვევები, როცა ძველ ქართულში (ახლა — ზოგ დიალექტში) მოქმედი ფუძე რეფლექსის სახითაა შემორჩენილი რომელიმე ფორმაში:



აქ „წყეულ-ი“ ფორმაში დამოწმებული ფუძე ძველ ქართულში მოქმედი ფუძის რეფლექსს წარმოადგენს.

X

ამდენად, მოცემული იყო ცდა ფუძეთა წარმოქმნის მათსავე დინამიკაში წარმოდგენისა, ანუ: ვცადეთ გვეჩვენებინა თვით პროცესი ფუძეთა წარმოქმნისა. აშკარაა, რომ -კეთ-, -კეთებ-, -კეთილ-, -კეთებელ-, ასევე: -დეგ-, -დგან-, -დგომ-, -დგურ-, ასევე: -ც-, -ცოდ-, -ცან-, -ცარ-,

-ცოდინ- — ყველა ეს მონაცემი ფუძეა. მართალია, ისინი სხვადასხვაგვარ მიმართებებს ამყარებენ ერთმანეთთან, განსხვავდებიან პირველადობა-შეძდგომობით, მაგრამ შესაბამის ფორმათა სისტემისათვის ისინი აბსოლუტურად ერთი და იმავე ქმედებისა არიან და ამის გამო ყველა მათგანი უგამონაკლისოდ საკმებით ერთნაირი უფლებით შეიძლება იწოდოს ფუძედ. თუ განუხრელად გავატარებთ ამ პრინციპს, აღმოჩნდება, რომ ფაქტიურად ყველა ფორმა შეიძლება იქნეს გამოყენებული ფუძედ და რომ ფუძე ძალიან ხშირად მხოლოდ ერთადერთ ფორმას დაედება საფუძვლად. და, მართლაც, რომ ავიღოთ თუნდაც უღელლების ფორმები: წერ-ს→წერ-დ-ა→წერდ-ე-ს, ზემოაღნიშნული პრინციპის თანმიდევნებით აქ გამოგვივა: აწმყოს ფუძეა წერ-, რომელსაც იყენებს უწყვეტელიც, მაგრამ დამატებით ურთავს ნიშანს (-დ), ხოლო უწყვეტლის ფორმა მთლიანად უკვე აწმყოს კავშირებითის ფუძედ გაიგება: წერდ-ე-ს. ერთადერთი ფორმა, რომელსაც ამოსავლად (როგორც ფუძე) უწყვეტელი ედება, ესაა აწმყოს კავშირებითი (გარდა ცოდ-ნ-ა, ლოდ-ინ-ი ტიპის გამონაკლისებისა).

XI

ფუძეთა წარმოქმნის დროს დადგება საკითხი წარმოქმნილ ფუძეთა ფორმობრივი და ფუნქციური შეპირობებულობის შესახებ.

ენაში ხშირადაა ისეთი შემთხვევა, როცა ერთნაირი ან მსგავსი გრამატიკული თუ ლექსიკური ფუნქციისათვის ორი ან მეტი ფორმაა გამოყენებული. მაგალითად, გვაქვს: მ-გორ-ავ-ი||მო-გორ-ავ-ე, მ-ცურ-ავ-ი||მო-ცურ-ავ-ე, მ-ხტუნ-ავ-ი||მო-ხტუნ-ავ-ე, მაგრამ დამოწმებულია მხოლოდ ცალეულები: მო-ბან-ავ-ე, მო-ბურთ-ავ-ე, მო-ქან-ავ-ე, მო-კინკლ-ავ-ე და ა. შ. თუ პირველ შემთხვევაში მიმღეობათა განსხვავებული წარმოება რაიმე ფუნქციურ სხვაობას გულისხმობს (და ასეთ სხვაობას ის უთუოდ გულისხმობს), მაშინ გასარკვევია, რამ შეზღუდა ასეთივე სხვაობის წარმოჩენა მეორე რიგის ფორმებში, რომლებიც ამ ნიშნის გამოკლებით, სხვა მხრივ არსებითად ჰგვანან პირველი რიგის ფორმებს. საკმარისია გავითვალისწინოთ შესაბამის ზმნურ ფუძეებთან ამ ფორმათა მიმართება, რომ საკითხს ნათელი მოეფინება:

გორ-ავ-ს — მ-გორ-ავ-ი, მაგრამ: გორა-ობ-ს — მო-გორ-ავ-ე
ცურ-ავ-ს — მ-ცურ-ავ-ი, „ ცურა-ობ-ს — მო-ცურ-ავ-ე
ხტუნ-ავ-ს — მ-ხტუნ-ავ-ი, „ ხტუნა-ობ-ს — მო-ხტუნ-ავ-ე,

შდრ. ამას:

— — ბანა-ობ-ს — მო-ბან-ავ-ე
— — ბურთა-ობ-ს — მო-ბურთ-ავ-ე
— — ქანა-ობ-ს — მო-ქან-ავ-ე...

(ამგვარი მიმართებითი ანალიზი ხშირად „დაბნელებულ“ ფუძეთ-წარმოებასაც წარმოაჩენს: რომელიმე მო-წინ-ავ-ე ფორმა აშკარაა, რომ ამოსავლად *წინა-ობ-ს ზმნას ვარაუდობს, თუნდაც ეს ზმნა რეალურად არც არსებულიყო ოდესმე. ენას აქვს შესაძლებლობა ნაგულისხმევი ყალიბით წარმოქმნას ახალი ფორმები: მო-დერნიზ-ებ-ულ-ი, დუბლირ-ებ-ულ-ი — უთუოდ მიმღეობური ყალიბია, თუმცა თავისთავად ქართულში არასდროს არსებულა *ა-მოდერნიზ-ებ-ს, *ა-დუბლირ--ებ-ს ზმნები).

უეჭველია, რომ მიმღეობის პარალელური ფორმები შესაბამისი ზმნის პარალელურ ფორმებს ვარაუდობენ და მიმღეობებში მხოლოდ მას შემდეგ შეივსება „ნაკლული მწკრივი“, როცა შესაბამისი ზმნა ჩამოყალიბდება. ამრიგად, მ-გორ-ავ-ი, მ-ცურ-ავ-ი, მ-ხტუნ-ავ-ი ტიპის წარმოება მხოლოდ იქაა შესაძლებელი, სადაც გორ-ავ-ს, ცურ-ავ-ს, ხტუნ-ავ-ს ფორმებია რეალურად დამოწმებული, ხოლო მო-გორ-ავ-ე, მო-ცურ-ავ-ე, მო-ბან-ავ-ე ფორმები იმთავითვე გორა-ობ-ს, ცურა-ობ-ს, ბანა-ობ-ს ტიპის ზმნური ფორმების არსებობას გულისხმობენ.

ამათგან ზოგს ორივე ტიპის წარმოება ახასიათებს (რადგან შესაბამისი ზმნაც ორნაირი წარმოებისაა):

გორ-ავ-ს — მ-გორ-ავ-ი, მაგრამ: გორა-ობ-ს — მო-გორ-ავ-ე:
ზოგს — ორიდან ერთ-ერთი:

ან „გორ-ავ-ს — მ-გორ-ავ-ი“ ტიპისა:

ხატ-ავ-ს — და-მ-ხატ-ავ-ი
კერ-ავ-ს — მ-კერ-ავ-ი
ბრწყინ-ავ-ს — მ-ბრწყინ-ავ-ი

(მ-ხატ-ვ-არ-ი, და-მ-ხატ-ვ-ელ-ი სულ სხვა ტიპის წარმოებაა. ამოსავლად მ-ხატ-ავ-ი ფორმას ვარაუდობენ, რაზედაც ნაშთის სახით — -ვ — შემორჩენილი თემის ნიშანიც მიუთითებს და ამიტომაც ზემოხსენებულ წარმოებაში არ განიხილება).

ან „გორა-ობ-ს — მო-გორ-ავ-ე“ ტიპისა:

ბანა-ობ-ს — მო-ბან-ავ-ე
ჰიდა-ობ-ს — მო-ჰიდ-ავ-ე

ამავე რიგს მიჰყვებიან:

ჩქარ-ობ-ს — მო-ჩქარ-ე
სწავლ-ობ-ს — მო-სწავლ-ე და მისთანანი.

ზემოაღნიშნული ორგვარი მიმართება ზმნურ წარმოებაშიც იჩენს თავს:

გორ-ავ-ს — ა-გორ-ებ-ს, მაგრამ: გორა-ობ-ს — ა-გორ-ავ-ებ-ს
ცურ-ავ-ს — ა-ცურ-ებ-ს „ ცურა-ობ-ს — ა-ცურ-ავ-ებ-ს
ხტუნ-ავ-ს — ა-ხტუნ-ებ-ს „ ხტუნა-ობ-ს — ა-ხტუნ-ავ-ებ-ს,

ხოლო ამის საპირისპიროდ:

ბანა-ობ-ს — ა-ბან-ავ-ებ-ს
კინკლა-ობ-ს — ა-კინკლ-ავ-ებ-ს,

რადგან არ არის დამოწმებული *ბან-ავ-ს, *კინკლ-ავ-ს ფორმები, რაც არ იძლევა საშუალებას *ა-ბან-ებ-ს, *ა-კინკლ-ებ-ს ფორმების წარმოებისა. ამ ფონზე ასახსნელია ა-ქან-ებ-ს ფორმის არსებობა: *ქან-ავ-ს არ არის დამოწმებული.

წარმოების ეს პრინციპი მით უფრო იმსახურებს ყურადღებას, რომ სტატიკური ზმნისგან (გორ-ავ-ს, გორა-ობ-ს) დინამიკურის (ა-გორ-ებ-ს, ა-გორ-ავ-ებ-ს) წარმოების ხსენებულ პროცესში ისეთი ფორმაც მოხვდება ხოლმე, რომელსაც ზემოთწარმოდგენილებისაგან განსხვავებით მოეპოვება ამოსავალი დინამიკური ვარიანტი (მაგალითად, ასეთია ბან-ს ზმნა), მაგრამ იმდენად ძლიერია ახალი სისტემის გამვლენელი ძალა, რომ იგიც დაექვემდებარება მის ქმედებას, მისი პრინციპის მიხედვით გაიჩენს დინამიკურ ფორმას და დინამიკური და სტატიკური ფორმების ახლებურ დაპირისპირებას მოგვცემს: ბან-ს→ბანა-ობ-ს, მაგრამ პარალელურად ჩნდება (გორა-ობ-ს→ა-გორ-ავ-ებ-ს მიმართების კვალობაზე) ბანა-ობ-ს→ა-ბან-ავ-ებ-ს. მაშასადამე, ორი წყვილი გვაქვს:

ბან-ს — ბანა-ობ-ს
ბანა-ობ-ს — ა-ბან-ავ-ებ-ს,

რომლებიც წარმოქმნის თანამიმდევრობით ასე განლაგდებიან:

ბან-ს→ბანა-ობ-ს→ა-ბან-ავ-ებ-ს.

თავისი მნიშვნელობით ბან-ს და ა-ბან-ავ-ებ-ს ფორმეთი საინტერესო დამთხვევა-დაპირისპირებულობას გვიჩვენებენ: გრამატიკული ფუნქციით ორივე ფორმა იდენტურია — დინამიკური ზმნაა, ყველა ზმნური კატეგორიის მიხედვით თანაფარდი, სხვაობა არც ლექსიკურ მნიშვნელობაშია (იხ. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში შესაბამისი სტატიები) და მაინც ერთგვარი, ასე ვთქვათ, სტილისტური სხვაობა მათ შორის მაინც შეინიშნება. ამის მიზეზი იმდენად ის კი არ არის, რომ ერთი და იმავე ფუძისგან ერთი და იმავე მნიშვნელობისათვის სხვადასხვა წარმოებით მიღებული ფორმები ფუნქციური დაპირისპირებისაკენ ისწრაფვიან შემდგომ (შდრ.: უ-ბედ-ურ-ი და უ-ბედ-ო, [128], 127), არამედ ძირითადად ის, რომ სხვადასხვაგვარი წარმოების ფორმებში შემავალი ელემენტები განაპირობებენ არა მხოლოდ ფორმის, არამედ ფუნქციის ნაირგვარ შემადგენლობასაც (სტრუქტურასაც), რაც საბოლოოდ გარკვეულ გავლენას ახდენს საერთოდ მთლიან მნიშვნელობაზე.

სწორედ ამ ხასიათისა ჩანს დაპირისპირებულობა ცურ-ავ-ს — ცურ-

-ა-ობ-ს ზმნებს შორისაც, რომელთაგან პირველს კონკრეტული, განსაზღვრული დროის გამოხატვა აკისრია, მეორეს — ზოგადი, განუსაზღვრელი დროისა. შესაბამისად, იმავე რიგის დაპირისპირებულობა უნდა ვიგულვოთ მ-ცურ-ავ-ი — მო-ცურ-ავ-ე ფორმებს შორისაც, კერძოდ: პირველი მიუთითებს იმაზე, ვინც ან რაც ცურავს, მეორე — იმაზე, ვისთვისაც ან რისთვისაც დამახასიათებელია ცურვა (ცურვის უნარი). აქ სხვაობა მინიმალურია (ამიტომაც ხშირია ამ ფორმათა ურთიერთშენაცვლების შემთხვევები), მაგრამ მაინც არის. სხვა შემთხვევაში იგი კიდევ უფრო წარმოჩინდება, შდრ.: მ-გორ-ავ-ი — მო-გორ-ავ-ე, მ-ხტუნ-ავ-ი — მო-ხტუნ-ავ-ე. ამის საფუძველზე იოლად გაკეთდება დასკვნა: ფუნქციურად ერთმანეთთან დაკავშირებული არიან, ერთი მხრივ, ცურ-ავ-ს — მ-ცურ-ავ-ი, და, მეორე მხრივ, ცურა-ობ-ს— მო-ცურ-ავ-ე, ანუ: მ-ცურ-ავ-ი დეტერმინირებულია, „ლიმიტირებულია" ფუნქციურად ცურ-ავ-ს ფორმით, ხოლო მო-ცურ-ავ-ე კი, შესაბამისად, ცურა-ობ-ს ფორმით.

ხომ არ ვარაუდობს ეს ფაქტი ანალოგიურ ფორმობრივ დამოკიდებულებასაც? არა, არ ვარაუდობს. უფრო ზუსტად: შესაძლებლობა იმისა, რომ რომელიმე ენობრივი მონაცემი ფორმობრივადაც და ფუნქციურადაც შეპირობებული იყოს ერთი და იმავე მონაცემით, დასაშვებია და გეხვდება კიდეც, მაგრამ აუცილებელი და გარდაუვალი პირობა სრულებითაც არ არის.

მართლაც, გორ-ავ-ს—მ-გორ-ავ-ი მიმართება ვარაუდობს არა მხოლოდ ფორმობრივ, არამედ ფუნქციურ ურთიერთდამოკიდებულებასაც, ე. ი. აქ, ამ შემთხვევაში მ-გორ-ავ-ი ფორმა ფორმითაც და ფუნქციითაც შეპირობებულია, დეტერმინირებულია გორ-ავ-ს ზმნით. მაგრამ ასე აღარ არის მეორე შემთხვევაში: მო-გორ-ავ-ე, რომელიც ფუნქციურად აშკარად დეტერმინირებულია გორა-ობ-ს ფორმით, ფორმობრივ უკვე სულ სხვა მონაცემს ვარაუდობს ამოსავლად: ეს არის გორ-ავ ფუძე, რომელიც გორა-ობ-ს ტიპის ზმნათა ნამყო ძირითადში დასტურდება ჩვეულებრივ: ი-გორავ-ა.

მაშასადამე, ორ ენობრივ მონაცემს შორის ფუნქციური დეტერმინიზმი არ ვარაუდობს, არ გულისხმობს იმავე ფორმებს შორის ფორმობრივ დეტერმინიზმსაც და პირიქით: ფორმობრივი დეტერმინიზმი არ ნიშნავს, რომ ამ მხრივ ურთიერთდაკავშირებულ ფორმებს შორის აუცილებლად იქნება ფუნქციური დეტერმინიზმიც.

XII

მ-გორ-ავ-ი — მო-გორ-ავ-ე ტიპის მიმართებათა საკითხი იოლად გადაწყდებოდა, რომ ამ ყალიბებით წარმოებული ფორმები ყველა შემ-

თხვევაში ანალოგიურ ურთიერთდამოკიდებულებას ამყარებდნენ ერთმანეთთან, ე. ი. ყველა შემთხვევაში ერთი ენობრივი „სქემის“ განხორციელებას წარმოადგენდნენ, ერთ ფორმობრივ სისტემაში ექცეოდნენ ყოველთვის. მაგრამ ეს ასე არ არის.

გვაქვს ასეთი სახის წარმოება:

ბარბაც-ი→ბარბაც-ებ-ს — მო-ბარბაც-ე
გიზგიზ-ი→გიზგიზ-ებ-ს — მო-გიზგიზ-ე
ღიღინ-ი→ღიღინ-ებ-ს — მო-ღიღინ-ე

ყველა ეს ფორმა იმ რიგისაა, როცა ზმნისთვის ამოსავალი მასდარია (და არა პირიქით), უკეთ: სახელი, აღჭურვილი მასდარის ფუნქციით, ედება საფუძვლად ზმნურ ფუძეს. ასეთ მასდარებს „პირველად მასდარებს“ უწოდებენ ([131], 075), ანდა ლაპარაკობენ უსაწყისო (უმასდარო) ზმნებზე, რომელთაც „საჭიროების შემთხვევაში საწყისის მაგივრობას თვით ის სახელი უწევს, რომლისგანაც ნაწარმოებია ეს ზმნები“ ([128], 565).

ამ ნიშნის მიხედვით აქვე უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი მაგალითებიც:

ბრიალ-ი→ბრიალ-ებ-ს — მო-ბრიალ-ე
გრიალ-ი→გრიალ-ებ-ს — მო-გრიალ-ე
სრიალ-ი→სრიალ-ებ-ს — მო-სრიალ-ე
ტრიალ-ი→ტრიალ-ებ-ს — მო-ტრიალ-ე
ფრიალ-ი→ფრიალ-ებ-ს — მო-ფრიალ-ე

ასევე:

კიაფი→კიაფ-ობ-ს — მო-კიაფ-ე
ლაქუც-ი→ლაქუც-ობ-ს — მო-ლაქუც-ე
თამაშ-ი→თამაშ-ობ-ს — მო-თამაშ-ე
ვარჯიშ-ი→ვარჯიშ-ობ-ს — მო-ვარჯიშ-ე

ამ ფორმათაგან მიმღეობის თავისებური წარმოებით გამოირჩევა ჩხუბი—ჩხუბ-ობ-ს — მო-ჩხუბ-არ-ი. მო—არ კონფიქსი გვაქვს მო—ე კონფიქსის ნაცვლად, სხვა სისტემაა აქ შემოჭრილი და იმიტომ. ერთი რამ უნდა აღინიშნოს კიდევ: უკვე XIX საუკუნეში ისახება ტენდენცია ხსენებულ ფორმათა უნიფიცირებულ სისტემაში ჩაყენებისა, სადაც ზმნაა ამოსავალი მასდარისათვის. ამის შედეგია ვარჯიშ-ობ-ა, თამაშ-ობ-ა, ლაქუც-ობ-ა ტიპის უმართებულო (სალიტერატურო ნორმის მიხედვით) ფორმების წარმოქმნა. თუკი მასდარი მოქმედების სახელია, თუკი განსხვავება ბარ-ი და ბარ-ვ-ა სახელებს შორის ის არის, რომ პირველი სახელდებს საგანს, მეორე კი — მოქმედებას, ანალოგიური პრინციპით სცადეს ვარჯიშ-ი და ვარჯიშ-ობ-ა ტიპის ფორმათა დაპირისპი-

რებაც, მაგრამ აქ ძალაუნებურად უმართებულო ტავტოლოგია მივიღეთ: ვარჯიშ-ი, თამაშ-ი, ლაქუც-ი იმთავითვე სწორედ მოქმედების სახელდებაა და არა საგნისა. ცდა ამ ფუნქციისათვის ფორმობრივი ეკვივალენტის გამოყენებისა (ზმნური ფუძე ყოფილიყო წარმოჩენილი) უშედეგოდ დამთავრდა.


ახსენებულ მიმართებათა რიგს მიემატება:

რაკუნ-ი—რაკუნ-ობ-ს — მო-რაკუნ-ე
ლაწუნ-ი—ლაწუნ-ობ-ს — მო-ლაწუნ-ე
ჟღარუნ-ი—ჟღარუნ-ობ-ს — მო-ჟღარუნ-ე
შხაპუნ-ი—შხაპუნ-ობ-ს — მო-შხაპუნ-ე

როგორც ვხედავთ, ყველა შემთხვევაში დავამოწმეთ მო—ე კონფიქსით წარმოებული მიმღეობა, მაგრამ იგი აქ უკვე არა მ- პრეფიქსიან (მ-გორ-ავ-ი ტიპისა), არამედ სულ სხვა წარმოების ფორმებთან დაამჭარებს კავშირს. ეს კი ნიშნავს, რომ დაპირისპირებული ფორმები მიმღეობისა აქაც მოგვეპოვება, მაგრამ უკვე წარმოების სულ სხვა პრინციპზეა დაფუძნებული ეს დაპირისპირება. შდრ.:

მო-ბარბაც-ე — ბარბაც-ა
მო-გიზგიზ-ე — გიზგიზ-ა
მო-ღიღინ-ე — ღიღინ-ა
. . . .
მო-ბრიალ-ე — ბრიალ-ა
მო-გრიალ-ე — გრიალ-ა
მო-ფრიალ-ე — ფრიალ-ა
. . . .
მო-კიაფ-ე — კიაფ-ა
მო-ლაქუც-ე — ლაქუც-ა
. . . .
მო-რაკუნ-ე — რაკუნ-ა
მო-ჟღარუნ-ე — ჟღარუნ-ა
მო-შხაპუნ-ე — შხაპუნ-ა

ამდენად, ამ დაპირისპირებას სულ სხვაგვარი ფორმობრივი საფუძველი აღმოაჩნდა. სხვაგვარია ამოსავალი ფორმისადმი მიმართებაც. თუკი მ-გორ-ავ-ი — მო-გორ-ავ-ე ფორმები სხვადასხვა ფუძეს ვარაუდობენ ამოსაველად, ბარბაც-ა — მო-ბარბაც-ე ფორმებისათვის ფუნქციურად ერთი და იგივე ფუძეა საყრდენი. დეტერმინირებული მიმართება ამ სახისაა:



იმავდროულად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მო-ბარბაც-ე — ბარბაც-ა ტიპის დაპირისპირებაში შეფარულად წარმოჩნდება ხოლმე იმ სისტემის ზეგავლენაც, რომელშიც -ა სუფიქსიანი ფორმები იღებენ მონაწილეობას. და მართლაც, თავის მხრივ, ბარბაც-ი — ბარბაც-ა იმავე რიგის დაპირისპირებაა, როგორიც, ვთქვათ, ქერ-ი — ქერ-ა, შვინდ-ი — შვინდ-ა და მისთანანი. სწორედ ეს თავისებური ფუნქციური ნიუანსი შემოაქვს ბარბაც-ა ფორმას მო-ბარბაც-ე — ბარბაც-ა ტიპის დაპირისპირებაში.

რა აღმოჩნდა?

აღმოჩნდა, რომ მო-გორ-ავ-ე და მო-ბარბაც-ე ფორმები, მიუხედავად ერთი ფორმობრივი ყალიბის მქონებლობისა, სხვადასხვა ფორმობრივ სისტემებში მოხვდნენ, თუმცა გრამატიკული ფუნქციაც და ლექსიკური მნიშვნელობაც ერთი და იგივე აქვთ, მეტიც: არამცთუ ორი ფორმა, არამედ ერთი და იგივე ფორმაც კი შესაძლოა სხვადასხვა სისტემის კუთვნილი გახდეს, სხვადასხვა სისტემაში შედიოდეს ერთდროულად. ეს იმიტომ, რომ ყოველი კონკრეტული ფორმა რამდენიმე ნიშან-თვისებას შეიცავს და შესაძლოა იმდენივე განსხვავებულ სისტემაში მოექცეს, რამდენი ნიშან-თვისებაც მოეპოვება მას. მაგალითად, ბარბაც-ი — ბარბაც-ა დაპირისპირებაში ბარბაც-ა ფორმა შესულია როგორც ატრიბუტი (უპირისპირდება სუბსტანტივს), ხოლო მო-ბარბაც-ე — ბარბაც-ა ტიპის დაპირისპირებაში იგივე ფორმა (ბარბაც-ა) შესულია როგორც გარკვეული ობიექტის ნიშან-თვისების აღმნიშვნელი და ამ ნიშან-თვისებისათვის ზმნური ფუნქციაა უკვე ამოსავალი; იგივე ბარბაც-ა ფორმა ბარბაც-ებ-ს ზმნასთანაც გაერთიანდება როგორც მისი მიმღეობური ვარიანტი. ყველა ამ ფუნქციური ნიუანსის გამოხატვის პოტენცია თან დაჰყვება ხოლმე ბარბაც-ა ფორმას ყველა სისტემაში,

რაც, ბუნებრივია, სისტემის საერთო იერ-სახეზეც იქონიებს გარკვეულ გავლენას.

ბარბაც-ა ტიპის ფორმები ერთი სახის „ენობრივი ასოციაციითაც“ არიან დატვირთული. ამ ასოციაციას ქმნის -ა ფორმანტი, რომელიც ფრიად მრავალნაირი ფორმების მაწარმოებლად გვევლინება ქართულში და ყველა კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტული გრამატიკული ღირებულება ეძებნება. -ა ფორმანტი, მისი ფუნქციები ხშირად გამხდარა სპეციალური კვლევის საგანი. ეს ფორმანტი გვხვდება არა მხოლოდ სახელურ, არამედ ზმნურ ფუძეებთანაც (მასდარის მაწარმოებლად: ხატ-ვ-ა, კეთ-ებ-ა). ვიტყოდით, -ა ფორმანტისათვის ამოსავალი ზოგადი ფუნქცია მასუბსტანტივლობააო და ამის დამადასტურებელი სათანადო მაგალითებიც დაიძებნებოდა:

ლურჯ-ი (ზედსართავი) —ლურჯ-ა (არსებითი სახელი)

ხატ-ავ-ს (ზმნა)—ხატ-ვ-ა (მასდარი, ანუ: მოქმედების სახელი). მაგრამ საპირისპირო მაგალითებიც საკმაოდ დაიძებნება, როცა -ა ფორმანტი ზედსართავად აქცევს არსებით სახელს: ქერ-ი—ქერ-ა, წითელი ქუდი—წითელქუდ-ა (ანუ: წითელქუდ-იან-ი).

ამასთან დაკავშირებით -ა ფორმანტის ერთი თვისებაა საცნაური: სუბსტანტივზე დართვისას იგი ატრიბუტს იძლევა და პირიქით: ატრიბუტზე დართვისას — სუბსტანტივს:

შვინდ-ი—შვინდ-ა, მაგრამ: ლურჯ-ი—ლურჯ-ა
ქერ-ი—ქერ-ა „ წითელ-ი—წითელ-ა
ღვინო—ღვინ-ა „ ცუდ-ი—ცუდ-ა
(შდრ.: „ცუდას რად უნდა მტერობა“...).

-ა ფორმანტისათვის ჩვენთვის საინტერესო მაგალითებშივე ილანდება ერთი ფუნქცია, რომელიც სხვა ფორმებში განზოგადდა და სავსებით ახალ სისტემად ჩამოყალიბდა. შევუდაროთ ერთმანეთს ფორმები:

ბარბაც-ა — შვინდ-ა
ბრიალ-ა — ქერ-ა
ჟღარუნ-ა — ლურჯ-ა

მარცხენა და მარჯვენა რიგის ფორმებს აქვთ გამაერთიანებელი ფუნქცია, რომელიც ამ ფორმებში -ა ფორმანტს შეაქვს, ეს არის ფუნქცია რაღაცის მქონებლობისა, მაგრამ იმავდროულად ამ ორი რიგის ფორმებს შორის აშკარა განსხვავებაცაა, ეს განსხვავება ფუძის შემონატანია ამ ფორმებში: ბარბაც- ტიპის ფუძეებს ზმნურობის ელემენტი შემოაქვს ამ შემთხვევაში, შვინდ- ტიპის ფუძეებს კი — სახელურობისა. შესაბამისად, პირველი რიგის ფორმები გარკვეული მოქ-

მედების „მქონებლობას“ აღნიშნავენ, მეორე ტიპის ფორმები კი — გარკვეული თვისების, სტატუსის (ფერის, გემოს...) მქონებლობას.

საბოლოოდ კი იმის თქმა შეიძლება, რომ რომელიმე ერთი ნიშნის (აქ: მქონებლობის ფუნქციის) საფუძველზე გაერთიანებული ფორმები (ბარბაც-ა, შვინდ-ა, წითელპერანგ-ა) სხვა ნიშნის მიხედვით დასცილდებიან ერთმანეთს და სავსებით განსხვავებულ სისტემებში მოექცევიან: ბარბაც-ა გვერდით ამოუდგება მო-ბარბაც-ე მიმღეობურ ფორმას, შვინდ-ა ეკვივალენტი აღმოჩნდება ფორმისა შ/ვ/ინდისფერ-ი, ხოლო წითელპერანგ-ა კი მიემართება წითელპერანგ-იან-ი ტიპის ფორმებს. ამრიგად, ფორმობრივ ერთი შენების მონაცემები აქაც, ამ შემთხვევაშიც ნაირგვარ ფორმობრივ მიმართებებს ქმნიან. და მაინც, როგორც უკვე ითქვა, ყველა შემთხვევაში -ა ფორმანტს თან სდევს მეტ-ნაკლებად წარმოჩენილი ყველა ის ფუნქცია, რომლებიც მას სხვადასხვა ფორმობრივ სისტემაში მოეპოვება.

აქ ერთი რამ გვრჩება გასათვალისწინებელი: ერთი და იგივე მატერიალური შედგენილობის ფორმანტი, მოქცეული სხვადასხვა სტრუქტურაში, ხშირად განსხვავებული ღირებულებისა ხდება. ამის მიზეზი უმთავრესად ფუძეთა ნაირგვარობაა, თუნდაც ამ ფუძეებს ამოსავალი ელემენტი საერთო ჰქონდეთ. შდრ.:

მურ-ი — [მურ-ა; მურ-ავ-ს — მურ-ვ-ა]

მურ-ა და მურ-ვ-ა, ვვარაუდობთ, რომ ერთსა და იმავე -ა ფორმანტს დაირთავენ, მაგრამ ერთმანეთისაგან მაინც განსხვავდებიან და ამ განსხვავების მიზეზი ნაირგვარი ფუძეებია. გარდა ამისა, -ა ფორმანტი ამ ორ შემთხვევაში ნაირგვარი ქმედების უნარს იძენს (მაგალითად, მურ-ა ფორმაში -ა ფორმანტი უკვეცელია, მურ-ვ-ა ფორმაში — კვეცადია ბრუნების დროს), ნაირგვარ მიმართებებს ამყარებს (მურ-ა სახელად ფუძეს მიემართება, მურ-ვ-ა — ზმნურ ფუძეს, პირველი მურ-იან-ი ფორმის ეკვივალენტი ხდება, მეორე ამ მხრივ განცალკევებით დგას). ყოველივე ამის გამო მურ-ა ფორმის -ა ფორმანტსა და მურ-ვ-ა ფორმის -ა ფორმანტს შორის იგივეობის ნიშნის დასმა შეუძლებელი ხდება: ნაირგვარმა სისტემამ ნაირგვარი ადგილი მიუჩინა მას ენაში, ნაირგვარი ღირებულებისა გახადა, რის შედეგადაც ფაქტიურად ორი დამოუკიდებელი ფორმანტი მივიღეთ. მათი ერთ სისტემაში გაერთიანება მხოლოდ მაშინ აღმოჩნდება შესაძლებელი, როცა რომელიმე ფუნქციით (სემანტიკური ასპექტით) და იმავდროულად ფორმობრივი ქმედებით (ფორმობრივი ასპექტით) ერთმანეთს გაუთანაბრდებიან, როგორც ეს ბარბაც-ა, შვინდ-ა ტიპის ფორმების შემთხვევაში გვქონდა.

XIII

გასათვალისწინებელია —
გვაქვს მიმღეობური წყვილეულები:

მ-გორ-ავ-ი — მო-გორ-ავ-ე
ბარბაც-ა — მო-ბარბაც-ე

მაგრამ გვაქვს მხოლოდ ცალეულებიც: მო-ბან-ავ-ე, მო-კინკლ-ავ-ე. ეს კი ნიშნავს, რომ მო-გორ-ავ-ე, მო-ბარბაც-ე ფორმათა ფუნქციური სფერო შედარებით უფრო ვიწროა საობიექტო მ-გორ-ავ-ი, ბარბაც-ა ფორმების არსებობის გამო, ვინემ ფუნქციური სფერო მო-ბან-ავ-ე, მო-კინკლ-ავ-ე ფორმებისა, რადგან რომელიმე მო-ბან-ავ-ე ფორმა „იძულებულია“ იმ ფუნქციის მთლიანი გადმოცემა იკისროს (საობიექტო ცალის უქონლობის გამო), რომელსაც ერთმანეთში ინაწილებენ მო-გორ-ავ-ე და მ-გორ-ავ-ი ფორმები. ამიტომაც, მო-ბან-ავ-ე და მო-გორ-ავ-ე ფორმები, მიუხედავად ფორმობრივი სტრუქტურის იდენტურობისა, ფუნქციურად ტოლფასი ვერ იქნებიან.

ყველაფერი ეს ენობრივი ღირებულების თეორიის (რომელიც პირველად ფ. დე სოსიურმა წამოაყენა ლექსიკური მნიშვნელობისათვის) გრამატიკული ფუნქციის სფეროში მოხმარებაა.

XIV

ზემოხსენებულ მიმართებათა კვლევისას კანონზომიერად დადგება საკითხი თავისებური წარმოების მიმღეობათა ფუძის მიხედვით მათთვის ამოსავალი ოდინდელი ზმნური ფუძეების აღდგენის შესაძლებლობის შესახებ.

რიგ შემთხვევაში ასეთი შესაძლებლობა ჩანს. მაგალითად, გვაქვს:

ჩივ-ი-ს — მ-ჩივ-ან-ი
კივ-ი-ს — მ-კივ-ან-ი
წივ-ი-ს — მ-წივ-ან-ი
ყივ-ი-ს — მ-ყივ-ან-ი
ჩხავ-ი-ს — მ-ჩხავ-ან-ი
ტყუ/ვ/-ი-ს — მ-ტყუ/ვ/-ან-ი

განსხვავებულ ჩვენებას იძლევიან:

ტირ-ი-ს — მ-ტირ-ალ-ი (←*მ-ტირ-არ-ი)
ყვირ-ი-ს — მ-ყვირ-ალ-ი (←*მ-ყვირ-არ-ი).

ამგვარ მწყობრ განაწილებას გარკვეული მერყეობა უსწრებდა წინ, რაც ძველ ქართულში დამოწმებული მ-ტყუვ-არ-ი (ახლა: მ-ტყუ-ან-ი),

ასევე მ-ტკივ-არ-ი (ახლა: მ-ტკივ-ან-ი) ფორმებით მტკიცდება ([132], 71). ამ მერყეობას თავისი მიზეზი აქვს. მ-ტყუ/ვ/-ან-ი და მ-ტყუვ-არ-ი ფორმებს შორის ფუნქციური დაპირისპირება ივარაუდება: მ-ტყუვ-ან-ი ფორმა ფუნქციურად ტყუ-ი-ს ზმნას შეესაბამება, მ-ტყუვ-არ-ი კი — ა-ტყუ-ებ-ს ზმნას, ანუ: მ-ტყუ/ვ/-ან-ი ის არის, ვინც ტყუის, ხოლო მ-ტყუვ-არ-ი კი ის, ვინც ატყუებს. ეს ფუნქციურად; რაც შეეხება ფორმობრივ მხარეს, ამოსავლად იგულისხმება შესაბამისად ტყუვ-ან და ტყუვ-არ ზმნური ფუძეები. მ-ტყუვ-არ-ი ფორმის ნაცვლად ახალ ქართულში მ-ა-ტყუ-არ-ა იხმარება. საინტერესო ფაქტია ისიც, რომ, როგორც აღმოჩნდა, მ-ტყუ/ვ/-ან-ი ფორმა მარტოოდენ სუბიექტს წარმოაჩენს, მ-ტყუვ-არ-ი / მ-ა-ტყუ-არ-ა კი — სუბიექტსაც და ობიექტსაც; წარმოაჩენს, რა თქმა უნდა, მხოლოდ ფუნქციურად. მიმღეობაში სუბიექტისა და ობიექტის ერთად წარმოჩენა ცალკე განხილვას მოითხოვს.

მ-ტირ-ალ-ი ტიპის ფორმები ქართულში ცალკე არა დგას, გვაქვს:

ი-ცინ-ის — მ-ცინ-არ-ი
ი-ღიმ-ი-ს — მ-ღიმ-არ-ი
დი-ს — მ-დინ-არ-ი
ჩან-ს — მ-ჩინ-არ-ი და სხვა.

საკითხი დგება -ან, -არ სუფიქსების რაობის შესახებ. ის, რაც ახლა მიმღეობის კუთვნილ ფუძედაა მიჩნეული, ჩანს, ზმნური ფუძიდან მომდინარეობს. საკმარისია ერთმანეთს შევუდაროთ ფორმები:

გორ-ავ-ს — მ-გორ-ავ-ი
კივ-ი-ს — მ-კივ-ან-ი,

რომ აშკარა გახდეს შემდეგი: პირველ შემთხვევაში ზმნასა და მიმღეობას შორის სრული ფუნქციური და ფორმობრივი შესაბამისობაა, მეორე შემთხვევაში ეს შესაბამისობა მარტოოდენ ფუნქციურ მხარეს შეეხება. ფორმობრივი შესაბამისობის აღსადგენად საჭირო ჩანს *კივ-ან ზმნური ფუძის დაშვება:

გორ-ავ-ს→მ-გორ-ავ-ი
*კივ-ან-ს→მ-კივ-ან-ი

შემთხვევითი არ უნდა იყოს აჭარულში დამოწმებული ი-კივ-ან-ებ-ს, ი-ღიმ-ან-ებ-ს ფორმები ([119], 152).

-ან უძველეს თემის ნიშნადაა მიჩნეული, რომელიც მი-უ-ძღუ-ან-ა, მო-სტუ-ან-ვ-ა, შე-ე-ზმ-ან-ა, და-წ-ან-ებ-ა, მი-ყვ-ან-ა, მ-გუ-ან-ი, ს-ც-ან, ასევე: ჰ-გვ-ან-ან, ჰ-გვ-ან-დ-ა; ჰ-ყვ-ან-ან, ჰ-ყვ-ან-დ-ა, ასევე:

მ-ციე-ან-ი, მ-ტკივ-ან-ი, ელვ-ან-ა ტიპის ფორმებშია დამოწმებული ([106], 490). -ან ახალ ქართულში, როგორც წესი, ერთი რიგის ზმნათა მრავლობით რიცხვში წარმოჩნდება მხოლოდ: დგ-ან-ან, ჰ-ყვ-ან-ან, ჰ-გვ-ან-ან ([128], 178, 416—417, 524—525; [115], 164—170). ამისდა კვალობაზე, მხოლობითში -ან ფონეტიკურ ნიადაგზე გამარტივებულად მიიჩნევა: *დგ-ან-ს→დგ-ა-ს ([128], 417). ფხ-ან-ს (შდრ.: ფხ-ეკ-ს, ფხა), ზმ-ან-ება (შდრ. სი-ზმ-არ-ი), მო-წით-ან-ო, მო-ყვით-ან-ო, ასევე: ლაწ-ან-ი, ტკაც-ან-ი, ჩახ-ან-ი ფორმებიც -ან ფორმანტს შეიცავენ უეჭველად. -ან ფორმანტის შედგენილობაზე ცალკე გვექნება საუბარი, აქ კი იმის თქმა შეიძლება, რომ რიგ შემთხვევაში არავითარი ეჭვი არ რჩება იმისა, რომ -ან ზმნური ფუძის მადეტერმინირებელი ფორმანტია. იგივე -ან სახელის ფუძის შემადგენლობაშიც შედის როგორც ზმნისგან დამოუკიდებელი ელემენტი, მაგრამ ნაზმნარ სახელებში კი (მასდარსა და მიმღეობაში) იგი უთუოდ ზმნური ფუძიდან უნდა იყოს გადასული.

შემთხვევითი არ არის აგრეთვე ტყუე-ან: ტყუე-არ ფუძეთა მონაცვლეობა. ამ რიგის დაპირისპირებაც ერთეული არ არის ქართულში, შდრ.:

მ-ტკივ-ან-ი — სა-ტკივ-არ-ი
ზმ-ან-ებ-ა — სი-ზმ-არ-ი
მ-კივ-ან-ი — მ-კივ-არ-ი

უაღრესად საინტერესოა ამ თვალსაზრისით ზემოიმერულში დამოწმებული დგ-არ-ან ფორმა ([141], 91, 107, 131. დგ-არ-ენ, იქვე, 154). აქ არ უნდა გვქონდეს საქმე ფონეტიკურ ცვლილებასთან: დგ-ან-ან →დგ-არ-ან (შდრ.: [115], 166—167). დგ-არ, ისევე, როგორც დგ-ან, კანონზომიერი და დამოუკიდებელი ფუძე ჩანს ქართულში. ამას ადასტურებს არა მხოლოდ მ-დგ-არ-ი მიმღეობური ფორმა, არამედ შესაბამის ზმნურ ფორმებთან მიმართებაც: ისევე, როგორც დგ-ან (*დგ-ან-ს→ →დგ-ა-ს) ფუძეს მოეპოვება დგ-ენ (ა-დგ-ენ-ს) ვარიანტი, დგ-არ ფუძესაც აქვს ანალოგიური გახმოვანების მქონე ვარიანტი (დგ-ერ: „და--ა-დგ-ერ შენ ჩემ თანა“, დამოწმებულია ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონის“ მიხედვით, [101], 108).

რა თქმა უნდა, -ან და -არ ფორმანტიანი ფუძეების მიმართებით არ ამოიწურება ამ ფუძეთა წარმოქმნის დინამიკა. ზემოთ მოტანილი იყო დეგ- ამოსავალი ელემენტისაგან ნაწარმოები ფუძეები. ამ წარმოების პირველივე საფეხური, სადაც მრავლად დავადასტურეთ ე. წ. ფარული ფუძეები, მრავალ საყურადღებო საკითხს წამოჭრის. აღმოჩნდა, რომ ქართულში ერთმანეთის პარალელურად გვქონია დგ-ან, დგ-ენ, დგ-ამ, დგ-ომ, დგ-ურ ფუძეები. რასაკვირველია, აქ ფუძეთა შემთხვევით გროვასთან სრულიადაც არა გვაქვს საქმე. გარკვეული კანონზომიერება


იმთავითვე ილანდება. რეალურად დამოწმებული ან რეალურად აღდგენილი ფუძეების მიმართება მაწარმოებელ ფორმანტთა ნაირგვარი გახმოვანების მიხედვით ასე წარმოგვიდგება:

დგ-ან	—დგ-ენ	—X	— X
დგ-ამ	—დგ-ემ	—დგ-ომ	— X
	(უწყვეტელში)		
დგ-არ	—დგ-ერ	— X	—დგ-ურ
X	—დგ-ებ	— X	— X

ჩვენ სრულიადაც არ ვგულისხმობთ, რომ ცარიელი უჯრებისათვის აუცილებლად ივარაუდება ოდესღაც არსებული ფორმები. ასეთი ფორმები რეალურად შესაძლოა არასდროს არსებულიყო და არც მომავალში იარსებოს, მაგრამ ფაქტია, რომ ენას სწორედ ამგვარი მიმართებების გამო უთუოდ აქვს პოტენცია, შესაძლებლობა ამ ტიპის ფუძეთა წარმოქმნისა და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებს კიდეც ამ შესაძლებლობას.

დაგვრჩა ფუძეები -ი- გახმოვანებით: დგ-ინ, მაგრამ იგი დგ-ენ ფუძის ფონეტიკური ვარიანტი ჩანს (ვ-ა-დგ-ენ→და-ვ-ა-დგ-ინ-ე), თუმცა ამ ვითარებაში ძნელი ასახსნელი რჩება დგ-ილ (ა-დგ-ილ-ი) ფუძის გენეზისი.

შემდეგ: ისევე, როგორც დგ-ან, დგ-ამ, დგ-არ ფუძეები, დგ-ან — დგ-ენ ფუძეებიც -ან, -ამ, -არ, -ენ, -ერ... ფორმანტთა რთულ შედგენილობაზე უნდა მიგვითითებდეს: -ა-ნ, -ა-მ, -ა-რ და ა. შ. თუ ეს მართლაც ასეა, ამ პრინციპის მიხედვით ფუძეთა წარმოქმნის მექანიზმი სქემატურად ასე წარმოგვიდგება:



(ამჯერად არ ვეხებით იმ ფაქტს, რომ რომელიმე -ომ..., ან -ურ... შესაძლოა ისტორიულად სხვა გახმოვანების ფონეტიკური ვარიანტი

იყოს. აქ მხოლოდ რეალურად დამოწმებულ ვითარებას ვითვალისწინებთ).

ამგვარი ვარაუდის რეალურ საფუძვლებზე ცალკე გვექნება მსჯელობა. დავსძენთ მხოლოდ, რომ თანხმოვნითი ფორმანტები სრულიადაც არ ამოიწურება აქ წარმოდგენილი მონაცემებით. მათი რაოდენობა გაცილებით უფრო მეტია. ამჯერად მხოლოდ წარმოქმნის სავარაუდო პრინციპის ჩვენება იყო ჩვენი მიზანი.

XV

მ-ტირ-ალ-ი, მ-ჩივ-ან-ი ტიპის ფორმები -ა ფორმანტს დაირთავენ:

მ-ტირ-ალ-ი — მ-ტირ-ალ-ა
მ-ჩივ-ან-ი — მ-ჩივ-ან-ა
მ-კივ-ან-ი — მ-კივ-ან-ა
მ-ჩხავ-ან-ი — მ-ჩხავ-ან-ა

აშკარაა, რომ აქ იმავე რიგის მიმართების დამყარების ცდაა, რომელიც მო-ბარბაც-ე — ბარბაც-ა ფორმათა შემთხვევაში დავადასტურეთ, ოღონდ განსხვავებაც უეჭველია ფუძეთა წარმოქმნაში: მო-ბარბაც-ე — ბარბაც-ა ტიპის ფორმები ურთიერთმიმართ ჩანაცვლებულ ფუძეებს ემყარებიან, ორივესთვის ერთი და იგივე ბარბაც- ფუძეა ამოსავალი, ხოლო მ-ტირ-ალ-ი→მ-ტირ-ალ-ა ამ მხრივ ხაზოვანი პრინციპის მიხედვითაა წარმოებული: პირველი ამოსავალია მეორისათვის. ფუძეთა წარმოქმნის განსხვავებული პრინციპების გამოყენება ხელს არ უშლის იმას, რომ ფუნქციური თვალსაზრისით მო-ბარბაც-ე — ბარბაც-ა, ერთი მხრივ, და მ-ტირ-ალ-ი — მ-ტირ-ალ-ა, მეორე მხრივ, ფორმებს შორის იდენტური მიმართება დავინახოთ. და მართლაც, მ-ტირ-ალ-ი, მ-ჩივ-ან-ი, მ-კივ-ან-ი ფორმები, ისევე როგორც მო-ბარბაც-ე ტიპის ფორმები, გარკვეული მოქმედების შემსრულებელს ასახელებენ, ხოლო ამათ საპირისპიროდ, მ-ტირ-ალ-ა, მ-ჩივ-ან-ა, მ-კივ-ან-ა ფორმები, ბარბაც-ა ტიპის ფორმათა მსგავსად, აღნიშნავენ პირს, რომლისთვისაც დამახასიათებელია, რომლის თვისებაცაა ზმნური ფუძით გადმოცემული მოქმედება (ტირილი, ჩივილი, კივილი...). ყველაფერი ეს ფაქტიურად ზმნურ ფუძეში წარმოჩენილ ფუნქციათა „მიმღეობური ტრანსფორმაციაა". თუკი მ-ტირ-ალ-ი — მ-ტირ-ალ-ა, მ-ჩივ-ან-ი — მ-ჩივ-ან-ა იმავე რიგის მიმართებაა, რაც მო-ბარბაც-ე — ბარბაც-ა, ხოლო ეს უკანასკნელი კი ანალოგიურია მ-გორ-ავ-ი — მო-გორ-ავ-ე ტიპის მიმართებისა, მაშინ ამოსავალ ზმნურ ფუძეებშიც ყველა ამ შემთხვევაში უნდა იმგვარივე დაპირისპირება ვივარაუდოთ, როგორიც გორ-ავ-ს — გორა-ობ-ს ფორმათა მიმართებისას დავადასტურეთ. მაგრამ საქმე ისაა, რომ საანალიზო ფორმათა შემთხვევაში ამოსავლად მხოლოდ და მხოლოდ ერთი ზმნური ფორმა ივარაუდება:

ტირ-ი-ს — მ-ტირ-ალ-ი/მ-ტირ-ალ-ა
ჩივ-ი-ს — მ-ჩივ-ან-ი/მ-ჩივ-ან-ა
კივ-ი-ს — მ-კივ-ან-ი/მ-კივ-ან-ა

იქნებ ფუნქციური სხვაობა, რომელიც არ იყო დამახასიათებელი ზმნისათვის, დამოუკიდებლად ან სხვა მიმღეობურ ფორმათა ანალოგით წარმოჩინდა ზემოხსენებულ მიმღეობებშიც? არა, ასეთი რამ არ არის ნიშანდობლივი ენისათვის. სინამდვილეში მიმღეობათა პარალელური ფორმები აქ ამოსავალი ზმნის პოლისემანტიკურობის ფორმობრივი რეალიზაციაა: ტირ-ი-ს, ჩივ-ი-ს, კივ-ი-ს ფორმები კონტექსტის შესაბამისად შეიძლება გადმოსცემდნენ არა მხოლოდ კონკრეტულ დროში მიმდინარე მოქმედებას, არამედ ზოგად, ჩვეულებითს მოქმედებასაც. სწორედ ამ ორი განსხვავებული ფუნქციის რეალიზაცია მოხდა მიმღეობის ორი განსხვავებული ფორმით.

აისახება თუ არა შესაბამის მიმღეობებში ზმნის კონკრეტული (განსაზღვრული) და ზოგადი (განუსაზღვრელი) დრო? არა, ხსენებულ მიმღეობებში დროის ამგვარი ასახვა არ ხდება. დროის ფუნქცია გარდაიქმნება (ტრანსფორმირდება) სხვა ფუნქციად, კერძოდ, ეს არის ან ნეიტრალური სახელდება მოქმედისა (მ-ტირ-ალ-ი), ან მისი სახელდება მისთვის დამახასიათებელი თვისების მიხედვით (მ-ტირ-ალ-ა). ჩვენ შორსა ვართ იმ აზრიდან, რომ რაიმე პარალელი ვეძიოთ ბუნების მოვლენებთან, მაგრამ ამ შემთხვევაში ანალოგიისათვის ალბათ გამოდგებოდა მაგალითი ფიზიკიდან, სადაც, ვთქვათ, საუბარია სითბოს ენერგიად გარდაქმნის შესახებ, ანდა პირიქით: ენერგიის სითბოდ გარდაქმნის თაობაზე. ენაში ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ზმნის განუსაზღვრელი დროის გარდაქმნაზე სუბიექტის თვისების გამომხატველად, რაც შესაბამისი მიმღეობით აისახება და მისთ.

ამდენად, ზემოთ მოტანილი სქემა ფუნქციური თვალსაზრისით ასეთ დაზუსტებას საჭიროებს:

კონკრეტული აწმყო:	ზოგადი აწმყო:
ტირ-ი-ს→მ-ტირ-ალ-ი,	ტირ-ი-ს→მ-ტირ-ალ-ა
ჩივ-ი-ს→მ-ჩივ-ან-ი,	ჩივ-ი-ს→მ-ჩივ-ან-ა
კივ-ი-ს→მ-კივ-ან-ი,	კივ-ი-ს→მ-კივ-ან-ა.

ქართულში დამოწმებულია მო-ტირ-ალ-ი ფორმაც. ყველა ნიშნის მიხედვით იგი იმავე ფუნქციისა უნდა ყოფილიყო, რაც მ-ტირ-ალ-ა ფორმა. შდრ.: მ-გორ-ავ-ი — მო-გორ-ავ-ე, სადაც მ-გორ-ავ-ი გრამატიკული ეკვივალენტია მ-ტირ-ალ-ი ფორმისა, შესაბამისად, მო-ტირ-ალ-ი ივარაუდება მო-გორ-ავ-ე ფორმის გრამატიკულ ეკვივალენტად,

მაგრამ მისი ადგილი მ-ტირ-ალ-ა ფორმამ დაიკავა. მო-ტირ-ალ-ი ფორმას კი მნიშვნელობა დაუვიწროვდა და ამჟამად აღნიშნავს იმას, „ვინც გარდაცვლილის დასატირებლად მოსულა“ (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი).

ამდენად, დავადასტურეთ წყვილეულები:

მ-გორ-ავ-ი — მო-გორ-ავ-ე
მ-ტირ-ალ-ი — მო-ტირ-ალ-ი
ბარბაც-ა — მო-ბარბაც-ე

შეიძლება კი ამის მიხედვით დავასკვნათ, რომ, მაგალითად, მ-გორ-ავ-ი, მ-ტირ-ალ-ი და ბარბაც-ა აბსოლუტურად ერთი და იმავე რიგის ფორმებია?

არა, ამგვარი სქემა ენაში რეალურად არსებულ ვითარებას მხოლოდ მიახლოვებით ასახავს. ბარბაც-ა ფორმა ყოველგვარი დათმობის გარეშე ვერ ჩადგება მ-გორ-ავ-ი ან მ-ტირ-ალ-ი ფორმების რიგში. ზემოთ უკვე მოგვიწია იმის აღნიშვნა, რომ რა განსხვავებულ სისტემაშიც უნდა მოექცეს რომელიმე ფორმა, მას თან სდევს ხოლმე მისი სტრუქტურისათვის დამახასიათებელი ფუნქციაც. ამიტომაც ყველა კონტექსტისათვის ამ ფორმათა სრული გათანაბრება შეუძლებელია. ვფიქრობთ, მათი მიმართებების სქემა ამ სახით უნდა წარმოვადგინოთ:

მ-გორ-ავ-ი	— მო-გორ-ავ-ე	— X	— X	— X
X	— მო-ბარბაც-ე	— ბარბაც-ა	— X	— X
მ-ტირ-ალ-ი	— X	— X —	მო-ტირ-ალ-ი	— მ-ტირ-ალ-ა.

როგორც ვხედავთ, ყოველ რიგში გვაქვს „ცარიელი უჯრები“. ეს ნიშნავს, რომ ენა ფორმობრივი რეალიზაციის ყველა შესაძლებლობას არ იყენებს ხოლმე. საჭიროების შემთხვევაში ენა მომჯინავე ფორმას აკისრებს იმ ფუნქციის გამოხატვას, რომელიც ცარიელი უჯრისათვის ნავარაუდევ ფორმას უნდა გამოეხატა. სწორედ ამიტომაა, რომ ზოგჯერ მო-ბარბაც-ე ფორმას იმავე ფუნქციის გამოხატვაც დაეკისრება, რომელიც მ-გორ-ავ-ი ყალიბის მქონე ფორმათა პრიორიტეტია.

გარდა ამისა, ვერც მო-გორ-ავ-ე, მო-ბარბაც-ე და მო-ტირ-ალ-ი ფორმებს შორის დავსვამთ აბსოლუტური ფუნქციური იგივეობის ნიშანს, რადგან, ჯერ ერთი, ორ შემთხვევაში -ე სუფიქსი გვაქვს მესამე ფორმის ნულ-სუფიქსის ბადლად: მეორეცაა და, ხსენებულ ფორმათა ფუნქციურ იერ-სახეზე უთუოდ ახდენს გავლენას მომჯინავე ფორმათა არსებობა; აქ კი მო-გორ-ავ-ე ფორმის გვერდით მ-გორ-ავ-ი ფორმაა დამოწმებული, მო-ბარბაც-ე ფორმა კი ბარბაც-ა ფორმასთან ინაწილებს მიმღეობური ფუნქციის გამოხატვას.

ახლა გასარკვევია, რამდენად მოქმედებს ფონეტიკური ფაქტორი ფუძეთა წარმოქმნის დროს.

განვიხილოთ მიმართება:

ი-ცინ-ი-ს	— მ-ცინ-არ-ი/მო-ცინ-არ-ი
ი-ღიმ-ი-ს	— მ-ღიმ-არ-ი/მო-ღიმ-არ-ი
ჩან-ს	— მ-ჩინ-არ-ი/მო-ჩინ-არ-ი
დი-ს	— მ-დინ-არ-ი/მო-დინ-არ-ი

როგორც ვხედავთ, ყველა შემთხვევაში მიმღეობა ერთი და იმავე ყალიბითაა ნაწარმოები. მიუხედავად ამისა, ამ ფორმათა გენეზისი, იმავე ფუძის მქონე სხვა ფორმებთან მიმართება ერთნაირი არ არის.

-ცინ-, -ღიმ- აწმყოშივე გამოყენებული ფუძეებია, რომლებიც არა მხოლოდ ზემოხსენებულ მიმღეობებში იჩენენ თავს, არამედ მათგან წარმოებულ დინამიკურ ფორმებშიც გადადიან: ი-ცინ-ი-ს→ა-ცინ-ებ-ს, ი-ღიმ-ი-ს→ა-ღიმ-ებ-ს, ასევე შდრ.: ე-ცინ-ებ-ა, ე-ღიმ-ებ-ა ფორმები.

მათგან განსხვავებით მ-ჩინ-არ-ი‖მო-ჩინ-არ-ი, მ-დინ-არ-ი‖მო-დინ--არ-ი ფორმებში დამოწმებული -ჩინ-, დინ- ფუძეები გაცილებით უფრო რთულ მიმართებებს ამყარებენ და ეს სირთულე უპირველესად ფონეტიკური ნაირსახეობებითაა გამოწვეული.

-ჩინ-, -დინ- მეორეული ფუძეებია.

ეს მეორეულობა ფონეტიკური ფაქტორითაა გამოწვეული.

ნამყო ძირითადის ა-ჩინ-ა, ა-დინ-ა ფორმათა ფუძეები ამოსავლად ა-ჩენ-ს, ა-დენ-ს ფორმებში დამოწმებულ ფუძეებს ვარაუდობენ. ე. ი. მონაცვლეობა ფუძის შიგნით ადვილად იხსნება ფონეტიკურად ზეგამ-ვლენელი ფაქტორით: *ვ-ა-ჩენ-ე—ვ-ა-ჩინ-ე, *ვ-ა-დენ-ე—ვ-ა-დინ-ე — სუფიქსი -ე უნდა იყოს ამგვარი შენაცვლების მიზეზი, როგორც საერთოდ ყველა ფუძედრეკად ზმნაში ანალოგიური ცვლილების საფუძველი ([134], 37). ყოველ შემთხვევაში, ყველაზე რაციონალური ახსნა ჯერ-ჯერობით ესა ჩანს. რასაკვირველია, ცვლილებას, მის გამომწვევ ფონეტიკურ მიზეზს ხელშემწყობი ნიადაგიც დახვდა, თორემ ყველა მოსალოდნელ პოზიციაში ცვლილება არ ხდება ხოლმე, რადგან ამ შემთხვევაში გრამატიკული ღირებულება ზღუდავს მას: ა-ჩენ-ენ სტრუქტურაში -ენ პირის ნიშანი სწორედ იმის გამო ვერ ცვლის -ჩენ- ფუძეს ფონეტიკურად, რომ მაშინ გრამატიკულ სისტემისადმი მიკუთვნებულობის ფაქტორი დაირღვეოდა, I სერიის ფუძე დაემთხვეოდა II სერიის ფუძეს. მართალია, ზოგჯერ ენა არც ამას უწევს ანგარიშს და ანალოგიურ შემთხვევაში ცვლის ფუძეს: მი-ვედ, მი-ხ-ვედ, მაგრამ: მი-

-ვიდ-ა, თუმცა აქ უთუოდ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ეს ცვლილება არ ქმნის აღრევის საშიშროებას: -ვიდ- ფუძე არცერთ სხვა სისტემაში არ არის დამოწმებული, ყველგან, სადაც იგი დასტურდება, საყრდენად ერთი და იგივე ფუძე ივარაუდება, ფუძე ნამყო ძირითადისა:

მი-ვედ — მი-ვიდ-ოდ-ი — მი-ვიდ-ოდ-ე
მი-ხ-ვედ — მი-ხ-ვიდ-ოდ-ი — მი-ხ-ვიდ-ოდ-ე
მი-ვიდ-ა — მი-ვიდ-ოდ-ა — მი-ვიდ-ოდ-ე-ს.

რის საფუძველზე შეიძლება მივიჩნიოთ ერთი და იმავე ფუძის ნაირსახეობად (და არა ორ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ფუძედ) -ჩენ- და -ჩინ- ელემენტები? რა თქმა უნდა, სემანტიკური ასპექტით აქ უპირველესად ლექსიკური მნიშვნელობა ივარაუდება მათ გამაერთიანებლად: ა-ჩენ-ს და ა-ჩ-ნ-ა, აშკარაა, რომ გრამატიკული ფუნქციით დაპირისპირებული ერთი და იგივე ლექსიკური მნიშვნელობის მქონე ელემენტია. მაგრამ შესაძლებელია თუ არა ამგვარი მიმართების წარმოჩენა მნიშვნელობისაგან დამოუკიდებლად, მნიშვნელობის გაუთვალისწინებლად?

თუკი მნიშვნელობას არ მოვიშველიებთ, რა საფუძველი გვაქვს იმის სამტკიცებლად, რომ რომელიმე -ჩინ- ელემენტი -ჩენ- ფუძესთან დაკავშირებული მონაცემია და არა სავსებით დამოუკიდებელი ფუძე?

ეს საკითხი უშუალოდ განეკუთვნება მორფემათა ფორმობრივი იდენტიფიკაციის პრობლემას და მისი განხილვა ცალკე ივარაუდება.

ქართულში დამოწმებულია შემთხვევები, როცა ფუძეთა დაპირისპირება გახმოვანების მიხედვით სამ და მეტ-საფეხუროვანია.

სამსაფეხუროვანი მიმართება:

*დგ-ან-ს (→დგ-ა-ს)	—	ა-დგ-ენ-ს	—	და-ა-დგ-ინ-ა
ჩან-ს	—	ა-ჩენ-ს	—	გამო-ა-ჩინ-ა
სხაპ-უნ-ი	—	სხეპ-ს	—	სხიპ-ა

ოთხსაფეხუროვანი მიმართება:

ფხაკ-უნ-ი — ფხეკ-ს — ფხიკ-ა — ფხოკ-ნ-ი-ს.

რა თქმა უნდა, ყველა მათგანი, როგორც ფონეტიკური ნაირსახეობა, ერთსა და იმავე დონეზე ვერ დადგება, არც ფუნქციურად ნაწილდება ერთი და იმავე პრინციპით, მაგრამ ერთი რამ უეჭველი ფაქტია: ყველა ეს ფორმა ერთდროულად, ურთიერთმიმართების ნიშნით ფუნქციონირებს ენაში და ამ ფაქტს სათანადო კვალიფიკაცია ესაჭიროება.

ჩან-ს — ა-ჩენ-ს — ა-ჩინ-ა ფორმებში დამოწმებული ფუძეები ამოსავალი ხდება, ყველა სათითაოდ, ნაზმნარ სახელთა სხვადასხვა სისტემისათვის;

1. -ჩენ- → [ჩენ-იღ-ი ; *ჩენ-ელ—მ-ჩენელ-ი ; მ-ჩენ-ი]

2. -ჩინ- — [ჩინ-ი ; ჩინ-ება-ა (წარმო-ჩინ-ებ-ა) --წარმო-ჩინ-ებ-ულ-ი ; ჩინ-დ- (წარმო-ჩინ-დ-ებ-ა) ; *ჩინ-არ- → [მ-ჩინ-არ-ი ; უ-ჩინ-არ-ი]]

3. -ჩან- → მ-ჩინ-არ-ი

გვაქვს კიდევ ერთი ფონეტიკური ვარიანტი იმავე ფუძისა: -ჩნ- (იხ: ჩნ-დ-ებ-ა — გამო-ჩნ-დ-ა), მაგრამ ნაზმნარი სახელი ამ ფუძისგან არ იწარმოება.

ზემოხსენებულ სქემაზე დამოწმებული ერთი ფაქტი სპეციალურად საჭიროებს ყურადღების გამახვილებას: მ-ჩინ-არ-ი მიმღეობა ორ ზმნურ (-ჩინ- და -ჩან-) ფუძეს ამოუდგა გვერდით. რატომ? მიზეზი ამისა ფორმისა და ფუნქციის დაცილებაში უნდა ვეძიოთ:

ა) ჩან-ს—მ-ჩინ-არ-ი ფორმები ფუნქციურად უკავშირდებიან ერთმანეთს, ე. ი. აქ ფუნქციური დეტერმინიზმი ყოფილა დამოწმებული;

ბ) -ჩინ- (ა-ჩინ-ა)—მ-ჩინ-არ-ი ფორმები კი წმინდა ფორმობრივ მიმართებას ამყარებენ ერთმანეთთან, ანუ: აქ ფორმობრივ დეტერმინიზმთან გვქონია საქმე.

ამრიგად, ფორმობრივ ნამყო ძირითადის ა-ჩინ-ა ფორმაში დამოწმებული ფუძე ხდება ამოსავალი იმ მიმღეობისათვის, რომელიც ფუნქციურად სტატიკური ზმნის შესატყვის მიმღეობად ივარაუდება. რა თქმა უნდა, დინამიკური ზმნის ნამყო ძირითადის ფუძე უშუალოდ ვერ დაედება საფუძვლად სტატიკური ზმნის ფუნქციურად შესატყვის მიმღეობას, გამაშუალებელ საფეხურად აქ ივარაუდება ჩინ-ს ფორმა (ჩან-ს ფორმის ზუსტი ფუნქციური ეკვივალენტი), რომელიც ხევსურულში რეალურადაა დამოწმებული ([142], 164—165), ხოლო სხვა დიალექტებსა და სალიტერატურო ქართულში ფარული ფუძის სახით წარმოგვიდგება:

აწმყო: ა-ჩენ-ს

ნამყო ძირითადი: ა-ჩინ-ა—სტატიკ. აწმყო: ჩინ-ს—

—მიმღეობა: მ-ჩინ-არ-ი.

მთელი ეს მსჯელობა ფუჭად ჩაივლის, თუკი არ დამტკიცდა, რომ მ-ჩინ-არ-ი/მო-ჩინ-არ-ი ფორმებში -ჩინ- ფუძე დინამიკური ზმნის ნამყო ძირითადიდან მომდინარეობს (გაშუალებულია სტატიკური ზმნის აწმყოს ფორმით) და არ წარმოადგენს -არ სუფიქსის გავლენით თვით ამ მიმღეობურ ფორმაში ფონეტიკურად ცვლილ მონაცემს (ვთქვათ, ასე: ა-ჩენ-ს—*მ-ჩენ-არ-ი—მ-ჩინ-არ-ი, რედუქციის გზით).

მართლაც, რამდენიმე ნიმუში აშკარად დაგვარწმუნებს, რომ ფონეტიკურად მოსალოდნელ პოზიციაში ცვლილება არ ხდება და წარმოებული ფორმის ფონეტიკური იერ-სახე მთლიანად დამოკიდებულია ამოსავალი ფუძის გახმოვანებაზე:

კბენ-ს (შდრ.: უ-კბინ-ა)—მ-კბენ-არ-ი
ს-დევ-ს (ს-დი-ა)—მ-დევ-არ-ი
ა-ქნევ-ს (ა-ქნი-ა)—მ-ქნევ-არ-ი
კვნეტ-ს (კვნიტ-ა)—მ-კვნეტ-არ-ი
თვლემ-ს (თვლიმ-ა) —მ-თვლემ-არ-ე
დრეკ-ს (დრიკ-ა)—მო-დრეკ-ი/მო-დრეკ-ილ-ი
რქენ-ს (უ-რქინ-ა)—მო-რქენ-ალ-ი (←*მორქენ-არ-ი)
ი-რბენ-ს (ი-რბინ-ა)—მო-რბენ-ალ-ი(←*მორბენ-არ-ი)
ა-რჩენ-ს (ა-რჩინ-ა)—მ-ა-რჩენ-ალ-ი (←*მარჩენ-არ-ი).

ყველა შემთხვევაში ამოსავალია I სერიის ფუძე (-ე- გახმოვანებით) და მიმღეობას იგი ზუსტად, ყოველგვარი ცვლილების გარეშე აქვს დაცული, თუმცა ფონეტიკური გარემოცვა ისეთია, რომ გრამატიკული ღირებულების ამკრძალავი გავლენა რომ არა, ცვლილება სავსებით დასაშვები იქნებოდა. ამიტომაც უ-კბინ-ა, ს-დი/ვ/-ა, თვლიმ-ა, ა-რჩინ-ა, დრიკ-ა ტიპის ფორმებში მომხდარ ფონეტიკურ ცვლილებას (რედუქციას: ე→ი) მარტოოდენ ფონეტიკურ ზეგავლენას ვერ დავაკისრებთ: ფონეტიკური გარემოცვა ამ ცვლილების შესაძლებლობას ქმნიდა, მაგრამ იმავდროულად ამ ცვლილებისათვის ხელსაყრელი გრამატიკული პირობაც უნდა ვივარაუდოთ აქ, ცვლილებისათვის ხელშემწყობი ფუნქციური ნიადაგის არსებობა. ამისდა კვალობაზე, ფორმებში: მ-ზირ-ალ-ი (←*მ-ზირ-არ-ი), მ-დინ-არ-ი, მ-ჩინ-არ-ი ამოსავლად II სერიის ფუძე უნდა ვივარაუდოთ, მით უმეტეს, რომ გვაქვს სა-მზერ-ელ-ი, დენ-ილ-ი||მ-დენ-ელ-ი, მ-ჩენ-ელ-ი||გამო-ჩენ-ილ-ი ფორმები, სადაც მიუხედავად ფონეტიკურად ხელსაყრელი გარემოცვისა, ფუძე მაინც უცვლელია, -ე- გახმოვანებითაა წარმოდგენილი იმიტომ, რომ ამ ფორმებისათვის I სერიის ფუძეა საყრდენი. მაშასადამე, კიდევ ერთხელ დავადასტურეთ ენაში არსებული წესი: მორფოლოგიური სისტემის ზეგავლენის ძალა იმოდენია, რომ ამის გამო ხდება ფონეტიკური მოთხოვნის უგულვებელყოფა. იქ, სადაც ფონეტიკური ცვლილება ხდება, ეს ცვლილება მორფოლოგიურადაც „ნებადართულია“.

მ-ჩინ-არ-ი ტიპის ფორმებისათვის რომ მართლაც II სერიის ფუძეა ამოსავალი და რომ ფონეტიკური ცვლილება თვით ამ მიმღეობაში არ ხდება, ამას ისეთი წარმოებაც დაადასტურებს, სადაც ცვლილები-

სათვის ხელშემწყობი ფონეტიკური გარემოცვა არა გვაქვს და ფუძე კი მაინც -ი- გახმოვანებით არის წარმოდგენილი:

ა-ჩენ-ს — ა-ჩინ-ა→ჩინ-ი
ცქვეტ-ს — ცქვიტ-ა→ცქვიტ-ი
კვნეტ-ს — კვნიტ-ა→კვნიტ-ი
ჩხერ-ს — ჩხირ-ა→ჩხირ-ი
უ-მზერ-ს — უ-მზირ-ა→მზირ-ი
ა-ლხენ-ს — ა-ლხინ-ა→ლხინ-ი
წმედ-ს — წმიდ-ა→წმიდ-ა ([107], 232; [103], 312).

მაშასადამე, ქართულში გვქონია შესაძლებლობა ნაზმნარი სახელის წარმოებისა როგორც პირველი, ასევე მეორე სერიის ფუძისაგან.

XVII

ნაზმნარი სახელისათვის, განსაკუთრებით კი ეს ითქმის მასდარსა და მიმღეობაზე, ქართულში, როგორც წესი, ამოსავალი ზმნის I სერიის ფუძეა საყრდენი. რამდენიმე ნიმუში.

ა) ა-კეთ-ებ-ს — გა-ა-კეთ-ა, აწმყოს ფუძეა: კეთ-ებ-, რომელიც თანამიმდევრულად წარმოჩნდება მასდარსა და მიმღეობის ყველა ფორმაში: კეთ-ებ-ა; გა-კეთ-ებ-ულ-ი, გა-სა-კეთ-ებ-ელ-ი, გა-მ-კეთ-ებ-ელ-ი, გა-უ-კეთ-ებ-ელ-ი.

ბ) ზრდ-ი-ს — გა-ზარდ-ა, აწმყოს ფუძეა: ზრდ-, რომელზედაც აიგება მასდარისა და მიმღეობის ფორმები: ზრდ-ა, ზრდ-ილ-ი, მ-ზრდ-ელ-ი და ა. შ.

გ) მალ-ავ-ს — და-მალ-ა, აწმყოს ფუძეა მალ-ავ-, რომელიც ასევე საყრდენია ნაზმნარ სახელთა მთელი სისტემისათვის: მალ-ვ-ა, ნა-მალ--ავ-ი||ნა-მალ-ევ-ი, სა-მალ-ავ-ი||სა-მალ-ევ-ი და ა. შ.

ეს ფაქტი საკმაოდ კარგადაა ცნობილი სპეციალური ლიტერატურიდან.

მაგრამ ქართულში გვაქვს აშკარა ნიშნები იმისა, რომ ნაზმნარ სახელთა წარმოებისას ასევე აქტიური იყო II სერიის ფუძეც. ჯერ ერთი, ეს ნათლად მტკიცდება ფუძემონაცვლე ზმნათა მაგალითზე, სადაც შეუძლებელია ეჭვის შეტანა, რომ სწორედ II სერიის (კერძოდ, ნამყო ძირითადის) ფუძეა ამოსავალი ნაზმნარი სახელისათვის:

ზი-ს —ჯდ-ა/ი-ჯდ-ა→ჯდ-ომ-ა→მ-ჯდომ-არ-ე.

არის სხვა ეჭვმიუტანელი მაგალითებიც:
სჯ-ი-ს — საჯ-ა→მ-საჯ-ულ-ი (შდრ.: სჯ-ა, I სერიის ფუძით)
ზრდ-ი-ს — ზარდ-ა→მ-ზარდ-ულ-ი

წარმოება ძველია ([128], 571), მ-ზარდ-ულ-ი ფორმა ახლა აღარც გვხვდება, მაგრამ დამოწმებულია მრავალთაგან მრავალი ფორმა, რომლებშიც II სერიის ფუძე თანამიმდევრულადაა გამოყენებული:

ტფ-ებ-ი-ს —გან-ტფ-ა→გან-მ-ტფ-არ-ი (ახლა: გა-მ-თბ-არ-ი)
ლბ-ებ-ა — და-ლბ-ა→და-მ-ბ-ალ-ი (←*და-მ-ლბ-არ-ი, იხ. [128], 525—526).

ტკბ-ებ-ა — და-ტკბ-ა→და-მ-ტკბ-არ-ი
დგ-ებ-ა — ა-დგ-ა →ა-მ-დგ-არ-ი
ჯდ-ებ-ა — და-ჯდ-ა →და-მ-ჯდ-არ-ი

ასევე:

ცვდ-ებ-ა — გა-ცვდ-ა→გა-მ-ცვდ-არ-ი (შდრ.: ცვეთ-ს)
წყდ-ებ-ა — გა-წყდ-ა→გა-მ-წყდ-არ-ი (შდრ.: წყვეტ-ს).

ამ შემთხვევაში აღნიშნულიცაა, რომ „სხვა მიმღეობის ფორმათაგან განსხვავებით, მარტივი ფუძისგანაა ნაწარმოები“ ეს ფორმები ([128], 576), „მარტივი ფუძისგან“, ე. ი. II სერიის ფუძისგან. რა თქმა უნდა, აქ -არ სუფიქსის საკითხიც დადგება, რომელიც ზემოთ ზმნური ფუძის შემადგენელ ელემენტად იქნა მიჩნეული, ამიტომაც ტფ-არ-, დგ-არ-, წყდ-არ- ფუძეების მიმართ ყველაფერი გარკვეულად და დადგენილად არ შეიძლება ჩაითვალოს.

მიმღეობური ფორმები, სადაც II სერიის ფუძის გამოყენება საყრდენად არავითარ ეჭვს არ იწვევს, ფუძეკუმშვად ზმნათა ფორმობრივ სისტემაში შემოდის:

ვ-ცრ-ი — გა-ვ-ცერ-/ი/→სა-ცერ-ი
‖გა-ვ-ცარ-/ი/→ნა-ცარ-ი
ვ-ჭრ-ი — გა-ვ-ჭერ-/ი/→ნა-ჭერ-ი
‖გა-ვ-ჭარ-/ი/→ნა-ჭარ-ი (დამოწმებულია „ვეფხისტყაოსანში“: გარდმო-ნა-ჭარ-ნ-ი, ნა-ჭარ-ნ-ი, სტროფი 1031 ₃,₄).

ვ-ყრ-ი — და-ვ-ყარ-ე→ნა-ყარ-ი
ვ-შლ-ი — გა-ვ-შალ-ე→ნა-შალ-ი
ვ-გვ-ი — და-ვ-გავ-ე→ნა-გავ-ი
ვ-ზრდ-ი — გა-ვ-ზარდ-ე→ნა-ზარდ-ი
ვ-თხრ-ი — გა-ვ-თხარ-ე→ნა-თხარ-ი
ვ-ცდ-ი — ვ-ცად-ე→ნა-ცად-ი
ვ-მყნ-ი — და-ვ-მყენ-/ი/→ნა-მყენ-ი
ვ-ფშვნ-ი — და-ვ-ფშვენ-/ი/→ნა-ფშვენ-ი და მისთ.

ვერ ვიტყვით, რომ ნა- და სა- პრეფიქსიანი ყველა ფორმა სწორედ ამგვარ ვითარებას გვიჩვენებს. მრავლისაგან მრავალ შემთხვევაში ამ

პრეფიქსებთანაც I სერიის ფუძეა საყრდენად აღებული. ამასაც ფუძემონაცვლე ზმნები ააშკარავებენ, სადაც პირველი და მეორე სერიების ფუძეები ყოველგვარი კვლევითი ჩარევის გარეშეც ნათლად განსხვავებულია:

დრეკ-ს — დრიკ-ა, მაგრამ: ნა-დრეკ-ი, სა-დრეკ-ი
(გამოყენებულია I სერიის ფუძე)

გრეხ-ს — გრიხ-ა, მაგრამ: ნა-გრეხ-ი, სა-გრეხ-ი
გლეჯ-ს — გლიჯ-ა, „ ნა-გლეჯ-ი, სა-გლეჯ-ი
ხვრეტ-ს—ხვრიტ-ა, „ ნა-ხვრეტ-ი, სა-ხვრეტ-ი
ი-ჭერ-ს — და-ი-ჭირ-ა, „ და-სა-ჭერ-ი და ა. შ.

იმ მიმღეობურ ფორმებთან დაკავშირებით, რომელთა ამოსავლად II სერიის ფუძეს ვეარაუდობთ, ერთი საკითხიც დაგვრჩება გასარკვევი: იქნებ ამ შემთხვევაში პირველი ან მეორე სერიის ფუძეზე კი არ უნდა ვილაპარაკოთ, არამედ საერთოდ ფუძეზე, რომელიც ხსენებულ ფორმებში უკუმშველადაა წარმოდგენილი მხოლოდ იმიტომ, რომ სუფიქსი არ დაერთვის, ე. ი. კუმშვის გამომწვევი გარემოცვა არ არის. ანუ: ეს ფუძე იმიტომ კი არ არის შეუკუმშავად წარმოდგენილი, რომ II სერიის ზმნური ფუძეა მისთვის საყრდენი, არამედ იმიტომ, რომ I სერიაშივე -ი სუფიქსი (ცრ-ი-ს, ცრ-ი-ს, ყრ-ი-ს) ჩამოსცილდა და უსუფიქსოდ დარჩენილმა ფუძემ სრულხმოვნობა აღიდგინა.

არა, ასეთი ვარაუდი უმართებულოა. თუ რატომ, ამას თავისი პასუხი მოეპოვება.

ქართულში დამოწმებულია ფორმები, სადაც იქმნება შთაბეჭდილება იმისა, რომ ფუძის კუმშვას სუფიქსების ანალოგიურად იწვევენ პრეფიქსებიც. ვ. თოფურია აღნიშნავდა: ფუძის კუმშვაზე „პრეფიქსიც რომ მოქმედებდა ქართულში, ეს ჩანს მცირე, მაგრამ უდავო ფაქტებიდან; მაგალითად, ჯამ-ს→უ-ჯმ-ს, ქამ→ი-ქმ, ჩანს/ჩას→უ-ჩნ-ს, ძეს→ →უ-ძ-ს... ეტყობა, თავსართიც კუმშავდა ფუძეს“ ([108], 82—83). ასეთ ვითარებაში ჩვენთვის საინტერესო პრეფიქსების მარედუცირებელი ძალაც წარმოჩნდება ზოგჯერ: აბჯარ-ი→ნა-აბჯრ-ი, არამ-ი→ნა-არმ-ი, ვახშამ-ი→ნა-ვახშმ-ი, თარგმან-ი →ნა-თარგმნ-ი..., სადაც ფუძისეული ხმოვნის დაკარგვა პრეფიქსის ზემოქმედების შედეგად ივარაუდება ([104], 23). ასე რომ, თუკი ნა-ზარდ-ი, ნა-ჭერ-ი ტიპის ფორმებში ფუძე იმთავითვე დეტერმინირებული არ იქნებოდა გარკვეული ზმნური ფუძით, მაშინ ყველა პირობა აღმოგვაჩნდებოდა იმისთვის, რომ სუფიქსის დაურთველადაც შეკუმშულიყო ფუძე და შეკუმშულიყო იგი პრეფიქსის გავლენით.

მორფოლოგიური სისტემის გამვლენელ ძალაზე ზემოთაც გვქონდა საუბარი. ახლა სხვა ასპექტით დაგვჭირდება იმავეს განმეორება. სუ-

ფიქსის დართვა-დაურთველობა რომ წყვეტდეს საკითხს და არა ამოსავალი ფუძის მიერ დეტერმინირება, მაშინ ყველა შემთხვევაში, როცა ხსენებულ ფორმებში სუფიქსი წარმოჩნდება, ისევ და ისევ შეკუმშული ფუძე უნდა იყოს წარმოდგენილი. სინამდვილეში კი ასე არ ხდება:

ღვრ-ი-ს — და-ღვარ-ა და: ნა-ღვარ-ი/ნა-ღვარ-ევ-ი
ზრდ-ი-ს — გა-ზარდ-ა და: ნა-ზარდ-ი/ნა-ზარდ-ევ-ი
ცვლ-ი-ს — ცვალ-ა და: ნა-ცვალ-ი/ნა-ცვალ-ევ-ი

ხოლო თუკი გვაქვს: ნა-ფშენ-ევ-ი (შდრ.: ნა-ფშვენ-ი) და მისთანა ფორმები, ეს იმიტომ, რომ აქ, ამ შემთხვევაში I სერიის შეკუმშული ფუძეა ამოსავალი.

ამისდა კვალობაზე, ნა-ღვარ-ევ-ი, ნა-ზარდ-ევ-ი ტიპის ფორმები უკუმშველია არა იმიტომ, რომ აქ სუფიქსს კუმშვის გამოწვევის უნარი არა აქვს, ანდა თითქოს ეს ფუძეები იყვნენ თავისი ბუნებით უკუმშველნი, არამედ იმიტომ, რომ მორფოლოგიური სისტემითაა ასე შეპირობებული. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ და-ღვრ-ილ-ი, გა-ზრდ-ილ-ი ტიპის ფორმებში ფუძე იმიტომ კი არ არის შეკუმშული, რომ კუმშვის გამოწვევის უნარის მქონე სუფიქსი (-ილ) დაერთვის, არამედ იმიტომ, რომ ამ სისტემისათვის I სერიის შეკუმშული ფუძეა (ღვრ-ი-ს, ზრდ-ი-ს) ამოსავალი და სწორედ იგი განიცდის „მიგრაციას“ ხსენებული სისტემის შემადგენელ ფორმებში.

ნათქვამი სრულიად არ გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ სუფიქსებს (და ჩანს, პრეფიქსებსაც) შესწევთ კუმშვის გამოწვევა და კუმშავენ კიდეც ფუძეს, მაგრამ უთუოდ უნდა განირჩეს ის შემთხვევები, როცა უშუალოდ სუფიქსი კუმშავს ფუძეს და როცა მზამზარეულად აღებულ შეკუმშულ ფუძეს მიერთვის იგი. ერთი და იგივე სუფიქსი ერთ სისტემაში შეიძლება კუმშავდეს ფუძეს, მეორე სისტემაში კი უკვე საყრდენად აღებულ შეკუმშულ ფუძეს მიერთოდეს, ისევე, როგორც ერთი და იგივე სუფიქსი ერთ სისტემაში შეიძლება კუმშავდეს ფუძეს, მეორე შემთხვევაში კი სავსებით ანალოგიურ პოზიციაში სავსებით შეზღუდული იყოს ამ თვალსაზრისით; მაგალითად, -ავ თემის ნიშანი, რომელიც კუმშავს -კალ-, -ძარ-, -კარ- ხმნურ ფუძეებს: ვ-კლ-ავ, და-ვ-ძარ-/ი/ — ვ-ძრ-ავ, შე-ვ-კარ-/ი/ — ვ-კრ-ავ, ამ შესაძლებლობას მოკლებულია -ღალ-, -შალ-, -თვალ-, -წვართ- ფუძეებზე მირთვისას: ღალ-ავ-ს, შალ-ავ-ს (ძველ ქართულში დამოწმებული ფუძეა, იხ.: ([113], 49), გა-თვალ-ავ-ს, წვართ-ავ-ს; თუმცა თავისთავად ეს ფუძეები სხვაგვარი წარმოებისას — ყველა კუმშვადია: ღლ-ი-ს, შლ-ი-ს, თვლ-ი-ს, წვრთ-ი-ს||წვრთ-ნ-ი-ს ([128], 394). დავსძენთ, რომ ღლ-ი-ს და ღალ-ავ-ს, შლ-ი-ს და შალ-ავ-ს ერთი და იმავე ლექსიკური მნიშვნელობის მქონენი არიან, ხოლო თვლ-ი-ს და თვალ-ავ-ს, წვრთ-ნ-ი-ს და წვართ-ავ-ს

ლექსიკურ სხვაობას იძლევიან. ბუნებრივია, თუ ვივარაუდებთ, რომ უკუმშველობის ერთადერთი მიზეზი აქ მორფოლოგიური სისტემაა, რომლისთვისაც ამოსავალი სწორედ უკუმშველი ფუძეა.

იმის შესაძლებლობა, რომ მიმღეობა (და, საერთოდ, ნაზმნარი სახელი) ამოსავლად ნამყო ძირითადის ფუძეს იღებდეს, ქართული ზმნური ფორმების ჩამოყალიბების ისტორიითაც უნდა იყოს შეპირობებული. ცნობილია, რომ „ნამყო ძირითადის ფუძე (დინამიკურ ზმნათა) ისევე, როგორც აწმყო (სტატიკურ ზმნათა) ყველაზე ძველია წარმოშობით, და ყველაზე მარტივი — შედგენილობით“ ([135], 513; იხ. აგრეთვე: [133], 110—111). ამიტომაც „აწმყოს ფუძის გამოყენება მიმღეობის საწარმოებლად შედარებით ახალი ვითარების ამსახველია, კერძოდ, აწმყოს წყების დრო-კილოთა ჩამოყალიბების შემდეგდროინდელი“ ([120], 201). ნაზმნარ სახელთა უძველესი ფორმები სწორედ ნამყო ძირითადის ფუძეს იღებდნენ საყრდენად:

გან-ტფ-ა→ტფ-ილ-ი (თბ-ილ-ი, შდრ. აწმყო: ტფ-ებ-ი-ს)
და-ცხ-ა→ცხ-ელ-ი (აწმყო: ცხ-ებ-ა, ძველი: ცხ-ებ-ი-ს)
გან-ჯმ-ა→ჯმ-ელ-ი (აწმყო: ჯმ-ებ-ი-ს, ახალი: ხმ-ებ-ა)

წარმოების ეს უძველესი პრინციპი დღემდე შემორჩა ენას და ახალი ფორმაციის ზმნებზეც გავრცელდა. დამოწმებულია პარალელურად ხმარებული მიმღეობები, რომლებიც სწორედ ამოსავალი ფუძით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: ერთი ნაწილისათვის საყრდენია I სერიის, ხოლო მეორე ნაწილისათვის — II სერიის ფუძე: და-ნა-ბად--ებ-ი — და-ნა-ბად-ი, ნა-ღობ-ავ-ი — ნა-ღობ-ი, ნა-კეთ-ებ-ი — ნა-კეთ-ი, ნა-შენ-ებ-ი — ნა-შენ-ი, სა-ზარ-ავ-ი — სა-ზარ-ი, სა-ფარ-ავ-ი — სა--ფარ-ი ([121], 46).

ამგვარი პარალელური ფორმები სხვა მიმღეობურ მაწარმოებლებთანაც გვხვდება:

ა-ვს-ებ-ს→ა-ვს-ებ-ულ-ი, მაგრამ: ა-ა-ვს-ო→ა-ვს-ილ-ი
ტოვ-ებ-ს→და-ტოვ-ებ-ულ-ი, მაგრამ და-ტოვ-ა→და-ტოვ-ილ-ი

ზოგჯერ ნაირგვარი ფუძისგან წარმოება იმთავითვე ფუნქციური დაპირისპირების ცდას ვარაუდობს. ასე, მაგალითად, მოქმედებითი და ე. წ. „საშუალი“ გვარის ფორმათაგან მიმღეობის წარმოებისას:

ა-თამაშ-ებ-ს→ნა-თამაშ-ებ-ი, მაგრამ: თამაშ-ობ-ს — ი-თამაშ-ა→ →ნა-თამაშ-ი/ნა-თამაშ-ევ-ი;

ა-ლაპარაკ-ებ-ს→ნა-ლაპარაკ-ებ-ი; მაგრამ: ლაპარაკ-ობ-ს — ი-ლაპარაკ-ა→ნა-ლაპარაკ-ი/ნა-ლაპარაკ-ევ-ი;

ა-წვალ-ებ-ს→ნა-წვალ-ებ-ი, მაგრამ: წვალ-ობ-ს — ი-წვალ-ა→ნა--წვალ-ი/ნა-წვალ-ევ-ი;

რიგ შემთხვევაში „საშუალს“ მხოლოდ ნა—ევ კონფიქსიანი წარმოება შეესატყვისება:

ა-ჩქარ-ებ-ს→ნა-ჩქარ-ებ-ი, მაგრამ: ჩქარ-ობ-ს — ი-ჩქარ-ა→ნა-ჩქარ-ევ-ი;

ა-მარხულ-ებ-ს→ნა-მარხულ-ებ-ი, მაგრამ: მარხულ-ობ-ს — ი-მარხულ-ა→ნა-მარხულ-ევ-ი.

ზოგჯერ ერთმანეთს ენაცვლება „საშუალის“ ფარდ მიმღეობებში ნა -ევ და ნა -არ კონფიქსური წარმოება:

უ-ალერს-ებ-ს→ნა-ალერს-ებ-ი, მაგრამ: ალერს-ობ-ს — ი-ალერს-ა →ნა-ალერს-ევ-ი||ნა-ალერს-ალ-ი (←*ნა-ალერს-არ-ი);

ა-ეშმაკ-ებ-ს→ნა-ეშმაკ-ებ-ი, მაგრამ: ეშმაკ-ობ-ს — ი-ეშმაკ-ა→ნა-ეშმაკ-ევ-ი||ნა-ეშმაკ-არ-ი;

ა-შიმშილ-ებ-ს→ნა-შიმშილ-ებ-ი, მაგრამ: შიმშილ-ობ-ს — ი-შიმშილ-ა→ნა-შიმშილ-ევ-ი||ნა-შიმშილ-არ-ი.

ა-ცოდვილ-ებ-ს→ნა-ცოდვილ-ებ-ი, მაგრამ: ცოდვილ-ობ-ს — ი-ცოდვილ-ა→ნა-ცოდვილ-ევ-ი||ნა-ცოდვილ-არ-ი.

აქ იმავე რიგის დაპირისპირებასთან უნდა გვქონდეს საქმე, როგორსაც ენა მიმართავს თურმეობითებში, როცა მოქმედებითისა და „საშუალის“ განსასხვავებლად შესაბამისად I ან II სერიის ფუძეებს იყენებს:

აწმყო:	ა-თამაშ-ებ-ს	თამაშ-ობ-ს
ნამყო ძირით.:	ა-თამაშ-ა	ი-თამაშ-ა
I თურმეობითი:	უ-თამაშე-ებ-ი-ა	უ-თამაშ-/ნ/-ი-ა

ამრიგად, ნა—ებ და ნა—ევ კონფიქსური წარმოებებით ენამ ფუნქციური დაპირისპირება მოახდინა ერთი ტიპის ფორმებში (შდრ.: [105], 142). ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სხვა შემთხვევებში ამგვარ წარმოებას არაფერი აქვს საერთო ხსენებული პრინციპით დაპირისპირებასთან: II სერიის ფუძეს საყრდენად იღებს ზოგი მოქმედებითი გვარის ზმნაც: ა-ვს-ებ-ს — ა-ა-ვს-ო→ა-უ-ვს-ი-ა, ა-ღ-ე-ბ-ს — გა-ა-ღ-ო→გა-უ-ღ-ი-ა, ა-ქ-ებ-ს — ა-ქ-ო→უ-ქ-ი-ა და ა. შ. იმავე ფუძეს ემყარებიან ყოველგვარი დაპირისპირების გარეშე მიმღეობებიც: ცვლ-ი-ს — ცვალ-ა→ნა-ცვალ-ი, ყრ-ი-ს — გადა-ყარ-ა→ნა-ყარ-ი და სხვანი. ეს ხდება მაშინ, როცა შესაბამის „საშუალ“ ფორმებთან დაპირისპირება არ ივარაუდება.

აქ ერთი საკითხიც საჭიროებს პასუხის გაცემას.

გვაქვს პარალელური წარმოება:

ბარ-ავ-ს→ნა-ბარ-ავ-ი, მაგრამ: და-ბარ-ა→ნა-ბარ-ი

ხატ-ავ-ს→ნა-ხატ-ავ-ი, მაგრამ: და-ხატ-ა→ნა-ხატ-ი

ხაზ-ავ-ს→ნა-ხაზ-ავ-ი, მაგრამ: და-ხაზ-ა→ნა-ხაზ-ი და ა. შ.

ყველა ამ შემთხვევაში ნასახელარ ზმნებთან გვაქვს საქმე. იქნებ გვეევარაუდა, რომ ზმნური ფორმაც და მიმღეობური ფორმაც, ორივე, საყრდენად იღებს სახელის ფუძეს, ე. ი. ვივარაუდოთ არა ასეთი მიმართება: ბარ-ი→ბარ-ავ-ს — და-ბარ-ა→ნა-ბარ-ი, არამედ ასეთი:

$$\text{ბარ-ი} \rightarrow \begin{cases} \text{ბარ-ავ-ს} — \text{და-ბარ-ა} \\ \text{ნა-ბარ-ი} \end{cases}$$

მით უმეტეს, რომ ქართულში გვაქვს ე. წ. წინავითარების აღმნიშვნელი სახელები ტიპისა: ნა-ქალაქ-ევ-ი/ნა-ქალაქ-არ-ი.

მაგრამ არა! ჩვენს შემთხვევაში ასეთი რამ გამორიცხულია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ „წინავითარების სახელებში“, როგორც წესი, აუცილებელია სუფიქსი. გარდა ამისა (და ეს მთავარია!), თვით მიმღეობის ფუძე სემანტიკურად უკავშირდება ზმნურ ფუძეს: ნა-ბარ-ი „ბარად ნამყოფს“ კი არ აღნიშნავს (რაც ასე იქნებოდა, ამოსავალი ფუძე სახელური რომ ყოფილიყო), არამედ „დაბარულს“, უშუალოდ გამოხატავს ბარ-ავ-ს ზმნით გადმოცემული მოქმედების შედეგს.

გაჩნდება ასეთი შეკითხვაც: ხომ შესაძლებელია სემანტიკურად ზმნას მიემართებოდეს, ანუ: ზმნასთან ქმნიდეს სემანტიკურ სისტემას, მაგრამ ფორმობრივ სახელთან ამყარებდეს მიმართებას, ანუ: სახელთან ქმნიდეს ფორმობრივ სისტემას. ასეთი რამ პრინციპულად შეუძლებელი არ არის, მაგრამ ამ შემთხვევაში რომ ეს ვარაუდიც არ მართლდება, ამაზე შემდეგი ფორმები მიგვითითებენ:

ა-კეთ-ებ-ს→ნა-კეთ-ებ-ი, მაგრამ: გა-ა-კეთ-ა→ნა-კეთ-ი
ტანჯ-ავ-ს→ნა-ტანჯ-ავ-ი, მაგრამ: ტანჯ-ა→ნა-ტანჯ-ი
ხახულ-ობ-ს→ X მაგრამ: ნახ-ა→ნა-ნახ-ი

შეუძლებელია, ნა-კეთ-ი, ნა-ტანჯ-ი, ნა-ნახ-ი მიმღეობები სახელადი ფუძეებისაგან მომდინარედ მივიჩნიოთ — ყველა მათგანი ზმნური ფუძეა. სწორედ ამ სისტემაში ექცევიან ნასახელარი ზმნებიც. შევნიშნავთ, რომ ამ სისტემაში შეიძლება მოექცეს რომელიმე ნასესხები ფუძისაგან წარმოებული ზმნაც. ეს ფუძე გამსესხებელ ენაში შესაძლოა სახელადი იყოს, მაგრამ თუკი ქართულში იგი მხოლოდ ზმნურ (ან ნაზმნარ) ფორმებში გვხვდება, რა თქმა უნდა, ქართულისათვის ისინი მხოლოდ და მხოლოდ ზმნურ ფუძეებად შეიძლება ჩაითვალოს. და ერთიც: სახელად ფუძეებთან მიმართების ეჭვი შეიძლება დაბადონ ნა-ბარ-ი, ნა-ხატ-ი ტიპის ფორმებმა, რაც შეეხება ნა-ბარ-ავ-ი, ნა-ხატ-ავ-ი ტიპის ფორმებს, აქ ყოველგვარი ეჭვის გარეშე ზმნურ ფუძეებთან გვაქვს საქმე.

ნამყო ძირითადის ფუძე საკმაოდ ხშირად მასდარებშიც არის საცნაური:

კრთ-ებ-ა —შე-კრთ-ა→კრთ-ომ-ა
წვდ-ებ-ა —მი-ს-წვდ-ა→წვდ-ომ-ა
ხტ-ებ-ა —შე-ხტ-ა→ხტ-ომ-ა

მაგრამ აქ ეს შესაძლოა მოჩვენებითი იყოს. ჯერ ერთი, არ არის გამორიცხული -ომ ფორმანტის თემის ნიშნურობა. გარდა ამისა, ამჯერად უფრო რეალურია საყრდენად „საშუალი" (სტატიკური) ფორმები ვივარაუდოთ, მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ ისეთ ზმნებს, რომელთაც კრთ-ებ-ა ტიპის ვნებითი საერთოდ არ მოეპოვება:

უ-ნდ-ა/უ-ნდ-ი-ს→ნდ-ომ-ა

ამავე რიგისაა -ოლ სუფიქსიანი მასდარებიც:

ი-ბრძვ-ი-ს→ბრძ-ოლ-ა
თრთ-ი-ს→თრთ-ოლ-ა
ქრ-ი-ს→ქრ-ოლ-ა

ამიტომაც ამის კვალობაზე ივარაუდება:

კრთ-ი-ს (და არა: კრთ-ებ-ა)→კრთ-ომ-ა
ხტ-ი-ს (და არა: ხტ-ებ-ა)→ხტ-ომ-ა

მაგრამ ამ პრინციპით აუხსნელი დაგვირჩება:

რჩ-ებ-ა — რჩ-ომ-ა
წვდ-ებ-ა — წვდ-ომ-ა
ძღ-ებ-ა — ძღ-ომ-ა,

რადგან ამ ტიპის ზმნებს არ მოეპოვებათ შესაბამისი „საშუალი" ფორმები.

ერთი რამ არის ფრიად საინტერესო და ასახსნელი ფაქტი: -ომ, -ოლ, ისევე როგორც -ოდ (უწყვეტლის) ფორმანტები, როგორც წესი, საყრდენ ფუძეში -ი ფორმანტის არსებობას ვარაუდობენ, რომელსაც ჩაენაცვლებიან ხოლმე:

ხტ-ი-ს→ხტ-ოდ-ა — ხტ-ომ-ა
ქრ-ი-ს→ქრ-ოდ-ა — ქრ-ოლ-ა
თრთ-ი-ს→თრთ-ოდ-ა — თრთ-ოლ-ა
კრთ-ი-ს→კრთ-ოდ-ა — კრთ-ომ-ა — კრთ-ოლ-ა

(შდრ.: „ვეფხისტყაოსანში": „უთხრა: არ გიშლი, დიაცო, ფერთა მი-და-მო კრთოლასა"...).

აქვე დადგებოდა -ობ თემის ნიშნის საკითხიც.

რადგან ასეა, ერთადერთ რეალურად არსებულ -ი სუფიქსიან ფორმად ზოგიერთი ზემოხსენებული ზმნისთვის II ხოლმეობითი უნდა ვიგარაუდოთ: და-რჩ-ი-ს, მი-ს-წვდ-ი-ს, გა-ძღ-ი-ს. საკითხი დამატებით კვლევას საჭიროებს.

გვაქვს შემთხვევები, როცა ზმნასა და მიმღეობას შორის გამშუალებელ საფეხურად მასდარის ფორმა ივარაუდება:

გვაქვს: ჯდ-ებ-ა — და-ჯდ-ა→მ-ჯდ-არ-ი,

მაგრამ გვაქვს ასეც: ჯდ-ებ-ა — და-ჯდ-ი-ს→ჯდ-ომ-ა (მასდარი)→ →მ-ჯდ-ომ-ელ-ი (მიმღეობა).

საკმაოა ისეთი შემთხვევებიც, როცა მასდარი გამაშუალებელ საფეხურად გვევლინება ორ ზმნურ ფორმას შორის: ი-ბრძვ-ი-ს→ბრძ-ოლ-ა→ა-ბრძ-ოლ-ებ-ს, ხტ-ი-ს→ხტ-ომ-ა→ა-ხტ-ომ-ებ-ს. უკანასკნელი ფორმა ა-ხტ-უნ-ებ-ს ფორმის ფუნქციური ეკვივალენტია. ამასთან დაკავშირებით ხტ-უნ-, თბ-უნ- (თბ-უნ-ავ-ს) ფუძეთა საკითხიც დადგება...

მიმღეობისათვის ნაირგვარ ზმნურ ფუძეთა გამოყენების ვითარებაში გაჭირდებოდა, დამატებითი საბუთიანობის გარეშე, იმის თქმა, თუ რომელი სერიის ფუძეა ამოსავალი წერ-ს — და-წერ-ა, ჩეხ-ს — და-ჩეხ-ა ტიპის ერთთემიან ზმნათა შესატყვისი ნა-წერ-ი, ნა-ჩეხ-ი მიმღეობებისათვის. ვერც ნა-თიბ-ი, ნა-კვეთ-ი, ნა-ლეს-ი მიმღეობების მიმართ ვიტყვით დაბეჯითებით, რომ აქ II სერიის ფუძეა ამოსავალი, რადგან თანამედროვე ქართულში აწმყოში კი არის გავრცელებული თიბ-ავ-ს, კვეთ-ავ-ს, ლეს-ავ-ს ფორმები, მაგრამ უძველესი სახეობა: თიბ-ს, კვეთ-ს, ლეს-ს იმ ვარაუდსაც დასაშვებად ხდის, რომ ხსენებული ნა- პრეფიქსიანი მიმღეობებისათვის სწორედ აწმყოს ფუძეა საყრდენი. მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ფრინ-ავ-ს ტიპის ზმნათა შემთხვევებშიც აშკარად უძველესი აწმყოს ფუძეა ამოსავალი მიმღეობისათვის: ნა-ფრენ-ი←ფრენ-ს (შდრ. II სერიის ფუძე: ი-ფრინ-ა).

ერთ კითხვასაც უნდა გაეცეს პასუხი.

პარალელური ფორმების შემთხვევაში:

ნა-ბარ-ავ-ი — ნა-ბარ-ი
ნა-ხატ-ავ-ი — ნა-ხატ-ი
ნა-კეთ-ებ-ი — ნა-კეთ-ი
ნა-კერ-ებ-ი — ნა-კერ-ი
ნა-ფიც-ებ-ი — ნა-ფიც-ი

ხომ არ არის შესაძლებლობა იმის დაშვებისა, რომ ნა-ბარ-ი ტიპის ფორმები ცვეთის, შეკვეცის გზითაა მიღებული ნა-ბარ-ავ-ი ტიპის ფორმე-

ბისაგან? (და მაშინ სხვადასხვა სერიის ფუძეთა გამოყენების პრინციპი თავისთავად მოიხსნებოდა).

არა, ასეთი ვარაუდის შესაძლებლობა გამორიცხულია.

ჯერ ერთი, იმიტომ, რომ რამდენიმე შემთხვევაში ამ პრინციპით სხვადასხვა სტრუქტურის ზმნური ფუძე უპირისპირდება ერთმანეთს:

ა-კერ-ებ-ს—ნა-კერ-ებ-ი, მაგრამ კერ-ავ-ს — მო-კერ-ა—ნა-კერ-ი

ა-ფიც-ებ-ს—ნა-ფიც-ებ-ი, მაგრამ: ფიც-ავ-ს — ჰ-ფიც-ა—ნა-ფიც-ი

მეორეცაა და, ეს პრინციპი ზუსტად იმეორებს იმას, რაც სხვა ზმნათა შემთხვევაში დავადასტურეთ:

ცრ-ი-ს—სა-ცრ-ელ-ი, მაგრამ: გა-ვ-ცერ—სა-ცერ-ი

პირველი და მეორე სერიის ფუძეები აშკარად უპირისპირდებიან ერთმანეთს როგორც ზმნებში, ასევე მათგან ნაწარმოებ მიმღეობებშიც.

ამრიგად, ენაში არაფერი ხდება ისეთი, რაც ენობრივი სისტემით არ არის შეპირობებული, რის მიზეზიც სისტემის შემადგენელ ელემენტთა პოტენციაში არ დაიძებნება.

დასასრულ, ნა-აბანო-ებ-ი — ნა-აბანო-ევ-ი ტიპის მიმართებასაც უნდა შევეხოთ. მათ შორის ფუნქციური სხვაობა ივარაუდება. ამას კარგად ხედავდა სულხან-საბა ორბელიანი, რომელმაც თავის ლექსიკონში ასეთი განმარტება მისცა ამ ფორმებს:

ნა-აბანო-ებ-ი — „ბანებაქმნილი“

ნა-აბანო-ევ-ი — „აბანოყოფილი“.

აქ, ვფიქრობთ, ზოგიერთ შემთხვევაში ზმნური და სახელური ფუძეებიც უნდა იყოს დაპირისპირებული: *ი-აბანო-ებ-ს—ნა-აბანო-ებ-ი, მაგრამ: აბანო—ნა-აბანო-ევ-ი (ნა-ქალაქ-ევ-ი ყალიბის მიხედვით). შდრ. ამ თვალსაზრისით: ნა-ავაზაკ-ებ-ი — „ავაზაკობით შეძენილი, ავაზაკობით მოპოვებული“, მაგრამ: ნა-ავაზაკ-ევ-ი — „ყოფილი ავაზაკი, ავაზაკად ყოფილი“, ნა-ვაზირ-ებ-ი — „ნათათბირები, ნალაპარაკები, ნასაუბრები“, მაგრამ: ნა-ვაზირ-ევ-ი — „ყოფილი ვაზირი, ვაზირად ყოფილი“, ნა-სახლ-ებ-ი — „დასახლებული, ვინც დაასახლეს ან დასახლდა“, მაგრამ: ნა-სახლ-ევ-ი — „ადგილი, სადაც უწინ სახლი იყო, ან ყოფილი სახლი“ და სხვანი ([105], 149). ამ შემთხვევაში ნა-ევ კონფიქსით წარმოებას, რა თქმა უნდა, ვერ გავუთანაბრებთ ნა-თამაშ-ევ-ი ტიპის წარმოებას (სადაც ამოსაველად ზმნური ფუძე ივარაუდება) და იგი „წინავითარების სახელთა“ წარმოქმნას უნდა ამოვუყენოთ გვერდით.

XVIII

მიმღეობურ ფორმებში ზმნურ ფუძეთა მიგრაციის კვლევა იმითაც არის ღირებული, რომ მიმღეობებს, როგორც ითქვა, ხშირად ზმნური

ფუძეების უძველესი სახეობა აქვთ დაცული. იგივე ითქმის ზოგიერთი ტიპის მასდარზეც.

აი, მაგალითად, სპეციალურ ლიტერატურაში დამოწმებული რამდენიმე ნიმუში ამისა.

ცნობილია შემთხვევები, როცა ზმნური პრეფიქსები ნაზმნარ სახელებშიც არის გადასული:

ა-ვნ-ებ-ს→მ-ა-ვნ-ებ-ელ-ი
ა-ქ-ებ-ს→მ-ა-ქებ-არ-ი
ა-რგ-ებ-ს→მ-ა-რგ-ებ-ელ-ი
ა-უწყ-ებ-ს→მ-ა-უწყ-ებ-ელ-ი
ა-ძაგ-ებ-ს →მ-ა-ძაგ-ებ-ელ-ი
ა-წყენ-ს /ა-წყინ-ა→მ-ა-წყენ-არ-ი/მ-ა-წყინ-არ -ი
ა-ხსენ-ებ-ს→მ-ა-ხსენ-ებ-ელ-ი

ასეევ:

ე-თრევ-ა→მ-ე-თრევ-ი
ე-ტყვ-ს→მ-ე-ტყუ-ელ-ი (→მ-ე-ტყვ-ელ-ი)
ე-ძებ-ს→მ-ე-ძებ-არ-ი (მაგრამ: ძებ-ნ-ი-ს→მ-ძებ-ნ-ელ-ი).

მიმღეობებში დამოწმებული ხმოვნითი პრეფიქსები „უფუნქციო ფონეტიკურ დანართს არ წარმოადგენენ. კერძოდ, ნაზმნარ სახელებში მათ... ზმნური ფუძის პრეფიქსულ ხმოვნებთან უნდა ჰქონდეთ კავშირი“ ([132], 214). ანალოგიური ვარაუდით უდგებოდა ამ საკითხს გ. დეეტერსი ([150], 225). მიუხედავად გარკვეული დაბრკოლებებისა, „ეს ვარაუდი ბევრ შემთხვევაში მართლდება“ ([120], 189).

ეს ვარაუდი დაედო საფუძვლად მასდარის ჩვენების მიხედვით ზოგი ზმნური ფორმის აღდგენას:

ს-ი-ძვ-ა-ჲ←*ი-ძვ-ი-ს
ს-ი-ყმ-ი-ლ-ი←*ი-ყმ-ი-ს
ს-ი-ცბ-ი-ლ-ი←*ი-ცბ-ი-ს
ს-ი-შდვ-ი-ლ-ი←*ი-შდვ-ი-ს ([132], 226, 228)
ს-ი-რცხუ-ი-ლ-ი←*ი-რცხუ-ი-ს
ს-ი-მშ-ი-ლ-ი←*ი-მშ-ი-ს
ს-ი-კუდ-ი-ლ-ი←*ი-კუდ-ი-ს ([125], 259—260).

შემდეგ: მიმღეობებში დაცული -ევ სუფიქსი (ნა-მალ-ევ-ი, ნა-პარ--ევ-ი... სა-მალ-ევ-ი...) მაშინ, როცა საყრდენ ზმნაში -ავ გვაქვს (მალ--ავ-ს, პარ-ავ-ს...) იმის ერთ-ერთ საბუთად მიიჩნევა, რომ ზმნურ ფორმაშიც „-ევ სუფიქსი უნდა გვქონოდა იქ, სადაც -ავ სუფიქსი გვაქვს“ ([136], 128). ე. ი. ივარაუდება მალ-ევ-ს, პარ-ევ-ს ფორმათა პირველადობა.

სწორედ ზმნურ ფუძეთა ისტორიის თვალსაზრისითაა საინტერესო ნაზმნარ სახელთა შემდეგი ფორმები:

მო-კუდ-ავ-ი, შდრ.: კუდ-ებ-ი-ს
მ-შჯ-ავ-რ-ი, შდრ.: შჯ-ი-ს
მ-ხურ-ვ-ალ-ე, შდრ.: ხურ-ს
სა-კკრვ-ელ-ი, შდრ.: უ-კკრ-ს
მო-სურ-ვ-ე — მო-სურ-ნ-ე, შდრ.: სურ-ს — სურ-ის
მ-ტკივ-ნ-ე, შდრ.: ს-ტკივ-ი-ს/ს-ტკივ-ა

მიმღეობების ფუძეში წარმოჩენილი ელემენტები ზმნური ფუძის კუთვნილებად ივარაუდება: „მიმღეობებში მათი ადგილის მიხედვით ისინი ზმნის თემის ნიშნის ეკვივალენტად უნდა დავსახოთ". მიმღეობათა ამ ფორმების მიხედვით „შესაძლებელია აღვადგინოთ ზმნის ისეთი ფორმები, რომლებიც არა თუ დღეს, ძველ ქართულშიც არ დასტურდება", მაგალითად: *კუდ-ავ-ს, *კურ-ავ-ს, *სჯ-ავ-ს და სხვანი ([120], 206).

ეს საკითხი დაისმის არა მხოლოდ მიმღეობათა, არამედ მეორადი წარმოების ზმნათა მიმართაც. და მართლაც, შდრ.:

ს-წყურ-ი-ს (ს-წყურ-ი-ა)—ა-წყურ-ვ-ებ-ს (მასდარი: წყურ-ილ-ი /წყურ-ვ-ილ-ი, [122], 72).

ჭირ-ს—ა-ჭირ-ვ-ებ-ს (—გა-ჭირ-ვ-ებ-ულ-ი)
უ-კვირ-ს—ა-კვირ-ვ-ებ-ს (შდრ.: სა-კვირ-ვ-ელ-ი)
სურ-ი-ს (სურ-ს)—ა-სურ-ვ-ებ-ს (შდრ.: სასურ-ვ-ელ-ი)
ს-ტკივ-ი-ს (ს-ტკივ-ა)—ა-ტკივ-ნ-ებ-ს (შდრ.: ა-ტკივ-ნ-ა, [122], 76).

დასმულია კითხვა: „ს-ტკივ-ი-ს ფორმის პარალელურად ხომ არ უნდა ვივარაუდოთ *ს-ტკივ-ან ფორმა" ([122], 76). ჩანს, რომ უნდა ვივარაუდოთ! ამ თვალსაზრისს მ-ტკივ-ან-ი ტიპის მიმღეობებიც უნდა უჭერდნენ მხარს (იხ. ზემოთ).

ყურადღებას იპყრობს ამგვარი მიმართებაც: ფუძე—ა-ფუძ-ნ-ებ-ს, შდრ. მიმღეობური ფორმა: სა-ფუძ-ვ-ელ-ი.

ეს საკითხი უშუალოდ უკავშირდება ზმნურ ფუძეთა დეტერმინაციის პრობლემას. და ბოლოს, ჩანს, სურ- — სურ-ვ- (სურ-ვ-ილ-ი) — სურ-ნ- (მო-სურ-ნ-ე) ფუძეებს შორის განსხვავება შემთხვევითი არ არის, ფორმობრივი სხვაობა აქ უთუოდ ფუნქციურ დაპირისპირებასაც ვარაუდობდა. ზოგჯერ ასეთ დროს აშკარად წარმოჩნდება მისწრაფება ზმნური და სახელური ფუძეების დაპირისპირებისა, შდრ.:

თოე-ს, თოვ-ნ-ა, მაგრამ: თოვ-ლ-ი
წიხ-ნ-ა, მაგრამ: წიხ-ლ-ი

ანდა:

თეს-ს, მაგრამ: თეს-ლ-ი
წუხ-ს, მაგრამ: წუხ-რ- (მ-წუხ-რ-ი)

ბოლო ორ ფორმაში ზმნის ნულოვან მორფემას სრული მორფემა უპირისპირდება სახელურ ფორმაში.

ყურადღებას იპყრობს ამგვარი მიმართებაც:
ბურდ-ნ-ი-ს — ბურდ-ნ-ა, მაგრამ: ბურდ-ავ-ს→ბურდ-ვ-ა
ტყორც-ნ-ი-ს — ტყორც-ნ-ა, მაგრამ: ტყორც-ებ-ს→ტყორც-ებ-ა.

მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი დაპირისპირება თანამიმდევრულად არის გატარებული ქართულში. ყველა შემთხვევაში „გამონაკლისებს" ვადასტურებთ, რაც უფრო იმას მოწმობს, რომ ზემოხსენებული მაგალითები მხოლოდ და მხოლოდ კერძო შემთხვევაა რაღაც ზოგადი პრინციპისა, რისი დადგენაც ფორმანტების სპეციალური კვლევისას ივარაუდება. ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ ამგვარი წარმოების ზოგიერთ ფორმას უძველესი ფუძე აქვს დაცული: მაგალითად, შე-ხვედ-ი/მი-ხვედ-ი და: ხვედ-რ-ი, უკანასკნელ ფორმაში დამოწმებულ ხვედ- ფუძეს სხვა ფორმებში, ვერც ზმნურში და ვერც ნაზმნარში, ვეღარ ვადასტურებთ.

XIX

განვიხილეთ რამდენიმე შემთხვევა ზმნური ფუძეების მიგრაციისა ნაზმნარ სახელებში. არანაკლებ ყურადსაღებია ზმნური ფუძეების მიგრაცია მეორადი წარმოების ზმნურ ფორმებშივე. მაშასადამე, აქ იგულისხმება ნაზმნარი ზმნა, ანუ: როდესაც წარმოებული ზმნური ფორმისთვის ზმნურივე ფუძეა საყრდენი. ორიოდე მაგალითი ამისა ზემოთაც იყო მოტანილი, ამჯერად სპეციალურად შევეხებით ამ საკითხს.

უპირველესად აქ თვით უღვლილების პარადიგმებში ზმნურ ფუძეთა მიგრაცია-განაწილება იქცევს ყურადღებას. უდავო ფაქტია (და ეს საგანგებოდაც აღინიშნება), რომ უღვლილების პარადიგმები საყრდენი ფუძეების მიხედვით რამდენიმე ფორმობრივ დეტერმინირებულ ჯგუფს ქმნიან. საყრდენი ფუძის პრინციპი პარადიგმების წარმოების დროს ჯერ კიდევ დ. ჩუბინაშვილს შეუნიშნავს. მანვე გაარკვია, რომ აწმყოს ფუძისაგან იწარმოება უწყვეტელი („ქმნილი უსრული"), აწმყოს კავშირებითი და I თურმეობითი („ქმნილი უსრულესი"), ხოლო ნამყო ძირითადის („ქმნილი სრულის") ფუძისგან — II თურმეობითი („ქმნილი სრული" პირობითი, ანუ კავშირებითი კილოსი), II კავშირებითი („ქმნადი", ანუ მყოფადი პირობითი კილოსი) და III კავშირებითი („ქმნილი უსრულესი" პირობითი კილოსი). რა თქმა უნდა, დ. ჩუბინაშვილის მიერ შემოთავაზებული პრინციპი გარკვეულ ხარვეზებს შეიცავს, მარ-

თებული თვალსაზრისი ბოლომდე ვერ არის გატარებული, მაგრამ ფაქტია, რომ ეს არის ერთ-ერთი პირველი ცდა უღვლილების პარადიგმების დახასიათებაში მყარი ფორმობრივი კრიტერიუმის შემოტანისა ([138], XVI—XVII, § 27). ხსენებული პრინციპი, არსებითად ახლებური გააზრებით, საფუძვლად დაუდო ქართული ზმნის უღვლილების განხილვას ნ. მარმა (იხ.: [145] და [146]). ამჟამადაც ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ძირითადად სწორედ ეს პრინციპია გამოყენებული.

უღვლილების პარადიგმებში ფუძეთა მიგრაციის საფუძველზე შესაძლებლად მიიჩნევა ამ პარადიგმების გენეტური პირველადობა-შემდგომობის დადგენაც: ბუნებრივია, რომ I თურმეობითის ფუძე, რომელიც აწმყოს ან ნამყო ძირითადის ფუძეს იღებს საყრდენად, მივიჩნიოთ მეორეულ წარმონაქმნად იმავე აწმყოსა ან ნამყო ძირითადის ფუძეებთან შედარებით. მეტიც: ივარაუდება ისიც კი, რომ „თურმეობითი პირველის წარმოებაში უფრო ძველია ის ტიპი, როცა ამოსავლად ხოლმეობითის ფუძეა გამოყენებული, შედარებით უფრო ახალია აწმყოს ფუძისგან წარმოება... უ-წყ-ი-ე-ს — ძველი ტიპის წარმოებაა, უ-მზად-ებ-ი-ე-ს — ახალი ტიპისაა“ ([133], 95). არის რეალური მაგალითები იმისა, რომ წარმოების ეს ორი ტიპი ფუნქციური დაპირისპირების ცდად დავსახოთ, შდრ.: უ-ფლ-ი-ე-ს და უ-ფლ-ობ-ი-ე-ს ([133], 97). იმ ვარაუდის დაშვება, რომ გარდამავალი ზმნის ნამყო ძირითადის წყება უფრო ადრეულია, უფრო ძველია, ვინემ იმავე ზმნათა აწმყოს წყება, ([133], 110—111), იმთავითვე გულისხმობს აწმყოს წყების ფორმებისათვის ამოსავალი ფუძის ძიებას, რაც ისევ და ისევ უღელილების პარადიგმებში ფუძეთა მიგრაციის საკითხს უკავშირდება.

ანალოგიურად შეიძლება ვილაპარაკოთ უწყვეტლის, აწმყოს კავშირებითისა თუ II თურმეობითის ფუძეებზეც და ა. შ.

ზემოთ შესაძლებლობა გვქონდა აღგვენიშნა I თურმეობითში დამოწმებული პარალელური ფორმები და-უ-მალ-ავ-ს — და-უ-მალ-ი-ა ტიპისა, სადაც შესაბამისად გამოყენებულია პირველი და მეორე სერიების ფუძეები: მალ-ავ- და მალ-. გარკვეული ვარაუდიც გამოითქვა ამის თაობაზე. მაგრამ თურმეობითების თავისებურებანი ამით არ ამოიწურება. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის შემთხვევები, სადაც ერთმანეთს სცილდება ფუნქციური და ფორმობრივი მიმართებანი. ორპირიანი გარდაუვალი ზმნის პირველი და მეორე თურმეობითები, ბუნებრივია, ფუნქციურად იმავე ზმნის აწმყოსა და ნამყო ძირითადის ფორმებს მიემართებიან (ი-წერ-ებ-ა — და-ს-წერ-ი-ა — და-ს-წერ-ოდ-ა, უ-წითლ-დ-ებ-ა — გა-ს-წითლ-ებ-ი-ა — გა-ს-წითლ-ებ-ოდ-ა, უ-დნ-ებ-ა — გა-ს-დნ-ობ-ი-ა — გა-ს-დნ-ობ-ოდ-ა), მაგრამ ფორმობრივ სავსებით საპირისპირო ვითარებასთან გვაქვს საქმე: ამოსავალია

ან გარდამავალი ზმნის აწმყოს ფუძე (ე-დრიკ-ებ-ა, მაგრამ: გა-ს-დრეკ-ი-ა — გა-ს-დრეკ-ოდ-ა, საყრდენია დრეკ-ს გარდამავალი ზმნის აწმყოს ფუძე დრეკ-), ან შესაბამისი მასდარის ფუძე (წყდ-ებ-ა, მაგრამ: გა-ს-წყდ-ომ-ი-ა — გა-ს-წყდ-ომ-ოდ-ა, საყრდენია წყდ-ომ-ა მასდარის წყდ-ომ- ფუძე... ამის თაობაზე იხ. [137], 104—107; [123], 121 და შემდგ.).

ფუძეთა პარადიგმული მიმართებანი ქართულში მრავალ საკითხს აღძრავს ამა თუ იმ ფორმის სტრუქტურული სტატუსის გამო. მაგალითად, რომელიმე და-მ-ი-წერ-ი-ე-ს ფორმაში -ი და -ე სუფიქსები, ჩანს, სხვა პარადიგმებთან გარკვეულ გენეტურ კავშირზე მიგვითითებენ: შემთხვევითი არ უნდა იყოს ხოლმეობითსა (მან და-წერ-ი-ს) და I თურმეობითში (მას და-უ-წერ-ი-ე-ს) გამოვლენილი -ი სუფიქსის მატერიალური მსგავსება, აღნიშნულიცაა: „თურმეობითის ფუძე, მას რომ ქცევის პრეფიქსები და -ე- სუფიქსი მოვაცილოთ, ხოლმეობითის ფუძეს დაემთხვევა: მან იწყ-ი-ს — მას უ-წყ-ი-ა, მან შე-რაცხ-ი-ს — მას შეუ-რაცხ-ი-ე-ს... გარდამავალი ზმნების უღვლილებაში ძველად ხოლმეობითს ეკავა ის ადგილი, რაც შემდეგ აწმყოს განეკუთვნა, ხოლმეობითისაგან იწარმოებოდა ის, რაც შემდეგში ამოსავლად აწმყოს ფუძეს იყენებდა. თურმეობითი პირველის წარმოებაში, მაშასადამე, ამ ძველი ვითარების ნაშთი შემოგვრჩა“ ([133], 95). აქედან გამომდინარე, შესაძლებლად მიიჩნევა ხოლმეობითის მსგავსად I თურმეობითში განგრძობითი ასპექტის წარმოჩენა ([124], 55). ეს ნიშნავს, რომ აქ არა მხოლოდ ფორმობრივი, არამედ ფუნქციური თანადამსგავსებაც ივარაუდება. რაც შეეხება -ე სუფიქსს, იგიც პოულობს ანალოგს სხვა პარადიგმებში: ვ-ნახ-ე (ნამყო ძირითადი), ვ-ე-ნახ-ე (II თურმეობითი), ძველ ქართულში დამოწმებული ვ-ი-ქმ-ოდ-ე ([109], 453—459). განსაკუთრებით საცნაურია ე-შინ-ი-ს||ე-შინ-ი-ა ტიპის ფორმებში გამოვლენილი -ი სუფიქსის ანალოგია I თურმეობითის -ი სუფიქსთან. ეს მით უფრო საყურადღებოა იმის გამო, რომ აწმყოსათვის არ არის უცხო ფუნქციურად იდენტური და ფორმობრივად მსგავსი ს-წერ-ი-ა ტიპის სტატიკური ფორმები, რომლებიც ძველადაც (და-უ-წერ-ი-ე-ს — ს-წერ-ი-ე-ს) და ახლაც (და-უ-წერ-ი-ა — ს-წერ-ი-ა) სავსებით ემთხვევა წარმოების პრინციპით I თურმეობითს. მაგრამ ე-შინ-ი-ა ტიპის ფორმებთან ანალოგიის ძიებისას სიფრთხილეც აუცილებელია, რადგან მსგავსი სტატუსი არ ნიშნავს მსგავს გენეზისაც.

ამის დამადასტურებელი მაგალითები უხვად მოგვეპოვება.

ამის დამადასტურებელია კონკრეტულად ზემოხსენებული მაგალითიც.

და-მ-ი-წერ-ი-ა, ს-წერ-ი-ა და ე-შინ-ი-ა (ასევე, რცხვენ-ი-ა, ს-წყურ-ი-ა...) ფორმათა დაბოლოება (-ი-ა) თავისი ახლანდელი სტატუსით

სავსებით ემთხვევა ერთმანეთს. მაგრამ ეს მსგავსება მეორეულია. ოდინდელ განსხვავებას ძველი ქართული გვიდასტურებს: და-მ-ი-წერ--ი-ე-ს, ს-წერ-ი-ე-ს, მაგრამ: ე-შინ-ი-ს, ჰ-რცხუენ-ი-ს, ს-წყურ-ი-ს... ოღონდ ეს კია, რომ III პირის მრავლობითის ფორმებში სხვაობის ნიველირება ძველ ქართულშივე შეინიშნება: შდრ. და-მ-ი-წერ-ი-ან (მე იგინი) და ს-წყურ-ი-ან. შევნიშნავთ: პირველ შემთხვევაში აშკარად გრამატიკული სუბიექტის (მაგრამ რეალურად — ობიექტის) მრავლობითობა აღინიშნება, მეორე შემთხვევაში — ივარაუდება, რომ აქაც ისტორიულად მრავლობითობის გამოხატვასთან უნდა გექონოდა საქმე ([130], 187—188). ამასთან დაკავშირებით სხვა საკითხიც დადგება, კერძოდ, ს-წყურ-ი-ს და ტირ-ი-ს ტიპის ფორმათა ისტორიული მიმართების შესახებ, გასათვალისწინებელია ს-ჯობ-ს ტიპის ფორმებიც: რამ გამოიწვია ერთ შემთხვევაში ს-წყურ-ი-ა ტიპზე გადასვლა, რატომ შეინარჩუნა ტირ-ი ს ტიპის ფორმებს ძველი ფორმობრივი სტატუსი, ან რამ გამოიწვია ს-ჯობ-ს ტიპის ფორმათა ჩამოყალიბება (შდრ.: ს-ჯობ--ი-ან, რომელიც -ი სუფიქსის რეალურობას ვარაუდობს, და ახალი ქართულის ს-ჯობ-ი-ა)?..

ერთმა და იმავე ყალიბმა (ს-წყურ-ი-ს, ს-ტირ-ი-ს, *ს-ჯობ-ი-ს) ფაქტიურად სამი ნაირსახეობა მოგვცა (ს-წყურ-ი-ა, ს-ტირ-ი-ს, ს-ჯობ-ს). ამის მიზეზი ნაირგვარი შეიძლება იყოს: არ არის გამორიცხული ძველ ქართულშივე მათი შემთხვევითი მსგავსება (და მაშინ ადვილი ასახსნელია მათი განსხვავებული მოქცევა ენის განვითარების შემდგომ საფეხურებზე), მაგრამ ასევე დასაშვებია წარმოშობით ერთგვაროვან ფორმათა გვიანდელი განდასება განსხვავებულ სისტემებში. ამის კონკრეტულ მიზეზს ფორმათა ქმედების დეტალური კვლევა გაარკვევს...

არის ისეთი მაგალითებიც, რომლებიც გვეხმარებიან თანამედროვე სტატუსის მიხედვით აღვადგინოთ ადრე არსებული მიმართებანი. და მართლაც, რისი მანიშნებელია ქვემოთ მოტანილი პარალელური ფორმები:

უ-ტყორც-ებ-ი-ა — უ-ტყორც-ნ-ი-ა
უ-ჩუქ-ებ-ი-ა — უ-ჩუქ-ნ-ი-ა და მისთ.?

ეს ფორმები ვერ გაუტოლდება შე-უ-წუხ-ებ-ი-ა — უ-წუხ-ი-ა ტიპის ფორმებს, სადაც მოქმედებითი და „საშუალი" გვარის ფორმებია დაპირისპირებული, რომელთაგან მოქმედებითი I სერიის ფუძეს იღებს საყრდენად, „საშუალი" კი — II სერიის ფუძეს; არ შეიძლება მათი გატოლება და-უ-მალ-ი-ა—და-უ-მალ-ავ-ს ტიპის ფორმებთანაც, სადაც ასევე სხვადასხვა სერიის ფუძეა საყრდენად აღებული და სადაც ოდინდელი ფუნქციური დაპირისპირება ივარაუდება (იხ. ზემოთ). ვერ გაუტოლდება, რადგან -ებ და -ნ ფორმანტები, ორივენი, აწმყოშივე

გვხვდება, ორივე I სერიის ფუძეს აფორმებს: ს-ტყორც-ებ-ს და ს-ტყორც-ნ-ი-ს, ა-ჩუქ-ებ-ს და ჩუქ-ნ-ი-ს... ამის გამო იყო, რომ -ებ და -ნ (—||-ენ) ერთმანეთის მიმართ დიალექტურ ვარიანტად მიიჩნიეს ([106], 495). დიალექტური ვარიანტულობა აქ ნაკლებ სარწმუნო უნდა იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში (როცა ანალოგიის შესაძლებლობა იქნება გამორიცხული) იქ, სადაც აწმყოში -ნ ფორმანტი არ დასტურდება, I თურმეობითის ჩვენების მიხედვით შეგვიძლია აღვადგინოთ იგი. -ებ და -ენ ფორმანტთა პარალელური გამოყენების საფუძველი ალბათ უფრო ფუნქციურ დაპირისპირებაში უნდა ვეძიოთ: შდრ., მაგალითად: სხლეტ-ს (აწმყო მოქმედებითი გვარისა) — სხლეტ-ა (მასდარი მოქმედებითი გვარისა) — მო-სხლეტ-ი-ა (ორპირიანი გარდაუვალი ზმნის I თურმეობითი), ერთი მხრივ, და სხლტ-ებ-ა (აწმყო ვნებითი გვარისა) — სხლტ-ომ-ა (მასდარი ვნებითის გვარისა) — მო-სხლტომ-ი-ა (ორპირიანი გარდაუვალი ზმნის I თურმეობითი), მეორე მხრივ. მო-სხლეტ-ი-ა და მო-სხლტომ-ი-ა, ორივე, უ-სხლტ-ებ-ა ორპირიან გარდაუვალ (ვნებითი გვარის) ზმნას შეესაბამება როგორც მისი I თურმეობითი, მაგრამ შიდაფუნქციური ნიუანსი უთუოდ საგრძნობია: მო-სხლეტ-ი-ა ფორმაში გრამატიკული სუბიექტი გაცილებით უფრო აქტიურ საწყისად გვევლინება, ვინემ მო-სხლტომ-ი-ა ფორმაში შეინიშნება ეს. ამის მიზეზი თვით ამოსავალი ზმნის გრამატიკულ პოლიფუნქციურობაში ძევს: თევზი ხელიდან უ-სხლტ-ებ-ა—თევზი ხელიდან გა-სხლეტ-ი-ა, მაგრამ: საპონი ხელიდან უ-სხლტ-ებ-ა — საპონი ხელიდან გა-სხლტომ-ი-ა. ამისდა კვალობაზე, შდრ. გზად კლდე და-უ-ხვდ--ებ-ა (მყოფადი) — გზად კლდე და-უ-ხვდ-ა (ნამყო ძირითადი) —გზად კლდე და-ხვდ-ომ-ი-ა (I თურმეობითი), ერთი მხრივ, და გზად ყაჩაღი და-უ-ხვდ-ებ-ა (მყოფადი) —გზად ყაჩაღი და-უ-ხვდ-ა (ნამყო ძირითადი) — გზად ყაჩაღი და-ხვდ-ენ-ი-ა (I თურმეობითი), მეორე მხრივ. მაშასადამე, და-ხვდ-ომ-ი-ა — და-ხვდ-ენ-ი-ა ფორმები „აქტიურობის ხარისხი“ მიხედვით ყოფილა დაპირისპირებული. ის ფაქტი, რომ ცოცხალ მეტყველებაში (და აქედან — დამწერლობაშიც) ხშირად ხდება მათი ურთიერთშერევა, დაპირისპირების შესაძლებლობის უარმყოფელად ვერ გამოდგება. რამდენად მართებულია ამ პრინციპის მიხედვით შე-ს-ცივ-ნ-ი-ა — შე-ს-ცივ-ებ-ი-ა, ა-ს-ტკივ-ნ-ი-ა — ა-ს-ტკივ-ებ-ი-ა, მო-ჰ-შივ-ნ-ი-ა — მო-ჰ-შივ-ებ-ი-ა ტიპის წყვილეულთა შიდადაპირისპირებულობა, ამას სპეციალური კვლევა გაარკვევს. ეს დაპირისპირება ხელშესახებია არა მხოლოდ ორპირიან გარდაუვალ ზმნათა შემთხვევაში, არამედ გარდამავალი ზმნების უღვლილების დროსაც, შდრ.: ა-კოც--ებ-ს ის მას — ა-კოც-ა მან მას, მაგრამ: კოც-ნ-ი-ს ის მას — და-კოც-ნ-ა მან ის; კონსტრუქციული სხვაობა, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის. ამისდა კვალობაზე, ზმნურ ფორმაში მისი უშუალო ასახვაც

ივარაუდება. თუ კონკრეტულად როგორ ხდება ეს, ამის დადგენა ჯერ-ჯერობით ჭირს. როგორადაც უნდა გადაწყდეს საკითხი, ერთი რამ აშკარაა: უღვლილების პარადიგმების ურთიერთმიმართება, საყრდენი პარადიგმის სტატუსი უშუალოდ აისახება მეორეული წარმოების პარადიგმებში და იმავდროულად სტრუქტურულ შედგენილობაზეც მიგვანიშნებს. ამ ფაქტს კი უკვე მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს, რადგან შესაძლებლობას იძლევა ოდესღაც რეალურად არსებული, აწ გაუჩინარებული თუ მარტოოდენ „ნაგულისხმევი“, ფარული ფუძეების აღდგენისა. ზოგიერთ შემთხვევაში ეს შესაძლებლობა ფაქტობრივ დადასტურდა (ამის თაობაზე იხ. [126]).

XX

ქართული ენის შესახებ არსებულ გრამატიკულ ლიტერატურაში უღვლილების სისტემა, როგორც წესი, სინგულარულ ერთეულთა ერთიანობის პრინციპითაა აგებული: ყოველი პარადიგმი (აწმყო, უწყვეტელი, აწმყოს კავშირებითი... ნამყო ძირითადი... I თურმეობითი...) დამოუკიდებელ ერთეულადაა შესული ამ სისტემაში და ერთნაირად (ერთ დონეზე) უპირისპირდება ყველა დანარჩენს. მართალია, ამ სისტემის აგების დროს გათვალისწინებულია ამოსავალი ფუძის ფაქტორი (აწმყოს კავშირებითისათვის საყრდენია ნამყო უსრულის ფუძე, ამ უკანასკნელისათვის — აწმყოს ფუძე და სწორედ ამით არის შეპირობებული მათი რიგი პარადიგმთა სისტემაში), მაგრამ თითოეული პარადიგმი ენობრივი ანალიზის დროს განიხილება სინგულარული პრინციპით. ეს კი ნიშნავს, რომ თითოეულ მათგანს თავისთავადი, სხვებისგან დამოუკიდებელი ენობრივი ღირებულება, სტატუსი აქვს მინიჭებული. აღწერის ასეთი გზა სავსებით დასაშვებია, მაგრამ ზოგიერთი აშკარად გამოვლენილი შინაგანი ნიშანი ქართული ზმნის პარადიგმული წყობისა შესაძლებლად მიგვაჩნევინებს აღწერის მეორე გზასაც, რომელიც განხილვის ბინარულ პრინციპს ემყარება. ეს კი გულისხმობს პარადიგმების ურთიერთმიმართების, ურთიერთშეპირობებულობის აუცილებელ გათვალისწინებასაც.

საკმარისია, თვალი გადავავლოთ ქართული ზმნის პარადიგმულ წარმოებას, რომ რამდენიმე შემთხვევაში აშკარად წარმოჩნდება წმინდა ფორმობრივი პარალელიზმი. მაგალითად, წერ-ს ზმნა რომ ავიღოთ და ძველი ქართულის უღვლილების სისტემის მიხედვით წარმოვადგინოთ, აღმოჩნდება, რომ ა) საერთო ფუძე აქვთ აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითს: წერ-ს — წერ-ნ; ბ) ასევე საერთოა ფუძე ნამყო უწყვეტელისა, I ხოლმეობითისა და I კავშირებითისა: წერ-დ-ა — წერდ-ი-ს —

წერდ-ე-ს; გ) საერთო ფუძეს ემყარებიან ნამყო ძირითადი, II ხოლმეობითი და II კავშირებითი: წერ-ა — წერ-ი-ს — წერ-ო-ს.

ამგვარი შეპირისპირებით უკვე ჩანს, რომ წმინდა ფორმობრივი თვალსაზრისითაც კი სხვადასხვა პარადიგმის ფუძეები ერთგვაროვანი პრინციპით არ მიემართებიან ერთმანეთს: ერთ შემთხვევაში ურთიერთობა უშუალოა (წერ-ს — წერ-ნ), მეორე შემთხვევაში იერარქიულია (წერ-ს→წერ-დ-ა), მესამე შემთხვევაში გაშუალებულია იერარქიული საფეხურით (წერ-ს და წერ-დ-ი-ს ფორმებს შორის გამაშუალებელია წერ-დ-ა ფორმა).

ასე რომ, ფუძეთა თვალსაზრისით ზემოხსენებული ფორმები ასე განლაგდება:

წერ-ს	—	წერ-ნ	—	X
წერ-დ-ა	—	წერ-დ-ი-ს	—	წერ-ლ-ე-ს
წერ-ა	—	წერ-ი-ს	—	წერ-ო-ს,

სადაც ჰორიზონტალური რიგი ერთ ფუძეზე დამყარებულ პარადიგმებს აერთიანებს, ანუ: ამ რიგში წარმოდგენილია ერთი და იმავე ფუძის გრამატიკული ნაირსახეობანი...

არანაკლებ საბუთიანობას პარადიგმთა ბინარული განდასებისათვის იძლევა ფუნქციური მომენტის გათვალისწინებაც. აწკარაა, რომ აწმყო (წერ-ს) ფუნქციურად გაცილებით უფრო ახლოა აწმყოს ხოლმეობითთან (წერ-ნ), ასევე: უწყვეტელი (წერდ-ა) — I ხოლმეობითთან (წერდ-ი-ს), ვინემ აწმყო უწყვეტელთან ან I ხოლმეობითთან. შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთი ამგვარად შეწყვილებული ფორმა ერთი საერთო, თავდაპირველი ამოსავალი ფუნქციის დიფერენცირების რეზულტატადაც კი მოჩანს. ამგვარი შეწყვილება ენაში სხვადასხვა ფუნქციის საფუძველზე შეიძლება ხდებოდეს. მაგალითად, წერ-ს — წერ-ნ შეწყვილებულია ერთი და იმავე მოქმედების ერთგზისობა — მრავალგზისობის (კონკრეტულობა — ზოგადობის) თვალსაზრისით, ხოლო წერ-ს — და-უ-წერ-ი-ა კი მოქმედება-შედეგობის მიხედვით და ა. შ. ორივე შემთხვევაში ბინარული პრინციპია გამოყენებული. ორივე წყვილში ერთი წევრი (წერ-ს) საერთოა. მაშასადამე, სხვადასხვა ფუნქციამ ერთი და იგივე მონაცემი ნაირგვარ სემანტიკურ მონაცემს შეიძლება შეუწყვილოს. ყველაფერი ეს უშუალო შედეგია იმისა, რომ ერთი და იგივე ენობრივი ელემენტი, უმარტივესიდან დაწყებული ურთულეს სტრუქტურამდე, მრავალგვარ და მრავალფეროვან მიმართებებს ამყარებს, ამიტომაც რომელიმე ერთი ფუნქციის საფუძველზე მომხდარი შეწყვილება არ ფარავს და არ უთანაბრდება სხვა ფუნქციის საფუძველზე წარმოქმნილ წყვილს.

ამრიგად, ბინარული სისტემის აგება ვარაუდობს ენაში არსებულ

ნაირგვარ მიმართებათაგან ნებისმიერის წინასწარულ დაშვებას ამოსავალ პოსტულატად. მაგალითად, ჩვენს შემთხვევაში წინასწარ დასადგენი იქნება, თუ რომელ ფორმებს აქვთ (ჰქონდათ, ან შეიძლება ჰქონდეთ) მრავალგზისობის (ჩვეულებითის) ფუნქციის გამომხატველი ვარიანტი და მაშინ სინგულარული პრინციპით აგებული სისტემა ერთგზისობა-მრავალგზისობის ბინარული პრინციპის საფუძველზე ასე განდასდება:

	ა) ერთგზისი (კონკრეტული):		ბ) მრავალგზისი (ზოგადი):
I	წყვილი: წერ-ს	—	წერ-ნ
II	წყვილი: წერ-დ-ა	—	წერ-დ-ი-ს
III	წყვილი: და-წერ-ა	—	და-წერ-ი-ს
IV	წყვილი: და-ე-წერ-ა	—	და-ე-წერ-ი-ს

და აი, საკმარისი იყო ამ პრინციპით გაგვენაწილებინა ფორმები, რომ აღმოჩნდა: ქართულში (ყოველ შემთხვევაში, მისი განვითარების გარკვეულ საფეხურზე) ორი მკვეთრად ჩამოყალიბებული უღელილების სისტემა გვქონია ერთგზისობა-მრავალგზისობის თვალსაზრისით დაპირისპირებული ფორმებისა, ანუ: ერთგზისობის გამომხატველ თითქმის ყველა პარადიგმულ ფორმას ჰქონია მრავალგზისობის გამომხატველი ვარიანტი (ამჟამად არ ვეხებით ამ ფორმათა გენეზისის საკითხებს).

ცნობილია, რომ ქართულში (გარდა რამდენიმე დიალექტისა) გარკვეული პერიოდიდან დასუსტდა, შემდეგ კი საერთოდ მოიშალა უღელილების მეორე (მრავალგზისობის) რიგი. ზემოთ მოცემული სქემის მიხედვით უკვე ნათელია, თუ რა ცვლილებებიც მოხდა ამ შემთხვევაში: ერთგზისობა — მრავალგზისობის მიხედვით აგებული ბინარული სისტემა დაირღვა, მრავალგზისობის ფუნქციის გამომხატველი ფორმები აღარ მოქმედებენ ენაში, მაგრამ მრავალგზისობის ფუნქცია შემორჩა და მისი გადმოცემა ენამ ამჯერად პირველი (ერთგზისი) რიგის ფორმებს დააკისრა, ე. ი. გააფართოვა ამ რიგის ფორმათა ფუნქციონირების არე. ასეთ ვითარებაში ერთგზისობა — მრავალგზისობის გარჩევა კონტექსტითღა გახდებოდა შესაძლებელი, მაგრამ ენამ გარჩევის დამატებით საშუალებასაც მიმართა: მრავალგზისობის გადმოსაცემად აღწერითი ფორმები გამოიყენა, შედგენილი ერთგზისობის გამომხატველი ფორმებისა და მრავალგზისობის აღმნიშვნელი „ხოლმე“ ელემენტისაგან (ან ამ უკანასკნელის ფუნქციური ვარიანტებისაგან: „ხშირად“, „ზოგჯერ“, „იშვიათად“ და სხვანი). ამრიგად, „წერს ხოლმე“ იგივეა, რაც „წერ-ნ“, „წერდა ხოლმე“ იგივეა, რაც „წერდ-ი-ს“ და ა. შ., როგორც ეს დამაჯერებლად აჩვენა ი. ქავთარაძემ ([127], 12—21). ერთ-

გზისობის გამომხატველმა ფორმებმა შეითავსეს თანდათანობით მრავალგზისობის ფუნქციაც და ამ თვალსაზრისით ფაქტიურად ბიფუნქციური ფორმები გახდნენ.

რასაკვირველია, ახალმა სისტემამ ახლებური გაგებაც და, შესაბამისად, ფუნქციათა გადანაწილებაც გამოიწვია, გარკვეულ შემთხვევაში სემანტიკური აკრძალვის პრინციპიც გამოიყენა. მაგალითად, და-წერ-ა ფორმა ვერ იგუებს მრავალგზისობის გამომხატველ აღწერით ყალიბს (ვერ იგუებს „ხოლმე“ ელემენტს) სავსებით გასაგები სემანტიკური აკრძალვის გამო: შეუძლებელია მას მრავალგზისობის გაგება დაუკავშირდეს. ეს კი არა და, იმ ფორმებთანაც კი, რომლებიც ნამყო ძირითადში უზმნისწინოდ გამოიყენებიან და ახალ ქართულში უსრული ასპექტის გამომხატველებად მიიჩნევიან (წერ-ა, კეც-ა, ა-შრ-ო...), ფუნქციურად შეუთავსებელი აღმოჩნდნენ მრავალგზისობის აღმნიშნელი ელემენტები. შეუძლებელია: *„წერა ხოლმე“, *„კეცა ხოლმე“, *„აშრო ხოლმე“ (თუ გეხვდება, ვულგარიზმია). ეს აკრძალვა თვით ამ ფორმათა სემანტიკურ არსში ძევს.

მრავალგზისობის გამომხატველ ფორმათა მოშლის ეს პროცესი (ისე კი, რომ მრავალგზისობის ფუნქცია შემოგვრჩა) ენაში მიმდინარე ფორმობრივი აბსტრაქციის თვალნათლივი ნიმუშია. ფორმათა ერთი სისტემის ფუნქციონირების გაფართოვების ხარჯზე ხდება ფორმობრივი მრავალფეროვნებისა და ნაირგვარობის ნიველირება, მორფოლოგიური დაპირისპირების ადგილს კონტექსტური განსხვავების კრიტერიუმი იკავებს.

ზემოხსენებული მხოლოდ ერთი მაგალითი იყო ბინარული პრინციპით ფორმათა განხილვისა და იმავდროულად ნიმუში, თუ როგორ ივარაუდება ენობრივ მიმართებათა შესწავლა. ბინარული პრინციპით განხილვა (რაც, რა თქმა უნდა, ზმნის უღელილებისას ერთგზისობა-მრავალგზისობის ფუნქციური შეწყვილების მაგალითებით სრულიადაც არ ამოიწურება), ვფიქრობთ, ენობრივ მონაცემთა შინაგანი მიმართებების წარმოჩენის ერთ-ერთი ძირითადი შესაძლებლობაა. ამ შინაგან მიმართებათა წარმოჩენა კი ენის კვლევის ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან მხოლოდ ეს, კერძოდ, ენობრივ ფორმათა და ფუნქციათა კვლევა მათი მრავალმხრივი და მრავალფეროვანი მიმართებების თვალსაზრისით, შეგვაძლებინებს ძიებასა და მოპოვებას იმ მეთოდოლოგიური ბაზისისა, რომელიც რეალურს გახდის ენის შესწავლას მისსავე დინამიკაში, რომელიც წარმოგვიჩენს ენას როგორც უწყვეტ შემოქმედებით პროცესს, როგორც მარადგანახლების უნარის მქონე ფენომენს. ენა, რა თქმა უნდა, მხოლოდ შემოქმედება არ არის, იგი შედეგობითი მონაცემიცაა, მაგრამ ამ შედეგში იმთავითვეა ჩადებული შემდგომი განვითარების პოტენცია. სწორედ

ეს პოტენცია ქმნის ენობრივ დინამიკას და სწორედ ამ დინამიკის შესწავლა აქვს დასახული მიზნად თანამედროვე ენათმეცნიერებას. ეს კი შესაძლებელი გახდება არა ცალკეულ ელემენტთა თუნდაც დეტალური შესწავლის გზით, არამედ მათი შინაგანი ბუნებით შეპირობებული მიმართებების წარმოჩენითა და მათი სტატუსის დადგენით.

XXI

ზმნურ ფუძეთა მიგრაცია ღირსაცნობ სურათს იძლევა ზმნური სიტყვათწარმოების დროსაც. ნაზმნარ სახელთა თუ III სერიის ფორმათა წარმოების მსგავსად აქაც საცნაურია პირველი და მეორე სერიების ფუძეთა თითქმის თანაბარი პროდუქტულობა ახალი ზმნური ფუძეების წარმოქმნისას. როგორც წესი, საყრდენად გამოიყენება აწმყოსა და ნამყო ძირითადის ფუძეები.

აი, მაგალითად, რამდენიმე ნიმუში:

ა) გამოყენებულია აწმყოს ფუძე:

ა-ჩენ-ს→ა-ჩენ-ინ-ებ-ს
მალ-ავ-ს ←ა-მალ-ვ-ინ-ებ-ს
ცურ-ავ-ს→ა-ცურ-ავ-ებ-ს...

ბ) გამოყენებულია ნამყო ძირითადის ფუძე:

ა-ჩინ-ა→ა-ჩინ-ებ-ს (აწმყო: ა-ჩენ-ს)
მო-რჩ-ა→ა-რჩ-ენ-ს (აწმყო: რჩ-ებ-ა)
დრიკ-ა→დრიკ-ავ-ს (აწმყო: დრეკ-ს)

საერთოდ, დრიკ-ავ-ს, და-ი-ჭირ-ავ-ს ტიპის ფორმებისათვის (შდრ.: დრეკ-ს, ი-ჭერ-ს), როგორც ეს ი. ცერცვაძემ გაარკვია, ამოსავალია ნამყო ძირითადის ფუძე ([139], 189).

ფონეტიკური ფაქტორი ამ შემთხვევაშიც მკაცრად რეგლამენტირებულია: ა-ჩენ-ინ-ებ-ს და ა-ჩინ-ებ-ს ფორმებში ფუძეები არსებითად ერთგვაროვან ფონეტიკურ გარემოცვაში არიან მოქცეული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფონეტიკური ზეგავლენა აქ უთუოდ უნდა გამოირიცხოს; საყრდენი ფუძის სტატუსი (პირველისათვის ამოსავალი ზმნის აწმყოს ფუძე: ჩენ-, მეორისათვის ნამყო ძირითადის ფუძე: ჩინ-) შენარჩუნებულია. როგორც ვხედავთ, სისტემის რაობიდან გამომდინარე მორფოლოგიური აკრძალვა აქაც მოქმედებს.

ზმნური სიტყვათწარმოება ფრიად იშვიათ შემთხვევებში სხვა პარადიგმების ფუძეებსაც გამოიყენებს საყრდენად. ამ თვალსაზრისით საინტერესოა უწყვეტლის ფუძე. ცნობილი ფაქტია: უ-ნდ-ა ფორმა (რომელიც ამჟამად სალიტერატურო ქართულსა და დიალექტთა უმეტეს ნაწილში აწმყოს ფუნქციით გამოიყენება) წარმოშობით უ-ნ-ა

ზმნის (დიალექტთა ერთ ნაწილში რეალურად დადასტურებულის) უწყვეტელია ([128], 224—225); შესაბამისად, უ-ნ-ა→უ-ნ-დ-ა→უ-ნ--დ-ე-ს რიგის ხაცვლად მივიღეთ: უ-ნდ-ა—უ-ნდ-ოდ-ა→უ-ნდ-ოდ-ე-ს. ანალოგიური წარმოებისა ჩანს: ე-ლოდ-ებ-ა, რომლის ლოდ- ფუძე ე-ლ-ი-ს ზმნის უწყვეტელია წარმოშობით, ასევე: ი-ც-ი-ს ზმნის უწყვეტლის ფუძე ცოდ- (ი-ც-ოდ-ა) ივარაუდება საყრდენად ცოდ-ნ-ა, ე-ცოდ-ინ-ებ-ა ფორმებისათვის...

საყრდენი ფუძის სტატუსით პარადიგმულ ფორმათა გამოყენება მრავალმხრივ საყურადღებო ფაქტია. არანაკლებ მნიშვნელოვანია პარადიგმული ფორმების სტრუქტურულ შენებაში დამოწმებული პარალელიზმი. იგულისხმება სხვადასხვა სერიებში შემავალი პარადიგმების მორფოლოგიურ გაფორმებაში დადასტურებული იგივეობა, შდრ.:

I სერია:		III სერია:
აწმყო:	ს-წყურ-ი-ა	I თურმეობითი: მო-ს-წყურ-ებ-ი-ა
უწყვეტ.:	ს-წყურ-ოდ-ა	II თურმეობითი: მო-ს-წყურ-ებ-ოდ-ა
I კავშ.:	ს-წყურ-ოდ-ე-ს	III კავშირებითი: მო-ს-წყურ-ებ-ოდ-ე-ს

სხვადასხვა ფუძე (ერთ შემთხვევაში: წყურ-, მეორე შემთხვევაში: წყურ-ებ) ერთი და იმავე აფიქსებით ფორმდება და გრამატიკულ კატეგორიათა ნიუანსირებას იძლევა. ხაზს ვუსვამთ: სწორედ რომ ნიუანსირებას, რადგან სიღრმისეული რაობით I თურმეობითი იგივე აწმყოა (ოღონდ: „რთული“ აწმყო, პერფექტი), უწყვეტელიცა და II თურმეობითიც, ორივე, ფაქტიურად ნამყოა, ხოლო I და III კავშირებითი არსებითად ერთი და იმავე ფუნქციის გამოხატვას ემსახურება. ამგვარი პარალელიზმი შემთხვევითი არ უნდა იყოს: მსგავსება პირვანდელი ჩანს, განსხვავება, ფუნქციური დაცილება (დიფერენცირება) მეორეული, სხვაობის საფუძველი არა მხოლოდ სინტაქსურ, არამედ სემანტიკურ ურთიერთმიმართებებშიც უნდა ვეძიოთ.

თუ გავიხსენებთ იმ ფაქტს, რომ ანალოგიური წარმოება II სერიის უძველესი ფორმებისათვისაც უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი, მაშინ მით უფრო სარწმუნო გახდება ხსენებული თანაფარდობის კანონზომიერება და მისი უცილობელი კავშირი ენის სიღრმისეულ მოვლენებთან, უკეთ: იგი უნდა განვიხილოთ როგორც უშუალო შედეგი ამ სიღრმისეული მოვლენებისა. შდრ.:

I სერია:	II სერია:
აწმყო: აღ-ი-რაცხ-ებ-ი-ს	II ხოლმ.: აღ-ი-რაცხ-ი-ს
უწყვ.: აღ-ი-რაცხ-ებ-ოდ-ა	არქაული უწყვ.: *აღ-ი-რაცხ-ოდ-ა
I კავშ.: აღ-ი-რაცხ-ებ-ოდ-ი-ს	II კავშირ.: აღ-ი-რაცხ-ოდ-ი-ს.

უნდა აღინიშნოს, რომ II სერიაში -ოდ- ფორმანტიანი უძველესი წარმოების ფორმები იყო როგორც გარდამავალი (აღ-ა-სრულ-ნ-ოდ--ი-ან მათ იგინი), ასევე გარდაუვალი (აღ-ი-რაცხ-ოდ-ი-ს იგი. იხ.: [133], 54—64). *აღ-ი-რაცხ-ოდ-ა ფორმა რეალურად არ არის დამოწმებული. მიუხედავად ამისა, მაინც ვვარაუდობთ მის შესაძლებლობას. რაც შეეხება ფაქტობრივ დადასტურებულ აღ-ი-რაცხ-ოდ-ი-ს ტიპის ფორმებს, სპეციალურ ლიტერატურაში ისინი იწოდებიან ან როგორც „არქაული ნამყო უსრული“ ([133], 54), ან როგორც „შერეული კავშირებითი“ თუ „შერეული მყოფადი“ ([129], 104). დასაშვებად მიიჩნევა „შერეული კავშირებითის“ ფორმების გამოყენება ხოლმეობითის ფუნქციით ([115ა], 187).

ასეთ ვითარებაში სხვა კუთხით დაისმოდა ნამყო ძირითადისა და იმავე ფუძის მქონე II კავშირებითის საკითხიც, რადგან ერთმანეთის პარალელურად ორი რიგის, ორი სისტემის, ორი განსხვავებული პრინციპით წარმოებული ფორმები დადასტურდა:

II სერია:

ნამყო ძირითადი: აღ-ი-რაცხ-ა II ხოლმეობითი: აღ-ი-რაცხ-ი-ს
II კავშირებითი: აღ-ი-რაცხ-ო-ს II კავშირებითი: აღ-ი-რაცხ-ოდ-ი-ს.

შემდეგ: ცნობილია, რომ ქართულში -ოდ ფორმანტი ძველადაც და ამჟამადაც, როგორც წესი, გარდაუვალი ზმნების ფორმებს მოუდით. ეს მეორეული მოვლენა უნდა იყოს. თავდაპირველად, ჩანს, -ოდ ფორმანტის გამოყენება არა ფუნქციური, არამედ ფორმობრივი პრინციპით იყო შეპირობებული: -ოდ იპოვებოდა იქ, სადაც ამოსავალ ფუძეში -ი სუფიქსი იყო დამოწმებული (განურჩევლად გარდამავლობა-გარდაუვალობის ფუნქციისა). მი-ს-ც-ოდ-ი-ან, და-დვ-ოდ-ი-ან, წარ-ა-ვლინ-ნ-ოდ-ი-ს ტიპის მაგალითები ადასტურებენ ამ სუფიქსის გარდამავალ ზმნებთან გამოყენების შესაძლებლობასაც. -ოდ ფორმანტის შემთხვევაში ამოსავალ ფუძეში -ი სუფიქსის თანაპოვნიერება ადრეც იყო მართებულად შენიშნული (იხ. მაგალითად; [133], 56).

XXII

არის რამდენიმე მაგალითი იმისა, სადაც, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს თვალწინ ხდება ძველი სისტემის შენაცვლება ახალი სისტემით. ერთ-ერთ ნიმუშად ზოგი -ევ სუფიქსიანი ფორმაც გამოგვადგება. იგულისხმება ის -ევ სუფიქსიანი ზმნები, რომლებიც ამოსავლად იღებენ უძველესი სისტემის კუთვნილ ბენ-, ქეც-, თერ- ტიპის ფუძეებს. ამ

ფუძეებმა ვნებითის გამოხატვის სტატუსი მოიპოვეს ენაში. შესაბამისი მოქმედებითი ა- — -ევ კონფიქსებით იწარმოება: ა-ბნ-ევ-ს, ა-ქც-ევ-ს, ა-თრ-ევ-ს... ფუძის კუმშვას -ევ სუფიქსი იწვევს. თითქოს ამით უნდა დამთავრებულიყო ფორმათწარმოების პროცესი, მაგრამ ასე არ მოხდა. საქმე ის არის, რომ, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, ქართულში ვნებითის ფორმა შესაბამისი მოქმედებითის ფორმისაგან იწარმოება. მოხდა ისე, რომ წარმოების ამ პრინციპმა რიგ შემთხვევაში შეცვალა წარმოების ადრინდელი წესი. ამისდა კვალობაზე, ა-ბნ-ევ-ს ტიპის ფორმებმა I სერიაში თავისგან წარმოებული ვნებითები გაიჩინეს, რასაც ის შედეგი მოჰყვა, რომ წარმოების თვალსაზრისით ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ზემოხსენებული ვნებითების I და II სერიის ფორმები:

I სერია:

	მოქმედებითი:	ვნებითი:
აწმყო:	ე-ა-ბნ-ევ	ე-ი-ბნ-ევ-ი
უწყვეტ.:	ე-ა-ბნ-ევ-დ-ი	ე-ი-ბნ-ე(ვ)-ოდ-ი
I კავშ.:	ვ-ა-ბნ-ევ-დ-ე	ვ-ი-ბნ-ე(ვ)-ოდ-ე

II სერია:

ნამყო ძირ.: და-ვ-ა-ბნ-ი(ვ)-ე	და-ვ-ი-ბენ-(ი)
II კავშირ.: და-ვ-ა-ბნ-ი(ვ)-ო	და-ვ-ი-ბნ-ე

აშკარაა, რომ ვ-ი-ბნ-ევ-ი და და-ვ-ი-ბენ-(ი) ფორმები წარმოების სხვადასხვა პრინციპს გვიდასტურებენ, მიუხედავად იმისა, რომ ორივე უღვლილების ერთ სისტემაშია მოქცეული. სხვა ფუძისათვის თავად ამოსავალ ფუძეს (-ბენ-) წარმოებულისაგან (ა-ბნ-ევ-ს) ხელახლა წარმოებული (ი-ბნ-ევ-ა) ფუძე ამოუდგა გვერდით. ამ ტიპის ზოგიერთმა ფორმამ, ზემოთ განხილულის მსგავსად, შეინარჩუნა ჯერჯერობით ეს შინაგანი წინააღმდეგობა სისტემაში, მაგრამ უკვე ისეთი ფორმებიც არის დამოწმებული, რომელთაც გადალახეს ეს წინააღმდეგობა და მთლიანად წარმოების ახალ სისტემაზე გადავიდნენ:

აწმყო: ვ-ა-თრ-ევ ვ-ე-თრ-ევ-ი
ნამყო ძირ.: გა-ვ-ა-თრ-ი-ე გა-ვ-ე-თრ-ი-ე (და არა: გა-ვ-ე-თერ,

როგორც ივარაუდებოდა და ფაქტობრივ დამოწმებულიც რომ არის ქართული ენის ზოგიერთ დიალექტში).

ამ შემთხვევაში ახალმა სისტემამ წარმოების ძველი პრინციპის ყოველგვარი კვალი წაშალა.

ახალ სისტემაზე გადასვლის პროცესი არ არის სწორხაზოვანი და

ერთფეროვანი. გვაქვს ისეთი შემთხვევებიც კი, როცა I და II პირის ფორმები ახალ სისტემაზეა გადასული, III პირს კი შენარჩუნებული აქვს ძველი ვითარება ([128], 462):

აწმყო:	ვ-ა-რკვ-ევ	ვ-ე-რკვ-ევ-ი
	ა-რკვ-ევ	ე-რკვ-ევ-ი
	ა-რკვ-ევ-ს	ე-რკვ-ევ-ა
ნამყო ძირთ:	გა-ვ-ა-რკვ-ი-ე	გა-ვ-ე-რკვ-ი-ე
	გა-ა-რკვ-ი-ე	გა-ე-რკვ-ი-ე
	გა-ა-რკვ-ი-ა	გა-ე-რკვ-ა (და არა: გა-ე-რკვ-ი-ა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო I და II პირის ჩვენების შესაბამისად, თუმცა ასეთი ფორმაც იკიდებს თანდათანობით ფეხს).

XXIII

უღვლილების პარადიგმთა გამოყენება საყრდენ ფუძედ ფრიად ღირსაცნობ მაგალითებს იძლევა ზოგიერთი სტატიკური ზმნის წარმოებისას.

სალიტერატურო ენასა და დიალექტებში ერთმანეთის პარალელურად დადასტურებულია შემდეგი ფორმები:

I.	დგ-ა-ს	ზი-ს	წევ-ს
II.	დგ-ი-ა	ჯდ-ი-ა	წვ-ი-ა
III.	დგ-ან-ა	ჯდ-ან-ა	წვ-ან-ა
IV.	დგ-ენ-ა	ჯდ-ენ-ა	წვ-ენ-ა
V.	დგ-ი-ს	ჯდ-ი-ს	წვ-ი-ს.

ხუთი სხვადასხვა ფორმა აღმოგვაჩნდა ერთი ფუნქციის გადმოსაცემად: სტატიკური აწმყოს გამოსახატავად.

რა გვაქვს აქ: ერთმანეთის ფონეტიკური თუ მორფოლოგიური ვარიანტები? ფონეტიკურად ვერ აიხსნება, მაგალითად, დგ-ან-ა და დგ-ი-ა ფორმების პარალელური არსებობა. თუ ასეა, მაშინ ფონეტიკური საფუძველი ამ ნაირგვარ ფორმათა ასახსნელად გამოუსადეგარი ყოფილა. ფონეტიკური შეიძლება იყოს (და არის კიდეც) სხვაობა მხოლოდ რამდენიმე ფორმას შორის.

ვერც მორფოლოგიური კრიტერიუმით განვასხვავებთ ამ ფორმებს: ფორმობრივი ყალიბი კი არის ნაირგვარი, მაგრამ ფუნქცია არსებითად ერთი და იგივეა.

მაშ, რითღა უნდა აიხსნას ეს სხვაობა?

მხოლოდ ერთადერთი რამით: ნაირგვარი ფორმობრივი დეტერმინაციით. თითქმის ყველა ფორმა საყრდენად სხვადასხვა ფუძეს იღებს, სხვადასხვა ამოსავალი ფუძითაა დეტერმინირებული. წინასწარულად შეიძლება ითქვას, რომ აქ ფაქტიურად თავმოყრილია სტატიკურობის გამომხატველ ფორმათა მიღების ყველა ენობრივი საშუალება და ამ მაგალითების განხილვა ამითაც არის საშური და საინტერესო.

რამდენიმე წინასწარი ხასიათის შენიშვნა:

გასაზიარებელი ჩანს ის აზრი, რომ დგ-ა-ს მიღებულია *დგ-ან-ს ფორმისაგან, რასაც მრავლობითის დგ-ან-ან ფორმა ადასტურებს ([128], 524). ამის კვალობაზე, დიალექტურ ჯდ-ა-ს ფორმასაც იგივე კვალიფიკაცია მიეცემა (*ჯდ-ან-ს). -ნ ბგერის დაკარგვა ასეთ პოზიციაში ქართულისათვის უცხო არ არის, შდრ: ჩან-ს—ჩა-ს. ხსენებულ ფორმათა რეალურობას დიალექტური დგ-ან-ა, ჯდ-ან-ა ზმნებიც გვიდასტურებენ (ხელსაყრელ ფონეტიკურ გარემოცვაში -ნ ბგერა შენარჩუნებულია).

წევ-ს ფორმის კვალობაზე, რომელიც ნამყო ძირითადის ოდინდელ და-ვ-წევ-ი, და-ს-წევ-ი (ახლა რომ დიალექტებში, კერძოდ, გურულში არის შემონახული ფონეტიკურად ცვლილი და-ვ-წექ-ი, და-წექ-ი ფორმების ბაძლად; შდრ. აგრეთვე III პირის და-წვ-ა ფორმა, სადაც ფუძისეული -ვ შენარჩუნებულია) ფორმათა ფუძეს იმეორებს, ვვარაუდობთ *დეგ-ს, *ჯედ-ს ფორმათა შესაძლებლობასაც.

არ არის გამორიცხული, რომ ახლა სავსებით ცალკე მდგომი ზი-ს ფორმა ფონეტიკური ვარიანტი იყოს ჯდ-ი-ს ფორმისა (შდრ.: [110], 534).

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ზემოხსენებულ ფორმათა რიგი ასეთ სახეს მიიღებს:

I. დეგ-ს	ჯედ-ს	წევ-ს
II. დგ-ან-ს	ჯდ-ან-ს	წვ-ან-ს
III. დგ-ან-ა	ჯდ-ან-ა	წვ-ან-ა
IV. დგ-ენ-ა	ჯდ-ენ-ა	წვ-ენ-ა
V. დგ-ი-ს	ჯდ-ი-ს	წვ-ი-ს
VI. დგ-ი-ა	ჯდ-ი-ა	წვ-ი-ა.

განვიხილოთ თითოეული მათგანი.

XXIV

*დეგ-ს, *ჯედ-ს, წევ-ს — უძველესი სისტემის ზმნები ჩანან, აფიქსებით გაურთულებელნი. განსხვავება აწმყოსა და ნამყო ძირითადს შორის (უკეთ: იმ პარადიგმებს შორის, ახლა რომ აწმყოდ და ნამყო

ძირითადად გაიგება) მინიმალურია: სხვაობას მხოლოდ III პირი იძლევა. ეს სხვაობაც ფონეტიკური ხასიათისაა: პირის ნიშანი -ა კუმშავს ფუძეს.

აწმყო:	*ვ-დეგ	*ვ-ჯედ	ვ-წევ
	*ს-დეგ	*ს-ჯედ	ს-წევ
	*დეგ-ს	*ჯედ-ს	წევ-ს
ნამყო ძირითადი:	ვ-დეგ	ვ-ჯედ	ვ-წევ
	ს-დეგ	ს-ჯედ	ს-წევ
	დგ-ა	ჯდ-ა	წვ-ა

ფუძე წარმოდგენილია -ე გახმოვანებით.

სხვაობის წარმოჩენის ტენდენცია გვიანდელია: აწმყოში ჩნდება მეშველზმნიანი ფორმები (ამ დროისათვის *ვ-დეგ და *ვ-ჯედ ფორმები უკვე გაუჩინარებულია, რეალურად დამოწმებულია: ვ-წევ-ვარ—→ვ-წევარ, ს-წევ-ხარ), ნამყო ძირითადი ი- პრეფიქსიანი ვნებითის ყალიბს იღებს (წარმოშობით იგი გარდაუვალი უკუქცევითი ფორმა): ვ-ი-დეგ, ი-დეგ, ი-დგ-ა...

აწმყოში დეგ-, ჯედ- ფუძეთა შესაძლებლობას (გარდა წევ- ფუძესთან ანალოგიისა) ძველ ქართულშივე დამოწმებული ა-დგ-ს (—ა-თქ-ს), უ-დგ-ს (—უ-თქ-ს) ფორმებიც გვავარაუდებინებს:

„ნუუკუე სახლებ არა გ-ი-თქ-ს (←გ-ი-დგ-ს) ჭამად და სუმად“.

„პირ ა-დგ-ს და არა იტყჳან“ (იხ.: [101], 138).

ა-დგ-ს, უ-დგ-ს მიღებული უნდა იყოს *ა-დეგ-ს, *უ-დეგ-ს ფორმებისაგან და არა ა-დგ-ა-ს, უ-დგ-ა-ს ფორმებისგან, როგორც ამას ზოგჯერ ვარაუდობენ. ა- პრეფიქსის დართვა ვერ იწვევს -ა სუფიქსის რედუქციას (ა-დგ-ა-ს, უ-დგ-ა-ს სავსებით დასაშვები და რეალურად დამოწმებული ფორმებია), მაგრამ უშუალოდ ფუძის შეკუმშვა კი ხელეწიფების, რასაც სხვა მაგალითებიც გვიდასტურებენ: უ-ჩან-ს—→უ-ჩნ-ს, უ-ძევ-ს—→უ-ძ-ს (უ-ც), *უ-ჯამ-ს—→უ-ჯმ-ს, *ი-ქამ-ს—→ი-ქმ-ს (—ი-ქ-ს), *ა-კელ-ს—→ა-კლ-ს... რაც შეეხება სხედ- ფუძეს, იგი ამ რიგში ვერ შემოვა, შედგენილი ფუძეა (სხ-ედ-), შდრ.: და-სხ-ა, ა-სხ-ი-ა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეს უკანასკნელი ფუძე მხოლოდ მრავლობითში გამოიყენება და თანაც მხოლოდ ჯედ- ფუძეს არ შეენაცვლება; შდრ.: და-ჯდ-ა — და-სხდ-ნენ, და-სვ-ა — და-სხ-ა, ა-ბ-ი-ა—ა-სხ-ი-ა, ასე რომ, მხოლობითის სამი სხვადასხვა ფუძის ბადალია, ეკვივალენტია მრავლობითში.

მივუბრუნდეთ დეგ-, ჯედ-, წევ- ფუძეებს.

მოგვეპოვება თუ არა ამ რიგის სხვა ფუძეებიც ქართულში?

ე-გახმოვანებით წარმოდგენილ ანალოგიური სტრუქტურის ფუძე-

ებს ქართულში ბევრს მოვიძევთ: წერ-ს, ჩეხ-ს, რეკ-ს, თეს-ს და სხვანი. მაგრამ მათი დაკავშირება დეგ- ტიპის ფუძეებთან უთუოდ გაჭირდებოდა: მათი ფორმობრივი მიმართება, ფორმობრივი სისტემაა სხვაგვარი...

მაგრამ დეგ- ტიპის ფუძეები უშუალო კავშირს ამყარებენ „უნიშნო“, მესამე ტიპის ვნებითებთან: დეგ- —დგ-ებ-ის, ჯედ-—ჯდ-ებ-ი-ს, წევ-—წვ-ებ-ი-ს. თუკი ამას გავითვალისწინებთ, აღმოჩნდება, რომ დეგ- ტიპის ფუძეებთან სრულ მსგავსებას გამოამჟღავნებენ ქერ-, ცეთ-, ჯედ-, ტეფ-, ცებ-, ძეღ-, ჯემ-, ჭენ-, შერ- და სხვა მისთანა ფუძეები, რეალურად დამოწმებული ან ნავარაუდევი გა-ჰ-ქერ, შე-ს-ცეთ, შთა-ჯედ, გან-ტეფ, გა-ძეღ, გან-ჯემ, და-ჭენ, და-შერ ფორმებში (იხ.: [111], 966—968).

ამისდა კვალობაზე, ხომ არ უნდა ვიგულვოთ, წვ-ებ-ი-ს — წევ-ს მიმართების ანალოგიურად, დინამიკური გარდაუვალი ფორმისა და სტატიკური ფორმის შემდეგნაირი დაწყვილების შესაძლებლობა:

ტფ-ებ-ი-ს — *ტეფ-ს (←ნამყო ძირ.: გან-ტეფ)
ცბ-ებ-ი-ს — *ცებ-ს
ჯმ-ებ-ი-ს — *ჯემ-ს
ჭნ-ებ-ი-ს — *ჭენ-ს,

სადაც პირველი რიგი „უნიშნო ვნებითების“ აწმყოა, მეორე რიგი — სტატიკურ ზმნათა აწმყო, ამოსავლად დინამიკურის ნამყოს რომ იღებს.

იყო თუ არა ასეთი შესაძლებლობა?

ვფიქრობთ, რომ იყო (შდრ.: წუხ-დ-ებ-ი-ს — წუხ-ს, დუმ-დ-ებ-ი-ს — დუმ-ს).

XXV

გასაანალიზებელია დგ-ი-ს, ჯდ-ი-ს, წვ-ი-ს ფორმები.

არნ. ჩიქობავა შენიშნავს: „განგრძობითი ასპექტი ერთ სიბრტყეზე აყენებს სტატიკურ ზმნათა აწმყოს და გარდამავალ ზმნათა ხოლმეობითს“ ([133], 111). ხსენებული ფუნქცია, მართლაც, არსებითია როგორც გარდამავალი, ასევე გარდაუვალი ზმნების II ხოლმეობითისა და სტატიკური ზმნების აწმყოსათვის. ამრიგად, დინამიკური ზმნების II ხოლმეობითი და სტატიკური ზმნების აწმყო მათთვის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციის მიხედვით იგივეობას გვიდასტურებენ. ფუნქციურმა მსგავსებამ, ჩანს, ფორმობრივ მიმართებებშიც გამოავლინა თავი: დგ-ი-ს, ჯდ-ი-ს, წვ-ი-ს ტიპის ფორმებისათვის ამოსავლად სწორედ გარდაუვალ დინამიკურ ზმნათა (კერძოდ, ზემოხსენებულ ზმნათა) II ხოლმეობითის ფუძე ივარაუდება:

	დინამიკური გარდაუვალი:		სტატიკური:
აწმყო.	დგ-ებ-ი-ს		X
ნამყო ძირით.:	და-დგ-ა		X
II ხოლმეობითი:	და-დგ-ი-ს →	აწმყო:	დგ-ი-ს
		ნამყო ძირით.:	დგ-ა.

ანალოგიურად: ჯდ-ებ-ი-ს→და-ჯდ-ა→და-ჯდ-ი-ს→ (სტატიკური აწმყო): ჯდ-ი-ს... ვფიქრობთ, რომ სწორედ ამ გზითაა ჩამოყალიბებული სტატიკურ ზმნათა ზოგიერთი ფუძე, მაგალითად, კრთ-ი-ს, ცბ-ი-ს, სხლტ-ი-ს ზმნებისა. ყველა მათგანის შესაბამისი „უნიშნო" ვნებითი ფაქტობრივ არის დამოწმებული: კრთ-ებ-ი-ს, ცბ-ებ-ი-ს, სხლტ-ებ-ი-ს (II ხოლმეობითში: შე-კრთ-ი-ს, შე-ცბ-ი-ს, გა-სხლტ-ი-ს). შესაბამისი ვნებითი არა აქვთ დამოწმებული, მაგრამ მის არსებობას ვარაუდობენ თრთ-ი-ს ტიპის ფორმები.

ამრიგად, კრთ-ებ-ი-ს — კრთ-ი-ს მიმართება ქართული ენის რეალურ ვითარებად უნდა ჩაითვალოს. ეს არის სხვა ყველა ფუნქციის მიხედვით მსგავსი, მაგრამ დინამიკურობა-სტატიკურობის თვალსაზრისით დაპირისპირებული ფორმების სისტემა. ჩანს, იგი გაცილებით უფრო მეტ ფორმებს მოიცავდა, მაგრამ დღეს მხოლოდ ერთ ნაწილსღა შემორჩა სტატიკურ ფორმათა ხსენებული პრინციპით წარმოებული სტრუქტურა: კრთ-ი-ს, თრთ-ი-ს, ფრთხ-ი-ს, ძრწ-ი-ს, სხლტ-ი-ს, ხტ-ი-ს, ქრ-ი-ს...

სხვათა შორის, ამ ტიპის ფორმათა რეალურობაზე მათი შესაბამისი მასდარებიც მეტყველებენ. ესაა -ოლ და -ომ სუფიქსიანი მასდარები. ეს სუფიქსები ამოსავალ ზმნურ ფუძეში — ი ფორმანტის პოვნიერებას ვარაუდობენ და სწორედ ეს იძლევა შესაძლებლობას, რომ ამ მასდართა ჩვენებით აღვადგინოთ ზოგი ამჟამად გაუჩინარებული ფუძე. შდრ. მაგალითად:

კრთ-ოლ-ა||კრთ-ომ-ა — კრთ-ი-ს
სხლტ-ომ-ა — სხლტ-ი-ს
ხტ-ომ-ა — ხტ-ი-ს
თრთ-ოლ-ა — თრთ-ი-ს
ქრ-ოლ-ა — ქრ-ი-ს
რბ-ოლ-ა — რბ-ი-ს

ამისდა კვალობაზე საკმაოდ რეალურია:

დგ-ომ-ა — დგ-ი-ს
ჯდ-ომ-ა — ჯდ-ი-ს
წ-ოლ-ა — წვ-ი-ს
სხდ-ომ-ა — სხდ-ი-ს...

ხოლო თავის მხრივ, ფრთხ-ი-ს ფორმა *ფრთხ-ომ-ა ან *ფრთხ-ოლ-ა მასდარის აღდგენას შეგვაძლებინებს.

ზემოთ აღინიშნა, რომ ერთადერთ -ი სუფიქსიან ფორმად, რომელიც ზოგიერთი -ოლ ან -ომ სუფიქსიანი მასდარის საყრდენად შეიძლება ვიგულვოთ, II ხოლმეობითი ივარაუდება. ასეთებია, მაგალითად, რჩ-ომ-ა, წვდ-ომ-ა, ძღ-ომ-ა, მართლაც, ამ მასდარების შესაბამის ზმნებს -ი სუფიქსი მხოლოდ II ხოლმეობითში აღმოაჩნდებათ: და-რჩ-ი-ს, მი-ს-წვდ-ი-ს, გა-ძღ-ი-ს... სხვა შემთხვევებში ამოსავლად სტატიკური კრთ-ი-ს, სხლტ-ი-ს, ხტ-ი-ს ფორმები მიიჩნევა, მაგრამ წარმოშობით ესეც II ხოლმეობითის ფუძეა. ასე რომ, II ხოლმეობითის ფუძე საკმაოდ პროდუქტული აღმოჩნდა ახალ ფორმათა საწარმოებლად.. ამ პარადიგმის სიტყვათწარმოებითი არე კიდევ უფრო გაფართოვდება,. თუკი გავიხსენებთ ძველ ქართულში დამოწმებულ სა-თხრ-ოლ-ი, სა-გდ-ოლ-ი, ასევე: სა-ფრთხ-ოლ-ი ფორმებს ([132], 68—69), რომლებიც *თხრ-ოლ-, *გდ-ოლ-, *ფრთხ-ოლ- ფუძეებს ვარაუდობენ ამოსავლად, ეს უკანასკნელნი კი, თავის მხრივ, თხრ-ი-ს, *გდ-ი-ს, ფრთხ-ი-ს ფუძეებს... ცალკე დადგება *ფრთხ-ოლ-ა — ფრთხ-ილ-ი ტიპის მიმართების საკითხი, რამეთუ ფრთხ-ილ-ი ტიპის ფორმებისთვისაც საყრდენად -ი სუფიქსიანი ფორმები ივარაუდება ([132], 220).

XXVI

დგ-ი-ა, ჴდ-ი-ა, წვ-ი-ა ფორმები ზემოიმერულის ერთ-ერთ რეგიონშია დამოწმებული ([116], 185—186). სპეციფიკური ფორმებია, მაგრამ უეჭველია, რომ მათი რეალიზაცია არ არის შემთხვევითი და, ამდენად, ამის საფუძველი ენის შინაგან პოტენციაში უნდა ვეძიოთ. საქმე ის არის, რომ თვით სალიტერატურო ქართულისათვისაც არ არის უცხო ა-დგ-ი-ა ტიპის წარმოება, რომლის ერთ-ერთ სახეობასაც წარმოადგენს დგ-ი-ა ტიპი.

ეს ფორმები, რომლებიც თავისი ყალიბით ს-წერ-ი-ა ტიპის ფორმებს ამოუდგებიან გვერდით. უშუალო კავშირს ამყარებენ გარდამავალ და ორპირიან გარდაუვალ ზმნათა I თურმეობითებთან. კერძოდ:

	დინამიკური:	სტატიკური:
აწმყო:	დგ-ამ-ს	X
ნამყო ძირით.:	და-დგ-ა	X
I თურმეობითი:	და-უ-დგ-ი-ა→ (‖ და-უ-დგ-ამ-ს).	აწმყო: დგ-ი-ა

ამრიგად, აღმოჩნდა, რომ დგ-ი-ს და დგ-ი-ა ერთმანეთისაგან განსხვავდება საყრდენი პარადიგმის ამორჩევით: პირველისთვის II ხოლ-

მეობითის ფორმაა ამოსავალი, მეორე კი — I თურმეობითთან ამყარებს კავშირს.

ამ ტიპის ნაირგვარობა სხვა შემთხვევებშიც არის დამოწმებული:

	დინამიკური:	სტატიკური:
აწმყო:	ვ-დებ	X
ნამყო ძირით.:	და-ვ-დევ-(ი)→	აწმყო: დევ-ს
I თურმეობითი:	და-მ-ი-დვ-ი-ა→	აწმყო: დვ-ი-ა

ამრიგად, დევ-ს — დვ-ი-ა ამჟამად კი განიხილება ერთმანეთის მიმართ როგორც სალიტერატურო და დიალექტური ფორმები, მაგრამ თავისი წარმოქმნით ორივე სავსებით კანონზომიერი ფორმაა, ორივე უშუალო გამოხატულებაა ენის შინაგანი მიმართებებისა, ორივე ერთი და იმავე ფუნქციის გამომხატველია და განსხვავდება ერთმანეთისაგან იმით, რომ პირველი დეტერმინირებულია დინამიკური ზმნის ნამყო ძირითადის ფორმით, მეორე კი — იმავე ზმნის I თურმეობითით.

ამისდა კვალობაზე, დგ-ი-ა, ჯდ-ი-ა, წვ-ი-ა ფორმები, თუმცა იშვიათი ხმარებისაა და გავრცელების მიხედვითაც მცირე რეგიონითაა შემოფარგლული, მაინც სავსებით კანონზომიერი წარმონაქმნებია და ენის შინაგან შესაძლებლობათა უტყუარი გამოვლინება.

XXVII

ჯდენ-ა, წვენ-ა||წენ-ა ტიპის ფორმები ქვემოიმერულის უხუთურ მეტყველებაშია შენიშნული ([141], 293). ამოსავალი ამ ფორმებისათვის შესაბამისი მოქმედებითი გვარის ფუძეა: ა-ჯდ-ენ-ს, ა-წვ-ენ-ს, ა-დგ-ენ-ს. მოქმედებითის ეს ფუძეები თავის მხრივ სტატიკურ ფორმათა ფუძეებისაგან იწარმოება: ჯდ-ა→ა-ჯდ-ენ-ს, წვ-ა→ა-წვ-ენ-ს, დგ-ა→ →ა-დგ-ენ-ს. ასეთი რთული გზით მიღებულ ფუძეთა გამოყენება ქართულისათვის ერთეული არ არის. მაგალითად, წუხ-ს→მ-წუხ-არ-ი→ →მწუხარ-ებ-ს, სადაც წუხ-ს და მწუხარ-ებ-ს ფუნქციურად სავსებით ემთხვევა ერთმანეთს, შდრ. მაგალითად: „მწუხარებს სული მარტოეული, წუხს, რომ ერთი დღეც თვალს მიეფარა“ ([143], 26). ანალოგიური შემთხვევები ძველ ქართულშიც შეინიშნება, გვხვდება იგი „ვეფხისტყაოსანში“: „რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს, დაამჭნაროსა“ (სტრ. 352). და-ა-მჭნარ-ო-ს ფორმის ფუძე მიმღეობური წარმონაქმნია: მ-ჭნ-არ-ი, შეესაბამება „უნიშნო“ ენებითს: ჭნ-ებ-ი-ს (ჭკნ-ებ-ა) — და-ჭნ-ა — მ-ჭნ-არ-ი. მისი შესატყვისი მოქმედებითია: ა-ჭნ-ობ-ს — და-ა-ჭნ-ო, აქედან II კავშირებითის ფორმა: და-ა-ჭნ-ო-ს, სწორედ ამ უკანასკნელის ბადალია და-ა-მჭნარ-ო-ს ფორმა. პოეტური ლიცენციააო, ვიტყვით, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ თვით ამგვარი ფორმებიც ენის შინაგან კანონებს ექვემდებარებიან უთუოდ და სრული

თავისუფლება იმთავითვე გამორიცხულია. ანალოგიური რთული წარმონაქმნები საკმაოდ ხშირად გვხვდება ქართველ რომანტიკოსთა ენაშიც.

ამრიგად, ჯდ-ენ-, წვ-ენ- (→‖წ-ენ-), დგ-ენ- ფუძეები მოქმედებითი გვარის ფორმებიდან არის გადმოსული სტატიკურ ფორმებში. შევნიშნავთ: დგ-ენ-ა ფორმა ვერ დავადასტურეთ, ხსენებულ რეგიონში ჯდ--ენ-ა, წვ-ენ-ა ფორმათა გვერდით დამოწმებულია დგ-ან-ა, მაგრამ მთელი სისტემა გვავარაუდებინებს დგ-ენ- ფუძის შესაძლებლობასაც ამ შემთხვევაში. მოქმედებითი გვარის ხსენებული ფუძეები სტატიკურ ზმნათა სისტემაში გამოყენების დროს მეშველზმნიან წარმოებას გვიჩვენებენ. ასე რომ, აქაც მტკიცდება ენის ტენდენცია მეშველზმნიანი წარმოებით დაუპირისპიროს სტატიკური ფორმები დინამიკურს: დინამიკური (თანაც გარდამავალი!) ზმნის ფუძე მეშველი ზმნით გაფორმების შემდეგ სტატიკურობის ფუნქციის გამოხატვის უნარს იძენს:

I.	ვ-ჯდენ-ვარ	ვ-წენ-ვარ (←*ვ-წვენ-ვარ)
II.	ჯდენ-ხარ	წენ-ხარ (←*წვენ-ხარ)
III.	ჯდენ-ა (←*ჯდენ-არს)	წენ-ა (‖წვენ-ა).

გვაქვს თუ არა ანალოგიური სხვა შემთხვევები ქართულში?
გვაქვს და საკმაოდ ხშირადაც.

დინამიკური გაგებით:	სტატიკური გაგებით:
ვ-ჩივი (მე მას)	ვ-ჩივი-ვარ (მე)
ვ-ტყუი	ვ-ტყუი-ვარ
ვ-მღერი	ვ-მღერი-ვარ და მისთ.

ქართულში ცნობილი ფაქტია ზმნათა ერთი ნაწილის სინტაქსური ლაბილურობა: გამოიყენებიან ხან ორპირიანი, ხან ერთპირიანი ზმნების ფუნქციით: პირველ შემთხვევაში მოქმედებითი გვარის დინამიკურ ზმნებს უტოლდებიან ისინი, მეორე შემთხვევაში — სტატიკურებს. მორფოლოგიური სხვაობა კი არ იყო არც ძველ ქართულში და არ არის არც თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, მაგრამ დიალექტებმა (და აქედან — სალიტერატურო ზეპირმა მეტყველებამაც) სცადეს განსხვავების მორფოლოგიური გარჩევაც, დაპირისპირება და ამ მიზნით სტატიკურობის ფუნქციით გამოყენებულ ფორმებს მეშველი ზმნა დაურთეს.

სხვაობის ფორმობრივი გამოხატვის ცდა მაშინაც ხელშესახებია, როცა შედგენილ შემასმენლებთან გვაქვს საქმე (რადგან „ყოფნა“ მეშველი ზმნით წარმოებული შედგენილი შემასმენლები ფუნქციურად სწორედ სტატიკურ ზმნებს უტოლდებიან).

განსაკუთრებით საინტერესოა შემდეგი სახის დაპირისპირება:

დინამიკური:	სტატიკური:
ვ-ა-გდ-ებ	ვ-ა-გდ-ი-ვარ
ვ-ყრ-ი-თ	ვ-ყრ-ი-ვართ
ვ-ხატავ	ვ-ხატ-ი-ვარ და ა. შ.

ამ შემთხვევაში მეშველი ზმნა ს-წერ-ი-ა ტიპის სტატიკურ ფორმებთან არის გამოყენებული, რომლებიც როგორც თავისი სტრუქტურით, ასევე მეშველი ზმნის გამოყენებით სავსებით თანხვდებიან გარდამავალი და ორპირიანი გარდაუვალი ზმნების I თურმეობითებს. მეშველი ზმნის გამოყენება ამ ფორმებთან ახალი ქართულის თავისებურებაა, ძველი ქართულისათვის მეშველზმნიანი წარმოება უცხო იყო.

ამდენად, გაირკვა, რომ ენამ ამ შემთხვევაშიც მეშველი ზმნის დართვით დინამიკურ ზმნათა ფუძეს სტატიკურობის ფუნქციის გამოხატვის უნარი მიანიჭა (რამეთუ თვით გარდამავალი ზმნის I თურმეობითებიც, როგორც პერფექტის ფორმები, სტატისტიკურობის ფუნქციის მატარებელი არიან).

ამისდა კვალობაზე, ვ-ჯდენ-ვარ ტიპის ფორმები, წარმოების პრინციპის თვალსაზრისით, არ შეიძლება გამონაკლისებად მივიჩნიოთ. ენაში ანალოგიური ტენდენცია ოდითგანვე არსებულა და ეს ტენდენცია სხვადასხვა დიალექტმა სხვადასხვა ინტენსივობით გამოავლინა, იმავდროულად სხვადასხვა ფორმათა საწარმოებლად გამოიყენა. ამიტომაც, თითქოსდა „კერძო შემთხვევები“ ისევე სრულად ასახავენ ენის ზოგად ტენდენციებს, როგორც ენაში საყოველთაოდ ხმარებული ფორმები. ვადასტურებთ რა (თუნდაც ამ „კერძო შემთხვევების“ საშუალებით) ენაში მოქმედ ამა თუ იმ ტენდენციას, ამით ჩვენ მეთოდოლოგიურ ბაზისსაც ვქმნით სავარაუდო (უკვე არსებული და გამქრალი ან მომავალში მოსალოდნელი) ფორმების შესწავლისათვის. ეს კი ნიშნავს, რომ ყოველი ფორმის (კერძო, გარკვეული რეგიონით შემოსაზღვრულისა თუ საყოველთაოდ ხმარებულის) მიღმა უნდა ვეძიოთ ენის შემოქმედებითი ტენდენციები და თითოეული ფორმა სწორედ ამ შემოქმედებითი პოტენციის გამოვლინებად უნდა დავსახოთ. ამ შემთხვევაში კი ერთნაირი მეცნიერული ღირებულებისა აღმოჩნდება რომელიმე კერძო ინოვაცია და ქართული ენის არსებობის მთელ მანძილზე გამოყენებული ფორმები.

XXVIII

ვაანალიზებთ შემდეგ ფორმებს:

*დგ-ან-ს, *ჯდ-ან-ს *წვ-ან-ს და დგ-ან-ა, ჯდ-ან-ა, წვ-ან-ა.

აშკარაა, რომ ამ ორი რიგის ფორმებს ერთი და იმავე პრინციპით წარმოქმნილი ფუძე მოეპოვება:

დგ-ან-, ჯდ-ან-, წვ-ან-.

სხვაობა ამ ფუძეთა მორფოლოგიურ გაფორმებაშია.

ფუძის მაწარმოებლად -ან ფორმანტი გამოიყოფა, რომლის შესახებაც ზემოთაც გვქონდა საუბარი. ამ ფორმანტის გამოყენება თემის ნიშნის ბადლად კანონზომიერი მოვლენა ჩანს. ამ ფუნქციით იგი ფაქტობრივ არის დამოწმებული მესხურში:

ხნ-ან-ს = ხნ-ავ-ს
თეს-ან-ს = თეს-ავ-ს
ა-კეთ-ან-ს = ა-კეთ-ებ-ს... ([140], 147—148).

ამჯერად ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა იმავე დიალექტში დამოწმებული კოპლ-ან-ხარ, ქეიფ-ან-ს ფორმები ([140], 148), რადგან აქ -ან სტატიკურ ზმნათა ფუძის მაწარმოებლადაა გამოყენებული (უტოლდება -ობ თემის ნიშანს).

სახელზმნათა ჩვენება (ტკივ-ილ-ი — მ-ტკივ-ან-ი), როგორც ზემოთ აღინიშნა კიდეც, უშუალოდ უნდა მიგვანიშნებდეს ზმნურ ფუძეთა სტრუქტურაზე. სახელზმნის ეს ორი ფორმა, მისი ფორმობრივი სტრუქტურა მხოლოდ მაშინ აიხსნება, თუ ერთმანეთის პარალელურად ორი ზმნური ფორმის შესაძლებლობას ვივარაუდებთ: ს-ტკივ-ი-ს და ს-ტკივ-ან-ს. პირველი ფაქტობრივ არის დამოწმებული ძველ ქართულში, მეორე — თეორიულადაა აღდგენილი, მაგრამ ამ აღდგენას თავისი უცილობელი საფუძველი აქვს (იხ. ზემოთ). *ს-ტკივ-ან-ს ტიპის ფორმათა უშუალო ფონეტიკური ვარიანტი უნდა იყოს ამჟამად ხმარებული ს-ტკივ-ა, სადაც ბოლოკიდური -ა III სუბიექტური პირის ნიშანი კი არ არის, არამედ -ან-ს კომპლექსის გამარტივების შედეგად დარჩენილი ბგერა. აქ ისეთივე ვითარებაა, როგორიც გვაქვს მი-ვალ-ს—მი-ვა ფორმის შემთხვევაში. ამისდა კვალობაზე, ადვილად აიხსნება ჩივ-ი-ს, კივ-ი-ს ფორმათა პარალელურად დიალექტური ჩივ-ა, კივ-ა ვარიანტების არსებობა, შდრ.:

ჩივ-ი-ს — *ჩივ-ან-ს→ჩივ-ა
კივ-ი-ს — *კივ-ან-ს→კივ-ა
ყივ-ი-ს — *ყივ-ან-ს→ყივ-ა
ტყუ-ი-ს — *ტყუვ-ან-ს→ტყუვ-ა და ა. შ.

ჩივ-ი-ს ტიპი იძლეოდა ჩივ-ილ-ი ტიპის სახელზმნებს, *ჩივ-ან-ს ტიპი — მ-ჩივ-ან-ი ტიპისას. ერთმანეთის მიმართ ეს ფორმები დიალექტური ვარიანტები არ უნდა ყოფილიყო: მაშინ აუხსნელი დარჩებოდა

ძ-ჩივ-ან-ი ტიპის მიმღეობათა არსებობა სალიტერატურო ენასა და ყველა დიალექტში. თუ ასეა, პარალელური ფორმებისათვის ოდინდელი ფუნქციური სხვაობა უნდა ვივარაუდოთ. ფუნქციური დაპირისპირების მოშლამ (რაიც უშუალო შედეგია ფორმათა აბსტრაჰირებისაკენ მისწრაფებისა) სხვადასხვაგვარად გადაანაწილა ეს ფორმები დიალექტების მიხედვით: ზოგან ჩივ-ი-ს ტიპი შემორჩა (და აქედან გადავიდა სალიტერატურო ენაში), ზოგან — *ჩივ-ან-ს→ჩივ-ა ტიპი. მაშასადამე, რომელიმე ჩივ-ა, კივ-ა, ტყუვ-ა ფორმები დიალექტური წარმონაქმნი კი არ არის, არამედ დიალექტებში შემორჩენილი უძველესი ვითარების კვალი.

ამავე პრინციპით აიხსნება შემდეგი ფორმების არსებობა:

ჩხავ-ი-ს — *ჩხავ-ან-ს→ჩხავ-ა
ბღავ-ი-ს — *ბღავ-ან-ს→ბღავ-ა
კნავ-ი-ს — *კნავ-ან-ს→კნავ-ა და მისთ.

ზემოხსენებული ჩივ-ა, ყივ-ა ფორმები არ უნდა აღვრიოთ ძველ ქართულში დამოწმებულ ყივ-ა ფორმასთან, რომელიც ნამყო ძირითადია ([128], 484) და, ამდენად, სულ სხვა წარმოშობისა და სტრუქტურისაა. ამ შემთხვევაში ბოლოკიდური -ა პირის ნიშანია (ისევე როგორც ძველი ქართულის დგ-ა, ჯდ-ა, წვ-ა ნამყო ძირითადის ფორმებში) და არა -ან ფორმანტის გამარტივების შედეგი; ანალოგიურად: დგ-ა ფორმაში -ა პირის ნიშანია, მაგრამ ვ-დგა ფორმის ბოლოკიდურ -ა ელემენტს კი არაფერი აქვს საერთო პირის ნიშანთან (მიღებულია -ან ფორმანტის გამარტივებით).

ეს წინასწარი შენიშვნები უკვე ცხადყოფენ დგ-ან, ჯდ-ან, წვ-ან ფუძეთა წარმომავლობასა და შედგენილობას.

ამ ფორმათა ჩამოყალიბების პროცესი ასე წარმოგვიდგება:
*ვ-დგ-ან—ვ-დგ-ა—ვ-დგ-ა-ვარ (—ვ-დგ-ე-ვარ)
*ს-დგ-ან—ს-დგ-ა—დგ-ა-ხარ (—დგ-ე-ხარ)
*დგ-ან-ს—დგ-ა-ს— (დიალექტ.: დგ-ა).

ხსენებული ფუძე სხვა გაფორმებითაც უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი: დგ-არ-. ეს ფუძე ზემოიმერულშია დამოწმებული და ფაქტობრივ დასტურდება როგორც მხოლობით, ასევე მრავლობით რიცხვში: დგ-არ-ს — დგ-არ-ენ‖დგ-არ-ან ([141], 193). ეს ფუძე რომ შემთხვევითი ან ფონეტიკური ცვლილების შედეგი არ არის, ამას შესაბამისი მიმღეობის ფორმაც წარმოაჩენს (მ-დგ-არ-ი).

დგ-ან- — დგ-არ- ტიპის ფუძეთა დაპირისპირება ქართულში ერთეუ-

ლი არ არის (იხ. ზემოთ); კანონზომიერია ე-გახმოვანებით წარმოდგენილ ფუძეებთან დაპირისპირებაც: ა-დგ-ენ-ს — და-ა-დგ-ერ.

შესაბამისად: *ჯდ-ან-ს—ჯდ-ა-ს, უკანასკნელი ფორმა დამოწმებულია ქვემოქართლურში („ხეზე ერთი ქალი ჯდას“, [112], 222).

ამრიგად, გაირკვა, რომ დგ-ა-ს, დგ-ან-ა, დგ-ენ-ა, დგ-ი-ა... ტიპის პარალელურ ფორმათა არსებობის მიზეზი არის ნაირგვარი ამოსავალი ფუძის ამორჩევა.

ერთი საკითხიც, წმინდა ფორმობრივი ხასიათისა: გვაქვს როგორც დგ-არ-ან, ასევე წევ-რ-ან ([141],65, 216). მათი ფონეტიკური თუ მორფოლოგიური ვარიანტები ამჟამად არ გვაინტერესებს, ყურადღებას იპყრობს სტრუქტურის აგების პრინციპი, კერძოდ: თუ ძირეული მორფემა ნულგახმოვანებითაა წარმოდგენილი, ფუძის დეტერმინანტი სრულხმოვნიანია: დგ-არ-, ხოლო თუ ძირეული მორფემა სრულხმოვნიანია, მაშინ დეტერმინანტი ნულგახმოვანებითაა წარმოდგენილი: წევ-რ-. სხვათა შორის, ინდოევროპული ფუძის ანალოგიური ფორმობრივი დახასიათება ჯერ კიდევ ე. ბენვენისტმა ივარაუდა ([144], 181—184). ქართულშიც, სულ სხვა სისტემის ზმნების კვლევისას, აღინიშნა ანალოგიური დაშვების შესაძლებლობა ([103], 377—378). სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ეს თეორია თვით ინდოევროპეისტებშიც იწვევს ხშირ კამათს და ვერც ქართულში დაიყვანება მრავლისაგან მრავალი ზმნური ფუძე ხსენებულ სტრუქტურებამდე.

XXIX

ზმნური ფუძეების დახასიათებისას ცალკე დაისმის ნასახელარ ზმნათა საკითხი. ნასახელარ ზმნათა წარმოების ნაირგვარი პრინციპია ქართულში გამოყენებული. მრავლისაგან მრავალ შემთხვევაში სახელის ფუძე აშკარად წარმოჩნდება ზმნურ ფორმაში: ა-ერთ-ებ-ს, ა-ერთიან-ებ-ს, ა-თეთრ-ებ-ს... ბარ-ავ-ს, კეტ-ავ-ს... თოხ-ნ-ი-ს... სადილ-ობ-ს და სხვანი. ნაირგვარი წარმოება ხშირად ნაირგვარ ფუნქციას წარმოაჩენს: ა-ერთ-ებ-ს, ა-თეთრ-ებ-ს ყალიბის მქონე ფორმები გარდაქცევითობას გამოხატავენ, ბარ-ავ-ს, თოხ-ნ-ი-ს ტიპის ყალიბი — ინსტრუმენტატივს. ეს ყალიბები კარგად ცნობილიცაა და გამოწვლილვით შესწავლილიც ქართულში. სახელის ფუძის გამოყენება ზმნურ ფორმათა წარმოებისას ფაქტიურად შეუზღუდავია, რაიმე ამკრძალავი წესი აქ არ მოქმედებს (იგულისხმება სიტყვათწარმოებითი თვალსაზრისით) და თუ რომელიმე სახელის ფუძე ზმნურ ფორმებში არ არის გამოყენებული, ამის მიზეზია არა წარმოების შეუძლებლობა, არამედ საჭიროების უქონლობა. ძველი ქართული ენის ძეგლებშივე გვხვდება უამრავი ნასახელარი ფორმა, რომელთაც ფართო გავრცელება არ

მოუპოვებიათ: მღდელ-ობ-ს, კათალიკოზ-ობ-ს, ბრძნ-ობ-ს||ბრძენ-ობ-ს, ღონიერ-ობ-ს, მწირ-ობ-ს, ჟამ-ობ-ს, მეუფ-ებ-ს და სხვა მისთ. „ვეფხისტყაოსანში“ არის დამოწმებული: გა-ე-ტურფ-ა, ე-წაღმართ-ნ-ა, ს-დიდ-ობ-ს, ი-ირმ-ო-ს, ი-თხ-ო-ს, ფლიდ-ობ-ს, გა-ბედით-დ-ა, გა-ი--კლდე-ო, ა-სუდარ-ებ-ს, ა-ზეწარ-ებ-ს, უ-ათას-დ-ა და სხვანი. დ. გურამიშვილის პოეზიაში გვხვდება: მაგრ-ობ-ს, ჩაგრ-ობ-ს, ბადრ-ობ-ს, ავდრ-ობ-ს... ალ. ჭავჭავაძესთან: ვის-ობ (ანუ: ვისის მსგავსად იქცევი), მხევლ-ობ-ენ, მძევლ-ობ-ენ, გრილ-ობ-ენ, მუშაკ-ობ-ს... ხალხურ ზეპირსიტყვიერებაშია დადასტურებული: კელაპტარ-ობ-დ-ა, აბეზარ-ობ--დ-ა, ჩქამ-ობ-დ-ა, ნიავქარ-ობ-დ-ა და სხვანი. ვფიქრობთ, საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ საჭიროების შემთხვევაში ნასახელარ ზმნათა წარმოება მართლაც შეუზღუდავია.

ნასახელარ ზმნათა სისტემაში სახელზმნებისაგან ნაწარმოები ზმნური ფორმებიც უნდა გავითვალისწინოთ, მით უფრო, რომ სახელზმნათა ერთ ნაწილში ზმნური გაგების ნატამალიც აღარ რჩება. ჩვეულებრივ ეს გასუბსტანტივებული სახელზმნებია.

არის რამდენიმე ზმნა, რომელთა ფუძეც მასდარული წარმოშობისაა, საკუთრივ ზმნური ფუძე, ფაქტობრივ დამოწმებული ძველ ქართულსა და ზოგიერთ დიალექტში, თანამედროვე ქართულში აღარ ფუნქციონირებს. ამ ზმნათა რიგს განეკუთვნება: ა-სწაელ-ი-ს, წყაევლ--ი-ს... ამავე რიგისაა გრძ-ელ-, წით-ელ- ტიპის ფუძეებიც, რომელთათვისაც შესაბამისად განა-გრძ-ო და წით-ს ზმნური ფუძეებია საყრდენი:

იყო:
წყაევ- → წყაევ-ს... / წყაევ-ლ-ა
სწავ- → ა-სწავ-ებ-ს — ა-სწავ-ა / სწავ-ლ-ა
წით- → წით-ს / წით-ელ-ი

არის: წყაევლ- → წყაევლ-ი-ს
სწავლ- → ა-სწაელ-ი-ს
წითელ- → ა-წითლ-ებ-ს

როგორც ვხედავთ, ფუძეთა სტრუქტურა იცვალა, ამოსავალი აღმოჩნდა მასდარული ფუძე.

განსაკუთრებით საინტერესოა უღვლილების სისტემის ჩამოყალიბების თვალსაზრისით ის ფორმები, რომელთაც, მართალია, მოეპოვებათ საწყისი ზმნური ფუძე, მაგრამ უღვლილების ზოგიერთ პარადიგმში სახელზმნური წარმოშობის ფუძეს გამოიყენებენ ხოლმე:

აწმყო: ი-ბრძ-ი-ს → მასდარი: ბრძ-ოლ-ა
ნამყო უსრ.: ი-ბრძ-ოდ-ა
მყოფადი: ი-ბრძოლ-ებ-ს
ნამყო ძირ.: ი-ბრძოლ-ა

ამრიგად, აწმყოს წრისა და ყველა სხვა დანარჩენ პარადიგმებს შორის გამაშუალებლად გამოდის მასდარული წარმოშობის ფუძე.

საკუთრივ ზმნური და მასდარული ფუძეები ზოგჯერ ერთმანეთის პარალელურად ფუნქციონირებს ენაში:

ზმნა (1):	მასდარი:	ზმნა (2):
ე-ძებ-ს→	ძებ-ნ-ა→	ძებნ-ი-ს

იგივე ითქმის ზოგიერთ მიმღეობურ ფუძეზეც:

ზმნა (1):	მიმღეობა:	ზმნა (2):
ი-ღ-ებ-ს→	ა-ღებ-ულ-ი→	ღებულ-ობ-ს და სხვანი.

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ერთმანეთის პარალელურად ფაქტიურად ორი მთლიანი სისტემა ფუნქციონირებს, რომელთაგან ერთი საკუთრივ ზმნურ ფუძეს იღებს საყრდენად, ხოლო მეორე — მასდარული წარმოშობის ფუძეს:

	I სისტემა:		II სისტემა:
რეკ-ს →	ირეკ-ებ-ა რაკ-უნ-ი რეკ-ა და-რეკ-ილ-ი	—— რაკ-უნ-ი→	ა-რაკუნ-ებ-ს ე-რაკუნ-ებ-ა რაკუნ-ობ-ს
ქღერ-ს→	ა-ქღერ-ებ-ს ქღერ-დ-ებ-ა ქღარ-უნ-ი ქღერ-ა	——→ ქღარ-უნ-ი—	ა-ქღარუნ-ებ-ს ე-ქღარუნ-ებ-ა ქღარუნ-ობ-ს

ამავე რიგისაა:

ტყეპ-ს→ტყაპ-უნ-ი→ა-ტყაპუნ-ებ-ს
სჭეპ-ს→სხაპ-უნ-ი→ა-სხაპუნ-ებ-ს
ჩქეფ-ს→ჩქაფ-უნ-ი→ა-ჩქაფუნ-ებ-ს
ლეწ-ს→ლაწ-უნ-ი→ა-ლაწუნ-ებ-ს და ა. შ.

იშვიათად, მაგრამ მაინც არის დამოწმებული სახელადი ფუძ-ე ზმნურ ფუძედ ქცევის ტენდენცია. ძირითადად ესაა ფუძედრეკადი ზმნები, რომელთა ფუძე ზმნურ სისტემებში არ სეგმენტირდება.

სახელადი ფუძე:	ზმნური ფუძე:
თვალ- (თვალ-ი)	თვლემ- (თვლემ-ს)
ფხა	ფხეკ- (ფხეკ-ს)
რქა	რქენ- (რქენ-ს)
კვალ- (კვალ-ი)	კვლევ- (ი-კვლევ-ს)
ძალ- (ძალ-ი‖ძალ-ა)	ძლევ- (ს-ძლევ-ს, ა-ძლევ-ს).

ეს ტენდენცია ენის განვითარების ადრეულ ეტაპზევე იჩენს თავს და ფრიად ღირსაცნობია ფუძეთა დინამიკის თვალსაზრისით.

XXX

სახელად და ზმნურ ფუძეებთან დაკავშირებით ე. წ. ნეიტრალური ფუძის საკითხსაც უნდა შევეხოთ.

არნ. ჩიქობავა შენიშნავს: „ძვ. ქართულის არა ერთი მაგალითი ვიცით, რომელთა მიხედვით შეიძლება გავითვალისწინოთ, რა ხასიათის უნდა ყოფილიყო გაუდიფერენცირებელი ფუძე, უკეთ, ძირი, სანამ მას დეტერმინანტები დაერთვოდა: წით-: წით-ს — ზმნაა, წით-ელ- სახელია... წუხ-: წუხ-ს ზმნაა, წუხ-ელ- სახელია... რას წარმოადგენს ეს გაუდიფერენცირებელი ფუძე — წით-, წუხ- — სახელის ფუძეს თუ ზმნისას? ნეიტრალურ მონაცემს, რომელიც სახელმაც შეიძლება გამოიყენოს და ზმნამაც, მაგრამ რომელიც თავისთავად არც ერთია და არც მეორე. და მაინც ასეთი მონაცემი სახელთან უფრო ახლოს უნდა იყოს... სახელის ფუძის დეტერმინანტები შეიძლება ზმნის ფუძეშიც აღმოჩნდეს“. ([132], 121). იმავდროულად, ქართველური ენებისათვის დამახასიათებლად მიიჩნევა „საერთო ფორმანტების მქონებლობა სახელისა და ზმნისათვის; უპირველეს ყოვლისა ეს ფუძის მაწარმოებელი აფიქსებია, როგორებიცაა: -ან: ვ-ც-ან, დაბ-ან...“ ([149], 267, 274).

საერთოდ, ზმნური და სახელადი ფუძეების მორფოლოგიური გაფორმების დროს ორი შესაძლებლობაა:

1. ზმნა და სახელი იყენებს ერთსა და იმავე აფიქსებს.
2. ზმნა და სახელი იყენებს სხვადასხვა აფიქსს.

რა თქმა უნდა, ნებისმიერ თანამედროვე ენაში ამგვარი სწორხაზოვანი განდასება არ გვხვდება: გვაქვს ფორმანტები, რომლებიც ზმნებთანაც გვხვდება და სახელებთანაც (მაგალითად, ქართულში მრავლობითობის -ნ) და ფორმანტები, რომლებიც ან მხოლოდ ზმნებთან გვხვდება, ან მხოლოდ სახელებთან.

რით არის გამოწვეული ფორმანტთა საერთოობა ან მათი მკვეთრი სპეციფიკური განდასება?

ეს ფაქტი ადვილად აიხსნება: მსგავსი კატეგორიის მქონებლობა შესაძლებლობას იძლევა (თუმცა არა ყოველთვის!) გამოვიყენოთ ერთი და იგივე ფორმანტები როგორც სახელებთან, ასევე ზმნებთან. სახელისა და ზმნისათვის განსხვავებული, სპეციფიკური კატეგორიების მქონებლობა განაპირობებს მკვეთრად დაპირისპირებული ფორმანტების გამოყენებას. მაგრამ ყველაფერი ეს შეეხება მორფოლოგიური კატეგორიების დონეს. ზემოხსენებული ორი შესაძლებლობა კი უშუალოდ ფუძის გაფორმებას გულისხმობს. დასადგენია ამ ორი შესაძლებლობის

მიმართება ნეიტრალური ფუძის ცნებასთან. რახან „ნეიტრალური ფუძის ცნებასთან მიმართება“ ვახსენეთ, უკვე ნათელია, რომ ამჯერად ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ საკითხის წმინდა თეორიულ მხარეზე, კერძოდ, ორი დებულების ლოგიკურ შეთავსებულობაზე. ამისდა კვალობაზე, ნეიტრალური ფუძის ცნება შეუთავსებელი აღმოჩნდება დებულებასთან, რომლის თანახმადაც, ერთსა და იმავე ფორმანტს შეეძლო მირთვოდა სახელად და ზმნურ ფუძეებს, მაგრამ შეთავსებადია მეორე დებულებასთან, რომლის მიხედვითაც, სახელად და ზმნურ ფუძეებს თავ-თავისი სპეციფიკური ფორმანტები მოეპოვებოდა.

ამრიგად, გვაქვს:

თ ე ზ ი ს ი:

დავუშვათ, რომ ისტორიულად არსებობდა ნეიტრალური ფუძეები, რომლებიც სათანადო გაფორმების შედეგად გვაძლევდნენ სხვადასხვა მეტყველების ნაწილს. ერთი და იგივე ამოსავალი მონაცემი რომ შემდგომ განსხვავების შესაძლებლობას იძლეოდეს, ამისთვის აუცილებელი პირობაა: 1. ან კონსტრუქციაში სპეციფიკური პოზიციის მქონებლობა, 2. ან ყოველი წარმოებული მონაცემისათვის სპეციფიკური მორფოლოგიური ინვენტარის მქონებლობა.

ამ შემთხვევაში საყრდენი, ამოსავალი მონაცემი ერთი და იგივეა, ნეიტრალურია, მაგრამ მკვეთრად დიფერენცირებულია მაწარმოებლები (ან, ზოგჯერ, პოზიცია); ამიტომ სახელსა და ზმნას (ან მეტყველების სხვა ნაწილებს) ერთი და იგივე მაწარმოებელი ვერ ექნება (შეუძლებელი გახდებოდა მათი ფორმობრივი განსხვავება).

ა ნ ტ ი თ ე ზ ი ს ი:

დავუშვათ, რომ მეტყველების ნაწილები იმთავითვე განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან არა მხოლოდ ფუნქციით, არამედ ფორმითაც. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მეტყველების ყველა ნაწილს თავისი სპეციფიკური ფუძე მოეპოვებოდა. ასეთ შემთხვევაში სრული შესაძლებლობაა იმისა, რომ მათთან გამოყენებულ იქნენ ერთი და იგივე აფიქსები, რადგან შემდგომი განუსხვავებლობის საშიშროება აქ არა გვაქვს (სხვაობა ამოსავალ ელემენტშივეა მოცემული).

ამ დროს დიფერენცირებულია თვით საყრდენი მონაცემი, ამიტომაც შეუზღუდავია ერთი და იმავე ფორმანტთა გამოყენება.

აქ ფორმობრივ სხვაობაზეა საუბარი, ფორმის სტრუქტურულ ნიშანზე (რა თქმა უნდა, ერთ-ერთი უმთავრესი მნიშვნელობა ფორმობ-

რივ მიმართებებსაც ენიჭება). არის სხვა შესაძლებლობაც: საქმე ეხება ფუნქციურ სხვაობას. ფუნქციურ სხვაობასო, რომ ვამბობთ, ვგულისხმობთ სწორედ წმინდა ფუნქციურ სხვაობას: ქალ- და კალ- აბსოლუტურად ერთი და იმავე სტრუქტურის მქონე მონაცემებია, მაგრამ ფუნქციური სხვაობა მათ შორის უზარმაზარია: პირველი სახელის ფუძეა (ქალ-ი), მეორე — ზმნისა (მო-ჰ-კალ). ეს ფაქტი არ უნდა აირიოს მოჩვენებით სტრუქტურულ მსგავსებასთან: რომელიმე „გველის“ ფორმა არსებითი სახელის პარადიგმიც შეიძლება იყოს (გველი, გველმა, გველს, გველის...) და ზმნის პარადიგმიც (მელის ის მე, გველის ის ჩვენ), მაგრამ სტრუქტურული შენება ამ ომოფორმებისა სავსებით განსხვავებულია: პირველ შემთხვევაში გვექნება გველ-ის, მეორე შემთხვევაში გვ-ე-ლ-ი-ს...

საბოლოოდ კი იმის თქმა შეიძლება, რომ არც ძველ და არც ახალ ქართულში ფუძეთა განაწილების დროს არცერთი ზემოხსენებული ნიშანი არ არის მკვეთრად წარმოჩენილი. ერთი ტიპის მაგალითები ერთ ვარაუდს უპერენ მხარს, მეორენი — მეორეს. რაც რეალურად ხელშესახებ სხვაობას იძლევა როგორც ფორმობრივი, ასევე ფუნქციური თვალსაზრისით, უპირველესად ეს არის შინაგანი ურთიერთმიმართებანი, რომლებიც მეტყველების ნაირგვარ ნაწილებში გამოყენებულ ფუძეებს ნაირგვარი აქვთ.

თქმული მთლიანად და სავსებით არ გამორიცხავს ნეიტრალური ფუძეების არსებობის შესაძლებლობას ოდინდელ ქართულში, მაგრამ მარტოოდენ ფაქტობრივ დამოწმებული (თეორიულად აღუდგენელი) მასალით ამის დასაბუთება გარკვეულ წინააღმდეგობას აწყდება უთუოდ. მეტიც: ნეიტრალური ფუძეების ერთი ნაკადი უეჭველად წარმოჩნდება კიდეც ენაში, მაგრამ ჩვენ ამ ფაქტის მთლიანად ენის სტრუქტურულ თავდაპირველ ნიშნად მიჩნევის შესაძლებლობაზე ვლაპარაკობთ ამჯერად. ეს შესაძლებლობა კი უფრო მყარ დადასტურებას მოითხოვს, ვინემ ახლა გვაქვს...

XXXI

ზემოთ წარმოდგენილი ანალიზის საფუძველზე ფუძის რაობის თეორიული განსაზღვრაც ხდება შესაძლებელი:

1. ყოველ მოცემულ სტრუქტურაში სტრუქტურული ელემენტების მიმართ ფუძე მდგრადი (უცვლელი) ელემენტია;

2. ყველაფერი ის, რაც საყრდენია ნებისმიერი ფორმისა ან ფორმათა სისტემისათვის, ფუძედ უნდა იწოდოს.

ეს არის ფუძის ფორმობრივი განმარტება.

საყრდენი ელემენტი განხილება როგორც ფორმობრივი მთლიანო-

ბა და, რაც უნდა რთული შედგენილობისა იყოს, მოცემული ფორმის ფარგლებში არ სეგმენტირდება, მოცემული ფორმის მიმართ დაუშლელია. მაგალითად, დგ-ომ- ფუძე რთული შედგენილობისაა, გამოიყოფა ორი სეგმენტი (დეგ→დგ- და -ომ), სადაც მეორე სეგმენტი თავისთავად ფორმანტია, მაგრამ „დგომა“ ფორმაში იგი დაუშლელი მთლიანობაა: ეს ფორმა დანაწევრდება ასე: დგომ-ა (სადაც დგომ- ფუძეა) და არა ასე: დგ-ომ-ა. შემდეგ: „მდგომარე“ ფორმა თავისთავად რთული შედგენილობისაა (მ-დგ-ომ-არ-ე), მაგრამ ფორმაში „მდგომარეობს“ იგი შესულია როგორც დაუნაწევრებელი მთლიანობა, რადგან ამ ფორმის ფუძეს წარმოადგენს (მდგომარე-ობ-ს). ასევე: რომელიმე „მალავდ“ მონაცემი შესაძლოა დაშლადი იყოს ან დაუშლელი იმის მიხედვით, თუ რა სტრუქტურულ გარემოცვაში მოხვდება იგი: მალავ-დ-ა ფორმაში იგი დაშლადია, რადგან ამ შემთხვევაში უწყვეტლის ფორმას აწარმოებს, მაგრამ მალავდ-ე-ს ფორმაში — დაუშლელია, რადგან აქ იგი ფუძეა, საყრდენია გარკვეული ფორმისათვის.

ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, თითქოს გამოვრიცხავდეთ ზემოხსენებული ელემენტების სეგმენტირების აუცილებლობას, მაგრამ ეს უნდა გაკეთდეს კლებადი სირთულის პრინციპით: მდგომარე-ობ-ს→მ-დგომარე→*დგომარ-ე→*დგომ-არ→დგომ-→დგ-ომ-→დგ-→დეგ. ამის გათვალისწინება საჭიროა იმის გამო, რომ ყოველი კონკრეტული ფორმის ფარგლებში დადგინდეს რეალურად ქმედითი სეგმენტი და თუკი ამ პრინციპს გავიზიარებთ, მაშინ ხომ აშკარაა, რომ რომელიმე „მდგომარეობ-ს“ ფორმისათვის რეალური ღირებულება აქვს სწორედ მდგომარე- ფუძეს და არა მის შემადგენელ ელემენტებს ცალ-ცალკე. ეს უკანასკნელნი სულ სხვა სისტემის კუთვნილებაა. მაშასადამე, მოცემული ფორმისათვის უნდა გამოიყოს მხოლოდ ის, რასაც მისი არსებობისა და ფუნქციონირებისათვის აქვს ღირებულება.

XXXII

ფუძის ფუნქციური დახასიათებისას მარტოოდენ ლექსიკური მნიშვნელობის გათვალისწინება (რაც ამგვარ განმარტებათა აბსოლუტური უმრავლესობისათვისაა ნიშანდობლივი) რეალურ ვითარებას ნაკლები სიზუსტით წარმოგვიდგენს. რასაკვირველია, ლექსიკური მნიშვნელობის მქონებლობა ერთ-ერთი ძირითადი ნიშან-თვისებაა ფუძისა, მაგრამ მხოლოდ იგი არ განსაზღვრავს მის სტატუსს. ფუძის ფუნქციურ დახასიათებაში აუცილებლად უნდა შევიდეს მის გრამატიკულ მნიშვნელობაზე მინიშნებაც. ფუძეს ორი სისტემური ფუნქცია მოეპოვება: ლექსიკური და გრამატიკული, განსხვავებით ფორმანტისაგან, რომელიც მხო-

ლოდ გრამატიკული ფუნქციითაა დატვირთული (შდრ.: [147], 135—136). ფუძის ორივე ფუნქცია სტრუქტურის შემადგენელ ელემენტებთან მიმართებაში დგინდება, და ერთიც: ზემოთქმული გვიჩვენებს, თუ რატომ არ გულისხმობს ყოველი ახალი ფუძე ყოველთვის ახალ ლექსიკურ მნიშვნელობას.

ნათქვამის სისწორეში ადვილად დაგვარწმუნებს მაგალითი. რომელიმე წერ-ს ფორმაში ორი სეგმენტი გამოიყოფა: წერ- (ფუძე) და -ს (ფორმანტი, პირის ნიშანი). ამათგან ფორმანტს ერთადერთი დანიშნულება აქვს: გამოხატოს III სუბიექტური პირის გრამატიკული ფუნქცია. ყველა დანარჩენი გრამატიკული ფუნქციის (გვარის, დროის, ქცევის, კილოსი...) პლუს ლექსიკური მნიშვნელობის გადმოცემა ფუძეს ეკისრება. რა თქმა უნდა, ამ ფუნქციებს იგი გადმოსცემს არა როგორც განყენებულად აღებული ელემენტი, არამედ სტრუქტურის შემადგენელ ელემენტებთან მიმართებაში. ამ შემთხვევაში (პირის ნიშნის გარდა) ეს ელემენტები ნულოვანია, მაგრამ ამ ნულს შეიძლება ჩაენაცვლოს -დ (0: -დ) და ეს ნამყო უსრულის (უწყვეტლის) ფუნქციას შემოიტანს ფორმაში (წერ-დ-ა), ან -ო (0: -ო) და მაშინ პირობითობის, სურვილობის ფუნქცია წარმოჩნდება და ა. შ. როცა რომელიმე ფორმანტით გართულებული ფორმა ფუძედ დაედება სხვა ფორმას, მაშინ ამ უკანასკნელში ძალაუნებურად ის გრამატიკული ფუნქციაც შემოდის, რომელიც ამ ფორმანტით გადმოიცემა: წერდ- სეგმენტისათვის, რომელიც ფორმაა უწყვეტელისა (წერ-დ-ა), მაგრამ ფუძეა აწმყოს კავშირებითისათვის (წერდ-ე-ს), დამახასიათებელია, ყველა დანარჩენის გარდა (რაც წერ- სეგმენტისათვისაა ნიშანდობლივი), განგრძობითობისა თუ მრავალგზისობის ფუნქციაც და იგი შეაქვს კიდეც მას აწმყოს კავშირებითის ფორმაში. ასე რომ, აქ რთულ ფუნქციურ სტრუქტურებზეც შეგვიძლია ვილაპარაკოთ...

მაშასადამე, გამოირკვა, რომ ენობრივი ფორმის ყველა მონაკვეთს მოეპოვება გრამატიკული ფუნქცია: ის მონაკვეთი კი, რომელიც დამატებით ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელიცაა, წარმოადგენს ფუძეს. შესაბამისად, ფუძის ფუნქციური განმარტება ასეთი იქნება: ნებისმიერი ენობრივი მონაცემის ის მონაკვეთი, რომელსაც მოეპოვება ლექსიკური ფუნქციაც და გრამატიკული ფუნქციაც, არის ამ ენობრივი მონაცემის ფუძე.

XXXIII

ზემოთქმულის საფუძველზე, ფორმობრივ-ფუნქციურად ფუძე ასე განიმარტება:

ენობრივი სტრუქტურის ის მონაკვეთი (სეგმენტი), რომელიც მდგრადია მოცემული სტრუქტურისათვის და საყრდენია ნებისმიერი ფორმისა ან ფორმათა სისტემისათვის და რომელსაც ერთდროულად მოეპოვება ლექსიკური და გრამატიკული ფუნქციები, წარმოადგენს ფუძეს. ვფიქრობთ, რომ ამგვარი განმარტება საშუალებას იძლევა, განვიხილოთ ფუძე მისსავე ფუნქციონირებაში, დინამიკაში.

თავი V

ზმნურ ფუძეთა შენებისა და ურთიერთმიმართებების პრინციპები ქართულში

I

ფუძეთა შენების პრინციპები ნებისმიერ ენაში განსაზღვრავს არა მხოლოდ ცალკეულ ფორმათა სტრუქტურას, არამედ მთლიანად ენობრივ ფორმათა ურთიერთმიმართების სტატუსს. ეს იმიტომ, რომ ყოველი, თვით უმცირესი ენობრივი ერთეულიც კი, როგორც წესი, უშუალოდ ასახავს ენის შინაგან სტატუსს, უშუალოდ შეპირობებულია ენის შინაგანი თვისებით, განუხრელად ატყვია მისი ზემოქმედების ძალა. ყველაფერი ენაში, უმარტივესიდან ურთულესამდე, განისაზღვრება ერთი პრინციპით, ერთი დანიშნულებითა და მიმართულებით, რასაც ამა თუ იმ ენის იმანენტური არსი განაპირობებს. ამიტომაც ყოველგვარი „წინააღმდეგობანი“ ენაში უპირველესად მეტყველებენ თვით შესწავლის მეთოდებისა და საშუალებების არასრულფასოვანობაზე და არა ენის ჰეშმარიტ ვითარებაზე. რა თქმა უნდა, ყოველ ენაში მოქმედებს ურთიერთდაპირისპირებული მოვლენები, ამის გარეშე წარმოუდგენელიცაა ენის განვითარება, მაგრამ ამ მოვლენის არსი, სწორედ რომ დაპირისპირებულობაა და არა წინააღმდეგობა. წინააღმდეგობანი შეიძლება იყოს თეორიაში (მეთოდოლოგიაში), მაგრამ არასდროს — თვით საგანსა თუ მოვლენაში (ონტოლოგიაში). ყველაფერი ის, რაც თავისი მოქმედებით ამართლებს თავის მიზანს (და ენა კი სწორედ ამ რიგის მოვლენაა), არ შეიძლება იყოს წინააღმდეგობრივი. ამიტომაც ყველა ენობრივი ერთეული, მათი ურთიერთმიმართება უნდა განისაზღვროს ერთიანი კრიტერიუმით, გამონაკლისების, შესწორებებისა და დამატებების გარეშე.

II

ქართულ ზმნურ ფუძეთა შენებაში ვლინდება როგორც ფორმათწარმოების უძველესი ფენა, ასევე შედარებით გვიანდელ ფორმაციათა წარმონაქმნები. ენაში თანაარსებობენ, ურთიერთავსებენ ერთმანეთს სხვადასხვა ქრონოლოგიური საფეხურების წარმონაქმნები. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს უშუალო მონაცემია ენაში, ამჟამად მოქმედი ერთიანობის განუყოფელი ნაწილი: ყველაფერი ის, რასაც ენა იყენებს

თავისი დანიშნულების განსახორციელებლად, თავისი მიზნის მისაღწევად, მიუხედავად ნაირგვაროვანი და ნაირსაფეხუროვანი წარმომავლობისა, განიხილება როგორც სავსებით ერთნაირი ღირებულების მქონე ენის მოცემული ფორმაციისათვის. ეს ცნობილი და უდავო ფაქტია. მაგრამ აქ ისიც დაგვირჩება გასათვალისწინებელი, რომ ენისადმი ამგვარი მიდგომა განპირობებულია აშკარად პრაგმატული თვალსაზრისით: ენა როგორც მოცემული ენობრივი კოლექტივის კუთვნილება. ამ თვალსაზრისის კვალობაზე ენა შეიძლება წარმოვადგინოთ წმინდა სქემების სახით, რომელთა ხორცშესხმა და გამოყენება ხდება მეტყველებაში, სადაც, შესაბამისად, არ არის არავითარი განსხვავება უძველესი და უახლესი წარმონაქმნების მოხმარების მხრივ. ენისადმი ამგვარი მიდგომის სარგებლიანობა საკამათო არ არის. ეს მიდგომა გამართლებულია უპირველესად თვით ამ ენაზე მეტყველის პოზიციიდან, ამ პოზიციას ემყარება ენათმეცნიერიც ენობრივ მოვლენათა განხილვის დროს, რაც განაპირობებს კიდეც ენის განხილვას ე. წ. „ხაზოვანი ანალიზის“ პრინციპების შესაბამისად. მაგრამ ამის გვერდით უეჭველი ხდება ენობრივი ფაქტებისადმი სხვაგვარი მიდგომის საჭიროებაც. კერძოდ, ისეთი მიდგომა, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს დავინახოთ ენაში არა მხოლოდ სინქრონიული თუ დიაქრონიული ასპექტების უშუალო მონაცემები, არა მხოლოდ ამა თუ იმ სისტემათა ჩამოყალიბების პროცესი, არამედ შეგვაღწევინებს თვით ამ მოვლენათა არსში, წარმოგვიჩენს მათ მიზეზსა და მიზანს, ამოგვაცნობინებს ენის შინაგან შემოქმედებით პოტენციას, რომელიც მის საფუძველში ძევს. ენა, როგორც ფორმათა და ფუნქციათა თვითორგანიზებული სისტემა, ემორჩილება სტრუქტურათა შენებისა და გამოხატვის საშუალებათა იმანენტურ პრინციპებს. ენა, როგორც ზემოთ ითქვა კიდევაც, არა მხოლოდ შემოქმედებითი ქმედებაა, არამედ სავსებით თვითმყოფადი მონაცემიც, შედეგი შინაგანად კანონზომიერი თვითმაორგანიზებელი პროცესებისა. ენაში ძევს არა მხოლოდ შემოქმედებითი, განმაახლებელი პოტენცია, არამედ არანაკლები სიძლიერით გამოხატული ტენდენცია თვითშენარჩუნებისა. ამის გარეშე განვითარების უკვე რამდენიმე საფეხურის შემდეგ ენა ვერსაცნობად შეიცვლიდა სახეს.

ენის განხილვა მხოლოდ ენობრივი მოდელებისა და სქემების თვალსაზრისით (როგორც სტატიკური, ასევე წარმომშობი ენათმეცნიერების საფუძველზე) საბოლოოდ ყველა ენაში ერთი და იმავე კანონზომიერების არსებობას წარმოაჩენს, და ეს ბუნებრივიცაა, რადგან ფუნქციონირების ლოგიკური სტატუსი, ბუნებითი დანიშნულება ყოველი ენისა, რომელიც შექმნილია საზოგადოებაში და იმავე საზოგადოების არსებობისა და განვითარების ერთ-ერთ ძირითად სტიმულს წარმოადგენს, ერთი და იმავე საფუძვლის მქონეა. ამ კანონზომიერებათა გამოვ-

ლენა, სხვაგვარად: ყველა ენაში ამ საერთო ლოგიკური სტატუსის გამოკვლევა, დადგენა ნაირგვაროვანი და ნაირფეროვანი ყალიბებისა და სქემების არსებობის საერთო, საყოველთაო საფუძვლისა, ენათმეცნიერების ერთ-ერთ პირველხარისხოვან ამოცანას წარმოადგენს. მაგრამ მსგავსი თუ განსხვავებული ფონოლოგიური, მორფოლოგიური, სინტაქსური და სემანტიკური ყალიბებისა და სქემების დადგენა საბოლოოდ მაინც ვერ გადაწყვეტს ამა თუ იმ ენის შინაგანი სტრუქტურული რაობის საკითხს. რჩება მთავარი: ამ ყალიბებისა და სქემების შემადგენელ ელემენტთა შინაგანი ურთიერთდამოკიდებულება, მათი ქმედება, რამეთუ აბსოლუტურად იდენტური ყალიბები არა მხოლოდ სხვადასხვა ენაში, არამედ ერთსა და იმავე ენაშიც კი სავსებით სხვადასხვაგვარი ქმედებისა შეიძლება იყვნენ. ქმედების პრინციპი, ვეარაუდობთ, არსებითი ფაქტორია ყოველი ყალიბის, სქემის იმანენტური არსის განსაზღვრისას. ამ სახის კვლევის დროს დადგინდება არა ზოგადი, საყოველთაო საფუძვლები რომელიმე ენის ფუნქციონირებისა, მისი სტატუსისა, არა ის, რაც ქმნის ნებისმიერ ენას, არა ის, რაც საერთოდ არის ენა, არამედ ის, რაც ქმნის მოცემულ ენას სწორედ ასეთად (და არა სხვაგვარად), ის, რადაც გვევლინება სწორედ ეს კონკრეტული ენა. არა საყოველთაო, არამედ კონკრეტულად დამახასიათებელი მოცემული ენისათვის, არა სინამდვილის ენობრივი რეალიზაცია საერთოდ, არამედ კონკრეტული ენის მიერ სინამდვილის კონკრეტული ასახვა, არა ფორმა საერთოდ, არამედ კონკრეტული ენის ფორმა, არა ფუნქცია საერთოდ, არამედ ზოგადი (ცნებითი) უნივერსალური ფუნქციების გარდაქმნა კონკრეტულ ენობრივ მნიშვნელობებად კონკრეტულ ენაში — აი, რა მისანს ისახავს უპირველესად ზემოხსენებული თვალსაზრისი. არ შეიძლება ითქვას, რომ ეს პრობლემა ადრე სავსებით უყურადღებოდ იყო მიტოვებული, მაგრამ განსაკუთრებით ბოლო ხანს ერთგვარად თითქოს „გაუფერულდა“, უკანა პლანზე დაიხია საყოველთაო ყალიბებისა და სქემებისადმი გაძლიერებული ყურადღებისა, ერთი მხრივ, და ტიპოლოგიური პარალელებით დაინტერესების, მეორე მხრივ, გამო.

თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების ტენდენცია შეიძლება განისაზღვროს ძირითადად როგორც „ენა — ზოგადად“, და არა როგორც „ენა — კონკრეტულად“, ტენდენცია, განხილულ იქნეს ზოგადად ინფორმაციის გადმოცემის მექანიზმი (სემიოტიკის კრიტერიუმებზე დაყრდნობით) და არა კერძოდ სინამდვილის მოვლენათა ცნობიერებაში გარდასახული და აკუმულირებული მონაცემების ასახვის მექანიზმი. სწორედ ამიტომაც მიიჩნევა ენა ნიშანთა სისტემად და არა შინაგანად თვითორგანიზებულ ფორმათა და ფუნქციათა სისტემად, რომელიც მხოლოდ თვითგამოსახვისათვის იყენებს განსაკუთრებული სახის ნი-

შანთა სისტემას. უკანასკნელი ჩვენ ენის უფრო მართებულ განმარტებად გვეჩვენება.

ქმედების პრინციპი ვარაუდობს არა მხოლოდ და არა იმდენად ფონოლოგიური, მორფოლოგიური, სინტაქსური და სემანტიკური ყალიბების შემადგენელი ელემენტების შინაგანი ურთიერთზემოქმედების კვლევას, არამედ აყენებს საკითხს ამ ყალიბებისა და მათი შემადგენელი ელემენტების იმანენტური თვისების შესახებ, დაექვემდებარონ ან არ დაექვემდებარონ ამა თუ იმ ზეგავლენასა და ცვლილებას; ნაირგვარი პრინციპით აგებულ სტრუქტურებში მათი გამოყენების შესაძლებლობის შესახებ, მათი უნარის შესახებ, გავლენა იქონიონ მომიჯნავე სტრუქტურებსა თუ სისტემებზე, რითაც გამოვლინდება მათი უნარი დაამყარონ ესა თუ ის მიმართება. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ეს მიმართებანი განსაზღვრავენ ნებისმიერი კონკრეტული ენის სახეს, სწორედ ისინი უწყობენ ხელს ენის საკუთარი თვითყოფადი სტატუსის შენარჩუნებას.

ენისადმი ამგვარი მიდგომა, სხვა პირველხარისხოვანი პრობლემების გვერდით, წარმოაჩენდა საკითხს განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ენის ფორმობრივ და ფუნქციურ სტრუქტურებში არსებული გრამატიკული თუ სემანტიკური დანაშრევების თაობაზე, ცალკეულ ფორმაციათა წარმონაქმნების ერთ მთლიანობაში შესისხლხორცების, უკვე არსებულში შეღწევისა და შეთვისების. ამ სისტემათა აგების პრინციპებისა და მათი თანაარსებობის თაობაზე. სწორედ ამის განხილვას ვეარაუდობთ ამჯერად.

III

ზმნურ ფუძეთა აგების ძირითადი პრინციპებია რედუპლიკაცია (ფუძის გაორკეცება), აფიქსაცია და აპოფონია. ტერმინები პირობითი ხასიათისაა. საქმე ის არის, რომ თითოეული ეს პრინციპი არა მხოლოდ დამოუკიდებლად არ გვხვდება ენაში, არამედ მათი სახელდებაც კი მიგვანიშნებს იმაზე, რომ არსებითად მოვლენის ჰვრეტით, გარეგნულ მხარეს ექცევა ყურადღება და არა მის არსს, ამ პრინციპების წარმოქმნის მიზეზსა და მიზანს. ეს მიზეზი და მიზანი კი უთუოდ არსებობს და გამომდინარეობს უშუალოდ პროცესის (იგულისხმება ფუძეთა შენების პროცესი) შინაგანი შეპირობებულობიდან: ქვითქვით-ი და ქვითინ-ი ერთი და იმავე მნიშვნელობის მქონე ფორმებია, არ არის სხვაობა გრამატიკული თვალსაზრისითაც (ყველა კატეგორია თანმხვედრია) და, მიუხედავად ამისა, ფუძეთა აგების პრინციპები განსხვავებულია: ერთ შემთხვევაში რედუპლიკაციასთან გვაქვს საქმე (ქვითქვით-ი), მეორე შემთხვევაში — აფიქსაციასთან (ქვით-ინ-ი).

რა თქმა უნდა, წარმოშობით რედუპლიკაციის პრინციპი შეუდარებლივ უფრო ძველია, ვინემ აფიქსაციის პრინციპი, მაგრამ აი, რა უნდა გაირკვეს: ა) რატომ შემორჩა ენას ეს უძველესი პრინციპი მაშინ, როდესაც მას უკვე აქვს გამომუშავებული წარმოების უფრო ახალი, უფრო აბსტრაჰირებული და ამის გამო უფრო მოსახერხებელი, მისი არსისა და მოთხოვნების უფრო მეტად შესაბამისი პრინციპები აფიქსაციისა და აპოფონიისა? და აქედან გამომდინარე, ბ) შეიძლება თუ არა ჩაითვალოს, რომ რედუპლიკაცია, აფიქსაცია და აპოფონია თანამიმდევრობით ურთიერთშემცვლელი პრინციპებია ფუძეთა აგებისა და, ამდენად, თითოეული მათგანი ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურს შეესაბამება?

ქართულში ახლაც საცნაურია ერთმანეთის პარალელურად რედუპლიკაციისა და აფიქსაციის გამოყენება. გარდა ზემოხსენებულისა, მაგალითი სხვაც საკმაოდ დაიძებნება:

ბაგბაგ-ებ-ს — ბეგ-ს/ბეგვ-ავ-ს

ძაგძაგ-ებ-ს, ძიგძიგ-ებ-ს — ძგ-ერ-ს ([174], 43; [177], 293)

გაზგაზ-ებ-ს, გიზგიზ-ე-ბ-ს, გუზგუზ-ებ-ს — ა-გზ-ნ-ებ-ს, ძვ. ქართ.: ა-გზ-ებ-ა, ა-ნა-გზ-ით-ა, ე-გზ-ებ-ოდ-ი-ს ([174], 46; [160], 268); მუ-გუზ-ალ-ი ([204], 62).

ბაჯბაჯ-ებ-ს — ა-ბჯ-ენ-ს, ა-ბიჯ-ებ-ს

ბუტბუტ-ებ-ს — ი-ბუტ-ებ-ა/ე-ბუტ-ებ-ა

ბარბაც-ებ-ს — ბრ-ეც-ს, ბრ-უნ-ავ-ს, ბრ-უ

თახთახ-ებ-ს — ა-ნ-თხ-ევ-ს, სი-თხ-ე, თხ-ევ-ად-ი

კარკარ-ებ-ს — გადა-ი-კარ-ებ-ს ([160], 214)

ფარფატ-ებ-ს — ფრ-ენ-ს

გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანია შემდეგი ტიპის მაგალითები:

კივკივ-ებ-ს — კივ-ი-ს

ჟივჟივ-ებ-ს — ჟივ-ი-ს

სივსივ-ებ-ს — სივ-ი-ს

ყივყივ-ებ-ს — ყივ-ი-ს

წივწივ-ებ-ს—წივ-ი-ს და სხვანი.

რა დანიშნულება აქვთ ამ პარალელურ ფორმებს, რა ფუნქციური დატვირთვა მოეპოვება მათ, რით არის გამოწვეული ფუძეთა ნაირგვარი გახმოვანება: გზ-(ა-გზ-ნ-ებ-ს), გაზ- (გაზგაზ-ებ-ს), გიზ- (გიზგიზ-ებ-ს), გუზ- (გუზგუზ-ებ-ს)? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა არც ისე ად-

ვილია. ზოგიერთ შემთხვევაში ზემოხსენებული ფორმები ლექსიკური მნიშვნელობით უპირისპირდებიან ერთმანეთს (ბუტბუტ-ებ-ს — ე-ბუტ--ებ-ა), სხვა შემთხვევაში დაპირისპირება სტილისტური (ექსპრესიული) ხასიათისაა (კივკივ-ებ-ს — კივ-ი-ს). ხდება ისიც, რომ ნაირგვარ გახმოვანებას არავითარი სემანტიკური დანიშნულება არ უჩანს, მაგრამ იმავდროულად შეიძლება დავასახელოთ ისეთი მაგალითებიც, სადაც ნაირგვარი გახმოვანება მორფოლოგიურად ღირებული მოელენაა:

მოქმედებითი გვარი: და-ვ-ძარ-(ი)
ვნებითი გვარი: შე-ვ-ი-ნ-ძერ-(ი) ([186], 463).

ცალკეულ ზმნურ ფუძეებში ხმოვანთა, ასე ეთქვათ, „თავისუფალი“ მონაცვლეობის შემთხვევები ქართულში ცნობილია. ვარაუდობენ, რომ „სხვადასხვა გახმოვანების ფუძეები, როგორც წესი, ელფერის მიხედვით განსხვავებულ მნიშვნელობას ავლენენ: ა—ო: ბრაწ — ბროწ (ბრაწავს — შეწვით, ხრაკვით აწითლებს... დაბროწდება — სიმწიფისაგან წითლდება...)... ა—უ: ბლაყნ—ბლუყნ (ბლაყნა—უშნოდ ჭამა, ლუკმა... ბლუყნა — დიდ-დიდ ლუკმების უშნოდ ღეჭა, პირგამოტენილი ჭამა...)... ა—ე: ბათქ—ბეთქ (ბათქა-ბუთქი, ბათქუნი... დაბეთქვა, მობეთქვა — მობრეგვა, მობეგვა, გალახვა...)... ა—ი: ბაჯგ—ბიჯგ (ბაჯგვა—ფეხების განდაგან დგმა ერთმანეთის დაშორებით; თეძოებში მოშლილობა... გაბიჯგული — ერთ ალაგს უშნოდ გაჩერებული, ფეხების გაბოტებით...)... ე—ი: ბეზღ-ბიზღ (აბეზღებს... ბიზღება — გამხელა, მოყოლა...)... ე—ო: ტკეჩ-ტკოჩ (ტკეჩი — კაპარის, მუხის ან თხილის მსხვილ წნელს ცეცხლში გაახურებენ და დახლეჩენ თხელ ფენებად, თითოეულ ანახლეჩს ტკეჩი ჰქვია... ტკოჩი — ხის, ძელისა და მისთ. ანახეთქი...)... ო—ი: კირტნ—კორტნ (კირტნა — ნამცეცობით რისამე გლეჯა საგნიდან... კორტნის...)... ი—უ: თითხნ—თუთხნ (თითხნის... თუთხხის...)“. ისეთი შემთხვევებიც გვქონია, როდესაც გვხვდება ფუძეები „სამნაირი, ოთხნაირი და იშვიათად ხუთნაირი გახმოვანებით“: ფარფატი — გა-ფერფეტ-ებული, — მო-ფირფიტ-ება — ფორფოტ-ი— ფურფუტ-ი... ([160], 105—113).

ანალოგიური ცვლილებები თანხმოვნებსაც ახასიათებს: „ცვლილებანი თანხმოვანთა წარმოების რაგვარობის ფარგლებში ხორციელდება და შესაბამისად ვიღებთ მჟღერ, ყრუ მკვეთრსა და ყრუ ფშვინვიერ ფუძეებს ორ-ორი ან სამ-სამი ვარიანტით. ეს მოვლენა პირველად ფ. ნაისერმა შენიშნა და შეეცადა იგი სიტყვის შემადგენელ თანხმოვანთა არტიკულაციური თამაშისადმი მიდრეკილებით აეხსნა, ხოლო კ. შმიდტი, რომელიც ფ. ნაისერს იმოწმებს, მოვლენას არტიკულაციის ექსპრესიულ მონაცვლეობას უწოდებს და მოჰყავს რამდენიმე მაგალითი სხვა ქართველური ენებიდანაც“ ([160], 140—141). აი, რამდენი-

მე ნიმუში ამისა: ბობღ-ავ-ს — ფოფხ-ავ-ს, დანდალი — ტანტალი... ბოდიალი — პოტიალი — ფოთიალი... ძაძგური — ჯაჯგური და სხვანი ([160], 141—148).

გარკვეული ფონეტიკური „კანონზომიერება“ ამ რიგის ფორმებში ზოგჯერ ფრიად საინტერესო ვითარებას გვიდასტურებს. ქართული ფონეტიკიდან კარგად ცნობილი თანხმოვანთა სამეულების, წყვილეულებისა და ცალეულების მიხედვით განლაგებული ფუძეები ამგვარ „უცნაურობასაც“ კი გვიჩვენებს ხანდახან:

ბრიალი — პრიალი — ფრიალი
გრიალი — კრიალი — ქრიალი
(დ) — ტრიალი — (თ)
(ძ) — წრიალი — (ც)
(ჯ) — ჭრიალი — (ჩ)
ზრიალი — სრიალი
ჟრიალი — შრიალი
ღრიალი — ხრიალი
X — ყრიალი

ვიტყოდით, წმინდა ბგერწერასთან გვაქვს საქმეო, წმინდა ფონეტიკური ფაქტორი (თუ გნებავთ, „ფონეტიკური ასოციაცია“) მოქმედებსო, მაგრამ ეს ვარაუდი ხსენებულ ფორმათა მხოლოდ მცირე ნაწილზე შეიძლება უკომპრომისოდ გავრცელდეს: ჟრიალი — შრიალი, შესაძლოა, მართლაც ამ რიგისა იყოს, მაგრამ უმეტესობა სწორედ იმით იქცევს ყურადღებას, რომ იმავე საყრდენი ელემენტისაგან ნაწარმოებ სხვა ფორმებს ამოიყენებს გვერდით:

ბრ-იალ-ი, შდრ.: ბრ-უნ-ავ-ს
პრ-იალ-ი, შდრ.: პარპალ-ი
ფრ-იალ-ი, შდრ.: ფრ-ენ-ს, ფარფატ-ი
კრ-იალ-ი, შდრ.: გადა-ი-კარ-ა
ქრ-იალ-ი, შდრ.: ქრ-ი-ს, ქარ-ი
ტრ-იალ-ი, შდრ.: ა-ტარ-ებ-ს
წრ-იალ-ი, შდრ.: წრ-ე
ღრ-იალ-ი, შდრ.: ღრ-ენ-ს
შრ-იალ-ი, შდრ.: შარიშურ-ი
ზრ-იალ-ი, შდრ.: ზრ-უნ-ი (საბა: „გოდების ბანი“).

რა თქმა უნდა, ღრ-ენ-ს, ქრ-ი-ს, ბრ-უნ-ავ-ს ფორმები ერთმანეთის ფონეტიკურ ვარიანტებად ვერ მიიჩნევა. ამის კვალობაზე ვერც ღრ-იალ-ი, ქრ-იალ-ი, ბრ-იალ-ი ფორმები დაიყვანება ერთმანეთზე ფონე-

ტიკურად. რეალური მიზეზი უფრო სიღრმისეულია ([160], 221; შდრ.: [153], 296).

რთული, ერთი შეხედვით წინააღმდეგობრივი მოვლენები უშუალო ანარეკლია ენის განვითარების შინაგანი პროცესებისა, ფუნქციურ ნაირსახეობათა გამოსახატავად შესაბამის ფორმათა ძიებისა, უძველესი ფორმობრივი მიმართებების გამოყენებისა ახალი ფუნქციური კატეგორიებისათვის.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ის ფაქტი, რომ სავსებით ერთნაირი ფორმობრივი მიმართებანი ენაში ხშირად ნაირგვარი ფუნქციების სარეალიზაციოდ გამოიყენება. არის ეს ერთი, ამოსავალი, ზოგადი ფუნქციის დიფერენციაციის, დაშლის შედეგი თუ სხვადასხვა ფუნქციათა ერთ ენობრივ ყალიბში შეთავსების მოვლენა — პირველხარისხოვანი ღირებულების მქონე საკითხია ენაში მოქმედი წარმომქმნელი პროცესების შესაცნობად.

ამრიგად, ზემოთ დასმულ კითხვებს ასეთი პასუხი შეიძლება გაეცეს:

ა) ენაში უძველესი ფუძეთშენების პრინციპების შენარჩუნებას ხელს უწყობს შედარებით გვიანდელი დაპირისპირებანი როგორც გრამატიკული, ასევე სტილისტური ხასიათისა, რადგანაც ენის შინაგანი პოტენციით წარმოქმნილი ახალი ფუნქციური კატეგორიები გამოიყენებენ ხოლმე თავისი მიზნებისათვის უკვე არსებულ ფორმობრივ ინვენტარს. ამდენად, უძველესი ფორმობრივი სტრუქტურა და სისტემა ახალ ღირებულებას იძენენ და ახალწარმოქმნილ ფუძეებსაც თავისი გავლენის ქვეშ იქცევენ.

ბ) აქედან გამომდინარე, არ შეიძლება ითქვას, რომ რედუპლიკაცია, აფიქსაცია და აპოფონია თანამიმდევრულად ცვლიან ერთმანეთს ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე: მათი თანაარსებობა გამორიცხავს ასეთ კვალიფიკაციას. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ წარმოების ყველა ხსენებული პრინციპი ერთი და იმავე ქრონოლოგიური ფორმაციის წარმონაქმნია, მაგრამ ნაირხანოვანი წარმომავლობა ხელს არ უშლის მათ გამოყენებულ იქნენ ერთ ენობრივ სისტემაში.

ის ფაქტი, რომ რედუპლიკაცია, აფიქსაცია და აპოფონია სხვადასხვა დროის წარმონაქმნია, დოკუმენტურად ამჟამად ვერ დამტკიცდება. ამიტომაც მათი პირველადობა-შემდგომობის გაწაზღვრა მხოლოდ ლოგიკურად მისაღები (არაწინააღმდეგობრივი) მსჯელობით ხდება შესაძლებელი.

თუკი წავალთ მარტივიდან რთულისაკენ, კონკრეტულიდან აბსტრაქტულისაკენ, ენაში კი დამოწმებულია სწორედ ასეთი თანამიმდევრობა, მაშინ აშკარაა, რომ რედუპლიკაცია, ისევე როგორც სხვადასხვა ფუძეები ერთ ფორმაში შერწყმა, არის თავდაპირველი. ყველაზე მარ-

ტივი ხერხი ფორმათწარმოებისა, უშუალო (და არა აფიქსაციისა და აპოფონიის მსგავსად აბსტრაჰირებული) რეალიზაცია ენობრივი ნატურალიზმისა. რედუპლიკაციას (დავაზუსტოთ: საერთოდ, ფუძეთშეერთებას) მივყავართ აფიქსაციისაკენ, როცა ენობრივ ფორმაში კონკრეტული მნიშვნელობის მქონე ელემენტებს ენაცვლება აბსტრაჰირებული ეკვივალენტები. ეს საშუალებას აძლევს ენას თავისი მიზნებისათვის გამოიყენოს უფრო მოქნილი და ტევადი ფორმები, უფრო თავისუფლად მიუსადაგოს ისინი ახალ ფუნქციებს, რაც ხელსაყრელ პირობას უქმნის კონსტრუქციის თითქმის ყველა წევრს იქონიოს თავისი აბსტრაჰირებული გამომხატველი, თავისი ექსპონენტი იმავე კონსტრუქციის სხვა წევრში. ამით უზრუნველყოფილია შინაგანი შეკავშირება კონსტრუქციის ფორმობრივ და სემანტიკურ ელემენტებს შორის, შინაგანი კომპაქტურობა, ენობრივი სტრუქტურის მკაცრი შინაგანი შეპირობებულობა, რაც გამოხატვის თვისობრივ მთლიანობად იქცევა ხოლმე.

აპოფონია, რომელიც, როგორც ცნობილია, ვარაუდობს ფუძის გახმოვანების მორფოლოგიურად ღირებულ ცვლილებას, ლოგიკური თვალსაზრისით შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული ფონეტიკური ზემოქმედების შედეგი იყოს. ამიტომაც ამ შემთხვევებში უპირველესად იგულისხმება ფუძეზე ამა თუ იმ აფიქსის მიმატება, რომელსაც უნარი შესწევს შეცვალოს ფუძის გახმოვანება. ასე რომ, ამის კვალობაზე, აპოფონია უშუალო შედეგია აფიქსაციისა. მაგრამ ხშირად პროცესი ისე შორს მიდის, რომ უკვე შეუძლებელი ხდება გახმოვანების ცვლილებათა პირველმიზეზის დადგენა. არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ ამჟამად დაუნაწევრებელი ფუძეები (ტრადიციული ტერმინოლოგიით ძირებად რომ იწოდებიან), წარმოდგენილნი ნაირგვარი გახმოვანებით, წარმოშობით შესაძლებელია სხვადასხვა ფორმანტებით იყვნენ შედგენილი და ამიტომაც ნაირგვარი გახმოვანება ფონეტიკური ზემოქმედების შედეგი კი არ იყოს, არამედ ერთსა და იმავე ამოსავალ (საყრდენ) ელემენტთან სხვადასხვა აგებულების მქონე ფორმანტთა გამოყენების ვარიაციებს ასახავდეს. ასეთ შემთხვევაში ის, რაც აპოფონიად მოჩანს ამჟამად, სინამდვილეში უძველესი აფიქსაციის შედეგი აღმოჩნდება.

IV

რედუპლიკაციის პრინციპი, რომელმაც თანდათანობით ბევრი ახალწარმოქმნილი ფუძეც ჩაითრია (მათ შორის ე. წ. ხმაბაძვითობის პრინციპით აგებული ფუძეებიც), ფორმათწარმოების პრიმიტიული, თავდაპირველი საფეხურის უშუალო გამოძახილია (რეციდივია) შემდგომი პერიოდის ენობრივ ფორმაციებში. რედუპლიკაციის ენობრივი რაობი-

სათვის ღირსაცნობ მაგალითებს იძლევიან აფრიკის, აზიისა და ამერიკის უმწერლობო, ნაკლებგანვითარებული ენები, სადაც რედუპლიკაცია გამოყენებულია როგორც მრავლობითობის, ასევე პერმანსივისა თუ იტერატივის გრამატიკული ფუნქციის გამოსახატავად.

სხვა ენების მონაცემთა გათვალისწინება ფასეული აღმოჩნდება არა მხოლოდ იმით, რომ ნაირგვარი ჯგუფის ენებს შორის არსებულ განსხვავებულ დაგვაღგენინებს, არამედ იმითაც, რომ ხელს უწყობს პრინციპულად ახლებურ მიდგომას უკვე კარგად ცნობილი და თითქოს შეუმჩნეველი ენობრივი ფაქტებისადმი. ამ სახით გამოვლენილი შინაგანი შესაძლებლობანი თითოეული შეპირისპირებული ენისა, მათ იმანენტურ პოტენციათა სიღრმეში შეღწევა, გამოხატვის ყველა შესაძლებლობათა გათვალისწინება როგორც ფორმობრივ, ასევე ფუნქციურ სიბრტყეზე, ენის ონტოლოგიურ თვისებათა აღწერისათვის ზუსტი კრიტერიუმების ძიება ნათლად დაგვანახებს იმას, რომ მრავალი სპეციფიკური ენობრივი მოვლენა ვერ თავსდება უკვე არსებულ. მკაცრად რეგლამენტირებულ ლინგვისტურ კატეგორიათა ჩარჩოებში. სხვაგვარად: ნებისმიერი ენის გრამატიკებში გამოყოფილი მორფოლოგიური და სინტაქსური კატეგორიები ვერ მოიცავენ („ვერ აკონტროლებენ") ენობრივ ფორმათა და ფუნქციათა ყველა შესაძლებელ გამოვლინებას. ეს კი იწვევს წესებიდან „გამონაკლისებისა" და „ანომალიების" მომრავლებას, თუმცა რეალურად ენაში არავითარი „გამონაკლისი" და „ანომალია" არ არსებობს. ყველაფერი ეს „თავსდება" ენაში, მაგრამ ვერ თავსდება მოცემული თეორიის ფარგლებში, ენის ამა თუ იმ არსებულ აღწერაში. ასე რომ, ეს არის მეთოდოლოგიის და არა ონტოლოგიის ნაკლი. ამგვარი მეთოდოლოგიური ხარვეზის მიზეზი ნაირგვარია, მაგრამ ძირითადად ეს არის ორი პოლარულად დაპირისპირებული მოვლენა: უკვე ნაცადი ავტორიტეტული ლინგვისტური ტრადიციებით ხელოვნური თვითშეზღუდვა, ანდა ჯერ კიდევ გამოუცდელი ლინგვისტური თეორიების შეუზღუდავი და გაუმართლებელი იმპორტირება და დანერგვა ისეთ ნიადაგზე, რომელიც ვერც იმ უცხო თესლს ახარებს და თავადაც ფუჭად ცდება.

დადგა დრო ღირებულებათა გადაფასებისა. ეს პროცესი უკვე დაიწყო, მისი ბოლომდე მიყვანაა საჭირო. ის, რაც კლასიკურმა თუ უახლესი წარსულის ენათმეცნიერებამ შექმნა, მყარი საფუძველი შეიქმნა მრავლისაგან მრავალი ენობრივი მოვლენის ამოსაცნობად და გასააზრებლად. მაგრამ ის, რაც ჯერ კიდევ გამოუვლენელია, ახლებურ მიდგომას საჭიროებს. ამის გარეშე არა მხოლოდ წარმოუჩენელი დაგვირჩება ენის ფორმობრივი და ფუნქციური სისტემების ბევრი ღირსაცნობი მხარე, არამედ შეუძლებელი გახდება თვით საკითხის დასმაც კი ამ

თვალსაზრისით, რადგან არსებული მეთოდოლოგიური ბაზა არ ითვალისწინებს ამას.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს სირთულეები ყველაზე მწვავედ, ყველაზე რელიეფურად წარმოჩნდება სწორედ ქართული ზმნური სისტემების კვლევისას. ხარვეზი მით უფრო თვალსაჩინოა იმის გამო, რომ სწორედ ამ სფეროშია ყველაზე მეტი და ფასეული გაკეთებული ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში.

V

ფუძეთა შეერთება, განსაკუთრებით კი მისი კერძო სახეობა — ფუძეთა გაორკეცება (რედუპლიკაცია), იმითაც არის ღირშესანიშნავი, რომ სწორედ მასშია ჩასახული აფიქსაციისა და აპოფონიის პრინციპები. რედუპლიცირებული ფუძეები დროთა განმავლობაში თავადაც ჩაერთვებიან ხოლმე აფიქსაციისა და აპოფონიის პროცესში. მაგალითად, რედუპლიცირებული ფუძე ლასლას- ენის მოქმედი ფორმა მხოლოდ მას შემდეგ ხდება, როცა სათანადო აფიქსებით გაფორმდება: ლასლას-ი, ლასლას-ებ-ს და ა. შ. რაც შეეხება აპოფონიას, როგორც აღვნიშნეთ კიდეც, მას და აფიქსაციას შორის ისედაც ივარაუდება გარკვეული მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. ფუძეთა ნაირგვარი გახმოვანება განსაკუთრებული მრავალფეროვნებით სწორედ რედუპლიკაციის დროს იჩენს თავს: გაზგაზ-ი /გიზგიზ-ი/ გუზგუზ-ი, ასევე: ლაწალუწ-ი (როდესაც ნაირგვარი გახმოვანებით ერთმანეთს უპირისპირდებიან ერთი ფორმის სეგმენტები). რა თქმა უნდა, ეს ნაირგვარი გახმოვანება ყოველთვის ლექსიკურად ან მორფოლოგიურად ღირებული არ არის და ამ შემთხვევებში ვერც ჩაითვლება აპოფონიად, მაგრამ არც ისე იშვიათია სხვაობის წარმოჩენის შემთხვევებიც...

ზემოხსენებული წარმოების ნაირგვარი პრინციპი თავისებურადაა ენაში გამოყენებული. დამოწმებულია მათი ურთიერთშენაცვლებისა და ურთიერთშიმართების შემთხვევები, რითაც იქმნება ნაირგვაროვანი ფორმობრივი სისტემები. სხვაობა შეინიშნება არა მხოლოდ სხვადასხვა პრიხციპით აგებულ ფუძეებს შორის, არამედ ხშირად ერთი და იმავე პრიხციპით აგებული ფუძეებიც კი განსხვავებული ქმედებისა არიან. ხათქვაშის ძართებულობა მრავალი მაგალითით შეიძლება დასაბუთდეს. ნიმუშად ავიღოთ თემის ნიშნები. თვალის ერთი გადაველებითაც აშკარა ხდება, რომ ერთნაირი მატერიალური შედგენილობის თემის ნიშნები ნაირგვარ მიმართებებს ავლენენ ხშირად, ნაირგვარად მიემართებიან, მაგალითად, ნამყო ძირითადის ფუძეს. შდრ.:

თემის ნიშანია -ავ:		
აწმყო:	ვ-კლ-ავ	ვ-მალ-ავ
ნამყო ძირითადი:	მო-ვ-კალ-(ი)	და-ვ-მალ-ე

პირველ შემთხვევაში -ავ მიემართება ნამყო ძირითადის ნულოვან მაჩვენებელს, რაც შეეხება ფუძეს, აქ, თუ შეიძლება ასე ითქვას, უკუპროპორციული მდგომარეობაა: ნულოვანი გახმოვანება აწმყოსი (კლ-) ენაცვლება ნამყო ძირითადში სრული გახმოვანებით წარმოდგენილ ფუძეს (კალ-). მეორე შემთხვევაში ხდება -ავ: -ე ფორმანტთა მონაცვლეობა, ფუძე კი უცვლელადაა წარმოდგენილი. აქედან გამომდინარე, -ავ (I) და -ავ (II), მიუხედავად მატერიალური მსგავსებისა, სავსებით განსხვავებული ქვედებით ხასიათდება და ერთმანეთს ვერ გაუტოლდება, რადგან სწორედ ქონებაში (და არა მხოლოდ მატერიალურ აღნაგობაში) ვლინდება ამა თუ ენობრივი ელემენტის შინაგანი რაობა.

ანალოგიური სხვაობა სხვა თემის ნიშნებთანაცაა დამოწმებული:

თემის ნიშანი -ებ:

აწმყო:	ვ-ა-კლ-ებ	ვ-ა-კეთ-ებ	ვ-კრებ
ნ. ძირ.:	და-ე-ა-კელ	გა-ე-ა-კეთ-ე	ვ-კრიბ-ე

თემის ნიშანი -ობ:

აწმყო:	ვ-გრძნ-ობ	ვ-ა-თბ-ობ
ნ. ძირ.:	ვ-ი-გრძენ	გა-ვ-ა-თბ-ე

თემის ნიშანი -ევ:

აწმყო:	ვ-ა-ჭმ-ევ	ვ-ა-ნგრევ
ნ. ძირ.:	ვ-ა-ჭამ-ე	და-ვ-ა-ნგრი(ვ)-ე

ძველ ქართულში ვ-ა-ჭმ-ევ ტიპს განეკუთვნებოდა ვ-ძლ-ევ და ვ-კიცხ-ევ ზმნებიც, რომელთაგან პირველი შემდგომ ვ-ა-ნგრევ ტიპს გაჰყვა, მეორემ კი თემის ნიშანი შეიცვალა (ვ-კიცხ-ავ).

თემის ნიშანი -ემ:

აწმყო:	ვ-ც-ემ	ვ-ცემ	ვ-თვლემ
ნ. ძირ.:	ვ-ე-ც	ვ-ცემ-ე	ჩა-ვ-თვლიმ-ე

ამის მიხედვით ნათლად ჩანს, თუ როგორ გადაეჯაჭვება ხოლმე ფორმათწარმოების დროს ერთმანეთს აფიქსაცია და აპოფონია, როგორ ურთიერთავსებენ ან ურთიერთგამორიცხავენ ერთმანეთს.

შემთხვევითია ეს ფაქტი?

ჩანს, რომ არა.

ძნელია ვივარაუდოთ ამგვარი სიჩქარელის თავდაპირველობა ფორმათწარმოებაში. ყოველგვარი სხვაობა, ჩანს, გვიანდელი რეორგანიზაციის შედეგია.

ფორმათწარმოების ძირითადი პრინციპი ქართულში აფიქსაციაა. სწორედ იგი განსაზღვრავს ქართულის ძირითად ლინგვისტურ სახეს. აფიქსაციის პრინციპი უძევს საფუძვლად ერთი კატეგორიის ჯერგლებში მოქცეულ ფორმობრივ ოპოზიციას. ამოსავალი, თავდაპირველად ფუნქციურად ლაბილური ფორმები დროთა განმავლობაში სტაბილურნი ხდებიან ამა თუ იმ ფუნქციის გამოხატვის თვალსაზრისით. მაგალითად, წერ-ს ტიპის ზმნებმა მოიპოვეს გარდამავლობის გამოხატვის ფუნქცია, ქრ-ებ-ი-ს ტიპის ზმნებში ძირითადად სტაბილიზებულია გარდაუვალობის ფუნქცია. ამგვარი სტაბილურობა აუცილებელს ხდის შესაბამისი ოპოზიციური ცალების წარმოებას: გარდაუვალი ვარიანტისას წერ-ს ტიპის ფორმებისათვის, გარდამავლისას — ქრ-ებ-ი-ს ტიპისათვის:

1. ამოსავალი: 2. წარმოებული:
გარდამ.: წერ-ს→ გარდაუვ.: ი-წერ-ებ-ი-ს
გარდაუვ.: ქრ-ებ-ი-ს→ გარდამ.: ა-ქრ-ობ-ს.

ამ სახით დაპირისპირებულმა (ოპოზიციურმა) წყვილებმა საფუძველი დაუდო ზმნის გვარის კატეგორიას ქართულში. ამოსავალი ამგვარი წარმოებისათვის ენაში ფაკულტატიურად არსებული ფუნქციური სხვაობაა, გამოხატული კონსტრუქციული ან ლექსიკური საშუალებებით, რომლებიც ფეხის მოკიდებისა და მომძლავრების შემდეგ ენის მორფოლოგიურ სტატუსზეც ახდენენ გავლენას, რაც მათი ფორმობრივი გამოხატულებისაკენ მისწრაფებით ვლინდება და რაც საბოლოოდ ენაში არსებული მორფოლოგიური ინვენტარის გადაფასება-გადანაწილებასა ან მასზე დაყრდნობით ახალ ფორმათა წარმოქმნას იწვევს. ლაბილურობა, როცა ერთი ფორმა რამდენიმე ფუნქციას იტევს, სტაბილურობით იცვლება. მაგრამ ეს უკანასკნელი აბსოლუტური არ არის მაინც: დროთა განმავლობაში სტაბილურობამ, ისევ და ისევ ენის შინაგან მოთხოვნილებათა შესაბამისად, რაც სინამდვილის ახლებური შეფასება-ასახვისაკენ მისწრაფებით იქნება განპირობებული, შეიძლება დაკარგოს თავისი მკაცრი მარეგლამენტირებელი უნარი, გაიფართოვოს საზღვრები და ისევ კონსტრუქციულ სიტუაციაზე დამოკიდებულ პოლიფუნქციურ ყალიბად იქცეს. ამის ნიმუშები თანამედროვე ქართულში არც ისე იშვიათია. მაგალითად, ა-დგენ-ს ორთოდოქსალური მოქმედებითი გვარის ფორმაა, თითქოს შეუძლებელია მასში რაიმე სხვა ფუნქციის შეტანა, მაგრამ ენამ მაინც შეძლო წარმო- ზმნისწინიხი ამ ფორმის ლაბილურ ზმნად ქცევა და ამ ყალიბის ნაირგვარი გრა-

მატიკული ფუნქციით დატვირთვა-აღჭურვა კონსტრუქციულ მოთხოვნილებებს მიანდო:

ა) ოტელოს წარმოადგენს (ანუ: განასახიერებს),

ბ) საბუთს წარმოადგენს (ანუ: წარადგენს),

გ) ეგ საბუთი ბევრს არაფერს წარმოადგენს (ანუ: ბევრი არაფერი არის).

ამავე რიგისაა ა-ხასიათ-ებ-ს ზმნაც:

ა) მასწავლებელი მოწაფეს ახასიათებს (ანუ: დახასიათებას აძლევს),

ბ) მოწაფეს კარგი ზნე ახასიათებს (ანუ: დამახასიათებელია მისთვის).

რომელიმე ი-წერ-ებ-ა ფორმა ყველა ნიშნის (როგორც ფორმობრივი, ასევე ფუნქციური) მიხედვით ვნებითია, პასიური, განცდილი მოქმედების გამომხატველი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ გარკვეული ლაბილურობა მისთვისაც ყოფილა დამახასიათებელი: შეუძლია გადმოსცეს არა მხოლოდ პასიური მოქმედება, არამედ ზოგჯერ აქტიურიც (მართალია, კონკრეტული პირისადმი მიუმართავი): „სოფლიდან კარგ ამბავს იწერება ჩემი მეგობარი“. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ი-წერ-ებ-ა ფორმა წერ-ს ფორმას უპირისპირდება არა მხოლოდ როგორც ვნებითი მოქმედებითს, არამედ, უკვე სხვა სემანტიკურ სიბრტყეზე, როგორც აქტიური მიუმართავი მოქმედება აქტიურ მიმართულ მოქმედებას, ე. ი. ამ გზით ენამ შეძლო აქტიური (ფუნქციურად აქტიური) კონსტრუქციიდან პირდაპირი ობიექტის ამოღება.

ფუნქციური ლაბილურობა ხშირად უშუალო გავლენას ახდენს თვით ფორმობრივ სისტემაზეც კი: პირველი კონსტრუქციის („მასწავლებელი მოწაფეს ახასიათებს“) „ახასიათებს“ ზმნა მოქმედებითი გვარის სხვა ზმნათა ანალოგიურად იუღლება (მოეპოვება ყველა პარადიგმი). ამის საპირისპიროდ, მეორე კონსტრუქციის „ახასიათებს“ ზმნა უღვლილების მიხედვით დეფექტურია, ანუ: ე. წ. „საშუალ ფორმათა“ მსგავსად მხოლოდ რამდენიმე პარადიგმი მოეპოვება საკუთარი წარმოებისა. და ეს ერთეული შემთხვევა არ არის.

რასაკვირველია, ამგვარი მიდრეკილება ენის შემთხვევითი ან ახლადწარმოქმნილი ფაქტი არ არის. ქართულს იგი იმთავითვე მოეპოვებოდა, მის შინაგან პოტენციას წარმოადგენდა (გავიხსენოთ თუნდაც ინვერსიის ფაქტი), ოღონდ ეგ არის, რომ ენის პოტენცია ერთბაშად თუნდაც ერთი რიგის ფორმებში არასდროს ვლინდება, მისი გამოხატვა-რეალიზაცია, როგორც წესი, თანდათანობით ხდება. მიზეზი ამისა ენის მეორე არსებით თვისებაში, კონსერვაციაში, უნდა ვეძიოთ. განვითარების საპირისპირო მოვლენაში: შეინარჩუნოს მოპოვებული სტატუსი...

აფიქსაციის პრინციპი, რა თქმა უნდა, მარტოოდენ ზემოხსენებუ-

ლი ოპოზიციური ცვლების წარმოქმნას არ დასდებია საფუძვლად. ამ პრინციპმა ღრმად გაიდგა ფესვი ქართულში და ნაირგვარი ზმნური სისტემების, მათ შორის უძველესი სისტემების, ჩამოყალიბებაშიც მიუძღვის არსებითი წვლილი. ერთი საყრდენი ელემენტისაგან წარმოებულ ფორმათა დიფერენციაცია ზოგჯერ იმდენად შორსაა წასული, რომ მხოლოდ სპეციალური დაკვირვების შემდეგ ხდება შესაძლებელი ამ ნაირსახოვან ფორმათა ერთმანეთზე დაყვანა, მაგალითად, ცრ-ი-ს — ცრ-ევ-ა — ცრ-ემ-ლ-ი. ბნ-ედ-ს — ბნ-ელ-ი, ი-თმ-ენ-ს — თმ-ობ-ს, სხლ-ეტ-ს — სხლ-ავ-ს და სხვა მისთანა ფორმებისა.

ზოგჯერ, ვთქვათ, სხლ-ეტ-ს და სხლ-ავ-ს, სვრ-ემ-ს და სვრ-ი-ს ტიპის პარალელურ ფორმათა ახსნისას დიალექტიზმის კრიტერიუმს იმველიებენ. დიალექტური ვარიანტებიაო, იტყვიან ჩვეულებრივ, მაგრამ თუკი დიალექტები ერთი ფუძე-ენის დიფერენციაციის შედეგს წარმოადგენენ, მაშინ ახლა სხვადასხვა დიალექტში გაბნეული მაწარმოებლები ოდესღაც ერთი ფუძე-ენის კუთვნილი ელემენტები უნდა ყოფილიყო; რა თქმა უნდა, გამონაკლისების გარდა: ნასესხები ან საკუთრივ დიალექტებში გაბოძებული აფიქსები იგულისხმება; და რადგან ასეა, არ უნდა ვეცადოთ უძველესი სტატუსის ახსნა ასეთნაირად სტატუსით. პირველად უნდა დაიძებნოს უძველესი სისტემის კვალი, უნდა გაირკვეს რას რა შეეძლო მოეცა, რა რად შეიძლებოდა გარდაქცნილიყო, უნდა დადგინდეს ის სინდრომები, რომელთა ნდობა ამგვარი ძიებისას მოლოდინს გაამართლებს. დიალექტური ნაირგვარობა უპირველესად ერთი მთლიანის დაშლისა და განაწილების შედეგია და არა დამოუკიდებელ წარმონაქმნთა სპეციფიკური ერთობლიობა. ძველ ქართულთან ერთად სწორედ დიალექტებშია შემორჩენილი უძველესი ინტეგრირებული სისტემის ნაშთები, ფრაგმენტები, რომელთა მართებულად გამოყენებაც სწორ კვალზე უნდა დაგვაყენოს. ასეთი კვალი კი ენაში უთუოდ არსებობს, რადგან ენა მკაცრად დეტერმინირებული სისტემებისგან შედგება და უმიზეზოდ ან უშედეგოდ მასში არაფერი ხდება. მთავარია არა რომელიმე კონკრეტული ფორმის დადასტურება, არამედ აღმოჩენა პრინციპისა („ენობრივი სულისკვეთებისა"), რომელსაც შეეძლო ესა თუ ის სისტემა მოეცა, რომლითაც შეიძლებოდა ესა თუ ის ფორმა წარმოებულიყო და მაშინ რომელიმე ფორმის დოკუმენტობრივი უქონლობა ვერ იქნება ხელისშემშლელი მისთვის ნიშანდობლივად საეარაუდებელი სტრუქტურის რეალურობის დასაბუთებად.

VII

ზემოთ უკვე ვახსენეთ ისეთი ფუძეები, რომლებიც ერთმანეთის პარალელურად გამოიყენებიან როგორც რედუპლიკაციის, ასევე აფიქ-

საქის პრინციპით წარმოებულ ფორმებში: ბუტბუტ-ებ-ს — ე-ბუტ-ებ-ა. ითქვა ისიც, რომ ზოგჯერ ასეთი პარალელური წარმოების ფორმები ფუნქციურ სხვაობას გვიდასტურებენ, ზოგჯერ ლექსიკურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაგრამ გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც აფიქსაციით იწარმოება რედუპლიცირებული ფუძის ზუსტი ფუნქციური ეკვივალენტი. გასარკვევია, რა საშუალებით მიიღწევა სრული ფუნქციური ეკვივალენტობა სავსებით განსხვავებული ფორმობრივი სტრუქტურის დროს? მხედველობაში გვაქვს შემდეგი სახის დაპირისპირებანი:

1		2
ლაწლაწ-ი/ლაწალუწ-ი	—	ლაწუნ-ი/ლაწან-ი
რაკრაკ-ი/რაკარუკ-ი	—	რაკუნ-ი X
X ჩახაჩუხ-ი	—	ჩახუნ-ი/ჩახან-ი
ბუტბუტ-ი X	—	*ბუტუნ-ი (შდრ.: პუტუნ-ი)
X ქღარაქღურ-ი	—	ქღარუნ-ი X
X ფართხაფურთხ-ი	—	ფართხუნ-ი X
X ფხაკაფხუკ-ი	—	ფხაკუნ-ი/ფხაკან-ი
X ჯახაჯუხ-ი	—	ჯახუნ-ი/ჯახან-ი...

ზოგიერთი ზემოხსენებული ფუძე ი- გახმოვანებითაც მოგვეპოვება:

ლაწლაწ-ი — ლაწუნ-ი,	მაგრამ:	ლიწლიწ-ი—ლიწინ-ი
რაკრაკ-ი—რაკუნ-ი,	მაგრამ:	*რიკრიკ-ი—რიკინ-ი
ფხაკაფხუკ-ი — ფხაკუნ-ი,	მაგრამ	*ფხიკფხიკ-ი — ფხიკინ-ი...

ამ ფუძეთა ი- გახმოვანება შემთხვევითი არ უნდა იყოს. ფაქტის ასახსნელად ფუძედრეკადი ზმნები იძლევიან გასაღებს:

გლეჯს—გლაჯუნ-ი,	მაგრამ:	გლიჯ-ა—გლიჯინ-ი
წკეპ-ს—წკაპუნ-ი	მაგრამ:	წკიპ-ა—წკიპინ-ი
სხეპს—სხაპუნ-ი	მაგრამ:	სხიპ-ა—სხიპინ-ი
ჰყეპ-ს—ჰყაპუნ-ი	მაგრამ:	ჰყიპ-ა—ჰყიპინ-ი
კრეჭ-ს—კრაჭუნ-ი	მაგრამ:	კრიჭ-ა—კრიჭინ-ი...

ამ მაგალითების მიხედვით თითქოს აშკარაა, რომ აწმყოში ე- გახმოვანებით წარმოდგენილ ფუძეს შეესაბამება ა- გახმოვანებით წარმოდგენილი ფუძე, ხოლო ნამყო ძირითადის ი- გახმოვანებით წარმოდგენილი ფუძე ამოსავალია გლიჯინ-ი ტიპის ფორმებისათვის. მაშასადამე, ფუძის ი- გახმოვანება ხსენებულ ფორმებში უშუალო შედეგი უნდა იყოს საწყისენად ნამყო ძირითადის ფუძის აღებისა.

რა ენინააღმდეგება ამგვარ ვარაუდს?

უპირველესად ყოველისა ის ზმნები, რომელთაც შეესაბამება ფორმები ი- გახმოვანებით, მაგრამ თვით კი ფუძედრეკადნი არ არიან:

ლეწ-ს—ლაწუნ-ი/ლაწან-ი,		მაგრამ: ლეწ-ა—ლიწინ-ი
რეკ-ს—რაკუნ-ი	X	მაგრამ: რეკ-ა—რიკინ-ი
ზეპს—ზაპუნ-ი	X	მაგრამ: ზეპ-ა—ზიპინ-ი...

ამრიგად, ამოსავალი ფუძე ყოველთვის (აწმყოშიც და ნამყო ძირითადშიც) ე- გახმოვანებითაა წარმოდგენილი. როგორღა აიხსნება ამ შემთხვევაში ლიწინ-ი ტიპის ფორმათა არსებობა?

იქნებ ფუძედრეკად ზმნათა ანალოგიით აგვეხსნა ამ ფორმათა არსებობა? მაგრამ არა, ანალოგიის დაშვება აქ ვერაფერს აგვიხსნის და აი, რატომ: გვაქვს იდენტური სისტემა (ფორმათა იდენტური ურთიერთმიმართების სტატუსი) ერთი სხვაობით: მასდარი ფუძის ი- გახმოვანებით არ დასტურდება. ნიმუშად რამდენიმე მაგალითს დავასახელებთ:

ბეგ-ს — ბაგ-უნ-ი,	მაგრამ არა გვაქვს: *ბიგინ-ი
კეპ-ს — კაპ-უნ-ი,	მაგრამ არა გვაქვს: *კიპინ-ი
ყღერ-ს—ყღარ-უნ-ი,	მაგრამ არა გვაქვს: *ყღირინ-ი
ბერტყ-ს—ბარტყ-უნ-ი,	მაგრამ არა გვაქვს: *ბირტყინ-ი
ტეხ-ს — ტახ-უნ-ი.	მაგრამ არა გვაქვს: *ტიხინ-ი
ჩეხ-ს — ჩახ-უნ-ი,	მაგრამ არა გვაქვს: *ჩიხინ-ი
ჭეხ-ს — ჭახ-უნ-ი,	მაგრამ არა გვაქვს: *ჭიხინ-ი...

რა გაირკვა?

ფუძეებს, რომლებიც დრეკას (ხმოვნების ფლექსიურ მონაცვლეობას) არ განიცდიან უღვლილების პარადიგმებში, არ მოეპოვებათ შესაბამისი მასდარული სტრუქტურა ი- გახმოვანებით: გვაქვს ყღერ-ს, ტეხ-ს, ჩეხ-ს... და შესაბამისად გვაქვს ყღარუნ-ი, ტახუნ-ი, ჩახუნ-ი..., მაგრამ არა გვაქვს *ყღირ-, *ტიხ-, *ჩიხ-... ფუძეები და შესაბამისად არა გვაქვს *ყღირინ-ი, *ტიხინ-ი, *ჩიხინ-ი... ფორმებიც.

ამის კვალობაზე, თუკი ანალოგიასა და შემთხვევითობას გამოვრიცხავთ, რჩება ერთადერთი ვარაუდი: იქ, სადაც ამგვარ სისტემათა მასდარებში ფუძე ი- გახმოვანებითაა წარმოდგენილი, ამოსავალში ფუძედრეკადი ზმნა უნდა ვიგულვოთ; თუ ახლა არ დასტურდება რომელიმე მათგანში ფუძის დრეკა. ისტორიულად უნდა ვიგულისხმოთ მისი არსებობა. ასე რომ, ამის მიხედვით უნდა გვქონოდა: აწმყო: ლეწ-ს — ნამყო ძირითადი: *ლიწ-ა, რეკ-ს — *რიკ-ა ფლექსიური მონაცვლეობა.

მართებულია თუ არა ასეთი დაშვება?

ვფიქრობთ, რომ მართებულია. საქმე ის არის, რომ იშვიათად, მაგ-

რამ მაინც შემოგვრჩენია ისეთი ფორმები, მერყეობა რომ ახასიათებთ ფუძედრეკადობის თვალსაზრისით:

აწმყო: ლეკ-ს, ნამყო ძირითადი: წა-ლეკ-ა. მაგრამ იყო წა-ლიკ-ა ფორმაც ([186], 390)

აწმყო: სხეპ-ს, ნამყო ძირითადში მერყეობაა დიალექტების მიხედვით: გა-სხეპ-ა/გა-სხიპ-ა

აწმყო: წენწ-ს, ნამყო ძირითადი: გა-წენწ-ა, მაგრამ არსებობს წინწ-აე-ს (დიალექტური) ფორმა, რომელიც წინწ- ფუძის რეალურობას გვავარაუდებინებს

აწმყო: ჩქეფ-ს, ნამყო ძირითადში აქაც მერყეობაა: ამო-ჩქეფ-ა და ამო-ჩქიფ-ა. შდრ.: დიალექტ. (გურული) გა-ი-ჩქიფალ-ებ-ს ფორმაც, სადაც ჩქიფ-ალ ფუძეა დამოწმებული, ჩქიფ- ფუძის რეალურობაზე რომ მიგვითითებს

აწმყო: ს-ტკეც-ს, ნამყო ძირითადში უნდა იყოს და არის კიდეც: ს-ტკიც-ა, მაგრამ გვხვდება ს-ტკეც-ა ფორმაც: „ბოლოს ერთობლივ სტკეცეს მათრახი ცხენებს და ჭენებით მიაშურეს ქორსატეველას ციხეს“ ([156], 298).

აქედან ერთი დასკვნა გამომდინარეობს: ისტორიულად ფუძედრეკადი ზმნების ერთმა ნაწილმა დაკარგა ფუძის ფლექსიური ცვლილების უნარი და არაფუძედრეკად ზმნებად იქცა. ამისდა კვალობაზე, დასაშვები ჩანს, რომ ლეწ-ს, რეკ-ს, ზეპ-ს ზმნებსაც (ლიწინ-ი, რიკინ-ი, ზიპინ-ი მასდარების ჩვენებისდა მიხედვით) სწორედ ამგვარი კვალიფიკაცია მიეცეთ.

მაგრამ ზემოხსენებულ ფორმათა გვერდით დამოწმებულია ისეთი ფუძედრეკადი ზმნებიც, რომელთაც მოეპოვებათ მასდარის ფუძეა- გახმოვანებით, მაგრამ არ გააჩნიათ მასდარის ფუძე ი- გახმოვანებით, თუმცა ასეთი ფუძე ნამყო ძირითადში რეალურადაა დამოწმებული და ამდენად ხელსაყრელი ნიადაგიც არსებობს:

ტყეპ-ს — ტყაპან-ი/ტყაპუნ-ი, მაგრამ: ტყიპ-ა — X
კვნეტ-ს — კ/ვ/ნატუნ-ი, მაგრამ: კვნიტ-ა — X
თქვლეფ-ს — თქ/ვ/ლაფუნ-ი, მაგრამ: თქვლიფ-ა — X

ზემოთ მოცემული დასკვნის მიდევნებით, აქ ის უნდა ითქვას, რომ ზოგი ამჟამად ფუძედრეკადი ზმნა შესაძლებელია ისტორიულად არ ყოფილიყო ფუძედრეკადი.

თუ ზემოაღნიშნული დაშვება სწორია, მაშინ მსჯელობის ლოგიკა გვიკარნახებს შემდეგს: რადგან ენაში ყველაფერი მკაცრ კანონზომიერებას ექვემდებარება, არ შეიძლება ითქვას, რომ მასში ერთდროულად მოქმედებდა ერთმანეთის საპირისპირო ორი პროცესი: ერთი მხრივ, ხდებოდა ფუძედრეკადი ზმნების გადასვლა არაფუძედრეკად ზმნათა

რანგში, ხოლო, მეორე მხრივ, არაფუძედრეკადი ზმნები იღებდნენ ფუძედრეკადი ზმნების სტატუსს. მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ორივე სახის ფორმები ერთდროულად ერთმანეთის გვერდით დასტურდება.

როგორ და რით უნდა აიხსნას ეს მოვლენა?

იქნებ სხვადასხვა დიალექტური წარმომავლობით? დიალექტთა ერთ ნაწილში ხდებოდა ფუძის დრეკა, მეორე ნაწილში — არა, ვთქვათ, ისეთი, როგორც ახლა განასხვავებენ ფუძის კუმშვით ზმნურ ფორმებს დიალექტები: მალ-ავ-ენ და მალ-ვ-ენ... თუ საკითხს ასე დავაყენებდით, მაშინ უნდა გვევარაუდა, რომ სალიტერატურო ენაში ფუძედრეკადი ზმნები ერთი დიალექტური წრის შემონატანია, ხოლო არაფუძედრეკადი ზმნები — მეორე დიალექტური წრისა. თუ ასეა, მაშინ გასარკვევი რჩება: რატომ არის, რომ სალიტერატურო ენაში ფუძედრეკადობა დამკვიდრდა ერთი და იმავე ფორმობრივი სტრუქტურის მქონე ზმნათაგან მხოლოდ ერთ ნაწილში (დრეკ-ს, გრეხ-ს, ცვეთ-ს, კრეჭ-ს, თვლ-ემ-ს...) და სრულიად გამოირიცხა მეორე ნაწილში (ხვეწ-ს, კვეთ-ს, გვეშ-ს, ი-ხვეჭ-ს)? რატომ, რა საბუთითა და ლოგიკით უნდა ვივარაუდოთ, რომ პირველი ნაწილი ზმნებისა სალიტერატურო ენამ ერთი დიალექტიდან აიღო, მეორე ნაწილი კი — მეორე დიალექტიდან შეითვისა? მით უმეტეს, რომ არც ისტორიულად (რამდენადაც ხელი მიგვიწვდება ამაზე) და არც ახლა დიალექტები ამ თვალსაზრისით სხვაობას არ გვიჩვენებენ.

შემდეგ: თუკი ფუძედრეკადი ზმნები მართლაც რომელიმე დიალექტური წრის შემონატანია სალიტერატურო ენაში, მაშინ უნდა დაგვეშვა არსებობა ისეთი დიალექტისა (ან დიალექტთა ჯგუფისა), სადაც ფუძედრეკადობა ზმნური პარადიგმების წარმოების ერთადერთი განმსაზღვრელი წესი იყო, ანუ: უნდა არსებულიყო ისეთი დიალექტი, სადაც ყველა ზმნური ფუძე დრეკას (ფლექსიას) ექვემდებარებოდა. ამის საპირისპიროდ კი უნდა ვივარაუდოთ დიალექტი (ან დიალექტთა ჯგუფი), სადაც ფუძის ფლექსია საერთოდ არ ხდებოდა. ასეთი მკაცრი გამიჯვნის გარეშე აზრი არ ექნებოდა ფუძედრეკადობის მიჩნევას სპეციფიკურ დიალექტურ მოვლენად, ე. ი. ამის გარეშე საერთოდ არ დაისმოდა საკითხი იმის თაობაზე, რომ ფლექსია რომელიმე ერთი დიალექტური წრის შემონატანია სალიტერატურო ენაში. ასე რომ, ამის კვალობაზე, თანამედროვე ვითარება ქართულში ამ ორი დიალექტური წრის მონაცემთა კონტამინირებად ისახება... არცერთი ასეთი დიალექტი ქართულ სინამდვილეში ფიქსირებული არ არის და არც ივარაუდება (ყველა ნიშნის მიხედვით) მისი ოდინდელი არსებობაც კი.

რომელიმე ენობრივი ფაქტი შესაძლოა ერთ დიალექტში უფრო მკვეთრად წარმოჩინდეს, მეორეში — უფრო ნაკლებ, მაგრამ ამის გამო არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ აქ სპეციფიკურ დიალექტურ მოვლე-

ნასთან გვაქვს საქმე. ეს არის საერთოდ ენის შინაგანი პოტენცია, რომელმაც გაძლიერების მეტი უნარი გაძლავლინა ერთ დიალექტში, ნაკლები — მეორეში.

ამრიგად, დიალექტების მოშველიება ამ შემთხვევაში არსებითს ვერაფერს გვეტყვის.

სხვაგვარი ახსნა ასეთი იქნება: ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდა ძველი და ახალი ფორმაციის ფორმები. ეს ნიშნავს: არსებობის გარკვეულ საფეხურზე ქართულისათვის არ იყო დამახასიათებელი ფლექსია, შემდეგ ეს უნარი მოიპოვა მან, მაგრამ თანდათანობით გააერცელა ფორმაცია ხსოლოდ ერთ ნაწილზე, მეორე ნაწილი კი ძველი სტატუსით შემოგვრჩა, რის შედეგადაც წარმოების ძველი და ახალი პრინციპები ერთმანეთის გვერდით თანაარსებობენ. აქ შესაძლებელია საპირისპირო (მართალია, ნაკლებ სავარაუდო) დაშვებაც: ფლექსია იმთავითვე დამახასიათებელი იყო ქართულისათვის, მაგრამ დროთა განმავლობაში მოიშალა, წარმოების სხვა პრინციპით შეიცვალა. ეს პროცესი ფორმათა ერთ ნაწილში ბოლომდე იქნა მიყვანილი, მეორე ნაწილში შერყევა შეინიშნება, ხოლო ფორმათა მესამე ნაწილს საერთოდ არ შეხებია. თუ ასეა, მაშინ ასახსნელია ამ ნაირგვარობის მიზეზი. ცით უმეტეს, რომ ეს ნაირგვარობა აბსოლუტურად ერთნაირი სტრუქტურის მქონე ფორმებს ეხება: ცვეთ-ს დრეკადია, ანალოგიური სტრუქტურის მქონე კვეთ-ს კი არ ექვემდებარება ამ წესს, ასევე: ბრეც-ს, კრეჭ-ს, თვლემ-ს ფუძეები მიჰყვებიან ფლექსიურ ცვლილებას, სტრუქტურულად იმავე რიგის კვეც-ს, ი-ხვეჭ-ს, გვემ-ს კი — არა ([160], 103).

და მაინც, თქმა იმისა, რომ აქ ჩვენ ძველი და ახალი ფორმაციის ფორმათა თანაარსებობასთან გვაქვს საქმე, უფრო ფაქტის კონსტატაციაა და არა ფაქტის ახსნა, რადგან ახსნა ცვლილების მიზეზის დადგენასაც ვარაუდობს...

როგორადაც უნდა გადაწყდეს ეს საკითხი, ვფიქრობთ, თვით ენობრივი ფაქტი ნათელია: ლიწინ-ი ტიპის ფორმები ამოსავლად შესაბამისი ზმნის ნამყო ძირითადის ი- გახმოვანებულ ფუძეს იყენებენ, მონაცემს, ფლექსიურად დაპირისპირებულს აწმყოს ფუძესთან. იქ, სადაც ამჟამად არ დასტურდება ამგვარი ფუძე, ისტორიულად უნდა აღვადგინოთ იგი.

ახლა მივუბრუნდეთ ზემოთ დასმულ კითხვას: რა საშუალებით მიიღწევა ფუნქციური ეგივეობა ლაწლაწ-ი და ლაწუნ-ი ტიპის სავსებით განსხვავებული პრინციპებით წარმოებულ ფუძეებს შორის?

აშკარაა, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს ხმაბაძვით სიტყვებთან ახლო მდგომ ფორმებთან. ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, მათი ზოგადი ლექსიკური იერ-სახეა, მათი გამაერთიანებელი ლექსიკური ზოგადი მნიშვ-

ნელობა. რაც შეეხება გრამატიკულ ფუნქციას, როგორც ჩანს, ძირითადად ეს არის განუწყვეტელი, განმეორებადი მოქმედების გამოხატვა, ერთი და იმავე მოქმედების „მრავლობითობის“ გადმოცემა. ეს ფუნქცია ლაწლაწ-ი ტიპის ფორმებში გადმოცემულია უშუალო, „ნატურალისტური“ პრინციპით, ანუ: ფუძის გაორკეცებით: *ლაწ- ერთჯერადი მოქმედებაა, ლაწლაწ- — მრავალჯერადობა იმავე მოქმედებისა, მოქმედების სტერეოტიპული განმეორება. ამისდა კვალობაზე, ლაწალუწ-ი ფორმითაც მოქმედების განმეორება გამოიხატება, მაგრამ, ჩანს, არა სტერეოტიპული, არამედ ნაირგვაროვანი, უკეთ: ეს არის მსგავს მოქმედებათა ერთიანობის გამოსახვა.

როგორღა მიიღწევა იმავე ფუნქციის გამოხატვა მეორე რიგის (ლაწან-ი, ლაწუნ-ი ტიპის) ფორმებში?

ამის გასარკვევად ჯერ მათი სტრუქტურული შემადგენლობა უნდა დადგინდეს. ლაწლაწ-ი — ლაწალუწ-ი — ლაწ-ან-ი — ლაწუნ-ი ფორმათა უბრალო შეპირისპირებაც კი ადვილად გამოგვაყოფინებს ლაწ- საერთო ელემენტს, რომელიც ფუძეა ხსენებული ფორმებისათვის და იმავდროულად ლეწ-: ლიწ- (ლეწ-ს, ლეწ-ავ-ს, ლიწ-ინ-ი) ფუძეთა ფორმობრივი კორელატი. ამის საფუძველზე კი შესაძლებელი ხდება ლაწ-ან-ი და ლაწ-უნ-ი ფუძეების დაძატებითი სეგმენტირებაც. ფუძეთა შეპირისპირება:

ლაწ-ან-ი
ლაწ-უნ-ი

გვავარაუდებინებს -ან და -უნ ელემენტების დაშლის შესაძლებლობას: -ა-ნ და -უ-ნ, სადაც -ნ ფორმანტი საერთოა, დასადგენია -ა და -უ ფორმანტების რეალურობა.

-ა ქართულში საკმაოდ გავრცელებული პოლისემანტიკური ფორმანტია. ამჯერად არ ვაზუსტებთ, თუ კერძოდ რა ფუნქციის მქონეა იგი ზემოხსენებულ სტრუქტურაში, ოღონდ იმის თქმა კი უთუოდ შეგვიძლია, რომ ამ ფორმანტის გამოყოფა არ ეწინააღმდეგება ქართული ენის რეალურ სტატუსს. ამისდა კვალობაზე უნდა ვივარაუდოთ *ლაწ-ა ფორმის ოდინდელი შესაძლებლობა. არც ისაა გაბრირიცხული, რომ იგი ფარული ფუძის სახით არსებულიყო ოდესღაც. ასეა თუ ისე, ვფიქრობთ, ამგვარი ფორმის შესაძლებლობა სავსებით დასაშვებია.

უფრო რთულია -უ ფორმანტის რეალურობის დადასტურება. ასეთი ფორმანტი თანამედროვე ქართულში დამოუკიდებლად არ გვხვდება. არ არის პროდუქტიული იგი ძველ ქართულშიც. მიუხედავად ამისა, მაინც ხერხდება -უ ფორმანტის დამოწმება მთელ რიგ ფორმებში: ყრ-უ, დრკ-უ, ძუძ-უ (შდრ.: მ-ძუძ-ე, [190]), 19-20). ფორმები, სადაც საცნაურია -უ ფორმანტის რეალურობა, ამით არ ამოიწურება. მე-

ტიც: ფორმათა მიმართების მთელი სისტემაა დამოწმებული, რის ამოცნობასაც მეთოდოლოგიური ღირებულებაც აქვს, რადგან საშუალებას იძლევა გავარკვიოთ ფორმათა უძველესი ურთიერთდამოკიდებულება. შდრ.:

ბნედ-ს→ბნდ-უ
დრეკ-ს→დრკ-უ
ღრეჯ-ს→ღრჯ-უ...

ჩანს, რომ იგივე -უ ფორმანტი უნდა დავადასტუროთ შემდეგ ფორმებში: ღრ-უ (შდრ.: ღარ-ი), ცრ-უ (შდრ.: „ხელი მო-ე-ცარ-ა") და ა. შ.

არ არის გამორიცხული იმის შესაძლებლობაც, რომ ამჟამად -ო სუფიქსის სახით არსებული ფორმანტი წარმოშობით -უ-ა სუფიქსთა მიმართებაზე დაიყვანებოდეს. ყოველ შემთხვევაში, ზოგჯერ ეს აშკარად ილახდება: ბეწ-უ (შდრ : ბაწ-კ-ი, საბა: „სუსტი ძაფი")→*ბეწ-უ-ა, რომელმაც ერთ შემთხვევაში მოგვცა ბეწ-ე-ა, მეორე შემთხვევაში — ბეწ-ო.

ამისდა კვალობაზე შესაძლებელია ვივარაუდოთ: ფხეკ-ს : ფხაკ-ი/ /*ფხაკ-უ, უკანასკნელისაგან -ა ფორმანტის დართვით: *ფხაკ-უ-ა→ ფხაკ-ო (საბა: „გვერდობი კლდიანი"). ამავე რიგისა იქნებოდა ფხეკ-ო ფორმაც. ფხაკ-ი, ფხაკ-ო, ფხეკ-ი, ფხეკ-ო სინონიმებია ერთმანეთისა.

ამავე რიგისა ჩანს:

ფერდ-ი — ფერდ-ილ-ი — ფერდ-ობ-ი — ფერდ-ო (←*ფერდ-უ-ა)
გვერდ-ი — გვერდ-ილ-ი—გვერდ-ობ-ი—გვერდ-ო (←*გვერდ-უ-ა).

-უ ფორმანტის გამოყოფის შესაძლებლობაზე შემდეგი მიმართებაც უნდა მიგვითითებდეს:

ფხაკ-უ-ნ-ი
ფხაკ-უ-რ-ი

ზოგიერთ შემთხვევაში -უ—-ვ (სახელობითი ბრუნვისეული -ი ნიშნის წინ): ძვ. ქართ.: ბეწ-უ—ახ. ქართ.: ბეწვ-ი. როგორც წესი, ასეთი ცვლილება ხდება ორმარცვლიან ფუძეებში, ერთმარცვლიანები ინარჩუნებენ -უ ფორმანტს თავდაპირველი სახით (ბნდ-უ, დრკ-უ...), რადგან სწორედ ეგ ელემენტი ქმნის მარცვალს ამ ტიპის ფუძეებში, ანდა დრკუვ-ი, ცრუვ-ი ფორმათა სახით წარმოგვიდგებიან. ამიტომაც შესაძლებლად უნდა მიეიჩნიოთ ფონეტიკურად ამგვარი სახით ტრანსფორმირებულ ფუძეებშიც ვეძიოთ უძველესი -უ ფორმანტის კვალი: *კეკ-უ—კეკ-ვ-ი (შდრ.: კეკ-ს), *გლ-უ (შდრ.: გლ-ეს-ს, გლ-ას-უნ-ი)—გლუ-ვ-ი... ასევე საყურადღებო ფორმაა ამ თვალსაზრისით:

*ბაღ-უ (შდრ.: ბაღვ-ი)
*ბაღ-ლ-ი (→ბალღ-ი; [190],86).

არის რამდენიმე მაგალითი, რომლებშიც შესაძლოა ისტორიულად ვივარაუდოთ -უ ფორმანტის პოვნიერება:

ძირკვ-ი←*ძირკ-უ, შდრ.: ძირ-ი, ძირ-აკ-ი. იხ. აგრეთვე მისი „შიშინა ვარიანტი“: ჯირკვ-ი/ჯირკ-ი

დღლ-უ→დღლუვ-ი („თხელი, ჩვილი, არამკვრივი“...), შდრ.: დღლ-ეზ-ს

წიწ-უ („ხის პატარა ფირფიტა, თავში წაწვეტებული“...), შდრ.: წიწ-კ-ი („წვრილი ჩხირი, წკირი, ფიჩხი, კეწერი“)

ჭრ-უ („ჭიანი კაკალი“), ჭრუ-ვ-ი (საბა: ... „განკურეტილი, ვითარცა სტკრი“)←*ჭრ-უ, შდრ.: ჭრ-ი-ს, ჭრ-ილ-ი.

ამჯერად აქ აღარ ვეხებით სხვა ქართველურ ენათა მონაცემებს, რომლებითაც შეგვეძლო გაგვემრავლებინა -უ სუფიქსიანი მაგალითები. ერთი რამ არის აშკარა: ეს ფორმანტი საერთო-ქართველური მონაცემია ([190], 85—87).

ზემომოტანილი მაგალითები, ვფიქრობთ, უეჭველად მიგვითითებენ -უ ფორმანტის რეალურობაზე ქართულში. ამისდა კვალობაზე, ასევე სავსებით დასაშვები ჩანს *ლაწ-უ ფორმა, რომელიც რეალურად ან ფარული ფუძის სახით არსებობდა.

ამდენად, აღვადგინეთ *ლაწ-ა და *ლაწ-უ ფორმები. არ ვაზუსტებთ რა მათ ფუნქციებს, დავსძენთ მხოლოდ იმას, რომ ფუნქციურად, ჩანს, ეს ფორმები მაინც განსხვავდებოდა და ეს სხვაობა ამ ფორმებში შეჰქონდა -ა და -უ ფორმანტებს. ფორმათწარმოების მეორე საფეხურზე ხსენებულ მაწარმოებლებს დაერთვოდა -ნ ფორმანტი. ასე რომ, ფორმათა ჩამოყალიბების პროცესი შეიძლება შემდეგი სქემით გამოვხატოთ:

$$*\text{ლაწ-} \rightarrow \begin{cases} [*\text{ლაწ-ა}] \rightarrow \text{ლაწ-ა-ნ-} \ (\text{ლაწან-ი}) \\ [*\text{ლაწ-უ}] \rightarrow \text{ლაწ-უ-ნ-} \ (\text{ლაწუნ-ი}) \end{cases}$$

კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმულია ფარული ფუძეები.

რა ფუნქცია შეჰქონდა ამ ფორმებში -ნ ფორმანტს? ჩანს, მრავლობითობის, უფრო ზუსტად: მოქმედების მრავალჯერადობის ფუნქცია და მაშინ ლაწან-ი და ლაწუნ-ი ფორმები აბსტრაჰირებულად იმავე ფუნქციის გამომხატველნი აღმოჩნდებიან, რაც რედუპლიცირებულ ლაწ-ლაწ-ი და ლაწალუწ-ი ფორმებს აკისრია.

მაშასადამე, რომელიმე ლაწლაწ-ი და ლაწან-ი სრული ფუნქციური ეკვივალენტები ყოფილა ერთმანეთისა, რაც სხვადასხვა ფორმობრივი საშუალებებითაა მიღწეული: ერთ შემთხვევაში რედუპლიკაციით, მეორე შემთხვევაში — აფიქსაციით.

საკითხს ამოწურულად ვერ მივიჩნევთ, თუკი არ გავითვალისწი-

ნებთ ხსენებულ ფორმათა მიმართებას სხვა ფორმებთან, წარმოდგენილთ ფუძის განსხვავებული გახმოვანებით; შდრ.: ლაწლაწ-ი, ლაწან-ი, ლაწ-უნ-ი, ერთი მხრივ, და ლეწ-ს, მეორე მხრივ, ასევე: ჟღარუნ-ი და ჟღერ-ს, რაკუნ-ი და რეკ-ს, ჩახუნ-ი და ჩეხ-ს... ჩანს, რომ აქ ჩვენ მართლაც ოდესღაც მოქმედ აპოფონიასთან გვაქვს საქმე.

VIII

აპოფოხია ნაკლებგავრცელებული, მაგრამ მაინც პროდუქტიული პრინციპია ფუძეთა წარმოებისა ქართულში. განსაკუთრებით ზმნურ ფუძეებზე ითქმის ეს. ქართულში რომ სვანურის მსგავსად ხმოვანთ-მონაცვლეობით დაპირისპირებული ფუძეები უნდა გვქონოდა, პირველად ვ. თოფურიამ ივარაუდა, მანვე დაასახელა რამდენიმე ასეთი ფუძე:

ვ ნ ე ბ ი თ ი:	მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი:
ჴედ (შთაჰჴედ) —	ჴად (აღმჴადეთ მე კუნკული ესე ტყავისაჲ)...
ცეთ—*ცედ (შევსცეთ) —	ცად (გამოიცადებოდა ეშმაკისაგან),
ყევ (მე წარვჰყევ) —	ყავ (აწ ესერა წარვყავ ბე განსაკითხავად. ყავ სასწაული...)

ქერ (გაქერ) — ქარ (განვქარვოთ. [165], 968—969).

ამ ტიპის რამდენიმე სხვა ფუძეც გამოიყო:

შე-ი-(ნ)-ძერ—შე-ძარ

გა-ე-თერ —გა-თარ-ე ([186], 463).

ზემოხსენებულ მაგალითებს სხვაც შეიძლება დაემატოს და საკმაო რაოდენობითაც. ამჯერად ის ფუძეები გვაინტერესებს, რომლებიც ა- და ე- გახმოვანებით უპირისპირდებიან ერთმანეთს. არ შეიძლება ითქვას, რომ ეს დაპირისპირება ყოველთვის მოქმედებითობა-ვნებითობის ფუნქციის მიხედვით ხდება, პირიქით, ასეთი მაგალითები საკმაოდ მცირერიცხოვანიცაა, ფაქტიურად ზემოთ დასახელებული ფორმებით ამოიწურება. ეს ბუნებრივიცაა, რადგან დაპირისპირების ამგვარი პრინციპი იმ ენობრივი ფორმაციის კუთვნილება ჩანს, როცა გვარი, როგორც გრანატიკული კატეგორია, ქართულში არ ივარაუდებოდა. გვარმა მხოლოდ გამოიყენა ზოგიერთი ამ ტიპის კონკრეტული მაგალითი თავის გამოსახატავად, ისიც ფაკულტატიურად. ხშირად საერთოდ ძნელდება რაიმე ფუნქციური საფუძვლის დაძებნაც კი ამ პრინციპით დაპირისპირებული ფორმებისათვის. ამიტომაც ამჯერად უპირატესად სწორედ წმინდა ფორმობრივ მხარეზე გავამახვილებთ ყურადღებას.

თვით ფორმობრივი დაპირისპირების სურათიც არ არის ერთგვარო-

ვანი: ერთმანეთს მიემართება სულ სხვადასხვა რიგის მაგალითები, რაც, ბუნებრივია, ართულებს ანალიზს. მიუხედავად ამისა, რამდენიმე აშკარა ნიმუში ეჭვს არ ტოვებს ამგვარი დაპირისპირების რეალურობაში.

IX

ერთმანეთს უპირისპირდება სახელადი და ზმნური ფუძეები (უკეღ: ის, რაც ახლა სახელად და ზმნურ ფუძეებად გაიგება):

ჭარ- (ჭარ-ი) — ჭერ- (გა-ჰ-ჭერ)

ძალ- (ძალ-ი‖ძალ-ა) — ძელ- (შე-ს-ძელ)

გვამ- (გვამ-ი, ძვ. ქართ.: გუამ-ი — „ჯორცი, სხეული, ტანი,სული... ორგახიზმი". [151], 97) —გვემ- (გვემ-ს, ძვ. ქართ.: გუემ-ს).

ცხარ- (ცხარ-ე — „მეტად მხურვალე, დამწველი"... [183], 678; ცხარ-ი — საბა: „ცწუაესაით". შდრ.: ცხრო — „სიცხიანი დაავადება. ციებ-ცხელება": [183], 699) — ცხერ- (და-ს-ცხერ; შდრ.: გა-ცხარ-ებ-ა).

საესებით საპირისპირო ვითარებას გვიჩვენებს:

მეტ- (მეტ-ი) — მატ- (ჰ-მატ-ს, ა-მატ-ებ-ს),

სადაც უკვე სახელადი ფუძეა წარმოდგენილი ე- გახმოვანებით, ხოლო ზმნური — ა-გახმოვანებით. ესეც მიუთითებს, რომ ამჟამინდელი ერთი რომელიმე კრიტერიუმით მიდგომა ამ ფორმათა დაპირისპირების რეალურ მიზეზს ვერ გაარკვევს. ისტორიულად მათი ფუნქციონირების სტატუსი, აშკარაა, სულ სხვა რამ უნდა ყოფილიყო. ამჯერად ჩვენ იმ უძველესი ვითარების ნაშთის კონსტატაციას ვახდენთ მხოლოდ.

ზემოთ სახელადად მოხსენიებულ ყველა ფუძისგან ამჟამად ხერხდება ზმნური ფორმების წარმოება: ა-ქარ-ვ-ებ-ს, ა-ძალ-ებ-ს, ა-ცხარ-ებ-ს, ა-მეტ-ებ-ს... ამ მხრივ არც ძველ ქართულში შეინიშნება რაიმე კატეგორიული შეზღუდვა.

X

ერთმანეთს უპირისპირდება ზმნური ფუძეები:

ჯად-(შე-ჰ-ჯად-ე)	—	ჯედ-(შე-ჰ-ჯედ)
ძარ-(შე-ს-ძარ)	—	ძერ-(შე-ი-ნ-ძერ)
თარ-(გა-ს-თარ-ე)	—	თერ-(გა-ე-თერ)

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ამ ფუძეების მიხედვით მართლაც რჩება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს სხვადასხვა გახმოვანებით ერთმა-

ნეთს უპირისპირება მოქმედებითი და ვნებითი გვარის, ან გარდამავალი და გარდაუვალი ფორმები. მაგრამ აღინიშნა ისიც, რომ ამგვარი ფუნქციური სტატუსის მინიჭება ხსენებული ფორმებისათვის მეორეულია: ჯერ ერთი იმიტომ, რომ გვარი გაცილებით უფრო გვიანდელი ფორმაციის წარმონაქმნია ქართულში და ამგვარ ფორმათა ჩამოყალიბება ყველა ნიშნის მიხედვით წინ უსწრებს მას. მეორეცაა და, ეს ფუნქციური დაპირისპირება არ წარმოჩენილა სხვა ფუძეებში, რომლებიც ფორმობრივ იმავე სტატუსს გვიდასტურებენ. ფუძის გახმოვანების მიხედვით დაპირისპირება იმთავითვე რომ გვარის ან გარდამავლობის გასარჩევად ყოფილიყო გამოყენებული, მაშინ იგი კი არ დასუსტდებოდა, გაქრობის გზას კი არ დაადგებოდა, როგორც ეს ახლა შეინიშნება, არამედ გაძლიერდებოდა და სხვა ფუძეებზეც გავრცელებდა მას, მით უმეტეს, რომ ამ პრინციპით ნაირგვარად გახმოვანებული ფუძეებიდან ბევრი დღემდეა შემორჩენილი ქართულში. ამჟამად კი თვით ის ფუძეებიც, რომლებიც ძველ ქართულში თითქოსდა მართლაც დაპირისპირებულია გვარისა თუ გარდამავლობის მიხედვით, იცვლიან ადრინდელ ფორმობრივ ჩვენებას და მიმართების სხვაგვარ პრინციპზე გადადიან: ფუნქციურად დაპირისპირებული ფუძეები ერთმანეთს მიემართებიან ნაირგვარი აფიქსაციით და არა ნაირგვარი გახმოვანებით.

მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი:		ვ ნ ე ბ ი თ ი:
აწმყო: ს-ძრ-ავ	—	ი-ძერ-ებ-ი—*ი-ძრ-ე-ებ-ი
ნ. ძირ.: და-ს-ძარ-(ი)	—	და-ი-ძარ-(ი).

ის ფაქტი, რომ სვანურში ზმნათა ერთი ტიპი აქტივისა და მედიოპასივის ფორმებს ერთმანეთისაგან ფუძის დრეკადობით ასხვავებს: „პირველს -ი- ახასიათებს ფუძეში, ხოლო მეორეს -ე-:... ტიხ-ე „აბრუნებ“ — ტეხ-ნი „ბრუნდები“ ([166], 295), ის, რომ ანალოგიური მიმართებების კვალი იძებნება ქართულსა ([166], 301-302; [165] 969-970) და მეგრულ-ჭანურში, რა თქმა უნდა, შემთხვევითი ან ერთ-ერთი ამ ენათაგანისათვის იმთავითვე სპეციფიკური არ შეიძლება იყოს. ვფიქრობთ, მართებულად ივარაუდება, რომ „ხმოვანთა აბლაუტური მიმართებები მორფემებში ქართველურ ენათა ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ სტრუქტურულ თავისებურებას წარმოადგენდა, მომდინარეს საერთო-ქართველური ეპოქიდან, როდესაც მორფოლოგიური დერივაცია არსებითად აბლაუტს ემყარებოდა“ ([157], 175). მართებული ჩანს ისიც, რომ ხსენებული მიმართება გამოიყენა გარდამავლობამ, შემდეგ კი, რამდენიმე შემთხვევაში, გვარის კატეგორიამ, მაგრამ აშკარაა ისიც, რომ ამ პრინციპს გარდამავლობაც და გვარიც მხოლოდ ფაკულტატიურად იყენებდა და ზოგჯერ ახლაც იყენებს თავისი შინაგა-

ნი ოპოზიციის გამოსახატავად. ამიტომაც არ შეიძლება იმის თქმა, რომ ხსენებული პრინციპი იყო ან თუნდაც ახლა არის გარდამავლობისა და გვარის გამომხატველი ერთ-ერთი ძირითადი საშუალება, რომ სწორედ ეს იყო ან ახლა არის მისი დანიშნულება, რომ სწორედ ეს წარმოადგენდა ან ახლა წარმოადგენს მისი ჩამოყალიბებისა და არსებობის ძირითად მიზანს. არ შეიძლება ამის თქმა ისევე, როგორც ვერ ვიტყვით, რომ ი-დრიკ-ავ-ს — უ-დრიკ-ავ-ს მიმართებით ენა დინამიკურობისა და სტატიკურობის ფუნქციებს განასხვავებს, თუმცა ფაკულტატიურად ეს შესაძლებლობაც არსებობს ამ შემთხვევაში, შდრ.: დინამიკური: ი-ჭირ-ავ-ს („ვერ დაიჭირავს სიკვდილსა...“ ვეფხისტყაოსანი, სტრ. 800₁) — სტატიკური: უ-ჭირ-ავ-ს („ხელში ფანქარი უჭირავს“). ამ ფუნქციის გამოხატვა არის ხსენებული მიმართების ფაკულტატიური შესაძლებლობა და, ბუნებრივია, მის ძირითად, თუნდაც დამახასიათებელ სტატუსად, ვერ მიიჩნევა. რასაკვირველია, ფაკულტატიური შესაძლებლობაც შემთხვევით არ შეიძლება წარმოჩინდეს, იგი უშუალო გამოვლინებაა ამა თუ იმ ენობრივი პოტენციისა, რეალიზაცია ამა თუ იმ ფორმისათვის ენის მიერ იმთავითვე „ნებადართული“ ფუნქციური შესაძლებლობისა. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა, ამა თუ იმ ფორმისათვის ყველა ფაკულტატიური შესაძლებლობის დადგენა მისი ძირითადი ფუნქციის არსში უკეთ გაგვარკვევს, მაგრამ ჩხოლოდ მაშინ, თუკი შევძლებთ თავიდან ავიცდინოთ ფაკულტატიურისა და ძირითადის ურთიერთაღრევა. დავსძენთ: დროთა განმავლობაში ფაკულტატიური შესაძლოა ძირითადად იქცეს, ძირითადი ფაკულტატიურში გადავიდეს ან სრულიად გაქრეს. რაც მთავარია, ძირითადის გვერდით ფაკულტატიურის დაშვებით ენა ინარჩუნებს მოქნილობას და უნარს ახალწარმოქმნილი ფუნქციების შეთვისებისა, მათი გამოხატვის შესაძლებლობას.

სწორედ ამ სახის ფაკულტატიურ შესაძლებლობად ისახება ძარ-— ძერ- ტიპის სხვადასხვა გახმოვანების მქონე ფუძეთა მიერ გარდამავლობისა თუ გვარის შინაგანი ოპოზიციის გამოხატვა. ამიტომაც საძიებელია არა მხოლოდ უძველესი, ამოსავალი კრიტერიუმი ხსენებული მიმართებისათვის, არამედ დასადგენია ის ძირითადი ფუნქციაც, რომელიც ამგვარი ფორმათმიმართებით გამოიხატებოდა და რომელმაც შესაძლებელი გახადა, რომ გვარის (თუ გარდამავლობის) კატეგორია „დაჰსესხებოდა“ მას თავისი შინაგანი ოპოზიციის სარეალიზაციოდ.

XI

ქვემოდასახელებული, ნაირგვარი გახმოვანების მქონე, ფორმები ერთმანეთის პარალელურადაა დამოწმებული ენაში, მაგრამ ამჟამად

რაიმე ფუნქციური სხვაობა, არც ლექსიკური და არც გრამატიკული, არ უჩანთ:

ჭარ- (და-ვ-ჭარ)	—	ჭერ- (და-ვ-ჭერ)
ცარ- (გა-ვ-ცარ)	—	ცერ- (გა-ვ-ცერ)
ცვ- (და-ვ-ი-ცავ-ი)	—	ცევ- (და-ვ-ი-ცევ-ი)

თანამედროვე ქართული ენა პირველ ორ შემთხვევაში უპირატესობას აძლევს ე- გახმოვანებით წარმოდგენილ ფუძეს: და-ვ-ჭერ-ი, გა-ვ-ცერ-ი. ა- გახმოვანებული ფუძეები ამჟამად დიალექტებშიღა გვხვდება, მაგრამ, ჩანს, ეს მეორეული მოვლენაა. რითი მტკიცდება, რომ ფუძეები როგორც ა-, ასევე ე- გახმოვანებით ფუნქციონირდება ერთსა და იმავე ენობრივ არეალში და არ წარმოადგენდა, როგორც ახლა, ერთმანეთის მიმართ დიალექტურ ვარიანტებს?

ჯერ ერთი, თვით სალიტერატურო ენაში დამოწმებულია ფორმა, რომლისთვისაც ამოსავალია ფუძე ა- გახმოვანებით: ნა-ცარ-ი. გარდა ამისა, „ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებულია ერთი ფუძე აგრეთვე ა-გახმოვანებით:

„ზღვათა მეფისა ქალაქსა სავაჭროდ გარდმო-ნა-ჭარ-ნ-ი,
საქონელ-სრულნი, მდიდარნი, არ ლარნი გვქონან ნა-ჭარ-ნ-ი“ (1031).

შესაძეცაა და, მეგრულ-ჭანურის მონაცემი გვიდასტურებს ამ ფორმათა რეალურობას: ჭკორ- (დო-ჰ-ჭკორ-ი „დავჭერი“) და ცორ- (დო-მ-ცორ-ი „გავცერი“) ფუძეები, დადგენილი ბგერათშესატყვისობის კვალობაზე, ქართულში სწორედ ჭარ- და ცარ- (ე. ი. ა-გახმოვანებით წარმოდგეხილ) ფუძეთა არსებობას ვარაუდობს. ქართული ჭერ- და ცერ- ფუძეების შესატყვისობანი (*ჭკარ- და *ჩარ-||ცარ)- მეგრულ-ჭანურში დამოწმებული არ არის. შესაძლებელია, მეგრულ-ჭანურმა დაკარგა ეს ფუძეები განმასხვავებელი ფუნქციის გაუჩინარების გამო.

საკმაოდ ახლოს დგას ზემოხსენებულ ფორმებთან შემდეგი მიმართებაც:

გავ- (და-ჰ-გავ-ი) — გევ- (ნა-გევ-ი).

ნა-გევ-ი („ნაგავი, წიდა,“ [151], 317) ძველ ქართულში გავრცელებული ფორმაა:

„და მოაღებინა ნა-გევ-თ-ა-გან სკორე და მყრალი ძუალები მძორისაჲ...“; „წარვიდეს, და სლვასა მას შინა მიემთხჳნეს ნა-გევ-თ-ა დიდთა“... („სიბრძნე ბალაჰვარისი“, [189], 241, 245).

„ყოველივე დიდებაჲ ამის სოფლისაჲ შეურაცხ-ყო და ნა-გევ-ად

შეჰრაცხა...“ (გიორგი ხუცეს-მონაზონი, ცხორებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი..., [189], 295).

„ამისთჳსცა ყოველი დიდებაჲ ამის სოფლისაჲ, ვითარცა ნა-გევ-ი, ეგრეთ შეჰრაცხა...“ (ცხორებაჲ და წამებაჲ წმიდისა მოწამისა კოსტანტისი ქართველისაჲ (კახისაჲ); [189], 81).

ახალ ქართულში ხმარებული ნა-გავ-ი ფორმისათვის შესაბამისი ზმნის ნამყო ძირითადის ფუძეა ამოსავალი:

აწმყო: ჰ-გვ-ი — ნამყო ძირით.: და-ჰ-გავ-ი → მიმღ.: ნა-გავ-ი.

შესაბამისად (ნა-ჭარ-ი — ნა-ჭერ-ი ფორმების კვალობაზე) ნამყო ძირითადისათვის ნა-გევ-ი ფორმა გევ- (და-ჰ-გევ-ი) ფუძეს აღადგენს:

და-ს-ჭარ-→ ნა-ჭარ-ი, მაგრამ: და-ს-ჭერ-→ნა-ჭერ-ი.

და-ჰ-გავ → ნა-გავ-ი „ * და-ჰ-გევ- → ნა-გევ-ი.

ამრიგად, შეგეძლია დავასკვნათ, რომ ქართულში ჭარ-: ჭერ-,ცარ-: ცერ- (შდრ.: [157], 234—239), ცავ-:ცევ- (შდრ.: [186], 552), გავ-: გევ- გახმოვანებით დაპირისპირებულ ფუძეთა თანაარსებობა რეალური ფაქტია და დამოწმებულია იგი როგორც ძველ, ასევე ახალ ქართულში. ეს მიმართება მარტოოდენ ფონეტიკურ სხვაობაზე არ უნდა დაიყვანებოდეს.

XII

განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ შემდეგი მაგალითის ანალიზზე:

კარ- (შე-ვ-კარ) — კერ- (ძვ. ქართ.: შე-ვ-კერ-ბ-ი-თ).

ძველ ქართულში დამოწმებული შე-ვ-კერ-ბ-ი-თ ფორმა ზოგიერთ განმარტებას საჭიროებს.

ქართულში, როგორც წესი, ყველა ზმნური ფუძე ამოსავალი ფონეტიკური სტატუსით წარმოდგენილია II სერიაში, სახელდობრ: ნამყო ძირითადში; შდრ.

	1.	2.	3.	4.	5.	6. შდრ.: 7
I სერიის ფუძე:	წერ-	ხატ-ავ-	კლ-ავ-	თლ-ი	ცრ-ი	ქრ-ებ-ი დრეკ
II სერიის ფუძე:	წერ-ე	ხატ-ე	კალ-	თალ-ე	ცერ-	ქერ- დრიკ-ე

ამ სქემაზე წარმოდგენილია ფუძეთწარმოების თვალსაზრისით კლასიფიცირებული ქართული ზმნის ყველა ძირითადი ტიპი. პირველი და მეორე სერიის ფუძეთა მიმართების ყველა კერძო შემთხვევა ქართულში ზემოხსენებულისაგან ერთ-ერთ რომელიმე ტიპს განასახიერებს. დაშატებით ხატ-ავ ტიპში შეგვეძლო ქვეჯგუფად გამოგვეყო ა-კეთ-ებ (პრეფიქსიანი) ფუძე, კლ-ავ ტიპში — ა-კლ-ებ (ასევე პრეფიქსიანი) ფუძე. სხვა თავისებურებანიც დაიძებნება, მაგრამ მიმართებათა ძირი-

თად სახეებს ზემოთ მოცემული სქემა, ვფიქრობთ, საკმაოდ სრულად გადმოსცემს.

ერთი შეხედვით, კლასიფიკაციის პრინციპი აქ შერეულია, გათვალისწინებულია ორი რამ: ა)ფუძის ფონეტიკური სტატუსი პირველ და მეორე სერიაში, და ბ) ფუძის მორფოლოგიური სტატუსი პირველ და მეორე სერიაში.

ამათგან მარტოოდენ ერთ-ერთის გამოყენება ზოგიერთ ცვლილებას შეიტანდა ამ სქემაში.

მხოლოდ ფონეტიკური ფაქტორის გათვალისწინება სამი ტიპით შემოფარგლავდა ზემოაღნიშნულ სქემას: 1. ფუძე ფონეტიკურად უცვლელია: წერ- — წერ-ე-, ხატ-ავ- — ხატ-ე . . . 2. ხდება ფუძის კუმშვა — სრული რედუქცია: კლ-ავ- ← კალ-, ცრ-ი ← ცარ- /ცერ-, თლ-ი- ← თალ-ე... 3. ხდება ფუძის დრეკა: დრეკ- →დრიკ-ე... ეს არის ქართულში ზმნის უღვლილებისას წარმოჩენილი ფონეტიკური ცვლილების სამი სტატუსი, რომელიც არსებითად ზმნური ფორმათწარმოების სამ ნაირსახეობას წარმოადგენს: აწმყოში მარტივი ფუძე, აწმყოში გართულებული ფუძე და აწმყოში ფლექსიური ფუძე. . . ზედმიწევნითი სიზუსტე რომ დავიცვათ, მაშინ უნდა ითქვას, რომ აქ მაინც არა სამ, არამედ ორ ფონეტიკურ ტიპთან გვაქვს საქმე: 1. ფუძე ფონეტიკურად უცვლელია: წერ- — წერ-ე, ხატ-ავ- — ხატ-ე... 2. ფუძე ფონეტიკურად ცვლადია; ამ შემთხვევაში გამოიყოფა ორი ქვეჯგუფი: ა) ხდება სრული რედუქცია, და ბ) ხდება ნაწილობრივი რედუქცია — ფუძის დრეკა.

თუ კლასიფიკაციას წმინდა მორფოლოგიურ პრინციპს დავუდებთ საფუძვლად, მაშინ შემდეგი მომენტების გათვალისწინება მოგვიწევს: ჯერ ერთი, წმინდა მორფოლოგიური თვალსაზრისით წერ-ე, თალ-ე, დრიკ-ე ფუძეები იდენტური არიან (ფორმულა: ფუძე + -ე), არაა სხვაობა ხატ-ავ-, კლ-ავ- და ცრ-ი- ფუძეთა წარმოების მორფოლოგიურ პრინციპს შორის (ფორმულა: ფუძე + თემის ნიშანი). ამისდა კვალობაზე, მიმართება ხატ-ავ-: ხატ-ე, თლ-ი: თალ-ე- მორფოლოგიურად იდეხტური სტატუსისაა, ისევე, როგორც წერ-: წერ-ე, დრეკ-: დრიკ-ე, ერთი მხრივ, და კლ-ავ-: კალ-, ცრ-ი: ცარ- /ცერ-, მეორე მხრივ. იმ ფაქტს, რომ-ავ და -ი თემის ნიშნები სხვადასხვა გენეზისისა და ისტორიისა არიან, სინქრონიული კლასიფიკაციის დროს, ბუნებრივია, მნიშვნელობა არა აქვს. ეს არის თანამიმდევრულად გატარებული წმინდა მორფოლოგიური კლასიფიცირების პრინციპი. ამგვარი კლასიფიცირება ემყარება რომელიმე მორფოლოგიური ფორმულის წმინდა გარეგნულ სახეს. ფორმულის გამოვლენის თვალსაზრისით ყველაფერი ეს აღწერის მისაღები პრინციპია, მაგრამ ამ შემთხვევაში გაუთვალისწინებელი რჩება ერთი უმნიშვნელოვანესი მხარე ენისა: მოცე-

მული ფორმულის შემადგენელ ელემენტთა შინაგანი ურთიერთმიმართების ხასიათი და თავისებურება, ხოლო რადგანაც ყოველი ენის (ისევე, როგორც თითოეულ ენაში არსებული ფორმობრივი თუ ფუნქციური კატეგორიების) შინაგან თვისებაა. ყოველი ენის რეალურ სახეს და, ბოლოს, მის ზოგად ლინგვისტურ ბუნებას განაპირობებს არა იმდენად ენობრივ ელემენტთა შენების გარეგნული სტატუსი, არამედ ამ ელემენტთა ურთიერთმიმართება და ურთიერთდამოკიდებულება, ამიტომ აუცილებელი ჩანს ენის გრამატიკული აღწერისას სწორედ ეს მხარე იქნეს ათანადოდ გათვალისწინებული და წარმოჩენილი.

ამ ნოთხოვნილების პრაქტიკული განხორციელება, შესწავლის თეცნიერული აპარატურა საკმაოდ რთულია, ზოგი რამ გამოუცენელიცაა. პიოელ. საწყის ეტაპად აქ ფორმანტთა თვისებისა და ქმედების გათვალიწინება გვესახება. ამის გათვალისწინებას კი ძალაუნებურად ძივუყავართ ფონეტიკური სტატუსის გათვალისწინებისაკენ, როგორც ფორმანტთა თვისებისა და ქმედების. უნარის უშუალო გამოვლინებისაკენ. ასეთი კვალიფიკაციით ზემოაღნიშნული კლასიფიკაცია ემყარება არა ორ (ფონეტიკურ და მორფოლოგიურ) პრინციპს. არამედ ერთს. მორფოლოგიურს. ოღონდ ფორმანტთა ურთიერთმიმართების გათვალისწინებით. ხოლო ფონეტიკური სტატუსი ამ შემთხვევაში გაიაზრება როგორც გარეკანი გამოვლინება აღნიშნული მიმართებისა.

ენობრივ ფორმათა შეაწავლია ასეთ პირობებში კლასიფიცირებისას დამატებით კიდევ დაგკვირდება რამდენიმე მონაცემის გათვალისწიხება. მაგალითად. არამცთუ -ავ და -ი, არამედ ყველა შემთხვევაში -ავ თემის ნიშანიც კი (თავისი თვისებითა და ქმედებით) არ აღმოჩნდება ერთგვაროვანი. შდრ. :

კლ-ავ—ი-კვლ-ებ-ა, მაგრამ: მალ-ავ—ი-მალ-ებ-ა,
თხზ-ავ — ი-თხზ-ე-ებ-ა. " ხატ-ავ — ი-ხატ-ებ-ა.

მარცხენა რიგის მაგალითებში -ავ კუმშავს ამოსავალ ფუძეს (კალ-, თხაზ-) და იმავდროულად ენებითში შენარჩუნებულია -ე ნაშთის სახით, ი-კვლ-ებ-ა ფორმაში მეტათეზისია მომხდარი. ე. ი. ერთ შემთხვევაში მას ახასიათებს კუმშვის მოხდენის ქმედება და ამგვარი ფუძე პიროაა, რომ ვხებითის ფორმაში -ავ ნაშთის სახით შენარჩუნებულ იქნეს ფუძეში. მარჯვენა რიგის მაგალითებში -ავ ვერ კუმშავს ფუძეს და ენებითშიც უცვალოდ აქოვარდება ფუძიდან. შენარჩუნებულია მხოლოდ ენებითის ძველი წარმოების ი-მალ-ე-ი-ს, ი-ხატ-ე-ი-ს ტიპის ფორმებში. მაშასადამე, ამ შემთხვევაში -ავ ფორმანტი კუმშვის მოხდენის უხარს ძოკლებულია და ვერც -ებ თემისნიშნიან ენებითში შემორჩება ფუძეს. ეს ფაქტი, ამგვარი გამოკვნა შეიძლებოდა შემთხვეეითობად

მიგვეჩნია, დაჟინებით რომ არ იჩენდეს თავს სხვა პარადიგმებშიც, მაგალითად, I თურმეობითში (როცა -ი-ა დაბოლოებითაა წარმოებული, დიალექტურად რომ მიიჩნევა ახლა):

კლ-ავ-ს — მო-უ-კვლ-ი-ა, მაგრამ: მალ-ავ-ს — და-უ-მალ-ი-ა,
თხზ-ავ-ს — შე-უ-თხზ-ვ-ი-ა, „ ხატ-ავ-ს — და-უ-ხატ-ი-ა.

ამგვარი „დეტალების" გათვალისწინება ზედმიწევნით ზუსტი კლასიფიცირების დროს აუცილებელია, მაგრამ ამჯერად სქემა ნიმუშადაა მოტანილი და იგი ზემოთ წარმოდგენილი ოდნავ გამარტივებული სახითაც დაგვაკმაყოფილებს.

ამ სქემაზე მოცემული ფორმები, რომლებიც შვიდ ტიპად განდასდნენ, უცილობლად ნათელს ხდიან, რომ პირველ ექვს შემთხვევაში სრული გახმოვანებით, ანუ: ამოსავალი ფონეტიკური სტატუსით ყველა საყრდენი ფუძე II სერიაში, კერძოდ, ნამყო ძირითადში არის წარმოდგენილი. ორ შემთხვევაში სრული გახმოვანება I სერიაშიც გადაჰყვება (წერ-ს, ხატ-ავ-ს), დანარჩენი ოთხი ფორმა I სერიაში რედუცირებულ ფუძეს წარმოგვიდგენს. ბუნებრივია, რომ რედუცირებული ცრ-ი-ფუძისათვის ამოსავლად ნამყო ძირითადის სრულხმოვნიანი ცარ- || ცერ- ფუძე მივიჩნიოთ. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა მაგალითებშიც. ასე რომ, ფორმობრივი ნიშნით ძველ ქართულშიც და ახალ ქართულშიც ნამყო ძირითადის ფუძე დინამიკური ზმნებისა ამოსავალია, საყრდენია ყველა სხვა პარადიგმის ფუძეთათვის ([191], 110—111).

გვაქვს გამონაკლისებიც. ვგულისხმობთ იმ შემთხვევებს, როცა სრული გახმოვანებით ფუძე არცერთ პარადიგმში არ არის წარმოდგენილი: შდრ.:

აწმყო: ვ-ხმ-ებ-ი ვ-ხშ-ავ ვ-ა-ვს-ებ ვ-ა-ნთ-ებ
ნ. ძირ.: გა-ე-ხმ-ი და-ვ-ხშ-ე ა-ვ-ა-ვს-ე ა-ვ-ა-ნთ-ე

აქ ნაირგვარი მაგალითებია თავმოყრილი. მეტ-ნაკლებად ყველა მათგანის ახსნა ხერხდება. ხოლო ახსნის შედეგად შესაძლებელი ხდება ისევ და ისევ სრულხმოვანი ფუძის აღდგენა.

უპირველეს ყოვლისა ეს გა-ვ-ხმ-ი და და-ვ-ხშ-ე ფორმებზე ითქმის. ძველი ქართული ადვილად აღგვადგენინებს ამ ფუძეთა თავდაპირველ ვარიანტს. იყო:

აწმყო: ვ-ჴმ-ებ-ი ვ-ჴშ-ავ
ნ. ძირ.: გან-ვ-ჴემ და-ვ-ჴაშ.

ამრიგად, აღდგა სრულხმოვანი ჴემ-და ჴაშ-ფუძეები და აღდგა ისევ და ისევ ნამყო ძირითადში. ყურადსაღებია: აქ წარმოდგენილია ორი

ფუძე, ერთი ვნებითისა (ე-გახმოვანებით), მეორე — მოქმედებითისა (ა-გახმოვანებით). ამ ტიპის მაგალითები ძველ ქართულში სხვაცაა და ყველა შემთხვევაში შეინიშნება ნამყო ძირითადში ნულ-გახმოვანებულ ფუძეზე გადასვლის ტენდენცია:

ფუძე ე-გახმოვანებით:

იყო:	არის
განჯემ →	გახმი
განტეფ →	განტფი (→ გათბი)
დასცხერ →	დასცხრი
დასჭენ →	დასჭნი (დაჭკნი)′
მისწუედ →	მისწვდი
დასდენ →	დასდნი
დაჰშუერ →	დაშვრი
მოჰკუედ →	მოკვდი
განჰკერთ →	შეკრთი
შესდერკ →	შედრკი
შეჰკერბითთ →	შეკრბითთ (‖შეიკრიბენითთ)

ფუძე ა-გახმოვანებით:

დაჰჯაშ → დახშე
შესთხაზ → შეთხზი
განირათხ → განირთხი
შეირატყ → შეირტყი.

ამ ტიპის ფორმებში ხსენებული ტენდენცია სულ უფრო დაჟინებით იკვლევს გზას. რამდენიმე ფორმა უკვე თანამედროვე ქართულშიც კი განიცდის ამ თვალსაზრისით მერყეობას. ძირითადად ეს შეეხება ზემორე კლასიფიკაციაში მეექვსე ტიპად დასახელებულ ფორმებს:

გაჰქერ → გაქერი ‖ გაქრი
გასწყერ → გაწყერი ‖ გაწყრი
განსძეღ → გაძეხი ‖გაძღი.

ზემოთ იმ ფუძეთა რიგში, რომლებიც არცერთ პარადიგმში არ აღიდგენენ ამოსავალ, არარედუცირებულ ვარიანტს, ა-ნთ-ებ ფორმის ფუძეც იყო დასახელებული. ამ შემთხვევაშიც ხერხდება სრული გახმოვანების მქონე ფუძის ფაქტობრივ დამოწმება, ეგ არის ნათ- ფუძე (← ნა--თ-), რომელიც ნათელი და ანათებს ფორმებში შეუკუმშავადაა წარმოდგენილი. ფუძის კუმშვა რომ მართლაც სტრუქტურულ ნიშნადაა ქცეული, ეს ანათებს და ანთებს ფორმათა პარადიგმული ცვლილების დროსაცაა აშკარად წამოჩენილი:

აწმყო:	ა-ნათ-ებ-ს	— ა-ნთ-ებ-ს
ნ. ძირ.:	გა-ა-ნათ-ა	— გა-ა-ნთ-ო
I თურმ.:	გა-უ-ნათ-ებ-ი-ა	— გა-უ-ნთ-ი-ა
II. თურმ.:	გა-ე-ნათ-ებ-ინ-ა	— გა-ე-ნთ-ო

რა გაირკვა?

ა-ნთ-ებ-ს ზუსტად იმეორებს უძველეს, ახლა ნულ-გახმოვანებულებად გაგებულ ფუძეთა ჩვენებას: ნამყო ძირითადში მხოლობითი რიცხვის III სუბიექტური პირის ნიშნად -ო მოუდის, თურმეობითებისათვის ამოსავალია ნამყო ძირითადის (და არა აწმყოს) ფუძე. ასე რომ, ამ თვალსაზრისით აქ მართლაც დებ-ს, ი-გებ-ს, ა-ქებ-ს, ა-ღებ-ს ძველისძველ ზმნათა ანალოგიური ვითარებაა. მსგავსება უფრო შორსაც მიდის და შესაბამისი ვნებითის წარმოების პრინციპშიც იჩენს თავს: ვნებითი პრეფიქსული წარმოებისაა, თუმცა ა+ფუძე+ებ მოქმედებითის ყალიბს, როგორც წესი, სუფიქსიანი ვნებითი შეესატყვისება, შდრ.:

ა-კეთ-ებ-ს — კეთ-დ-ებ-ა, მაგრამ: ა-ღებ-ს ← ი-ღებ-ა
ა-ნათ-ებ-ს — ნათ-დ-ებ-ა, მაგრამ: ა-ნთ-ებ-ს→ი-ნთ-ებ-ა.

ეს ნიშნავს: ნთ-ებ-, აშკარად რთული შედგენილობის ფუძე, უძველეს, დებ-(ვ-დებ) ტიპის, ფუძეებს ეკედლება და ენაში ამგვარი სტატუსით მკვიდრდება.

უფრო რთულია ა-ვს-ებ-ს ფორმაში დამოწმებული ვს-ფუძის საკითხი. ვს- ფონეტიკურად თავისებური კომპლექსია ([176], 22; [175], 101). ვარაუდობენ ამ ფუძის ირანული ენებიდან ნასესხობას ([152], 87-88). გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ხსენებული ფუძე საერთო-ქართველურ დონეზეა წარმოდგენილი ([193], 334; [167], 233; [204], 86). არცერთ შემთხვევაში (თვით ამოსავლად ნავარაუდევ ოსურშიც კი) მას სრულხმოვნიანი ვარიანტი არ უჩანს. უღვლილების მიხედვით იგი ზემოხსენებულ ზმნებს ამოუდგება გვერდით.

ამრიგად, შეგვიძლია დავამოწმოთ, რომ თუკი გაუხმოვანებელი ფუძის სისტემასთან არა გვაქვს საქმე, ნამყო ძირითადში ფუძე ყოველთვის სრული გახმოვანებით იქნება წარმოდგენილი და სწორედ ეგ ფუძე ივარაუდება ამოსავლად დანარჩენი პარადიგმებისათვის. და მართლაც, ბუნებრივია, რომ აწმყოს კლ-ავ-, ცრ-ი-, ქრ-ებ-ი რედუცირებული ფუძეებისათვის ამოსავლად ნამყო ძირითადის სრული გახმოვანებით წარმოდგენილი მო-ჰ-კალ, გა-ს-ცერ, გა-ჰ-ქერ ფუძეები მივიჩნიოთ.

სრულიად საპირისპირო მდგომარეობას გვიდასტურებენ დრეკ-, კრებ- რიგის ფუძეები, რომლებიც ზემოთ მოტანილ სქემაზე მეშვიდე

ტიპად გამოიყო: ჯერ ერთი, აქ ნაწილობრივი რედუქცია ხდება (ე:ი — დრეკ-ს—დრიკ-ა; მეორეცაა და, რედუცირებულია სწორედ ნამყო ძირითადის და არა აწმყოს ფუძე. ქართულში არა გვაქვს არავითარი საბუთი იმისა, რომ შესაძლებლად მივიჩნიოთ დრიკ—დრეკ- პროცესი და ამით ნამყო ძირითადის ფუძის (დრიკ-) ამოსავლობა ვამტკიცოთ.

რა გვაქვს აქ? გამონაკლისი თუ საერთოდ წარმოდგენილი ჰიპოთეზა ენების ევოლუციის? არც ერთი და არც მეორე! ეს ფორმები უძველესი კია, მაგრამ პირველსაფუძვლად იმ მონაცემს ვარაუდობენ, ვნებითი გვარის ნამყო ძირითადში რომ დაუმოწმდა ზოგიერთ მათგანს ძველ ქართულში:

აწმყო: ვ-დრკ-ებ-ი	ვ-კრბ-ებ-ი-თ
ნ. ძირ.: შე-ვ-დერკ	შე-ვ-კერბ-ი-თ

ამრიგად, ამოსავლად ივარაუდება დერ-კ- და კერ-ბ- ფუძეები, რომლებიც მეექვსე ტიპის ზმნათა (ქრ-ებ-ი — გა-ჰ-ქერ) ჩვენებას იმეორებენ. თუ ასეა, მაშინ ფუძის სრულხმოვნობის თვალსაზრისით აქაც ყველა სხვა სისტემასთან მთლიანი შესაბამისობა აღმოგვაჩნდება.

ახლა: რამდენიმე სიტყვა კარ- (შე-ვ-კარ) და კერ- (შე-ვ-კერ-ბ-ი-თ) ფუძეთა ურთიერთმიმართებაზე.

ეს ფუძეები ერთმანეთთან ჰ. ფოგტს აქვს დაკავშირებული ([177], 285). კრებ-:კრიბ-, კერბ- ფუძეები ქართულ-ზანურ დონეზეა წარმოდგენილი ([204], 115). მეგრული კორობ-უ-ა, კოროხ-უნ-ს, ჭანური ო-კორობ-უ, კორობ-უმ-ს ქართულისათვის *კარ- ფუძეს აღგვადგენინებს ([177], 286). სხვაობა ის არის, რომ ქართულში კრებ-:კერბ- ფუძედრეკადია, მეგრულში — არა ([158], 134). აღდგენილი *კარ- ის ფუძეა, რომელიც ქართულ შე-ვ-კარ ფორმაშია დამოწმებული და რომლის ე-გახმოვანებით წარმოდგენილი ვარიანტი კერ-ბ- ფუძეში აღმოჩნდა (შდრ. : [157], 237).

კრებ-:კერბ- იმითაც არის საინტერესო, რომ მათ გარკვეული ანალოგია ეძებნებათ ე. ბენვენისტის მიერ ნავარაუდევ ფუძის სტატუსთან ინდოევროპულ ენებში: 1. სრული გახმოვანებით წარმოდგენილ ფუძეს ახლავს სუფიქსი ნულ-გახმოვანებით, 2. ნულ-გახმოვანებით წარმოდგენილ ფუძეს ახლავს სუფიქსი სრული გახმოვანებით ([201], 181). ყოველივე ეს ქართული ზმნის უძველეს სტრუქტურულ ნიშნადაც მიიჩნევა ([157], 377—378). მაგრამ, როგორც ზემოთ აღინიშნა კიდეც, ეს საკითხი საბოლოოდ დადგენილად ჯერჯერობით ვერ მიიჩნევა. ასევე სპეციალური შემოწმება დასჭირდება კრებ-:კერბ- ფუძეთა ნასესხობის ვარაუდს (შდრ., მაგალითად, [152], 91—92).

XIII

ნაირგვარი გახმოვანებით დაპირისპირებულ ფუძეთა რიგში უნდა შემოვიტანოთ აგრეთვე:

წან- (და-ვ-წან) — წენ- (და-ვ-პ-წენ).

ეს ორი ფორმა (აწმყო: წნ-ავ-ს და პ-წნ-ი-ს) ლექსიკურად ერთი და იმავე მნიშვნელობისაა. პირველი (წნ-ავ-ს) სალიტერატურო ენის ფორმაა, მეორე უპირატესად დიალექტებში გამოიყენება.

პ-წნ-ი-ს ფორმაში პ- თავკიდურა ელემენტი გამოიყოფა.

რომ გამოიყოფა, აშკარაა (თუნდაც წნ-ავ-ს ფორმასთან შეპირისპირების საფუძველზე), მისი რაობაა გაურკვეველი.

შემთხვევითი ელემენტი არ უნდა იყოს, კანონზომიერი მონაცემი ჩანს. ეს კანონზომიერება ფონეტიკურად აიხსნება თუ მორფოლოგიურად, პასუხი ამ კითხვაზე ჯერჯერობით ჭირს. ასე რომ, დასადგენია: ფონეტიკურად შეპირობებული დანართია იგი, თუ მორფოლოგიური ღირებულების მქონე ელემენტი? თავდაპირველი სახით, შესაძლოა, არც ერთი იყოს დაცული და არც მეორე, მაგრამ ეს უკვე სხვა საკითხია, თავდაპირველი სტატუსი არის ამ შემთხვევაში უწინარეს ყოვლისა საძიებელი.

ზემოიმერულმა დაამოწმა პ-ტყვე, პ-ჭორ-ი ფორმები, ნაცვლად ტყვე, ჭორ-ი ფორმებისა ([196], 305—306). აქ პ- ფონეტიკური დანართი ჩანს ყრუ მკვეთრების წინ. ზოგჯერ იგი ფუძისეული ბგერის ფონეტიკური ვარიანტია: მტვერ-ი → პტვერი-ი ([196], 305), აქ ასიმილაციასთან გვაქვს საქმე.

მაგალითი ანალოგიისათვის: სკვნ-ი-ს ფორმის გვერდით ვაძმოწმებულ ფ-სკვნ-ი-ს ფორმაში თავკიდურა ფ- ელემენტი იქცევს ყურადღებას. ხომ არ არის იგი იმავე რიგისა, რაც პ-?

რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ წნ-ავ-ს და პ-წნ-ი-ს აწმყოში სხვადასხვა თემის ნიშნებითაა წარმოდგენილი, ეს ქართულში ერთეული შემთხვევა არ არის (შდრ.: წონ-ი-ს და წონ-ავ-ს. . . .).

XIV

მრავალმხრივ საყურადღებოდ გვეჩვენება (ნაირგვარი გახმოვანების მქონე ფუძეთა ურთიერთმიმართების თვალსაზრისით) ფორმები:

წვად-(მი-ვ-ა-წვად-ე) — წვედ-(მი-ვ-ს-წვედ).

ეს მიმართება დიალექტებში დაცული ფორმების საფუძველზეა აღდგენილი.

ხევსურულში დამოწმებულია:... „ახლა კიდე მეორე ცხვართ კვერია. ახლა ის მი-ა-წვად-ა“ ([155], 144); მი-ა-წვად-ა=მი-ა-წოდ-ა

ძი-ს-წვედ ამჟამად რამდენიმე დიალექტშია დამოწმებული, მაგრამ ძველ ქართულში იგი სავსებით კანონზომიერი ფორმა იყო: მი-ს-წუედ—ს-წუდ-ებ-ი ([165], 967; [169], 243).

ორივე ვარიანტი, ა-გახმოვანებითაც და ე-გახმოვანებითაც, კუმშვადია, I სერიაში სწორედ ეს შეკუმშული ფუძეა წარმოდგენილი:

ნამყო ძირით. : მი-ა-წვად-ე მი-ს-წვედ

აწმყო: ა-წვდ-ი ს-წვდ-ებ-ი

პირველი იმავე რიგისაა, რაც გა-ცვალ-ე — ცვლ-ი, და-ა-ცად-ე → ა-ცდ-ი, მი-ჰ-გვარ-ე → ჰ-გვრ-ი, გა-თხვარ-ე → თხვრ-ი, და-სვარ-ე — სვრ-ი, და-ღვარ-ე — ღვრ-ი და სხვანი.

მეორე — სავსებით იმეორებს III ტიპის („უნიშნო“) ენებითის ჩვენებას: მო-ჰ-კუედ → მო-ჰ-კუდ-ებ-ი, გან-ს-ტეფ — ს-ტფ-ებ-ი და მისთ.

არცერთ ამ ფორმათაგანს არ მოეპოვება ფაქტობრივ დამოწმებული ფუძის სხვაგვარი გახმოვანების მქონე ვარიანტი, ზოგიერთისათვის მისი თეორიულად აღდგენა ხერხდება მხოლოდ. ერთადერთი დოკუმენტურად დადასტურებული დაპირისპირება ჯერჯერობით წვად- : წვედ- მიმართება ჩანს, ამიტომაც არის იგი განსაკუთრებით საინტერესო და საყურადღებო. ერთადერთიო რომ ვამბობთ, ზემოდასახელებული ზმნების ტიპს ვგულისხმობთ, რა თქმა უნდა.

საანალიზო ფორმები სხვა თვალსაზრისითაცაა საინტერესო:

წვად- (წუად-) ფუძე ფონეტიკურად იცვლება და კომპლექსთშენაცვლების საფუძველზე იძლევა წოდ- ვარიანტს ([186], 394): მი-ა-წვად-ე—ძი-ა-წოდ-ე. შემდეგ კი ის მოხდა, რომ წვად- /წედ- და წოდ- ფუძეები ერთმანეთს ლექსიკურადაც დასცილდა და ფორმათწარმოებაც ნაირგვარი გაეჩნდათ: მი-ა-წოდ-ა → აწმყო: ა-წოდ-ებ-ს (პარალელურად გამოიყენება ა-წვდ-ი-ს ფორმაც) — ენებითი: ე-წოდ-ებ-ა (სპეციფიკური შინაარსით: „ჰქვია“), მაგრამ: ა-წვდ-ენ-ს —მი-ა-წვდ-ინ-ა... ამავდროულად წვედ- ფუძემ ნამყო ძირითადის პირველსა და მეორე პირებში ე-გახმოვანება დაკარგა: მი-ვ-წვდ-ი, მი-ს-წვდ-ი; და ამით ზოგი სხვა უნიშნო ენებითის ბედი გაიზიარა.

ამრიგად, წვად-: წვედ- ფუძეთა ნარიგვარი გახმოვანებით დაპირისპირების რეალურობა ისტორიულად ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

XV

ვაანალიზებთ შემდეგ დაპირისპირებას:

ვალ- (მი-ვალ) — ველ- (მი-ველ).

ველ- ფუძე „რუსუდანიანში“ გვაქვს დამოწმებული:

„წამო-ხ-ველ ხელურად, არა სახლსა შენსა მშვიდობით წარ-ხ-ველ!“ ([173], 22).

გვხვდება იგი ბესიკთანაც:

„პეტრებრუხით პანკითს მო-ველ ყინვით მჩივი ვარდნაზრობით“ ([154], 117).

და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ეს ფორმა დადასტურებულია „კიმენშიც“:

„ამისათჳს მო-ველ შენდა . . .“ ([170], 250).

მართალია, ეს უკანასკნელი ფორმა 1697 წლის ხელნაწერში გვხვდება ([170], XXXV), მაგრამ ეს იმთავითვე არ გამორიცხავს მისი უფრო ადრინდელი გამოყენების შესაძლებლობასაც. . .

ამდენად, ველ- შემთხვევითი ან მთლად ახლად გაჩენილი ფუძე არ არის ქართულში. ამჟამად იგი ძირითადად ქართლ-კახურსა და მთის დიალექტებშია შემორჩენილი ([178], 173—174).

ჩანს, უკვე ადრეული პერიოდიდან ვალ- /ველ- მონოლითურ ფუძეებად გაიგებოდა ქართულში, ამიტომაც შესაძლებლად მიგვაჩნია მათი შერაცხვა გახმოვანებით დაპირისპირებულ ფუძეთა რიგში.

ზემოთქმული არ ნიშნავს იმას, თითქოს ჩვენ ამ შემთხვევაში სავსებით გამოვრიცხავდეთ ხსენებულ ფუძეთა ისტორიულად რთული შედგეხილობის შესაძლებლობას. ცნობილია: ვალ-: ველ-/ ვედ-: ვიდ- ფუძეთა შეპირისპირების საფუძველზე -ალ, -ელ, -ედ ბოლოსართებს გამოყოფენ ([190]. 69; [164], 491; [178], 320).

აძისდა კვალობაზე, ამოსავალი ფუძეა ვ- (შდრ.: [159], 78—82).

ამ ფუძის რეალურობას უფრო ხელშესახებს ხდის მ-ი-ვ-ი-ს ფორმის არსებობაც ძველ ქართულში: მ-ი-ვ-ი-ს, ანუ: „დამიდის“, ე.ი. „მყავს“. აქაც ფუძეა ვ-, იგივე, რაც ვ-ალ- /ვ-ელ-/ ვ-ედ- ფორმებში.

ძველ ქართულში საერთოდ საცნაურია ყოლა-ქონების აღსანიშნად სინონიმური ფორმების გამოყენება, თანაც ამ მიზნით სავსებით განსხვავებული მნიშვნელობის მქონე ფორმებია წარმოდგენილი:

„მეხგან კიდე არვინ მ-ი-ვ-ი-ს...“ (ვეფხისტყაოსანი, სტრ. 804_4), ეს იგივეა, რაც :

„მენგან კიდე არვინ და-მ-ი-დ-ი-ს...“

ანდა:

„მეხგან კიდე არვინ მ-ი-ზ-ი-ს...“ (შდრ.: „ერთაი მ-ი-ზ-ი-ს ასული, ნაზარდი სათუთობითა“, ვეფხისტყაოსანი, სტრ. 63_1).

ანუ:

„შენგან კიდე არვინ მ-ყავ-ს“. . .

საცნაურია „ჰქონდა“ ზმნის მნიშვნელობით „ედვა“ზმნის გამოყე-

ნებაც: . . . „განყიდა ყოველივე, რაჲცა ე-დე-ა და მოიყიდა იგი. . .“ (სახარებაჲ მათესი, 13_{46}); რაჲცა ედვა, ე. ი. რაც ჰქონდა.

ამ ფონზე მოულოდნელი არ არის, რომ „მ-ი-ვ-ი-ს“ ზმნას ამოსავალი ძნიშვნელობა იგივე ჰქონოდა, რაც „და-მ-ი-დ-ი-ს“ ზმნასა აქვს. თუ ასეა, ვ- ფაქტობრივ დამოწმებული ზმნური ფუძე ყოფილა, საყრდენი შეძლებისა ვ-ალ-/ვ-ელ-/ ვ-ედ- შედგენილი ფუძეებისათვის.

და მიუხედავად ყოველივე ამისა, ამჟამად (და გარკვეულად ძველ ქართულშიაც) ვალ-:ველ-/ვედ- შესაძლოა გვერდით ამოვეყენოთ გახმოვანებით დაპირისპირებულ ფუძეებს.

საქმე ის არის, რომ ჩვენ არ გამოვრიცხავთ ასეთ შესაძლებლობასაც: გახმოვანებით დაპირისპირებულ ფუძეთა ერთ ნაწილს ფონეტიკური ფაქტორი კი არ ედო საფუძვლად, არამედ ნაირგვარი მორფოლოგიური შედგენილობა, რაც ისტორიულად აფიქსაციის პრინციპით წარმოქმნილი სისტემისადმი ამ ფუძეების მიკუთვნებას განაპირობებდა, მაგრამ შემდგომ, პირველსაფუძვლის თანდათანობითი ნიველირების გამო, მონოლითურ და, ამდენად, გახმოვანებით დაპირისპირებულ ფუძეებად იქნა გაგებული. ხომ აშკარად რთული შედგენილობისაა წით-ალ- (მო-წით-ალ-ო) და წით-ელ (წით-ელ-ი) ფუძეები, მაგრამ აქაც კი წარმოჩნდება ხოლმე გახმოვანებით დაპირისპირებულ ფუძეთა რანგში მათი შერაცხვის ტენდენცია.

ერთი რამ არის კიდევ საცნაური: ველ- ფუძე მხოლოდ და მხოლოდ ვედ- ფუძის კორელატია, მისი შემცვლელი. ამიტომაც იგი შეგვხვდება მხოლოდ იქ, სადაც შესაძლებელია ყოფილიყო ვედ- და არ შეგხვდება იქ, სადაც იმავე ვედ- ფუძის ფონეტიკური ვარიანტი ვიდ- არის მოსალოდნელი. ამიტომაც არა გვაქვს ველ- ფუძე ნამყო ძირითადის III პირის ფორმაში, არა გვაქვს იგი II სერიის სხვა მწკრივებშიც; მაგალითად:

ნამყო ძირითადი:	მი-ველ	მი-ვედ
	მი-ხ-ველ	მი-ხ-ვედ
	—	მი-ვიდ-ა
II კავშირებითი:	—	მი-ვიდ-ე
	—	მი-ხ-ვიდ-ე
	—	მი-ვიდ-ე-ს და ა. შ.

რა თქმა უნდა, ეს შემთხვევითი ფაქტი არ არის.

აქ ეჭვიც შეიძლება გაჩნდეს, ხომ არ არის ველ- ფუძე თავისებური ნაჯვარი ვალ- და ვედ- ფუძეებისა? ასეც რომ იყოს, მისი მიზეზი ისევ და ისევ ენის შინაგან პოტენციასა და მოთხოვნილებაშია საძიებელი: მიმართებათა ძირითად სახეობაზე იქნეს დაყვანილი ყველაფერი ის, რაც განსხვავებულია ამ ძირითადი სახეობისაგან (შდრ.: [174ა], 217).

გასაანალიზებელია მიმართება:

ყავ- (მი-მ-ყავ-ს, მ-ყავ-ს, ვ-ყავ) — ყევ-(მი-ვ-ყევ-ი).

თავისებური ფუძეა. პოლისემანტიკური. ეს ფუძეები შეპირისპირებული ჰქონდა ვ. თოფურიასაც (იხ. ზემოთ). ყევ- ფუძე აშკარად III ტიპის („უნიშნო“) ვნებითის სისტემას განეკუთვნება: აწმყო: მი-ვ-ყევ-ებ-ი — ნამყო ძირითადი: მი-ვ-ყევ-(ი). შესაძლებელია ისიც, რომ ეგევე ზმნა, მიუხედავად ვნებითის ყალიბისა, აქტიური მოქმედების გამომხატველადაც მოგვევლინოს. ამ შემთხვევაშიც პარადიგმების ფორმობრივი ურთიერთობა უცვლელადაა დაცული: აწმყო „ამბავს ვ-ყვებ-ი“ — ნამყო ძირითადი „ამბავს მო-ვ-ყევ-ი“.

ამდენად, ფუძის ე-გახმოვანება (ყევ-) აქ უთუოდ მორფოლოგიური ღირებულების მქონეა.

ეს მონაცემი არ უნდა აირიოს იმ ფორმებში, სადაც ასევეა დამოწმებული ა: ე მონაცვლეობა, მაგრამ მხოლოდ წმინდა ფონეტიკური ხასიათისა. ე. ი. გვაქვს მონაცვლეობა, რომელსაც არ მოეპოვება რაიმე მორფოლოგიური ან ლექსიკური დანიშნულება. ეს აქ იმიტომ ვახსენეთ, რომ ამ ხასიათის ცვლილება ზემოდასახელებულ ყავ- ფუძესაც მოსდის. ანალოგიური ნიმუშები სხვაცა გვაქვს:

	ძველ ქართულში იყო:	ახალ ქართულში არის:	
		ძირითადი:	ფონეტ. ვარიანტი:
I პირი:	ვ-დგ-ა	ვ-დგ-ა-ვარ	ვ-დგ-ე-ვარ
II პირი:	ს-დგ-ა	ს-დგ-ა-ხარ	ს-დგ-ე-ხარ
I პირი:	ვ-ჰ-გავ	ვ-გავ-(ვ) არ	ვ-გევ-(ვ) არ
II პირი:	ჰ-გავ	ჰ-გავ-ხარ	ჰ-გევ-ხარ
I პირი:	მი-ვ-ჰ-ყავ	მი-ვ-ყავ-(ვ) არ	მი-ვ-ყევ-(ვ) არ
II პირი:	მი-ჰ-ყავ	მი-ჰ-ყავ-ხარ	მი-ჰ-ყევ-ხარ

უეჭველია რომ ა → ე ცვლილება აქ მეშველი ზმნის დართვამ გამოიწვია. რომ მართლაც ასეა, ამას III პირის ფორმაც დაამოწმებს: იმის გამო, რომ აქ არ ხდება მეშველი ზმნის დართვა, ფუძეც უცვლელადაა წარმოდგენილი (ყველგან ა-გახმოვანებაა დამოწმებული): დგ-ა-ს, ჰ-გავ-ს, მი-ჰ-ყავ-ს. ა: ე მონაცვლეობა ამ ფორმებში შეუძლებელია.

მაშასადამე, ეს უკანასკნელი ყევ- ფუძე სულ სხვა რიგისა ყოფილა, ვინემ ზემოდასახელებული ყევ-, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ა: ე მონაცვლეობა დადასტურებულია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ფონეტიკური გამვლენელი არის ფუძეზე მირთული: ვ-ყევ-(ვ)არ, ჰ-ყევ-ხარ, მაგრამ დასაშვებია მხოლოდ და მხოლოდ ჰ-ყავ-ს, ფუძის ე-გახმოვანება-

ზე გადასვლა აქ შეუძლებელია. და აქედან გამომდინარე, მეორე თავისებურება ისაა, რომ ჰ-ყავ-ხარ და ჰ-ყევ-ხარ ფორმები მარტოოდენ ფონეტიკური ჩვენებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მათ შორის არ არის დამოწმებული რაიმე მორფოლოგიური ან ლექსიკური ხასიათის დაპირისპირება, განსხვავებით მი-ჰ-ყავ-ხარ და მი-ჰ-ყევ-ი ფორმებისაგან. რასაკვირველია, არც ამ უკანასკნელ შემთხვევაშია გამორიცხული გახმოვანების განმასხვავებლად თავდაპირველად წმინდა ფონეტიკური ფაქტორის არსებობა, მაგრამ ისიც ხომ აშკარაა, რომ ამჟამად მას მორფოლოგიური (და ნაწილობრივ ლექსიკურიც) ღირებულება აქვს მოპოვებული.

ჰ-ყავ-ხარ — ჰ-ყევ-ხარ ოდენ-ფონეტიკური დაპირისპირებისაგან ჭარ- — ჭერ- ტიპის დაპირისპირება (რომელიც ამჟამად ასევე ოდენ-ფონეტიკურ დაპირისპირებად მოჩანს) იმით განსხვავდება, რომ, ჯერ ერთი, ამ ფუძეებთან არა ჩანს და არც ივარაუდება რაიმე ფონეტიკურად გამვლენელი ფაქტორის არსებობა. მეორეცაა და, მეგრულ-ჭანურის ჩვენებას აქვს აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა (იხ. ზემოთ).

XVII

ახლა განვიხილავთ იმ რიგის დაპირისპირებებს, რომლებიც საკმაოდ მრავალრიცხოვანია ქართულში. აქ ფრიად თავისებურ, რთულ ურთიერთმიმართებათა მქონე ფორმებს უნდა შევეხოთ. იგულისხმება:

ლეწ- (ლეწ-ს) — ლაწ- (ლაწ-ან-ი, ლაწ-უნ-ი)
ჩეხ- (ჩეხ-ს) — ჩახ- (ჩახ-ან-ი, ჩახ-უნ-ი)
რეკ- (რეკ-ს) — რაკ- (რაკ-უნ-ი)
ხეხ- (ხეხ-ს) — ხახ- (ხახ-უნ-ი)
ზეპ- (ზეპ-ს) — ზაპ- (ზაპ-უნ-ი)
ყღერ- (ყღერ-ს) — ყღარ- (ყღარ-უნ-ი)
გლეჯ- (გლეჯ-ს) — გლაჯ- (გლაჯ-უნ-ი)
სხეპ- (სხეპ-ს) — სხაპ- (სხაპ-უნ-ი)...

აქვე ვითვალისწინებთ მიმართებებს ტიპისა:

ტკეპ- (ტკეპ-ნ-ი-ს) — ტკაპ- (ტკაპ-უნ-ი)
[შდრ. ტყეპ- (ტყეპ-ს) — ტყაპ- (ტყაპ-უნ-ი)]
ბეკ- (ბეკ-ნ-ი-ს) ბაკ- (ბაკ-უნ-ი) და სხვანი.

ამგვარი ფორმები საკმაოდ კარგადაა ცნობილი ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში: „მოიპოვება რიგი სახელებისა, — აღნიშნავს ა. შანიძე, — რომლებიც ნაწარმოებია ზმნათა ფუძეებისაგან -უნ და -ან სუფიქსის საშუალებით. ეს ზმნათა ფუძეები უმეტესად ხმოვან-მონაცელეებია: ზმნის ფუძის ე სახელში ა-დ გადაკეთდება. მნიშვნელობა

ასეთი სახელებისა უახლოვდება სათანადო ზმნის საწყისისას: ჟღარ-უნ-ი — ჟღერის ხმა; რაკ-უნ-ი — რეკის ხმა; რახ-უნ-ი (რახვ-უნ-ი) — რეხვების ხმა და მისთ. საზოგადოდ ასეთი სახელები აღნიშნავენ ხმას, რომელიც სდევს ფუძით აღნიშნულ მოქმედებას...“ ([186], 566). ფუძეში ამგვარი მონაცვლეობა გატოლებულია დრეკ-ს — დრიკ-ა ტიპის მონაცვლეობასთან და გამოტანილია დასკვნა, რომ „ქართულში გვაქვს ღ-უძის ხმოვანთა მონაცვლეობა (აბლაუტი), მაგრამ იგი სუსტად არის გამოხატული“ ([186], 567). იქვე აღნიშნულია: „ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია ე და ი ხმოვანთა მონაცვლეობა სერიების მიხედვით ზმნებში (ვ-გრეხ — ვ-გრიხ-ე), რასაც გარკვეული გრამატიკული მნიშვნელობა აქვს მოპოებული (თემათა გარჩევა ხმოვნის მონაცვლეობაზეა დამყარებული...“ [186], 567). აქედან ცხადია, რომ ა. შანიძე „აბლაუტს“ ყოველგვარ ხმოვანმონაცვლეობას უწოდებს, ხოლო მორფოლოგიური ღირებულების მქონედ მარტოოდენ ე:ი მონაცვლეობა ძიაჩნია. მაგრამ ქართულში ა:ე ხმოვანმონაცვლეობაც ამ რიგისა ჩანს. სხვა რომ არაფერი, შე-ძარ და შე-ი-ნ-ძერ ტიპის ფორმები თვით ა. შანიძის მიერვეა შერაცხული მორფოლოგიური ღირებულების მქონე ხმოვახმოხაცვლეობის ნიმუშებად ([186], 462—463).

ჟღარ-უნ-ი, ლაწ-უნ-ი, ფხაკ-უნ-ი ტიპის ფორმებში, ჟღერ-ს, ლეწ-ს, ფხეკ-ს ფორმებთან შეპირისპირებით, ე: ა მონაცვლეობას წმინდა ფონეტიკური მიზეზითაც ხსნიან: „მასდარის უკანაენისმიერი უ ხმოვანი ნაწილობრივ იმსგავსებს ე-ს და ა-დ აქცევს მას“ ([188], 11). აქ ივარაუდება ანალოგია სვანურში დამოწმებულ ე. წ. უკანა მიმართულების უმლაუტის სისტემასთან, სადაც, სხვა პოზიციათა პარალელურად, ე— უ პოზიციებშიც ე ხმოვანი იცვლება და იძლევა ö (უმლაუტიან) ხმოვანს ([181], 69—108).

რა თქმა უნდა, აბლაუტის (აპოფონიის, მორფოლოგიურად ღირებული ხმოვანმონაცვლეობის) არცერთი სახეობა არ გამორიცხავს იმას, რომ მონაცვლეობის თავდაპირველი მიზეზი წმინდად ფონეტიკური ხასიათისა იყოს, რომელსაც მოგვიანებით აქვს მოპოვებული მორფოლოგიური დანიშნულება. უფრო მეტიც: ასეთი თავდაპირველი ფონეტიკური ხასიათის მონაცვლეობა აბლაუტის დროს თეორიულად ყველა შემთხვევაში ივარაუდება კიდეც. სხვა საკითხია, თუ კონკრეტულად აბლაუტის ესა თუ ის შემთხვევა ფონეტიკურად რამდენად დამაჯერებლადაა ახსნილი. ფონეტიკური პირველმიზეზის ამოცნობას ვგულისხმობთ აქ, რასაკვირველია.

თუ ლეწ-ს — ლაწ-უნ-ი ტიპის მიმართებაში ე:ა ხმოვანმონაცვლეობის მიზეზად უ-ს გაელენით გამოწვეულ უმლაუტს მივიჩნევთ, მაშინ სხვა კონკრეტული საკითხების გვერდით (რამდენადაა სავარაუდებელი საკუთრივ ქართულისათვის უმლაუტი; ივარაუდება თუ არა ახლანდე-

ლი „ჩვეულებრივი“ ა-ს პირველსახედ უმლაუტიანი ა, თუ ივარაუდება, რამ გამოიწვია „ჩვეულებრივ“ ა-ში გადასვლა, თუ არ ივარაუდება, რატომ და რამდენადაა ეს შესაძლებელი?) ასახსნელი დაგვირჩება ზოგი ფრიად მნიშვნელოვანი მომენტი: ფუძე ა-გახმოვანებით წარმოდგენილია არა მხოლოდ ლაწ-უნ-ი ტიპის ფორმებში, არამედ დამოწმებულია იგი ლაწ-ან-ი ტიპის ფორმებშიც. რა თქმა უნდა, დასაშვებია ეს მოვლენა სრული ასიმილაციით აიხსნას:* ლეწ-ან-ი → ლაწ-ან-ი. ანალოგიისათვის სვანური აქაც იძლევა უხვ მასალას ([181], 25—55). მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ფუძე ა-გახმოვანებით დამოწმებულია იმ შემთხვევებშიც, როცა არავითარ ფორმანტს არ მიირთავს იგი:

ჩქეფ-ს — ჩქაფ-უნ-ი, მაგრამ გვაქვს: ჩქაფ-ი,
ლეწ-ს — ლაწ-უნ-ი, მაგრამ შდრ.: ლაწ-ლაწ-ი, ლაწა-ლუწ-ი,
წკეპ-ს — წკაპ-უნ-ი და შდრ. : წკაპ-ი.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა შემდეგი მიმართებაც:

ა-ცეც-ებ-ს — ცაც-უნ-ი (→ უ-ცაცუნ-ებ-ს) და შდრ. : ცაც-ი (შდრ.: თათ-ი → თათ-უნ-ი → უ-თათუნ-ებ-ს).

შემდეგ: ისიც საკითხავია, რამდენადაა შესაძლებელი ლაწ-ან-ი ტიპის ფორმებში სრული ასიმილაცია ვივარაუდოთ მაშინ, როდესაც ანალოგიურ პოზიციაში (მასდარი: ლეწ-ა) ა ხმოვანი ვერ იწვევს ფონეტიკურ ცვლილებას. ამგვარი სხვაობა, რასაკვირველია, შეუძლებელი არ არის, მაგრამ დაბეჯითებითი ახსნა კი ესაჭიროება.

ამჯერად ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ხმოვანცვლილების თავდაპირველი ფონეტიკური საფუძვლის დადგენა. ჩვენთვის სხვა რამ არის ამჟამად მთავარი: ლეწ-:ლაწ- ტიპის ფუძეთდაპირისპირება ქართულში რეალური ფაქტია და მასში გარკვეული ფუნქციური სხვაობაც ილანდება, კერძოდ, აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში ხმოვანმონაცვლეობით ზმნური და სახელადი ფუძეები უპირისპირდება ქართულში (ლეწ-ს — ლაწ-უნ-ი) ერთმანეთს . . .

XVIII

ლაწ-ახ-ი/ლაწ-უნ-ი ტიპის ფორმები იმ ხმას გამოხატავენო, რომელიც ფუძით აღნიშნულ მოქმედებას სდევს თან, ითქვა ზემოთ. და, მართლაც, „ლაწანი“ ლეწის, დალეწვის ხმაა, „ჩახანი“ ჩეხის, დაჩეხვის ხმა, „ჯახანი“ დაჯახების ხმა და ა. შ. მიუხედავად ამისა, ეს ფორმები მკვეთრად უნდა განვასხვაოთ ხმაბაძვითი სიტყვებისაგან და უნდა განვასხვაოთ უპირველესად ყოვლისა თავისი ენობრივი, ხმაბაძვითი სიტყვებისაგან სავსებით განსხვავებული, სტატუსის გამო: სავსებით ნაირგვარ სისტემებს ქმნიან.

ერთი შეხედვით, თითქოსდა სრული ანალოგია გვაქვს, შდრ.:

ლაწან-ი — კაკან-ი
ლიწინ-ი — კიკინ-ი

ანალოგია სრულია თითქოსდა არა მხოლოდ ხმაბაძვით სიტყვებთან, არამედ საერთოდ ერთი ტიპის ფუძეგაორკეცებულ ფორმებთან:

ლაწან-ი — ბაბან-ი, ასევე: ლაწლაწ-ი
ლიწინ-ი — ბიბინ-ი, ასევე: ლიწლიწ-ი.

მაგრამ მსგავსება, ანალოგია აქ ზედაპირულია.

ჯერ ერთი, შესადარებელ ფორმათა სტრუქტურა, შედგენილობა სავსებით განსხვავებულია: აფიქსაცია და რედუპლიკაცია უპირისპირდება ერთმანეთს (იხ. ზემოთ):

ლაწ-ახ-ი, მაგრამ: კა-კან-ი←*კან-კან-ი
ლიწ-იხ-ი, მაგრამ: კი-კინ-ი←*კინ-კინ-ი

ის, რაც კაკან-ი, კიკინ-ი ტიპის ფორმებში ერთი შეხედვით სუფიქსების მთაბეჭდილებას ტოვებს (ბოლოკიდური -ან, -ინ ელემენტები), სინამდვილეში რედუპლიცირებული ფუძის მეორე სეგმენტის შემადგენელი (ფუძისეული) ნაწილია ([160], 209—210). მართლაც, ლაწლაწ-ი, ლიწლიწ-ი ფორმები ადასტურებენ ამ ვარაუდს.

გარდა ამისა, განსხვავებისათვის იქნება იმასაც ჰქონდეს მნიშვნელობა, რომ აწმყოში არარედუპლიცირებული ფუძეებისაგან წარმოებულ ზმნებს უპირატესად -ობ თემის ნიშანი მოუდით, რედუპლიცირებული ფუძეებისაგან წარმოებულთ, როგორც წესი, -ებ თემის ნიშანი:

ლაწუნ-ობ-ს, მაგრამ: კაკან-ებ-ს.

რა თქმა უნდა, ეს შესაბამის მოქმედებითებთან ურთიერთობით არის გამომუშავებული:

ა-ლაწუნ-ებ-ს — ლაწუნ-ობ-ს

(თემის ნიშანთა მონაცვლეობაა: -ებ : -ობ).
მაგრამ:

ა-კაკან-ებ-ს — კაკან-ებ-ს
ა-ბიბინ-ებ-ს — ბიბინ-ებ-ს

(თემის ნიშნები ერთი და იგივეა).

საერთოდ, მოქმედებითსა და „საშუალ“ ფორმებში თემის ნიშანთა მონაცვლეობა კანონზომიერად ხდება მაშინ, როდესაც საყრდენია არარედუპლიცირებული ფუძე:

ა-თამაშ-ებ-ს — თამაშ-ობ-ს
ა-ჩხუბ-ებ-ს — ჩხუბ-ობ-ს,

რომ არაფერი ვთქვათ შემდეგი ტიპის მიმართებებზე:

ა-გორ-ავ-ებ-ს — გორ-ა-ობ-ს
ა-ცურ-ავ-ებ-ს — ცურ-ა-ობ-ს
ა-ბურთ-ავ-ებ-ს — ბურთ-ა-ობ-ს . . .

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ზოგჯერ ქართულში მერყეობა შეინიშნება რედუპლიცირებული ფუძეების თემის ნიშნით გაფორმების დროს: კაკან-ებ-ს ფორმის გვერდით კაკან-ობ-ს ფორმაცაა დამოწმებული და ეს ერთეული შემთხვევა არ არის, თუმცა არც ისე მრავალრიცხოვანია.

რა გვაქვს აქ: მიდრეკილება მოქმედებითი და „საშუალი" ფორმების დაპირისპირებისაკენ და ეს დაპირისპირება ა-ლაწუნ-ებ-ს — ლაწუნ-ობ-ს ტიპის ფორმათა გაელენით ხდება, თუ კაკან-ებ-ს და კაკან-ობ-ს ფორმებია ნაირგვარი წარმომავლობისა, ე. ი. ერთ შემთხვევაში რედუპლიცირებული ფუძე ვივარაუდოთ ამოსავლად (*კან-კან), მეორე შემთხვევაში — აფიქსიანი (*კაკ-ან-)?

ვფიქრობთ, რომ კაკან-ობ-ს, ძიგძიგ-ობ-ს, ხითხით-ობ-ს, ჭიკჭიკ-ობ-ს, ჩურჩულ-ობ-ს, როხროხ-ობ-ს ფორმების მიმართ (ყველა მათგანი დამოწმებულია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში) პირველი ვარაუდია უფრო მართებული, მით უფრო, რომ ეს გვიანდელი და დიალექტური მოვლენა ჩანს.

ერთი რამაა კიდევ გასათვალისწინებელი: თემის ნიშანთა მერყეობის შესაძლებლობა ერთ შემთხვევაში (კაკან-ებ-ს — კაკან-ობ-ს) და შეუძლებლობა მეორე შემთხვევაში (ლაწუნ-ობ-ს). განმასხვავებლად ეს ფაქტიც გამოგვადგება.

XIX

გლიჯ-ინ-ი ტიპის ფორმათა განხილვისას აღინიშნა, რომ მათთვის ამოსავალია ფუძედრეკად ზმნათა ნამყო ძირითადის ფუძე:

აწმყო: გლეჯ-ს
ნ. ძირ.: გლიჯ-ა → მასდარი: გლიჯ-ინ-ი.

იმ შემთხვევაში კი, როცა ფუძის დრეკა რეალურად არ არის დამოწმებული, ნავარაუდევი იყო ისტორიულად მისი შესაძლებლობა:

აწმყო: ლეწ-ს
ნ. ძირ.: *ლიწ-ა → მასდარი: ლიწ-ინ-ი.

მაგრამ გლიჯ-ინ-ი, ლიწ-ინ-ი ყალიბის მქონე ისეთი ფორმებიც მოგვეპოვება, რომელთაგან ზმნური ფუძეები კი იწარმოება, მაგრამ თავად ამოსავალი ზმნური ფუძე არ უჩანთ:

X —ჭიხვინ-ი—ა-ჭიხვინ-ებ-ს
X —ქვითინ-ი—ა-ქვითინ-ებ-ს
X —შლიგინ-ი—ა-შლიგინ-ებ-ს
X —თხიპინ-ი—ა-თხიპინ-ებ-ს...

შდრ. ამ მიმართებას:

გლეჯ-ს/გლიჯ-ა—გლიჯ-ინ-ი—ა-გლიჯინ-ებ-ს
ლეწ-ს/*ლიწ-ა—ლიწ-ინ-ი—ა-ლიწინ-ებ-ს...

ყველაფერი მსგავსი აქვთ ამ ორი რიგის ფორმებს, გარდა ერთისა: პირველ შემთხვევაში არ არის დამოწმებული ამოსავალი ზმნური ფუძე ტიპისა გლეჯ- /გლიჯ-, ლეწ-/ *ლიწ-, მაშასადამე, არა გვაქვს დამოწმებული *ჰეხვ- /*ჭიხვ-, *ქვეთ-/ *ქვით-, *შლეგ- /*შლიგ-, *თხეპ-/ *თხიპ- ზმნური ფუძეები. სხვა მხრივ კი ანალოგია ზოგჯერ უფრო შორს მიდის: ლაწ-უნ-ი — ლიწ-ინ-ი ტიპის მიმართებაც კი მოეპოვება ზოგიერთ პირველი რიგის ფორმათაგანს, შდრ.:

ერთი მხრივ:

ლეწ-ს — ლაწ-უნ-ი, მაგრამ: *ლიწ-ა—ლიწ-ინ-ი
გლეჯ-ს — გლაჯ-უნ-ი, მაგრამ: გლიჯ-ა—გლიჯ-ინ-ი,

ხოლო მეორე მხრივ:

X — შლაგუნ-ი, მაგრამ: X — შლიგინ-ი
X — ფაჩუნ-ი, მაგრამ: X — ფიჩინ-ი
X — რაწკუნ-ი, მაგრამ: X — რიწკინ-ი...

რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ აქედან?

ის, რომ *ჰეხვ-, *ქვეთ-, *შლეგ- ტიპის ზმნური ფუძეები აღვადგინოთ ისტორიულად? მით უმეტეს, რომ აღდგენის ეს გზა უშუალოდ ემყარება ენაში რეალურად არსებულ მდგომარეობას, სხვა ფორმათა წარმოების დროს რომ უჩენია თავი.

არა, ამ ფუძეთა აღდგენა არ არის ერთადერთი შესაძლებლობა შექმნილი ვითარების ასახსნელად.

აქ ორი შესაძლებლობაა.

ჯერ ერთი, შესაძლებელია მართლაც არსებულიყო, როგორც რეალური ენობრივი ფაქტი, თეორიულად ნავარაუდევი ფუძეები.

ძნელია და, უკვე შექმნილი ყალიბის კვალობაზე შესაძლებელია გაიმართოს ისეთი ფორმებიც, რომელთაც არ მოეპოვებათ ენაში წარმოქმნილი სისტემის ყველა რგოლი. მართლაც, აკი გაჩნდა ენაში

მიმღეობის ყალიბით წარმოებული დუბლირებულ-ი, მოდერნიზებულ-ი, ორგანიზებულ-ი ფორმები, ისე, რომ ამოსავლად ნავარაუდევი *ა-დუბლირ-ებ-ს, *ა-მოდერნიზ-ებ-ს *ა-ორგანიზ-ებ-ს ზმნები არც არსებულა და არც არსებობს ქართულში (თუმცა არც ისაა შეუძლებელი, რომ თანდათანობით ეს ფორმებიც დამკვიდრდნეს ენაში და მაშინ უკუმოვლენასთან გვექნება საქმე: მიმღეობის წარმოქმნა წინ უსწრებს მისთვის ამოსავლად ნავარაუდევი ზმნის დამკვიდრებას).

ყოველივე ზემოხსენებულიდან ერთი მეთოდოლოგიური ღირებულების მქონე დასკვნაც გამომდინარეობს: ენობრივი კვლევის დროს კონკრეტული ფორმის რაობა, მისი წარმოქმნა ნაკლები მნიშვნელობისაა ენობრივი პროცესების გამოსავლინებლად, ვინემ დადგენა ყალიბთა და მიმართებათა წარმოქმნის მიზეზებისა. შესაძლებელია, ამა თუ იმ ყალიბისა ან მიმართების მქონე რომელიმე კონკრეტული ფორმა გვიანწარმოქმნილი ან აშკარად ნასესხები ფუძისაგან წარმოებული იყოს და ამიტომაც. როგორც საკუთრივ ფორმა, ნაკლებღირებულიც ენისათვის, მისი რაობისა და ისტორიისათვის, მაგრამ ამ დროს არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ეს ფორმა ძალაუნებურად მოქცეულია გარკვეულ ენობრივ ყალიბში, ამყარებს გარკვეულ მიმართებას, რის გამოც მას, როგორც სიმპტომს ამა თუ იმ ენობრივი სისტემისა, ისეთივე მნიშვნელობა ენიჭება, როგორც ამ სისტემის უძველეს და საფუძველდამდებ წევრებს. ეს იმიტომ, რომ ნებისმიერ ფორმას სისტემის ნიშატი ატყვია და მაშინ, როდესაც მიზნად დაგვისახავს ამ ნიშატის მიხედვით ამოვიცნოთ სისტემა, მისი საზღვრები, მისი შინაგანი მექანიზმი, ამ ნიშატის წარმომჩენი ნებისმიერი ფორმა (გვიანწარმოქმნილია იგი, ნასესხები ფუძისაგან წარმოებული თუ აშკარად დიალექტური წარმომავლობისა) ერთნაირად ღირებული აღმოჩნდება ამ მიზნისათვის. რა თქმა უნდა, კონკრეტულად ამა თუ იმ ფორმათა კვლევისას ასეთი ნებისმიერობა უკვე აღარ გამოგვადგება, აქ უკვე მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს გვიანწარმოქმნილი, ნასესხები ფუძისაგან წარმოებული, დიალექტური წარმომავლობისა თუ უძველესი ფორმაციის კუთვნილი ფორმები ერთმანეთისაგან.

მაშასადამე, იმას, რასაც გარკვეული ღირებულება აქვს როგორც სისტემის წარმომჩენს, შესაძლებელია ასეთივე მნიშვნელობა აღარ ენიჭებოდეს როგორც დამოუკიდებელ ფორმას.

საერთოდ კი, ენობრივი კვლევის უპირველესი მიზანი სწორედ ყალიბებისა და სისტემების წარმოჩენაა და ამით ენობრივი დინამიკის ჩვენება და არა ცალკეულ ფორმათა სტრუქტურის განყენებული შესწავლა.

ამრიგად, გაირკვა, რომ -ე- და -ა- გახმოვანებით დაპირისპირებულ ფორმათა რიგში უნდა შემოვიტანოთ ლეწ- (ლეწ-ს) — ლაწ- (ლაწ-ან-ი), გლეჯ- (გლეჯ-ს) — გლაჯ- (გლაჯ-უნ-ი), ტკეპ- (ტკეპ-ნ-ი-ს) — ტკაპ- (ტკაპ-უნ-ი) ტიპის მიმართებანიც.

ამასთან დაკავშირებით სხვა კონკრეტული, „გვერდითი“ საკითხებიც დაისმის, რომლებიც უშუალოდ არ ეხება ზემოთ აღძრულ პრობლემას და ამიტომაც ამჯერად ყურადღებას აღარ გავამახვილებთ მათზე, ოღონდ ამ რიგის ზოგიერთ ფორმაში დამოწმებული ერთი თავისებურება კი უნდა აღინიშნოს. ეს თავისებურება ფონეტიკური ხასიათისაა და ზემოთ გაკვრით კიდეც შევეხეთ მას. ახლა კი ზემოხსენებული ზოგადი მსჯელობა კონკრეტულ მაგალითებს უნდა მივუსადაგოთ.

ვგულისმობთ თანხმოვანთა სამეულების მიხედვით გახმოვანებულ ფუძეებს. ამ ტიპის გახმოვანება შესაძლოა თავკიდურა თანხმოვნებსაც მოსდიოდეთ და ბოლოკიდურა თანხმოვნებსაც.

მაგალითად, იცვლება თავკიდურა თანხმოვანი:

ჯახ-ან-ი — ჭახ-ან-ი — ჩახ-ან-ი
ჯახ-უნ-ი — ჭახ-უნ-ი — ჩახ-უნ-ი.

აშკარაა, რომ აქ ჯ — ჭ — ჩ ფონეტიკური სისტემის მიხედვით გამართულ სახელად ფუძეებთან გვაქვს საქმე. ეს ფაქტი სრულ ანალოგიას პოულობს ზმნურ (ე-გახმოვანებით წარმოდგენილ) ფუძეებშიც, შდრ.:

*ჯეხ-ს — ჭეხ-ს — ჩეხ-ს.

*ჯეხ-ს ფორმის რეალურობას გვავარაუდებინებს ჯეხ-ა მასდარი (იხ.: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, დამოწმებულია დ. გურამიშვილის მიხედვით). ჭეხ-ს იგივეა, რაც ჭექ-ს, დამოწმებულია ფშაურსა და ხევსურულში (იხ.: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი).

ჯახ-ან-ი და ჯახ-უნ-ი ფორმებს სხვა მორფოლოგიური ვარიანტებიც აქვთ, ესაა ჯახ-ებ-ა (და-ჯახ-ებ-ა) და ჯახ-ი („ჯიკვსა თოფ დახ-ძრა ბეკენსა, ჭალას ჯაჭ-ნ იქნეს რქისანი“, [184], 208. ჯაჭ-ნ იგივეა, რაც ჯახ-ან-ი, მრავლობითის ფორმაა.).

იცვლება ბოლოკიდური თანხმოვანი:

X	— ღრეკ-ს	— X
ღრეჯ-ს	— ღრეჭ-ს	— X
X	— X	— ღრეც-ს

გვაქვს აგრეთვე სონანტზე დაბოლოვებული ღრენ-ს ფორმა.

ზმნურ ფუძეებში დამოწმებული მონაცვლეობა ზოგიერთ შესაბამის სახელად ფუძეშიც იჩენს თავს:

X — ღრაკ-უნ-ი — X
X — ღრაჭ-უნ-ი — X

ფუძეთა „წარმოების“ ამგვარი ფონეტიკური პრინციპის გათვალისწინება რეტროსპექტული კვლევის დროსაც ღირსაცნობია. ფუძეთა ერთი ნაწილის ისტორია უშუალოდ ამ საკითხს უკავშირდება. ამ მხრივ განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას სონანტისა და ხშულის მონაცვლეობა:

ღრენ-ს — ღრეჯ-ს
კბენ-ს — კბეჩ-ს.
ჰყლემ-ს — ჰყლეტ-ს
ა-ჰყერ-ს — ა-ჰყეტ-ს
ჩქერ-ს — ჩქეფ-ს...

ანალოგიური ცვლილების გათვალისწინება ფრიად ღირებული აღმოჩნდება ფორმანტთა ანალიზის დროსაც.

XXI

გვაქვს ისეთი მაგალითებიც, როცა არამცთუ წარმოჩენილია, არამედ თითქოს არც კი ივარაუდება გახმოვანებით ფუძეთა ურთიერთდაპირისპირება. მაგრამ საკმარისია სხვა ქართველურ ენათა მონაცემების გათვალისწინება, რომ ისტორიული თვალსაზრისით ენობრივი სურათი არსებითად შეიცვლება.

ყველა III ტიპის („უნიშნო“) ვნებითისა და პრეფიქსიანი ვნებითის ერთ ნაწილ ფორმებში ე-გახმოვანებული ფუძე ივარაუდება. ხშირად ეს რეალურადაცაა დამოწმებული: გა-ძვერ, და-თვერ, განჭემ... წა-ი-ქეც, და-ი-ბენ... და-დეგ (—და-დექ-ი). საცნაურია, რომ ზოგიერთ მათგანს მეგრულ-ჭანურში ისეთი ფუძეები შეესაბამება, რომლებიც ქართულში ა-გახმოვანებულ ფუძეთა არსებობას გულისხმობს, შდრ.:

ქართული:	მეგრულ-ჭანური:	
გან-ჰ-ჯემ	— გო-ხომ-ი	„გახმი“.
გა-წყერ-(ი)	— გო-ჭყორ-ი	„გაწყერი“.
გან-ტეფ	— გო-ტუბ-ი‖გო-ტიბ-ი	„გათბი“.
გა-ჰ-ქერ	— ქორ-უ (ჭან.)	„გაცივდა“

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ასეთი მიმართებაც:
შე-კერ-ბ-ი-თ — დო-კორ-ობ-ი „შეკრიბე“.

მაშასადამე, ყველა ამ შემთხვევაში მეგრულ-ჭანურში ფუძე ო-გახმოვანებით გვაქვს (სადაც ი- ან უ- გახმოვანებაა, თავდაპირველ ო-გახმოვანებაზე დაიყვანება: ი←უ←ო, [194], 24—25; შდრ.: [157], 237). ამ ფაქტს სპეციალურ ლიტერატურაში ნაირგვარი ახსნა ძოეპოვება. ვ. თოფურია ვარაუდობდა, რომ ტეფ-, ჯემ-, წყერ-ფუძეებში დამოწმებული -ე- ძირისეული არ არის, „-ე- საწარმოებელი აფიქსია“, ხოლო ამჟამად ძირს მიხორცებული -ემ, -ერ, -ებ და სხვა მსგავსი სუფიქსები „იშლება ელემენტებად: ენებითის -ე- და გარკვეული ფუნქციის მქონე“ -მ, -რ, -ბ და მისთ. ნიშნებად: წყ-ე-რ... ([165], 968, 971—972). სხვა შემთხვევებში ზემოხსენებულ ერთი რიგის მოვლენებს ნაირგვარი ახსნა ეძლევა. არნ. ჩიქობავა ზანური (მეგრულ-ჭანური) ტუბ-, ხომ- ფუძეებისათვის შესაძლებლად მიიჩნევს ამოსავლად აღადგინოს ქართული *ტაბ- და *ჯამ- ([193], 327, 245—246) ფუძეები. იგივე ზანური ხომ- სხვა ადგილას თვით ზანურ ნიადაგზე ცვლილ ფორმადაც მიიჩნევა (*ხამ-→ხომ- ბოლოკიდური ო ბგერის გავლენით) და მაშინ ქართული ჯემ- მისი კანონზომიერი შესატყვისია ([193], 430). რაც შეეხება ქართულ-ზანურ გა-ვ-ცერ-ი —დო-მ-ცორ-ი შესატყვისობას, იგი იხსნება ზანური -ორ და ქართული -ერ სუფიქსების არსებობით, რომელთა შორის არა ფონეტიკური, არამედ მორფოლოგიური შესატყვისობაა ([193], 385). თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი ხსენებულ ფუძეთა გახმოვანებას მეგრულ-ჭანურში მეორეულ მოვლენად მიიჩნევენ, იმავდროულად ამ ერთი რიგის მოვლენისათვის ორგვარ ახსნას იძლევიან: გო-ხომ-უ; გო-ჭყორ-უ ფორმებში ხომ-, ჭყორ- ფუძეთა გახმოვანება მიიჩნევა სონანტის ოდინდელი მარცვლოვნობის რეფლექსად: ხომ-←*ჯმ-, ჭყორ-← *წყრ-. აღდგენილ ფუძეებში მ და რ ოდინდელი მარცვლოვანი სონანტებია. რაც შეეხება ზანურ ტუბ- ფუძეს, აქაც ამოსავალია გაუხმოვანებელი ტფ- ვარიანტი, ხოლო ხმოვანი ელემენტი „წარმოადგენს ისტორიულად ანაპტიქსურ ხმოვანს, რომელიც ნულ-საფეხურიან ფუძეში წარმოდგენილი აქცესიური ტბ- კომპლექსის გასათიშავად წარმოიქმნა“ ([157], 217—218).

ენობრივი მოვლენა ერთი ტიპისაა, ახსნა — ნაირგვარია. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ მართებულია გ. მაჭავარიანის ადრინდელი ვარაუდი, რომლის თანახმადაც, ხსენებულ ფაქტს „ყველა შემთხვევაში ერთი და იგივე საფუძველი უნდა ჰქონდეს: იქ, სადაც ქართულ ე-ს ზანურში ო შეეფარდება, ისტორიულად ყველგან *ა უნდა ვივარაუდოთ ამოსავლად“ ([172], 269).

მაშასადამე, ივარაუდება:

ქართული:		მეგრულ-ჭანური:
*ჯამ-	—	ხომ-
*წყარ-	—	ჭყორ-
*ტაფ-	—	*ტოფ-/*ტობ-
ქარ-	—	ქორ-

რა თქმა უნდა, ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ იმ ფუნქციისათვის, რომლის გამოსახატავად ქართულში ამჟამად ე-გახმოვანებული ფუძეები გამოიყენება, ადრინდელ პერიოდში ა-გახმოვანებული ფუძეები გამოიყენებოდა და, ამდენად, ა- და ე-გახმოვანებული ფუძეები ამ შემთხვევაში ქრონოლოგიურად დაპირისპირებული არიან.

არა, რეალური ვითარება სხვაგვარი უნდა ყოფილიყო.

სვანური ტებ-დ-ი ქართულ ტეფ- ფუძეს უჭერს მხარს, მეგრულ-ჭანური *ტობ- (→ტუბ-→ტიბ) — ქართულ *ტაფ- ფუძეს.

ორივე ეს ფუძე ერთდროული ფაქტი უნდა ყოფილიყო ენაში.

ვიტყოდით, *ტაფ-:ტეფ- ამ თვალსაზრისით სადავო ფუძეაო, რადგან იგი გარკვეულ ანალოგიას პოულობს ინდოევროპულ ენებში დამოწმებულ tap:tep ფუძესთან (ლათინური: tep-id-us, რუსული: тёп-л-ый, ძველი ინდური: tap-ati „ანთია, ათბობს“, [202], 364). მაგრამ დაპირისპირების იგივე პრინციპი, დადასტურებული *წყარ-: წყერ-, *ჯამ-: ჯემ-, ქარ-: ქერ- ფუძეებში, ეჭვს არ ტოვებს, რომ ყოველივე ზემოხსენებული საკუთრივ ქართულისათვის ნიშანდობლივი შინაგანი თვისებაცაა.

რა საბუთი გვაქვს იმისათვის, რომ ზემოხსენებულ ა- და ე-გახმოვანებულ ფუძეთა ერთდროული არსებობა ვივარაუდოთ ენაში?

ჯერ ერთი, ეს ფაქტი განიხილება არა ცალკე, არამედ სხვა ფაქტებთან მიმართებაში. საერთო ტენდენცია კი, როგორც ეს ზემოთაც იყო ნაჩვენები, ა- და ე-გახმოვანებულ ფუძეთა თანაარსებობის ვარაუდს უჭერს მხარს.

მეორეცაა და, როცა მეგრულ-ჭანურის მონაცემების მიხედვით ვცდილობთ წინარე ვითარების აღდგენას, ერთი საინტერესო ფაქტი იჩენს თავს ზოგჯერ. კერძოდ: ქართულში დამოწმებულია ფუძე ე-გახმოვანებით (და-ე-ჭერ-ი), ჭანურში — ო-გახმოვანებით (დო-ჭკორ-ი). ჭანურის მიხედვით ქართულში ა-გახმოვანებული ფუძე ივარაუდება, მაგრამ ამ შემთხვევაში არა მხოლოდ ივარაუდება, არამედ რეალურადაც არის დამოწმებული ქართული ენის დიალექტებში (და-ვ-ჭარ-ი), ან თვით ძველი ქართულის ძეგლებში (მაგალითად, „ვეფხისტყაოსანში“: ნა-ჭარ-ნ-ი, სტრ. 1031). ასე რომ, აქ ვარაუდს რეალური საფუძველი აღმოაჩნდა. ასევეა გა-ვ-ცარ: გა-ვ-ცერ

ფუძის შემთხვევაში. ამრიგად, ქართულმა ორივე (ა- და ე-) გახმოვანებით წარმოდგენილი ფუძე დაგვიდასტურა, მეგრულ-ჭანურმა (დო-პ-ჭკორ-ი, დო-მ-ცორ-ი) ქართულისათვის ა-გახმოვანებული ფუძის რეალურობა დაგვიმოწმა.

შემდეგ: ქართული ტეხ- და მეგრულ-ჭანური ტახ- კანონზომიერი შესატყვისია: ტეხ-ს — ტახ-უმ-ს / ტახ-უნ-ს. მაგრამ ქართულმა ტეხ-ფუძის პარალელურად დაადასტურა ტახ- ფუძეც (ტახ-უნ-ი), ჭანურში ამ ფუძის შესატყვისიც აღმოჩნდა, დამოწმებულია იგი კნებითის ფორმებში: დო-ტუხ-უ, მე-ტრუხ-უ, გო-ტროხ-უ „გატყდა". რ სონანტი ფონეტიკურადაა განვითარებული ([172], 272). თუ ასეა, მაშინ აქაც გვქონია დაპირისპირება: ქართულისათვის ტეხ-: ტახ-, მეგრულ-ჭანურისათვის ტახ-:*ტოხ-.

სალიტერატურო ქართულში თერ- ფუძეა დამოწმებული (გა-ე-თერ, ახლა სულ უფრო იკიდებს ფეხს გა-ე-თრ-ი-ე ფორმა), მაგრამ ფ'შაურმა დაადასტურა თარ- ფუძეც (გა-თარ-ე, სა-თარ-ი, [186], 463). თარ- ფუძის რეალურობას ასაბუთებს ჭანურში არსებული თორ- ფუძე: თორ-უმ-ს „ზიდავს", ათრევს" ([172], 270).

ქარ- (ქარ-ი) — ქერ- (გა-ჰ-ქერ) ქართულში დღემდე ცოცხალი დაპირისპირებაა ფუძეთა გახმოვანების მიხედვით, ჭანურმა ა-გახმოვანებული ფუძის შესატყვისი დაამოწმა მხოლოდ: ქორ-უ „გაცივდა" ([165], 967).

ქართულის კელ- ფუძეს (და-ვ-ა-კელ) მეგრულ-ჭანურში კორ- შეესაბამისება (დო-მო-კორ-დ-უ), მაგრამ ამ უკანასკნელის ზუსტი შესატყვისობა ქართულში შემონახული აქვს ხევსურულს: კალ- (და-ვ-ა-კალ, იგივეა, რაც და-ვ-ა-კელ, [172], 270).

ქართული ჯალ-(ხალ-) ფუძე დამოწმებულია მო-ჯალ-ა (მო-ხალ-ა) ფორმაში, მეგრულში ამ ფორმას დო-ხალ-უ „გააცხელა" შეესატყვისება ([193], 419). მეგრულში დამოწმებული ხალ- ფუძე ქართულში *ჯელ- (ხელ-) ფუძის არსებობასაც გვავარაუდებინებს...

რა აღმოჩნდა?

აღმოჩნდა, რომ ერთ შემთხვევაში მეგრულ-ჭანურის ჩვენების მიხედვით აღდგენილი ფუძე რეალურად დაადასტურეს ქართული ენის დიალექტებმა, მეორე შემთხვევაში ქართულში არსებული ე-გახმოვანებული ფუძის გვერდით მეგრულ-ჭანურმა ა-გახმოვანებული ფუძე აღადგინა, მესამე შემთხვევაში კი, პირიქით, ქართულში ა-გახმოვანებით დადასტურდა ფუძე და მეგრულ-ჭანურმა კი მის გვერდით ე-გახმოვანებული ფუძის შესაძლებლობაც გვავარაუდებინა.

შემთხვევითი მოუწესრიგებლობის ფაქტად ამას, რა თქმა უნდა, ვერ მივიჩნევთ.

ასე რომ, ამჟამინდელი მონაცემი მხოლოდ ასეთი წინარე ვითარების გადმონაშთი შეიძლება იყოს: ქართულში დასტურდებოდა ფუძეთა დაპირისპირება ა- და ე-გახმოვანების მიხედვით, რომელიც შემდეგ, ჯერჯერობით გაურკვეველი მიზეზების გამო, მოიშალა, რის შედეგადაც ძველი სისტემა ან ფრაგმენტების სახით შემოგვრჩა, ანდა შემოგვრჩა სრული სახით, მაგრამ ფუნქციური ცვლილებებითა და ნაირსახეობებით.

XXII

აქამდე ძირითადად ამჟამად დაუშლელი ფუძეების ნაირგვარ გახმოვანებაზე გვქონდა საუბარი. როგორც ჩანს, გახმოვანებით დაპირისპირების ტენდენცია იმდენად ძლიერი იყო, რომ იგი გარკვეულად აისახა ფუძის მაწარმოებელ ფორმანტთა ნაირგვარ გახმოვანებაშიც. შდრ. ამ თვალსაზრისით:

უ-ძლ-ავ-ს — ს-ძლ-ევ-ს
ს-თნ-ავ-ს — ა-თნ-ევ-ს
ს-თრ-ავ-ს — ა-თრ-ევ-ს
*დგ-ან-ს — ა-დგ-ენ-ს
დგ-არ-ს (იმერ.) — და-ა-დგ-ერ და სხვანი.

თუ ასეა, მაშინ ფორმანტთა ნაირგვარი გახმოვანების მიზეზების კვლევაც დადგება დღის წესრიგში. ეს საკითხი უშუალოდ უკავშირდება ფორმანტთა შედგენილობას ქართულში.

XXIII

ამრიგად, ზმნური ფორმათწარმოების რამდენიმე პრინციპი დადასტურდა ქართულში. ამათგან სამია ძირითადი: რედუპლიკაცია (ანუ, ზოგადად, ფუძეთშეერთება), აფიქსაცია, აპოფონია. ეს სამი პრინციპი ფრიად ღირსაცნობ ურთიერთობას ამყარებს ერთმანეთთან: რედუპლიცირებულ ლაწლაწ- ფუძეს (ლაწ-ლაწ-ი) ეფარდება აფიქსაციით წარმოებული ლაწ-ან- ფუძე (ლაწ-ან-ი), რომელსაც, თავის მხრივ, მოეპოვება გახმოვანებით დაპირისპირებული ლეწ- ფუძე (ლეწ-ს). ეს პრინციპები, რომლებიც, ჩანს, სხვადასხვა დროის წარმონაქმნია, დღეს თანაარსებობენ ენაში. რასაკვირველია, თავდაპირველი იერსახე მეტნაკლებად შეცვლილი აქვთ.

ფორმათწარმოების ფაქტი ხელთა გვაქვს, მისი ფუნქციური საფუძვლის დადგენა კი ზოგჯერ ვერ ხერხდება. ამან ხელი არ უნდა შეუშალოს ამ მოვლენის ფორმობრივი ასპექტის კვლევას. ფორმას თავისი კანონები აქვს, ეგ კანონებია წარმოსაჩენი. ამის წარმოჩენა

კი, ვფიქრობთ, თავდაპირველი ფუნქციური საფუძვლის ამოცნობის გზასაც დაგვანახებს.

ერთი რამ უნდა აღინიშნოს კიდევ: გახმოვანებით დაპირისპირებული ფუძეები ავლენენ ენაში არსებულ კანონზომიერებას და, ამდენად, სრულ ანალოგიას პოულობენ ენის სხვა სფეროებშიც დამოწმებულ ფაქტებთან. ეგულისხმობთ იმ მოვლენას, რომ ნაირგვარი გახმოვანებით დაპირისპირება შეინიშნება არა მხოლოდ ფუძეების, არამედ აფიქსების დონეზეც, არა მხოლოდ ზმნებში, არამედ მეტყველების სხვა ნაწილებშიც. შდრ., მაგალითად:

	ა-გახმოვანება:	ე-გახმოვანება:	ი-გახმოვანება:
ზმნური ფუძე:	გლაჯ-უნ-ი	გლეჯ-ს	გლიჯ-ა
	ლაწ-უნ-ი	X	X
	X	დრეკ-ს	დრიკ-ა
ნაცვალსახელი:	*ას (შდრ.: ას-რე)	ე-ს	**ი-ს**
ზმნიზედა:	ა-ქ	X	ი-ქ
სუფიქსი:	-ან(*დგ-ან-ს)	-ენ (ა-დგ-ენ-ს)	-ინ (ა-დგ-ინ-ა)
	-ავ (უ-ძლ-ავ-ს)	-ევ (ს-ძლ-ევ-ს)	-ივ (ძლ-ივ-)
პრეფიქსი:	ნა- (ნა-რწყავ-ი)	ნე-(ნე-რწყვ-ი)	ნი- (ნი-კა-პი).

რასაკვირველია, დაპირისპირების ფუნქციური საფუძველი ყველგან სხვადასხვაა, მაგრამ ფორმას აქვს ეს უნარი: ერთი და იმავე ფორმობრივი მიმართებებით ნაირგვარი ფუნქციური დაპირისპირებანი გამოხატოს.

ნაირგვარ გახმოვანებას ზემოდასახელებულ მაგალითებში ზოგჯერ ეძებნება ფონეტიკური საფუძველი, ზოგჯერ ჭირს ან შეუძლებელიცაა რაიმე ფონეტიკური ფაქტორის გამოვლენა. როგორც აღინიშნა ზემოთ, არც ის არის გამორიცხული, ნაირგვარი მორფოლოგიური შედგენილობის შედეგი იყოს. მიუხედავად ყოველივე ამისა, ენამ არსებითად მიმართებათა ერთგვაროვან სისტემებში მოაქცია ხსენებული ფაქტები და ფორმათწარმოების ერთგვაროვან პრინციპს დაუმორჩილა ისინი. სტატუსი ერთგვაროვანია, მაგრამ მსგავსი სტატუსი ყოველთვის არ ნიშნავს მსგავსს გენეზისსაც. ზემოდასახელებული ფორმების წარმომავლობის კვლევისას ეს, რა თქმა უნდა, გათვალისწინებული უნდა იყოს. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ უნდა ვუარყოთ იმის წარმოჩენა, რისკენაც ისწრაფვის ენა. ვგულისხმობთ სხვადასხვა რიგის მოვლენების გაერთგვაროვნების ტენდენციას. ყოველივე ამის გაუთვალისწინებლობა ძალაუნებურად მიგვიყვანს ენის დინამიკის უარყოფამდე.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ სხვა ქართველურ ენებში?

რედუპლიკაციისა და აფიქსაციის პრინციპები რომ სამივე ქართველური ენის ერთნაირად დამახასიათებელი ნიშანია, ეს ეჭვს არ უნდა იწვევდეს. სხვა საკითხია აპოფონიის პრინციპი. ზოგ შემთხვევაში იგი იმდენადაა ნიველირებული, რომ მხოლოდ სპეციალური კვლევის საფუძველზე ხერხდება წინარე ვითარების აღდგენა. სვანური ამ მხრივ იმთავითვე ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენდა. სვანურში აშკარად გამოიყოფა ერთი ჯგუფი ზმნებისა, რომელთა აქტიური და პასიური ფორმები ფუძის გახმოვანებით უპირისპირდებიან ერთმანეთს:

ტიხ-ე „აბრუნებს“	— ტეხ-ნ-ი	„ბრუნდება“
ფიშ-ე „ღლის“	— ფეშ-ნ-ი	„იღლება“
გიბ-ე „სვრის“	— გებ-ნ-ი	„ისვრება“
ფხიჟ-ე „შლის“	— ფხეჟ-ნ-ი	„ი'შლება“ ([163], 40—41).

როგორც ჩანს, აქვე შეიძლება შემოვიტანოთ ფუძე ა-გახმოვანებითაც, რომელიც გარდაუვალი ზმნის აორისტშია დამოწმებული: ა-ტახ „დაბრუნდა“. მართალია, აქ აშკარად ფონეტიკურ ცვლილებასთან გვაქვს საქმე, რაზედაც მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ იმავე პარადიგმის პირველსა და მეორე პირში ფუძე ე-გახმოვანებითაა წარმოდგენილი:

I პირი: ო-ტეხ (ბალსქვემოური, ლაშხური), ა-ტუეხ (ლენტეხური)
II პირი: ა-ტეხ
III პირი: ა-ტახ||ა-ტჯხ (ბალსზემოურსა და ეცერულში);

ყველა სხვა პარადიგმის სამივე პირში ფუძე ე- გახმოვანებითაა დამოწმებული ([163], 196, 200, 203), მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისიც უეჭველია, რომ ზემოხსენებულ კონკრეტულ შემთხვევაში გახმოვანებას მორფოლოგიური ღირებულება მოუპოვებია: სხვა რომ არაფერი, მეორე და მესამე პირის ფორმები მხოლოდ და მხოლოდ გახმოვანებით განირჩევიან ერთმანეთისაგან:

II პირი: ა-ტეხ
III პირი: ა-ტახ||ა-ტჯხ.

გარკვეულად მეგრულ-ჭანურ ზმნურ სისტემასაც შემორჩენია ამგვარი წარმოების კვალი. ჰ. ფოგტი ამის ნიმუშად ასახელებს ქართული შრეტ- /შრიტ- მიმართების მეგრულ შესატყვისს: შჭირატ-/ შჭირიტ-, თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ „საერთოდ, მეგრული აზო-

გადებს ი-გახმოვანებას“ ([177], 312) და, მაშასადამე, გახმოვანებით დაპირისპირების კვალი თანდათანობით იშლება. ამავე რიგისაა:

დირ-იკ- — დირ-აკ- „დრეკა“
წირ-იდ- — წირ-ად- „წრეტა“
ღილ-იტ- — ღილ-ატ- „ღლეტა“...

მეგრულში ა-გახმოვანება „არა ქმნის უღვლილების სისტემას: იგი გვხვდება მასდარში (დირ-აკ-ა „დრეკა, ღუნვა“), ნამყო დროის მიმღეობაში (დირ-აკ-ილ-ი „მოღუნული“), აგრეთვე გარდაუვალი ‘ხიხაარსის თურმეობითში“ ([157], 187—188). დაპირისპირება იმავე რიგისა ყოფილა, ქართულში გლეჯ-უნ-ი — გლეჯ-ს (გლიჯ-ა) მიმართება რომ გვიდასტურებს. როგორც ვხედავთ, აპოფონიის ფაქტი უეჭველია. რაც შეეხება ჭანურს, აქ „ამ სისტემის გადმონაშთებსღა ვადასტურებთ“ ([157], 187).

მეგრულ-ჭანურში დამოწმებულია რამდენიმე მიმართება, სადაც ე- და ა-გახმოვანებით ერთმანეთს უპირისპირდებიან სახელადი და ზმნური ფუძეები:

ჭვეთ-ი „წვეთი“ — ჭვათ-უნ-ს „წვეთავს“
ბერგ-ი „თოხი“ — ბარგ-უნ-ს „თოხნის“
გენ-ი „ხბო“ — გან-უ-ა „ხბოს მიშვება ძროხასთან მოწველის წინ“
ნო-ტეხ-ი „ნატეხი“ — ტახ-უნ-ს||ტახ-უმ-ს „ტეხს“
ნო-კვეთ-ი „ნაკვეთი“ — კვათ-უნ-ს „კვეთს“.

ე-გახმოვანება ზემოხსენებულ სახელთა (ასევე: ნაზმნარ სახელთა) ფუძეში უმლაუტით იხსნება ([157], 160—162). როგორადაც უნდა აიხსნას ეს ფაქტი ფონეტიკურად, ერთი რამ ნათელია: ხმოვანთმონაცვლეობამ ამ შემთხვევაშიც მოიპოვა მორფოლოგიური ღირებულება.

აპოფონიის საკითხი ფრიად პრობლემატური აღმოჩნდა ქართველური ენებისათვის. მას ამა თუ იმ კუთხით მრავალი მკვლევარი შეჰხებია. ამჟამად ქართველურ ენებში აპოფონიის ოდინდელ არსებობაზე, აპოფონიის პრინციპით ზმნური ფორმათწარმოების რეალურობაზე აღარ ეჭვობენ. მისი კონკრეტული იერ-სახის გარკვევა დადგა დღის წესრიგში. საამისოდ, გარდა ზემოხსენებული ავტორებისა, სათანადო მასალა აქვთ გაანალიზებული გ. ახვლედიანს ([153], 298—301), გ. წერეთელს ([197], 016—022), ი. ქავთარაძეს ([179], 253—257), გ. დეეტერსს ([205], 106), ჰ. ფოგტს ([207], 126, 132), კ. შმიდტს ([199]), ფრ. ნაისერს ([206]).

დასასრულ, შენიშვნის სახით დავსძენთ, რომ ზემოთ გახმოვანებით

დაპირისპირებულ ფუძეთა მხოლოდ რამდენიმე სახეობა იყო განხილული. აპოფონიის ძირითადი პრინციპები გაირკვა, მის კონკრეტულ გამოვლინებებს დაწვრილებით არ შევხებივართ. განსახილველი ნიშუშების არჩევანი განაპირობა საკითხის შესწავლის ამჟამინდელმა მდგომარეობამ: ძირითადად იმ ფორმებზე გავამახვილეთ ყურადღება, რომელთა ანალიზი ნაკლებადაა წარმოდგენილი სპეციალურ ლიტერატურაში...

XXV

როდესაც ქართულში დამოწმებულ აპოფონიაზე გვაქვს საუბარი, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ერთი ღირსაცნობი მოვლენა, კერძოდ, გარკვეული მსგავსება ინდოევროპულ ენებთან და, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, ისეთი ფუძეების არსებობა ქართულში, რომლებიც თითქმის სრულ ანალოგიას პოულობენ ინდოევროპულ ენებში. ვგულისხმობთ tap :tep (შდრ.: *ტაფ-:ტეფ-), tar :ter (შდრ.: თარ-:თერ-) და მისთ. ფუძეებს.

რა უნდა გვქონდეს აქ?

ძველ ირანულში ივარაუდება *tar ფუძის არსებობა, მიღებულის ინდოევროპული *ter ფუძისაგან. ძველ ინდურში დამოწმებულია tar ფუძე ([200], 208; [152], 89).

როგორც ვხედავთ, ფუძე ორივე გახმოვანებითაა წარმოდგენილი აქ. ვიტყოდით, ქართულმა განუკითხავად ისესხა ფუძე როგორც ა-, ასევე ე-გახმოვანებითო. ამ თვალსაზრისით ანალოგიური მაგალითებიც დაიძებნებოდა: ვაზირი და ვეზირი, აქიმი და ექიმი, დურაჯი და დურეჯი ([179], 250—251), მაგრამ თარ-:თერ- ფუძეთა მიმართ ასეთი ვარაუდი არ გამოგვადგებოდა. არ გამოგვადგებოდა იმის გამო, რომ ვაზირი და ვეზირი ტიპის ფორმები ერთსა და იმავე კონტექსტში თავისუფლად ენაცვლებოდა ერთმანეთს მაშინ, როდესაც თარ- და თერ- ტიპის ფუძეები იმთავითვე მკვეთრად განირჩეოდა ფუნქციურად, სხვაგვარად: ამ შემთხვევაში აშკარად გამოხატულ დამატებით დისტრიბუციასთან გვაქვს საქმე. შესაბამისი მაგალითები ადვილად დაგვარწმუნებენ, რომ ეს მართლაც ასეა:

ფუძე ა-გახმოვანებით (თარ-):	ფუძე ე-გახმოვანებით (თერ-):
„არხოტიენებმ ეს ქისტები დათარ-ეს წყლის პირში და იქ დაყარეს“ ([155], 170), დათარეს = გადაათრიეს ბევრი ([187], 275).	„ხომ იცი, რაა: წა-ე-თერ, ხომა გაქვს გამორკვეული? მაშ, მე ვინ მეტყვის: აბძანდი. მეტყვიან: ა-ე-თერ-ი-ა, ათას-ფრად, ათას კილოზე: გა-ე-თერ —
„წელს გადა-თარ-ეს მკედარია“ ([155], 211).	

„ბევრამ ვაქმ იანვარშია, ჯიჯ-
ეო, მთით დაბლა ჩაგ-თარ-ო“ ([155], 193);
ჩა-გ-თარ-ო=ჩა-გ-ა-თრი-ა-ო ([187], 275).

წა-ე-თერ-ი-ა!“
([162], 47).

აშკარაა, რომ აქ ა- და ე-გახმოვანებული ფუძეები ერთმანეთს ვერ შეცვლის: შეცვლა ფუნქციურ ცვლილებას გამოიწვევდა და ვერც კონსტრუქცია მოირგებდა განუკითხავად მას.

საცნაურია: კონკრეტულად თარ-:თერ- დაპირისპირება ქართულის მთის დიალექტებს შემორჩა (ფშაურს, ხევსურულს, მოხეურს), თუმცა ზოგადად ფუძეთა დაპირისპირება ა- და ე-გახმოვანებით ქართული ენის ყველა დიალექტისთვისაა დამახასიათებელი, შემორჩენილია იგი სალიტერატურო ენაშიც.

აძდეხად, საკითხი დგას არა საერთოდ ა- და ე- გახმოვანებულ ფუძეთა დაპირისპირების შესაძლებლობაზე ქართულში, არამედ კონკრეტულად *ტაფ-:ტეფ-, თარ-თერ- ტიპის ფუძეთა კვალიფიკაციის თაობაზე.

რითი უნდა აიხსნას ამ რამდენიმე ფუძის ანალოგია ინდოევროპულ ენებში დამოწმებულ ფაქტებთან?

ქართულის ხმოვანთმონაცვლეობას დაემთხვა მსგავსი პროცესი ინდოევროპულიდან შემოსულ ფორმებში, როგორც ამას ზოგჯერ ვარაუდობენ ([179], 256), ნასესხები ფუძე ქართული გრამატიკული სისტემის თარგზე გაფორმდა თუ მსგავსება უფრო შორსმიმავალია და უფრო არსებითი ხასიათის მქონეც, ამას დამატებითი შესწავლა გაარკვევს. ოღონდ ერთი რამ არის აქ იმთავითვე ნათელი: ყოველგვარი შემთხვევითობა გამორიცხულია.

თ ა ვ ი VI ფორმანტთა შედგენილობისათვის ქართულში

(ზოგადი ფორმობრივი მიმოხილვა)

I

ჩვენს შემთხვევაში ფორმანტთა შედგენილობის კვლევა იმთავითვე გულისხმობს ისტორიული სტატუსის გათვალისწინებასაც. ამიტომაც საუბარი გვექნება არა მხოლოდ ამჟამად მოქმედი, პროდუქტიული ფორმანტების შესახებ, არამედ, შეძლებისდაგვარად, იმ ფორმანტთა თაობაზეც, რომლებიც ახლა უკვე უმოქმედონი და ფუძეს შეზრდილნი არიან. ეს საჭიროა საერთო სურათის წარმოსაჩენად, ენისათვის ნიშანდობლივი საერთო წარმომქმნელი ტენდენციის საჩვენებლად, და ბოლოს, ეს საჭიროა ენის ადრინდელი იერ-სახის აღსადგენად.

II

განხილვის მიზანი ენის პოტენციის, ენაში მუდმივ არსებული ტენდენციის წარმოჩენაა ამჯერად და არა ენის სტატუსის დადგენა განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე. ამრიგად, გასარკვევია, რა გვაქვს ენაში საერთოდ და არა მხოლოდ მისი ფუნქციონირების რომელიმე კონკრეტულ საფეხურზე.

ქვემოთ ფორმანტთა ფორმობრივ ტენდენციაზე ვამახვილებთ ყურადღებას.

III

ქართულში გამოყოფილი ფორმანტების უბრალო ანალიზიც კი წარმოაჩენს ერთ ღირსაცნობ ფორმობრივ ტენდენციას. ვგულისხმობთ პრეფიქსთა და სუფიქსთა თავისებურ სიმეტრიას:

პ რ ე ფ ი ქ ს ე ბ ი:	ს უ ფ ი ქ ს ე ბ ი:
ა- (ა-გი, ა-ჩრდილი, ა-ქებ...)	-ა (ხატვ-ა, გააკეთ-ა, ლურჯ-ა)
ლა- (ლა-ფარო [225], 451-452)	-ალ (მდაბ-ალ-ი, მოწით-ალ-ო...)
მა- (მა-თხოვარი, მა-შენებელი)	-ამ (დგ-ამ-ს, იცვ-ამ-ს...)

ნა- (ნა-ტეხ-ი, ნა-სოფლარი)	-ან (ჰგვ-ან-ან, მჩივ-ან-ი...)
?	-არ (მდევ-არ-ი, დამდნ-არ-ი...)
სა- (სა-რგო, სა-თნო, სა-ქუდე...)	-ას (მოყვა-ას-ი)
ე-(ე-ხატება, ე-გ...)	-ე (დავწერ-ე, სავს-ე, მძლ-ე)
ლე- (ლე-ქვერი [218], 163—164)	-ელ (ქს-ელ-ი, წით-ელ-ი...)
მე- (მე-ტყველი, მე-ტეხი, მე-სამე)	-ემ (სც-ემ-ს, თვლ-ემ-ს [228])
ნე (ნე-ზვი [258], ნე-რგი [222])	-ენ (აშენებ-ენ, ადგ-ენ-ს...)
?	-ერ (დაადგ-ერ, დასცხ-ერ [226])
?	-ეტ (ჯურ-ეტ-ს, ფშვნ-ეტ-ს...)
სე- (ცე-ცხლი←*სე-ცხლი [246])	-ეს (გააკეთ-ეს, სრ-ეს-ს...)
ი- (ი-ჭრის, ი-ჭრება, ი-გი...)	-ი (ჭრ-ი-ს, დაუწერ-ი-ე-ს...)
?	-ივ (მხრ-ივ, ძლ-ივ, სტკ-ივ-ა)
ლი- (ლი-ქლ-ი [243], ლი-ჩეა [244])	-ილ (წერ-ილ-ი, ჩივ-ილ-ი...)
ნი- (ნი-კაპი [263], [222], [252])	-ინ (ლოდ-ინ-ი, გლიჯ-ინ-ი...)
?	-ირ (სტვ-ირ-ი [252], ბდღვ-ირ-ი)
სი- (სი-ტკბო, სი-ლამაზე...)	-ის (კაც-ის...)
?	-იტ (გოგ-იტ-ა...)
მ- (მ-ხატავ-ს, მ-გზავრი...)	?
ნ- (შეი-ნ-ძრა, ა-ნ-ქრევს...)	-ნ (კაც-ნ-ი, წერ-ო-ნ, დევ-ნ-ა)
?	-ო (აქ-ო, წერ-ო-ს, სითბ-ო...)
?	-ოდ (იც-ოდ-ა, იმალებ-ოდ-ა...)
ლო- (ლო-პერი, ლო-პრი, შდრ.: პერ-ი)	-ოლ (რბ-ოლ-ა, კრთ-ოლ-ა...)
?	-ომ (დგ-ომ-ა, წყრ-ომ-ა...)
რ- (რ-წმენა, ჰ-რ-ქუა, სა-რ-კმელი)	-რ (ხვედ-რ-ი, მძლავ-რ-ი...)
ს- (ს-ვლა [233], ს-რბოლა...)	-ს (კაც-ს, წერ-ს...)
უ- (უ-წერს, უ-ქუდო, უ-კეთესი...)	-უ (დრკ-უ. ბნდ-უ, ღრ-უ...)
ხ-(ხ-არ...)	? და სხვანი.

შესაძლოა, ამგვარი „სიმეტრიის“ წარმოჩენას მეთოდოლოგიური ღირებულებაც ჰქონდეს, რადგან იქ, სადაც ცალეულებია დამოწმებული (-არ, -იტ, მ-, -ო...), ან შესაბამისი ცალის არსებობას გვავარაუდებინებს, ან იმას წარმოგვიჩენს, რომ არსებული ცალი სხვა ფორმანტის ფონეტიკური ნაირსახეობაა (და ამიტომაცაა ცალად). გარდა ამისა, ეს სისტემა დამატებით საბუთიანობას ჰმატებს იმ ფორმანტების გამოყოფას, რომელთა წარმოჩენას სხვა მხრივ ნაკლები დადასტურება მოეპოვება.

ზემოთ მოტანილი სქემა სხვა თვალსაზრისითაც არის მნიშვნელოვანი: იგი მიგვითითებს, რომ ხმოვან — თანხმოვანით შედგენილი ფორმანტები (-ალ, -ელ, -ილ, -ოლ, -ულ; -ამ, -ემ; -ან, -ენ, -ონ; -ას, -ეს, -ოს...) რთული შედგენილობისა უნდა იყოს წარმოშობით, რომ ხმოვნითსა და თანხმოვნითს ელემენტებს სხვადასხვა ფუნქცია შეჰქონდათ ამ ფორმებში, თუმცა შემდეგ ერთმანეთს შეერწყნენ და უკვე ისეთ ფორმებში წარმოჩნდნენ, სადაც მათი სეგმენტირება შეუძლებელი ხდება. ამ ვარაუდს, რა თქმა უნდა, დამატებითი საბუთიანობა ესაჭიროება. ამაზე — ქვემოთ.

IV

წმინდა ფორმობრივი მიმართების თვალსაზრისით ზემოხსენებული ფორმანტები სხვა საყურადღებო ფაქტსაც წარმოაჩენენ. იგულისხმება ერთი და იმავე თანხმოვნით შედგენილი ფორმანტების დაპირისპირება ნაირგვარი გახმოვანების საფუძველზე; და პირიქით: ერთი და იმავე გახმოვანების მქონე ფორმანტთა დაპირისპირება თანხმოვნითი ელემენტების მიხედვით (სქემა პრეფიქსებისათვის):

ხმოვანი / თანხმოვანი	ი	ა	ე	ი	ო	უ
ი	—	ა-	ე-	ი-	?	უ-
ბ	—	?	?	?	?	?
გ	გ-	?	?	?	?	გუ- — გე-
დ	დ-	?	?	?	?	?
ვ	ვ-	?	?	?	?	?
თ	?	?	?	?	?	?
კ	?	?	?	?	?	?
ლ	?	ლა-	ლე-	ლი-	ლო-	?
მ	მ-	მა-	მე-	?	?	?
ნ	ნ-	ნა-	ნე-	ნი-	?	?
რ	რ-	?	?	?	?	?
ს	ს-	სა-	სე-	სი-	სო-	სუ-

სუფიქსებისათვის შედგენილი ანალოგიური სქემა უფრო მრავალ-წევროვანი აღმოჩნდება:

თანხმოვანი \ ხმოვანი	ი	ა	ე	ი	ო	უ
ი	—	-ა	-ე	-ი	-ო	-უ
ბ	?	?	-ებ	?	-ობ	?
დ	-დ	-ად	-ედ	?	-ოდ	?
ვ	-ვ	-ავ	-ევ	-ივ	-ოვ	?
თ	-თ	?	-ეთ	-ით	?	?
კ	?	-აკ	-ეკ	-იკ	?	-უკ
ლ	-ლ	-ალ	-ელ	-ილ	-ოლ	-ულ
მ	?	-ამ	-ემ	?	-ომ	?
ნ	-ნ	-ან	-ენ	-ინ	-ონ	-უნ
რ	-რ	-არ	-ერ	-ირ	-ორ	-ურ
ს	-ს	-ას	-ეს	-ის	-ოს	?
ტ	?	?	-ეტ	?	?	?

როგორც ვხედავთ, წმინდა ფორმობრივი თვალსაზრისით, ფორმანტების ამგვარი განაწილებაც ფრიად ღირსაცნობ სურათს იძლევა.

ჯერ ერთი, ის, რომ ენაში შეინიშნება შინაგანი პოტენცია ცარიელი (კითხვის ნიშანდასმული) უჯრედების შევსებისა. ყოველ შემთხვევაში, ენას აქვს ამის შესაძლებლობა, ხოლო ამ შესაძლებლობის რეალიზაცია კონკრეტულ სიტუაციაზეა დამოკიდებული. არც ის არის გამორიცხული, რომ ეს შესაძლებლობა უკვე რეალიზებული იყო და შემდგომ, განვითარების გარკვეულ საფეხურზე, ენამ უარყო იგი, უკუაგდო როგორც არასაჭირო.

გარდა ამისა, ამგვარი სქემებიც მიგვანიშნებენ იმას, რომ ხმოვნითა და თანხმოვნით წარმოდგენილი ფორმანტები, შესაძლოა, მართლაც რთული შედგენილობისა იყვნენ.

V

ყურადღებას იქცევს ფორმანტთა ფონემატური შედგენილობაც.

ფორმანტებში დამოწმებულია ქართულში არსებული ხუთივე ხმოვანი: -ა, -ე, -ი, -ო, -უ; -ალ, -ელ, -ილ, -ოლ, -ულ; -ან, ენ და ა. შ.

თანხმოვანთაგან გვხვდება სამივე ძირითადი ჯგუფის ფონემები:

ხშულები, სპირანტები და სონანტები, თუმცა არა ერთნაირი რაოდენობით:

ხშულები:	სპირანტები:	სონანტები:
გ- -დ, -ად, -ედ, -ოდ -ებ, -ობ -თ, -ეთ -ეტ	-ს, -ას, -ეს, -ოს ხ- ჰ-	-ლ, -ალ, -ელ, -ოლ -ნ, -ან, -ენ . . . -რ, -არ, -ერ, -ირ მ-, -ამ, -ომ და ა. შ.

როგორც ვხედავთ, მეტი წილი სონანტებია გამოყენებული, შემდეგ მოდის ხშულები, ბოლოს — სპირანტები.

ღირსაცნობია ამ სამი ჯგუფის ფორმანტებს შორის ურთიერთშეხაცვლების შემთხვევები. რამდენიმე ნიმუში ადვილად დაგვარწმუნებს, რომ ეს მართლაც ასეა.

ძველ ქართულში უწყვეტელში მრავლობითი რიცხვის III პირის ნიშნად იყო -ეს (ს-ცემ-დ-ეს), ამჟამად ეს ვითარება რამდენიმე დიალექტსღა შემორჩა. ახალმა ქართულმა ამ შემთხვევაში სონანტიანი ვარიანტი (-ნ-ენ) გააბატონა (ს-ცემ-დ-ნ-ენ; ზოგმა დიალექტმა უშუალოდ -ენ-ით შეცვალა: ს-ცემ-დ-ენ). მაშასადამე, სპირანტიანი ვარიანტი სონანტიანმა ვარიანტმა შეცვალა.

ახლა — სხვა რიგის შენაცვლებაზე.

ძველ ქართულში ერთმანეთს ფუნქციურად უპირისპირდებოდა აწმყო და აწმყოს ხოლმეობითი. ფორმობრივი ყალიბი მათ აბსოლუტურად ერთნაირი ჰქონდათ, ერთადერთი, რაც ფორმობრივად განასხვავებდა მათ, ეს იყო III სუბიექტური პირის ნიშნები:

	მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი:	მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი:
ა წ მ ყ ო:	კრებ-ს	კრებ-ნ
აწმყოს ხოლმეობ.:	კრებ-ენ	კრებ-ედ

თითქმის ანალოგიური შენაცვლებაა დამოწმებული ნამყო ძირითადისა და II ბრძანებითის III სუბიექტური პირის ფორმებში:

	მხოლობითი:	მრავლობითი:
ნამყო ძირითადი:	მო-კლ-ა	მო-კალ-ნ
II ბრძანებითი:	მო-კლ-ეს	მო-კლ-ედ

დამოწმებულია საყურადღებო შენაცვლება I თურმეობითში:

ერთმანეთს ენაცვლება III სუბიექტური პირის ნიშანი -ს: -ნ (ორივე მხოლობით რიცხვში):

გან-უ-ბნ-ევ-ი-ე-ს — გან-უ-ბნ-ევ-ი-ე-ნ
და -ს:-დ (ასევე მხოლობით რიცხვში):
წარ-უ-გდ-ებ-ი-ე-ს — წარ-უ-გდ-ებ-ი-ე-დ ([230], 522).

ახალოგიური შენაცვლებაა ერთი ტიპის სტატიკურ ზმნათა აწმყოში: ჰ-გონ-ი-ე-ს — ჰ-გონ-ი-ე-ნ — ჰ-გონ-ი-ე-დ, სამივე ფორმა მხოლობითი რიცხვისაა ([230], 522; [216]).

აწმყოს ხოლმეობითის თანდათანობითი მოშლის პერიოდში ხშირი იყო აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითის ფორმათა შერევის შემთხვევები. აქ უკვე კი არ თანაარსებობდნენ, არამედ ერთმანეთს ცვლიდნენ ფორმები: შურ-ებ-ი-ს და შურ-ებ-ი-ნ, ი-მარხ-ავ-ს და ი-მარხ-ავ-ნ, ე-ძი-ებ-ენ და ე-ძი-ებ-ედ, ი-ლოც-ვ-ენ და ი-ლოც-ვ-ედ, არ-ი-ან და არ-ი-ედ ([235], 154—155).

ამრიგად, ძველმა ქართულმა დაამოწმა შენაცვლება პირის ნიშნებში. ერთმანეთს ენაცვლება: სპირანტი (-ს) და სონანტი (-ნ), ხშული (-ედ) და სონანტი (-ენ). ზოგჯერ შენაცვლებაში სამივე ჯგუფის თანხმოვანი მონაწილეობს:

გახ-უ-ბნ-ევ-ი-ე-დ — გან-უ-ბნ-ევ-ი-ე-ს — გან-უ-ბნ-ევ-ი-ე-ნ;
ჰ-გონ-ი-ე-დ — ჰ-გონ-ი-ე-ს — ჰ-გონ-ი-ე-ნ.

(გახ-უ-ბნ-ევ-ი-ე-დ ფორმისათვის იხ.: სახარებაჲ მათესი, 25, 26: პარალელურ ნუსხებში ერთმანეთს ენაცვლება: გან-მ-ი-ბნ-ევ-ი-ე-ნ და გახ-მ-ი-ბხ-ევ-ი-ე-დ, [254], 39; დამოწმებულია გან-მ-ი-ბნ-ევ-ი-ე-ს ფორმაც, [211], 63. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე: [209], 159—164).

პირის ნიშანთა შენაცვლებაში დამოწმებული ამგვარი პარალელიზმი აწმყოსა და I თურმეობითში ახსნილია იმით, რომ „თურმეობითი აწმყოს ინვერსიული ვარიანტია გარდამავალ ზმნებში" ([254], 39) და, შესაბამისად, -ს:-ნ, -ენ:-ედ, -ს:-დ პირის ნიშნები ისევე უპირისპირებდნენ I თურმეობითის ორ ფორმას ერთმანეთს, როგორც იგივე ხიშხები აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითს, ანუ: -ნ, -დ, -ედ პირის ნიშნიან I. თურმეობითს ხოლმეობითის გაგება უნდა ჰქონოდა ([209], 163: [249], 107).

პირის ნიშანთა შენაცვლებას ძველ ქართულში ფუნქციური სხვაობაც რომ სდევს თან, ეს კერძო, დამატებითი მოვლენაა, არსებითია თვით ფორმობრივი შენაცვლების ფაქტი, ამგვარი შენაცვლების ტენდენცია, რომელიც ერთეული და შემთხვევითი არ უნდა იყოს ქართულში. ეს რომ მართლაც ასეა, ამის დამადასტურებელი ფაქტებიც მოგვეპოვება:

ერთმანეთს ენაცვლება მრავლობითობის გამომხატველი ფორმანტები: -ენ||-ნ (მო-ვ-კლ-ენ, კაც-ნ-ი) და -ებ (მხოლოდ სახელებში: კაც-ებ-ი). აქვე დაისმოდა -თ ფორმანტის საკითხიც.

ერთმანეთს ენაცვლება ენებითის -ენ||-ნ (გან-ვ-ჰაპუკ-ენ, გან-ჰა-პუკ-ნ-ა) და -დ (გა-ვ-ჰაბუკ-დ-ი, გა-ჰაბუკ-დ-ა) ფორმანტები.

ერთმანეთს ენაცვლება ნათესაობითის -ის (თვ-ის) და -ინ (თვ-ინ) ფორმანტები ([262], 022). ამ თვალსაზრისით შდრ.: გუშ-ის და გუშ-ინ.

ანალოგიური შენაცვლება ივარაუდება მიცემით ბრუნვაშიც: -ს:-ნ.

ინგილოურმა დაამოწმა -დ:-ნ მონაცვლეობა ვითარებით ბრუნვაში: ნადიროვ-ა-ნ (ნადირობ-ა-დ), იხ.: [220], 90.

შენაცვლება ხდება ზმნისართებში: ზე-ნა — ზე-და, ქვე-ნა — ქვე-და...

დამოწმებულია შენაცვლება ზოგიერთი არსებითი სახელის თავკიდურა პოზიციაში: სძე — რძე, სძალი — რძალი, ანალოგიური ვითარებაა ზმნურ ფუძეებშიც: სჯ-ა — რჯ-ა ([262], 019).

მრავალმხრივ იპყრობს ყურადღებას ამგვარი შენაცვლების ფაქტები ფუძედრეკად ზმნებში:

ა-ჰყერ-ს — ა-ჰყეტ-ს
კბენ-ს — კბეჩ-ს
ღრენ-ს — ღრეჭ-ს||ღრეჯ-ს||ღრეჩ-ს
ჰყლემ-ს — ჰყლეტ-ს

ამ თვალსაზრისით შდრ. აგრეთვე: ჩქერ-ი და ჩქეფ-ს, წვერ-ი და წვეტ-ი...

ასე რომ, შენაცვლების ტენდენცია ენის ბევრ სისტემაში იჩენს თავს. მაგალითების გაზრდა არ გაჭირდებოდა, ნიმუშად კი, ვფიქრობთ, ესეც კმარა.

VI

რამდენიმე სიტყვა ფორმანტების გახმოვანებაზე.

ზემოთ აღინიშნა, რომ ფუძეთა გახმოვანების მიხედვით დაპირისპირების ტენდენციამ გარკვეულად ფორმანტებშიც იჩინა თავი. რამდენიმე ნიმუშიც იყო დასახელებული:

უ-ძლ-ავ-ს — ს-ძლ-ევ-ს
ს-თნ-ავ-ს — ა-თნ-ევ-ს
ს-თრ-ავ-ს — ა-თრ-ევ-ს
*დგ-ან-ს — ა-დგ-ენ-ს
დგ-არ-ს — და-ა-დგ-ერ

როგორც ჩანს, დაპირისპირების ამგვარი პრინციპი თანამიმდევრულად იყო გატარებული ზმნურ სიტყვათ- და ფორმათწარმოებაში, თუმცა რღვევის კვალი ძველ ქართულშივე აშკარად შეინიშნება.

VII

ამრიგად, უკვე რამდენიმე ისეთი ფაქტი წარმოჩნდა, რომ რეალური ხდება ხმოვან-თანხმოვნით შედგენილ ფორმანტთა რთულ სტრუქტურაზე საუბარი. დამატებით კიდევ რამდენიმე მომენტია გასათვალისწინებელი.

რა საფუძველი გვქონია ხმოვნითა და თანხმოვნით შედგენილ ფორმანტთა დაყოფისათვის?

ასეთი საფუძველი რამდენიმეა:

1. ფორმანტთა წმინდა ფორმობრივი შეპირისპირება:

-ა	-ლ
-ავ	-ალ
-აღ	-ელ
-ამ	-ილ
-ან	-ოლ
-არ	-ულ...

პირველ შემთხვევაში ხმოვანია რამდენიმე ფორმანტისათვის საერთო, მეორე შემთხვევაში — თანხმოვანი, დამოუკიდებლად არსებობს -ა ფორმანტიც და -ლ ფორმანტიც. ბუნებრივია, ვივარაუდოთ, რომ -ალ (შესაბამისად: -ავ, -ამ... -ელ, -ილ...) რთული შედგენილობისაა: -ა-ლ.

2. ფორმათა წმინდა ფორმობრივი შეპირისპირება:

უ-ძლ-ა-ვ-ს
ს-ძლ-ე-ვ-ს
ძლ-ი-ვ-ს

დამატებით აქ წარმოჩენილი ფუნქციური სხვაობაც გამოგვადგება საბუთად: -ა, -ე, -ი ფუნქციურად უპირისპირებს ერთმანეთს ხსენებულ ფორმებს: ბუნებრივია, დამოუკიდებელი ენობრივი სტატუსი ვივარაუდოთ მათთვის.

3. შედგენილ ფორმანტთა აბსოლუტურად ყველა ელემენტი დამოუკიდებლადაც გამოიყენება ფორმანტის სტატუსით: გვაქვს, მაგალითად, -ელ სუფიქსი (ცხ-ელ-ი), იმავდროულად, დამოუკიდებლად გვხვდება -ე სუფიქსიც (სი-ცხ-ე) და -ლ სუფიქსიც (ცე-ცხ-ლ-ი).

გვაქვს პრეფიქსი მა- (მა-თხოვ-არ-ი), იმავდროულად დამოუკიდებლადაც გამოიყენება მ- პრეფიქსიც (მ-თხოვ-არ-ი, მ-თხოვ-ნ-ელ-ი) და ა- პრეფიქსიც (ა-თხოვ-ებ-ს).

ასევე: გვაქვს -არ (მ-წუხ-არ-ი), შდრ.: -რ (მ-წუხ-რ-ი).

გვაქვს სა- (სა-რბენ-ი) და გვაქვს ს- (ს-რბოლ-ა), ა- (ა-რბენ-ინ-ებ-ს) ცალცალკე.

ანალოგიისათვის შდრ.: გვაქვს -ოვ-ან რთული ფორმანტი (გულ-ოვ-ან-ი) და იმავდროულად დამოწმებულია ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად -ოვ ფორმანტიც (ქს-ოვ-ს) და -ან ფორმანტიც (მ-ჩივ-ან-ი).

რთული ფორმანტი ისე შეიძლება შეირწყას, რომ მისი რომელიმე შემადგენელი ელემენტი ცალკე აღარც გამოიყენებოდეს: ხომ აშკარად რთული შედგენილობისაა -ოს-ან სუფიქსი (ცხენ-ოს-ან-ი), -ან ფორმანტი ცალკეცაა დამოწმებული, მაგრამ -ოს დამოუკიდებლად აღარ იხმარება, მკვდარია. მიუხედავად ამისა, არავინ უარყოფს, ისტორიულად რომ ისიც ფორმანტი იყო, არავინ უარყოფს არც თანამედროვე ქართულში მისი გამოყოფის შესაძლებლობას (-ან ფორმანტი იძლევა ამის შესაძლებლობას). თუ ეს პრინციპია აღებული, იგი ბოლომდე უნდა გატარდეს კიდეც და ხმოვან-თანხმოვნით შედგენილ ფორმანტებსაც უნდა შეეხოს.

4. ხმოვანი და თანხმოვანი ფორმანტები ერთმანეთს ჩაენაცვლებიან ხოლმე:

კოჭ-ა	თოე-ა	თეს-ა	კურკ-ა
კოჭ-ლ-ი	თოე-ლ-ი	თეს-ლ-ი	კურკ-ლ-ი

მაშასადამე, -ა და -ლ ფორმანტებს ფორმათა დამაპირისპირებლების სტატუსიც აღმოაჩნდათ. თუ ასეა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლივ სხვადასხვა ფუნქციის ჩვენების უნარი ჰქონიათ. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ: იქ, სადაც -ა და -ლ შეერთებულადაა წარმოდგენილი (-ალ), ისტორიულად მათ თავ-თავისი ფუნქცია შეჰქონდათ (მაღ-ალ-ი, მდაბ-ალ-ი, მართ-ალ-ი). ამ ფუნქციათა ნიველირება და, შესაბამისად, -ა-ლ ტიპის შედგენილ ფორმანტთა ერთ ფორმახტად შერწყმა-გაგება გვიანდელი ფაქტია. ამის დამადასტურებელი სხვა ფაქტების დაძებნაც ხერხდება:

ცნობილია: „დაბა“ ფორმა წარმოშობით რთული შედგენილობისაა: დაბ-ა (შდრ.: მ-დაბ-ი-ო, უ-დაბ-ურ-ი), გვაქვს შესაძლებლობა აღვადგინოთ *დაბ-ა-ნ ფორმაც (შდრ.: დაბ-ნ-ებ-ი, უ-დაბ-ნ-ო, [262], 68, 39; [252], 15—16). ამავე ძოსავალ ფუძესთანაა დაკავშირებული მ-დაბ-ა-ლ-ი ფორმაც. თუ ასეა, ფუძის წარმოქმნის დინამიკა ამ შემთხვევაში ასე წარმოგვიდგება:

*დაბ- — დაბ-ა- — დაბ-ა-ნ-
დაბ-ა-ლ- — მ-დაბ-ა-ლ-

ღირსაცნობ სურათს იძლევა ზოგიერთი ზმნისართიც (resp. თანდებული, ზედსართავი):

ქუე-	ზე-	ში-
ქუე-ნა	ზე-ნა	ში-ნა—ში-ნ
ქუე-და	ზე-და	ში-და
ქუე-მო	ზე-მო	—
ქუე-შე (—ქუე-შ)	—	—
—	ზე-შთა	—
—	ზე-გან→ზე გ	ში-გან→ში-გა→ში-გ

აშკარაა: მო-, და-, შე-, შთა-, გან-, რომლებიც ზმნისართის ამოსავალ ფუძეს მიერთვიან, ზმნისწინებია. ამავე რიგში გადის ნა- ფორმანტიც. ვიფიქრებდით: ქუე (ქვე), ზე, ში საყრდენი ელემენტები გამარტივების შედეგად მივიღეთო (როგორც, მაგალითად, ში-გ მივიღეთ ში-გან ფორმისაგან), მაგრამ არა! შენიშნულია იშვიათი შემთხვევები, როცა ზემოთ წარმოდგენილ ფორმებში მეორე სეგმენტი შესაძლოა წინ დაერთოს ფუძეს: და-ქუე, და არა: ქუე-და („გარდავარდი შენ ამიერ დაქუე", [247], 28). ერთი საყურადღებო ფაქტიც უნდა აღინიშნოს აქვე: ერთი და იმავე ელემენტის (-და) პოზიციამ ფუნქციურად დაუპირისპირა ორი ფორმა ერთმანეთს, შდრ.: და-ქუე — ქუე-და.

ერთ კითხვასაც უნდა გაეცეს აქ პასუხი: შესაძლებელია კი ისეთი შემთხვევები, რომ ზმნისწინი და ფორმანტი ერთი (აქ: ფუძის მაწარმოებლის) სტატუსით გამოდიოდნენ?

შესაძლებელია! მუდმივი იარლიყები ენაში არ არსებობს და საჭიროების დროს ნებისმიერი ფორმობრივი ელემენტი ნებისმიერი დანიშნულებით შეიძლება გამოიყენოს ენამ, სავსებით განსხვავებულ სისტემებში შეიყვანოს და ამით სავსებით განსხვავებულ ელემენტებს ამოუყენოს გვერდით. ყოველ შემთხვევაში, ენას აქვს ამის პოტენცია, თუმცა კონკრეტული რეალიზაცია, შესაძლოა, არც ისე ხშირად ხდებოდეს. რა თქმა უნდა, ნებისმიერობა არ ნიშნავს განუკითხაობას, ამ ნებისმიერობას თავისი კანონზომიერება აქვს. ყოველი კონკრეტული მაგალითისადმი დიფერენცირებული მიდგომაა ამ დროს საჭირო.

ხომ აშკარად ზმნისწინია წარმოშობით -გან ელემენტი ში-გან ფორმაში, ასევე -მო ელემენტი ქვე-მო, ზე-მო ფორმებში, აშკარად ფორმანტია -ით ელემენტიც ქვე-ით (ქვევ-ით), ზე-ით (ზევ-ით, ვ-ს ფონეტიკური განვითარებით?) ფორმებში, მაგრამ ისინი აბსოლუტურად ერთგვარი ფორმობრივი სტატუსით გვევლინებიან ამ შემთხვევაში. ეს კი არა და, ზმნისწინით ამგვარად გაფორმებულმა ფუძემაც კი შეიძლება მიიღოს ბრუნვის ნიშანი, თუმცა ზმნიწინიანი წარმოება თითქოს სავსებით გამორიცხავს ბრუნვის ნიშნებთან რაიმე საერთოობის მქონებლობას, შდრ.: ქვე-—ქვე-მო—ქვე-მო-ით—ქვე-მო-თ (ანალოგიურია: ზე-მო—ზე-მო-ით—ზე-მო-თ). რა თქმა უნდა, ეს შემთხვევა იმაზე მიგვანიშნებს, რომ

ზმნისწინი ოდითგანვე მარტოოდენ ზმნისწინი სრულიადაც არ ყოფილა. ეს რომ მართლაც ასეა, ამის დამადასტურებელი სხვა მაგალითებიც მოგვეპოვება.

განსაკუთრებით საინტერესოა ის შემთხვევები, როცა რომელიმე ხმოვანი და თანხმოვანი ფორმანტები ერთსა და იმავე ფუძესთან ცალ-ცალკეც გვხვდება და ერთადაც. მაგალითად: ცნობილი რიცხვითი სახელია ორ-ი, დასაშვებია მისი კნინობითი ფორმა: ორ-ა (დამოწმებულია ძირითადად მთის დიალექტებში, ივარაუდება ძველი ქართულისთვისაც), აქ მაწარმოებელია -ა. ასევე დასაშვები ფორმაა ორ-ნ-ი, მაწარმოებელია -ნ. იმავდროულად დამოწმებულია ამ ფორმანტთა კომბინირებით მიღებული ფორმაც: ორ-ა-ნ-ი (იხ. „ვეფხისტყაოსანში“: „თვენი ესხნეს ორ-ა-ნ-ი-ღა...“ სტრ. 185_2). ორ-ა-ნ-ი რომ საესებით კანონზომიერი ფორმაა, ამას ზოგი თანამედროვე დიალექტიც ამტკიცებს, იხ., მაგალითად, მოხეურში: „იმ ქაღალდებითა ორანი ურემანი პურანი ბძლივ მადიოდა“ ([242], 36). აქ -ან აშკარად რთული შედგენილობისაა (-ა-ნ), იმიტომ, რომ თითოეული მათგანის ფუნქცია მოქმედია, ცოცხალია. სხვა შემთხვევაშიც ფორმობრივ ანალოგიური შედგენილობა ივარაუდება, ხოლო შერწყმის მიზეზად — ამ შემადგენელი ელემენტების ფუნქციის მოშლა.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ეს მაგალითიც: ა-რჩევ-ს ზმნა იძლევა ა-რჩევ-ა მასდარს, რომელსაც მიერთვის,როგორც ჩანს, -ნ მრავლობითობის ფორმანტი: ა-რჩევ-ა-ნ-ი, მაგრამ ამჟამად მრავლობითობის გაგება ამ ფორმას აღარა აქვს, რის გამოც -ან ფაქტიურად დაუშლელია, მაგრამ დაუშლელია ფუნქციურად და არა ფორმობრივად (რადგან რეალურად არსებობს ფორმა ა-რჩევ-ა). „ა-რჩევ-ან-ი“ ამჟამად ნიშნავს: „არჩევის უფლება, შესაძლებლობა...“ ([243], ტ. 1). ამ ფორმას რომ მართლაც დაკარგული აქვს მრავლობითობის ფუნქცია, ჩანს ფორმითაც: ა-რჩევ-ნ-ებ-ი. ანალოგიური პროცესისათვის შდრ.: ჟამ-ნ-ი, დავით-ნ-ი, ლაცვა-ნ-ი, თავ-ნ-ი [248], 80).

ფორმანტმა რომ მართლაც შეიძლება დაკარგოს ფუნქცია და ამის გამო შეეზარდოს სხვა ფორმანტს, ამის დამადასტურებელი უცილობელი მაგალითები მოგვეპოვება. ამ რიგისაა სწორედ -ოვ-ან ფორმანტი, რომლის წარმოშობით რთული შედგენილობა ეჭვს არ იწვევს: ცალ-ცალკე მოგვეპოვება -ოვ სუფიქსიც (ქს-ოვ-ს) და -ან სუფიქსიც (მ-ჩივ-ან-ი). ამჟამად -ოვ უკვე არაპროდუქტიული სუფიქსია და იგი ცალკე ელემენტად აღარც გამოიყოფა შემდეგ ფორმებში: ცრემლ-ოვან-ი, თესლ-ოვან-ი, ბუტკ-ოვან-ი... აქ იგი მჭონებლობის აღმნიშვნელ სახელთა მაწარმოებლადაა მიჩნეული ([248], 125). მაგრამ ეს ახლად დაუყოფელი ხსენებული ფორმანტი, ძველ ქართულშიც მოგვეპოვება იმის კვალი, რომ -ოვ პროდუქტიული მაწარმოებელი იყო, დამოწმე-

ბულია: ცრემლ-ოვ-ი-ნ, თესლ-ოვ-ი-ნ, ბუტკ-ოვ-ი-ნ ([239], 145—149). სავარაუდებელია, სწორედ ეს ფორმები ყოფილიყო ამოსავალი ცრემლ-ოვ-ან-ი ტიპის წარმოებისათვის. მოდელის ჩამოყალიბების შემდეგ კი იგი ისეთმა ფორმებმაც „მოირგეს“, რომელთა ამოსავალი ზმნა არა გვქონია. ნიშანდობლივია: -ოვ ფორმანტი ძველ ქართულში უმეტეს წილ ნასახელარ სტატიკურ ზმნებთან გვხვდებოდა.

ანალოგიურად ხდება შესაძლებელი რთული პრეფიქსების დაშლაც, შდრ.:

ს-თხოვ-ს
ა-თხოვ-ებ-ს
მ-თხოვ-არ-ი
მ-ა-თხოვ-არ-ი
ს-ა-თხოვ-არ-ი
უ-თხოვ-არ-ი

აშკარაა, რომ ა-, ს-, მ- პრეფიქსებს განსხვავებული ფუნქციები შეაქვთ ამ ფორმებში და ეს ფუნქციები მეტ-ნაკლებად მოქმედია ხსენებულ ფორმანტთა შერწყმის დროსაც, შდრ. ამ თვალსაზრისით: მ-თხოვ-არ-ი, მ-ა-თხოვ-არ-ი, ს-ა-თხოვ-არ-ი, შდრ. აგრეთვე: ს-თხოვ-ა და ა-თხოვ-ა.

მაგრამ წარმოების ამგვარი პრინციპის მოშლამ ხშირად ერთმანეთს გაუთანაბრა ისეთი ფორმები, რომელთა ოდინდელი განსხვავებულობის ვარაუდიღა ხდება შესაძლებელი: ი-გრძ-ივ და ს-ი-გრძ-ივ ამჟამად ლექსიკურადაც და გრამატიკულადაც გათანაბრებულია, ისტორიულად მათ შორის სხვაობა იგულისხმება.

უძველესი სისტემის მოშლამ (თუ ახლად ჩასახული სისტემის განუვითარებლობამ ზოგიერთ შემთხვევაში) გამოიწვია ის, რომ ნიველირებულია სხვაობა სხვადასხვა წარმოების, სხვადასხვა სტრუქტურული შედგენილობის ფორმებს შორის, შდრ., მაგალითად:

დღ-ის-ით — ღამ-ით (I)
დრო-ის-ით — დრო-ით (II)
ძნ-ი (ვ) -ად — ძნ-ელ-ად (III)

პირველი წყვილი ერთი და იმავე დანიშნულების ფორმებია გრამატიკულად, სხვაობა ლექსიკურია მხოლოდ. ეს კი ნიშნავს, რომ დღ-ის-ით ფორმაში -ის ფორმანტი არსებითად უფუნქციოდაა დარჩენილი და მისი გამოყოფა ამიტომაც ფუნქციის დონეზე შეუძლებელია, შერწყმულია ფუძესთან. მაშასადამე, ფუნქციურად ივარაუდება ასეთი დაყოფა: დღის-ით, სადაც დღის- ფუნქციურად დაუშლელი

ფუძეა და, ლექსიკური სხვაობის მიუხედავად, გრამატიკულად იგი უტოლდება ღამ- ფუძეს. ფორმის დღ-ის-ით ამგვარი დაყოფა ხერხდება მარტოოდენ წმინდა ფორმობრივი შეპირისპირების საფუძველზე.

მეორე წყვილი უკვე ლექსიკურადაც აღარ განსხვავდება ერთმანეთისაგან. სხვა მხრივ აქაც პირველი წყვილის ანალოგიური მდგომარეობაა. არა და, „ზედმეტი“ ელემენტი დრო-ის-ით ფორმაში თითქოს ფუნქციური სხვაობის აუცილებლობას ვარაუდობს; შდრ. ამ თვალსაზრისით, სტრუქტურულად და ფუნქციურად სავსებით განსხვავებული ფორმები:

გულ-ით-ად-ი
გულ-ად-ი,

სადაც -ით ფორმანტი სრული ფუნქციური დატვირთვით გამოდის.

მესამე წყვილში -ივ და-ელ ელემენტებია ფუნქციურად ერთმანეთთან გათანაბრებული. ეს უთუოდ გვიანდელი და პირწმინდად პოზიციური თანაბრობაა, ხსენებულ ფორმებში -ივ და -ელ ფორმანტთა ფუნქციების დაჩრდილვის შედეგი, რადგან ყველა სხვა შემთხვევაში ისინი აშკარა სხვაობას გვიჩვენებენ.

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა ორი სხვადასხვა სტრუქტურის გათანაბრების ტენდენცია აშკარაა, მაგრამ გარკვეული სხვაობა, უკეთ: ოდნავ შესამჩნევი ნიუანსი, მაინც შენარჩუნებულია, შდრ.:

ც-ი-ურ-ი (←*ც-ივ-ურ-ი)
დ-ურ-ი.

ც-ი-ურ-ი ასე უნდა გავიგოთ: *ც-ივ, ე. ი. ც-ით მოვლენილისათვის დამახასიათებელი, ნიშანდობლივი: მაშასადამე, აქ გამოსვლითობის სემანტიკაა შენარჩუნებული. ამისდა საპირისპიროდ, დ-ურ-ი უშუალოდ გადმოსცემს იმას, რაც დისთვისაა დამახასიათებელი, რაც დის თვისებაა.

აქ, რა თქმა უნდა, აუცილებლად გასათვალისწინებელია ის, რომ სხვადასხვა შემადგენლობის ფორმებს ხშირად შეიძლება აღმოაჩნდეთ ერთნაირი ან მსგავსი ფუნქცია, მნიშვნელობა და ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს თანაბრობა მათ შორის მერმინდელია, გვიანდელი და არა თავდაპირველი. საქმე ისაა, რომ ერთი და იმავე მნიშვნელობის შემთხვევაში განსხვავებული ფორმის მქონებლობის მიზეზი შესაძლებელია ამოსავალი, საყრდენი ფუძეც იყოს. ასე მაგალითად, ფუნქციურად ერთმანეთს უახლოვდება ფორმები: მ-ძებ-ნ-ელ-ი და მ-ე-ძებ-არ-ი, ფორმობრივი სხვაობა კი უთუოდ საყრდენი ფუძის მიზეზითაა: მ-ძებ-ნ-ელ-ი ფორმისათვის ამოსავალია ძებ-ნ-ი-ს ზმნა, მ-ე-ძებ-არ-ი ფორმისათვის კი — ე-ძებ-ს ზმნა. ამიტომ ჯერჯერობით

ძნელდება თუნდაც ზემოხსენებული ძნ-ი-ად და ძნ-ელ-ად ფორმების მიმართ გადაჭრით იმის თქმა, რომ ფორმობრივი სხვაობა იმთავითვე ფუნქციურ სხვაობასაც გულისხმობდა და შემდეგ მოხდაო ამ ფუნქციური სხვაობის ნიველირება. თუმცა ზოგიერთი მაგალითი ამ მხრივ არავითარ ეჭვს არ იწვევს.

5. შედგენილი ფორმანტების დაშლის შესაძლებლობას იძლევა პრეფიქსთა და სუფიქსთა ზემოთ უკვე ხსენებული თავისებური „სიმეტრია“:

ლა- — -ალ
მა- — -ამ
ნა- — -ან
სა- — -ას
სი- — -ის...

რა თქმა უნდა, -ალ სრულიადაც არ არის ლა- პრეფიქსის „შებრუნებული“ სახეობა, ისევე, როგორც -ამ, -ან, -ას სუფიქსები მა-, ნა-, სა- პრეფიქსებისა. ძნელი დასაჯერებელია ამგვარი სარკისებრი არეკვლის ფაქტი ენაში. საქმის ვითარება სულ სხვაგვარია და ადვილად აიხსნება, თუკი ლა-, მა-, ნა-, სა-, სი- პრეფიქსებისა და -ალ, -ამ, -ახ, -ას-, -ის სუფიქსების რთულ შედგენილობას დავუშვებთ. მაშასადამე, ლა-, მა-... -ალ, -ამ იშლება: -ა-ლ, -ა-მ... ლ-ა-, მ-ა-... მაგრამ რამ გამოიწვია ნაირგვარი განლაგება ხმოვან-თანხმოვნისა თავკიდურა და ბოლოკიდურა პოზიციებში? რასაკვირველია, ბევრი რამ აქ ჯერ კიდევ ასახსნელია, მაგრამ ერთი რამ აშკარაა და ეს „ერთი რამ“ წმინდა ფორმობრივი ფაქტი ჩანს: ხმოვანი ფორმანტი ისწრაფვის მიერთოს უშუალოდ ფუძეს, რაც ამა თუ იმ რთული შედგენილობის ფორმანტის ნაირგვარ განლაგებას იწვევს თავკიდურა და ბოლოკიდურა პოზიციებში, შდრ.:

ნ-ა-ჩივლები
მჩივ-ა-ნ-ი,

ორივე შემთხვევაში ფორმანტისეული ხმოვანი (ა) უშუალოდ ფუძეს მიერთვის. იმ შემთხვევაში კი, როცა ხმოვანი ფორმანტი არა გვაქვს, ბუნებრივია, თანხმოვანი ფორმანტი „იძულებულია“ თითონ აღმოჩნდეს ფუძის უშუალო მეზობლობაში: მ-ჩივანი, მ-კეთებელ-, აკეთებ-ს.. ამ მხრივ გამონაკლისია ერთადერთი ფორმანტი: მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი -მა, რომელიც აშკარად ნაცვალსახელური წარმოშობისაა და ისიც საკმაოდ გვიან ჩამოყალიბებული. მაგრამ ზემოხსენებული ტენდენცია აქაც იჩენს თავს: ფუძეხმოვნიან სახელებთან, როგორც ცნობილია, -მ გვაქვს (დედა-მ). ანალოგიურ ტენ-

დენციას იჩენენ ზმნისწინებიც, რომელთაც ფუძის უშუალო მეზობლობაში მყოფი თანხმოვანი უქრებათ: გან-თავისუფლება—გა-თავისუფლება, აღ-ვიდა—ა-ვიდ-ა, წარ-ვიდა—წა-ვიდა...

ამრიგად, გამოიყო რამდენიმე ნიშანი იმის დასასაბუთებლად, რომ ხმოვან-თანხმოვნით (ასევე: თანხმოვან-ხმოვნით) შედგენილი ფორმანტები რთული სტრუქტურისაა, იშლება ურთიერთდამოუკიდებელ ხმოვან და თანხმოვან ფორმანტებად.

ეს ნიშნები ცალცალკე, შესაძლებელია, არცერთი საკმარისი არ იყოს, ან ერთმანეთისაგან დამოუკიდებლივ სხვაგვარი კვალიფიკაციის საშუალებას იძლეოდნენ, მაგრამ ერთად წარმოდგენილი, ვფიქრობთ, მარტოოდენ ზემოხსენებული დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას ქმნიან.

ზემოთ (თავი III, ნაწილი IX) სპეციალურად გვქონდა საუბარი საკომუნიკაციო სეგმენტაციასა და ლინგვისტურ სეგმენტაციაზე, გაირჩა მათი მიზანი და გამოყენების სფერო. თუ ამ პრინციპით მივუდგებით საანალიზო ფორმანტებს, მაშინ უნდა ითქვას: რა თქმა უნდა, საკომუნიკაციო თვალსაზრისით რომელიმე არჩევ-ან-ი ფორმის -ან ფორმანტი არ დაიშლება, სხვაგვარად: ამგვარ სეგმენტაციას არა აქვს არავითარი საკომუნიკაციო ღირებულება (მაგრამ ამგვარი ღირებულება აქვს, მაგალითად, ტანჯვ-ა-ნ-ი ფორმის -ა-ნ ელემენტების დაშლას, რადგან მათ შენარჩუნებული აქვთ ფუნქციური დამოუკიდებლობა), იმავდროულად, ლინგვისტური თვალსაზრისით, უთუოდ უნდა დაიშალოს არა მხოლოდ ასეთი გამჭირვალე „ეტიმოლოგიის" მქონე ფორმანტი, არამედ, საერთო ტენდენციის შესაბამისად, ისეთი ფორმანტებიც (ყოველ შემთხვევაში, უნდა ივარაუდებოდეს მათი სეგმენტირების შესაძლებლობა), რომლებსაც ხელშესახები საფუძველი ჯერჯერობით თითქოს არ უჩანთ. სხვა რომ არაფერი, ეს აუცილებელია ენის შინაგანი პოტენციის გამოსავლინებლად.

VIII

რთული სტრუქტურის მქონე, ამჟამად დაუშლელ ფორმანტთა სეგმენტაციის ცდებს კარგა ხნის ისტორია აქვს ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში. პირველი ნიშანი ამისა თეით ანტონის გრამატიკაში გვაქვს. ახტონი წერს: „არიან მაუღლებელნი იგი რუანი ნიშანნი: 1. ა, 2. ე, 3. ჱ, 4. ი, 5. ო, 6. უ, 7. კ, 8. გ... „და მოაქუს შესაბამისი მაგალითები: „1. ვეს-ა-ვ, 2. შევიყუარ-ე-ბ, 3. ვჰკუ-ჱ-თ, 4. ვჰსტრფ-ი. 5. ვამკ-ო-ბ, 6. ჰსციქ-უ, 7. ვჰსძრც-კ, 8. მჰსურ-გ-ს" ([210], 169). ასეთი კვალიფიკაციით ძალაუნებურად სეგმენტირდება შე-ვ-ი-ყვარებ, ვ-ა-მკ-ობ ტიპის ფორმათა -ებ, -ობ სუფიქსები: -ე-ბ, -ო-ბ. ეს

რომ მართლაც ასეა, ანტონისვე სიტყვებიდან ჩანს: „ზმნათა შორის იცნობებიან ოთხნი რაჲმენი: 1. ძირი ზმნისა რაჲცაღა იყოს... 2. ასონი მაუღლებელნი: ა, ე, ჱ, ი, ო, უ, ჯ, გ, 3. წიგნნი მაპიროვნენი, 4. ნიშანი მაშრავლენი...“ ამ პრინციპის მიხედვით განმარტებულია ყველა ზმნა, მაგალითად: შე-ვ-იყუარ-ე-ბ-თ: „მაუღლებელი ამისი ე, და მაპიროვნე პირველისა პირისა ვ, და მამრავლე თ“, ასევე, ვ-ჰგუჱმ-თ: „მაუღლებელი ამისი ჱ, და მაპიროვნე პირველისა პირისა ვ, და მამრავლე თ.“ ([210], 170). მოტანილი განმარტებანი ტიპიურია. როგორც ჩანს, ანტონი არსებითად გახმოვანების მიხედვით ზმნურ ფუძეთა დახასიათებას ცდილობს, ეს რომ არა, „შევიყუარებთ“ ფორმის -ებ თემისნიშნისეული -ე და „ვჰგუჱმთ“ ფორმის -ჱ ერთმანეთის გვერდით ვერ მოხვდებოდა, ერთნაირი კვალიფიკაცია მათ ვერ მიეცემოდა. ამიტომ საბოლოოდ მაინც გაჭირდებოდა იმის თქმა, ანტონმა -ავ, -ებ, -ობ ფორმანტების (თემის ნიშნების) სეგმენტირების შესაძლებლობა ივარაუდაო. ანტონისათვის საუღლებელი ნიშანია ფაქტიურად ზმნური ფორმის ბოლოკიდურა პოზიციის ყველა ხმოვანი, ფორმანტისეული იქნება იგი (შევიყუარ-ებ...), თუ საყრდენი ფუძისეული (ვჰგუჱმ). ამის მიზეზი ის არის, რომ ანტონისათვის ამ შემთხვევაში ამოსავალია არა იმდენად თვით ქართული ენის ჩვენება, არამედ უცხო ენოვანი გრამატიკული ლიტერატურა, კერძოდ, სომხური, რომლის წაბაძვით ზმნების უღვლილების ტიპებად დაყოფისას თხრობითი კილოს აწმყოს დაბოლოება აუღია კრიტერიუმად ([213], 146). ძველი სომხურისათვის ზმნის გახაწილებისას უღვლილების ტიპებად აწმყოს ფორმათა დაბოლოებების გახმოვანება დღესაც არსებითი პრინციპია. სწორედ ამის მიხედვითაა გამოყოფილი -ე, -ი, -ა, -უ გახმოვანების უღვლილებანი ([265], 335—339).

თავის მხრივ, უღვლილების ტიპებად დაყოფის კრიტერიუმი, რომელიც სომხური ენისათვის იყო და არის გამოყენებული, სათავეს ტრადიციულ ბერძნულ-ლათინურ გრამატიკებში ღებულობს. ლათინურში, მაგალითად, ოთხი უღვლილებაა გამოყოფილი და ამ გამოყოფის საფუძველი სწორედ ფუძის გახმოვანებაა ([264], 56: [260], 90). ეს კრიტერიუმია, ყველა თავისი ძირითადი ნიშნით, დამოწმებული ძველი გრამატიკოსების: ვარონის, პალემონის (I საუკუნე), სატერნოტის (III ს.), პრისციანის შრომებში (იხ.: [267], 145, შენიშვნა 3).

ასე რომ, კრიტერიუმი, რომელსაც ანტონი ემყარება, არ არის ქართული ზმნის ობიექტური შესწავლის საფუძველზე შემუშავებული, მაგრამ „მაინც ცდა საინტერესოა“ ([253], 92).

ანტონის ხსენებული კრიტერიუმი გარკვეული მოდიფიკაციებით გამოყენებულია ანტონის გრამატიკის ყაიდაზე შექმნილ ზოგიერთ შემდეგდროინდელ თხზულებაშიც. თუმცა, როგორც ჩანს, ეს კლასი-

ფიკაცია არცთუ ისე პოპულარული ყოფილა: სულ სხვა პრინციპით აქვს უღვლილების ტიპები გამოყოფილი, მაგალითად, გაიოზ რექტორს ([214], 71—72). განსაკუთრებით განსხვავებულია და საინტერესო სოლომონ დოდაშვილის კლასიფიკაცია, სადაც უღვლილების ორი ტიპია გამოყოფილი და ისიც ფაქტიურად (ახლანდელი ტერმინები რომ ვიხმაროთ) სუბიექტური და ობიექტური პირების მიხედვითაა განაწილებული: პირველი უღვლილების ზმნებს პირველ პირში მოუდით ვ-, მეორე უღვლილების ზმნებს კი იმავე პირში — მ- ნიშანიო ([217], 115).

რასაკვირველია, საბოლოოდ ანტონის კლასიფიკაცია არ იქნა გაზიარებული, მაგრამ თავისთავად ფუძეთა გახმოვანების მიხედვით ზმნების კლასიფიცირება იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ ნ. ძარძა სწორედ ამ ნიშნის მიხედვით სცადა ქართულ ზმნათა განდასება. საფუძვლად მან აორისტის ფუძის გახმოვანება აიღო და სამი უღვლილება გამოყო: ა-ნიშნიანი (ვ-კალ ტიპი), ე-ნიშნიანი (ვ-ქმენ ტიპი) და ი-ხიშნიანი (ვ-კრიბ-ე ტიპი), (იხ.: [262], 146).

XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ზოგჯერ დაყოფილადაა წარმოდგენილი ის ფორმანტები, რომელთა რთულ შედგენილობას ზემოთ ვეარაუდობდით, მაგრამ არ ჩანს, თუ რა უდევს ამგვარ დაყოფას საფუძვლად, მეტიც: არ ჩანს, შემთხვევით არის ასე დაყოფით წარმოდგენილი, ინტუიციური ვარაუდია თუ რაიმე კანონზომიერება ივულისხმება. მაგალითად, ა. ცაგარელთან გვხვდება ასეთი დაყოფა.

მ-წერ-ე-ლი, მ-წერ-ა-ლი
წერ-ი-ლი, ნა-წერ-ი
წერ-ა-დ-ი, სა-წერ-ი ([266], 97).

მ. ჯანაშვილთანაა დამოწმებული: წნ-ე-ხვა, წო-ვა. წ-ე-ვა ([259], 63).

ანალოგიური მაგალითები მრავლად დაიძებნება ამ ხანის გრამატიკებში, მაგრამ, ბუნებრივია, მათ ვერ მივიჩნევთ ფორმანტთა სეგმენტირების დასაბუთებულ ცდად.

სულ სხვა ხასიათი მიიღო ფორმანტთა სეგმენტაციამ მაშინ, როდესაც დაიწყო თითოეული ფორმობრივი ელემენტის გამოსაყოფად ობიექტური, საკუთრივ ენის მონაცემებით შეპირობებული კრიტერიუმების ძიება.

ფორმათა შეპირისპირების საფუძველზე შესაძლებელი გახდა ა-, სე-, სი-, მა-, მე- პრეფიქსების, -ილ, -ოლ, -ომ, -ოდ სუფიქსების გამოყოფა და, ამდენად, მათი რთული შედგენილობის დასაბუთება. ამ ეტაპზე საყრდენი ზმნის ჩვენების გათვალისწინება აუცილებელ პირობად იქნა მიჩნეული, შდრ.:

ს-წყურ-ი-ს—წყურ-ი-ლ-ი,
ს-ტკივ-ი-ს—ტკივ-ი-ლ-ი,
ხად-ი-ს—ხად-ი-ლ-ი,
ყუავ-ი-ს—ყუავ-ი-ლ-ი... ([252], 220—222).

მაშასადამე, -ი-ლ და არა: -ილ.

ი-მღერ-ს—ს-ი-მღერ-ა-დ
ი-ტყვ-ს—ს-ი-ტყუ-ა-დ...
ა-ხარ-ებ-ს—ს-ა-ხარ-ებ-ა-დ ([252], 225—227).

მაშასადამე, ს-ი-, ს-ა- და არა: სი-, სა-.

ამოსავალ ზმნურ ფუძეში დამოწმებულმა ელემენტმა განსაზღვრა წარმოებულ ფუძეში დამოწმებული ელემენტების შედგენილობა.

მეტიც: ფორმათა ამგვარ შეპირისპირებას მეთოდოლოგიური ღირებულებაც აღმოაჩნდა: წარმოებულმა ფორმამ შესაძლებლობა მოგვცა ამოსავალი ფუძის პირვანდელი სახის აღდგენისა:

გვაქვს ს-ი-ყმ-ი-ლ-ი, ამიტომაც მის ამოსავლად ივარაუდება ფორმა: *ი-ყმ-ი-ს, ს-ი-ცბ-ი-ლ-ი ფორმა *ი-ცბ-ი-ს ოდინდელი ფორმის არსებობას გულისხმობს და ა. შ. ([252], 228).

გამოყოფილი ელემენტების ოდინდელი ფუნქციური რაობის დადგენასაც ცდილობდნენ. ეს უკვე ფუნქციური კვალიფიკაციის საკითხია.

პრეფიქსებში დამოწმებული ხმოვანი ელემენტები ზმნური ფუძეებიდან გამოსულად ივარაუდება ([252], 230), თანხმოვანი ელემენტები კლასის კატეგორიის ნიშნებად მიიჩნევა ([252], 184—185, 231). ასევე ზმნური ფუძეებიდან გადმოსულად იგულისხმება ზოგიერთ შემთხვევაში მასდარებში დამოწმებული სუფიქსისეული ხმოვანი ელემენტი: ს-წყურ-ი-ს (ზმნური ფუძე: წყურ-ი)—წყურ-ი-ლ-ი ([252], 220), მასდარის მაწარმოებელი კი მარტოოდენ -ლ ფორმანტი გამოდის.

ასევე ფორმათა შეპირისპირების საფუძველზე შესაძლებლად იქნა მიჩნეული შთა-ჰ-ყედ, და-ა-დგ-ერ, *და-ჭენ (და-ჭკნ-ი), კრბ-ებ-ი-თ, წა-ჰ-ყევ, *და-ბრემ (და-ბრმავ-დ-ი) და მისთანა ფორმებში დამოწმებული -ედ, -ერ, -ენ, -ებ, -ევ, -ემ ელემენტების დაშლა: -ე-დ, -ე-რ, -ე-ნ, -ე-ბ და ა. შ. სადაც -ე ვნებითის ნიშნად იქნა გამოცხადებული, ხოლო თანხმოვანი -დ, -რ, -ნ, -ბ, -ვ, -მ ელემენტები ჯერჯერობით დაუდგენელი ფუნქციის აღმნიშვნელებად. ამისდა კვალობაზე „საჭიროება იბადება თემატურ -ავ, -ამ, -ევ, -ემ, -ებ, -ოვ, -ომ -ობ, -ოდ, -ალ, -ელ, -ოლ და სხვათა შედგენილობის გადასინჯვის შესახებ. ეს-

ნიც უთუოდ იშლებიან სხვადასხვა ფუნქციის ელემენტებად.“ ([229], 971—972).

ამრიგად, ხმოვან-თანხმოვნით (ასევე: თანხმოვან-ხმოვნით) შედგენილ სუფიქსთა დაშლის შესაძლებლობის შესახებ უკვე კარგა ხანია საკმაოდ პოზიტიური აზრი არსებობს ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში. შესაძლებელია, ზოგჯერ გაჭირდეს იმ ფუნქციური კვალიფიკაციის გაზიარება, რომელიც ამა თუ იმ გამოყოფილ ელემენტს ეძლევა, მაგრამ საკუთრივ ფორმობრივი ანალიზი, ფორმობრივი სეგმენტაცია უმეტეს წილ ეჭვს არ იწვევს.

საქმე ის არის, რომ ეს სწორად შენიშნული პრინციპი ფორმანტთა სტრუქტურისა თანამიმდევრულად არ არის დანახული ყველა შესაძლებელ შემთხვევაში და, შესაბამისად, არც მათი კვლევაა ბოლომდე მიყვანილი. ზემოთ ჩვენ სწორედ ამის საჭიროებას ვგულისხმობდით.

IX

ამრიგად, -ან, -ენ, -უნ: -ავ, -ევ, -ოვ; -ალ, -ელ, -ოლ და მისთანა ფორმანტები რთული შედგენილობისაა: -ა-ნ, -ე-ნ... -ა-ვ... -ე-ვ. -ა-ლ და ა. შ. მაგრამ რთული შედგენილობისაა, როგორც წესი, წარმოშობით, ისტორიულად. ამჟამად ხსენებული მონაცემები აბსოლუტურ უმრავლეს შემთხვევაში მონოლითურ, დაუშლელ ფორმანტებად გაიგება და უკვე ისეთ ფუძეებთანაც კი გამოიყენება, სადაც შეუძლებელია მათ რთულ შედგენილობაზე ლაპარაკი. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევებში არ ხერხდება მათი სეგმენტირება თუნდაც ისტორიული თვალსაზრისით.

თუ ასეა, მაშინ რა კვალიფიკაცია უნდა მიეცეს, ვთქვათ, უ-ძლ-ავ-ს და ს-ძლ-ევ-ს ტიპის ფორმებში დამოწმებულ -ავ და-ევ ფორმანტებს, წით-ელ-ი და მო-წით-ალ-ო ფორმებში დამოწმებულ -ალ და -ელ ფორმანტებს, წვ-ან-ან და ა-წვ-ენ-ენ ფორმებში დამოწმებულ (პირველ) -ან და -ენ ფორმანტებს? ანალოგიურად დადგება საკითხი ს-თნ-ავ-ს და ა-თნ-ევ-ს, ს-თრ-ავ-ს და ა-თრ-ევ-ს, დგ-არ-ს და და-ა--დგ-ერ ტიპის ფორმათა მიმართაც.

ამჟამინდელი დაპირისპირების პრინციპი შეიძლება განმარტოს როგორც ფორმანტთა დაპირისპირება გახმოვანების მიხედვით: -ავ და -ევ, -ალ და -ელ, ან და -ენ და სხვა მრავალი ამჟამად (და, როგორც ჩანს, ძველ ქართულშიც) ძირითადად სწორედ გახმოვანებით უპირისპირდება ერთმანეთს. ეს შესაძლებელი გახდა ხსენებულ ფორმანტთა ერთიან, დაუშლელ ფორმანტებად გაგების შემდეგ.

მაგრამ გახმოვანება ნაირგვარია. სხვადასხვა გახმოვანების მიზეზი უმეტეს წილ ფონეტიკურია, რაც შემდეგ მოიპოვებს ან არ მოიპოვებს მორფოლოგიურ ღირებულებას. მაგრამ იმავდროულად სხვადა-

სხვა გახმოვანების მიზეზი შესაძლებელია იმთავითვე მორფოლოგიური იყოს. ეს ნიშნავს: ოდინდელი ხმოვნითი ფორმანტები მიუხორცდნენ თანხმოვნით ფორმანტებს, რის შემდეგაც მაინც ინარჩუნებენ მორფოლოგიური დაპირისპირების უნარს, მაგრამ ამჯერად დაპირისპირება ემყარება არა ხმოვნითი ელემენტის თავისთავად მორფოლოგიურ ღირებულებას, არამედ ერთიანი, მონოლითური ფორმანტების გახმოვანებას.

სწორედ ასეთი ტიპის გახმოვანებასთან გვაქვს საქმე ზემოთ გაანალიზებული ფორმანტების შემთხვევაში.

თ ა ვ ი VII

ფორმანტთა ანალიზის პრინციპები ძართულში

I

ფორმანტთა ანალიზის პრინციპების განსაზღვრისას იმთავითვე იგულისხმება სამი ძირითადი საკითხის დადგენა:

1. ფორმანტთა დეტერმინაცია, ანუ: ფორმანტთა მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთდამოკიდებულება,

2. ფორმანტთა თვისობა და ქმედება, ანუ: ამა თუ იმ ფორმანტის თავისთავადი ენობრივი სტატუსი და იმავდროულად მისი მოქმედება-მოქცევა ენობრივი სისტემის სხვა ელემენტებთან ურთიერთობისას,

და, ზემოხსენებული ორი ფაქტორის საფუძველზე,

3. ფორმანტთა იდენტიფიკაციის პირობების გარკვევა.

განვიხილოთ თითოეული მათგანი.

II

ყოველი არსებობა გარკვეული მიზნის განხორციელებაა.

სხვაგვარად: მიზანი იმთავითვეა მოცემული არსებულში.

მიზანი უნდა განიმარტოს, როგორც შინაგანად შეპირობებული და გეზმიცემული მისწრაფება.

ყოველი არსებულის არსებობას იმდენად აქვს აზრი, იმდენად მოეპოვება გამართლება, რამდენადაც იგი გარკვეული მიზნის მატარებელია.

მიზანი თანამდევია ყოველი არსებობისა.

მიზანი განსაზღვრავს ყოველი არსებულის თანდაყოლილ თვისებას, მაქსიმალური თვითგამოვლენის მისწრაფებას.

ამიტომაც ყველაფერი უნდა განხილულ იქნეს მიზნისა და დანიშნულების პოზიციიდან.

სწორედ ეს თანდაყოლილი მიზანი არის ძირითადი მადეტერმინირებელი ძალა, სწორედ იგი განსაზღვრავს ყოველი არსებულის ქმედებას, მიმართებას სხვა არსებულისადმი.

მაშასადამე, მიზანი თანამიმდევრული დეტერმინიზაციის საფუძველი ყოფილა.

თავის მხრივ, დეტერმინაცია განიმარტება როგორც ყოველივე არსებულის შინაგანი თვითორგანიზაციის საფუძველი.

შინაგანი თვითორგანიზაცია კი განსაზღვრავს არა მხოლოდ სტრუქტურის შემადგენელი შინაგანი ელემენტების ურთიერთმიმართებას, არამედ მათ დამოკიდებულებას, მათ მიმართებას მოცემული სტრუქტურის გარე ობიექტებთანაც. მეტიც: სწორედ გარე ობიექტებთან დამოკიდებულებაა ერთ-ერთი არსებითი ფაქტორი შინაგანი თვითორგანიზაციისა. ურთიერთშემაპირობებელ მოვლენებთან გვაქვს აქ საქმე. მცენარის ფორმას ქმნის მისი მიმართება მზის სხივებისადმი (სინათლისა და სითბოსადმი) და ნიადაგისადმი. ეს მიმართება სხვადასხვა ადგილას გადაიკვეთება, რაც ქმნის ფორმათა სიმრავლეს...

რთული ურთიერთმიმართებანი განსაზღვრავენ არა მხოლოდ ყოფიერების, არამედ ცნობიერების მოვლენებსაც. ამიტომაც შინაგანი მიზნის, დეტერმინაციის, მიზეზ-შედეგობრიობის საკითხები ენის მიმართაც დაისმის: რასაკვირველია, ყოფიერების მოვლენებისაგან თვისობრივი განსხვავების გათვალისწინებით: დეტერმინაცია ყოფიერებისა და ცნობიერების მოვლენებისა არ შეიძლება ერთი ბუნებისა იყოს, მიზანიც და მიზეზ-შედეგიც სხვადასხვა რიგისა აქვთ მათ.

III

ზემოთ წარმოდგენილი ანალიზისა თუ მსჯელობის დროს დასახელებული მაგალითები არა ერთ და ორ შემთხვევაში იძლეოდნენ ენობრივ ფორმათა დეტერმინიზმის ნიმუშებს. III თავში დეტერმინიზმის ზოგადი პრინციპების შესახებაც გვქონდა მსჯელობა. ამჯერად ისღა დაგვრჩენია, რომ ლინგვისტური კრიტერიუმების შესაბამისად ჩამოვაყალიბოთ დეტერმინაციის ძირითადი პრინციპები და სახეობანი.

IV

თავისი რაობით დეტერმინაცია ორი სახისაა:

1. გენეტური (წარმოქმნითი) დეტერმინაცია, როცა ესა თუ ის ენობრივი მონაცემი საფუძვლად ედება მეორე მონაცემის ჩამოყალიბებას: რომელიმე კეთ-ებ-ა ფორმა მხოლოდ იმდენად შეიძლება არსებობდეს, რამდენადაც არსებობს მისი საყრდენი ა-კეთ-ებ-ს ფორმა. ამავე რიგისაა: წერ-ს→წერ-და→წერ-დ-ე-ს, ან თუნდაც: ე-ბრძ-ის→ბრძ-ოლ-ა→ე-ბრძ-ოლ-ებ-ა...

2. სამიმართებო (საურთიერთო) დეტერმინაცია, როცა ერთი ენობრივი მონაცემი გულისხმობს მეორე ენობრივი მონაცემის არსებობას, მაგრამ არა როგორც საყრდენს: -ოდ სუფიქსიანი უწყვეტელი (კრთ-ოდ-ა) იმთავითვე გულისხმობს -ი სუფიქსიანი აწმყოს არსებობას

(კრთ-ი-ს), მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათ შორის აუცილებლად გენეტური კავშირიც უნდა იყოს, რომ ერთი მათგანი საყრდენია მეორისათვის.

დეტერმინაციის ზემოდასახელებული თითოეული სახე კიდევ ორ სახეობად განიყოფება, ეს არის:

ა) ფორმობრივი დეტერმინაცია და

ბ) ფუნქციური დეტერმინაცია.

სათითაოდ გავაანალიზოთ ისინი.

V

გენეტური დეტერმინაცია ენობრივ ფორმათა წარმოქმნის ერთერთი ძირითადი საშუალებაა. ენა რომ საკმაოდ ხშირად მიმართავს საყრდენი ფუძის პრინციპს, ამის შესახებ უკვე ითქვა (იხ. თავი IV), ეს კი სწორედ გენეტური დეტერმინაციის გამოვლინებას წარმოადგენს. ბუნებრივია, რომ გენეტური დეტერმინაცია ფუძეთა ხაზოვანი პრინციპით წარმოქმნის დროს ივარაუდება. აქ სრულ დამთხვევასთან გვაქვს საქმე: ხაზოვანი პრინციპი იმთავითვე ვარაუდობს გენეტურ დეტერმინაციას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამგვარივე თანაფარდობა გვაქვს ფუძეთა წარმოქმნის ჩანაცვლების პრინციპსა და სამიმართებო დეტერმინაციას შორის. ჩანაცვლების პრინციპი გაცილებით უფრო ტევადია, სამიმართებო დეტერმინაცია ამ პრინციპით გაერთიანებულ ფორმათა მხოლოდ ერთ ნაწილში მოქმედებს.

ფუძეთა დეტერმინაციის შესახებ მეტ-ნაკლები სისრულით უკვე გვქონდა საუბარი, ამჯერად საკუთრივ ფორმანტთა დეტერმინაციაზე გავამახვილებთ ყურადღებას (რასაკვირველია, ფუძის პრობლემას აქ ძთლიანად მაინც ვერ ავუვლით გვერდს, ზოგი უკვე ნახსენები დებულების განმეორებაც დაგვჭირდება).

VI

ფორმანტთა გენეტური (წარმოქმნითი) დეტერმინაცია უშუალოდაა დაკავშირებული, ერთი მხრივ, ფორმანტთა შედგენილობასთან, ხოლო, მეორე მხრივ, ფორმანტთა ურთიერთშეხამებასთან.

როგორ გაირკვა, ა-რჩევ-ან-ი, ლაწ-ან-ი, ლაწ-უნ-ი ჩივ-ილ-ი ფორმებში დამოწმებული -ან, -უნ, -ილ ფორმანტები რთული შედგენილობისაა: -ა-ნ, უ-ნ, -ი-ლ. მონოლითურ ფორმანტებად მათი გაგება გვიანდელი ფაქტია, ხოლო მათი შედგენილობა გენეტურად დეტერმინირებულია ამოსავალი ფუძის მიხედვით. ხმოვნითი ფორმანტის უშუა-

ლოდ საყრდენ ფუძეზე დართვისაკენ მიდრეკილებით დეტერმინირებულია ფორმანტის შემადგენელ ელემენტთა თანამიმდევრობაც.

ანალოგიურად დაისვა საკითხი -ი-ან, ი-ერ, -ოვ-ან რთული ფორმანტების მიმართაც. ამ თვალსაზრისით მათ გვერდით ამოუდგება მ-ა-, ს-ა-, მ-ე-, ს-ი- ტიპის ფორმანტებიც.

მაგრამ ფორმანტთა შედგენილობას განსაზღვრავს არა მხოლოდ საყრდენი ფუძისა და თანამიმდევრობის ფაქტორი, არამედ საპირისპირო ფორმათა არსებობაც. დამოწმებულია, მაგალითად, შემდეგი რიგის დაპირისპირებანი:

ა) უ-წიგნ-ო — უ წიგნ-ურ-ი (ფუნქციური სხვაობა არსებითია),
ბ) უ-ბედ-ო — უ-ბედ-ურ-ი (ფუნქციური სხვაობა მინიმალურია),
გ) უ-ძალ-ო — უ-ძლ-ურ-ი (ფუნქციური სხვაობა ნიველირებულია).

რა კვალიფიკაცია მიეცემა ამ ფორმათა სტრუქტურულ შედგენილობას, თუკი ცნობილია მათ პარალელურად არსებული დაპირისპირებანი ტიპისა:

ა) წიგნ-ი-ან-ი — წიგ-ნ-ი-ერ-ი (ფუნქციური სხვაობა არსებითია),
ბ) ბედ-ი-ან-ი — ბედ-ნ-იერ-ი (ფუნქციური სხვაობა მინიმალურია).
გ) ძალ-ი-ან-ი — ძლ-ი-ერ-ი (ფუნქციური სხვაობა ნიველირებულია).

ბუხებრივია, რომ მქონებლობა-უქონლობის პრინციპის მიხედვით ზემოხსენებული ფორმები ამგვარად განდასდებიან:

წიგნ-ი-ან-ი — უ-წიგნ-ო, მაგრამ: წიგნ-ი-ერ-ი — უ-წიგნ-ურ-ი
ბედ-ი-ან-ი — უ-ბედ-ო, მაგრამ: ბედ-ნ-ი-ერ-ი — უ-ბედ-ურ-ი
ძალ-ი-ან-ი — უ-ძალ-ო, მაგრამ: ძლ-ი-ერ-ი — უ-ძლ-ურ-ი.

როგორც ვხედავთ ერთი და იგივე ფორმა რამდენიმე დაპირისპირებაში შედის, ანუ: რამდენიმე სისტემის შექმნის უნარი შესწევს მას; მაგალითად:

წიგნ-ი-ან-ი — [წიგნ-ი-ერ-ი (I სისტემა)
უ-წიგნ-ო (II სისტემა)]

I სისტემაში დაპირისპირება ხდება მქონებლობის რაობის მიხედვით, II სისტემაში — მქონებლობა-უქონლობის თვალსაზრისით. ასევე:

წიგნ-ი-ერ-ი → [წიგნ-ი-ან-ი (I სისტემა)
უ-წიგნ-ურ-ი (II სისტემა).]

ამ სისტემების წარმოჩენას მეთოდოლოგიური ღირებულებაც აქვს. იგი აშკარას ხდის, თუ რატომაა შესაძლებელი დაპირისპირება ქუდ-ი-ან-ი — უ-ქუდ-ო, და რატომაა შეუძლებელი *ქუდ-ი-ერ-ი—

*უ-ქუდ-ურ-ი. იმავდროულად ეგევე პრინციპი შესაძლებლობას იძლევა, ალვადგინოთ სავარაუდო ფორმები ნაკლული სისტემებისათვის: დაპირისპირება ღონ-ი-ერ-ი — უ-ღონ-ო სხვადასხვა სისტემათა შერევის შედეგად ჩანს მიღებული, პირვანდელ სახედ ივარაუდება:

ღონ-ი-ან-ი — უ-ღონ-ო, მაგრამ: ღონ-ი-ერ-ი — *უ-ღონ-ურ-ი

თუ თეორიულად აღდგენილი *უ-ღონ-ურ-ი ფორმა რომელიმე დიალექტში დადასტურდა (ან თუნდაც კერძო პირის მეტყველებაში იჩინა თავი), ზემოხსენებულის გამო იგი ვერ მიიჩნევა წმინდა დიალექტურ (ან პიროვნულ) მოვლენად. იგი განისაზღვრება როგორც საერთოდ ენის შინაგანი შესაძლებლობა (იმავდროულად, როგორც ენის შინაგანი მოთხოვნილება), რომელიც კონკრეტულად რეალიზდა ამა თუ იმ დიალექტში, ან ამა თუ იმ პირის მეტყველებაში.

ამ რიგის დაპირისპირებანი გარკვეულად ხელსაყრელ პირობებს ქმნიან ფორმანტთა შინაგანი დეტერმინირების წარმოსაჩენად. შდრ.:

გონ-ი-ან-ი
გონ-ი-ერ-ი.

-ი- ფორმანტის სრული სახე განსაზღვრულ პოზიციაში რეალურად აღდგება: გონ-ივ-რ-ულ-ი, იხ. აგრეთვე: ღონ-ი-ერ-ი — ღონ-ივ-რ-ად.

ამის კვალობაზე ფუძის წარმოქმნის დინამიკაში რთული ფორმანტის აგება შემდეგი თანამიმდევრობით წარმოგვესახება: გონ-(ი) —→*გონ-ივ-—→*გონ-ივ-ერ-—→(ფონეტიკური ცვლილების საფუძველზე) გონ-ი-ერ-(ი), ხოლო საპირისპირო ცალთან შედარება დაგვიმოწმებს გარკვეულ სეგმენტამდე ამ ორი ფუძის საერთო წარმომავლობას:

$$*\text{გონ-ი}\left\{\begin{matrix}\text{-ან}\\ \text{-ერ-}\end{matrix}\right\}(+\text{ბრუნვის ნიშანი}),$$


რაც შესაბამისად იძლევა გონ-ი-ან-ი და გონ-ი-ერ-ი ფორმებს.

ამ შემთხვევაში რთული -ი-ან და -ი-ერ ფორმანტების შედგენილობა დეტერმინირებულია ამოსავალი საერთო ფუძის ჩვენებით: -ივ—› სწორედ ამ ფუძიდან გადმოყოლილი ჩანს.

ენას მოეპოვება საპირისპირო შესაძლებლობაც, როცა სხვადასხვა ამოსავალი ფუძე ერთი და იმავე ფორმანტით ფორმდება და რთული ფორმანტის არსებობა უკვე ამ პრინციპითაა შეპირობებული. შდრ.:

ძალ-ი-ან-ი
ძალ-ოვ-ან-ი
ძალ-ოს-ან-ი

აშკარაა, რომ აქ საქმე გვაქვს სხვადასხვა ძალ-ი(ვ), ძალ-ოვ, ძალ-ოს ამოსავალ ფუძეებთან, რომელსაც ერთი და იგივე -ან ფორმანტი აფორმებს. სქემაზე ეს პრინციპი ასე ჩაიწერება:



აქედან გამომდინარე, ის სხვაობანი, რომლებიც ძალ-ი-ან-ი, ძალ-ოვ-ან-ი და ძალ-ოს-ან-ი ფორმებს შორის დასტურდება, -ივ, -ოვ, -ოს ფორმანტების შემონატანია; ამის საპირისპიროდ, მსგავსება -ან ფორმანტს შემოაქვს. სწორედ ეს პრინციპი უძევს საფუძვლად -ი-ან, -ოვ-ან, -ოს-ან რთული ფორმანტების ურთიერთობას, ამ პრინციპითაა დეტერმინირებული მათი შედგენილობაც. ეს დეტერმინაცია გენეტურია.

გენეტური დეტერმინაცია უშუალო გავლენას ახდენს საყრდენად აღებული ფუძისგან ახალი ფორმების წარმოქმნაზეც. ნიმუშად თუნდაც ტოპონიმებისა და წარმომავლობის აღმნიშვნელ სახელთა ურთიერთობა შეიძლება დავასახელოთ. შდრ.:

შინდ-ის-ი — შინდ-ელ-ი
ურბნ-ის-ი — ურბნ-ელ-ი,
მაგრამ:
ხერთვ-ი-ს-ი→ხერთვის-ელ-ი

ეს იმიტომ, რომ -ის ელემენტი შინდ-ის-ი, ურბნ-ის-ი ფორმებში სულ სხვა რიგისაა (ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია), ვინემ -ი-ს ელემენტი ხ-ერთ-ვ-ი-ს-ი ფორმაში (-ი ზმნური ფორმანტია, -ს III სუბიექტური პირის ნიშანი, [287], 275) და ფორმობრივი სისტემა სწორედ ამას ითვალისწინებს, ამას უწევს ანგარიშს, ამის შესაბამისად წარმართავს ახალ ფორმათა წარმოქმნას.

ღირსაცნობ სურათს იძლევა გენეტური დეტერმინაცია ფორმანტთა ურთიერთშეხამების თვალსაზრისითაც.

წინასწარ შევნიშნავთ: ფორმანტთა ურთიერთშეხამების თვალსაზრისით დეტერმინაციის კვლევა უშუალოდაა დაკავშირებული ნებისმიერი ენობრივი ფორმის წმინდა ფორმობრივი (ან წმინდა ფუნქციური) პრინციპებით სეგმენტაციის შესაძლებლობის პრობლემასთან. ამიტომაც სწორედ აქედან ამოსვლით შევეხებით განსახილველ საკითხს.

გავაანალიზოთ ამ თვალსაზრისით კრებ-ს ფორმა.

ამ ფორმაში -ებ ელემენტის (სეგმენტის) გამოყოფა გარკვეულ ხიხააღძდეგობას აწყდება. მიზეზი ის არის, რომ ამ ფორმის -ებ (გან-

სხვაებით სხვა -ებ ფორმანტისაგან) II სერიაში კი არ სცილდება ღუძეს, არამედ მარტოოდენ ფონეტიკურ სხვაობას გვიჩვენებს: კრებ-ს— —კრიბ-ა. ამგვარი მონაცვლეობა კი დაუშლელ ფუძეშიც საესებით დასაშვებია.

რა თქმა უნდა, სემანტიკური თვალსაზრისით შეიძლება კრებ-ს და კრავ-ს ზმნათა ერთი ფუძის მქონე ფორმებად მიჩნევა, რაც კრ-||კარ-|| კერ- (შდრ.: შე-ე-კერ-ბ-ი-თ) საერთო ამოსავალ ფუძეს გამოგვაყოფინებს. მაშინ აქ -ავ და -ებ ელემენტების ფუნქციური დახასიათების საკითხიც დაისმოდა... ეს კი საბოლოოდ იქამდე მიგვიყვანდა, რომ ფორმობრივი სეგმენტაციის ნაცვლად (რასაც მიზნად ვისახავდით), სემანტიკური დახასიათება შემოგვრჩებოდა ხელთ, კონკრეტული ფორმის დაშლის შესაძლებლობა კი ისევ გაურკვეველი იქნებოდა.

შეიძლებოდა ეს -ებ ელემენტი კრებ-ს ფორმაში გამოგვეყო იმ ფუძედრეკადი ზმნების ანალოგიით, რომლებშიც ამგვარი გამოყოფა ეჭვს არ იწვევს: თვლ-ემ-ს, შდრ.: თვალ-ი, ფხ-ეკ-ს, შდრ.: ფხ-ა და ა. შ. მაგრამ ამ შემთხვევაში მით უფრო შესაძლებელია ჰეშმარიტებაში დარწმუნებულებმა მცდარი გზით ვიაროთ, რადგან ანალოგია, როგორც წესი, დამაჯერებლობას ჰმატებს მიმსგავსებულ ფორმებს, რომელთაც სინამდვილეში საერთო მხოლოდ ეს მიმსგავსებულობაღა აღმოაჩნდებათ ბოლოს...

ამგვარი საკითხების წამოჭრა უსასრულოდ შეიძლება, მაგრამ ჩვენ განგებ ვსვამთ აქ მრავალწერტილს, რადგან თვით ამოსავალი პრინციპი ამ ყაიდის კვლევა-ძიებისა ეწინააღმდეგება წმინდა ფორმობრივი ან წმინდა ფუნქციური ანალიზის პირობას. არ დაიშვება ფორმობრივი და ფუნქციური კვლევის ურთიერთშენაცვლება, ურთიერთშერევა. ეს არის არა თვითმიზანი, არამედ რეალური შედეგებით ნაკარნახევი დასკვნა: ამ პრინციპის დაუცველობას მივყავართ იმგვარ უსასრულო ანტინომიებთან, რომლებიც დასაშვებად მიიჩნევენ ურთიერთგამომრიცხავი დებულებების თანაარსებობასაც კი.

მაშ, რის საფუძველზე უნდა გამოიყოს კრებ- ფუძეში შემადგენელი ელემენტები ან შესაძლებელია კი საერთოდ მისი სეგმენტირება წმინდა ფორმობრივი პრინციპით?

სეგმენტაციის არცერთი კლასიკური ხერხი არ მოგვცემს ამ ფორმის დანაწევრების საშუალებას, რადგან არ იძებნება არცერთი ისეთი შესადარებელი ფორმა, რომელიც ან განმეორებადი, ან უცვლელი მორფემების პრინციპით შესაძლებელს გახდის საანალიზო ფორმაში რომელიმე ელემენტის გამოყოფას.

კრებ-ს და კრეფ-ს ფორმების შედარება მხოლოდ ბ:ფ მონაცვლეობაზე მიგვანიშნებს, რაც დასაშვებია ხდებოდეს დაუნაწევრებელი მო-

რფემის ფარგლებშიც და, რამდენადაც ვიცით, სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს აქ საქმე.

ცნობილია, რომ ზოგჯერ ორი დამოუკიდებელი ელემენტი ისე შეიძლება მიუხორცდეს ერთმანეთს, რომ მათ შორის ოდინდელი შეერთების, შერწყმის მიჯნა არც კი ილანდებოდეს. ამ რიგის ფორმებს უთუოდ განეკუთვნება კრებ-ს ფორმა, რომელმაც შემადგენელ ელემენტთა შეხორცების შემდგომ მთლიანად იცვალა ენობრივი იერ-სახე და ყველა ჩვენებით ე. წ. ფუძედრეკად ზმნებს ამოუდგა გვერდით.

საერთოდ, ე-გახმოვანებით წარმოდგენილი ფორმანტები აშკარად იჩენენ ამოსავალ ფუძესთან შერწყმისა და ამით ფუძის სტრუქტურის მთლიანი შეცვლის ტენდენციას. შდრ. ამ თვალსაზრისით:

ვ-თვლ-ი — ვ-თვალ-ე, მაგრამ: ვ-თვლემ — ჩა-ვ-თვლიმ-ე
ვ-ფშვნ-ი — და-ვ-ფშვენ, „ ვ-ფშვნეტ — ვ-ფშვნიტ-ე
ვ-სხლ-ავ — გა-ვ-სხალ-(ი), „ ვ-სხლეტ — ვ-სხლიტ-ე
ვ-დგ-ამ — და-ვ-დგ-ი, „ ვ-ა-დგენ — და-ვ-ა-დგინ-ე

ფუძე-თან შერწყმის პროცესი ზოგჯერ ისე შორსაა წასული, რომ მხოლოდ სპეციალური დაკვირვებით ხერხდება ფუძეს მიხორცებული ფორმანტის გამოყოფა.

ანალოგიური პროცესი შეინიშნება სახელებშიც, რომელთაც ე-გახმოვანებით წარმოდგენილი ფორმანტები აწარმოებენ, შდრ.:

ერთი მხრივ:

1. სი-თხ-ე — სი-სქ-ე
   თხ-ელ-ი→ა-თხელ-ებ-ს, სქ-ელ-ი→ა-სქელ-ებ-ს,

და, მეორე მხრივ:

2. სი-ვრც-ე — სი-გრძ-ე — სი-ცხ-ე
   ვრც-ელ-ი — გრძ-ელ-ი — ცხ-ელ-ი
   ა-ვრც-ობ-ს — გან-ა-გრძ-ობ-ს — ა-ცხ-ობ-ს

მეორე რიგის მაგალითებშიც შეინიშნება -ელ ფორმანტის ფუძესთან შეზრდის ტენდენცია, მაგრამ ამ შემთხვევებში სემანტიკური დაპირისპირების ფაქტორმაც იჩინა თავი, შდრ.:

ერთი მხრივ, ა-ვრც-ობ-ს, ხოლო, მეორე მხრივ, ა-ვრც-ელ-ებ-ს
ა-ცხ-ობ-ს — ა-ცხ-ელ-ებ-ს
გან-ა-გრძ-ობ-ს — ა-გრძ-ელ-ებ-ს.

სწორედ ამ ტენდენციის შედეგი ჩანს კრებ-ს ფორმაც.

ე-გახმოვანებული ფორმანტების ფუძესთან შერწყმა ცვლის არა მხოლოდ საკუთრივ ზმნური ფუძის სტრუქტურას, არა მხოლოდ ზმნურ პარადიგმთა (მაგალითად, აწმყოსა და ნამყო ძირითადის) ურთიერთმიმართების ტიპს, არამედ უშუალო გავლენას ახდენს ფორმათა იმ სისტემებზეც, რომელთაც ამგვარი წარმოების ფორმები უძევთ საფუძვლად. კონკრეტულად ეს ვლინდება თუნდაც მიმღეობათა წარმოების დროს, შდრ.:

ვ-სხლ-ავ—გა-სხლ-ულ-ი, მაგრამ: ვ-სხლეტ—გა-სხლეტ-ილ-ი
ვ-დგ-ამ—და-დგ-მ-ულ-ი, მაგრამ: ვ-ა-დგენ—და-დგენ-ილ-ი

საერთოდ, ყველა ფუძედრეკადი ზმნა ნამყო დროის მიმღეობას -ილ ფორმანტით იწარმოებს. ამ პრინციპს მიჰყვება ჩვენი საანალიზო ფორმაც: ვ-კრებ—შე-კრებ-ილ-ი. იმავდროულად ცნობილია, რომ ყველა შემთხვევაში, როცა -ებ ზმნურ ფორმანტად (თემის ნიშნად) არის გაგებული, შესაბამისი ნამყო დროის მიმღეობა -ულ ფორმანტით იწარმოება:

ა-შენ-ებ-ს—ა-შენ-ებ-ულ-ი
ა-კლ-ებ-ს—და-კლ-ებ-ულ-ი
ბად-ებ-ს—და-ბად-ებ-ულ-ი...

ეს პრინციპი განუხრელადაა ქართულში გატარებული. იმ შემთხვევაში, როცა -ებ ფუძისეულია, -ულ არ გამოიყენება მიმღეობაში. -ებ ელემენტის განსხვავებულ სტატუსს ენა საკმაოდ ზუსტად გრძნობს და განსხვავების კრიტერიუმს მკაცრად იცავს. შდრ. ამ თვალსაზრისით:

შე-ღებ-ილ-ი, მაგრამ: გა-ღ-ებ-ულ-ი.

პირველი ღებ-ავ-ს ზმნის მიმღეობაა, მეორე — ა-ღ-ებ-ს ზმნისა, პირველში -ებ ფუძისეული ელემენტია, მეორეში — ფორმანტად გაიგება, მიმღეობაც სწორედ ამის გათვალისწინებითაა წარმოებული.

ასე რომ, შე-კრებ-ილ-ი მიმღეობური ფორმის მიხედვით -ებ ელემენტი ფუძისეულია და მისი გამოყოფა შეუძლებელი ხდება.

მაგრამ ქართულში დამოწმებულია კრებ-ულ-ი ფორმაც, რომელიც აშკარად მიმღეობური წარმოშობისაა, შემდეგ გასუბსტანტივებული. მიმღეობათა გასუბსტანტივების პროცესი საკმაოდაა ქართულში საცნაური და მისი ნიმუშებიც არა ერთი და ორია.

კრებ-ულ-ი ძველ ქართულშივე ხშირად ხმარებული ფორმაა, იგი საკმაოდ მრავალგვარი მნიშვნელობით გამოიყენებოდა, აღნიშნავდა: „ეკლესია, შეკრებილნი; სამსჯავრო, კრება; გუნდი, შესაკრებელი, ერი, სიმრავლე; მონასტერი“, ([268], 202), „შეკრებილი, ხალხი, ჯარი, ჯარისკაცთა რაზმი, ოჯახის წევრები, უმაღლეს სასა-

ძართლო, სინედრიონი, სინაგოგა, ებრაელთა სამლოცველო“ ([277], 305). აშკარაა, რომ ყველა ამ მნიშვნელობას ერთი ამოსავალი სემანტიკური ნიშანი აქვს საფუძვლად, ზოგი კონკრეტული მნიშვნელობა უთუოდ კონტექსტურია. არსებითად იგივე მნიშვნელობები აქვს ამ ფორმას ახალ ქართულშიც: „ერთად თავმოყრილი ადამიანები, შეკრებილობა, ყრილობა; საზოგადოებრივი ჯგუფი, დასი; ერთად თავმოყრილი (გამოცემული) ნაწარმოებები (დოკუმენტები, სავარჯიშოები...); ვარსკვლავთა ჯგუფი, ხომლი“ ([283], ტ. IV).

კრებ-ულ-ი ფორმაში -ულ მიმღეობური ფორმანტია. ეს კი, ზემოთ ჩატარებული ანალიზის შესაბამისად, გვავარაუდებინებს, რომ ახლა მონოლითური კრებ- მორფემა წარმოშობით ორი ელემენტისაგან (კრ-ებ) შედგებოდა. თუ ასეა, -ებ უნდა გამოიყოს და მას გარკვეულ პერიოდში იგივე ღირებულება (დანიშნულება) უნდა ჰქონოდა გაანალიზებულ ფორმაში, რაც ამჟამადაც მოეპოვება იმავე შედგენილობის ფორმანტს ბად-ებ-ს, ა-კეთ-ებ-ს ტიპის ფორმებში.

საინტერესო მიმართებას ამყარებენ ერთმანეთთან კრ-ებ- და კრ-ავ- ფორმები. კრებ- ვნებითში კრბ-ებ- ფორმას იძლეოდა. კრ-ავ და კრ-ბ ფორმათა ამოსავალი ფუძე კრ- ნაირგვარი გახმოვანებით იყო წარმოდგენილი ნამყო ძირითადში:

ა წ მ ყ ო:	ვ-კრ-ავ	ვ-კრ-ბ-ებ-ი-თ
ნ. ძ ი რ.:	შე-ვ-კარ	შე-ვ-კერ-ბ-ი-თ

კარ-:კერ- უძველესი დაპირისპირება ჩანს, ნიშანდობლივი ქართულ ზმნათა ერთი ტიპისათვის (იხ. თავი V, ნაწილი XII).

რა ზოგადი ხასიათის დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ზემოთქმულიდან? რას უნდა ემყარებოდეს ამა თუ იმ ფორმის სეგმენტირება?

რასაკვირველია, სეგმენტირების პროცესი ძალზე რთულია და მრავლის მომცველი, ზემოხსენებული მხოლოდ ერთ-ერთი საშუალებაა ფორმობრივი ელემენტების გამოყოფისა. კერძოდ, ამ პრინციპის ძირითადი არსი ის არის, რომ ენაში დადგენილი მყარი ურთიერთმოთხოვნა მორფემებისა შესაძლებლობას იძლევა გამოვიცნოთ, თუ რა მორფემა უნდა ვივარაუდოთ მოცემული სეგმენტის წინ ან შემდგომ. როგორც ვნახეთ, ენაში მორფემათა ურთიერთამორჩევის მკაცრად განსაზღვრული წესი მოქმედებს. ყველაფერი ეს არის დეტერმინაციის გარკვეული სახეობა, უკეთ: დეტერმინაციის ერთ-ერთი პრინციპი, რომელსაც პირობითად ფლაგიტაციას ვუწოდებთ, ლათინური სიტყვის flagitatio მიხედვით, რაც „დაჟინებით მოთხოვნას“ ნიშნავს. ტერმინი შეაპირობა იმ ფაქტმა, რომ ენობრივი ფორმის ესა თუ ის ელემენტი გარკვეული ფუნქციის გა-

მოხატვისას „დაჟინებით მოითხოვს“ სწორედ ამ და არა სხვა ელემენტის დართვას, ეხამება სწორედ ამ და არა სხვა ელემენტს.

მაშასადამე, დეტერმინაციის პრინციპის დადგენას დამატებით ის მნიშვნელობაც შეიძლება ჰქონდეს, რომ იგი ამა თუ იმ ფორმის სეგმენტირებისათვის სანდო ინფორმაციას გვაწვდის.

-ებ და -ულ ტიპის მიმართებისას დასაშვებია სამგვარი ურთიერთობა:

1. -ებ ფორმანტის შემდგომ ყოველთვის იქნება -ულ ფორმანტი, ისევე, როგორც -ულ ფორმანტის წინ მხოლოდ -ებ ფორმანტი. ასეთი მყარი მიერთება, როგორც წესი, მიისწრაფვის შერწყმისაკენ და საბოლოოდ იძლევა ერთ, დაუნაწევრებელ სეგმენტს. მაშასადამე, დასაშვებია შემთხვევა, რომ ორი ფორმანტი (ორი სეგმენტი) ყოველთვის და მხოლოდ ერთმანეთს ეარაუდობდეს.

2. -ებ ფორმანტის შემდგომ შესაძლებელია იყოს -ულ ან სხვა რომელიმე ნებისმიერი ფორმანტი, ისევე, როგორც -ულ ფორმანტის წინ -ებ ან სხვა რომელიმე ფორმანტი. აქ პირველი შემთხვევის სრულიად საპირისპირო მოვლენასთან გვაქვს საქმე, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ნულ-დეტერმინაციის“ შემთხვევაა.

3. -ებ ფორმანტის შემდგომ ყოველთვის იქნება -ულ ფორმანტი, მაგრამ -ულ ფორმანტის წინ დასაშვებია იყოს სხვა ფორმანტიც, გარდა -ებ ფორმანტისა. მართლაც, როგორც უკვე აღინიშნა, თუ -ებ ფორმანტია, ნამყო დროის მიმღეობაში მას ყოველთვის მხოლოდ -ულ დაერთვის, მაგრამ, თავის მხრივ, -ულ შეიძლება მოსდევდეს -ევ, -ამ ფორმანტებსაც: ა-ბნ-ევ-ს—და-ბნ-ე/ვ/-ულ-ი, ა-ბ-ამ-ს—და-ბ-მ-ულ-ი. ეს ნიშნავს: -ებ ფორმანტით დეტერმინირებულია -ულ ფორმანტის დართვა, მაგრამ -ულ ფორმანტით არ არის დეტერმინირებული -ებ ფორმანტის არსებობა ამ ფორმაში.

ზემოჩამოთვლილი სამი სახეობა ფორმანტთა ურთიერთობის სამი ძირითადი პირობაა. რაც შეეხება კონკრეტულად -ებ და -ულ ფორმანტების ურთიერთობას, აქ მხოლოდ მესამე სახეობაა დადასტურებული (მაშასადამე, დანარჩენი ორი ამ შემთხვევაში გამოირიცხება).

ლოგიკის ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, -ებ და -ულ ფორმანტთა ურთიერთობისას იმპლიკაციასთან გვაქვს საქმე. ეს მართლაც ის შემთხვევაა, როცა გარკვეული ფუნქციის გამოსახატავად ერთი ელემენტი იწვევს მეორე, საკუთრივ აი, ამ ელემენტის შემოტანას ენობრივ სტრუქტურაში.

დეტერმინაციის ანალოგიური პრინციპი, რომელიც გენეტურად შეაპირობებს წარმოქმნილ ფორმათა სტრუქტურას, საკმაოდ ხშირადაა ენაში დამოწმებული. ამ რიგისაა. მაგალითად, -ნ და -ი

ფორმანტების ურთიერთმიმართება: თუ ზმნურ ფუძეში დამოწმებულია -ნ სუფიქსი, აწმყოში მის მომდევნოდ -ი სუფიქსი გვექნება, როგორც წესი, შდრ.:

ე-ძებ-ს, მაგრამ: ძებ-ნ-ი-ს
ს-დევ-ს, მაგრამ: დევ-ნ-ის
ფხოჭ-ავ-ს, მაგრამ: ფხოჭ-ნ-ი-ს
წრუპ-ავ-ს, მაგრამ: წრუპ-ნ-ი-ს
ა-კოც-ებ-ს, მაგრამ: კოც-ნ-ი-ს
ი-კვეხ-ს, მაგრამ: ი-კვეხ-ნ-ი-ს.

იმ შემთხვევაში, როცა -ნ სუფიქსს სხვა ფორმანტი მოსდევს, ყოველთვის მეორეულ წარმოებასთან გვაქვს საქმე და ამოსავლად ისევ და ისევ -ნ-ი ფორმანტებით გაფორმებული მონაცემი ივარაუდება:

დევ-ნ-ი-ს—ა-დევ-ნ-ე-ბ-ს
გზავ-ნ-ი-ს—ე-გზავ-ნ-ებ-ა
ე-კუთვ-ნ-ი-ს—ა-კუთვ-ნ-ებ-ს
ყოვ-ნ-ი-ს—ა-ყოვ-ნ-ებ-ს.

-ი ფორმანტი ისეთ ფუძეებთანაც გვხვდება, რომლებიც -ნ სუფიქსს არ შეიცავენ. ასეთი ფუძეები საკმაოდ მრავლადაა: ჭრ-ი-ს, ცბ-ი-ს, ი-პოვ-ი-ს და სხვანი. ზოგიერთ მათგანს -ნ სუფიქსიანი ვარიანტიც აქვს. ამრიგად, საერთო დასკვნა ასეთი იქნება: ყველა -ნ სუფიქსის შემდეგ ზმნურ ამოსავალ ფორმაში ივარაუდება -ი სუფიქსი, მიუხედავად იმისა, საყრდენ ვარიანტში დამოწმებული გვექნება -ი ფორმანტი თუ არა, შდრ.:

ს-დევ-ს—დევ-ნ-ი-ს, ერთი მხრივ, და
ი-პოვ-ი-ს —ი-პოვ-ნ-ი-ს, მეორე მხრივ.

იშვიათად ამგვარი პარალელური ვარიანტები ერთსა და იმავე ფუძესთანაა დამოწმებული:

ი-კვეხ-ს—ი-კვეხ-ნ-ი-ს
ი-კვეხ-ი-ს—ი-კვეხ-ნ-ი-ს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი მიმართება გვაქვს მხოლოდ საკუთრივ -ნ ფორმანტის შემთხვევაში. მაშინ კი, როცა -ნ ელემენტი სხვადასხვა გახმოვანებითაა წარმოდგენილი, მის მომდევნოდ -ი სუფიქსის არსებობა აუცილებელი არ არის: ა-ჰკვ-ი-ან-ებ-ს, ა-ხმ-ი-ან-ებ-ს, ა-წერ-ინ-ებ-ს, ა-ხმ-ოვ-ან-ებ-ს, ა-თბ-უნ-ებ-ს, ა-ლაწ-უნ-ებ-ს... მაშინაც, როცა -ნ სრულხმოვანი ფორმანტის რედუქციის შედეგს წარმოადგენს, მის მომდევნოდ -ი შეიძლება არ გვქონდეს:

ს-ცივ-ა→მ-ცივ-ან-ი→ა-მ-ცივ-ნ-ებ-ს, სადაც ფუძედ მ-ცივ-ან- მიმღეობური ფუძეა გამოყენებული. ერთი ღირსაცნობი დეტალი: იმ შემთხვევაში, როცა -ან საყრდენ ფუძეს კუმშავს (ჰ-გავ-ს→ჰ-გვ-ან-ს →მ-გვ-ან-ი), რის გამოც უმარცვლო მორფემის გვერდით აღმოჩნდება, ახალ ზმნურ ფუძეში თითონ აღარ განიცდის რედუქციას (ა-მგვ-ან-ებ-ს), რედუქციას იგი მხოლოდ მაშინ ექვემდებარება, როცა საყრდენ ფუძეს ვერ კუმშავს და, ამდენად, სრულხმოვანი მორფემის გვერდითაა წარმოდგენილი (ს-ცივ-ა→მ-ცივ-ან-ი→ა-მ-ცივ-ნ-ებ-ს). ზემოხსენებული ეხება არა მხოლოდ მიმღეობურ ფუძეში დამოწმებულ -ან ფორმანტს, არამედ ვრცელდება სხვა დანიშნულებით გამოყენებულ -ან ფორმანტზეც (შდრ.: ა-სი-ამ-ოვ-ნ-ებ-ს, სა-სი-ამ-ოვნ-ო, სადაც ამოსავალ ფუძეში -ოვ-ან რთული ფორმანტი იჟარაუდება).

მაგრამ ეს უკანასკნელი მონაცემი უნდა განირჩეს საკუთრივ ზმნური პარადიგმების ურთიერთობისას წარმოჩენილ სრულხმოვანებისაგან, ანუ: მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რომელი ფუძიდანაა გადმოსული რედუქციის შედეგად დარჩენილი -ნ ფორმანტი. საქმე ისაა, რომ -ნ-ი, აწმყოში დამოწმებული შეხამება, მიღებულია ნამყო ძირითადისეულ -ენ ფორმანტზე -ი ფორმანტის დართვით:

გა-ვ-სკვ-ენ—ვ-სკვ-ნ-ი
და-ვ-ფხვ-ენ—ვ-ფხვ-ნ-ი
გა-ვ-ტყორც-ენ—ვ-ტყორც-ნ-ი
და-ვ-ფრჩხვ-ენ—ვ-ფრჩხვ-ნ-ი და ა. შ.

ყოველ შემთხვევაში, ამ ტიპის ზმნათა ერთ ნაწილში ეს აშკარად ასეა. სხვა შემთხვევაში ჭირს -ნ ფორმანტისათვის ამოსავალი სრულხმოვანი ვარიანტის დაძებნა, ამ რიგისაა ძებ-ნ-ი. დევ-ნ-ი. კოც-ნ-ი ფორმები.

მაშასადამე, უნდა დავასკვნათ: ფორმები, რომელთაც აწმყოში -ნ-ი სუფიქსები უდასტურდებათ, შესაძლებელია სხვადასხვა წარმოშობისა იყვნენ. ერთ შემთხვევაში მათთვის ამოსავალია ნამყო ძირითადში დამოწმებული -ენ სუფიქსიანი ფუძე (გა-ვ-სკვ-ენ—ვ-სკვნ-ი), მეორე შემთხვევაში თვით ჩანან ამოსავალი სხვა პარადიგმებისათვის (ვ-ფხოჭ-ნ-ი—და-ვ-ფხოჭ-ნ-ე).

ზმნურ ფორმაში -ი სუფიქსის წინ -ნ ელემენტის წარმოჩენა იმთავითვე იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეგ -ნ ფორმანტი უნდა იყოს, თუნდაც ამჟამად ფუძეს მიხორცებული. მაშასადამე, ამ ფაქტს მეთოდოლოგიური ღირებულებაც ჰქონია: იგი ფორმანტის გამოყოფის შესაძლებლობას (ანუ: ფორმის სეგმენტირების შესაძლებლობას) იძ-

ლევა. მართლაც, ამგვარად „ეჰვმიტანილი“ ელემენტის გამოყოფას ზოგჯერ სხვა ფაქტორებიც ადასტურებენ:

სკვ-ნ-ი-ს, -ნ ფორმანტი უნდა იყოს, შდრ.: ნა-სკვ-ი,
ფრჩხვ-ნ-ი-ს, -ნ ფორმანტია, შდრ.: ფრჩხ-ილ-ი,
ფხვ-ნ-ი-ს, -ნ ფორმანტია, შდრ.: ფხვ-ი-ერ-ი,
ტყორც-ნ-ი-ს, -ნ ფორმანტია, შდრ.: ტყორც-ებ-ს,

ბრდღვ-ნ-ი-ს||ბდღვ-ნ-ი-ს, -ნ აქაც ფორმანტი ჩანს, შდრ.: ბდღვ-ირ-ი, ბურდღ-ა. საინტერესო ფორმაა, ამოსავალი უნდა იყოს ფუძე ბურდღ-, რომელიც ხმოვნის შემცველი სუფიქსის დართვისას რედუცირდება: *ბერდღ-, შემდეგ კი მეტათეზისით იძლევა ბრდღვ- ფორმას.

და-ტოტ-ნ-ი-ს, -ნ ფორმანტია, შდრ.: ტოტ-ი (მნიშვნელობით: „ხელის მტევანი, ხელი, თათი“, შდრ. სვანური ტუ̈ეტ „ხელი“): ნასახელარი ზმნაა, თოხ-ნ-ი-ს ტიპისა.

გზავ-ნ-ი-ს, -ნ ფორმანტია, შდრ.: გზა, მ-გზავ-რ-ი.
ყოვ-ნ-ი-ს, -ნ ფორმანტია, შდრ.: მ-ყოვ-არ.

ზოგჯერ ნამყო ძირითადში ერთმანეთის პარალელურადაა დამოწმებული -ენ და -ნ ფორმანტიანი ვარიანტები:

გა-ვ-ტყორც-ენ — გა-ვ-ტყორც-ნ-ე.

რა გვაქვს აქ: სხვა სისტემაზე გადასვლის ფაქტი თუ ოდინდელი სემანტიკური დაპირისპირების კვალი? ამას დამატებითი კვლევა გაარკვევს.

არის გამონაკლისიც, როცა -ნ ელემენტი არ არის ფორმანტი, აშკარად ფუძისეულია, მაგრამ აწმყოში მის მომდევნოდ მაინც -ი ფორმანტია დამოწმებული. ეს არის ნასესხები ჯაბან- ფუძე, რომელიც ჯაბნ-ი-ს ზმნურ ფორმას იძლევა. მაგრამ ეს ფაქტი ადვილად აიხსნება, თუ მოვიგონებთ მასთან სემანტიკურად (და გარკვეულად ხმოვანებითაც) ახლო მდგომ ქართულ ჯობ-ნ-ი-ს ზმნას, რომელთან ანალოგიაც უნდა ვივარაუდოთ ზემოხსენებულ შემთხვევაში. ამავე რიგისაა თარგმნ-ი-ს ფორმაც, შდრ.: თარგმანი...

-ნ ფორმანტის ამოცნობის ერთ-ერთი საშუალებაა ამოსავალი ფუძის გახმოვანების ცვლილებაც (და, დამატებით, მისი სხვა შედგენილობის ფორმანტით გაფორმება); შდრ.:

ბეკ-ნ-ი-ს — ბაკ-უნ-ი
ტკეპ-ნ-ი-ს — ტკაპ-უნ-ი.

ზემოთ პარალელური ფორმები იყო დამოწმებული, სადაც ერთსა და იმავე ფუძესთან შეიძლება გვქონდეს -ნ სუფიქსი და შეიძლება არა:

ი-პოვ-ი-ს — ი-პოვ-ნ-ი-ს
ი-შოვ-ი-ს — ი-შოვ-ნ-ი-ს...

ფუძეთა ამგვარი დაპირისპირება უშუალო გავლენას ახდენს იმ ფორმათა წარმოებაზე, რომლებიც ამოსავლად ხსენებულ ფუძეებს ვარაუდობენ. მაგალითად, ამ თვალსაზრისით შდრ.:

პო-ულ-ობ-ს — პოვ-ნ-ილ-ი
შო-ულ-ობ-ს — შო/ვ/-ნ-ილ-ობ-ს

ამ ზმნებისათვის მიმღეობური ფუძეა საყრდენი; მიმღეობა კი, იმის მიხედვით, ფუძეში -ნ ფორმანტი დასტურდება თუ არა, ხან -ულ სუფიქსით იწარმოება, ხან კი -ილ სუფიქსით.

ერთი შეხედვით -ნ-ი ფორმანტთა შეხამების ანალოგიურ სურათს იძლევიან ვნებითში დამოწმებული -ვ-ი და -ებ-ი, -მ-ი და -ობ-ი ფორმანტები, შდრ.:

ი-პოვ-ნ-ი-ს
ი-მალ-ვ-ი-ს (←მალ-ავ-ს)
ი-დგ-მ-ი-ს (←დგ-ამ-ს)
ი-ბად-ებ-ი-ს (←ბად-ებ-ს)

(აბჟაბად ვნებითში -ი სუფიქსი მხოლოდ I და II პირის ფორმებს აქვთ შენარჩუნებული).

ეს მსგავსება თითქოსდა უფრო წარმოჩნდება, თუ ამ ტიპის ფორმებს შევუდარებთ ერთმანეთს:

თოხ-ნ-ი-ს→ი-თოხ-ნ-ებ-ი-ს
რწყ-ავ-ს→ი-რწყ-ვ-ებ-ი-ს

მაგრამ საკმარისია, -ნ-ი, ერთი მხრივ, და -ვ-ი, -ებ-ი, -მ-ი, მეორე მხრივ, ფორმანტთა სხვა პარადიგმებში მოქმედებას გავადევნოთ თვალი, რომ აშკარა გახდება არსებითი ხასიათის სხვაობა: -ნ-ი უწყვეტელ'ში ყოველთვის -ნ-ი-დ ფორმანტთშეხამებას იძლევა, ყველა დანარჩენში კი -ი ფორმანტს -ოდ ცვლის:

ი-პოვ-ნ-ი-დ-ა, მაგრამ: ი-მალ-/ვ/-ოდ-ა
ი-დგ-მ-ოდ-ა
ი-ბად-ებ-ოდ-ა.

ღირსაცნობია ერთი ფაქტიც ამასთან დაკავშირებით: ზემოთ დავამოწმეთ ფორმები, სადაც -ი სუფიქსი გვაქვს იმისდა მიუხედავად, -ნ ფორმანტი არის თუ არა წარმოჩენილი მათში:

ი-პოვ-ი-ს — ი-პოვ-ნ-ი-ს
ი-კვეხ-ი-ს — ი-კვეხ-ნ-ი-ს
ი-ქად-ი-ს — ი-ქად-ნ-ი-ს...

და აი, რა არის აქ საინტერესო: პირველი რიგის -ი სუფიქსიანი ფორმები უწყვეტელში შეიძლება იძლეოდნენ პარალელურ, -დ და -ოდ სუფიქსიან ვარიანტებს, მაშინ, როდესაც -ნ-ი ფორმანტთშეხამების დროს უწყვეტელში მარტოოდენ -დ სუფიქსი შესაძლებელი, შდრ.:

ი-კვეხ-იდ-ა||ი-კვეხ-ოდ-ა, მაგრამ: ი-კვეხ-ნ-ი-დ-ა
ი-ქად-ი-დ-ა||ი-ქად-ოდ-ა, მაგრამ მარტოოდენ: ი-ქად-ნ-ი-დ-ა.

ამრიგად, -ებ-ულ, ერთი მხრივ, და -ნ-ი, მეორე მხრივ, ფორმანტთა შეხამების შინაგან თავისებურებათა რკვევამ ნათელი გახადა, თუ რა ნაირგვარობით შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა სტრუქტურაში დეტერმინაციის ერთი და იგივე პრინციპი.

გენეტურ (წარმოქმნით) დეტერმინაციასთან დაკავშირებით ფორმანტის მიერ ფუძის ამორჩევის საკითხიც დადგება.

აქ ორი შემთხვევა უნდა განირჩეს.

ერთ შემთხვევაში ამორჩევას სემანტიკური პრინციპი უძევს საფუძვლად, ე. ი. ფუძის ამორჩევა მნიშვნელობის მიხედვით ხდება:

ერთ-ი—→ა-ერთ-ებ-ს, ერთი მხრივ, და:
ერთ-ი-—→ერთ-ი-ან-ი—→ა-ერთ-ი-ან-ებ-ს, მეორე მხრივ.

ეს ნიშნავს, -ებ ფორმანტს შეუძლია ამოირჩიოს როგორც ერთ- ფუძე, ასევე ერთ-ი-ან- ფუძეც, ფორმობრივი შეზღუდვა აქ არა გვაქვს, ამორჩევას ამ შემთხვევაში პირწმინდად მნიშვნელობა, სემანტიკა შეაპირობებს, ლექსიკური სხვაობა ერთ-ი და ერთ-იან-ი ფორმებს შორის.

სხვა საქმეა, როცა ფორმანტის მიერ ფუძის ამორჩევას ფორმობრივი საფუძველი აქვს.

ხვდ-ებ-ა მესამე ტიპის (უნიშნო) ვნებითია. შესაბამისი მოქმედებითი იქნება ა-ხვედ-რ-ებ-ს, უფრო იშვიათად: ა-ხვდ-ომ-ებ-ს. მაშასადამე, ამ შემთხვევაში -ებ სუფიქსი (ნამყო ძირითადში -ე სუფიქსი) „ამოირჩევს“ არა ვნებითის ხვდ- (ძველი: ხუდ-) ფუძეს, არამედ -რ ფორმანტით გართულებულ ხვედ-რ- ფუძეს. ამჟამად არავითარი ფუნქციური საფუძველი ამას არ უჩანს. ცნობილია, სხვა ვნებითებისაგან განსხვავებით, III ტიპის ვნებითი ამოსავალია სათანადო მოქმედებითისათვის, რომელიც -ობ ან -ენ ფორმანტებით ფორმდება:

შრ-ებ-ა—→ა-შრ-ობ-ს
თბ-ებ-ა—→ა-თბ-ობ-ს
დნ-ებ-ა—→ა-დნ-ობ-ს

ძვრ-ებ-ა—ა-ძრ-ობ-ს
ძერ-ებ-ა—ა-ძვრ-ენ-ს
წვდ-ებ-ა—ა-წვდ-ენ-ს და ა. შ.

მაშასადამე, აშკარაა, რომ -ობ და -ენ ფორმანტები უშუალოდ ვნებითის ამოსავალ ფუძეს მიერთვიან, ვნებითის ფუძეს ამოირჩევენ. მაგრამ საკმარისია ამ ტიპის ზმნათა მოქმედებითში -ებ ფორმანტი წარმოჩნდეს, რომ ფორმობრივი მიმართება შეიცვლება: -ებ უშუალოდ ვერ მიერთვის ვნებითის ფუძეს, ეს უკანასკნელი აუცილებლად გართულებული უნდა იყოს სხვა ფორმანტითაც, ე. ი. -ებ ფორმანტს ამ შემთხვევაში ვნებითის მხოლოდ გართულებული ფუძის ამორჩევის შესაძლებლობა აქვს, შდრ.:

ა-ძვრ-ენ-ს, მაგრამ: ა-ძრ-ომ-ებ-ს
ა-ცთ-ენ-ს, მაგრამ: ა-ცთ-ომ-ებ-ს,‖ა-ცთ-უნ-ებ-ს
ა-თბ-ობ-ს, მაგრამ: ა-თბ-უნ-ებ-ს,

რასაც მიჰყვება ზემოთ საანალიზოდ წარმოდგენილი ფორმა:

ხვდ-ებ-ა, მაგრამ: ა-ხვედ-რ-ებ-ს‖ა-ხვედ-ომ-ებ-ს

ამგვარი ამორჩევითობის უნარი -ებ ფორმანტის ერთ-ერთი ფორმობრივი ნიშან-თვისებაა.

ანალოგიურ თავისებურებას იჩენს -ებ ფორმანტი ზოგი სტატიკური ზმნის მიმართაც, როცა -ებ სუფიქსიანი (ნამყო ძირითადში -ე სუფიქსიანი) დინამიკური ფორმა საყრდენად იღებს არა უშუალოდ სტატიკურ ზმნას, არამედ მიმღეობის ფორმანტებით გართულებულ ფუძეს, შდრ.:

წუხ-ს —ა-წუხ-ებ-ს‖წუხ-დ-ებ-ა,
მაგრამ:
ჰ-გავ-ს—მსგავს-ი—ა-მსგავს-ებ-ს
ე-მსგავს-ებ-ა
ჰ-გვ-ან-ს—მ-გვ-ან-ი—ა-მ-გვ-ან-ებ-ს
ე-მ-გვ-ან-ებ-ა.

ამავე რიგისაა:

ი-ქად-ი-ს — ქად-ნ-ა—ა-ქად-ნ-ებ-ს‖ე-ქად-ნ-ებ-ა.

რასაკვირველია, ფორმანტის მიერ ფუძის ამორჩევის პრინციპი მარტოოდენ ზმნური წარმოების დროს არ იჩენს თავს, იგი საკმაოდ ქმედითია სახელთა წარმოების დროსაც.

ამ პრინციპითაა, მაგალითად, დაპირისპირებული მიმღეობები:

მ-ძლ-ავ-რ-ი
მ-ძლ-ევ-არ-ი,

სადაც -რ სუფიქსი ძლ-ავ ფუძეს რჩეობს, -არ სუფიქსი კი ძლ-ევ ფუძეს; ორივე დამოწმებულია ზმნურ სისტემებში: უ-ძლ-ავ-ს, ს-ძლ-ევ-ს. ჩანს, რომ მ-ძლ-ავ-რ-ი იმავე სისტემის ფორმაა, რაც მ-გზავ-რ-ი, მ-ძლევ-არ-ი კი იმავესი, რაც მ-კვლევ-არ-ი.

წით-ს უძველესი სტატიკური ზმნა ატრიბუტულ სახელად წით-ელ-ი ფორმას იძლევა. ანალოგიური პრინციპითაა აგებული ყვით-ელ-ი ფორმაც. ოდნაობითი ხარისხის წარმოებისას შესაბამისი ფორმანტები ვერ იგუებენ ამ პრინციპით წარმოებულ ფუძეს და -ალ, -ან ფორმანტებით გაფორმებულ ფუძეს რჩეობენ:

წით-ელ-ი, მაგრამ: მო-წით-ალ-ო||მო-წით-ან-ო
ყვით-ელ-ი, მაგრამ: მო-ყვით-ალ-ო||მო-ყვით-ან-ო.

შემდეგ:

ერთი მნიშვნელობისა ჩანან ფორმები:

უ-ნებ-ლ-ივ
უ-ნებ-ლ-ი-/ვ/-ად ([288], 92)
უ-ნებ-ლ-ი/ვ/-ა-ჲთ ([288], 92)
უ-ნებ-ურ-ად

რადგან ასეა, დამოწმებულ ფორმობრივ სხვაობას საკუთრივ ფორმობრივი (და არა ფუნქციური) მიზეზი ჰქონია: -ივ ფორმანტი ამ კონკრეტულ შემთხვევაში მხოლოდ -ლ ფორმანტით გართულებულ ფუძეს მიერთვის, განსხვავებით -ურ ფორმანტისაგან, რომელიც უშუალოდ ფუძეზეა დართული (ამ თვალსაზრისით შდრ.: მად-ლ-ი—მად-ლ-ი-ან-ი, მაგრამ: უ-მად-ურ-ი). ყოველივე ეს -ივ და -ურ ფორმანტთა ამორჩევითობის უნარს უნდა მიეწეროს. თავის მხრივ, -ად, -ით (—→-ჲთ) მხოლოდ გართულებულ ფუძესთან აღმოჩნდა შესაძლებელი. ნებ- ზმნური ფუძეა წარმოშობით (უ-ნებ-ს), იქნებ ეს იყოს ს ემოხსენებულ თავისებურებათა მიზეზი.

ამასთან დაკავშირებით ღირსაცნობ სურათს იძლევა შემდეგი მიმართებაც:

ნა-მეტ-არ-ი
ნა-მეტ-ან-ი
ნა-მეტ-ნ-ავ-ად
ნა-მეტ-ურ,

სადაც -ავ ფორმანტი უშუალოდ ვერ მიერთვის ფუძეს და, გარდა ამისა, სხვადასხვა ფორმანტებით გართულებულ ფუძეთაგან მარტოოდენ -ან სუფიქსიანს ირჩევს. დამატებით აქ იმის თქმა შეიძლება, რომ ამ სისტემაში -ან, -არ, -ურ ფორმობრივ ურთიერთმონაცვლე-

თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთი და იმავე „რეგისტრის“ ფორმანტებია, -აე — სულ სხვა „რეგისტრისა“; რა თქმა უნდა, აქაც საკუთრივ ფორმობრივი სტატუსი ივარაუდება უპირატესად.

VII

სამიმართებო (საურთიერთო) დეტერმინაცია მოიცავს ყველა სახის არაგენეტიკურ შეპირობებულობას. სამიმართებო დეტერმინაცია სისტემების შინაგანი (მაგრამ არა გენეტიკური) ორგანიზების საფუძველია, ამ ორგანიზების განმსაზღვრელი პრინციპი. ერთი და იგივე ენობრივი ფაქტი გენეტიკურად და სამიმართებო თვალსაზრისით შესაძლებელია სულ სხვადასხვა ფორმებით იყოს დეტერმინირებული, სხვადასხვა ფორმებთან ამყარებდეს ურთიერთობას. შესაძლებლობა, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს აუცილებლობას. ენაში დასაშვებია ერთიც და მეორეც, გენეტიკური და სამიმართებო დეტერმინაციების თანხვედრაც და სხვაობაც.

ქართულში დამოწმებული სამიმართებო დეტერმინაციის რამდენიმე ფაქტი კარგად არის ცნობილი სპეციალური ლიტერატურიდან.

ცნობილია, მაგალითად, ნამყო ძირითადისა და II კავშირებითის სუფიქსების კანონზომიერებად ქცეული ურთიერთმიმართება. მართალია, ზოგჯერ აქ ფონეტიკური ფაქტორის ჩარევასაც ვარაუდობენ და მაშინ ოდინდელ გენეტიკურ დეტერმინაციასთან უნდა გვქონდეს საქმე, მაგრამ ამჟამად ამ პრინციპით მიდგომა ხსენებული საკითხისადმი შეუძლებელი ხდება, რადგან ეს კანონზომიერება უკვე ისეთ ფორმებშიც იჩენს თავს, სადაც რაიმე ფონეტიკური ფაქტორის არსებობა გამორიცხულია. იგულისხმება კანონზომიერება, რომლის ძიებითაც ნამყო ძირითადში დამოწმებული -ე სუფიქსი II კავშირებითში -ო სუფიქსს ვარაუდობს, ნულ-სუფიქსი (ახლა: „ნართაული“ -ი ელემენტიანი ფორმები) — -ა სუფიქსის არსებობას, ხოლო სუფიქსიან და მესამე ტიპის (უნიშნო) ვნებითში დამოწმებული -ი სუფიქსი კი იმავე II კავშირებითში -ე სუფიქსის აუცილებლობას:

ნამყო ძირითადი: და-ვ-წერ-ე მო-ვ-კალ/ი/ გა-ვ-თბ-ი
II კავშირებითი: და-ვ-წერ-ო მო-ვ-კლ-ა გა-ვ-თბ-ე.

ეს იმდენად თანამიმდევრულად გატარებული კანონსომიერებაა, რომ დაუყოვნებლივ რეაგირებს ყოველგვარ ცვლილებაზე. ასე, მაგალითად, ხევსურულში II კავშირებითის წარმოება გაერთფეროვანებულია, ყველგან -ა ფორმანტია დამოწმებული ([295], 117). ეს ფაქტი გარკვეულ რეაქციას იძლევა ნამყო ძირითადში, სადაც -ე

სუფიქსიანი ფორმები უკვე -ი („ნართაული", უკეთ: ნართაულთან ვატოლებული) ელემენტით არიან წარმოდგენილი ([295], 105), შდრ.:

სალიტერატურო	ქართული:	ხევსურული:
ნამყო ძირითადი:	გა-ვ-ი-გ-ე ა-ვ-ი-ღ-ე	გა-ვ-ი-გ-ი ა-ვ-ი-ღ-ი
II კავშირებითი:	გა-ვ-ი-გ-ო ა-ვ-ი-ღ-ო	გა-ვ-ი-გ-ა ა-ვ-ი-ღ-ა.

ცნობილია, რომ ინგილოურის კაკური და ალიაბათური კილოკავები განსხვავდებიან ნამყო ძირითადის წარმოების მხრივ: კაკურში -ე სუფიქსის ადგილას ყოველთვის გვექნება -ი, ალიაბათურში კი, პირიქით, ძირითადად წარმოდგენილია სწორედ -ე სუფიქსი (იქაც, სადაც სალიტერატურო ენაში -ი გვაქვს), იშვიათად გეხვდება -ი ([276], 160). ამან გარკვეული ასახვა პოვა II კავშირებითშიც, სადაც, სწორედ კაკურ კილოკავში, III სუბიექტურ პირში -ა ფორმანტი გვაქვს ნაცვლად -ო ფორმანტისა: და-თეს-ა-ს (და არა: და-თეს--ო-ს, [275], 119).

ამავე თვალსაზრისით ღირსაცნობია ნამყო ძირითადში მესამე პირის ჩვენება, რომელიც უშუალოდ ჩანს დამოკიდებული პირველი და მეორე პირების მონაცემზე.

ა. შანიძე აღნიშნავს: „არის ერთი წყება ზმნებისა, რომელთაც მხოლობითში ა-ს ნაცვლად ო მოუდის. ამ ზმნების ფუძე უმეტესად უმარცვლოა და შედგება ერთი, ორი ან სამი თანხმოვნისაგან" ([285], 430). საუბარია იმ ფორმებზე, რომელთაც ნამყო ძირითადში III სუბიექტური პირის ნიშნად მხოლობით რიცხვში -ო მოუდით: ზღ-ო, და-რგ-ო, ა-ა-გ-ო, ა-ქ-ო, გადა-ა-გდ-ო, ა-ვნ-ო, და-ი-პყრ-ო, მი-ა-სწრ-ო და სხვანი. ამრიგად, ამ ფორმათა სტრუქტურულ ნიშნად ფუძის უმარცვლობა გამოიყო. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ფუძის უმარცვლობის აღნიშვნა ამ შემთხვევაში საკმარისი არ არის: უმარცვლოა და-ი-პყრ-ა, ი-ცნ-ა, გა-თბ-ა, გა-ს-დ-ა ფორმებში დამოწმებული ფუძე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, III სუბიექტური პირის ნიშნად -ა ფორმანტი აქვთ. დამატებით აქ აუცილებელი ყოფილა I და II პირების ჩვენების გათვალისწინება: ფორმებს, რომელთაც I და II პირებში -ე სუფიქსი აქვთ, III პირში -ო ექნებათ პირის ნიშნად, ხოლო I და II პირებში უნიშნოდ (ან -ი ნართაულით) წარმოდგენილი ფორმები III პირში -ა ფორმანტს იგუებენ. არის შეხედვის შემთხვევები, მაგრამ ეს ჯერჯერობით დაფიქსირებული ფაქტია ([269ა], 35—38). ამის მიხედვით ორი ამგვარად გამიჯნული სისტემა გვექნება:

	ერთ შემთხვევაში:	მეორე შემთხვევაში:
ნამყო ძირითადი:	და-ვ-ი-პყარ-/ი/	და-ვ-ი-პყრ-ე
	და-ი-პყარ-/ი/	და-ი-პყრ-ე
	და-ი-პყრ-ა	და-ი-პყრ-ო.

ერთი წყების ზმნებში ეგ დაპირისპირება თანამიმდევრულადაა გატარებული, ამ რიგისა უნდა იყოს სწორედ სხვაობა მი-ვ-ა-სწარ — მი-ვ-ა-სწრ-ე, ვ-ი-გრძენ — ვ-ი-გრძნ-ე, მო-ვ-რწყ-ი — მო-ვ-რწყ-ე ფორმებს შორის, რაც კანონზომიერად იძლევა III პირში განსხვავებას პირის ნიშნების მიხედვით: მი-ა-სწრ-ა — მი-ა-სწრ-ო, ი-გრძნ-ა — ი-გრძნ-ო, მო-რწყ-ა — მო-რწყ-ო. სწორედ ამან დაბადა ზემოთ უკვე გამოთქმული ეჭვი, ხომ არ უნდა ვივარაუდოთ ამის საფუძველზე ოდინდელი ნამყო ძირითადისათვის (უკეთ: ამჟამინდელი ნამყო ძირითადის არქეტიპისათვის) იმთავითვე ორი ფუნქციურად დაპირისპირებული ფორმობრივი სისტემის არსებობა. ყოველ შემთხვევაში, ზმნათა ერთი ნაწილისათვის ეს კითხვა უთუოდ დაისმის. ამჯერად კი იმის თქმა შეგვიძლია, რომ მართლაც გვქონია სამიმართებო დეტერმინაცია, ურთიერთშეპირობებულობა ფორმანტებისა როგორც ნამყო ძირითადსა და II კავშირებითში, ასევე თვით ნამყო ძირითადის სხვადასხვა პირის ფორმებს შორის.

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა ამა თუ იმ ფორმაში რომელიმე ფორმანტის არსებობა შეპირობებულია იმით, თუ რა დანიშნულებისად გაიგება მისი შემადგენელი ელემენტები. ამ თვალსაზრისით ღირსაცნობია ფორმები:

ე-ლოდ-ე-ს
ე-ლოდ-ო-ს

ჩვენ განგებ არ დავანაწევრეთ ამ ფორმებში წარმოდგენილი ლოდ- ელემენტი, რადგან სწორედ -ე და -ო სუფიქსებიდან ამოსვლით უნდა მოხდეს მისი სეგმენტირება. საქმე ისაა, რომ ორივე ფორმა კავშირებითია, მაგრამ, აშკარაა, სხვადასხვა სისტემის კავშირებითი: -ე სუფიქსი I კავშირებითის ნიშანია, -ო სუფიქსი II კავშირებითისა. სწორედ ეს განაპირობებს ლოდ- მონაცემის ნაირგვარ დანაწევრებას: პირველ შემთხვევაში იგი წარმოგვიდგება როგორც ე-ლ-ოდ-, სადაც -ოდ უწყვეტლის ფორმანტია, მეორე შემთხვევაში როგორც ე-ლოდ-, სადაც -ოდ მონოლითური ფუძის შემადგენელ ელემენტად გაიგება. მიზეზი ამისა თვით ამ ფორმის თავისებურებაა: უწყვეტლის ფუძეს სიტყვათწარმოებითი ღირებულება მოუპოვებია და ვნებითის ფორმას დასდებია საფუძვლად:

	I სისტემა: („საშუალი“)	II სისტემა: (ვნებითი)
აწმყო:	ე-ლ-ი-ს	
უწყვეტ.:	ე-ლ-ო-დ-ა—	აწმყო: ე-ლოდ-ებ-ა უწყვეტ.: ე-ლოდ-ებ-ოდ-ა

ამრიგად, ერთი ფუძის სხვადასხვა პარადიგმის ბაზაზე ორი ფორმა და, შესაბამისად, ორი ფორმობრივი სისტემა ჩამოყალიბდა. ეს ორი ფორმა ნაირგვარად სეგმენტირდება და ნაირგვარად იუღლის. სეგმენტირება, ე. ი. ის, თუ რად გაიგება მისი შემადგენელი ელემენტები, უშუალოდ განაპირობებს უღლილების ტიპს:

აწმყო:	ე-ლ-ი-ს	ე-ლოდ-ებ-ა
უწყვეტელი:	ე-ლ-ოდ-ა	ე-ლოდ-ებ-ოდ-ა
I კავშირ.:	ე-ლ-ოდ-ე-ს	ე-ლოდ-ებ-ოდ-ე-ს
ნამყო ძირ.:	—	/და/-ვ-ე-ლოდ-ე
	—	/და/-ე-ლოდ-ე
	—	/და/-ე-ლოდ-ა
II კავშირ.:	—	/და/-ვ-ე-ლოდ-ო
	—	/და/-ე-ლოდ-ო
	—	/და/-ე-ლოდ-ო-ს

II სერიის პარადიგმებში იმიტომ მოვიტანეთ სამივე პირის ფორმები, რომ ნათლად წარმოჩენილიყო ზემოთ უკვე აღნიშნული: ნამყო ძირითადის I და II პირებში დამოწმებული -ე სუფიქსი განაპირობებს II კავშირებითის ნიშნად -ო ფორმანტის არსებობას.

მაშასადამე, ე-ლ-ოდ-ა უწყვეტელია და იმავე რიგის ფორმა, რაც უ-ხარ-ოდ-ა, ხოლო ე-ლ-ოდ-ე-ს მასზე დაფუძნებული I კავშირებითი. შესაბამისად, /და/-ე-ლოდ-ა ნამყო ძირითადია და იმავე რიგის ფორმა, რაც და-ე-ლაპარაკ-ა (ის მას) — ფორმობრივად ან და-უ-ცად-ა (მან მას) — ფუნქციურად, ხოლო /და/-ე-ლოდ-ო-ს მასზე დაფუძნებული II კავშირებითია. -ოდ პირველ შემთხვევაში უწყვეტლის ფორმანტია, მეორე შემთხვევაში ფუძის გამოუყოფელი ელემენტი. ე-ლ-ოდ-ე-ს სტრუქტურულად იგივეა, რაც უ-ხარ-ოდ-ე-ს, ე-ლოდ-ო-ს იგივე, რაც უ-ცად-ო-ს. ეს რომ მართლაც ასეა, ამას შესაბამისი მრავლობითის ფორმებიც აშკარად წარმოაჩენენ:

ე-ლ-ოდ-ე-ს — ე-ლ-ოდ-ნენ,
მაგრამ:
ე-ლოდ-ო-ს — ე-ლოდ-ო-ნ.

ასე რომ, არა შემთხვევითი შენაცვლება, არა ანალოგია, არამედ თანამიმდევრული დეტერმინაცია, მკაცრი კანონზომიერება.

ქართულში დამოწმებულია უწყვეტლის პარალელური ფორმები:

უ-წყ-ი-დ-ა — უ-წყ-ოდ-ა
ცრ-ი-დ-ა — ცრ-ოდ-ა („აგრგვინდა ცა და ღრუბელნი ცროდეს ბროლისა ცვარითა“, „ვეფხისტყაოსანი“, სტროფ. 1329)
და-ჰ-ნათ-ი-დ-ა — და-ჰ-ნათ-ოდ-ა
(„ერთადერთი ვარსკვლავი,
მეტად ბრწყინვალე. ზედ დაჰნათიდა“, [294], 20).

ანალოგიურ პარალელიზმს გვიჩვენებენ ეს ფორმებიც:

ე-ძახ-დ-ა — ე-ძახ-ოდ-ა
ე-რჩ-დ-ა — ე-რჩ-ოდ-ა
ს-წად-დ-ა — სწად-ოდ-ა
სურ-დ-ა — სურ-ოდ-ა („რამეთუ სუროდა მარტკლობად ქრისტესთჳს“, [280], 227).

პირველი რიგის ფორმებში განსხვავების მიზეზად ფუნქციური საფუძველი უნდა მივიჩნიოთ: მოქმედებითებთან სემანტიკურად გატოლებული ფორმები უწყვეტელში -ი-დ დაბოლოებას გვიდასტურებენ, „საშუალის“ ფუნქციით გამოყენებული ფორმები -ოდ დაბოლოებას („ცრ-ი-დ-ა დიასახლისი ფქვილს“, მაგრამ: „ცრ-ოდ-ა წვიმა“).

რაც შეეხება მეორე რიგის ფორმებს, აქ სამიმართებო დეტერმინაციის გამოვლინებასთან უნდა გვქონდეს საქმე: მათი სტრუქტურა უშუალოდაა შეპირობებული აწმყოსეულ ფორმათა ჩვენებით: -ოდ სუფიქსიანები აწმყოში -ი სუფიქსს ვარაუდობენ, -დ სუფიქსიანები — -ი სუფიქსის უქონლობას; -ოდ იმთავითვე ვარაუდობს ამოსავალ ფუძეში -ი-ს თანაპოვნიერებას ([290], 56). ამისდა კვალობაზე, ზემოხსენებული ფორმებისათვის აწმყოს ოდინდელ პარალელურ ფორმებად ივარაუდება·

*ე-ძახ-ს — ე-ძახ-ი-ს
*ე-რჩ-ს — ე-რჩ-ი-ს
*ს-წად-ს — ს-წად-ი-ს (ახლა: ს-წად-ი-ა)
სურ-ს — სურ-ი-ს
(„ეძიებს, რომელსა სურის მისსა“, [279], 57).

აწმყოში -ი სუფიქსის მქონებლობა-უქონლობა რომ მართლაც შეიძლებოდა ყოფილიყო პარალელური ფორმების არსებობის საფუძველი, მეტიც: ფუნქციური დაპირისპირების უნარიც კი ჰქონდა, ამას ამჟამად მოქმედი ფორმები გვიდასტურებენ:

ს-ჭირ-ს — ს-ჭირ-ი-ა (ახლა ცვლის: ს-ჭირ-დ-ებ-ა)

ამ ფორმებს უწყვეტლის შესაბამისი ფორმები მოეპოვება: ს-ჭირ-დ-ა — ს-ჭირ-ოდ-ა.

-ი და -ოდ ფორმანტების ამგვარი სამიმართებო დეტერმინაცია თანამიმდევრულადაა გატარებული ქართული ზმნის უღლილების სამსავე სერიაში: იქ, სადაც -ოდ გვაქვს, საწყის ფორმაში უთუოდ -ი გვექნება (თუმცა არა პირიქით: -ი თავის მხრით ყოველთვის არ ვარაუდობს -ოდ ფორმანტის არსებობას):

I სერია: ქრ-ი-ს — ქრ-ოდ-ა, კრთ-ი-ს — კრთ-ოდ-ა, მღერ-ი-ს — მღერ-ოდ-ა, ი-ცინ-ი-ს — ი-ცინ-ოდ-ა: ვ-ი-მალ-ებ-ი — ვ-ი-მალ-ებ-ოდ-ი, ვ-თბ-ებ-ი — ვ-თბ-ებ-ოდ-ი...

II სერია: წა-ვიდ-ი-ს — წა-ვიდ-ოდ-ა (ვედ-‖ვიდ- აშკარად II სერიის ფუძეა), აღ-ი-ღ-ი-ს — აღ-ი-ღ-ოდ-ა, და-ი-ბან-ი-ს — და-ი-ბან-ოდ-ა ([290], 60-61).

ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიების პარალელურ ნუსხებში ერთმანეთის გვერდითაა დამოწმებული როგორც I, ასევე II სერიების ფუძეებისაგან ნაწარმოები -ოდ სუფიქსიანი ფორმები:

დღეთა მათ შაბათთასა განეღოდის და დღესა თთუსთავისასა განეღოდის.	დღესა შინა შაბათთასა განეღებოდის და დღესა ახალთთუსასა განეღებოდის ([271], 175).

განეღოდის II სერიის ფუძეს (განეღი-ს) ემყარება, განეღებოდის — I სერიის ფუძეს (განეღებ-ს).

III სერია (ორპირიანი გარდაუვალი ზმნები): დასწერია — დასწეროდა, გასდრეკია — გასდრეკოდა, დასცემია — დასცემოდა, დასცლია — დასცლოდა, გასწყდომია — გასწყდომოდა...

ზოგიერთ შემთხვევაში ახალი ქართული ერთგვარად თითქოს გვერდს უვლის ხსენებულ ურთიერთმიმართებას, ამის შედეგია:

აწმყო:	კმარ-ა	ს-ტკივ-ა	ს-ცივ-ა
უწყვეტელი:	კმარ-ოდ-ა	ს-ტკი-ოდ-ა	ს-ცი-ოდ-ა

უწყვეტელში -ოდ არის, მაგრამ აწმყო -ი ფორმანტის გარეშე არის წარმოდგენილი.

ს-ტკივ-ა ძველ ქართულში წარმოდგენილი იყო როგორც ს-ტკივ-ი-ს ([281], 80).

„კმარა“ — წარმოშობით შედგენილი შემასმენელია, შემდეგ გაზმნურებული, ამოსავალია: კმა არის—კმარის, ეს უკანასკნელი ახალ ქართულში კმარ-ა ფორმამ შეცვალა ([285], 530). ამრიგად, ძველ

ქართულში, გაზმნურების შემდეგ, არ-ი-ს ზმნის დაბოლოება გაუტოლდა ს-წყურ-ი-ს, სურ-ი-ს ზმნათა დაბოლოებებს, რაზედაც შესაბამისი რეაგირება მოახდინა უწყვეტელმა. თავისთავად საინტერესო ფაქტია: არ-ი-ს||არ-ს ზმნას საკუთრივ უწყვეტელი არ მოეპოვება, რთულ ფორმაში შესულს კი ამის უნარი აღმოაჩნდა, მართალია, მხოლოდ გადააზრიანების შედეგად.

ს-ცივ-ა ასევე შედგენილი შემასმენელია წარმოშობით (ცივ არს), შემდეგ გაზმნურებული ([285], 528—529), რამაც შესაძლებლობა მისცა მას ს-ტკივ-ა ტიპის ზმნათა უღელილების სისტემაში მოქცეულიყო.

მაგრამ ფაქტი მაინც აშკარაა: ძველი ქართულისათვის მკაცრად თანამიმდევრული შეპირობებულობა ახალი ქართულისათვის აღარ აღმოჩნდა განუხრელად აუცილებელი, რამაც ზოგიერთ შემთხვევაში ფორმათა გადასხვაფერება გამოიწვია. გარდა ზემოხსენებული მაგალითებისა, ამაზე მეტყველებს ვნებითის III პირის ფორმები აწმყოში; იყო: ი-მალ-ებ-ი-ს — ი-მალ-ებ-ოდ-ა, არის: ი-მალ-ებ-ა — ი-მალ-ებ-ოდ-ა.

ცნობილია, რომ -ი სუფიქსიან სტატიკურ ზმნათა ერთ ნაწილს ქართულში არ მოეპოვება უწყვეტელი (და ამ უკანასკნელზე დაფუძნებული I კავშირებითი), რომლის მაგივრობას გარკვეულად სწევენ ეპრეფიქსიან ვნებითთა ყალიბით ნაწარმოები ფორმები ნამყო ძირითადისა: ს-წერ-ი-ა, მაგრამ: ე-წერ-ა, ს-თეს-ი-ა — ე-თეს-ა, ჰ-კიდ-ი-ა — ე-კიდ-ა, უ-პყრ-ი-ა — ე-პყრ-ა, ჰ-გონ-ი-ა — ე-გონ-ა და სხვანი.

ახალ ქართულში იქმნება ერთი შეხედვით წინააღმდეგობრივი მდგომარეობა: ერთი და იმავე ყალიბის მქონე ფორმები სავსებით განსხვავებულად იუღლიან, შდრ.:

აწმყო: ს-წერ-ი-ა	ს-წყურ-ი-ა
უწყვეტელი:	ს-წყურ-ოდ-ა
I კავშირ.:	ს-წყურ-ოდ-ე-ს
ნამყო ძირ.: ე-წერ-ა	
II კავშირ.: ე-წერ-ო-ს	

ამჟამინდელი სტატუსი ამ ორი ზმნისა აწმყოში ფორმობრივ იდენტურია, მაგრამ იდენტური სტატუსი არ ნიშნავს იდენტურ გენეზისსაც. ის, რაც ახლა ერთგვაროვანია, ძველ ქართულში განსხვავებული იყო, ამოსავალი სტატუსი ამ ორი ფორმისა ნაირგვარია: შესაბამისად, ხაირგვარია ამ ფორმებში დამოწმებული -ი სუფიქსის სტატუსიც.

ძველი ქართულის მიხედვით ამ ზმნათა უღელილება ასე წარმოგვიდგებოდა:

აწმყო:	ს-წერ-ი-ე-ს	ს-წყურ-ი-ს
უწყვეტელი:		ს-წყურ-ოდ-ა
I კავშირ.:		ს-წყურ-ოდ-ი-ს
ნამყო ძირ.:	ე-წერ-ა	
II კავშირ.:	ე-წერ-ო-ს	

ს-წერ-ი-ე-ს ტიპის ფორმები რელატიური ზმნების I თურმეობითთან პოულობენ ფორმობრივ ანალოგიას (შდრ.: და-უ-წერ-ი-ე-ს), ს-წყურ-ი-ს ტიპის ფორმები — ტირ-ი-ს, ჩივ-ი-ს, ე-რჩ-ი-ს, ი-ცინ-ი-ს და მისთანა ზმნებთან.

ამრიგად, ამოსავალი სტატუსის გათვალისწინებამ გაარკვია სხვაობის ძიხეზი. გაერთფორმიანების ტენდენცია აშკარაა. ეს პროცესი ზოგიერთ სხვა სტრუქტურის მქონე ზმნასაც შეეხო: უ-ძლ-ავ-ს — შე-უ-ძლ-ი-ა, ჰ-კიდ-ავ-ს — ჰ-კიდ-ი-ა...

ამის საფუძველზე ერთადერთი დასკვნა გაკეთდება: -ი და -ოდ ფორმანტებს შორის დამოწმებული სამიმართებო დეტერმინაცია იმთავითვე მკაცრად განსაზღვრულ კანონზომიერებას ქმნიდა და შემთხვევით მსგავსებას, როგორც წესი, არ ითვალისწინებდა. ამიტომაცაა, ს-წერ-ი-ა ფორმის -ი და ს-წყურ-ი-ა ფორმის -ი ნაირგვარ რეფლექსს რომ იძლევა.

-ი ფორმანტს ანალოგიური მიმართება ახასიათებს -ოლ და -ომ ფორმანტებისადმიც. -ოდ ფორმანტის მსგავსად, -ოლ და -ომ ფორმანტებიც იმთავითვე ვარაუდობენ ამოსავალ ფორმაში -ი სუფიქსის პოვნიერებას: ზემოხსენებული სამი ფორმანტი ამ მხრივ ერთ რიგს ქმნის·

რბ-ი-ს — რბ-ოდ-ა — რბ-ოლ-ა
ქრ-ი-ს — ქრ-ოდ-ა — ქრ-ოლ-ა
ხტ-ი-ს — ხტ-ოდ-ა — ხტ-ომ-ა
კრთ-ი-ს — კრთ-ოდ-ა — კრთ-ომ-ა

-ოლ და -ომ ზოგჯერ ერთმანეთის მონაცვლედ გვევლინება: კრთ-ომ-ა||კრთ-ოლ-ა (შდრ. „ვეფხისტყაოსანში“: „უთხრა: არ გიშლი, დიაცო, ფერთა მი და მო კრთოლასა“, სტროფ. 1100ე). ფუნქციური სხვაობა მათ შორის არ ჩანს, ყოველ შემთხვევაში, ამჟამად რაიმე ხელშესახები ნიშანი ამისთვის არა გვაქვს, დეტერმინაცია წმინდა ფორმობრივი ჩანს: კრთ-ომ-ა — კრთ-ოლ-ა — გან-კრთ-ობ-ა ერთი და იმავე ფუნქციის გადმოსაცემად გამოყენებულ სხვადასხვა ფორმობრივი სისტემის კუთვნილ მონაცემებად უნდა მივიჩნიოთ, ოღონდ

იმ პირობით, რომ -ოლ, -ომ ფორმანტები სამიმართებო დეტერმინაციით არიან დაკავშირებული ამოსავალ ფორმაში სავარაუდო -ი ფორმანტთან.

კრთ-ომ-ა, კრთ-ოლ-ა ფორმებში -ოლ, -ომ ელემენტები ისევე არ არის მასდარის მაწარმოებლები, როგორც -ობ გან-კრთ-ობ-ა ფორმაში. სამივე მონაცემი ფუძისეულია, მასდარის ფორმანტად მარტოოდენ -ა სუფიქსი ივარაუდება ([289], 516).

აღნიშნული კანონზომიერება გადაწყვეტს იმ ფორმათა საკითხსაც, რომელთაც -ოლ ან -ომ მასდარში კი უდასტურდებათ, მაგრამ ამოსაველად ნაკარაუდევ ფორმაში -ი სუფიქსი აღარ უჩანთ: -ი სუფიქსი აქაც უნდა ყოფილიყო. მაგალითად, ყარ-ს — ყრ-ოლ-ა მიმართება გულისხმობს *ყრ-ი-ს (მნიშვნელობით „ყარს“) ფორმის რეალურობას. ძველ ქართულში ყრ-ოდ-ა ფორმაც არის დამოწმებული და ესეც მრავლისმთქმელია. თუ ვარაუდი სწორია, მაშინ ყარ-ს — *ყრ-ი-ს იმავე რიგის დაპირისპირება უნდა ყოფილიყო, რაც ს-წად-ს — ს-წად-ი-ს.

დგ-ომ-ა, სხდ-ომ-ა, წ-ოლ-ა, შესაბამისად, დგ-ი-ს, სხდ-ი-ს, წე-ი-ს ფორმების არსებობას გვაგულვებინებენ. ჯდ-ი-ს ბორჯომის ხეობის ქართლურში დამოწმებული ფორმაა, რომელსაც კანონზომიერი შესატყვისი მოეპოვება: ჯდ-ომ-ა.

ძველ ქართულში დადასტურებული (და ზემოთ უკვე ნახსენები) სა-თხრ-ოლ-ი (სა-თხრ-ელ-ი), სა-ფრთხ-ოლ-ი (სა-ფრთხ-ობ-ელ-ა) ფორმები *თხრ-ოლ-, *ფრთხ-ოლ- ფუძეებს ვარაუდობენ ამოსავლად, ორივე შემთხვევაში შესაბამისი ზმნაცაა წარმოდგენილი -ი სუფიქსით: თხრ-ი-ს, ფრთხ-ი-ს (უ-ფრთხ-ი-ს).

*ფრთხ-ოლ- ფუძე ფრთხ-ილ- ფუძესთან მიმართების გარკვევას საჭიროებს. ეს კი, როგორც დავინახავთ, გენეტური და სამიმართებო დეტერმინაციების ურთიერთდამოკიდებულების პრობლემასთან აღმოჩნდება უშუალოდ დაკავშირებული.

ფრთხ-ი-ს→ფრთხ-ი-ლ-ი გენეტური დეტერმინაციის ნიმუშია, ფრთხ-ი ფუძე ამოსავალია ფრთხ-ი-ლ ფუძისათვის, პირველი შეაპირობებს მეორის არსებობას ([288], 65, 220—223).

ფრთხ-ი-ს — *ფრთხ-ოლ-ა, ისევე როგორც ფრთხ-ოდ-ა, სამიმართებო დეტერმინაციის ნიმუშად დაისახა ზემოთ.

ამრიგად, დეტერმინირებულია როგორც ფრთხ-ი-ლ-ი, ასევე *ფრთხ-ოლ-ა და ფრთხ-ოდ-ა ფორმები, პირველი—წარმოქმნის თვალსაზრისით, მეორე — მიმართების თვალსაზრისით, პირველი გენეტური დეტერმინაციის ნიმუშია, მეორე — სამიმართებო დეტერმინაციისა:

ფრთხ-ი-ს—ფრთხ-ი-ლ-ი
ფრთხ-ოდ-ა
*ფრთხ-ოლ-ა.

შევნიშნავთ: ვარაუდობენ -ოლ, -ოდ ფორმანტისეული -ო ელემენტის ფუძისეულ წარმომავლობას, თანაც -ო ფონეტიკური ცვლილების შედეგად მიიჩნევა. თუ ასეა, მაშინ აქაც გენეტურ დეტერმინაციასთან გვქონია საქმე. მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ თვალსაზრისით სავარაუდო ფორმათა ნაწილში თეორიულად დაშვებული პროცესის კვალი წაშლილია, ხოლო ამ სუფიქსებით გაფორმებულ ფორმათა უმეტეს წილში ხსენებული ფორმანტები აშკარად დაუშლელ მონაცემებადაა გაგებული, რომლებიც კანონზომიერად ენაცვლებიან -ი ფორმანტს. ამიტომაც ამჯერად სწორედ სამიმართებო დეტერმინაცია უნდა ვიგულვოთ აქ.

ზემოთ საუბარი გვქონდა ისეთ შემთხვევებზე, როცა -ი დამოუკიდებლივ წარმოდგენილი მონაცემი იყო, -ო კი თანხმოვანთან ერთად გამოიყენებოდა: -ოლ, -ომ, -ოდ, -ობ. გვაქვს სამიმართებო დეტერმინაციის ისეთი შემთხვევებიც, როცა საპირისპირო ვითარებაა დამოწმებული: -ო დამოუკიდებლივ არის წარმოდგენილი, -ი კი თანხმოვნით ელემენტთან ერთად:

თბ-ილ-ი — სი-თბ-ო
ტკბ-ილ-ი — სიტკბ-ო
ჩჩვ-ილ-ი — სი-ჩჩ-ო
ლბ-ილ-ი — სი-ლბ-ო
მსხვ-ილ-ი — სი-მსხ-ო

რასაკვირველია, ისტორიული თვალსაზრისით ოდინდელი ვითარება შესაძლებელია სულ სხვაგვარი ყოფილიყო: -ილ იშლება: -ი-ლ, სადაც -ი ზმნური ფუძიდან გადმოსულად ითვლება (იხ. ზემოთ) და მაშინ უძველესი მიმართება -ი და -ო ფორმანტებს შორის გვქონია, თანაც ჩჩვ-, მსხვ- ფუძეებში წარმოდგენილი ბოლოკიდური -ვ დასაშვებს ხდის ვარაუდს -ო ფორმანტის მეორეულ წარმომავლობაზე, როგორც ფონეტიკური გარდაქმნის შედეგზე.

ალბათ ინტერესს მოკლებული არ იქნება ამასთან დაკავშირებით აღინიშნოს ერთი კანონზომიერება, რომელიც, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ უნდა იყოს: -ილ ფორმანტი -ო ფორმანტს მიემართება, იმავე ფუნქციის მქონე ფორმებში გამოვლენილი -ელ ფორმანტი კი თანაბრად გვიდასტურებს -ე ფორმანტთან მიმართებას:

თბ-ილ-ი — სი-თბ-ო, მაგრამ: თხ-ელ-ი — სი-თხ-ე
ტკბ-ილ-ი — სი-ტკბ-ო, მაგრამ: ბრტყ-ელ-ი — სი-ბრტყ-ე

ლბ-ილ-ი — სი-ლბ-ო, მაგრამ: გრძ-ელ-ი — სი-გრძ-ე
მსხვ-ილ-ი — სი-მსხ-ო, მაგრამ: ცხ-ელ-ი — სი-ცხ-ე
ჩჩვ-ილ-ი — სი-ჩჩ-ო, მაგრამ: ვრც-ელ-ი — სი-ვრც-ე

გვაქვს განსხვავებული ვითარებაც: კეთ-ილ-ი, მაგრამ: სი-კეთ-ე (და არა მოსალოდნელი: *სი-კეთ-ო). იქნებ მართლაც იმიტომ, რომ კეთ- ფუძე -თ თანხმოვანზე ბოლოვდება და, ამდენად, მომდევნო -ე ხმოვანს ფონეტიკური ცვლილების პირობა-საფუძველი არა აქვს? შესაძლებელია, მაგრამ ამჯერად ორი განსხვავებული სისტემა თანაბიმდევრულად წარმოდგენილი ჩანს და წმინდა ფონეტიკურ ახსნას აშკარად ვერ დაექვემდებარება.

როგორც -ილ, ასევე -ელ ფორმანტებით წარმოებული ფუძეები, როგორც ჩანს, ნაზმნარია. ზოგიერთ შემთხვევაში დღესაც ხერხდება შესაბამისი ზმნის დამოწმება:

თბ-ილ-ი, შდრ.: გან-თბ-ა (ძვ. ქართ.: გან-ტფ-ა)
ტკბ-ილ-ი, შდრ.: და-ტკბ-ა
ლბ-ილ-ი, — და-ლბ-ა
ჩჩვ-ილ-ი, — აღ-ე-ჩჩვ-ი-ს ([288], 47),

ამავე რიგისაა:

გრძ-ელ-ი, შდრ.: გან-ა-გრძ-ო
ვრც-ელ-ი, შდრ.: გან-ა-ვრც-ო

იხ. აგრეთვე:

ხმ-ელ-ი — გა-ხმ-ა (ძვ. ქართ.: გან-ჯმ-ა)
სვ-ელ-ი — ძვ. ქართ.: სუ („სვ-ი").

აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში -ილ და -ელ ნაზმნარ სახელთა მაწარმოებელი სუფიქსებია, იგივეა, რაც მიმღეობებში დღესაც ხშირად ხმარებული -ილ და -ელ: და-წერ-ილ-ი, და-ლბ-ობ-ილ-ი; მ-წვ-ელ-ი (და-სა-წვ-ელ-ი, და-უ-წვ-ელ-ი), გა-მ-თბ-ობ-ელ-ი...

-ილ ახლაც პრეფიქსის გარეშე გვხვდება, -ელ ფორმანტს კი, როგორც წესი, პრეფიქსიც ახლავს: მ-წვ-ელ-ი, და-სა-წვ-ელ-ი, და-უ-წვ-ელ-ი (მ-, სა-, უ- პრეფიქსები აუცილებელია ამ ტიპის ფორმებში).

გრძ-ელ-ი, ცხ-ელ-ი, ვრც-ელ-ი, ხმ-ელ-ი, სვ-ელ-ი ფორმებმა უძველესი ვითარება შემოგვინახეს, როცა -ელ ფორმანტიც პრეფიქსის გარეშე მოქმედებდა ფორმაში. ამ ტიპის -ელ სუფიქსიან ფორმათა უძველესობაზე ისიც მიუთითებს, რომ საყრდენად მარტივი, ნამყო ძირითადის ფუძეა აღებული და არა თემის ნიშნებით გართულებული, აწმყოს პარადიგმისა.

-ილ და -ელ ფორმანტებს ამჟამად რაიმე ფუნქციური დამაპირის-

პირებლის სტატუსი არ უჩანთ. მართალია, და-მ-წერ-ელ-ი და და-წერ-ილ-ი გვარების მიხედვით უპირისპირდება ერთმანეთს, პირველი მოქმედებითია, მეორე ვნებითი, მაგრამ მოქმედებითობის ფუნქცია უთუოდ მ- პრეფიქსს უკავშირდება, რადგან სა-, უ- პრეფიქსების გამოყენებისას იმავე -ელ სუფიქსით ნაწარმოები და-სა-წერ-ელ-ი, და-უ-წერ-ელ-ი ფორმები ვნებითის ფუნქციას გამოხატავენ.

ამჯერად ხსენებულ ფორმანტებს შორის თუნდაც ოდინდელ ფუნქციურ სხვაობაზე რაიმეს დაბეჯითებით თქმა გაჭირდება, ერთი რამ კი უთუოდ ღირსაცნობია: ესაა აშკარად ნაირგვარი ფორმობრივი მიმართება ამოსავლად ნავარაუდევ ფუძესთან, იგულისხმება ამოსავალი ფუძის ნაირგვარი სტრუქტურა: -ილ სუფიქსიანი აშკარად უპირატესობას ანიჭებს -ი სუფიქსიან ზმნურ ფუძეებს (ამიტომაც გამოყოფენ -ილ ფორმანტში -ი ელემენტს როგორც ზმნური ფუძის კუთვნილებას). ამის საპირისპიროდ, -ელ სუფიქსი სულ სხვა სტრუქტურის ფუძეებთან დამოკიდებულებას გულისხმობს. იგი ან ჩაენაცვლება ზმნის ფუძისეულ ფორმანტს ან უშუალოდ მიერთვის და განავრცობს ზმნურ ფუძეს, მაგრამ ყველა შემთხვევაში ეს ფუძე -ი სუფიქსის გარეშეა წარმოდგენილი:

ა) -ელ სუფიქსი ჩაენაცვლება (ცვლის) ზმნურ ფორმანტს:

ფანტ-ავ-ს — ფანტ-ელ-ი
ყინ-ავ-ს — ყინ-ელ-ი
წნ-ავ-ს — წნ-ელ-ი
ს-ცხ-ავ-ს — ცხ-ელ-ი
*ფიცხ-ავ-ს —ფიცხ-ელ-ი
ქს-ოვ-ს — ქს-ელ-ი
ხერ-ეტ-ს — ხერ-ელ-ი

ბ) -ელ სუფიქსი დაერთვის (განავრცობს) ზმნურ ფუძეს:

წუხ-ს→წუხ-ელ-/ი/
წით-ს→წით-ელ-ი
წკეპ-ს→წკეპ-ელ-ი (→წკეპ-ლ-ა)
*წიფ-ს→წიფ-ელ-ი
*ნათ-ს→ნათ-ელ-ი
უ-ძნ-ს→ძნ-ელ-ი

(დამორწმებულია ძნ-ავ-ს ფორმაც, იხ.: [288], 37. ძნ-ელ-ი ფორმა, შესაძლოა, მასაც დავუკავშიროთ).

შდრ. ამათ -ილ სუფიქსიანი ფორმები:

აღ-ე-ჩჩ-ი-ს→ჩვ-ი-ლ-ი
გან-ტფ-ი-ს→ტფ-ი-ლ-ი (→თბ-ილ-ი)
და-ტკბ-ი-ს→ტკბ-ი-ლ-ი...

როგორც ჩანს, -ელ და -ილ სუფიქსები ერთი და იმავე ფუძის სხვადასხვა პარადიგმს ვარაუდობდნენ ამოსავლად. ეს პარალელური ფორმების არსებობის შესაძლებლობას იძლეოდა.

წუხ-ს→წუხ-ელ, მაგრამ: *წუხ-ი-ს→წუხ-ი-ლ-ი ([288], 222).
წნ-ავ-ს→წნ-ელ-ი, მაგრამ: *წნ-ი-ს→წნ-ი-ლ-ი

თუკი ჭრ-ელ-ი მართლაც ჭრ-ა ფუძეს უკავშირდება ([296], 104—105), მაშინ ყურადღებას მიიქცევს შემდეგი მიმართებაც:

ჭრ-ელ-ი — ჭრ-ილ-ი,

რომელთაგან ჭრ-ილ-ი ამოსავლად ვარაუდობს ჭრ-ი-ს ზმნას, დასაძებნია ჭრ-ელ-ი ფორმისათვის საყრდენი ზმნა.

ქართულში უკვე არაპროდუქტიულია ნაზმნარ სახელთა წარმოების ზემოხსენებული პრინციპი. ამიტომაც იქ, სადაც ძველი წარმოებაცაა შემორჩენილი, ერთგვარი სემანტიკური დაპირისპირება შეინიშნება ამჟამად გავრცელებული პრინციპით ნაწარმოებ ფორმებთან. იმავდროულად აქაც გვაქვს გენეტური და სამიმართებო დეტერმინაციის თავისებური „გადაჯაჭვის“ შემთხვევები:

ფანტ-ავ-ს და ფანტ-ელ-ი სამიმართებო დეტერმინაციით დაკავშირებული ფორმებია, ფანტ-ავ-ს და და-ფანტ-ულ-ი კი — გენეტური ურთიერთდამოკიდებულების ნიმუშს წარმოადგენს: პირველი საფუძვლად ედება მეორე ფორმის წარმოებას.

ამავე რიგისაა:

ყინ-ავ-ს — ყინ-ელ-ი, მაგრამ: ყინ-ავ-ს — ყინ-ულ-ი
წნ-ავ-ს — წნ-ელ-ი, მაგრამ: წნ-ავ-ს — წნ-ულ-ი
ქს-ოვ-ს — ქს-ელ-ი, მაგრამ: ქს-ოვ-ს — ქს-ოვ-ილ-ი
ხვრ-ეტ-ს — სერ-ელ-ი, მაგრამ: ხვრ-ეტ-ს — გა-ხვრ-ეტ-ილ-ი.

შევნიშნავთ: თბ-ილ-ი და გა-ხვრ-ეტ-ილ-ი, ქს-ოვ-ილ-ი ფორმებში დამოწმებული -ილ ელემენტები, რასაკვირველია, ერთ დონეზე ვერ ღაღაგება: ფორმათწარმოების სავსებით განსხვავებულ პრინციპებს ექვემდებარებიან (სავსებით განსხვავებული ქმედება აქვთო, ვიტყოდით სხვაგვარად; იხ. ქვემოთ). ამიტომაც თბ-ილ-ი ფორმის -ილ შეიძლება წნ-ელ-ი ფორმის -ელ ფორმანტთან ერთ სიბრტყეზე დავაყენოთ, მაგრამ ვერცერთს ვერ განვიხილავთ გა-ხვრეტ-ილ-ი, ქს-ოვ-ილ-ი ფორმებში გამოვლენილ -ილ ფორმანტთან ერთ სიბრტყეზე. ამგვარი სიბრტყეების გარჩევას არსებითი მნიშვნელობა აქვს. იგი წარმოების ნაირგვარ პრინციპს წარმოგვიჩენს ხელშესახებად, გენეტური ან არაგენეტური ურთიერთშეპირობებულობის შემთხვევებს გაგვარჩევინებს ერთმანეთისაგან. ამას კი განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს ფორმათწარმოების ტიპების დასადგენად.

გენეტური და სამიმართებო დეტერმინაციების გვერდით ფორმობრივი და ფუნქციური დეტერმინაციებიც იყო დასახელებული. უნდა განიმარტოს, რა იგულისხმება ამ ცნებებში.

ფორმობრივი დეტერმინაცია შეაპირობებს ენობრივი მონაცემის ფორმობრივი სტრუქტურის შენებას.

ფუნქციური დეტერმინაცია განსაზღვრავს ენობრივი მონაცემის ფუნქციურ სტრუქტურას.

ფორმობრივი და ფუნქციური დეტერმინაციები შეიძლება თანხვედრილი იყვნენ. ეს ნიშნავს: რომელიმე ენობრივი მონაცემი ფორმობრივადაც და ფუნქციურადაც ერთი და იმავე ამოსავალი მონაცემითაა დეტერმინირებული.

ფორმობრივი და ფუნქციური დეტერმინაციები შესაძლებელია განსხვავებულ საყრდენ მონაცემსაც ვარაუდობდნენ ერთი და იმავე ენობრივი მონაცემისათვის.

ფორმობრივი დეტერმინაციის დროს საყრდენი მონაცემის ფორმობრივი ელემენტი ან უშუალოდ გადადის წარმოებულ ფორმაში, ან უშუალოდ გადადის კიდევაც და თან მკაცრად განსაზღვრულ წევრს შემოიყვანს სტრუქტურაში, ან უშუალოდ არ გადადის ნაწარმოებ ფორმაში, მაგრამ განაპირობებს განსაზღვრული, სწორედ ამ და არა სხვა ელემენტის არსებობას:

ა) ჰ-გავ-ს — მ-ს-გავ-ს-ი, მაგრამ: ჰ-გვ-ან-ს—მ-გვ-ან-ი: მ-გვ-ან-ი ფორმაში -ან ფორმანტის არსებობა შეპირობებულია ამოსავალ მონაცემში (ჰ-გვ-ან-ს) მისი არსებობით.

ბ) ა-კეთ-ებ-ს—გა-კეთ-ებ-ულ-ი: უკანასკნელ ფორმაში -ებ ასევე გადმოსულია საყრდენი (ა-კეთ-ებ-ს) მონაცემიდან, მაგრამ იმავდროულად -ებ ფორმანტის არსებობა, თავის მხრივ, განაპირობებს მხოლოდ -ულ და არა რომელიმე სხვა ფორმანტის შემოყვანას ამ სტრუქტურაში (იხ. ზემოთ.).

გ) ი-ც-ი-ს — ი-ც-ოდ-ა: საყრდენი ფორმის -ი ფორმანტი უშუალოდ არ გადადის ნაწარმოებ ფორმაში, მაგრამ განაპირობებს ამ უკანასკნელში -ოდ ფორმანტის არსებობას. ამ შემთხვევაში, მართალია, გარკვეული მნიშვნელობა ფუნქციასაც ენიჭება: მხოლოდ სტატიკურ ან სტატიკურობასთან გატოლებულ ფორმებში იძლევა -ი რეფლექსს -ოდ ფორმანტის სახით. დინამიკურ ფორმებში იგი განსხვავებულად იქცევა.

ფუნქციური დეტერმინიზმი განაპირობებს ნაწარმოები ფორმის სემანტიკური სტრუქტურის ჩამოყალიბებას, მის იერ-სახეს ფუნქცი-

ური თვალსაზრისით, რაც უშუალოდაა განსაზღვრული საყრდენი ფორმის სემანტიკური სტრუქტურით, მისი ფუნქციური რაობით. ნათქვამის აზრი კარგად წარმოჩნდება ერთი და იმავე მნიშვნელობისათვის პარალელური ფორმების არსებობის მაგალითზე: დევ-ს და დ-ვ-ი-ა არსებითად ერთსა და იმავე მნიშვნელობას გამოხატავენ, მიუხედავად ამისა, მათ შორის ფუნქციური სხვაობაც აშკარად ხელშესახებია: დევ-ს გაიგება როგორც საკუთრივ აწმყო, დვ-ი-ა როგორც წარსულში ჩადენილი მოქმედების შედეგი აწმყოში, სხვა სიტყვებით რომ ითქვას, დევ-ს „მარტივი" აწმყოა, დვ-ი-ა — „რთული" აწმყო, პერფექტული გაგების მქონე ფორმა. მიზეზი ამისა ფორმათა მიმართებაში უნდა ვეძიოთ: დვ-ი-ა ვარაუდობს I თურმეობითის და-უ-დვ-ი-ა ფორმასთან კავშირს, იმავე რიგისა ჩანს, რაც და-უ-თეს-ი-ა — ს-თეს-ი-ა, რამაც განაპირობა კიდეც საანალიზო ფორმის სემანტიკური სტრუქტურა (იხ გვ. 180).

ფუნქციური დეტერმინიზმი ფორმანტების დონეზე ვარაუდობს ფუნქციური ეკვივალენტების (ანუ: ფუნქციური კორელატების) არსებობას. იგულისხმება: წარმოებულ ფორმაში საყრდენი მონაცემისაგან ფორმობრივ განსხვავებული, მაგრამ ფუნქციურად თანაფარდი ფორმანტების არსებობა. ამის ნიმუშები კარგადაა ცნობილი ქართული სპეციალური ლიტერატურიდან, მაგალითად:

წერ-ს — ი-წერ-ებ-ა, მაგრამ: უ-წერ-ს — ე-წერ-ებ-ა;

აშკარაა, რომ მეორე მიმართებაში ე- პრეფიქსი უ- პრეფიქსის ფუნქციური კორელატია (ფუნქციური ეკვივალენტია).

ფუნქცია ზოგჯერ ფორმობრივი სტრუქტურის დეტერმინაციასაც ახდენს. აქაც ფუნქციური ეკვივალენტების მონაცვლეობის ტენდენცია იჩენს ხშირად თავს. აი, ერთი ნიმუში ამისა: ცნობილია, მრავლობითობის -ნ და -თ მკაცრად განსაზღვრული წესით უპირისპირდება ერთმანეთს როგორც სახელად, ასევე ზმნურ ფორმებში. ამჯერად ზმნური ფორმები გვაინტერესებს.

სუბიექტის მრავლობითობის აღნიშვნის დროს -ნ და -თ ფორმანტები პირების მიხედვითაა განაწილებული: I და II პირებში -თ გვაქვს, III პირში -ნ ან -ნ ელემენტის შემცველი ფორმანტები:

აწმყო:	ვ-წერ-თ	ვ-თბ-ებ-ი-თ	ძვ. ქართ.:	ვ-დგ-ა-თ
	ს-წერ-თ	ს-თბ-ებ-ი-თ		ს-დგ-ა-თ
	წერ-ენ	თბ-ებ-ი-ან		დგ-ან-ან
II კავშირ.:	ვ-წერ-ო-თ	გა-ვ-თბ-ე-თ		ვ-დგ-ე-თ
	ს-წერ-ო-თ	გა-თბ-ე-თ		ს-დგ-ე-თ
	წერ-ო-ნ	გა-თბ-ნ-ენ		დგ-ე-ნ.

სახელობითში დასმული (ანუ: პირდაპირი) ობიექტის მრავლობითობა, რომლის აღნიშვნა წესი იყო ძველი ქართულისა (ახლა კი ზოგიერთ დიალექტშია მხოლოდ შემორჩენილი), სამივე პირში -ენ (—-ნ) ფორმანტით იყო წარმოდგენილი:

ნამყო ძირითადი: და-ვ-მალ-ენ მე იგინი
და-ჰ-მალ-ენ შენ იგინი
და-მალ-ნ-ა მან იგინი
და-გუ-მალ-ენ შენ ჩუენ
და-გუ-მალ-ნ-ა მან ჩუენ
და-გ-მალ-ენ მე თქუენ
და-გ-მალ-ნ-ა მან თქუენ.

მიცემითში დასმული (ანუ: ირიბი) ობიექტის მრავლობითობა ძველ ქართულში, როგორც წესი, არ აღინიშნებოდა. ეს ფაქტი ახალი ქართულის შემონატანია ([292], 274—275). აღინიშნება როგორც საკუთრივ ირიბი ობიექტის, ასევე (ინვერსიის დროს) მიცემითში დასმული რეალური სუბიექტის მრავლობითობა. მიცემითში დასმული სახელის მრავლობითობა (ირიბი ობიექტი იქნება ის თუ რეალური სუბიექტი) -თ ფორმანტით გამოიხატება, გარდა I პირისა, სადაც ამ ფუნქციის გვ- პრეფიქსი გამოიყენება:

ა) ზმნაში აღნიშნულია ირიბი ობიექტის მრავლობითობა:

ლექცია გვ-ე-კითხ-ებ-ა ჩვენ
ლექცია გ-ე-კითხ-ებ-ა-თ თქვენ
ლექცია ე-კითხ-ებ-ა-თ სტუდენტებს

ბ) აღინიშნება მიცემითში დასმული რეალური სუბიექტის (გრამატიკული ირიბი ობიექტის) მრავლობითობა:

	I სერია:	II სერია:	III სერია:
ჩვენ	გვ-წყურ-ი-ა	გვ-ე-ძინ-ა	და-გვ-ი-წერ-ი-ა
თქვენ	გ-წყურ-ი-ა-თ	გ-ე-ძინ-ა-თ	და-გ-ი-წერ-ი-ა-თ
მათ.	ს-წყურ-ი-ა-თ	ე-ძინ-ა-თ	და-უ-წერ-ი-ა-თ.

ამრიგად, -ნ და -თ ფორმანტები სუბიექტური წყობის დროს პირების მიხედვით ნაწილდება (I და II პირებში -თ გვაქვს, III პირში -ნ ან -ნ ელემენტის შემცველი ფორმანტი), პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა მხოლოდ -ნ ელემენტის შემცველი ფორმანტით (-ენ) გამოიხატებოდა, ირიბი ობიექტისა (და აქედან: რეალური სუბიექტისა მიცემითის ფორმით) მარტოოდენ -თ ფორმანტით.

ამჯერად III პირის ფორმა გვაინტერესებს: სუბიექტური პირის

ბრავლობითობას -ნ ელემენტიანი ფორმანტი გადმოსცემს, ისევე როგორც პირდაპირი ობიექტის მრავლობითობას (სუბიექტური და პირდაპირ-ობიექტური პირები სხვა შემთხვევებშიც ჰგვანან ერთმანეთს გრამატიკული მოქმედებით), ხოლო ირიბი ობიექტისა და მიცემითში დასმული რეალური სუბიექტის მრავლობითობა -თ ფორმანტით გამოიხატება. ამგვარი დაპირისპირება მაშინაც გვაქვს, როცა სუბიექტური პირის მრავლობითობა -ეს ფორმანტით გადმოიცემა, შდრ.:

ისინი ს-წერ-ი-ან, მაგრამ: მათ ს-წყურ-ი-ა-თ,

ასევე:

მხატვრებმა და-ხატ-ეს, მაგრამ: მხატვრებს ე-ძინ-ა-თ.

-ნ (ასევე: -ნ ელემენტიანი) და -თ ფორმანტების ამგვარმა განაწილებამ ფუნქციური სხვაობის ფორმობრივი გამოხატვის შესაძლებლობა შექმნა ზოგიერთ თავისებურ ზმნაში. იმის მიხედვით, თუ რა გაიგება სუბიექტად: სახელობითში დასმული სახელი თუ მიცემითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი სახელი, მრავლობითში III სუბიექტური პირის აღსანიშნად გვექნება ან -ნ ელემენტიანი, ან -თ ფორმანტი. ეს ფაქტი იმით არის მით უფრო მნიშვნელოვანი, რომ მხოლობითში ენამ ჯერჯერობით ვერ შეძლო ფორმობრივი გამოხატულება მოერგო დამოწმებული ფუნქციური სხვაობისათვის.

ა. შანიძეს აღნიშნული აქვს: ...„საკმაოდ აღმოჩნდება ქართულში ისეთი ზმნები, რომლებიც წარმოშობით რელატიურებია, მაგრამ გარკვეულ შემთხვევაში აბსოლუტურნი გამხდარან“. იგულისხმება ა-ცი-/ვ/-ებ-ს ტიპის ზმნები. ა-ცი-ებ-ს მოქმედებითი გვარის ორპირიანი ზმნაა („კაცი ღვინოს ა-ცი-ებ-ს“), მაგრამ „ეგეთი ზმნა, თუ ის გარკვეულ ავადმყოფობას გულისხმობს, ერთწყობიანია“: ა-ცი-ებ-ს მას მალარიის გამო. ამავე რიგისაა ა-ცახცახ-ებ-ს, ა-კანკალ-ებ-ს, ა-თრთოლ-ებ-ს... ([285], 192).

„სემანტიკური აქცენტის“ სწორედ ამგვარი გადანაწილება (გადანაცვლება) გავლენას ახდენს მრავლობითი რიცხვის III სუბიექტური პირის ფორმობრივ გამოხატულებაზეც, შდრ.:

კაცები ღვინოს ა-ცი-ებ-ენ,
მაგრამ:
კაცებს (მალარიის გამო) ა-ცი-ებ-თ.

ანალოგიური დაპირისპირებაა ნამყო ძირითადში, სადაც უკვე -ეს და -თ ფორმანტები ენაცვლებიან ერთმანეთს:

კაცებმა ღვინო გა-ა-ცი-ეს,
მაგრამ:
კაცებს (მალარიის გამო) გა-ა-ცი-ა-თ.

ყველა ის ზმნა, რომელიც პარალელურად გამოიყენება ენაში როგორც პირდაპირი წყობით, ასევე ინვერსიულად, დაპირისპირების სწორედ ამ პრინციპს მიჰყვება მრავლობითი რიცხვის III სუბიექტური პირის ფორმებში.

ზოგადად ასე წარმოგვიდგება ფორმობრივი და ფუნქციური დეტერმინაციების საკითხები ენაში, ძირითადად სწორედ ამგვარად მოქმედებენ ისინი, ამ პრინციპებით შეაპირობებენ წარმოქმნილი მონაცემების ფორმობრივ თუ ფუნქციურ სტრუქტურებს. რამდენიმე კონკრეტული ნიმუშის ანალიზი უფრო ნათელს გახდის საკითხის არსს.

ნა-კეთ-ებ-ი და ნა-კეთ-ი ფორმების არსებობას ერთი და იგივე სემანტიკური საფუძველი აქვს. ამ მხრივ ისინი ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან. სხვაობა, და არსებითი ხასიათის სხვაობაც, აქ სწორედ ნაირგვარი ფორმობრივი დეტერმინაციით არის შეპირობებული: ერთისთვის I სერიის ზმნური ფორმაა ამოსავალი, მეორისათვის — II სერიისა:

I სერიის ფორმა: ა-კეთ-ებ-ს—მიმღეობა: ნა-კეთ-ებ-ი

II სერიის ფორმა: ა-კეთ-ა→მიმღეობა: ნა-კეთ-ი.

ნა-კეთ-ებ-ი და ნა-კეთ-ი ფორმების სემანტიკურად თანაფარდი მონაცემია გა-კეთ-ებ-ულ-ი, რომელიც ფუნქციური თვალსაზრისით გა-კეთ-დ-ა ზმნური ფორმის კორელატია სახელთა სისტემაში. -ულ ამ შემთხვევაში -დ ფორმანტის სემანტიკურ ეკვივალენტად ივარაუდება. ამრიგად, ვიტყოდით: გა-კეთ-ებ-ულ-ი ფორმით გამოხატული ფუნქცია დეტერმინირებულია გა-კეთ-დ-ა ფორმით გამოხატული ფუნქციის მიერ.

ფორმობრივ კი სავსებით საწინააღმდეგო ვითარებასთან გვაქვს საქმე: გა-კეთ-ებ-ულ-ი ფორმისთვის მოქმედებითი გვარის აწმყოს ა-კეთ-ებ-ს ფორმაა ამოსავალი.


ფორმობრივი და ფუნქციური დეტერმინაციები დაშორდა ერთმანეთს, სხვადასხვა მონაცემებთან ამყარებენ კავშირს ისინი ამ შემთხვევაში.

ანალოგიური მაგალითები სხვაც მრავლად მოგვეპოვება, ზოგი მათგანი გაანალიზებულიც იყო ზემოთ:

ა) ფუნქციური დეტერმინაციის თვალსაზრისით ერთმანეთს მიემართებიან:

გორ-ავ-ს—ა-გორ-ებ-ს
გორ-ა-ობ-ს—ა-გორ-ავ-ებ-ს,

ბ) ფორმობრივი დეტერმინაციის თვალსაზრისით კი ამ ფორმათა მიმართება ასე წარმოგვიდგება:



ხოლო ა-გორ-ებ-ს ფორმობრივ საერთოდ ცალკე დგას...

ერთმანეთის პარალელურადაა დამოწმებული ერთი და იმავე მნიშვნელობის მქონე ი-ჭმ-ებ-ა და ი-ჭმ-ევ-ა ფორმები ([283], ტ. IV). ასე რომ, არსებობის სემანტიკური საფუძველი მათ ერთი და იგივე აქვთ, სამაგიეროდ ფორმობრივი საფუძველია სავსებით განსხვავებული: ხსენებული ფორმები ნაირგვარ ფორმობრივ სისტემებს განეკუთვნებიან:

ჭამ-ს—ი-ჭმ-ებ-ა, შდრ.: დგ-ამ-ს—ი-დგ-მ-ებ-ა,
ა-ჭშ-ევ ს—ი-ჭმ-ევ-ა, შდრ.: ა-ნგრ-ევ-ს—ი-ნგრ-ევ-ა.

ი-დგ-მ-ებ-ა -ევ-იან ვარიანტს მხოლოდ დიალექტებში იძლევა (ი-დგ-მ-ევ-ა) და ისიც წმინდა ფონეტიკური მონაცვლეობა ჩანს, ი-ხგრ-ევ-ა ფორმას საერთოდ არ მოეპოვება -ებ-იანი ვარიანტი. ამოსავალ ფორმათა ჩვენება არ უწყობს ამას ხელს და იმიტომ. ი-ჭმ-ებ-ა და ი-ჭმ-ევ-ა ფორმათა შემთხვევაში კი ასეთი შესაძლებლობა არსებობს და ენა იყენებს კიდევაც ამ შესაძლებლობას.

ერთი და იმავე მნიშვნელობისათვის ნაირგვარი ფორმობრივი დეტერმინაციის გამო ორი სხვადასხვა ფორმა აღმოგვაჩნდა. ეს იძლევა სტიმულს ფუნქციური ნიუანსირებისათვის: ი-ჭმ-ებ-ა ფორმაში საკუთრივ ვნებითობის მნიშვნელობა მძლავრობს, ი-ჭმ-ევ-ა ფორმა უპირატესად პოტენციალისის გამოხატვისაკენ იხრება, თუმცა ამგვარი დიფერენცირების პროცესი ჯერჯერობით საბოლოოდ დასრულებული არ არის.

ფორმობრივი და ფუნქციური დეტერმინიზმი თავს იჩენს ფუძისა და ფორმანტის ურთიერთშეხამების დროსაც. ამის ნიმუშად გვესახება ქვემოთ გაანალიზებული ფაქტი.

-ავ და -ევ ფორმანტიანი ზმნების ანალიზის დროს ერთი ღირსაცნობი კანონზომიერება ილანდება:

ცნობილია: -ავ თემის ნიშანი აწმყოს ფუძეს აწარმოებს როგორც საკუთრივ ზმნური (ვ-კალ—ვ-კლ-ავ), ასევე სახელადი (ფარგალ-ი —ფარგლ-ავ-ს, კედელ-ი—კედლ-ავ-ს, ბეჭედ-ი—ბეჭდ-ავ-ს) ფუძეებისაგან. ამჯერად საკუთრივ ზმნური ფუძეები გვაინტერესებს მხოლოდ, რადგან სახელადი ფუძეები აშკარად გვიან შემოსულია ამ სისტემაში (ეს პროცესი ამჟამადაც პროდუქტიულია) .

როგორც წესი, ყველა ის ზმნური ფუძე, რომელიც აწმყოში შეკუმშულია და -ავ ფორმანტს დაირთავს და რომელიც სრული

სახით აღდგება (ან რომლის აღდგენაც ხერხდება) ნამყო ძირითად-ში, ა-გახმოვანებითაა წარმოდგენილი ([285], 396):

ვ-კლ-ავ←მო-ვ-კალ
ვ-კრ-ავ←შე-ვ-კარ
ვ-ფლ-ავ←და-ვ-ფალ
ვ-ძრ-ავ←და-ვ-ძარ
ვ-წნ-ავ←და-ვ-წან
ვ-ხნ-ავ←მო-ვ-ხან
ვ-ხრ-ავ←და-ვ-ხარ
ვ-სხლ-ავ←გა-ვ-სხალ...

ზოგიერთ შემთხვევაში შეკუმშული ფუძის აღდგენა მხოლოდ ძველი ქართულის დონეზე ხერხდება:

ვ-თხზ-ავ←შე-ვ-თხაზ (ახლა: შე-ვ-თხზ-ი ან შე-ვ-თხზ-ე)

ვ-ჯშ-ავ←და-ვ-ჯაშ (ახლა: და-ვ-ხშ-ე)...

ყველაფერი ეს თანმიმდევრულად გატარებული კანონსომიერება ჩანს: ნამყო ძირითადში ფუძის ა-გახმოვანება აწმყოში ა-გახმოვანებით წარმოდგენილი ფორმანტის არსებობას ვარაუდობს. მართალია, ამოსავალი ფუძე იკუმშება, მაგრამ წარმოებული ფუძე მაინც ახდენს ამის კომპენსაციას — ისევ ა-გახმოვანება გვაქვს: ვ-კალ←ვ-კლ-ავ.

და-ვ-წან ფორმის პარალელურად დიალექტებში ზოგჯერ წარმოდგენილია და-ვ-პ-წენ-ი ფორმა, ფუძე ე-გახმოვანებით (იხ. თავი V, ნაწილი XIII); შესაბამისად, აწმყოში აღარ გვექნება -ავ თემის ნიშანი: დამოწმებულია ვ-პ-წნ-ი ფორმა.

ამის საპირისპიროდ, იქ, სადაც წარმოდგენილია -ევ ფორმანტი, მრავლისაგან მრავალ შემთხვევაში ხერხდება ამოსავალი ე-გახმოვანებული ფუძის აღდგენა:

ა-ბნ-ევ-ს, შდრ.: და-ვ-ი-ბენ (-ბენ-)
ა-ქც-ევ-ს, შდრ.: წა-ვ-ი-ქეც (-ქეც-)
ა-თრ-ევ-ს, შდრ.: გა-ვ-ე-თერ (-თერ-)
ა-მსხერ-ევ-ს, შდრ.: და-ვ-ი-მსხვერ (-მსხვერ-)
ა-ნგრ-ევ-ს, შდრ.: და-ვ-ი-ნგერ (-ნგერ-)
ა-რბ-ევ-ს, შდრ.: რებ-ს (იგივეა, რაც „დადის“)...

აქაც საკუთრივ ზმნური ფუძეებია გათვალისწინებული.

გამონაკლისები გვაქვს: -ევ შეიძლება შეგვხვდეს იმ შემთხვევაშიც, როცა ამოსავალი ზმნური ფუძე ა-გახმოვანებითაა წარმოდგენილი.

უპირატესად ეს მაშინ ხდება, როცა -ევ კაუზატივის გამომხატვე-

ლად გვევლინება: ჭამ-ს—ა-ჭმ-ევ-ს, მაგრამ აქ უმეტესად რთული, წარმოებული ფუძეა ამოსავალი:

სვ-ამ-ს—ა-სმ-ევ-ს

ი-ცვ-ამ-ს—ა-ცმ-ევ-ს...

შესაძლებელია, ამ შემთხვევაში -ევ ფორმანტის გამოყენება მეორეული მოვლენა იყოს.

ა-გახმოვანებითაა წარმოდგენილი ამოსავალი ფუძე შემდეგ შემთხვევებშიც:

ა-ქნ-ევ-ს, შდრ.: ა-ქან-ებ-ს

ა-ტნ-ევ-ს, შდრ.: ა-ტან-ს...

მიუხედავად ამისა, გარკვეულ ფარგალში -ავ და -ევ ფორმანტთა განაწილება ამოსავალი ფუძის გახმოვანების მიხედვით რეალურ მოვლენად გვეჩვენება. ამ ვარაუდს უფრო მყარ საფუძველს უქმნის ის ფორმები, რომელთა ამოსავალი ფუძე შეიძლება შეგვხვდეს როგორც ა-, ასევე ე- გახმოვანებით და აწმყოში, შესაბამისად, შეგვიძლია დავამოწმოთ როგორც -ავ, ასევე -ევ ფორმანტები:

უ-ძლ-ავ-ს — ს-ძლ-ევ-ს, შდრ.: ძალ-ა — შე-ვ-ძელ

ს-თრ-ავ-ს — ა-თრ-ევ-ს, შდრ.: გა-თარ-ე — გა-ე-თერ...

ს-თრ-ავ-ს ძველ ქართულშიც დამოწმებული ფორმაა ([286], 121), მაგრამ სულ სხვა მნიშვნელობის მქონე, გამოხატავს „დათრობის“ სემახტიკას.

შესაძლებელია ამ ფაქტს მეთოდოლოგიური ღირებულებაც ჰქონდეს: ზოგიერთი ამჟამად გაუხსნელი ფუძის ოდინდელი გახმოვანების დადგენაში დაგვეხმაროს. მაგალითად, ძველი ქართული ს-თნ-ავ-ს („სათნო-ჩენა, საწადელ-ყოფა, დაჯერება, ნებება, გულის-თქუმა, მოწონება“, [268], 182) ფორმა, ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობის კვალობაზე, ამოსავალში ა-გახმოვანებას ვარაუდობს. ალბათ ამას უჭერს მხარს გურულში დამოწმებული მო-თან-ი („ბოდიში, მობოდიშება“), მო-თან-ის თქმა („თავმდაბლად თქმა, მორჩილების სიტყვის თქმა, ანუ თანხმობის განცხადება. სხვისი აზრისადაგვარ ლაპარაკი“, [284], 369) ფორმები, რომლებშიც ა-გახმოვანებითაა ფუძე წარმოდგენილი (-თან-). აქედან გამომდინარე, ა-თნ-ევ-ს ფორმა ამოსავლად ე-გახმოვანებულ ფუძეს (*-თენ-) გვაგულვებინებს.

ამასთან დაკავშირებით ერთი რამ იქცევს კიდევ ყურადღებას:

აწმყოში თემის ნიშნის სტატუსით გამოდის -ი ფორმანტიც, რომელიც ასევე კუმშავს ფუძეს. ეს ფორმანტი ყველა ჩვენების მიხედვით გამორჩეულია სხვა თემის ნიშნებისაგან. ერთ-ერთი ჩვენება ისიცაა, რომ თანაბრად დაერთვის როგორც ა-, ასევე ე- გახმოვანებით წარმოდგენილ ფუძეებს:

ერთი მხრივ:	მეორე მხრივ:
ვ-ზრდ-ი←გა-ვ-ზარდ-ე	ვ-მყნ-ი←და-ვ-მყენ
ვ-თხრ-ი←გა-ვ-თხარ-ე	ვ-სკვნ-ი←გა-ვ-სკვენ
ვ-ცდ-ი←ვ-ცად-ე	ვ-ფშენ-ი←და-ვ-ფშვენ
ვ-ხრ-ი←მო-ვ-ხარ-ე	ვ-ხსნ-ი←გა-ვ-ხსენ
ვ-შლ-ი←გა-ვ-შალ-ე	ვ-ფხვრ-ი←აღმო-ვ-ფხვერ

-ი გვხვდება იმ შემთხვევაშიც, როცა ერთი და იგივე ფუძეა წარმოდგენილი სხვადასხვა გახმოვანებით:

ვ-ჭრ-ი←და-ვ-ჭარ, შდრ.: ვ-ჭრ-ი←და-ვ-ჭერ

ვ-ცრ-ი←გა-ვ-ცარ, შდრ.: ვ-ცრ-ი←გა-ვ-ცერ...

ერთი რამ კი არის, რომ ე-გახმოვანებულ ფუძეთა ერთ ნაწილში ხერხდება -ე ელემენტის ფორმანტისეულად გამოყოფა (ჩემოთაც იყო ამის რამდენიმე მაგალითი დასახელებული):

გა-ვ-სკვ-ენ, შდრ.: ნა-სკვ-ი

აღმო-ვ-ფხვ-ერ, შდრ.: და-ვ-ფხვ-ენ და სხვანი.

სხვა შემთხვევებში ანალოგიური ფაქტის დამოწმება ჭირს.

იმის მიხედვით, თუ რას მოგვცემს შემდგომი კვლევა, შესაძლებელია ორ ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებას გექონდეს საქმე:

ა) თუ დადასტურდა, რომ ე-გახმოვანება ამ დროს მხოლოდ წარმოებულ ფუძეს განეკუთვნება, მაშინ -ი ფორმანტიც იმავე რიგისა ყოფილა თავისი მიმართებით, რაც -ავ თემის ნიშანი. მაშინ ვ-ჭრ-ი, ვ-ცრ-ი ფორმებისათვის (რადგან ისინი დაუშლელ, მონოლითურ ფუძეებად გვესახება ოდითგან) ამოსავლად და-ვ-ჭარ, გა-ვ-ცარ ფორმები უნდა ვივარაუდოთ.

ბ) თუ დადასტურდა, რომ -ი ფორმანტი განურჩევლად დაერთოდა იმთავითვე ა- ან ე-გახმოვანებით წარმოდგენილ ფუძეებს, მაშინ მისი ოდინდელი სტატუსი -ავ ფორმანტისაგან განსხვავებული აღმოჩნდება ისტორიულად. მასთან ერთად, ვ-ჭრ-ი ფორმა ერთნაირად შესაძლებელი იქნებოდა როგორც და-ვ-ჭარ, ასევე და-ვ-ჭერ ფორმებისათვის.

დასკვნის სახით კი იმის თქმა შეგვიძლია, რომ, თუკი ზემოთ წარმოდგენილი ვარაუდი დადასტურდა და ფუძის გახმოვანებას მართლაც აღმოაჩნდა უნარი განსხვავებული გახმოვანების ფორმანტებიდან მკაცრად განსაზღვრულის ამორჩევისა, მაშინ აქაც უთუოდ ენობრივი დეტერმინიზმის უშუალო გამოვლინება უნდა ვიგულვოთ.

IX

დეტერმინაციის ძირითადი პრინციპების განხილვის შემდეგ ალბათ ასეთი კითხვაც დაისმის: რა განსხვავებაა დეტერმინაციასა და მოტივაციას შორის?

მოტივაცია გაიგება ვიწრო და ფართო მნიშვნელობით.

ვიწრო გაგებით, როგორც ეს ფ. დე სოსიურს აქვს წარმოდგენილი, მოტივაცია სემიოლოგიური (სემიოტიკური) ცნებაა და, ამდენად, უშუალოდაა დაკავშირებული ნიშანთა თეორიასთან. მაშასადამე, ამ გაგებით მოტივაცია ენას აფასებს როგორც მნიშვნელობის გამომხატველ ნიშანთა სისტემას. ამ თვალსაზრისით ფ. დე სოსიურს შეეძლო ეთქვა, რომ „არ არსებობენ ენები, სადაც არაფერი არის მოტივირებული, მაგრამ შეუძლებელია წარმოვადგინოთ ისეთი ენაც, სადაც ყველაფერი მოტივირებული იქნება“ ([297], 165). ასეთი დასკვნა ბუნებრივია იმ თვალსაზრისისათვის, რომლისთვისაც ენა ნიშანთა სისტემაა (ე. ი. სემიოტიკური სისტემაა). ეს დასკვნა უშუალოდ გამომდინარეობს მისი წინამძღვარი დებულებიდან: „ნიშანთა მხოლოდ ერთი ნაწილია აბსოლუტურად ნებისმიერი; სხვა ნიშნებს კი ის თვისებებიც აღმოაჩნდებათ, რომლებიც შესაძლებლობას იძლევიან მივაკუთვნოთ ისინი ნებისმიერობის სხვადასხვა საფეხურს: ნიშანი შეიძლება იყოს შედარებით (პირობითად) მოტივირებული“ ([297], 163). ამის საფუძველზე ხდება ენათა კლასიფიცირება: გამოიყოფა ენები, რომლებისთვისაც, სხვა ენებთან შედარებით, დამახასიათებელია მოტივირებულ ნიშანთა მეტი ოდენობით მჭონებლობა. თითოეული ენის შიგნითაც განუწყვეტლივ ხდება მოტივირებულის გადასვლა ხებისმიერში და პირიქით, ნებისმიერის ქცევა მოტივირებულად. გარდა ამისა, ის, რაც ერთ ენაში მოტივირებულია, მეორე ესაში შეიძლება არამოტივირებული, ნებისმიერი იყოს: მაგალითად, ლათინური inimicus „მტერი“ იყოფა სეგმენტებად: in (უარყოფა) და amicus („შეგობარი“), მაგრამ ფრანგული ennemi „მტერი“ არაფრით არ არის მოტივირებული, მთლიანად განეკუთვნება ნებისმიერის სფეროს, „რაზედაც, სხვათა შორის, ბოლოსდაბოლოს დადის ყოველი ენობრივი ნიშანი“ ([297], 166).

ამის საპირისპიროდ, საკუთრივ ენათმეცნიერების თვალსაზრისით ენაში ყველაფერი დეტერმინირებულია. ყოველი ფონემის, გრამატიკული ფორმის, შესიტყვებისა თუ ნებისმიერი ფუნქციის არსებობა ენაში დეტერმინირებულია სხვა ფონემებთან, გრამატიკულ ფორმებთან, შესიტყვებებსა თუ ფუნქციებთან ურთიერთობით. ამ შემთხვევაში ენა განისაზღვრება როგორც „შინაგანად თვითორგანიზებულ და დეტერმინირებულ ფორმათა სისტემა, რომლითაც გამოიხატება (წარმოისახება) ენობრივ ფუნქციებად ტრანსფორმირებული სინამდვილე ცნობიერებისა“ (იხ. თავი I, ნაწილი XXIX). წარმოუდგენელია ენა, რომელშიც რაიმე არ არის დეტერმინირებული.

ფართო გაგებით მოტივირებულია ფონეტიკური პროცესიც (მაგა-

ლითად, რ-რ→რ-ლ: ორჯერ→ორჯელ...), მორფოლოგიური ფორმაც („ხის სახლი“: საზღერული იწვევს მსაზღვრელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას), ლექსიკური მნიშვნელობაც (რადგან იგი კონტექსტით, სხვა სიტყვებთან ურთიერთობით დგინდება)...

მაგრამ ამ შემთხვევაშიც არსებითი განსხვავებაა მოტივაციასა და დეტერმინაციას შორის.

ასეთი გაგებით მოტივაცია, რა თქმა უნდა, განაპირობებს ამა თუ იმ ფორმის არსებობას, მაგრამ, დეტერმინაციისაგან განსხვავებით, არ განსაზღვრავს სტრუქტურის მაინცდამაინც ასეთ და არა სხვაგვარ შედგენილობას. მოტივაცია პირობას ქმნის, დეტერმინაცია ახორციელებს ამ პირობას, კონკრეტულ სახეს აძლევს მას.

კონსტრუქციაში „ექიმი ავადმყოფს ღებულობს“ ზმნური ღ-ებ-ულ-ობ-ს ფორმა, როგორც მთლიანობა, მოტივირებულია იმავე კონტექსტში „ექიმი“ (ის, III პირის) ფორმის არსებობით, III სუბიექტური პირის ნიშანი -ს კონკრეტული „ის“ ფორმის აბსტრაჰირებას წარმოადგენს ზმნურ ფორმაში (იმ შემთხვევაში, როცა ამგვარი აღნიშვნა, ან მორფოლოგიური, ან ფონეტიკური მიზეზებით, რომელიმე კონკრეტულ პირს არ მოეპოვება, აბსტრაქცია აბსოლუტურია, ნულნიშნითაა გამოხატული, მაგალითად, იმავე ზმნის II პირის ფორმაში: „შენ ღ-ებ-ულ-ობ ავადმყოფს“). სხვაგვარად: მოტივირება ეხება „სიზოვნად თანაარსებულ“ ფორმათა ურთიერთობას.

მაგრამ იმავე ღ-ებ-ულ-ობ-ს ფორმის დეტერმინირების პრობლემა უკვე სულ სხვა რიგის მომენტებს ითვალისწინებს, კერძოდ, ადგენს კოკრეტულად ამ ფორმის შენების პრინციპებს მიზეზ-შედეგობრიობის თვალსაზრისით: რომელი ფუძეა მისთვის ამოსავალი, რატომ არის წარმოდგენილი აქ საკუთრივ -ულ ან -ობ ფორმანტები (და არა სხვა სუფიქსები იმავე დანიშნულებისა), ასევე: რა განსაზღვრავს ამ ფორმის სემანტიკურ სტრუქტურას, რა არის ამის საფუძველი და რა შედეგს იძლევა იგი. სხვაგვარად: მოცემული კონკრეტული შემთხვევისათვის ხდება ენის წარმომქმნელი მექანიზმის გლობალური გათვალისწინება.

იმავე მაგალითთან დაკავშირებით: მოტივაცია შეაპირობებს კონსტრუქციაში, ვთქვათ, III პირის ფორმის არსებობას და, ამდენად, ზმნურ ფორმაში III სუბიექტური პირის ნიშნის პოვნიერებას, მაგრამ მისთვის სრულიად არა აქვს მნიშვნელობა, რა მატერიალური გამოხატულებისა იქნება ეს ნიშანი: -ს, -ა თუ -ო. ფორმათა დეტერმინაციის პრინციპი კი, პირიქით, სწორედ ამ ნიშანთა განსხვავებული გამოყენების მიზეზის დადგენას ესწრაფვის, სხვაობაში კანონზომიერებას (და არა შემთხვევითობას) ვარაუდობს.

მოტივაცია შეიძლება იყოს შინაენობრივიც და გარეენობრივიც.

„მამა“ და „და“ ქართულში არამოტივირებულ სიტყვებად ითვლება, მაგრამ „მამიდა“ უკვე მოტივირებული სიტყვაა და მოტივირებულია იგი უპირველესად შესაბამისი გარეენობრივი ობიექტის არსებობით, მისი ნიშან-თვისებით, რომლის წარმოჩენა გარკვეული პოზიციიდან ხდება (კერძოდ, „მამიდა“ ეს არის „მამის და“, ამ შემთხვევაში ეს ხდება საფუძველი სახელდებისა).

შინაენობრივი მოტივაციის მაგალითები ზემოთ იყო დასახელებული.

ამის საპირისპიროდ, დეტერმინაცია მარტოოდენ შინაენობრივია, ენობრივ ფორმათა და ფუნქციათა შინაგანი ორგანიზების უპირველესი პირობაა. შეუძლებელია გარეენობრივმა მოვლენამ ენობრივ მონაცემთა შინაგან ურთიერთმიმართებაზე იქონიოს გავლენა.

მოტივაციისა და დეტერმინაციის განსასხვავებლად კარგი მაგალითებია „ცისარტყელა“, „ჭრელთვალა“ და მისთ. ფორმები.

„ცისარტყელა“ მოტივირებულია გარეენობრივად, უკეთ: გარეენობრივი ფაქტის მეტაფორული გამოხატვაა. ამ მოტივაციის თვალსაზრისით სულერთია, იქნება „ცისარტყელა“ თუ, ვთქვათ, „სარტყელი ცისა“, მაგრამ სწორედ ენობრივი დეტერმინაციის პრინციპი აიძულებს ერთცნებიანი და, ამდენად, ერთ სიტყვად შერწყმის ტენდენციის მქონე ამ სახის სიტყვათშეხამებანი, როგორც წესი, ამ ყალიბითა და ამ თანამიმდევრობით იქნენ წარმოდგენილი ენაში. ის კი, რაც ამ წესიდან გამონაკლისად გვეჩვენება, სინამდვილეში ენის სხვა კანონზომიერებას ექვემდებარება.

ასევე მოტივაცია არ განარჩევს „ჭრელთვალა“ იქნება თუ „თვალ-ჭრელი“, მაგრამ დეტერმინაცია მკაცრად განსაზღვრავს, რომ პირველ შემთხვევაში კომპოზიტი -ა სუფიქსით გაფორმდეს („ჭრელთვალ-ა“), მეორე შემთხვევაში კი რაიმე დამატებითი სიტყვათწარმოებითი აფიქსის გარეშე იყოს წარმოდგენილი („თვალ-ჭრელ-ი“). ეს, რა თქმა უნდა, უშუალოდ კონკრეტული გამოვლინებაა ენაში არსებული სიტყვათწარმოებითი ყალიბებისა.

განსაკუთრებით ხელშესახებადაა ეს წარმოჩენილი აფიქსაციის დროს. ენის შინაგანი ორგანიზების პრინციპითაა შეპირობებული მორფემათა შემდეგნაირი განლაგება: წერ-ა, მანდილ-ოს-ან-ი, მალავ-ს, ნა-კეთ-ი და ა. შ. შეუძლებელია: ა-წერ (წერ-ა ფორმის მნიშვნელობით), ოს-ან-ი-მან-დილ, ავ-ს-მალ, კეთ-ი-ნა... (ამის შესახებ იხ.: [297], 171). მორფემათა მკაცრად განსაზღვრული განლაგების შეცვლა ან ფუნქციურად ცვლის ფორმას (შდრ.: წერ-ა და ა-წერ), ან მორფემათა უაზრო გროვას იძლევა.

ვფიქრობთ, ზემოთქმული ნათლად წარმოაჩენს განსხვავებას მოტივაციასა და დეტერმინაციას შორის.

ფორმანტთა ანალიზის პრინციპები, როგორც ზემოთ აღინიშნა, ფორმახტთა თვისობისა და ქმედების გათვალისწინებასაც გულისხმობს.

განვიხილოთ ფორმები:

ა-კეთ-ებ-ს
ა-ღ-ებ-ს
ა-კლ-ებ-ს
ბად-ებ-ს
კრ-ებ-ს

ყველა მათგანში ხერხდება -ებ ელემენტის გამოყოფა.

ამრიგად, გვაქვს მასალობრივ ერთი შედგენილობისა და პოზიციურად ერთნაირად განაწილებული, ასევე: გრამატიკულად თითქმის ერთი და იმავე ფუნქციის მქონე -ებ სუფიქსი.

შესაძლებელია თუ არა, რომ ყოველივე ამის საფუძველზე ერთბანეთს გავუტოლოთ ზემოხსენებულ ზმნებში დამოწმებული -ებ ელემენტი?

ვფიქრობთ, რომ არა.

არ შეიძლება, რადგან ამ ელემენტით წარმოებული ყველა ზემოხსენებული ფორმა ნაირგვარ ფორმობრივ სისტემაში შედის და, აქედან გამომდინარე, ფორმათწარმოებისა თუ სიტყვათწარმოების თვალსაზრისით ნაირგვარი ღირებულების მქონეა. ეს უკვე თვით უღვლილების სისტემაშიც კარგად იგრძნობა:

	I	II	III
აწმყო:	ა-კეთ-ებ	ა-ღ-ებ	ა-კლ-ებ
ნამყო ძირ.:	ა-კეთ-ე	გა-ა-ღ-ე	და-ა-კელ
I თურმ.:	გ-ი-კეთ-ებ-ი-ა	გა-გ-ი-ღ-ი-ა	და-გ-ი-კლ-ი-ა
II თურმ.:	გ-ე-კეთ-ებ-ინ-ა	გა-გ-ე-ღ-ო	და-გ-ე-კლ-ო

ასევე:	IV	V
აწმყო:	ბად-ებ	კრ-ებ
ნამყო ძირ.:	და-ბად-ე	კრ-იბ-ე
I თურმ.:	და-გ-ი-ბად-ებ-ი-ა	შე-გ-ი-კრ-ებ-ი-ა
II თურმ.:	და-გ-ე-ბად-ებ-ინ-ა	შე-გ-ე-კრ-იბ-ა

თვალის ერთი გადავლებითაც ნათელია, რომ -ებ ფორმანტი ნაირგვარად მონაწილეობს პარადიგმთა წარმოებაში: იგი ხან მონაწილე-

ობს I და II თურმეობითების წარმოქმნაში (I და IV რიგი), ხან არა (II და III რიგი), ხან კი მხოლოდ I თურმეობითისათვის არის საყრდენი (V რიგი). თუ გავიხსენებთ: ძველ ქართულში (ახლა — მხოლოდ ზოგიერთ დიალექტში) გვქონდა გა-მ-ე-კეთ-ა, და-მ-ე-ბად-ა (II თურმეობითში), გა-მ-ი-ღ-ებ-ი-ე-ს (I თურმეობითში), თუ გავითვალისწინებთ, რომ და-მ-ი-ბად-ებ-ი-ა ფორმის პარალელურად იხმარება და-ძ-ი-ბად-ი-ა ფორმაც, აშკარა გახდება, რომ სხვაობა პარადიგმულ რიგებს შორის მეორეულია. მაგრამ ამჟამად ეს სხვაობა არსებობს და მისი გათვალისწინება აუცილებელია.

ა-კლ-ებ ფორმაში -კლ- ფუძე შეკუმშულია (შდრ. ნამყო ძირითადი: და-ა-კელ), კუმშვის გამომწვევი -ებ ფორმანტი ჩანს. ეს მაშინ, როდესაც -ებ ფორმანტს კუმშვის გამოწვევის ნაკლები უნარი შესწევს. ფორმათა შედარება დაგვარწმუნებს, რომ ეს მართლაც ასეა:

ა-ქან-ებ-ს, მაგრამ: ა-ქნ-ევ-ს
გა-უ-ტახ-ებ-ი-ა, მაგრამ: გა-უ-ტნ-ევ-ი-ა (დიალექტური)
-ებ ვერ კუმშავს, -ევ — კუმშავს.

ამის მიხედვით შეუძლებელი აღმოჩნდება ა-ქან-ებ-ს ფორმაში დამოწმებული -ებ-ისა და ა-კლ-ებ-ს ფორმის -ებ-ის გაიგივება: მათ ნაირგვარი ფონეტიკური ზემოქმედების უნარი აღმოაჩნდათ, თუმცა კი ორივე შემთხვევაში კუმშვად (ანუ: კუმშვის თვისობის მქონე) ფუძეებს (კელ-, ქან-, ტან-) დაერთვიან.

სავსებით განსხვავებულია კრ-ებ ფორმის ჩვენება: აქ -ებ ფუძესაა ბიჰორცებული და ამ სახით წარმოქმნილი ახალი ფუძე სხვა -ებ ფორმანტიანთაგან სრულიად განსხვავებულ თვისობას იძენს, ფუძეში ხდება ხმოვანმონაცვლეობა (კრ-ებ:კრ-იბ-ე), რითაც I და II სერიის ფუძეები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. საერთოდ, საცნაურია ის ფაქტი, რომ ყველა -ე- შემადგენლობის ფორმანტი ფუძესთან შერწყმას ესწრაფვის (როგორც ეს სპეციალურად იყო ზემოთ აღნიშნული). სწორედ ამ ტიპის ფორმათა რიგში გადავიდა ორი -ებ -ფორმანტიანი ზმნაც: კრ-ებ და დღვ-ებ.

რა მივიღეთ?

ერთი და იმავე გენეზისის მქონე ფორმანტებმა ენაში განვითარების შემდგომ საფეხურებზე ნაირგვარი ენობრივი სტატუსი შეიძინეს, მეტ-ნაკლებად დასცილდნენ ერთმანეთს თავისი ქმედებით. ამან განაპირობა მათი ნაირგვარი ღირებულება ფორმათწარმოებაში. ეს რომ, ასე ვთქვათ, ლოკალური ფაქტი არ არის და მარტოოდენ (საკუთრივ) ამ ფორმანტს არ შეეხება, მხოლოდ ამ ფორმანტის ქმედებას არ განსაზღვრავს და რომ გლობალურად მოიცავს ამ ფორმანტით წარმოე-

ბულ ძთლიან ფორმას, ამ ფორმის მოქმედებას ამა თუ იმ სისტემაში, ამას ხათელს ხდის შესაბამისი მაგალითების გათვალისწინებაც.

სხვაობა წარმოჩენილია, მაგალითად, ვნებითის წარმოების დროს, შდრ.:

ერთი მხრივ, იწარმოება სუფიქსიანი ვნებითი:

ა-კეთ-ებ-ს→კეთ-დ-ებ-ა

ა-კლ-ებ-ს→ა-კლ-დ-ებ-ა,

მეორე მხრივ, პრეფიქსიანი ვნებითი:

ბად-ებ-ს→ი-ბად-ებ-ა

ა-ღ-ებ-ს→ი-ღ-ებ-ა,

მესამე მხრივ, პარალელურადაა დამოწმებული პრეფიქსიანი და III ტიპის (უნიშნო) ვნებითის ფორმები:

კრ-ებ-ს→ი-კრ-იბ-ებ-ა / კრ-ებ-ა.

ამის მიხედვით, ა-კეთ-ებ-ს და ა-კლ-ებ-ს ფორმები ერთ სიბრტყეზე აღმოჩნდნენ, ბად-ებ-ს და ა-ღ-ებ-ს ფორმები სხვა სისტემაში გაერთიანდნენ, ცალკე დგას კრ-ებ-ს ფორმა.

დამატებითი სადიფერენციაციო ნიშანი ამ „გაერთიანებულ" ფორმებსაც დაუპირისპირებს ერთმანეთს.

მაგალითად, ა-კეთ-ებ-ს და ა-კლ-ებ-ს ფორმები ერთმანეთს დაუპირისპირდებიან იმით, რომ, ჯერ ერთი, ა-კეთ-ებ-ს შეუკუმშავი ფუძითაა წარმოდგენილი, ა-კლ-ებ-ს — შეკუმშული ფუძით. გარდა ამისა (და ეს მთავარია), ა-კეთ-ებ-ს ფორმას ვნებითში ვერ გადააქვს ა- პრეფიქსი (კეთ-დ-ებ-ა) , განსხვავებით ა-კლ-ებ-ს ფორმისაგან, რომლის შესაბამისი ვნებითი მოქმედებითიდან გადმოყოლილი ა- პრეფქსითაა წარმოდგენილი (ა-კლ-დ-ებ-ა).

სხვაობა წარმოჩენილია სახელზმნათა წარმოებაშიც.

აქ უკვე ა-ღ-ებ-ს და კრ-ებ-ს აღმოჩნდება ერთ სიბრტყეზე, ვთქვათ, ნა- პრეფიქსიანი მიმღეობის წარმოების დროს: ამ ზმნათა მხოლოდ I სერიის ფუძე შეიძლება იყოს საყრდენი ხსენებული ტიპის მიმღეობისათვის: გა-ნა-ღ-ებ-ი, ნა-კრ-ებ-ი.

დანარჩენებისათვის კი ამ თვალსაზრისით ერთნაირად პროდუქტიული აღმოჩნდა როგორც პირველი, ასევე მეორე სერიის ფუძეები:

I სერიის ფუძე:	ნა-კეთ-ებ-ი	ნა-კლ-ებ-ი	და-ნა-ბად-ებ-ი
II სერიის ფუძე:	ნა-კეთ-ი	ნა-კლ-ი	და-ნა-ბად-ი.

ეს კი ნიშნავს, რომ ის გრამატიკული თუ ლექსიკური ფუნქციები, რომელთაც ნა-კეთ-ებ-ი და ნა-კეთ-ი, ნა-კლ-ებ-ი და ნა-კლ-ი, და-ნა-ბად-ებ-ი და და-ნა-ბად-ი ფორმები ერთმანეთში ინაწილებენ, მთლიანად დაეკისრა ნა-ღ-ებ-ი, ნა-კრ-ებ-ი ფორმებს.

თავის მხრივ, დამატებითი საკლასიფიკაციო ნიშანი ამ თვალსაზრისით გაერთიანებულ ფორმებსაც დააცალკევებს...

რაღვან ასეა, მაშასადამე, ფორმანტი უნდა დახასიათდეს არა მხოლოდ მასალობრივი მონაცემით, არა მხოლოდ პოზიციით რომელიმე სტრუქტურაში, არამედ თავისი ქმედებითა და თვისობით იმ სისტემაში, რომლის შემადგენლადაც იგი გვევლინება.

ამისდა კვალობაზე, შეუძლებელია ერთმანეთს გავუთანაბროთ:

-ევ დ-ევ-ს ზმნაში და -ევ ა-ნგრ-ევ-ს ზმნაში,

-ავ ცურ-ავ-ს ზმნაში და -ავ ი-ცურ-ავ-ა ზმნაში,

-ემ ს-ც-ემ-ს ზმნაში და -ემ თვლ-ემ-ს ზმნაში,

-ენ ვ-ი-გრძ-ენ ზმნაში და -ენ ა-დგ-ენ-ს ზმნაში,

-ი ჰრ-ი-ს ზმნაში (ჰრ-ი-დ-ა) და -ი კრთ-ი-ს ზმნაში (კრთ-ოდ-ა),

ასევე:

-ელ მ-შენ-ებ-ელ-ი ფორმაში და -ელ წით-ელ-ი ფორმაში და ა. შ.

ანალოგიურად დადგებოდა საკითხი პრეფიქსების მიმართაც.

თითოეულ რიგში დასახელებულ ფორმანტებს საერთო აქვთ მასალობრივი შედგენილობაცა და პოზიციაც, განასხვაებს ერთი რამ: ფორმობრივი ქმედება. ასე რომ, ერთი წარმომავლობის ფორმანტები ამჟამად ნაირგვარი ენობრივი სტატუსით არიან წარმოდგენილი.

ენაში დასაშვებია საპირისპირო ვითარებაც: ნაირგვარი წარმომავლობის ელემენტებმა ერთგვაროვანი სტატუსი მოიპოვონ. საქმე ისაა, რომ განსხვავების საპირისპიროდ უნიფიკაციის პროცესიც მიმდინარეობს ენაში, ამიტომაც ისტორიულად განსხვავებული ფორმები შემდგომ შესაძლოა ერთმანეთს ამოუდგნენ გვერდით: მაგალითად, და-ვ-ა-კელ ფორმის ადგილს სულ უფრო დაჟინებით იკავებს და-ვ-ა-კლ-ე ფორმა, მსგავსი ვ-ა-ქ-ე, გა-ვ-ა-ღ-ე წარმოებისა, მაგრამ ფორმათა ისტორიის შესწავლა ადვილად გაარკვევს ამ სახის ცვლილებათა ხასიათს და შემთხვევით მსგავსებასაც იოლად აუვლის გვერდს.

ფორმანტთა ნაირგვარი ქმედებისა და თვისობის გათვალისწინება, ვფიქრობთ, პრინციპული საკითხია და აქ არა მხოლოდ ის იგულისხმება, რაც ზემოთ უკვე იყო ნაჩვენები, არამედ ისიც, რომ ნაირგვარი ქმედება და თვისობა, როგორც წესი, ნაირგვარი წარმომავლობის მაუწყებელიცაა და, ამდენად, ერთ-ერთი ძირითადი საშუალება ფორმათა მართებული კვალიფიკაციისა.

შევნიშნაოთ: ენობრივი ფორმის (ფორმობრივი ელემენტის) ქმედება და თვისობა ორი ურთიერთშემავსებელი ფაქტორია და კლასიფიკაციაც ორივეს ერთდროულად უნდა ემყარებოდეს.

ამრიგად, მორფემათა დახასიათება მათი თვისობისა და ქმედების

მიხედვით ვარაუდობს თითოეული მორფემის შეფასებას მათივე უნარის მიხედვით, დაექვემდებარონ (ან არ დაექვემდებარონ) ცვლილებას და გამოიწვიონ (ან ვერ გამოიწვიონ) ცვლილება.

მაგალითად, -ქან- ფუძე ზემოთ დახასიათებული იყო როგორც კუმშვადი. ეს ნიშნავს: კუმშვადობა არის -ქან- ფუძის თვისობა.

მაგრამ კუმშვის გამოწვევა ყველა მორფემას არ ძალუძს, თუნდაც ფონეტიკურად ერთნაირი სტრუქტურის მჭონეს. ამისდა კვალობაზე -ებ მორფემა ამ სისტემაში დახასიათდება როგორც კუმშვის ვერ გამომწვევი (ა-ქან-ებ-ს), ხოლო -ევ როგორც კუმშვის გამომწვევი (ა-ქნ-ევ-ს). ეს არის მორფემთა კვალიფიკაცია მათივე ქმედების მიხედვით. სხვა სისტემაში იმავე -ებ-ს შესწევს უნარი კუმშვის გამოწვევისა და მაშინ იგი ამ ქმედების მიხედვით დახასიათდება.

აქ მხოლოდ ერთი, ფონეტიკური თვისობისა და ქმედების მაგალითია მოტანილი ნიმუშად. თვისობისა და ქმედების არე და ღირებულება ენაში, რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო ფართოა. ამის რამდენიმე შემთხვევას ქვემოთ წარმოვადგენთ, მანამდე კი დავსძენთ, რომ ეს არის ცდა იმ კრიტერიუმის გამოძებნისა, რომელიც შეგვაძლებინებს მორფემათა კლასიფიკაციას მათივე ფორმობრივი ჩვენების მიხედვით. ამან უნდა შეგვაძლებინოს ენის ფორმობრივი მოდელის აგებაც.

XI

თუ როგორ შეიძლება დაგვეხმაროს მორფემათა მორფოლოგიური ქმედების გათვალისწინება მათივე თავდაპირველი ბუნების დადგენაში, ამას განვიხილავთ -ი სუფიქსის მაგალითზე.

ნაირგვარი ქმედება, როგორც წესი, ნაირგვარი წარმომავლობის მაუწყებელიაო, აღინიშნა ზემოთ. ამის საჩვენებლად გავაანალიზოთ კრთ-ი-ს, ჭრ-ი-ს და დ-ი-ს ფორმები.

ერთი შეხედვით ყველა ეს ფორმა ერთგვარივანი შენებისაა, ყველა მათგანში გამოიყოფა -ი სუფიქსი. მაგრამ უწყვეტლის ჩვენება უთუოდ დაგვაეჭვებს ხსენებულ ფორმანტთა ფორმობრივ იდენტურობაში:

	I	II	III
აწმყო:	კრთ-ი-ს	ჭრ-ი-ს	დ-ი-ს
უწყვეტელი:	კრთ-ოდ-ა	ჭრ-ი-დ-ა	დ-ი-ოდ-ა

უწყვეტლის ფორმანტებად I და III შემთხვევაში -ოდ გვაქვს. II შემთხვევაში -დ. მაგრამ აქ სხვაობაა არა მხოლოდ მასალობრივ შედგენილობაში, არამედ ამოსავალი ფორმისადმი მიმართებაც ნაირგვარია:

ა) -დ მიერთვის -ი სუფიქსიან ფორმას: ჭრ-ი→ჭრ-ი-დ-ი;

ბ) -ოდ ჩაენაცვლება (ცვლის) -ი სუფიქსს: კრთ-ი- — კრთ-ოდ-ი.

ვნეიშხავთ: ჭრ-ი-დ-ა ტიპის ფორმებისათვის ამოსავლად არ უნდა ივარაუდებოდეს -იდ-იანი (*ჭრ-ი-იდ-ა) ფორმა, რადგან, როცა ამის საჭიროება იყო, ორი ი თავისუფლად ძლებდა ერთმანეთის გვერდით: ა-მში-ი-ს, გან-ა-ბნი-ი-ს და სხვანი.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ უწყვეტლისეული -დ-ს თვისებაა -ი ფორმანტზე მირთვა, -ოდ-ისა კი ჩანაცვლება აწმყოსეულ -ი-სთან.

გამონაკლისს ქმნის დი-ს—დი-ოდ-ა მიმართება: -ოდ კი არ ჩაენაცვლება, არამედ მიერთვის -ი ფორმანტს. ამის მიხედვით თითქოს ამ ფორმაში -ოდ გაუტოლდა -დ ფორმანტს ქმედების თვალსაზრისით. მაგრამ უფრო დეტალური ანალიზი სულ სხვა გზით აგვახსნევინებს დი-ოდ-ა ტიპის ფორმათა არსებობას.

ფორმათა შეპირისპირების ტრადიციული პრინციპი თითქოს მხარს უნდა უჭერდეს დ-ი-ს ფორმაში -ი ელემენტის გამოყოფას: ა-დ-ენ-ს —ა-დ-ინ-ა, დ-ენ-ა, დ-ი-ს ფორმები -ენ (—-ინ) და -ი ფორმანტების არსებობას და, ამდენად, მათი გამოყოფის შესაძლებლობას ვარაუდობს. ერთადერთი, რაც ეჭვს იწვევს, ეს არის ფორმანტის ქმედება: დი-ს ფორმის -ი სავსებით განსხვავებულად იქცევა სხვა, ანალოგიური ელემენტის მქონე ფორმებთან შედარებით.

საკითხის გასარკვევად ამჯერად შესაბამისი მიმღეობის გათვალისწინება დაგვჭირდება.

ცხობილია, რომ სტატიკურ ფორმათა ერთ ნაწილს მ- და -არ /-არ-ე ფორმანტებით წარმოებული მიმღეობები შეესაბამება:

ჴუხ-ს—მ-წუხ-არ-ი / მ-წუხ-არ-ე
დულ-ს—მ-დულ-არ-ი / მ-დულ-არ-ე
ქუხ-ს—მ-ქუხ-არ-ი / მ-ქუხ-არ-ე...

მ- და -არ ფორმანტები ერთი რიგის დინამიკურ ფორმებსაც მოეპოვება, თან უმეტეს წილ ფორმობრივი ყალიბიც ანალოგიურია, წარმოების წესიც იდენტური:

ს-თხოვ-ს—მ-თხოვ-არ-ი
კვეც-ს—მ-კვეც-არ-ი
ძოვ-ს—მ-ძოვ-არ-ი
ს-წოვ-ს—მ-წოვ-არ-ი
წერ-ს—მ-წერ-ალ-ი (—*მ-წერ-არ-ი)...

შდრ. აგრეთვე:

დინამიკური:	სტატიკური:
ხატ-ავ-ს→მ-ხატ-ვ-არ-ი;	ღელ-ავ-ს→მ-ღელ-ვ-არ-ი...

ყალიბი და წარმოების წესი აქაც იდენტურია.

მ- და -არ ფორმანტები დამოწმებულია III ტიპის (უნიშნო) ვნებითების ფარდ მიმღეობებშიც:

თბ-ებ-ა→გა-მ-თბ-არ-ი
დნ-ებ-ა→გა-მ-დნ-არ-ი
ტკბ-ებ-ა→და-მ-ტკბ-არ-ი...

და მაინც, მიუხედავად ამგვარი იგივეობისა, სხვაობის დამყარება ხერხდება: დინამიკურ ზმნათა ფარდ მიმღეობებს სუფიქსად მარტოოდენ -არ ელემენტი აქვთ, მაშინ, როდესაც სტატიკურ ზმნათა შესატყვის მიმღეობებში ერთმანეთს თავისუფლად ენაცვლება -არ და -არ-ე ფორმანტები:

ძოვ-ს—მ-ძოვ-არ-ი, მაგრამ: წუხ-ს→მ-წუხ-არ-ი / მ-წუხ-არ-ე
წერ-ს—მ-წერ-ალ-ი, მაგრამ: დუღ-ს→მ-დუღ-არ-ი / მ-დუღ-არ-ე...

რადგან ასეა, შესაძლებლობა გვქონია სტატიკურ ზმნათა ფარდი მიმღეობების ზუსტი ამოცნობისა. ხოლო ამ ტიპის მიმღეობები, თავის მხრივ, საშუალებას იძლევიან აღვადგინოთ მათთვის ამოსავალი, აწ გაუჩინარებული ან ფონეტიკურად სახეცვლილი, ზმნური ფორმა.

სწორედ ამ თვალსაზრისით იქცევენ ყურადღებას მიმღეობები მ-ჩინ-არ-ი, მ-დინ-არ-ი, მ-ცინ-არ-ი.

მ-ცინ-არ-ი ფორმისათვის ამოსავალი ზმნა ცნობილია:

ი-ცინ-ი-ს→მ-ცინ-არ-ი.

რაც შეეხება მ-ჩინ-არ-ი ფორმას, ამჟამად სალიტერატურო ქართულში მას შეესაბამება ჩან-ს ზმნა:

ჩან-ს — მ-ჩინ-არ-ი.

მაგრამ ეს კავშირი სემანტიკურია და არა ფორმობრივი. ასე რომ, აქ ფუნქციურ დეტერმინაციასთან გვქონია საქმე: სტატიკურობის ფუნქციის გამომხატველმა ზმნამ სტატიკურობის ფუნქციის გამომხატველი მიმღეობა შეითავსა.

მაგრამ იმავდროულად ხომ ივარაუდება მ-ჩინ-არ-ი ფორმისათვის რაღაც საყრდენი მონაცემი, რომელიც უკვე ფორმობრივ შეაპირობებს მის არსებობას?

ასეთი ფორმა უნდა ყოფილიყო ჩინ-ს და იგი (იმავე მნიშვნელობით, რაც სალიტერატურო ქართულში ჩან-ს ზმნას მოეპოვება) დოკუმენტობრივაა დამოწმებული ხევსურულში: ...„ფიცი გვწამ და ბოლო ჩინსა“, ე. ი. ფიცი გვწამს და ბოლო ჩანს-ო ([295], 164).

ამრიგად, ჩინ-ს—მ-ჩინ-არ-ი რეალური მიმართებაა.

ხევსურულში ჩინ-ს ფორმამ ფუნქციურადაც და ფორმობრივადაც განსაზღვრა მ-ჩინ-არ-ი ფორმის არსებობა.

სალიტერატურო ქართულსა და დიალექტების მეტ წილში ჩინ-ს ფორმამ მარტოოდენ ფორმობრივად შეაპირობა მ-ჩინ-არ-ი ფორმა, ფუნქციურად კი იგივე დანიშნულება ჩან-ს ზმნას ეკისრება.

მაშასადამე,

ხევსურულში: ჩინ-ს—მ-ჩინ-არ-ი, ფორმობრივადაც და ფუნქციურადაც.

სალიტერატურო ქართულში:

ჩან-ს—მ-ჩინ-არ-ი, ფუნქციურად, მაგრამ:
*ჩინ-ს—მ-ჩინ-არ-ი, ფორმობრივად.

რა ტიპის ფუძეა ჩინ-?

ეს არის დინამიკური ზმნინ II სერიის ფუძე, გამოყენებული სტატიკური ზმნის სისტემაში.

ამრიგად:

	დინამიკური:	სტატიკური:
ა წ მ ყ ო:	**ა-ჩენ-ს**	**—**
ნამყო ძირ.:	ა-ჩინ-ა— ა წ მ ყ ო: ჩინ-ს (დაწვრილებით იხ.: თავი IV, ნაწილი XVI).	

ანალოგიური მიმართება უნდა ვივარაუდოთ ამ შემთხვევაშიც:
*დინ-ს—მ-დინ-არ-ი / მ-დინ-არ-ე,
სადაც დინ-, II სერიის დინამიკური ზმნის, ფუძეა გამოყენებული:

ა წ მ ყ ო: ა-დენ-ს
ნამყო ძირ.: ა-დინ-ა—ა წ მ ყ ო (სტატიკ.): *დინ-ს

ეს კი ნიშნავს, რომ დი-ს ფორმაში დამოწმებული -ი- სულ სხვა რიგისაა, ვინემ ჭრ-ი-ს, კრთ-ი-ს ფორმებში დამოწმებული -ი-. ბუნებრივია, მას ენობრივი ქმედებაც სხვაგვარი ექნება. ამიტომაც არის, რომ აქ -ოდ კი არ ჩაენაცვლება, არამედ დაერთვის -ი-ს.

საკითხის საბოლოოდ გასარკვევად რამდენიმე მომენტის გათვალისწინება დაგვჭირდება.

საქმე ის არის, რომ, თუ ამოსავლად დინ-ს ფორმას ვივარაუდებთ, უნდა გაირკვეს: -ნ თანხმოვნის გაქრობის შესაძლებლობა, შემდეგ: რატომ გვაქვს უწყვეტელში დი-ოდ-ა და არა *დინ-დ-ა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო: რამდენად უპერს მხარს ხსენებულ ვარაუდს საკვლევ მონაცემთან დაკავშირებული ყველა სხვა ენობრივი ფორმა.

-ნ თანხმოვნის გაქრობის შემთხვევები ანალოგიურ პოზიციაში

სხვაცა გვაქვს. ძველი ქართულიდანაა ცნობილი: ჩან-ს—ჩა-ს, ასევე ივარაუდება: *დგან-ს—დგა-ს, ამავე თვალსაზრისით ღირსაცნობია აგრეთვე: ა-ქუნ-ს—ა-ქუ-ს—ა-ქვ-ს (შდრ.: [291], 387-388). ვფიქრობთ, ამგვარი ვითარების დროს მოულოდნელი არ უნდა იყოს შესაძლებლობა: *დინ-ს—დი-ს.

ამოსავალი *დინ-ს ფორმა უწყვეტელში მართლაც *დინ-დ-ა ფორმას ვარაუდობს. ეს მიმართება იმდენად თანამიმდევრულადაა გატარებული, რომ მაშინაც კი, როცა აწმყოში ცვლილებაა მომხდარი, უწყვეტელი სტაბილურობას იჩენს, მაგალითად, აწმყოში ჩან-ს—ჩა-ს, მაგრამ უწყვეტელმა დაიცვა ამოსავალი ვარიანტი: ჩან-დ-ა.

მიუხედავად ამისა, მოულოდნელი მაინც არ უნდა იყოს, *დინ-დ-ა ფორმას რომ დი-ოდ-ა ფორმისთვის დაეთმო ადგილი.

თეორიულად სავარაუდო და რეალურად დამოწმებული პარადიგმები რომ ერთმანეთს ამოვუყენოთ გვერდით, ასეთ სურათს მივიღებთ:

აწმყო:	*დინ-ს	დი-ს
უწყვეტელი:	*დინ-დ-ა	დი-ოდ-ა
I კავშირ.:	*დინ-დ-ე-ს	დი-ოდ-ე-ს

ამათგან დი-ს ფორმა დასაშვებია მიღებული იყოს დინ-ს ფორმისაგან, მაგრამ ვერც დინ-დ-ა მოგვცემდა დი-ოდ-ა ფორმას და ვერც დინ-დ-ე-ს ფორმა დი-ოდ-ე-ს ფორმას. ამდენად, თუ მართლაც არსებობს რაიმე კავშირი, იგი მხოლოდ და მხოლოდ აწმყოშია დასაშვები. ახსნაც აქ უნდა ეძიოთ: ნავარაუდევმა *დინ-ს ფორმამ მოგვცა დი-ს: ფუძე დი-, -ი ელემენტის პოვნიერების გამო (შდრ.: ცრ-ი-, ჭრ-ი-, კრთ-ი-...), მოულოდნელი არ აღმოჩნდა ქართული ზმნის სისტემისათვის და ამის გამო დამკვიდრდა კიდეც. შემდეგ: -ი ელემენტის პოვნიერების შემთხვევაში უწყვეტელში შესაძლებელია -დ ფორმანტიც და -ოდ ფორმანტიც. აქ უკვე, როგორც ჩანს, ფუნქციამ შეასრულა გადამწყვეტი როლი: ერთპირიანი, გარდაუვალი დი-ს ფორმა სემანტიკურად კრთ-ი-ს, ძრწ-ი-ს, ხტ-ი-ს ტიპის ფორმათა რიგში დგება, შესაბამისად—-ოდ ფორმანტი მოუდის. -ოდ ფორმანტი, როგორც წესი, ჩაენაცვლება ხოლმე -ი ფორმანტს (კრთ-ი-ს — კრთ-ოდ-ა), მაგრამ საანალიზო ფორმაში -ი ელემენტი ფორმანტი არ არის, გარდა ამისა, ფუძეში მის პოვნიერებასთან მჭიდროდ დაკავშირებული აღმოჩნდა ლექსიკური ხიშტხელობა, რამაც შეუძლებელი გახადა მისი დაკარგვა. ამიტომაც ენამ კომპრომისული გზა აირჩია: შეინარჩუნა -ი და ზედ დაურთო -ოდ. რაც შეეხება იმას, თუ რამდენადაა შესაძლებელი -დ და -ოდ ამოსავალი ფორმის ფუნქციას უწევდეს ანგარიშს, ამის მიხედვით ნაწილდებოდეს, ამას კარგად წარმოაჩენენ ხოლმე ის ფუძეები, რო-

მელთაც ფუნქციური ლაბილურობა ახასიათებთ და ამის გამო, ფუნქციის მიხედვით, უწყვეტელში ხან -დ ფორმანტს დაირთავენ, ხან -ოდ ფორმანტს. ასეთია, მაგალითად, ცრ-ი-ს ზმნა: ლაბილურია, შეიძლება იყოს ორპირიანი, გარდამავალი („ცრის ფქვილს, ქვიშას...“) და ერთპირიანიც, გარდაუვალი („ცრის წვიმა“, ნიშნავს: „წვრილად წვიმს. თქრავს“). შეინიშნება ცდა უწყვეტელში ამ მნიშვნელობათა ფორმობრივი გარჩევისა:

ორპირიანი:	ერთპირიანი:
ფქვილს ცრ-ი-დ-ა.	„აგრგვინდა ცა და ღრუბელნი ცრ-ოდ-ეს ბროლისა ცვარითა“ („ვეფხისტყაოსანი“, სტრ. 1329).

ამ ტიპის ფორმათა თაობაზე ზემოთ გვქონდა უფრო დაწვრილებით საუბარი. თავისთავად ფაქტი უნდა უდავოდ ჩაითვალოს: სემანტიკა უშუალო ზეგავლენას ახდენს უწყვეტლის ფორმობრივ ყალიბზე, ე. ი. ფუნქციას უნარი შესწევს შეაპირობოს ფორმა.

ჩვენებულ ვარაუდს სხვა ენობრივი მონაცემებიც უჭერენ მხარს. ამ შემთხვევაში შესაბამისი დინამიკური ფორმების ჩვენება უნდა გაიოლდეს წინოთ.

ცნობილია: სტატიკური („საშუალი“) ფორმების ერთი ნაწილი ამოსავალია სათანადო დინამიკური ფორმებისათვის, თანაც ეს დინამიკური ფორმები მკაცრად განსაზღვრული ყალიბით იწარმოებიან. მოქმედებისათვის სავალდებულო ყალიბია: ა+ფუძე+ებ (ან: შყოში), ხოლო ვნებითი, შესაბამისად, სუფიქსიანია, ყალიბი: ფუძე+დ+ებ:

წუხ-ს—ა-წუხ-ებ-ს : წუხ-დ-ებ-ა
დუღ-ს—ა-დუღ-ებ-ს : დუღ-დ-ებ-ა

ამიტომაც ამ პრინციპით წარმოებული დინამიკური ფორმების ჩვენება საკონტროლო საშუალებად გამოგვადგება: ამ ფორმებში შესაძლოა დაცული აღმოჩნდეს სტატიკური ფორმის ფუძე. და, მართლაც:

ჩინ-ს—წარმო-ა-ჩინ-ებ-ს : წარმო-ჩინ-დ-ებ-ა
*დიხ-ს—წარმო-ა-დინ-ებ-ს : წარმო-დინ-დ-ებ-ა.

ა-ჩინ-ებ-ს/ჩიხ-დ-ებ-ა, ა-დინ-ებ-ს/დინ-დ-ებ-ა ფორმები ნათელს ხდიან ჩინ-, დინ- ფუძეების რეალურობას და (რაც ამჟამად მთავარია) ამ ფუძეთა სტატიკური ფორმებისადმი მიკუთვნებას, საყრდენად რომ დასდებიან შესაბამის დინამიკურ ფორმებს.

ამასთან დაკავშირებით ერთი რამ უნდა აღინიშნოს.

ჩვენთ მოტანილი იყო ის ფორმები, როცა სტატიკური ამოსავა-

ლი ხდებოდა დინამიკურისათვის. ქართულში დავამოწმეთ საპირისპირო მიმართულებაც: დინამიკური ფორმა ამოსავალია სტატიკურისათვის. ეს კი ქმნის არც თუ ისე იშვიათ შემთხვევებს, როცა სტატიკური ფორმა ენობრივ ფორმათწარმოქმნის „გზაჯვარედინზე“ აღმოჩნდება ხოლმე: თავად ამოსავლად იღებს დინამიკურ ფორმას და იმავდროულად, თავის მხრივ, საფუძვლად ედება დინამიკურ ფორმათა ახალ სისტემას. ამის ნიმუშად ხსენებული ჩინ-ს, *დინ-ს ფორმები გამოგვადგება:

დინამიკური:	სტატიკური:	დინამიკური:
აწმყო: ა-ჩენ-ს	—	
ნამყო: ა-ჩინ-ა	→ აწმყო: ჩინ-ს →	აწმყო: ა-ჩინ-ებ-ს
		ნამყო: ა-ჩინ-ა.

ანალოგიური მიმართებანი ივარაუდება *დინ-ს ფორმის შემთხვევაშიც:

აწმყო: ა-დენ-ს

ნამყო: ა-დინ-ა — აწმყო: *დინ-ს → აწმყო: წარმო-ა-დინ-ებ-ს
ნამყო: წარმო-ა-დინ-ა.

ამრიგად, თითქმის ერთი და იმავე მნიშვნელობისათვის ორი სისტემა აღმოგვაჩნდა გავრდამავალი დინამიკური ზმნებისა, რომელთა შორის შეუალღებულ საფეხურს ქმნის სტატიკური ფორმა. დინამიკურ ზმნათა პირველ სისტემაში დაპირისპირება აწმყოსა და ნამყო ძირითადის ფორმებს შორის ფლექსიურია, მეორე სისტემაში — აგლუტინაციური. სხვაობა ამით არ ამოიწურება, ამ მხრივ ღირსაცნობ სურათს იძლევიან თითოეული სისტემის ძესაბამისი ვნებითებიც. უთუოდ ამით აიხსნება ვნებითის სისტემაში პარალელური ფორმების არსებობა: ჩნ-დ-ებ-ა და ჩინ-დ-ებ-ა, მი-ე-დინ-ებ-ა და დინ-დ-ებ-ა. ეს გადასვლები სქემაზე ასეთი სახით წარმოგვიდგება:

აწმყო: ა-დენ-ს
ნამყო: ა-დინ-ა →
- აწმყო ვნებითი: მი-ე-დინ-ებ-ა
- აწმყო სტატიკ.: *დინ-ს → დინამ.: ა-დინ-ებ-ს → დინ-დ-ებ-ა
- ნამყო: ა-დინ-ა → დინ-დ-ა

რა თქმა უნდა, დეტალური ანალიზი უფრო დააზუსტებს ამ მიმართებებს, მაგრამ წარმოქმნის პრინციპი, ვფიქრობთ, სწორედ ასეთია.

მაშასადამე, დინ- ფუძის რეალურობა სტატიკურ ზმნათა სისტემაში ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ეს ფუძე წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო *დინ-ს ფორმის სახით. თუ რა გარდაქმნები მოსდევდა ამას, ეს ზემოთ უკვე იყო ნაჩვენები. დასაშვებია სხვა გზაც: დინ- ფუძე წარმოდგენილი იყო *დინ-ი-ს ფორმის სახით, სადაც ინტერვოკალურ პოზიციაში

–ნ თანხმოვანი გაუჩინარდა, მივიღეთ: *დი-ი-ს, რომელიც უწყვეტელში კანონზომიერად იძლეოდა დი-ოდ-ა ფორმას, აწმყოში კი, შერწყმის შედეგად, მოგვცა დი-ს ფორმა.

ასე რომ, უეჭველი ჩანს დინ- ფუძის რეალურობა, რომელიც ამოსავალი ფონეტიკური ვარიანტი უნდა ყოფილიყო ამჟამინდელი დი- ფუძისათვის. სარკეევია, თუ როგორ ფორმდებოდა იგი, წარმოდგენილი იყო როგორც *დინ-ს, თუ როგორც *დინ-ი-ს. ორივე ვარიანტი დასაშვებია ქართულისათვის. უფრო სარწმუნოა *დინ-ს ვარიანტი, ამიტომაც მას მეტი ყურადღება დაეთმო ზემოთ. ამ ვარიანტის სარწმუნოობაზე მიგვანიშნებენ ხევსურულში დამოწმებული ჩინ-ს და სალიტერატურო ქართულში არსებული ს-წყინ-ს ფორმები, თუმცა მეორე ვარიანტსაც მოეპოვება თავისი ანალოგები ენაში: ი-ცინ-ი-ს, ე-შინ-ი-ს, მაგრამ ეს ანალოგები მაინც ძალზე შორეულია. ტიპოლოგიურად დინ- სწორედ ჩინ-, წყინ- ფუძეებთან ამყარებს ერთობას. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ სამივე ეს ფუძე ამოსავალში ფლექსიურია. უორმათწარმოქმნის პრინციპიც ერთნაირი უნდა ჰქონოდათ.

*დინ-ს—დი-ს გადასვლას ვარაუდობს მ. ანდრონიკაშვილიც, რომელმაც დენ-/დინ- ფუძე ანალოგიური სტრუქტურის ირანულ ფუძეს დაუკავშირა ([269], 85).

ერთი ფაქტია კიდევ აქ ღირსაცნობი: ბოლოკიდურ პოზიციაში სონანტისა და ხშულის თავმოყრა იწვევს ან მთელი კომპლექსის დაკარგვას, როგორც ეს მოუვიდა მი-ვალ-ს—მი-ვა ფორმას, ან სონანტის ჩავარდნას, როგორც ეს დავამოწმეთ *დინ-ს—დი-ს ფორმის შემთხვევაში.

XII

ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია აგრეთვე ჰ-ში-ოდ-ა ფორმა. ძველი ქართულიდან ანას დაემატება რბი-ოდ-ა და ქრი-ოდ-ა ფორმებიც.

ძველ ქართულში აწმყოში დამოწმებული ჰ-მში-ი-ს, ჰ-ში-ი-ს და ჰ-ში-ა (აგრეთვე: ჰ-მში-ი-ა, იხ.: [268], 305) ფონეტიკურად იცვალა და ახალ ქართულში მოგვცა ჰ-ში-ა ფორმა. ფუძისეული მ- ელემენტისა და -ი ფორმანტის გაუჩინარების ტენდენცია ძველ ქართულშივე ილანდება, ამას ადასტურებენ, ერთი მხრივ, ჰ-ში-ი-ს და, მეორე მხრივ, ჰ-მში-ნ ([281], 75).

აშკარაა, რომ აქ შემთხვევაში უწყვეტლისეული -ოდ ზუსტი შესატყვისია აწმყოსეული -ი ფორმანტისა, რომელიც დაკარგა ახალმა ქართულმა:

აწმყო: ჰ-მში-ი-ს — ჰ-ში-ა
უწყვეტელი: ჰ-მში-ოდ-ა ჰ-ში-ოდ-ა.

ასე რომ, ახალი ქართულისეული შეუსაბამობა აწმყოსა და უწყვეტლის ფორმებს შორის მეორეულია.

თავის მხრივ, ასევე ნათელია, რომ მში- ფუძე უშუალო კავშირს ამყარებს დინამიკურ ზმნათა სისტემასთან, ზემოთ გაანალიზებულ ფორმათა სრული ანალოგიით:

	დინამიკური:	სტატიკური:
აწმყო:	ა-მშევ-ს	
ნამყო ძირ.:	და-ა-მში(ვ)-ა→	აწმყო: ჰ-მში(ვ)-ი-ს.

ამრიგად, სტატიკური ფუძის პირვანდელი ვარიანტია მშივ-, გადმოყოლილი დინამიკური ზმნის ნამყო ძირითადიდან. ეს ფუძე დამოწმებულ იქნა როგორც ძველ ქართულში: გ-(მ)შივ-ი-ს, ასევე დიალექტებში: გ-შივ-ა ([281], 75). უშუალოდ ამაზე მიუთითებს ვნებითის ფორმაც: ჰ-შივ-დ-ებ-ა, შდრ. აგრეთვე მოქმედებითის ფორმა: ა-შივ-ებ-ს. ა-მშევ-ს და ა-შივ-ებ-ს იმავე რიგის მიმართებაა, ყველა აქედან გამომდინარე შედეგით, რომელიც ზემოთ ა-ჩენ-ს და ა-ჩინ-ებ-ს, ა-დენ-ს და ა-დინ-ებ-ს ფორმების მიმართ დავამოწმეთ. ანალოგიურად განსხვავებული აქვთ ვნებითის ფორმებიც:

ა-მშევ-ს→ი-მშევ-ა, მაგრამ: ა-შივ-ებ-ს→შივ-დ-ებ-ა.

რაც შეეხება რბი-ოდ-ა და ქრი-ოდ-ა ფორმებს, აქ ცოტა სხვაგვარი ვითარებაა: პარალელურად დამოწმებული რბ-ოდ-ა, ქრ-ოდ-ა ფორმები დამატებითი საკითხების გათვალისწინებას ხდის საჭიროს.

როგორც ჩანს, უწყვეტლის კვალობაზე აწმყოშიც პარალელური ფორმების ოდინდელი არსებობა უნდა ვივარაუდოთ.

რბი-ოდ-ა ფორმა ამოსავლად იღებს რბი-ს ფორმას, სადაც -ი ფუძისეულია. რბი- ფუძე შესაბამისი მოქმედებითის ნამყო ძირითადისეულია წარმოშობით. მოქმედებითში დამოწმებულია როგორც ა-რბევ-ს („არბენ-ნებს"), ისე ა-რბენ-ს (რომელმაც შემდგომ ა-რბენ-ინ-ებ-ს მოგვცა) ფორმები. ნამყო ძირითადი პირველ შემთხვევაში იქნებოდა ა-რბი(ვ)-ა, მეორე შემთხვევაში ა-რბინ-ა. სტატიკური ფორმისათვის ამოსავალი შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც რბივ-, ასევე რბინ-ფუძე: *რბივ-ს ან *რბინ-ს. დასაშვებია *რბივ-ი-ს ვარიანტიც, წარმოშობით II ხოლმეობითის ფორმა.

რბ-ოდ-ა ფორმა ამოსავლად იღებს რბ-ი-ს ფორმას, სადაც -ი უკვე ფორმანტია. ამ ფორმისათვის საყრდენია რებ- (მო-რებ-ა) ფუძე.

მაშასადამე, ფონეტიკურად მსგავს, მაგრამ მორფოლოგიურად ნაირგვარი შედგენილობის რბი-ს და რბ-ი-ს ფორმათა გენეზისი ასე წარმოგვიდგება:

	I სისტემა:	II სისტემა:
აწმყო:	ა-რბევ-ს	ფუძე: რებ—►*რებ-ი-ს►
ნამყო:	ა-რბი(ვ)-ა►*რბივ-ს‖*რბივ-ი-ს►	►აწმყო: რბ-ი-ს
	►აწმყო: რბი-ს‖*რბი-ი-ს	უწყვეტელი: რბ-ოდ-ა
	უწყვეტელი: რბი-ოდ-ა	

ამრიგად, იმის მიხედვით, თუ რა ჩვენებას იძლევა უწყვეტელი: რბი-ოდ-ა თუ რბ-ოდ-ა, აწმყოში შესაბამისი ფორმები ნაირგვარად სეგმენტირდება: პირველ შემთხვევაში გვექნება რბი-ს, მეორე შემთხვევაში რბ-ი-ს. ამჟამად ქართულმა მხოლოდ უკანასკნელი ვარიანტი შეინარჩუნა.

დავასკვნით: ამ შემთხვევაში ნაირგვარმა ქმედებამ ნაირგვარ წარმომაელობაზე მიგვანიშნა.

ანალოგიურად გადაწყდება ქრი-ოდ-ა და ქრ-ოდ-ა პარალელურ ფორმათა საკითხიც, რომელთა საფუძველზე აწმყოში უნდა ეივარაუდოთ *ქრივ-ს ან *ქრივ-ი-ს და ქრ-ი-ს ფორმათა ოდინდელი არსებობა:

ერთი მხრივ:

ა-ნ-ქრევ-ს → ა-ნ-ქრი(ვ)-ა → *ქრივ-ს‖ქრივ-ი-ს — ქრი-ს — ქრი-ოდ-ა,

ხოლო, მეორე მხრივ:

ქარ-ი (ან: ქერ-, შდრ.: ჩა-ჰ-ქერ)—ქრ-ი-ს—►ქრ-ოდ-ა.

დასასრულ, ჰ-მში-ი-ს ფორმის შესაბამისი მიმღეობის მში-ერ-ი სტრუქტურასაც უნდა შევეხოთ. პირვანდელ სახედ ივარაუდება: *მშივ-ერ-(ი), სადაც ისევ და ისევ მშივ- ფუძეა დამოწმებული. შესაძლოა, ამ ფორმამ რთული შედგენილობის -ი-ერ (←-ივ-ერ) ფორმანტის წარმომავლობაზეც მიგვანიშნოს რამე, კერძოდ კი ის, რომ -ივ (►-ი) რეტროსპექტულად ფუძის კუთვნილი ელემენტია და, რაც განსაკუთრებით ღირსაცნობია, საკუთრივ ზმნური ფუძის კუთვნილი ელემენტი. ამ მომენტის გათვალისწინება უთუოდ გარკვეულ სიახლეს შეიტანს -ი-ერ ფორმანტით წარმოებული ფუძეების ისტორიულ ანალიზში. თუ ასეა, მაშინ სულ სხვა კუთხით წარმოჩნდება ძლ-ი-ერ- ტიპის ფუძეთა ოდინდელი რაობა. რიგ ზმნურ ფუძესთან -ერ ფორმანტი ძველთაგანვეა დამოწმებული: წად-ი-ერ-ი, წყურ-ი-ელ-ი (←*წყურ-ი-ერ-ი), პოვნ-ი-ერ-ი ([288], 123): თუმცა უპირატესად იგი ისეთ ფუძეებთან გვხვდება, სახელადი რომ ჩანან...

XIII

ამრიგად, -ი ელემენტი დი-ს, ჰ-მში-ი-ს—►ჰ-ში-ა, რბი-ს, ქრი-ს (რბი-ოდ-ა, ქრი-ოდ-ა უწყვეტლის მქონე) ფორმებში სულ სხვა რიგისაა, ვი-

ხემ -ი კრთ-ი-ს, თრთ-ი-ს, ი-ც-ი-ს, რბ-ი-ს ქრ-ი-ს (რბ-ოდ-ა, ქრ-ოდ-ა უწყვეტლის მქონე) ფორმებში: მიუხედავად მასალობრივი იგივეობისა, ნაირგვარი წარმომავლობისაა, რის მიმართაც საკმაოდ მგრძნობიარე არიან ფორმათწარმოებითი აფიქსები. ამ შემთხვევაში უწყვეტლისეული სუფიქსი იგულისხმება უპირველეს ყოვლისა. ეს ფორმანტები უტყუარად (თუ შეიძლება ასე ითქვას, „შინაგანი ფორმობრივი ალღოთი“) განარჩევენ ფუძეთა შედგენილობას და შესაბამისად ნაწილდებიან კიდეც. ეს ის შემთხვევაა, როცა ფორმანტის ნაირგვარი ქცევა, ნაირგვარი მიმართება ნაირგვარი გენეზისისა და ნაირგვარი შედგენილობის ფუძეებს წარმოგვიჩენს, როცა მსგავსება შემთხვევითია და სწორედ ამიტომაც ფორმანტთა ჩვენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

დავასკვნით:

ფორმანტთა იდენტიფიკაციის დროს აუცილებელია მასალობრივ შედგენილობასა და პოზიციასთან ერთად გავითვალისწინოთ ფორმანტთა თვისობა და ქმედება. ფორმის მართებული სეგმენტირება მხოლოდ ამ მოთხოვნას შეიძლება დაეფუძნოს.

მასალობრივ ერთი შედგენილობისა და პოზიციურად ერთგვაროვანი ფორმანტების ნაირგვარი თვისობისა და ქმედების მიზეზი შეიძლება იყოს:

ან ენის განვითარების გარკვეულ საფეხურზე მათი დაცილება, გაწრეწილი შინაგანი პოტენციის ნაირგვარი გამოვლინებით,

ან ენობრივი ელემენტების ნაირგვარი გენეზისი და მაშინ ფორმობრივი მსგავსება მეორეული იქნება: გენეზისი სხვადასხვაა, ამჟამინდელი სახე — ერთნაირი, მაგრამ „მემკვიდრეობითი“ სხვაობა ფორმათწარმოების რომელიმე პარადიგმში უთუოდ იჩენს თავს.

XIV

ენობრივი ელემენტების თვისობისა და ქმედების გათვალისწინებას ენის ფრიად სიღრმისეულ წიაღში შევყავართ. ამ შემთხვევაში სულ სხვაგვარად დაისმის ხოლმე ენობრივ მონაცემთა მსგავსებისა და განსხვავების საკითხი. ამიტომაცაა ფასეული ხსენებული პრინციპების მოხმარება.

ხელოვნურად ისეთი ნიმუშები იყო მოტანილი, როცა უწყვეტელმა დაადასტურა განსხვავება და ამის კვალობაზე გაირკვა ამჟამად მსგავს მონაცემთა ისტორიული ნაირსახეობა. მოხდება ისიც, რომ უწყვეტლის ფორმები ერთგვაროვანი პრინციპით წარმოებული აღმოაჩნდებათ ნაირგვარი წარმომავლობისა და შედგენილობის ფორმებს, ამ შემთხვევაში უწყვეტელი არაკომპეტენტური იქნება ფორმათა შინაგანი

სტრუქტურის წარმოსაჩენად და მაშინ სისტემის სხვა რგოლში უნდა ვეძიოთ ამ სხვაობის წარმოჩენის საფუძველი. ამ თვალსაზრისით ღირსაცნობია ფორმები:

ა წ მ ყ ო: ს-ტკივ-ა ჰ-ში-ა ს-ცივ-ა ჩივ-ა (დიალექტ.)
უწყვეტელი: ს-ტკი-ოდ-ა ჰ-ში-ოდ-ა ს-ცი-ოდ-ა ჩი-ოდ-ა

როგორც ვხედავთ, აქ პირიქითაა: უწყვეტელი ერთნაირ სურათს გვიჩვენებს, სხვაობა აწმყოშია: ყველა სხვა ფორმისგან განსხვავებით ჰ-ში-ა ფორმაში არ არის შენარჩუნებული ფუძისეული ვ თანხმოვანი (ჰ-შივ-ა).

შემთხვევითია ეს ფაქტი?

რა თქმა უნდა, არა!

ყველა დასახელებული ფორმის ფუძეში დამოწმებულია -იე ელემენტი:

ს-ტკივ-ა
ჰ-ში(ვ)-ა
ს-ცივ-ა
ჩივ-ა.

მაგრამ ეგ -ივ ყველა შემთხვევაში სხვადასხვა წარმომავლობისა და დანიშნულებისაა.

ჰ-შივ-ა (—ჰ-ში-ა) ფორმის -ივ მიღებულია -ევ-ისგან: ამოსავალი ზმნა ფუძედრეკად ზმნათა სისტემას განეკუთვნება:

დინამიკური: აწმყო: ა-მშევ-ს
ნამყო: და-ა-მშივ-ა—და-ა-მში-ა—

—სტატიკური: აწმყო: ჰ-მში(ვ)-ი-ს—
—ჰ-ში-ა.

ამრიგად, -ევ: -ივ(—-ი) მონაცვლეობის შედეგი აღმოჩნდა სტატიკურ ფორმაში. აქ კი, როგორც წესი, -ვ იკარგვის ინტერვოკალურ პოზიციაში, რაც კანონზომიერად აისახა სტატიკურ ფორმაშიც. იმ დიალექტებში კი, სადაც დინამიკურ ზმნათა ნამყო ძირითადში -ივ უცვლელადაა შენარჩუნებული, იგი დაცული აღმოჩნდება სტატიკურ ზმნათა აწმყოშიც.

ყველა სხვა შემთხვევაში -ივ სულ სხვა რიგის მოვლენაა და, შესაბამისად, ქმედებაც სხვაგვარი აქვს.

თუმცა არც დანარჩენ ფორმებშია -ივ ერთგვაროვანი სტატუსისა. ზემოთ დასახელებულ ფორმებში ეს ნაირგვარობა ნიველირებულია, მაგრამ სხვა მიმართებებში იგი ხელშესახებად წარმოჩნდება.

ასე მაგალითად, ს-ცივ-ა, ჩივ-ა ფორმებში -ივ სტაბილურია, ფუ-

ძისგან გამოუყოფელი, ს-ტკივ-ა ფორმაში კი — ლაბილური, მონაცვლეობს -ენ ფორმანტთან:

ს-ტკივ-ა
ს-ტკენ-ს,

მაშასადამე, ტკივ- ფუძე რთული შედგენილობისაა, -ივ ფორმანტია, მაგრამ არ ჩანს, რომ -ევ-ისგან იყოს მიღებული, ჰ-მში(ვ)-ი-ს ფორმაში დამოწმებული -ივ ფორმანტისაგან განსხვავებით.

ამრიგად, ქმედების გათვალისწინებამ ს-ტკივ-ა ფორმაც გამოაცალკევა.

დაგვრჩა ს-ცივ-ა და ჩივ-ა.

ეს ფორმებიც დიფერენცირდება შესაბამისი დინამიკური ფორმების ჩვენებისდა მიხედვით:

ს-ცივ-ა→ა-ცივ-ებ-ს→ცივ-დ-ებ-ა,
მაგრამ:
ჩივ-ა→ა-ჩივ-ლ-ებ-ს→ X

ა-ცივ-ებ-ს და ა-ჩივ-ლ-ებ-ს უკვე სულ განსხვავებული სტრუქტურის მქონე ფორმებია, შენების ნაირგვარი პრინციპია წარმოდგენილი აქ. დამატებით ენებითის ჩვენებასაც უნდა მიექცეს ყურადღება..

ჩვენ განგებ არ შემოვიტანეთ განხილვაში ფუნქციური მომენტი, არ გავითვალისწინეთ ისიც, რომ, ვთქვათ, ცივ- სახელადი ფუძეა, ყველა დანარჩენი — ზმნური..ეს იმიტომ, რომ ვცადეთ ანალიზი პირწმინდად ფორმობრივ ნიშან-თვისებას, ანუ: ფორმობრივ თვისობასა და ქმედებას დამყარებოდა, ამის მიხედვით წარმოგვეჩინა ხსენებულ ფორმათა განსხვავებული სტატუსი. არ შევხებივართ იმ ფაქტსაც, რომ ს-ცივ-ა ფორმის ბოლოკიდური -ა წარმოშობით მეშველი ზმნაა (ცივ არს—ცივ-ა), რადგან ახლა იგი პირის ნიშანს გაუტოლდა და, ამდენად, ყველა მის ნიშან-თვისებას იზიარებს. ეს ტენდენცია ქართულში საერთოდ შეინიშნება, განსაკუთრებით ერთპირიან გარდაუვალ ზმნათა I თურმეობითში: და-წერილ არს —და-წერილ-ა, -ა მეშველზმნისეული ელემენტია წარმოშობით, მაგრამ ამჟამად პირის ნიშანთან გათანაბრებული, რასაც მრავლობითი რიცხვის ფორმასთან მიმართებაც დაამოწმებს:

და-წერილ-ა — და-წერილ-ან,

-ან III სუბიექტური პირის ნიშანია, ცვლის მხოლობითისეულ -ა ელემენტს. მიმართება ისეთივეა, როგორიც ი-წერ-ებ-ა — ი-წერ-ებ-ი-ან ფორმებს შორისაა დამოწმებული, კერძოდ, ამ ფორმებში არსებულ -ა და -ან პირის ნიშნებს შორის.

ზემოთ გაანალიზებულ ფორმებთან დაკავშირებით ერთი ღირსაცნობი მომენტიც უნდა გავითვალისწინოთ.

ხსენებულ ფორმათა ერთი ნაწილის ოდინდელი სახე სხვაგვარი იყო, თავისი სტრუქტურით ყველა მათგანი უპირისპირდებოდა ს-ცივ-ა ფორმას:

ი ყ ო		ა რ ი ს:
ს-ტკივ-ი-ს	—	ს-ტკივ-ა
ჰ-მში-ი-ს	—	ჰ-მში-ა
ს-ცივ-ა	—	ს-ცივ-ა
ჩივ-ი-ს	—	ჩივ-ა:

ჩივ-ა — ზოგიერთ დიალექტში, სალიტერატურო ქართულმა და დიალექტთა მეტმა წილმა შეინარჩუნა ჩივ-ი-ს...

თუ ამას დავუმატებთ:

ს-თეს-ი-ე-ს → ს-თეს-ი-ა

ფორმებს, მაშინ აშკარა გახდება, რომ აქ გაერთფორმიანების მძლავრი ტენდენციის უშუალო გამოვლინებასთან გვქონია საქმე: ნაირგვარი წარმომავლობის ფორმები ერთმანეთს დაუახლოვდა თავისი სტრუქტურით, მაგრამ შინაგანად თითოეულმა მათგანმა მაინც შეინარჩუნა სხვაობის იმპულსი, რაც მათი ენობრივი მიმართებებით, მათი ქმედებით ხდება საცნაური.

მაშასადამე, აქ გვქონია თვალსაჩინო ნიმუში ენაში მიმდინარე ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენისა: დამსგავსებისა და განსხვავების ტენდენციებისა.

დამსგავსების პროცესი რომ აქ მართლაც საკმაოდ ღრმად არის წასული, ამას ს-ტკივ-ი-ს და ს-ცივ-ა ფორმათა შედარებაც ნათლად დაადასტურებს. ს-ცივ-ა ფორმამ, რომელსაც -ი ფორმანტი არ მოეპოვება, არა მხოლოდ -ოდ დაირთო უწყვეტელში, არამედ ბიმღეობაც ანალოგიით იწარმოვა: მ-ცივ-ან-ი (შდრ.: მ-ტკივ-ან-ი).

მიუხედავად ამისა, იმავდროულად განმასხვავებელი ფაქტორიც ინარჩუნებს თავის პოზიციებს.

ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ სხვაობის მიზეზი ლექსიკური ძხიშვნელობაა თითქოს. არ გამოვრიცხავთ რა ამ შესაძლებლობასაც, ამ დროს ენობრივი მონაცემის ფორმობრივ სტრუქტურას, მის წარმომავლობასაც უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

რატომ განსხვავდება, ვთქვათ, ნამყო ძირითადში და-ა-სი-ა და და--ა-სივ-ა ფორმები ერთმანეთისაგან? ლექსიკური მნიშვნელობაა აქ ამის მიზეზი? და-ა-სი-ა მოქმედებითი გვარია შემო-ე-სი-ა ზმნისა, და-ა--სივ-ა კი — სივ-დ-ებ-ა ზმნისა.

მაგრამ არა, არსებითი მიზეზი აქ ამ ზმნათა ფორმობრივი სტრუქ-

ტურაა, რაც მათ განსხვავებულ ქმედებას განაპირობებს. აწმყოს ფორმებთან შედარება ამას ნათლად წარმოაჩენს:

აწმყო:	ა-სევ-ს	ა-სივ-ებ-ს
სამყო ძირ.:	და-ა-სივ-ა→და-ა-სი-ა,	და-ა-სივ-ა

პირველ შემთხვევაში -ივ მიღებულია -ევ-ისაგან, აქ კი ინტერვოკალურ პოზიციაში -ივ-ისეული ვ თანხმოვნის დაკარგვის ტენდენციაა, რაც რეალიზდება კიდეც. მეორე შემთხვევაში -ივ ისთავითვე სტაბილურადაა მოცემული ფორმაში, შესაბამისად, ქმედებაც განსხვავებული აქვს.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინება, ვფიქრობთ, ძართლაც შეგვაძლებინებს იმის დადგენას, თუ რატომ არის, რომ იდენტური სახის მქონე ორი ენობრივი მონაცემი სხვადასხვანაირად იქცევა და სხვადასხვაგვარ შედეგს გვაძლევს.

XV

ზიმართებათა და, ამის საფუძველზე, ქმედების გათვალისწინება შესაძლებლობას იძლევა ანალოგიით გაჩენილ ფორმათა ზუსტი კვალიფიკაციისა.

დიალექტებიდან ცნობილია თემის ნიშანთა შენაცვლების შემთხვევები:

ნახ-ავ-ს — ნახ-ამ-ს
კიდ-ებ-ს — კიდ-ემ-ს
ა-ცხ-ობ-ს — ა-ცხ-ომ-ს
ა-კეთ-ებ-ს — ა-კეთ-ამ-ს
ფიქრ-ობ-ს — ფიქრ-აბ-ს...

ეს ფაქტი ფონეტიკური ფაქტორით, რა თქმა უნდა, ვერ აიხსნება: თუ დავუშვებთ ფონეტიკური მონაცვლეობის შესაძლებლობას ნახ-ავ-ს—ნახ-ამ-ს, კიდ-ებ-ს→კიდ-ემ-ს ტიპის ფორმებში, ამ თვალსაზრისით აუხსნელი დარჩებოდა ა-კეთ-ებ-ს — ა-კეთ-ამ-ს, ფიქრ-ობ-ს — ფიქრ-ამ-ს ფორმებში დამოწმებული შენაცვლება. აშკარაა, აქ მორფოლოგიურ ანალოგიასთან გვაქვს საქმე ([273], 141). ესაა ცოცხალი კილოებისათვის ესოდენ დამახასიათებელი უნიფიკაციის პროცესის უშეალო გამოხატულება. მაგრამ ისმის კითხვა: ის, რაც ახლა გარკვეული კანონზომიერებით აიხსნება, ხომ არაა ისტორიულად სავსებით განსხვავებული ვითარების ანარეკლი? ანუ: თუკი ა-კეთ-ებ-ს ფორმის ნაცვლად ა-კეთ-ამ-ს / ა-კეთ-ემ-ს ფორმების გავრცელება დიალექტებში ამჟამად უნიფიკაციად შეიძლება დავსახოთ, ხომ არ უნდა ვივარაუდოთ იმავდროულად, რომ თავისთავად ა-კეთ-ებ-ს — ა-კეთ-ამ-ს პარალელური ფორმების არსებობა (რომელთაგან შემდგომ ერთი ერთ დია-

ლექტში მკვიდრდება, ხოლო მეორე — მეორეში) ენის რეალურად მოქმედი ისტორიული ფორმაიწარმოების გადმონაშთია, რაც ერთადერთს შეიძლება ნიშნავდეს: -ამ და -ებ ფორმანტებით წარმოება ფუნქციურ დაპირისპირებას ქმნიდა. თუკი დიალექტები რომელიმე ენის კუთხური (ეთნოგრაფიული) სახესხვაობანია, ეს იმთავითვე გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ -ამ და -ებ (და მისთანანი) სხვადასხვა დიალექტური ფენის კუთვნილებად დავსახოთ ოდითგანვე და თითქოს შემდეგ მოხდა მათი თავმოყრა ერთ დიალექტსა თუ სალიტერატურო ენაში. არა, ორივეს არსებობა ერთს ენობრივ კოლექტივში ისტორიული რეალობაა.

მაშასადამე, გასარკვევი ყოფილა, დიალექტებში დამოწმებული -აქ და -ებ მონაცვლეობა ანალოგიის ფაქტია თუ ოდინდელი ფუნქციური დაპირისპირების რელიქტი. ორივე შესაძლებლობა დასაშვებია.

აქ ჩვენ საიმედო საკონტროლო საშუალება მოგვეპოვება. ეს არის ფორმათა მიმართების, ფორმათა ქმედების გათვალისწინება. ამ შემთხვევაში შესადარებლად გამოსადეგია ყველა ის ფორმა, რომელიც თემის ნიშანს ინარჩუნებს: მასდარი, მიმღეობა, თურმეობითები. მაგრამ არ გამოდგება ნამყო ძირითადი, რადგან აქ, როგორც წესი, ფორმა უთემისნიშნოდაა წარმოდგენილი...

ვნახოთ, რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენთვის საინტერესო ფორმებში.

არ არის საჭირო განსაკუთრებული ჩაძიება იმის დასადგენად, რომ საანალიზო ფორმებს -ამ თემის ნიშანი არ გადაჰყვებათ არც მასდარში, არც მიმღეობებში, არც თურმეობითებში და არც შესაბამის ვნებითებში. აი, ერთი ნიმუში ამისა: „იყო და არა იყო რა, იყვნენ ერთნი ცოლქმარნი. კერძს ვერ ა-კეთ-ამ-დ-ნენ... ამ ცოლმა უთხრა: წადი ჩვეხებთანაო. მივიდა თავიანთა და უთხრა თავის სიდედრსა: კერძის გა-კეთ-ებ-ა არ იცითო? გვასწავლეთო" ([282], 315). აქ ერთმანეთის გვერდითაა დამოწმებული ა-კეთ-ამ-დ-ნენ ზმნური ფორმა და მისი მასდარი გა-კეთ-ებ-ა.

აშკარაა: ა-კეთ-ამ-დ-ნენ ფორმა ანალოგიის შედეგია, -ამ ფორმანტს რაიმე განსხვავებული ფუნქციის გამოხატვა არ აკისრია.

ანალოგიური მაგალითებია:

ა-შენ-ამ-ს, მაგრამ: შენ-ებ-ა
ი-ყენ-ამ-ს, მაგრამ: გამო-ყენ-ებ-ა
ი-გონ-ამ-ს, მაგრამ: მო-გონ-ებ-ა...

ამისდა კვალობაზე, ფონეტიკური ფაქტორით ავხსნათ ცვლილება: ნახ-ავ-ს → ნახ-ამ-ს, ეს ნიშნავს, რომ ერთი და იმავე ენობრივი მოვ-

ლენისათვის ნაირგვარი ახსნა მოვიმარჯვოთ: ერთ შემთხვევაში ფონეტიკური პროცესი, მეორე შემთხვევაში მორფოლოგიური ანალოგია. არა, ერთი და იგივე ტენდენციაა და ერთი და იგივე შედეგი: მორფოლოგიური ანალოგია.

ამრიგად, ფორმათა მიმართებამ, ქმედებამ გაარკვია დიალექტებში დამოწმებული მოვლენის ენობრივი არსი: არა ფონეტიკური ცვლილება ან ფუნქციური დაპირისპირება, არამედ მორფოლოგიური ანალოგია.

ზემოთქმული სრულიად არ გამორიცხავს სხვა შემთხვევებში როგორც ფონეტიკური ფაქტორის, ასევე ფუნქციური დაპირისპირების შესაძლებლობას.

ა-კეთ-ებ-ს—ა-კეთ-ეფ-ს უთუოდ ფონეტიკური ცვლილების შედეგია.

ქართული დაადასტურებს თემის ნიშანთა ფუნქციური დაპირისპირების შემთხვევებსაც.

ამ რიგისაა, მაგალითად:

ფარ-ავ-ს — ა-ფარ-ებ-ს
შხამ-ავ-ს — ა-შხამ-ებ-ს
თვალ-ავ-ს — თვლ-ი-ს
ნათლ-ავ-ს — ა-ნათლ-ებ-ს...

სხვაობა, რომელიც აწმყოში თემის ნიშანთა დაპირისპირებით მყარდება, ნამყო ძირითადში (სადაც თემის ნიშნები არა გვაქვს) ზმნისწინების ნაირსახეობით გამოიხატება:

მო-შხამ-ა — ჩა-ა-შხამ-ა
გა-თვალ-ა — და-თვალ-ა
მო-ნათლ-ა — გა-ა-ნათლ-ა...

თუმცა აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თემის ნიშანი და ზმნისწინი ხსენებულ ფორმებში დამატებითი განმასხვავებლის როლს ასრულებს. ძირითადია მაინც უპირველესად მორფოლოგიური ყალიბი, მორფოლოგიური სისტემა და შემდეგ კონტექსტი.

უფრო ხელშესახებადაა წარმოჩენილი თემის ნიშნებს შორის დაპირისპირება ძველ ქართულში დამოწმებულ მიმართებებში:

უ-ძლ-ავ-ს — ს-ძლ-ევ-ს
ჰ-კიდ-ავ-ს — ჰ-კიდ-ებ-ს
კნ-ავ-ს — ა-კნ-ევ-ს (ახლა: ა-ხვნ-ევ-ინ-ებ-ს)...

ამჯერად საგანგებოდ უნდა შევეხოთ ისეთ შემთხვევებს, როცა მასალობრივ ერთგვაროვანი ფორმანტები ნაირგვარ ქმედებას გვიდასტურებენ და, პირიქით, მასალობრივ განსხვავებულ ფორმანტებს ერთგვაროვანი ქმედება ახასიათებთ.

მასალობრივ ერთგვაროვანი ფორმანტების (და, საერთოდ, მორფემების) ნაირგვარი ქმედების მიზეზი შეიძლება იყოს:

ა) მასალობრივ ერთგვაროვანი მონაცემების ნაირგვარი შემადგენლობა და მაშინ მასალობრივი ერთგვაროვნება მოჩვენებითია,

ბ) მასალობრივ ერთგვაროვანი მონაცემების მიერ სხვადასხვა სისტემაში სხვადასხვა ენობრივი სტატუსის, დანიშნულების მოპოვება და, მაშასადამე, ამ შემთხვევაში ფუნქცია ახდენს გარკვეულ გავლენას ამ მონაცემთა ფორმობრივ ქმედებაზე.

კონკრეტული ხიმუშები გაარკვევენ, თუ რა იგულისხმება ამ შემთხვევაში.

ძველი ქართულის (ახლა: ზოგიერთი დიალექტის) მონაცემი უნდა მოვიგონოთ -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნათა უღვლილების თავისებურებათა შესახებ და შევუდაროთ -ი თემისნიშნიან ზმნათა უღვლილებას:

აწმყო:	მალ-ავ-ს	ჭრ-ი-ს
უწყვეტელი:	მალ-ე-იდ-ა	ჭრ-ი-დ-ა

უწყვეტელში ორივე ზმნამ ბოლოკიდურა პოზიციაში დაადასტურა -იდ- ელემენტი, ასე რომ, მასალობრივ ერთგვაროვანი მონაცემი გვქონია. მაგრამ თავისი არსით აქ ორი სხვადასხვა ერთეული გვაქვს. მალ-ე-იდ-ა ფორმის -იდ არ სეგმენტირდება, დაყოფის საფუძველი არ უჩანს, რეალური ენობრივი ღირებულება მას აქვს როგორც მთლიან, დაუშლელ (და არა როგორც შედგენილ) ფორმანტს. ამის საპირისპიროდ, ჭრ-ი-დ-ა ფორმის -ი-დ დაშლადია, -ი და -დ ელემენტებს თავთავისი დამოუკიდებელი ფუნქცია უჩანთ: -ი თემის ნიშნის სტატუსით გამოდის და აწმყოდანაა გადმოყოლილი, -დ უწყვეტლის ფუძეს აწარმოებს და შესაბამისი მნიშვნელობა შეაქვს ფორმაში.

ზემოხსენებული უკეთ წარმოჩნდება იმ შემთხვევაში, როცა ერთსა და იმავე ფუძესთან მოგვეპოება როგორც -ავ, ასევე -ი თემის ნიშნები:

აწმყო:	ღალ-ავ-ს	ღლ-ი-ს
უწყვეტელი:	ღალ-ე-იდ-ა	ღლ-ი-დ-ა

-ავ თემის ნიშანია, -ი ფორმანტია, რომელსაც თემის ნიშნის სტატუ-

სი აქვს მოპოვებული. ფორმათა შეპირისპირება ყველა ელემენტის ენობრივ ღირებულებას გაარკვევს:

აწმყო:	უწყვეტელი:
ღალ-ავ-ს →	ღალ-ვ-იდ-ა
	ახლა: ღალ-ავ-დ-ა
ღლ-ი-ს →	ღლ-ი-დ-ა

აშკარაა: აწმყოს რიგში -ავ და -ი ერთმანეთს უტოლდება, უწყვეტლის რიგში თანაბარი ღირებულებისაა -ვ, -ავ და -ი, ერთი მხრივ, და -იდ, -დ და -დ, მეორე მხრივ. აქედან გამომდინარე, ღალ-ვ-იდ-ა ფორმის -იდ იმავე დანიშნულებისა ყოფილა, რაც ღლ-ი-დ-ა ფორმის (ასევე: ღალ-ავ-დ-ა ფორმის) -დ, ე. ი. -იდ ამ შემთხვევაში დაუშლელი მთლიანობაა. შევნიშნავთ: აქ არ იგულისხმება ისტორიული პერსპექტივა, გათვალისწინებულია მხოლოდ ენის ფუნქციონირების დოკუმენტირებული (და, ამდენად, რეალური) საფეხური.

-იდ და -ი-დ მასალობრივ დაემთხვა ერთმანეთს, მაგრამ მათმა ნაირგვარმა წარმომავლობამ განსაზღვრა მათი ნაირგვარი შემადგენლობა და, შესაბამისად, ნაირგვარი ქმედებაც: ღლ-ი-დ-ა ფორმის -ი-დ აწმყოში პოულობს დასაყრდენს -ი თემის ნიშნის სახით, ღალ-ვ-იდ-ა ფორმის -იდ ელემენტს აწმყოში ასეთი დასაყრდენი არ მოეპოვება, თუ თეორიულად არ აღვადგენთ მას (ასეთი შესაძლებლობა, რა თქმა უნდა, გამორიცხული არ არის), მაგრამ თეორიულად აღდგენილი ფორმა, ბუნებრივია, ენის რეალურ, ფუნქციონირებაში მონაწილე მოქმედ ელემენტებს გვერდით ვერ დაუდგება.

მასალობრივ ერთნაირია -ებ მრავლობითობისა და -ებ თემის ნიშანი, მაგრამ, გარდა განსხვავებული მნიშვნელობისა, მათ სავსებით განსხვავებული ენობრივი ქმედებაც ახასიათებთ. ეს თუნდაც მათი ფონეტიკური ზემოქმედებითაც ჩანს: -ებ მრავლობითისა სახელებში, როგორც წესი, კუმშავს ფუძეს: კედელ-ი—კედლ-ებ-ი, სტუმარ-ი—სტუმრ-ებ-ი, ფოთოლ-ი— ფოთლ-ებ-ი და ა. შ. საპირისპიროდ, -ებ თემის ნიშანი მოკლებულია ასეთ უნარს, შდრ.:

ფუძე — ჭან: ა-ჭან-ებ-ს, მაგრამ: ა-ჭნ-ევ-ს,
ფუძე — ტან: გა-უ-ტან-ებ-ი-ა, მაგრამ: გა-უ-ტნ-ევ-ი-ა,
ფუძე — მტვერ: ა-მტვერ-ებ-ს, მაგრამ: ა-მტვრ-ევ-ს,
ფუძე — ძალ: ა-ძალ-ებ-ს, მაგრამ: ა-ძლ-ევ-ს,
ფუძე — ჭედ: ა-ჭედ-ებ-ს, მაგრამ ა-ჭდ-ევ-ს... ([272], 12).

გამონაკლისებიც გვაქვს. მაგალითად, ა-კლ-ებ-ს, სადაც ფუძე (კელ-, შდრ.: და-ვ-ა-კელ) -ებ ფორმანტის დართვისას იკუმშება. მაგრამ

აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ნამყო ძირითადშიც კი სულ უფრო დაჟინებით ცდილობს გაბატონებას შეკუმშული ფუძე: და-ვ-ა-კლ-ე.

მრავლობითის -ებ ფორმანტსა და -ებ თემის ნიშანს განსხვავებული მიმართებანი ახასიათებთ:

მრავლობითის -ებ იმ ფორმობრივი სისტემის კუთვნილებაა, სადაც მრავლობითობის -ენ და -ეთ სუფიქსები მოგვეპოვება.

-ენ დამოწმებულია პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელად: მო-ვ-კალ მე იგი, მაგრამ: მო-ვ-კლ-ენ მე იგინი. ამ ფორმანტის ვარიანტია -ნ, რომელიც სახელებშიც გვხვდებოდა (კაც-ნ-ი) და ზმნებშიც (წერ-ო-ნ).

-ეთ დადასტურებულია „ვინ“ ნაცვალსახელის მრავლობითში: „ვი--ეთ“. ძველ ქართულში აწარმოებდა ე. წ. კრებით მრავლობითს: მარი-ამ-ეთ-ა, აბიბოს-ეთ-ი, ლიპარიტ-ეთ-ი და სხვანი. ლიპარიტ-ეთ-ი ნიშნავს: „ლიპარიტი და მისი თანამოაზრეები, მიმდევრები, მხლებლები“ ([270], 133—166; [278], 385—391). ამ შემთხვევაში -ეთ ერთდროულად გამოხატავს მრავლობითობისა და ნათესაობითი ბრუნვის ფუნქციას ([278], 387). ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევენ გლოლურში დამოწმებული ფორმები: ბიძი-ეთ-ნ-ი (ნიშნავს: „ბიძიშვილები“), ბერი-ეთ--ნ-ი („ბერიშვილები“), ასევე: პავლე აბრამე-ეთ-ი... ([274], 242—243). საინტერესოა აღინიშნოს, რომ რაჭულში გვარსახელთა წარმოებისას ერთმანეთს ენაცვლება -ენ და -ეთ ფორმანტები ([293], 202—203). შეიძლებოდა გვეფიქრა, -ენ და -ეთ იმავე რიგის დაპირისპირებას ქმნის, რაც სახელთა ბრუნებისას სახელობითში წარმოდგენილი -ნ ფორმანტისთვისაა დამახასიათებელი სხვა ბრუნვებში გამოვლენილ -თ ფორმანტთან მიმართებისას (კაც-ნ-ი — კაც-თ-ა), ანდა III სუბიექტური პირის ნიშნისთვისაა ნიშანდობლივი I და II პირის მრავლობითი რიცხვის ფორმებთან მიმართებისას:

და-ვ-მალ-ო-თ
და-მალ-ო-თ
და-მალ-ო-ნ.

აქ ისიც წარმოჩნდა, რომ -ეთ ფორმანტის გვერდით -თ ფორმანტიც არის დამოუკიდებლივ გამოყენებული.

-ენ და -ნ, ასევე: -ეთ და -თ ფორმანტების შედარებისას აშკარა ხდება: -ენ, -ეთ იმიტომაც გამოხატავენ მრავლობითობას, რომ -ნ და -თ ელემენტებს შეიცავენ. ამ შემთხვევაში ჩვეულებრივ ცვლილების, გამარტივების პროცესს ვარაუდობენ: -ენ→-ნ, ასევე: -ეთ→-თ. მაგრამ მათი შეპირისპირება დასაშვებს ხდის სხვაგვარ ვარაუდსაც, შდრ.:

-ენ, და მის გვერდით: -ნ
-ეთ, და მის გვერდით: -თ
-ებ (ცალკე -ბ ელემენტი არ არის დამოწმებული).

ვერტიკალური რიგი საერთო -ე- ელემენტს გამოგვაყოფინებს, ჰორიზონტალური რიგი — განსხვავებულ -ნ და -თ ელემენტებს. ვერტიკალური და ჰორიზონტალური რიგების გადაკვეთა შესაძლებელს ხდის ვარაუდს -ენ, -ეთ, -ებ ფორმანტების რთული შემადგენლობის თაობაზე (იხ. თავი VI)...

-ებ თემის ნიშანი კი, თავის მხრივ, იმ სისტემაში აღმოჩნდება, რომელსაც -ავ, -ამ, -ემ, -ობ და მისთანა ფორმანტები განეკუთვნება. ამრიგად, მიმართება მართლაც სულ სხვა რიგისაა.

სიზუსტე მოითხოვს აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული -ებ, -ენ და -ეთ ფორმანტები ზმნური ფუძეთწარმოების სისტემაშიც ერთიანდებიან:

ა-კეთ-ებ-ს,
ა-დგ-ენ-ს,
ჭრ-ეთ-ს.

მაგრამ აქ ამ ფორმანტთა ურთიერთმიმართება მაინც სხვა ტიპისაა, ვინემ მრავლობითობის გამოხატვის დროს გვქონდა. სხვა რომ არაფერი, სხვაობის აღსანიშნად იმის თქმაც კმარა, რომ ზმნური ფუძეთწარმოების დროს -ებ ფორმანტს სულ სხვაგვარი ქმედება აქვს, ვინემ -ენ და -ეთ ფორმანტებს, შდრ.:

ა-კეთ-ებ-ს — გა-ა-კეთ-ა, მაგრამ: ა-დგ-ენ-ს→და-ა-დგ-ინ-ა
ჭრ-ეთ-ს→ჭრ-ით-ა.

თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ: -ებ იჩენს ტენდენციას, რომ -ენ და -ეთ სუფიქსებს ამოუდგეს გვერდით; შდრ.: კრ-ებ-ს→კრ-იბ-ა, დღვ-ებ-ს→დღვ-იბ-ა.

ამავე რიგისაა -ელ ფორმანტი გრძ-ელ- და -ელ ფორმანტი წით-ელ- ფუძეებში. მასალობრივი იგივობა არ განსაზღვრავს მათ მორფოლოგიურ იდენტურობასაც. ჯერ ერთი, ამოსავალი ზმნური ფორმებია ნაირგვარი მნიშვნელობისა:

გან-ა-გრძ-ო→გრძ-ელ-ი,
მაგრამ:
წით-ს→წით-ელ-ი.

ეს თავდაპირველი მცირედი სხვაობა შემდგომ უფრო ხელშესახები ხდება, მაგალითად, აბსტრაჰირებულ მნიშვნელობათა გადმომცემ ფორმებში, შდრ.:

წით-ს—წით-ელ-ი—სი-წითლ-ე,

მაგრამ:

გან-ა-გრძ-ო— [გრძ-ელ-ი / სი-გრძ-ე

პირველ შემთხვევაში -ელ სუფიქსიანი ფორმა შუალედური, ამოსავალი არის აბსტრაქტული სახელის წარმოებისას, მეორე შემთხვევაში ეს ფორმები ფორმობრივ ერთმანეთისაგან სავსებით დამოუკიდებლებია, მხოლოდ ფუნქციურად (და, დამატებით, ამოსავალი ფუძის მიზედვით) ამყარებენ ერთმანეთთან კავშირს.

ამ თვალსაზრისით ღირსაცნობია შემდეგი ფაქტიც.

გვაქვს მალ-ავ-ს ზმნა და გვაქვს ამ ზმნისგან ნაწარმოები მიმღეობა: ნა-მალ-ავ-ი, მაშასადამე:

მალ-ავ-ს—ნა-მალ-ავ-ი.

აშკარაა: -ავ ამ ორივე ფორმაში ერთი და იგივეა. მაგრამ ერთი და იგივეა წარმოშობით. მოხვდა რა განსხვავებული მნიშვნელობისა და დანიშნულების ფორმებში, არის რა ერთ შემთხვევაში ზმნური ფუძის, ხოლო მეორე შემთხვევაში სახელადი ფუძის შემადგენელი ელემენტი, -ავ განსხვავებულად იქცევა, რაც უპირველესად მისი ფონოლოგიური მოქმედებით ვლინდება: ზმნური ფუძის -ავ შესაბამის სიტუაციაში კუმშვადია: მალ-ავ-ს—მალ-ვ-ა, ამის საპირისპიროდ, სახელადი ფუძის -ავ ყოველთვის უკუმშველია: ნა-მალ-ავ-ი—ნა-მალ-ავ-ის, ნა-მალ--ავ-ად...

ფუნქციურ სისტემას რომ მართლაც აქვს უნარი ამდაგვარად განასხვავოს ფორმის მოქმედება, ამის სხვა ნიმუშებიც მოგვეპოვება. აი, ერთ-ერთი მათგანი:

ვ-ცრ-ი — გა-ვ-ცარ → ნა-ცარ-ი
გა-ვ-ცერ → სა-ცერ-ი,

შდრ. ამას:

ვ-ყრ-ი — და-ვ-ყარ-ე → ნა-ყარ-ი.

აშრიგად, გვაქვს მიმღეობები:

ნა-ცარ-ი
სა-ცერ-ი
ნა-ყარ-ი.

სამივე იბრუნვის.

მაგრამ, მიუხედავად ყველა ამ მსგავსებისა, მათ შორის ერთი არსებითი ხასიათის განსხვავებაცაა: ნა-ცარ-ი და სა-ცერ-ი ფორმები გაარ-

სებითებულია, რის გამოც ისინი შესაბამის პოზიციაში იკუმშებიან კიდეც: ნა-ცრ-ის, სა-ცრ-ის... სულ სხვა ვითარებაა ნა-ყარ-ი ფორმის შემთხვევაში, მისი ზმნური წარმომავლობა ჯერჯერობით მკვიდრია და ქმედებაც შესაბამისი აქვს: ნა-ყარ-ი—ნა-ყარ-ის, უკუმშველია.

ეს რომ შემთხვევითი ფაქტი არ არის, ამაზე მიუთითებს იმავე ნა-ცარ-ი ფორმის ქმედება იმის მიხედვით, გაიგება იგი როგორც გარსებითებული მონაცემი, თუ როგორც მიმღეობური და, ამდენად, ზმნასთან კავშირგაუწყვეტელი ფორმა. პირველ შემთხვევაში იგი კუმშვადია, მეორე შემთხვევაში — უკუმშველი:

სახელობითი: ნაცარ-ი	გა-ნაცარ-ი
ნათესაობითი: ნაცრ-ის	გა-ნაცარ-ის.

ზემოთ შესაძლებლობა გვქონდა აღგვენიშნა ერთი და იმავე თემის ნიშნების ნაირგვარი ქმედების შემთხვევებიც (იხ. თავი V, ნაწილი V): ვ-კლ-ავ — მო-ვ-კალ: -ავ მონაცვლეობს ნულოვან ფორმანტთან, მაგრამ: ვ-მალ-ავ — და-ვ-მალ-ე: -ავ მონაცვლეობს -ე ფორმანტთან... ამგვარი სხვაობა თანამიმდევრულადაა გატარებული სხვა თემის ნიშნებშიც.

ამრიგად, ვფიქრობთ, მართლაც მოეპოვება საფუძველი ვარაუდს, რომ მასალობრივ ერთგვაროვანი ფორმანტების ნაირგვარი ქმედება ორი ძირითადი მიზეზითაა შეპირობებული: ერთ შემთხვევაში ეს არის ფორმანტების მარტოოდენ გარეგნული ურთიერთდამთხვევა, მეორე შემთხვევაში კი სხვადასხვა ენობრივ სისტემაში სხვადასხვა სტატუსის, დანიშნულების მოპოვება.

ამის საპირისპიროდ, ახლა უნდა განვიხილოთ ის შემთხვევები, როცა იდენტურ სისტემებში მოხვედრის გამო მასალობრივ განსხვავებულ ფორმანტებს ერთგვაროვანი ქმედება ახასიათებთ.

აქაც ორ ძირითად შემთხვევასთან გვაქვს საქმე:
მასალობრივ განსხვავებული ფორმანტები:
ა) ან ნაწილობრივ ემსგავსებიან ერთმანეთს ქმედებით,
ბ) ან მსგავსება სრულია და ყველა სისტემაში ვრცელდება.

ქმედების მიხედვით ნაწილობრივი მსგავსება ნიშნავს: მასალობრივად განსხვავებულ ორ ან მეტ ფორმანტს მსგავსი ქმედება ახასიათებს სისტემის ერთ რგოლში და განსხვავებული — სხვა რგოლებში. ნიმუშად განვიხილოთ ღლ-ი-ს და ღალ-ავ-ს ფორმებში დამოწმებული -ი და -ავ ფორმანტები. საანალიზოდ ვიღებთ აწმყოს, უწყვეტლის, ნამყო ძირითადისა და მასდარის ფორმებს:

აწმყო: ღლ-ი-ს	უწყვეტელი: ღლ-ი-დ-ა	ნამყო ძირით.: და-ღალ-ა
ღალ-ავ-დ-ა	ღალ-ავ-ს	და-ღალ-ა-

ამჯერად ყურადღებას არ ვაქცევთ იმ ფაქტს, რომ -ი ფორმანტთან ფუძე შეკუმშულადაა წარმოდგენილი, -ავ ფორმანტთან — შეუკუმშავად. ეს ბეორეული მოვლენა ჩანს: როგორც წესი, -ავ ფორმანტიც იწვევს კუმშვას: მო-ჰ-კალ—კლ-ავ, მო-ხან→ხნ-ავ...

ყველა სხვა შემთხვევაში -ი და -ავ ერთი და იმავე (თემის ნიშნის) სტატუსით არის წარმოდგენილი: ნამყო ძირითადში ორივე ჩამოსცილდება ფუძეს, უწყვეტელში ორივეს უშუალოდ მიერთვის -დ ფორმანტი.

მაშასადამე, სისტემის ამ მონაკვეთში -ი და -ავ სავსებით ერთნაირი ქმედებისა არიან.

სურათი სავსებით შეიცვლება მასდარის წარმოებისას:

ღლ-ი-ს ← და-ღლ-ა,
მაგრამ:
ღალ-ავ-ს → და-ღალ-ვ-ა.

რა მივიღეთ?

-ი არ გადაჰყვა მასდარში, ე. ი. არაკომპეტენტური აღმოჩნდა მასდარის ფუძის საწარმოებლად.

-ავ (-ვ ელემენტის სახით) კი, პირიქით, აუცილებელი მონაცემია ამ სისტემაში.

რაც შეეხება მასალობრივ განსხვავებულ ფორმანტთა ქმედების სრულ მსგავსებას, ამის ნიმუშად -ავ და -ამ თემის ნიშნების მაგალითიც გამოგვადგება, რაც საკმაოდ კარგად არის ცნობილი სპეციალური ლიტერატურიდან...

დამატებით აქ ისევ მოგვიწევს იმის გამეორება, რომ ქმედება უთუოდ თვისობასთან ერთად უნდა იქნეს გათვალისწინებული, რადგან ამის გარეშე, სინამდვილეში ერთგვაროვანმა ქმედებამ შესაძლოა ნაირგვაროვანის შთაბეჭდილება დატოვოს. ერთი მაგალითი ძველი ქართულიდან ნათქვამის დასასაბუთებლად:

ა წ მ უ ო:	ვ-კლ-ავ	ვ-თხრ-ი
ნამყო ძირ.:	ვ-კალ	ვ-თხარ-ე.

მაშასადამე, ამის მიხედვით რჩება შთაბეჭდილება, რომ კალ- და თხარ- ფუძეები სავსებით იდენტურნი არიან: სრული გახმოვანებით არიან წარმოდგენილი ნამყო ძირითადში, ნულოვანი გახმოვანებით — აწმყოში, თანაც ორივე შემთხვევაში კუმშვას იწვევეს ფორმანტი.

ამისდა კვალობაზე, რა კვალიფიკაცია მიეცემა ნამყო ძირითადში პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის გამომხატველ ფორმებს? იგულისხმება:

მო-ვ-კლ-ენ მე იგინი, მაგრამ: გა-ვ-თხარ-ენ მე იგინი;

კლ- შეკუმშულადაა წარმოდგენილი, თხარ-, პირიქით, სრული გახმოვანებით. რადგან ასეა, ერთი შეხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ -ენ ფორმანტია ნაირგვარი ქმედებისა მო-ვ-კლ-ენ და გა-ვ-თხარ-ენ ფორმებში: ერთ შემთხვევაში იწვევს კუმშვას, მეორე შემთხვევაში — ვერა

მაგრამ არა, -ენ ორივე შემთხვევაში იდენტურია, საქმე ისაა, რომ საკუთრივ კალ- და თხარ- ფუძეებია განსხვავებული თავისი თვისობით, ზემოხსენებული მსგავსება მოჩვენებითია, სხვა ფორმათა გაუთვალისწინებლობის შედეგი.

თვისობის მიხედვით სხვაობას კარგად წარმოაჩენს ნამყო ძირითადის სამივე პირის ფორმათა შედარება:

I პ.:	მო-ვ-კალ	გა-ვ-თხარ-ე
II პ.:	მო-ჰ-კალ	გა-თხარ-ე
III პ.:	მო-კლ-ა	გა-თხარ-ა

III პირში კალ- ჲქაც შეკუმშულადაა წარმოდგენილი, თხარ- კი შეუკუმშავად. თხარ- ფუძეს რომ იმავე რიგის კუმშვადობა ახასიათებდეს, რაც კალ- ფუძეს, მაშინ ნამყო ძირითადის I და II პირის ფორმებშიც შეკუმშულად იქნებოდა წარმოდგენილი, რადგან კუმშვის პირობა გვაქვს: დამოწმებულია -ე სუფიქსი.

სწორედ ამან გამოიწვია სხვაობა მო-ვ-კლ-ენ და გა-ვ-თხარ-ენ ფორმებს შორის და არა თითქოსდა -ენ ფორმანტის ნაირგვარმა ქმედებამ ამ ფორმებში.

XVII

კონკრეტული ფაქტების ზემოთ მოცემული ანალიზი გარკვეული თეორიული განზოგადების შესაძლებლობას იძლევა.

გვაქვს, მაგალითად, ფორმანტები:

-ნ მრავლობითის (კაც-ნ-ი),

-ნ მასდარისეული (დევ-ნ-ა),

-ნ, გამოვლენილი I და II თურმეობითებში (უ-თამაშ-ნ-ი-ა, ე-თამაშ-ნ-ა),

-ნ III სუბიექტური მრავლობითი რიცხვის პირის ნიშანი (წერ-ო-ნ),

ძველი ქართულიდან ამას დაემატებოდა:

-ნ III სუბიექტური (მხოლობითი რიცხვის) პირის ნიშანი (წერ-ნ),

-ნ, ვნებითის ფორმებში დამოწმებული (და-დუმ-ნ-ა).

რა კვალიფიკაცია შეიძლება მიეცეს ხსნებულ ფორმანტებს?

წმინდა ფონეტიკური პრინციპი ყველა ამ ფორმანტს გააერთიანებდა როგორც მატერიალურად იდენტურს.

წმინდა ფუნქციური (სემანტიკური) პრინციპი კი, პირიქით, ყველა მათგანს დააცალკევებდა და სავსებით განსხვავებულ სისტემებში შეიყვანდა. ვთქვათ, -ნ მრავლობითობის ფორმანტს იმავე სისტემაში გააერთიანებდა, სადაც დამოწმებული გვაქვს -ებ მრავლობითობის ფორმანტი: კაც-ნ-ი — კაც-ებ-ი, მასადარისეულ -ნ ფორმანტს გვერდით ამოუყენებდა -ოლ, -ომ ფორმანტებს, შდრ.: დევ-ნ-ა, კრთ-ომ-ა, სრ-ოლ-ი. I და II თურმეობითებში დამოწმებულ -ნ ფორმანტი თემის ნიშანთა რიგში აღმოჩნდებოდა; შდრ.: უ-თამაშ-ნ-ი-ა — უ-თამაშ-ებ-ი-ა. -ნ პირის ნიშანი -ს, -ა პირის ნიშნების გვერდით აღმოჩნდებოდა და ა. შ.

მაგრამ ამ ორი, ურთიერთსაპირისპირო, პრინციპით განხილვა არაფერს გვეუბნება ამ ფორმანტთა საკუთრივ მორფოლოგიური (ფორმობრივი) რაობის შესახებ.

რა საშუალებით უნდა გაირკვეს ამ ფორმანტთა მორფოლოგიური რაობა?

ამასთან დაკავშირებით იმთავითვე უნდა წარმოვადგინოთ ამოსავალი კრიტერიუმი: ყოველგვარი ენობრივი მონაცემის (ფორმობრივი იქნება იგი, თუ ფუნქციური) რაობა, მისი დანიშნულება და მიზანი ვლინდება მხოლოდ და მხოლოდ მისი მოქმედების დროს, მხოლოდ და მხოლოდ დინამიკაში.

მხოლოდ ამ დროს ავლენს იგი თავის შინაგან ბუნებას.

მხოლოდ ამ დროს წარმოჩნდება მისი იმანენტური თვისება.

მხოლოდ ეს აქცევს მას ენობრივ რეალობად.

რადგან ასეა, აქედან უშუალოდ გამომდინარეობს დასკვნა: ყოველი ფორმანტის ფორმობრივი (მორფოლოგიური) რაობა განისაზღვრება მისი ქმედებით, მისი მოქცევით ამა თუ იმ ფორმობრივ სისტემაში.

საკითხისადმი ამგვარი მიდგომა, ვფიქრობთ, შეგვაძლებინებს მორფოლოგიური მონაცემის ენობრივ დახასიათებას მისით გამოხატული სემანტიკის (ფუნქციის) გაუთვალისწინებლად, რითაც თავიდან ავიცილებთ ერთდროული ფორმობრივ-ფუნქციური ანალიზის დროს გარდუვალ წინააღმდეგობას.

მაინც რა წინააღმდეგობას შეიცავს ფორმანტთა ერთდროულად ფორმობრივ-ფუნქციური ანალიზი?

ა) ერთი და იგივე მორფოლოგიური (ფორმობრივი) მონაცემი შესაძლოა რამდენიმე, სავსებით განსხვავებული, ფუნქციის გამომხატველი იყოს; შდრ.: -ნ ა-მ-ი-რჩევ-ნ-ი-ა ფორმაში და -ნ- მ-ი-რჩევ-ნ-ი-ა ფორმაში; ასევე: -ავ ცურ-ავ-ს ფორმაში და -ავ ი-ცურ-ავ-ა ფორმაში; -ის თბილ-ის-ი ფორმაში და -ის კაც-ის (ქუდი) ფორმაში...

ბ) ერთი და იგივე ფუნქცია შესაძლოა ნაირგვარი ფორმობრივი მონაცემებით გადმოიცეს; შდრ.: -ნ კაც-ნ-ი ფორმაში და -ებ კაც-ებ-ი

ფორმაში; -ნ უ-თამაშ-ნ-ი-ა ფორმაში და -ებ უ-თამაშ-ებ-ი-ა ფორმაშია; -ს დილა-ს ფორმაში და -ით დილ-ით ფორმაში...

გ) ფუნქცია, რომელიც ჩვეულებრივ რომელიმე ფორმობრივი ელემენტით გადმოიცემა, შესაძლოა ყოველგვარი ფორმანტის გარეშე, საკუთრივ ფორმის მთლიანობით იქნეს გადმოცემული: ბრძანა, თქვა, უთხრა — სრული ასპექტის გამომხატველი ფორმებია, თუმცა ფორმობრივ ეს არაფრითაა აღნიშნული.

სწორედ ესაა ის ძირითადი წინააღმდეგობანი, რომლებიც აბსოლუტურად ყველა ფორმანტის ანალიზის დროს იჩენენ თავს.

ქმედებისა და თვისობის მიხედვით ფორმანტთა კვალიფიკაცია კი, ვფიქრობთ, შესაძლებლობას მოგვცემს გავერკვეთ ფორმანტების საკუთრივ ფორმობრივ რაობაში, მათ ფორმობრივ არსში, რაც, თავის მხრივ, უფრო შორეულ შედეგსაც ვარაუდობს; კერძოდ, ენობრივი ფორმის იმანენტური რაობის ამოხსნას, ფორმათწარმოქმნის მექანიზმის ამოცნობას, ენის ფორმობრივი ყალიბების შექმნის შესწავლას თვით ამ ქმნადობის პროცესში, რამეთუ ფორმობრივი ყალიბები (მოდელები), სისტემები ენას იმთავითვე კი არ ეძლევა, არამედ ენა თვით ქმნის ამ ყალიბებსა და სისტემებს. ამგვარი ქმნადობის მექანიზმის ამოცნობა ენათმეცნიერების ერთ-ერთ ძირითად მიზნად გვესახება.

XVIII

დეტერმინაციის, თვისობისა და ქმედების რაობის რკვევა იმთავითვე დაკავშირებულია იდენტიფიკაციის პრობლემასთან.

იდენტურობა შეიძლება იყოს ფუნქციური და ფორმობრივი.

ზოგადად ეს ასე წარმოისახება:

ა) ფუნქციურად იდენტურია მრავლობითობის ფორმანტები -ნ (კაც-ნ-ი) და -ებ (კაც-ებ-ი);

ბ) ფორმობრივად იდენტურია ი- ვნებითისა (ი-ხატ-ებ-ა) და ი- სათავისო ქცევის (ი-ხატ-ავ-ს) ფორმანტები.

საკითხს დიდი ხნის ისტორია აქვს, იდენტიფიკაციის პრინციპებიც ცნობილია. და მაინც ზოგი რამ გვაქვს დამატებით გასარკვევი და დასადგენი, რის გარეშეც, ვფიქრობთ, ენობრივი კვლევის ეს უმნიშვნელოვანესი საფეხური — იდენტიფიკაცია — შემდგომი უზუსტობის მიზეზი შეიძლება გახდეს.

თუ ფუნქციური იდენტიფიკაციის პრინციპები ბეტ-ნაკლები სიზუსტით უკვე კარგა ხანია გამოიყენება ენათმეცნიერებაში, ფორმობრივი იდენტიფიკაცია ამ მხრივ გაცილებით უფრო მეტ სირთულეს აწყდება.

ამჯერად შეუძლებელია ფორმობრივი იდენტიფიკაციის ყველა მო-

ძეხტის ზუსტი განსაზღვრა. ჩვენი მიზანი უფრო მოკრძალებულია: გარკვეული გეზი დავკვალოთ ამ მიმართულებით.

უეჭველია, ფორმობრივი იდენტიფიკაციის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ფორმანტთა თვისობისა და ქმედების გათვალისწინებას.

ზემოთ ნაჩვენები გვქონდა, რომ -ებ ფორმანტი ა-კეთ-ებ-ს, ა-ღ-ებ-ს ა-კლ-ებ-ს, ბად-ებ-ს და კრ-ებ-ს ფორმებში ამჟამად საესებით ნაირგვარი ქმედებისაა და ამიტომაც ამ -ებ ელემენტებს შორის იგივეობის ნიშნის დასმა შეუძლებელია.

ასევე სხვაობენ -ავ ვ-მალ-ავ ფორმაში და -ავ ვ-კლ-ავ ფორმაში, რადგან პირველი -ავ ნამყო ძირითადში -ე სუფიქსთან მონაცვლეობს (და-ვ-მალ-ე), მეორე -ავ კი — ნულ-სუფიქსთან (მო-ვ-კალ).

ეს სხვაობა, რაც ახლა მინიმალური მოჩანს, შესაძლოა უფრო ღრმა და არსებითი განსხვავების რელიქტი იყოს.

იმავდროულად მორფოლოგიური იგივეობის ნიშნის დასმა ხერხდება მასალობრივ განსხვავებულ -ავ და -ამ ფორმანტებს შორის, ფორმობრივ სისტემაში მათი იდენტური ქმედების გამო.

ასევე: თვისობა და ქმედება ერთი სტრუქტურისად წარმოგვიჩენს კალ- და ჭერ- ფუძეებს: ორივე იკუმშება აწმყოში (კლ-ავ, ჭრ-ი), ორივე სრული გახმოვანებითაა წარმოდგენილი ნამყო ძირითადის I და II პირის ფორმებში და ნულ-გახმოვანებით (შეკუმშულად) III პირის ფორმაში: მო-ვ-კალ, და-ვ-ჭერ... მაგრამ: მო-კლ-ა, და-ჭრ-ა. ამათგან სავსებით განსხვავებულია ერთი შეხედვით მათი მსგავსი თალ-, შალ- და მისთანა ფუძეები: მართალია, აწმყოში ესენიც იკუმშებიან (თლ-ი, შლ-ი), მაგრამ II სერიაში (ნამყო ძირითადსა და მის მიმდევარ პარადიგმებში) ყოველთვის სრული გახმოვანებითაა წარმოდგენილი.

ზემოთ სპეციალურად იყო გაანალიზებული ე-ლ-ოდ-ე-ს და ე-ლოდ-ო-ს ფორმები. ერთი შეხედვით ორივე შემთხვევაში „ელოდ“- ფუძეა წარმოდგენილი და ამიტომაც მათი იდენტურობა თითქოს არავითარ ეჭვს არ იწვევს. სინამდვილეში ასე არ არის: „ელოდ-“ მონაცემის სტრუქტურული გააზრება ორივე შემთხვევაში ნაირგვარია, რაზედაც -ე და -ო სუფიქსები მიგვანიშნებენ: „ელოდეს“ I (აწმყოს) კავშირებითია, დაიშლება ასე: ე-ლ-ოდ-ე-ს, „ელოდოს“ II კავშირებითია: ე-ლოდ-ო-ს. რადგან ასეა, რა თქმა უნდა, ამ ფუძეებს შორის იგივეობის ნიშნის დასმა შეუძლებელი იქნება.

XIX

ორი ენობრივი მონაცემი, რომელიც იდენტურია ფორმობრივი თვალსაზრისით, შესაძლებლია არაიდენტური იყოს ფუნქციურად და,

პირიქით, ფუნქციურად იდენტური განსხვავებული აღმოჩნდეს ფორმობრივად.

ფორმობრივ იდენტურნი ჩანან -ენ გან-ვ-ჰაპუკ-ენ ფორმაში და -ენ და-ვ-ფშვ-ენ ფორმაში, სისტემის გარკვეულ რგოლში მათ გვერდით ამოუდგებოდა -ენ მო-ვ-კლ-ენ (მე იგინი) ფორმაში. მიუხედავად ამისა, ფუნქციური იდენტურობა აქ სავსებით გამორიცხულია: პირველ შემთხვევაში -ენ ვნებითის ნიშნად გაიგება, მეორე შემთხვევაში ფუძის მაწარმოებელია, მესამე შემთხვევაში პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელი. მაშასადამე, ერთი და იგივე ფორმობრივი (მორფოლოგიური) მონაცემი ფუნქციურად ნაირგვარად გადანაწილდა, ნაირგვარმა ფუნქციამ გამოიყენა თავის გამოსავლინებლად.

საპირისპირო შემთხვევაა: გარკვეული თვალსაზრისით (თუმცა სავსებით მაინც არა) შესაძლებელი ხდება ფუნქციური იდენტურობის დამოწმება ბან-ს და ა-ბან-ავ-ებ-ს მონაცემებს შორის, მაშინ, როცა ფორმობრივ ისინი სავსებით განსხვავებული სტრუქტურისა არიან.

ფუნქციურად სავსებით იდენტურია სენ-ი და სნ-ე-ულ-ებ-ა, ფორმობრივ — სავსებით განსხვავებული.

ასევე შესაძლებელია სრული იგივეობის ნიშნის დასმა წუხ-ს და მ-წუხ-არ-ებ-ს ფორმებს შორის ფუნქციის თვალსაზრისით, ამის საპირისპიროდ, ფორმამ სრული სხვაობა დაამოწმა.

ანალოგიური შემთხვევები მრავლადაა ენაში. გაანალიზებული ნიმუშები, ვფიქრობთ, ნათლად გვიჩვენებენ, თუ რატომაა საჭირო ფორმობრივი და ფუნქციური იდენტიფიკაციის ერთმანეთისაგან დამოუკიდებლივ განხილვა.

X X

ფორმანტთა იდენტიფიკაციისას ერთი მნიშვნელოვანი მომენტის გათვალისწინებაცაა აუცილებელი. იგულისხმება ის შემთხვევები, როცა საწარმოებელ ფუძესთან ერთსა და იმავე ფორმანტს ნაირგვარი მიმართება ახასიათებს.

შევუდაროთ ერთმანეთს ფორმები:

ა-კეთ-ებ-ს → გა-კეთ-ებ-ულ-ი
ლოც-ავ-ს → და-ლოც-ვ-ილ-ი
ლოც-ავ-ს → ლოც-ულ-ობ-ს

ლოც-ულ-ობ-ს ზმნა მიმღეობას იღებს ფუძედ: ლოც-ულ-, სადაც მაწარმოებელია -ულ. იგივე ელემენტი ჩანს გა-კეთ-ებ-ულ-ი ფორმაშიც. და მაინც სხვაობა აშკარაა.

შეპირისპირებით:

და-ლოც-ვ-ილ-ი (ლოც-ვ-ილ-)
ლოც-ულ-ობ-ს (ლოც-ულ-)

ჩანს, რომ ამ ფორმებში -ულ კორელატია -ვ-ილ ელემენტებისა, მაშასადამე, -ვ-ილ → -ულ. ეს კი ნიშნავს, რომ -ულ ფონეტიკური ცვლილების შედეგია და თავის თავში შეიცავს იმ მორფოლოგიურ ინფორმაციას, რაც ეკისრებოდა დანაწევრებულ -ვ-ილ ელემენტებს. რა გვაქვს აქ ფონეტიკურად: ბგერათშერწყმა თუ სხვა რამ პროცესი, ამას მორფოლოგიური ღირებულებისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ყველა დასაშვებ შემთხვევაში შედეგი მაინც ერთი და იგივეა: -უ დიფუზურად წარმოგვიდგენს იმ მორფოლოგიურ ინფორმაციას, რაც სხვა შემთხვევაში -ვ-ი ელემენტებს აკისრია.

ამგვარი ცვლილება გამორიცხულია გა-კეთ-ებ-ულ-ი ფორმაში და-ძოწ'ძებულ -ულ ელემენტში, არავითარი ფონეტიკური საფუძველი არ უჩანს ამას.

აქედან გამომდინარე, ერთადერთი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს:

-ულ ფორმანტის მორფოლოგიური კვალიფიკაციის დროს დიფერენცირებული მიდგომაა საჭირო: -ულ გაკეთებ-ულ-ი ფორმა'ში იმავე რიგისაა, რაც -ილ დალოცვ-ილ-ი ფორმაში, მაგრამ -ულ ლოც-ულ-ობ-ს ფორმაში უკვე აღარ შეიძლება გავაიგივოთ ზემოხსენებულ -ილ ფორმანტთან, რადგან მას ამჯერად იმავე მორფოლოგიური ინფორმაციის გადმოცემა აკისრია, რაც -ვ-ილ ელემენტებს ერთად აღებულთ.

ანალოგიურად დაისმის საკითხი -ებ და -ობ თემის ნიშანთა, -ა და -ო III სუბიექტური პირის ნიშანთა და ზოგიერთ სხვა შემთხვევაშიც.

ერთმანეთს რომ შევუდაროთ სალიტერატურო და დიალექტური ფორმები:

უ-შვ-ებ-ს → უ-შ-ობ-ს
ი-წვ-ებ-ა → ი-წ-ობ-ა
ძვრ-ებ-ა → ძრ-ობ-ა
ე-კვრ-ებ-ა → ე-კრ-ობ-ა
ვ-ე-ნდ-ობ-ი → ვ-ე-ნდ-ვ-ებ-ი ([282], 372).

ანდა სალიტერატურო ქართულშივე პარალელურად დამოწმებული:

ი-ხრჩ-ობ-ა ← ი-ხრჩვ-ებ-ა,

ნათელი გახდება, რომ -ებ და -ობ თემის ნიშნები ნაირგვარი მორფოლოგიური ღირებულებისაა: -ობ თავის თავში შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მეორე შემთხვევაში ეკისრება ელემენტთა ამგვარ შეერთებას: ფუძისეული -ვ პლუს -ებ თემის ნიშანი (-ვ-ებ).

თუ ასეა, იგივე ითქმის მოქმედებითებისა და III ტიპის (უნიშნო) ვნებითების დაპირისპირებისას, შდრ.:

*ძრვ-ებ-ა→ძვრ-ებ-ა→ა-ძრ-ობ-ს
*თრვ-ებ-ა→თვრ-ებ-ა→ა-თრ-ობ-ს
*ქრვ-ებ-ა→ქვრ-ებ-ა→ა-ქრ-ობ-ს
*კრვ-ებ-ა→ი-კვრ-ებ-ა→ა-კრ-ობ-ს და ა. შ.

რიგ შემთხვევაში ხერხდება თეორიულად ნავარაუდევი ფორმებისათვის რეალურად არსებული ამოსავალი ფუძეების დაძებნა:

ძრ-ავ-ს→*ძრ-ვ-ებ-ა→ძვრ-ებ-ა
კრ-ავ-ს→*ე-კრ-ვ-ებ-ა→ე-კვრ-ებ-ა...

თემისნიშნისეული -ვ ელემენტის მეტათეზისისათვის შდრ.: კლ-ავ-ს →კლ-ვ-ა→კვლ-ა...

ძველ ქართულში გვქონდა ასეთი პარადიგმი:

ვ-ყავ მე იგი — ვ-ყვ-ენ მე იგინი
ჰ-ყავ შენ იგი — ჰ-ყვ-ენ შენ იგინი
ყ-ო მან იგი — ყვ-ნ-ა ამან იგინი.

უეჭველია: -ო ყ-ო ფორმაში -ვ-ა ელემენტების ნაცვალია, რომელთაგან -ვ ფუძისეულია, -ა კი III სუბიექტური პირის ნიშანია. ამისდა კვალობაზე, ყ-ო ფორმის -ო და ყვ-ნ-ა ფორმის -ა არ შეიძლება სავსებით იდენტურ ელემენტებად დავსახოთ: -ო თავის თაუში შეიცავს ინფორმაციას ამოსავალი ფუძის შესახებაც და იმავდროულად III სუბიექტურ პირზეც მიუთითებს, მაშინ, როდესაც ა- ფორმანტს ყვ-ნ-ა ფორმაში მარტოოდენ III სუბიექტური პირის აღნიშვნა ეკისრება.

ანალოგიურად უნდა შეფასდეს -ო ი-ყ-ო, და-დ-ო და მისთანა ფორმებშიც.

XXI

იდენტიფიკაცია ძირითადად ხდება ორი რამისა:
ა) სისტემაში ურთიერთგამომრიცხველი მონაცემებისა,
ბ) სისტემაში ურთიერთშემავსებელი მონაცემებისა.
რას ნიშნავს თითოეული მათგანი?

ზემოთ აღინიშნა: ერთნაირ ფორმობრივ გარემოცვაში -ავ და -ამ თემის ნიშნები აბსოლუტურად ერთნაირად იქცევიან. ეს იგივეა, რაც: -ავ და -ამ ერთი და იმავე ფორმობრივი ქმედებისა არიან. იმავდროულად -ავ და -ამ ერთი სისტემის ფარგლებში არასდროს ჩაენაცვლება

ერთმანეთს. მაშინაც კი, როცა დიალექტებში -ამ ცვლის -ავ თემის ნიშანს (ხატ-ამ-ს), ანდა პირიქით (სვ-ამ-ს—სვ-ავ-ს), ცვლილება -ავ და -ამ თემის ნიშანთა სისტემაში ურთიერთმონაცვლეობას არ გულისხმობს: ზოგ სისტემაში იქნება ან -ავ, ან -ამ. ძველ ქართულში -ავ თემის ნიშანს უწყვეტელში -ეე ენაცვლებოდა, შესაბამისად, -ამ თემის ნიშანს -ემ, მაგრამ არსად და არასდროს არ არის დამოწმებული სისტემაში -ავ და -ამ თემის ნიშანთა ურთიერთმონაცვლეობის შემთხვევა.

ამრიგად, მორფოლოგიური ღირებულების მიხედვით -ავ და -ამ იდენტური აღმოჩნდნენ და იმავდროულად სისტემაში ურთიერთგამომრიცხველნიც.

უფრო რთულია სისტემაში ურთიერთშემავსებელი მონაცემების წმინდა ფორმობრივი იდენტიფიკაცია.

მართლაც, წმინდა ფორმობრივი თვალსაზრისით რის საფუძველზე უნდა დავამტკიცოთ შემდეგ ფუძეთა იდენტურობა:

I	II	III	IV
ჩნ- (ჩნ-დ-ებ-ა)	დრეკ- (დრეკ-ს)	ლეწ- (ლეწ-ს)	კალ- (ჰ-კალ)
ჩან- (ჩან-ს)	დრიკ- (დრიკ-ა)	ლაწ- (ლაწ-ან-ი)	კლ- (კლ-ავ)
ჩენ- (ა-ჩენ)	დერკ- (შე-ს-დერკ)		
ჩინ- (გა-ა-ჩინ-ა)	დრკ- (დრკ-ა, დრკ-უ)		

აქ თითქოს შესაძლებელია უკვე საკუთრივ სისტემის შიგნით ურთიერთგამორიცხვის წესი მოვიშველიოთ, რაც დამატებითი დისტრიბუციის სახელწოდებით არის ცნობილი: დრეკ- და დრიკ- არასდროს გვხვდება ერთსა და იმავე ფორმობრივ გარემოცვაში და, მაშასადამე, სისტემაში ურთიერთშემავსებელ ფორმებად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ ეს არის მოვლენის დახასიათება ნეგატიური თვალსაზრისით, უარყოფის, გამორიცხვის პრინციპის საშუალებით კვალიფიკაცია, რაც, რა თქმა უნდა, სრულფასოვან დახასიათებად ვერ მიიჩნევა.

დასაძებნია ამ ფუძეთა იდენტიფიკაციის პოზიტიური ნიშანი.

იქნებ ასეთ ნიშნად მივიჩნიოთ ის მიმართებანი, რომლებსაც ეს ფუძეები ამა თუ იმ ფორმანტებთან კომბინაციის დროს ერთმანეთთან ამყარებენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ შემთხვევაში დაპირისპირებულთა ერთიანობის პრინციპს ვიყენებთ.

მაგალითად, თუკი ქართულში გვაქვს მიმართება ტიპისა:

უ-დრეკ- — ე-დრიკ-,

მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ დრეკ- და დრიკ- ერთი და იმავე ფუძის ნაირსახეობაა, რაც იმავდროულად მათ იდენტურობასაც გულისხმობს.

ამ შეძთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ:

ა) უ-დრეკ- შესაძლებელია იყოს როგორც სასხვისო ქცევის აწმყოს (უ-დრეკ-ს), ასევე I თურმეობითის (გა-უ-დრეკ-ი-ა) შემადგენელი სეგმენტი, ხოლო ე-დრიკ- როგორც ვნებითის (ე-დრიკ-ებ-ა), ასევე II თურმეობითის (გა-ე-დრიკ-ა მას ის) შემადგენელი მონაცემი;

ბ) უ-დრეკ- მონაცემის გვერდით დადასტურდება უ-დრიკ-, II სერიის პარადიგმების შემადგენელი სეგმენტი: გა-უ-დრიკა, გა-უ-დრიკ--ო-ს... თუმცა აქვე უნდა საგანგებოდ აღინიშნოს, რომ ე-დრიკ- სეგმენტის გვერდით არასდროს გვექნება *ე-დრეკ- სეგმენტი. ეს ფრიად ღირსაცნობი ფაქტია ამ შეპირისპირების დროს.

არა აქვს მნიშვნელობა, რადგან ამ შემთხვევაში ღირებულია არა მარტოოდენ ამა თუ იმ მონაცემის საკუთრივ სტრუქტურა, შემადგენლობა, არამედ სწორედ ორი ამგვარი შემადგენლობის მქონე მონაცემის ურთიერთმიმართება, ენაში მათი ერთმანეთის გვერდით მყოფობა. კერძოდ, ის, რომ უ- პლუს დრეკ- მონაცემის გვერდით და მასთან მიმართებით დამოწმებულია ე- პლუს დრიკ- მონაცემი. სხვაგვარად: ხსენებულ მონაცემთა შემადგენლობა ამ შემთხვევაში ღირებულია სწორედ იმის გამო, რომ ეს მონაცემები ერთმანეთის გვერდითაა ენაში დამოწმებული.

როგორც ჩანს, ანალოგიური გზები უნდა ვეძიოთ სხვა ზემოხსენებულ ფუძეთა იგივეობის დასამტკიცებლადაც.

ეს საკითხი ფორმანტების მიმართაც დგას: ა-დგ-ენ-ს და და-ა-დგ--ინ-ა ფორმებში დამოწმებული -ენ და -ინ ფორმანტების ფორმობრივი იდენტურობა იმთავითვე ნათელი სრულიადაც არ არის. ამ საკითხის ამოხსნის გზაც, როგორც ჩანს, ზემოთ მოხსენებულ პრინციპს უნდა დაემყაროს.

XXII

მაშასადამე, რა შედეგს მოგვცემს ფორმანტთა იდენტიფიკაცია?

ა) გამოავლენს ერთნაირი მორფოლოგიური ღირებულების მქონე ფორმანტებს, როგორც ეს დავამოწმეთ -ავ და -ამ თემის ნიშნების შემთხვევაში. ეს შესაძლებლობას მოგვცემს ზუსტად განვსაზღვროთ ფორმობრივი სისტემები ენაში.

ბ) შესაძლებლობას მოგვცემს ერთ სისტემაში მონაწილე ფონეტიკურად სახეცვლილი მონაცემების გაიგივებისა, როგორც ეს დრეკ- და დრიკ- მორფემათა შემთხვევაში დავამოწმეთ.

უნდა შევნიშნოთ: გვაქვს ერთ სისტემაში მოქცეული ისეთი მონაცემებიც, რომელთა ფორმობრივი იდენტიფიკაცია შეუძლებელია; მაგალითად,

ა წ მ ყ ო: არი-ს	მოქმედებითი: ყრ-ი-ს
მყოფადი: ი-ქნ-ებ-ა	ვნებითი: ცვ-ივ-ა
ნამყო ძირ.: ი-ყ-ო	

ამ შემთხვევაში მხოლოდ ფუნქციური იდენტიფიკაცია ხერხდება. თუმცა, ზედმიწევნითი სიზუსტე რომ დავიცვათ, ფორმობრივი სისტემა აქ არცა გვაქვს (სისტემა მხოლოდ ფუნქციურია, სემანტიკურია), ამიტომ არც ფორმობრივი იდენტიფიკაციის საკითხი დაისმის ამ დროს.

ამჟამად მხოლოდ სემანტიკის მოშველიებით ხერხდება ხშირ-ი და შხირ-ი, ნახშირ-ი და ნაშხირ-ი, და-ი-ჟინ-ებ-ს და და-ი-ნიჟ-ებ-ს და მისთანა წყვილეულთა იდენტიფიკაცია. მაგრამ თუკი დადასტურდა, რომ -ხშ- და -შხ-, -ჟინ- და -ნიჟ- და მისთანანი მხოლოდ ერთმანეთის ფორმობრივი ვარიანტები შეიძლება იყვნენ და რომ ამ მოხაცელეობას რაიმე ფუნქციური განმასხვავებლის დანიშნულება არ აკისრია ენაში, მაშინ აქაც გვექნება წმინდა ფორმობრივი იდენტიფიკაციის შესაძლებლობა.

XXIII

იდენტიფიკაციის პრობლემა სცილდება ენათმეცნიერების ფარგლებს. იგი ერთ-ერთი არსებითი საკითხია ყველა მეცნიერებისათვის. რა თქმა უნდა, ყველა მეცნიერებაში იდენტიფიკაცია კონკრეტული რაობის მქონეა. ასეთი კონკრეტული სახე და დანიშნულება მოეპოვება მას ენათმეცნიერებაშიც. იდენტიფიკაციას საჭიროებენ არა მხოლოდ ერთი ენის ფარგლებში მოქმედი ელემენტები, არამედ სხვადასხვა ენათა მონაცემებიც ურთიერთშედარებისას თუ შეპირისპირებისას. აი, მაგალითად, ერთი ნიმუში ლექსიკიდან: რუსული: рука და ქართული: ხელ-ი, თუმცა ძირითადი მნიშვნელობით ერთმანეთს ემთხვევიან, მაინც განსხვავებულ სემანტიკურ ველს, ნაირგვარ კონტექსტურ შესაძლებლობებს ქმნიან. რუსული рука მონაწილეობას ვერ მიიღებს, ვთქვათ, ისეთ კომპოზიტში, როგორიცაა ქართული „ხელმოკლე" (მნიშვნელობით: „ღარიბი"). ამიტომაც მათი იდენტიფიკაცია არც ისე იოლია, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება გვეჩვენოს. ენობრივი ღირებულების პრინციპი უნდა მოვიშველიოთ ამ შემთხვევაში.

საკუთრივ ერთი ენის ფარგლებში იდენტიფიკაციის პრობლემა მოიცავს ყველა დონეს, ყველა სისტემასა და საფეხურს.

ფონეტიკის დონეზე საჭირო ხდება ხშირ-ი და შხირ-ი, მო-ი-ტან-ა და მე-ი-ტან-ა, ე-ამ-ა და ი-ამ-ა, თვალ-ი და თოლ-ი, ა-კეთ-ებ-ს და ა-კეთ-ეფ-ს ტიპის წყვილეულთა იდენტიფიკაცია. აქვე დგება იდენტიფიკაციის პრობლემა მორფოლოგიური დანიშნულების მქონე მონაცვ-

ლეობის შემთხვევაში: დრეკ-ს და დრიკ-ა, ლეწ-ს და ლაწ-ან-ი, დებ-ს და დევ-ს და ა. შ.

მორფოლოგიის დონეზე იდენტიფიკაცია გულისხმობს იგივეობის დადგენას მორფოლოგიური ღირებულების მქონე ორ ან მეტ ფორმობრივ ელემენტს შორის მათივე თვისობისა და ქმედების საფუძველზე.

სინტაქსურად გასარკვევია იგივეობა ასეთ კონსტრუქციებს შორის: „მტერს გულს უკლავს“ და „მტრის გულს კლავს“, „ამხანაგს სურათს უხატავს“ და „ამხანაგისათვის სურათს ხატავს“ და სხვანი. ეს ჯგუფი ფრიად მრავალფეროვანიცაა და მრავალრიცხოვანიც.

სემანტიკის დონეზე იდენტიფიკაციის დადგენას მოითხოვენ დაპირისპირებანი ტიპისა: შე-ს-ძახ-ა და შე-უ-ძახ-ა, და-ს-ცვით-ა და და-ა--ცვით-ა, ე-შინ-ი-ა — შიშ-ობ-ს — შიში აქვს, კაცი დაჰპირდა და კაცმა დაჰპირდა, უ-ნახ-ავ-ს და ნანახი აქვს და ა. შ. ეს ჯგუფიც საკმაოდ მრავალფეროვან პრობლემებს მოიცავს.

ასევე სპეციფიკურ საკითხებს სვამს იდენტიფიკაცია ლექსიკისა და სტილისტიკის დონეებზე.

იდენტიფიკაცია უნდა განირჩეს ტავტოლოგიისაგან. იდენტიფიკაცია გარკვეული ანალიზის შედეგია ყოველთვის. ტავტოლოგია ორი იდენტური მონაცემის მექანიკური ამოყენებაა ერთმანეთის გვერდით. ნიმუშად ელემენტარულ მაგალითს დავასახელებთ მათემატიკიდან:

ა) $2+2=2+2$
ბ) $2+2=3+1$
გ) $2+2=4+0$

ამ სამი ტოლობიდან პირველი ტავტოლოგიაა, დანარჩენი ორი — იდენტიფიკაცია. პირველი მექანიკური გათანაბრებაა, დანარჩენი ორი — ანალიზის შედეგია. პირველი მარტივი აღწერაა, დანარჩენი ორი — ანალიზის შედეგად მიღებული გარკვეული დასკვნაა. ამ დასკვნების არსი ორივე შემთხვევაში ერთი და იგივეა (უდრის 4-ს), მაგრამ წარმოდგენილი არიან ნაირგვარად: $2+2=3+1$ არის ორი იდენტური თანაფარდობის ერთ სისტემაში გაერთიანება, დასკვნა არაა საბოლოო: $2+2=4+0$ ტოლობის შემთხვევაში მოცემულია საბოლოო დასკვნა; 4 ამ შემთხვევაში არის არა თანაფარდობა $2+2$ შენაკრებისა, არამედ საბოლო შედეგი გარკვეულ მონაცემთა შეკრებისა. აქ ერთი რამ უნდა აღინიშნოს კიდევ დამატებით: თანაფარდობითი ტოლობა არ ნიშნავს, რომ ტოლობის შემადგენელი ელემენტები ცალ-ცალკეც ერთმანეთის იდენტური არიან:

$$2+2=2+2$$

ამ შემთხვევაში ტოლობაცა გვაქვს და ტოლობის შემადგენელი ელე-

მენტებიც ცალ-ცალკე სავსებით იდენტური არიან ერთმანეთისა. მაგრამ, როგორც აღინიშნა, ფაქტიურად აქ ტავტოლოგიაა და არა იდენტიფიკაცია.

$$2+2=3+1$$

ამ შემთხვევაში ტოლობა გვაქვს, მაგრამ ტოლობის შემადგენელი ელემენტები სრულიადაც არ არიან იდენტური: 2 არ უდრის 3-ს, 2 არ უდრის 1-ს.

ამ მოკლე „მათემატიკური ექსკურსის“ შემდეგ ისევ ენობრივ ფაქტებს უნდა მივუბრუნდეთ.

როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ -ოვ-ან ძალ-ოვ-ან-ი ფორმაში და -ოვ-ან წლ-ოვ-ან-ი ფორმაში ერთი და იმავე მნიშვნელობისაა, ამ შემთხვევაში ტავტოლოგიასთან გვაქვს საქმე. მაგრამ იმის აღნიშვნა, რომ -ოვ-ან ძალ-ოვ-ან-ი ფორმაში არსებითად იგივეა ფუნქციის თვალსაზრისით, რაც -ი-ერ ძლ-ი-ერ-ი ფორმაში, აქ უკვე სემანტიკურ იდენტიფიკაციას ვახდენთ.

ტავტოლოგიაა აგრეთვე იმის აღნიშვნა, რომ -ავ მალ-ავ-ს ფორმაში იმავე რიგისაა, რაც -ავ ჰ-პარ-ავ-ს ფორმაში, მაგრამ თვისობისა და ქმედების საფუძველზე ფორმობრივ (მორფოლოგიურ) იდენტიფიკაციას ვახდენთ იმ შემთხვევაში, როდესაც -ავ და -ამ თემის ნიშნებს შორის ვსვამთ ტოლობის ნიშანს.

იდენტიფიკაცია არ შეიძლება დაემყაროს ნეგატიურ ნიშანს. ნიშანი ყოველთვის პოზიტიური უნდა იყოს.

აი, ერთი ნიმუში ამისა:

„საშუალი გვარი“ არ არის ის, რაც მოქმედებითია.

„საშუალი გვარი“ განსხვავდება ვნებითი გვარისგანაც.

ამის საფუძველზე კეთდება დასკვნა: საშუალი გვარია ის, რაც არც მოქმედებითია და არც ვნებითი.

ვიცით, რა არ არის „საშუალი გვარი“, მაგრამ არ ვიცით, რა არის იგი, რა ენობრივი სტატუსი აქვს საკუთრივ მას.

ამ შემთხვევაში იდენტიფიკაცია ნეგატიური ნიშნის მიხედვით ხდება.

თავის მხრივ, მოქმედებითიც და ვნებითიც სემანტიკურად პოზიტიური ნიშნის მიხედვითაა დახასიათებული: მოქმედებითია ის, რაც აქტიურ მოქმედებას გამოხატავს, ვნებითია პასიური მოქმედების გამომხატველი მონაცემი. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი დახასიათება ტავტოლოგიის ელემენტებს შეიცავს გარკვეულად.

იდენტიფიკაციის მართებულ პრინციპებზე ბევრადაა დამოკიდებული ენობრივი ფაქტების მეცნიერული კვლევა.

იდენტიფიკაციის პრინციპები, რომლებიც მეტ-ნაკლებად დადგენილია ფონეტიკასა და ფონოლოგიაში, ჯერ კიდევ დამუშავებას საჭიროებენ ენათმეცნიერების სხვა დარგებში...

თავი VIII

ზმნურ ფორმათა სემანტიკური სტრუქტურის საკითხისათვის

I

როდესაც თანამედროვე ენათმეცნიერებისათვის ისეთ აქტუალურ საკითხზე ვიწყებთ საუბარს, როგორიცაა სემანტიკური სტრუქტურის პრობლემა, იმთავითვე წინასწარი შენიშვნით უნდა დავიზღვიოთ თავი: ისეთ პირობებში, როდესაც სემანტიკურ სტრუქტურათა კვლევის საფუძვლებიც კი არ არის ყოველმხრივ დამუშავებული, ფაქტიურად შეუძლებელია არამცთუ ყველა წამოჭრილი პრობლემის ერთი ხელის დაკვრით გადაწყვეტა, არამედ ზოგი პრობლემის წარმოჩენაც კი.

ამიტომაც ამჯერად ძირითადი საკითხების განხილვით შეიძლება შემოვიფარგლოთ, იმ საკითხებისა, რომელთაც გარკვეული მეთოდოლოგიური ღირებულებაც აქვთ როგორც მეტ-ნაკლებად ფასეულ ნიმუშს სემანტიკური სტრუქტურის კვლევის მეთოდებისა და მიზან-დასახულებათა წარმოჩენისათვის.

II

ტერმინებისათვის:

ზმნური ფორმა ფართო მნიშვნელობით გვესმის. ფაქტიურად ეს არის მორფოლოგიური თვალსაზრისით სახელდება ყოველივე იმისა, რაც სინტაქსში შემასმენლად იწოდება.

სემანტიკურ სტრუქტურას კი განვმარტავთ როგორც ნებისმიერი ენობრივი ფორმით გადმოცემულ ლექსიკურ თუ გრამატიკულ მნიშვნელობათა თვისობრივ ერთობლიობას (და არა როგორც რაოდენობრივ ჯამს). სემანტიკური სტრუქტურის ცნება იმთავითვე გულისხმობს იმის დადგენას, თუ რომელი მნიშვნელობები აღმოჩნდებიან ურთიერთშეთავსებადი, რომელნი — შეუთავსებელნი, აგრეთვე, იმის გარკვევასაც, თუ რა დამატებით ღირებულებას იძენს, როგორი დამატებითი ნიუანსით იტვირთება ესა თუ ის მნიშვნელობა სხვა მნიშვნელობებთან ურთიერთობის დროს.

რამდენიმე ნიმუში ზემოთქმულის ნათელსაყოფად.

გვაქვს, მაგალითად, გარდაქცევითობის, ინსტრუმენტატივის, სტატიკურობა-დინამიკურობის ფუნქციები. უბრალო დაკვირვებაც ცხად-

ყოფს, რომ ერთმანეთთან შეუთავსებელი აღმოჩნდებიან გარდაქცევითობა და სტატიკურობა, გარდაქცევითობა და ინსტრუმენტატივი. შეთავსებადი არიან გარდაქცევითობა და დინამიკურობა (ა-ერთ-ებ-ს, ერთ-დ-ებ-ა; ა-ლამაზ-ებ-ს...), ინსტრუმენტატივი და დინამიკურობა (ბარ-ავ-ს: ბარით ასრულებს გარკვეულ სამუშაოს, ი-ბარ-ებ-ა: ბარით სრულდება გარკვეული სამუშაო).

შემდეგ: გარდაქცევითობა, ერთ ფორმაში შეუღლებული აქტიურობის ფუნქციასთან (ა-წითლ-ებ-ს), გარკვეული ფუნქციური ნიუანსით უთუოდ განსხვავდება პასიურობის ფუნქციასთან შეუღლებული გარდაქცევითობისაგან (წითლ-დ-ებ-ა), თუმცა ამოსავალი, ძირითადი მნიშვნელობა ორივე შემთხვევაში გარდაქცევითობაა. სხვა შემთხვევაში ერთი და იმავე ფუნქციის სხვადასხვა ფუნქციებთან შეუღლება გაცილებით უფრო ღრმა სხვაობას მოგვცემს (იხ. აგრეთვე თავი III, ნაწილი XXIII).

ეს მარტივი მაგალითებიც კი ნათელყოფენ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი საკითხები აღიძვრის სემანტიკური სტრუქტურის კვლევის დროს.

კვლევა ყოველთვის დაეფუძნება მნიშვნელობათა ურთიერთმიმართებას, ისევე როგორც, ფორმობრივი კვლევის დროს, ფორმათა ურთიერთმიმართებებს. ეს იმიტომ, რომ მხოლოდ ურთიერთმიმართებებში ვლინდება ენობრივ მოვლენათა დინამიკა, ენის შემოქმედებითი ნიშატი.

III

ენობრივი ფორმით გამოხატული აზრი ჩვეულებრივ განიხილება როგორც ამ ფორმის მნიშვნელობა. მნიშვნელობას რთული ორგანიზაცია ახასიათებს, რომლის აღსანიშნავადაც სემანტიკურ ლიტერატურაში სხვადასხვა ტერმინები გამოიყენება: სემანტიკური სტრუქტურა, საბაზო სტრუქტურა, შინაგანი სტრუქტურა, სიღრმისეული სტრუქტურა... ამ ტერმინებში ხაზგასმულია მნიშვნელობის ფუძემდებლური ბუნება. მისი სიღრმისეული (და თითქოსდა უნივერსალურიც) ხასიათი: იგი საფუძვლად ედება ენის მატერიალიზებულ (ხორცშესხმულ), უკვე უშუალოდ საკომუნიკაციოდ გამოყენებულ მხარეს, რომელიც იწოდება როგორც სინტაქსური სტრუქტურა, გარეგანი სტრუქტურა, ზედაპირული სტრუქტურა და სხვანი. სემანტიკური (სიღრმისეული) სტრუქტურის გარდასახვა, გარდაქცევა სინტაქსურ (ზედაპირულ) სტრუქტურად ტრანსფორმაციის (გარდაქმნის) მკაცრად განსაზღვრულ წესებს ექვემდებარება ყოველ ენაში.

ამგვარი კვალიფიკაცია უშუალო შედეგია უკვე კარგა ხნის წინათ ჩამოყალიბებული დებულებისა, რომ აზრი, მნიშვნელობა ამორფულია,

შემოუსაზღვრავია მსგავსად არამყარი, თხევადი მასისა; ყოველი ენა აძ
აზრს უძებნის თავისეულ ფორმას, უკეთ: ანიჭებს ფორმას, გარკვეუ-
ლი კონფიგურაციის სახით აყალიბებს მას, ისევე, როგორც სხვადასხვა-
გვარი ჭურჭელი სხვადასხვაგვარ ფორმას აძლევს ერთსა და იმავე თხე-
ვად მასას, გარკვეული კონფიგურაციით შემოსაზღვრავს მას. ამგვარი
განმარტება ჯერ კიდევ ანტიკურ ფილოსოფიაში იკიდებს ფეხს, ენათ-
მეცნიერებაში კი სულ უფრო დაჟინებით იკვლევს გზას XX საუკუნის
დასაწყისიდან (ფ. დე სოსიური, ლ. ელმსლევი და სხვანი).

ენაში მნიშვნელობა ორგვარია: ლექსიკური და გრამატიკული.

ლექსიკურ მნიშვნელობათა რიცხვი ენაში განუსაზღვრელია, რად-
გან ფაქტიურად განუსაზღვრელია ენაში ლექსიკურ ერთეულთა შემო-
ტანის შესაძლებლობა. ეს, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ ნიშნავს
ლექსიკურ მნიშვნელობათა არაორგანიზებულობას ან არასისტემურო-
ბას.

ამის საპირისპიროდ, გრამატიკულ მნიშვნელობათა რიცხვი ნე-
ბისმიერ ენაში მკაცრად განსაზღვრულია, რეგლამენტირებულია.

ლექსიკური მნიშვნელობები ენაში უპირატესად დაკონკრეტებუ-
ლია, გრამატიკული მნიშვნელობები, პირიქით, როგორც წესი, აბსტრა-
ჰირებულია.

ცალკეული ლექსიკური მნიშვნელობა ზოგჯერ ლექსემად იწოდება.
ლექსემათა ერთობლიობანი ქმნიან ლექსიკურ კატეგორიებს. სხვა შემ-
თხვევაში ლექსემა „წარმოადგენს ან ფორმაუცვლელ სიტყვას, ან კი-
დევ მოიცავს ამა თუ იმ სახელის თუ ზმნის ფლექსიურ ფორმათა ერ-
თობლიობას. ასე, მაგალითად, ლექსემაა ბალი — ბალმა — ბალს —
ბლები და მსგ. სიტყვა-ფორმათა ერთობლიობა...“ ლექსიკური სისტე-
მის ცალკეული ფორმა კი იწოდება ლემად ([303], 70—71).

ცალკეული გრამატიკული მნიშვნელობა (მაგალითად, მოქმედები-
თი გვარი) ზოგჯერ იწოდება გრამემად. გრამემათა ერთობლიობა (მოქ-
მედებითი გვარი, ვნებითი გვარი) ქმნის გრამატიკულ კატეგორიას
(ჩვენს შემთხვევაში გვარის გრამატიკულ კატეგორიას).

გამოიყენება ასეთი ტერმინიც: სემა, რომლითაც აღინიშნება მინი-
მალური სემანტიკური ერთეული. სემათა ერთობლიობა არის სემანტე-
მა (ან: სემემა). როგორც წესი, სემა შეიძლება აღნიშნავდეს როგორც
ლექსიკურ, ასევე გრამატიკულ მნიშვნელობას. ასე რომ, სიტყვა-ფორ-
მათა მნიშვნელობა განიხილება როგორც სემათა ერთობლიობა, ანუ:
სემათა ნაკრები.

ლექსიკური მნიშვნელობაც და გრამატიკული მნიშვნელობაც რეალურ
მიმართებებს ქმნიან. ამ მიმართებათა გარეშე არც შეიძლება განისა-
ზღვროს რომელიმე ლექსიკური თუ გრამატიკული მნიშვნელობა. ამი-
ტომაც მართებულად უნდა მივიჩნიოთ ი. ტრირის დებულება, რომ

„სიტყვას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ როგორც მთლიანის შემადგენელს და მხოლოდ ამ მთლიანის ძალით“ ([316], 5). ამას უშუალოდ ეხმაურება ლ. ვაისგერბერის გამონათქვამი: „აუცილებელია ვიცოდეთ მთლიანის სტრუქტურა და მასში ცალკეული ელემენტის ადგილი“ ([317], 98). ეს იდეა ადრეც არსებობდა ენათმეცნიერებაში, ეს იდეა ედო საფუძვლად დებულებას, რომ სიტყვის მნიშვნელობა დგინდება მხოლოდ კონტექსტში (წინადადებაში). ამ იდეის საფუძველზე წარმოიქმნა სემანტიკური ვალენტობის ცნებაც. მართალია, ზემოხსენებულ გამოთქმებში უპირატესად ლექსიკური მნიშვნელობების მთლიანობა, ერთობლიობა იგულისხმება, მაგრამ იგივე თავისუფლად შეიძლება გავავრცელოთ გრამატიკულ მნიშვნელობაზეც. აქვე ფრიად ფასეულია ფ. დე სოსიურის მიერ განმარტებული ცნება ენობრივი ღირებულებისა, რომელიც ასევე გულისხმობს მნიშვნელობათა განსაზღვრას მათივე ურთიერთმიმართებების მიხედვით ([312], 146—152).

ენობრივი ფორმის ლექსიკური და გრამატიკული მნიშვნელობები მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. მათ შორის გარკვეული დეტერმინიზმიც კი შეიძლება დავამოწმოთ. მართებულადაა შენიშნული, რომ სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა ვერ გამოელინდება მისივე გრამატიკული მნიშვნელობისგან დამოუკიდებლივ ([314], 78). მართლაც, ნებისმიერი ფორმის ლექსიკურ მნიშვნელობას თან ახლავს გრამატიკული დახასიათებაც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რომელიმე ლექსიკური მნიშვნელობა ენობრივ ფაქტად მხოლოდ გრამატიკული მნიშვნელობით „შემოსვის“ შემდეგ იქცევა. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ შეუძლებელია მათი ცალცალკე კვლევა. შესაძლებელია! და არამცთუ შესაძლებელია, არამედ აუცილებელიცაა. ამგვარი კვლევის დადებითი მომენტები უკვე საკმაოდ დამაჯერებლადაა წარმოჩენილი სპეციალურ ლიტერატურაში.

რა თვალსაზრისითა და რა საშუალებებით ხდებოდა და ხდება სემანტიკური კვლევა?

საკითხი ძალზე მრავალსახოვანია, სპეციალური კვლევა ესაჭიროება. ამჯერად მხოლოდ ძირითად, წარმმართველ მომენტებზე გვექნება საუბარი.

სემანტიკური კვლევის დასაწყისი ეტაპი პირწმინდად ფილოსოფიური, ლოგიცისტური თვალსაზრისით იყო შეპირობებული. საფუძველს იგი ისევ და ისევ ანტიკურ ფილოსოფიაში პოულობს. არსებითად ამ პერიოდში სემანტიკური კვლევის მიზანი ფორმალური ლოგიკის მოთხოვნებით იყო განსაზღვრული, ფორმალური ლოგიკის პრინციპების რკვევას ემსახურებოდა. განსაკუთრებით უხვ მასალას იძლევა ამ მხრივ არისტოტელეს თხზულებები. ანალოგიური დანიშნულება ჰქონდა მოპოვებული სემანტიკურ კვლევას XVII—XVIII საუკუნეების ფილო-

სოფოსების შრომებშიც (ლოკი, ლაიბნიცი, სპინოზა). არ კარგავს იგი თავის მნიშვნელობას დღესაც. ცნობილია, თუ რაოდენ დიდ ყურადღებას აქცევდა ე. ჰუსერლი ენის და აზრის ურთიერთობას ენაში არცთუ ისე იშვიათად დამოწმებული სემანტიკური ორაზროვნების თავიდან აცილების მიზნით ([308], 18). XIX საუკუნეში იწყება სემანტიკური პროცესების ფსიქოლოგიური ინტერპრეტაციის ეტაპი. ეს მიმართულება უპირველესად ვ. ვუნდტის სახელს უკავშირდება.

ენობრივ მნიშვნელობათა კვლევა ლოგიკის (ამჯერად უკვე მათემატიკური ლოგიკის) პრინციპებით დღესაც ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად უნდა ჩაითვალოს. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ყველა ის ენათმეცნიერული მიმდინარეობა, რომელიც ენობრივ მნიშვნელობას ცნებითი კატეგორიების ან სიღრმისეული სტრუქტურების თვალსაზრისიდან ამოსელით განიხილავს, მეტ-ნაკლებად სწორედ ლოგიკის ძირითად პრინციპებს ემყარება. ნიშანდობლივია ამ შემთხვევაში მნიშვნელობათა ურთიერთმიმართებების, მნიშვნელობათა გარდაქმნების აღსაწერად მათემატიკური ლოგიკის ტერმინებისა და ფორმულების გამოყენება; იხ., მაგალითად, ნ. ხომსკის, ჯ. ლაიონზის, ჩ. ფილმორის, უ. ჩეიფის, უ. ვეინრეიხის, ს. ულმანის და სხვათა შრომები. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული მეცნიერები ენათმეცნიერებაში სხვადასხვა, ხშირად საპირისპირო, პოზიციებზე დგანან, ენობრივი სემანტიკის კვლევისას მათემატიკური ლოგიკის პრინციპების გამოყენება მეტ-ნაკლებად ყველა მათგანს ახასიათებს.

მაგრამ ბოლო ხანებში სულ უფრო დაჟინებით იკვლევს გზას აზრი, რომ აუცილებელია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს ენათმეცნიერული სემანიტკა და ასახვის სემანტიკა, ანუ სემანტიკა, რომელიც ფილოსოფიის, ლოგიკის, ფსიქოლოგიის სფეროს განეკუთვნება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ენობრივი მონაცემისა და ცნების სემანტიკა, ენისა და ცნობიერების სემანტიკა ([311], 15).

როგორც უკვე აღინიშნა, ენობრივი სემანტიკის სფეროს შეადგენს როგორც ლექსიკური, ასევე გრამატიკული მნიშვნელობა. ამაზე ახლა აღარავინ დავობს. მიუხედავად ამისა, ჯერჯერობით აშკარა უპირატესობა ენიჭება ლექსიკური სემანტიკის კვლევას. ამ სფეროში მიღწეული შედეგების ფონზე ფრიად მოკრძალებულად გამოიყურება გრამატიკული სემანტიკის ანალიზი.

ახლა მოკლედ შევეხოთ საკითხს, თუ რა საშუალებით ხდება ლექსიკური სემანტიკის კვლევა, რა მეთოდები გამოიყენება ამ დროს.

ენაში, როგორც ვარაუდობენ, არსებობს რთული მნიშვნელობები და მარტივი მნიშვნელობები. მარტივია ის მნიშვნელობა, რომლის „დაშლა" აღარ ხერხდება და რომელიც მოკლებულია ყოველგვარ ორაზროვნობას (მრავალმნიშვნელობას), ე. ი. ის, რაც ყველა შემთხ-

ვევაში ერთი და იმავე მნიშვნელობის სახით გვევლინება. ამისდა კვალობაზე, სემანტიკურ კვლევას ასეთი მიზანი დაესახება: ...„ყოველი რთული მნიშვნელობა უნდა იქნეს წარმოდგენილი უფრო მარტივ მნიშვნელობათა კომბინაციის სახით, ხოლო თითოეული ამ მარტივ მნიშვნელობათაგანი (ფორმალურ ენაში) ყოველთვის ერთნაირად უნდა იწოდებოდეს...“ ([307], 15).

მაგალითები უკეთ დაგვანახებენ, თუ რა იგულისხმება ამ შემთხვევაში.

ლექსიკური მნიშვნელობა იშლება შემადგენელ კომპონენტებად:

„კაცი“ = ადამიანი + მამრი + ზრდასრული,
„ბიჭი“ = ადამიანი + მამრი + ზრდადაუსრულებელი,
„ჭაკი“ = ცხენი + დედალი.

სემანტიკური სტრუქტურის ამგვარი დანაწევრება მადიფერენცირებელი ნიშან-თვისებების მიხედვით არსებითად არის ფონოლოგიური და გრამატიკული პრინციპების გადმოტანა სემანტიკაში ([307], 7). სხვადასხვა მოდიფიკაციით ეს პრინციპი დღემდე საკმაოდ ფეხმოკიდებულია სემანტიკურ კვლევა-ძიებაში.

რთული მნიშვნელობა შესაძლოა ნაირგვარ შემადგენლობას იგუებდეს. მაგალითად, ზემოხსენებული „კაცი“ ქართულში გამოიყენება ორი მნიშვნელობით: „მამაკაცი“ და „ადამიანი“. მათი სემანტიკური კომპონენტები, შესაბამისად, ასეთი იქნება:

„კაცი“ („მამაკაცი“) = ადამიანი + მამრი + ზრდასრული,
„კაცი“ („ადამიანი“) = სულიერი + მეტყველი.

თავის მხრივ, „მეტყველი“ დაიშლება შემადგენელ კომპონენტებად: გონიერი + ენის საშუალებით აზრის გამოხატვის უნარის მქონე.

როგორც ვხედავთ, ამგვარი კვლევა უშუალოდაა დამოკიდებული ცნებით მონაცემებზე; უფრო ზუსტად, იმ ცოდნაზე, რომელიც ამა თუ იმ ობიექტის შესახებ ამჯერად მოგვეპოვება. ცოდნის სრულყოფას უთუოდ თან მოჰყვება ცვლილებები სემანტიკური სტრუქტურის ამგვარ დეფინიციაშიც. ეს კი იმას მოწმობს, რომ ამ შემთხვევაში ენობრივი ფაქტის კვლევა მთლიანად ყოფილა დამოკიდებული არაენობრივ მოვლენებზე. ეს აზრი დებულების სახითაც არის ჩამოყალიბებული: „სემასიოლოგიის ძირითადი ამოცანაა სწორედ იმის შესწავლა, თუ როგორ აისახება ენობრივ ერთეულებში (სიტყვებში) არაენობრივი სინამდვილე“ ([314], 8). ეს დებულება უშუალოდაა შეპირობებული იმ თვალსაზრისით, რომელიც ენას ნიშანთა სისტემად მიიჩნევს: „ნიშანთა ყოველი სისტემა სწორედ იმის აღნიშვნას ემსახურება, რაც ამ (ნიშანთა) სისტემის ფარგლებს გარეთ ძევს“ ([314], 8).

არ უარვყოფთ რა ამგვარი კვლევის უთუო სარგებლობასა და საჭიროებას, იმავდროულად ვერავითარ შემთხვევაში ვერ გავიზიარებთ იმ აზრს, რომ ენათმეცნიერების ძირითადი მიზანი სწორედ ამ სახის კვლევაა. ნებისმიერი მეცნიერების ძირითადი მიზანი არ შეიძლება იყოს იმ პრობლემების კვლევა, რაც არსებითად მისი კომპეტენციის ფარგლებს მიღმა ძევს. ამიტომაც ენათმეცნიერებისათვის ამოცანა „გააანალიზოს, რა გზით ახდენს მნიშვნელობა შინაარსის მანიფესტირებას, როგორ ხდება ენა ცოდნის გამომხატველი ფორმა, როგორ ასახავს ენათმეცნიერული სემანტიკა ცდისეული ლოგიკის არაენათმეცნიერულ სემანტიკას“ ([315], 217), კერძო, დამატებით, არაძირითად ამოცანად უნდა მივიჩნიოთ.

თანამედროვე სემანტიკაში ფართოდაა გამოყენებული სინონიმური პერიფრაზირების პრინციპი. სათავეს იგი მათემატიკურ ლოგიკასა (ჰ. რეიხენბახი, ბ. რასელი, ა. ტარსკი, უ. კუაინი, ა. ჩერჩი) და მოდალურ ლოგიკაში იღებს, საიდანაც გადმოვიდა და გამოყენებულ იქნა ენათმეცნიერებაში (ნ. ხომსკი, ა. ვეჟბიცკა და სხვანი). ეს პრინციპიც სხვადასხვა მოდიფიკაციებითაა გამოყენებული სემანტიკური კვლევის დროს. საფუძვლად მას სიღრმისეული სტრუქტურის ენობრივი ხორცშესხმის (ანუ: ზედაპირულ სტრუქტურად გარდაქმნის) იდეა უდევს. წარმოვადგენთ ძირითად ნიმუშებს (ვეყრდნობით შემდეგ გამოცემას: [307]):

„მას აწსოვს თქვენი თხოვნა“ = „მას არ დავიწყებია თქვენი თხოვნა“;

„მხატვარი სურათს ხატავს“ = „სურათი იხატება მხატვრის მიერ“;

„მან მაცნობა, რომ ექიმი მოვიდა“ = „მან მაცნობა ექიმის მოსვლა“.

ხერხდება მორფოლოგიური ინვენტარით გამოხატული მნიშვნელობის ანალოგიური პერიფრაზირებაც:

„სა-თარგმნ-ელ-ი“ = „რომელიც უნდა ი-თარგმნ-ო-ს“ = „რომელიც შეიძლება ი-თარგმნ-ო-ს“: ამ შემთხვევაში სა-—-ელ ფორმანტების კორელატად ითვლება მეშველი ზმნის დანიშნულებით გამოყენებული „უნდა“, „შეიძლება“ ფორმები. აშკარაა, რომ აქ ენათმეცნიერებაში კარგად ცნობილი ორგანული და ანალიზური ფორმების სემანტიკური თანაფარდობის პრინციპის თავისებურ გამოყენებასთან გვაქვს საქმე.

ამავე რიგისაა:

„ეხმარება“ = „დახმარებას უწევს“,

„ეშინია“ = „შიშობს“ = „შიში აქვს“ და სხვანი.

ერთი და იმავე ფუნქციის გამოსახატავად ნაირგვარ ფორმათა გამოყენების ღირსაცნობ ნიმუშს იძლევიან ქვემოთ დასახელებული მაგალითები, რომლებზეც პირველად თ. ჟორდანიამ გაამახვილა ყურადღება:

„გვესმა, რომ კარგი სანადირო არისო“ — „კარგი გვესმა სანადირო“;

„ავთანდილს უთხრა, რომ იგი დამჯდარიყო“ — „ავთანდილს უთხრა დაჯდომა“ და სხვანი ([299], 41).

უეჭველია, რომ იმ პირობით, თუკი მკაცრ ენათმეცნიერულ კვლევას დავუქვემდებარებთ (ე. ი. თუკი საკუთრივ ენათმეცნიერების ფარგლებს არ გადავცდებით), სემანტიკური სტრუქტურის კვლევისას როგორც მნიშვნელობათა კომპონენტების გამოყოფას, ასევე სინტაქსური პერიფრაზირების პრინციპს ფრიად ფასეული სარგებლობის მოტანა შეუძლია.

მნიშვნელობათა შემადგენელი კომპონენტების გამოყოფა შესაძლებლობას მოგვცემს, მაგალითად, ერთი რიგის ფორმათა შორის ლექსიკურ ფუნქციაში მსგავსება-განსხვავების წარმოჩენისა. ამ თვალსაზრისით საინტერესო აღმოჩნდება, ვთქვათ, ზოგი კრებითი სახელის შედარება-შეპირისპირება. რა აერთიანებს და რა განასხვავებს ერთმანეთისაგან სემანტიკურად შემდეგ ფორმებს: „ბრბო“, „ხროვა“, „გუნდი“, „რემა“, „ნახირი“, „ფარა“... აშკარაა, რომ ყველა ამ ფორმის მნიშვნელობაში ფიგურირებს საერთო კომპონენტი, ესაა „მრავალი“, უკეთ: „მრავლის ერთობლიობა“. ამ „მრავლის ერთობლიობას“ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განასხვავებს ის, თუ რა სახეობათა ერთობლიობასთან გვაქვს საქმე. ზემოხსენებული ასე შეიძლება წარმოვადგინოთ სემანტიკური ფორმულის სახით:

მრავალი+ { ადამიანი—ბრბო; მგელი—ხროვა; ჩიტი—გუნდი; ცხენი—რემა; ძროხა—ნახირი; ცხვარი—ფარა და ა. შ.

რა თქმა უნდა, აქ სტილისტური (ემოციური) საკითხებიც დადგება. ასე მაგალითად, „მრავალი“+„ადამიანი“ შეიძლება იყოს როგორც „ხალხი“, ასევე „ბრბო“, თავის მხრივ „ხროვა“ აღნიშნავდეს არა მხოლოდ „მრავალი“+„მგელი“, არამედ „მრავალი“+„ადამიანი“ („მგლური თვისების მქონე ადამიანი“). სემანტიკური რკვევა ამ საკითხების დადგენასაც ვარაუდობს. ამიტომაც სემანტიკურ სტრუქტურაში ხშირად აღმოჩნდება არა მხოლოდ აღმნიშვნელი კომპონენტები, არამედ შემფასებელი კომპონენტებიც:

„მრავალი“+„ადამიანი“+„დადებითი“=„ხალხი“

„მრავალი“+„ადამიანი“+„უარყოფითი“=„ბრბო“.

„დადებითი“ და „უარყოფითი“ აქ სწორედ შემფასებელი კომპონენტებია. უფრო ზუსტი იქნებოდა, თუ ზემოხსენებულ ფორმულას ასე ჩავწერდით:

(„მრავალი“+„ადამიანი“)+„დადებითი“=„ხალხი“

(„მრავალი“+„ადამიანი“)+„უარყოფითი“=„ბრბო“,

სადაც ფრჩხილებში მოქცეულია ლექსიკური მნიშვნელობის კომპონენტები, ფრჩხილებს გარეთაა გატანილი სტილისტური (ემოციური) შეფასება ხსენებული ლექსიკური მნიშვნელობისა.

რა თქმა უნდა, სემანტიკური სტრუქტურის ამგვარი აღწერა არ არის დაზღვეული გარკვეული პირობითობისაგან, მაგრამ უკეთესი საშუალების აღმოჩენამდე მაინც გამოსადეგი ჩანს.

მსგავსი პრინციპის გამოყენება ივარაუდება გრამატიკული მნიშვნელობის სტრუქტურის კვლევის დროსაც.

გრამატიკული კატეგორია სემანტიკური თვალსაზრისით, მაგალითად, ასე განიმარტება: „გრამატიკული კატეგორია არსებობს როგორც ნაკრები კერძო (დანაწევრებული) მნიშვნელობებისა, რომლებიც გაერთიანებულია ერთი წარმმართველი, ცენტრალური აზრობრივი საწყისით“ ([310], 97).

„წარმმართველი საწყისის“ ცნება აქ, როგორც ჩანს, პირწმინდად განხილვის თვალსაზრისს განეკუთვნება. საქმე ის არის, რომ ერთი ფორმის ფარგლებში მოქცეულ გრამატიკულ მნიშვნელობათა ერთობლიობაში თავისთავად არ არსებობს წარმმართველი და დაქვემდებარებული ფუნქციები და მხოლოდ განხილვის თვალსაზრისს გააჩნია, რომ ერთ შემთხვევაში ერთი ფუნქცია აღმოჩნდება წინ წამოწეული, მეორე შემთხვევაში კი სხვა. ასე მაგალითად, როშელიმე ა-თეთრ-ებ-ს ფორმაში ურთიერთშეთავსებულია აქტიურობის, გარდაქცევითობის, ახლანდელი დროისა და სხვა ფუნქციები. თავისთავად არცერთი მათგანი არ არის წარმმართველი ან დაქვემდებარებული, მაგრამ იმის მიხედვით, თუ რა სისტემაში მოვაქცევთ მას, რა პოზიციიდან განვიხილავთ მას, ძირითად საკლასიფიკაციო ნიშნად აღებული იქნება ან ერთი, ან მეორე, ან მესამე (და ა. შ.) ფუნქცია. ა-თეთრ-ებ-ს ფორმა, შეპირისპირებული თეთრ-დ-ებ-ა ფორმასთან, უპირველესად განიმარტება ამ შემთხვევისათვის თავისი ძირითადი სადიფერენციაციო ნიშნის, აქტიურობის ფუნქციის მიხედვით. ასე რომ, აქ აქტიურობის ფუნქცია წარმოჩნდება წარმმართველ, ძირითად მნიშვნელობად. იგივე ა-თეთრ-ებ-ს ფორმა, შეპირისპირებული ა-წუხ-ებ-ს, ა-კეთ-ებ-ს, ბარ-ავ-ს, ა-თბ-ობ-ს ფორმებთან, ძირითად სადიფერენციაციო ნიშნად უკვე სხვა, გარდაქცევითობის ფუნქციას წარმოგვიჩენს. ა-თეთრ-ებ-ს ფორმის შეპირისპირება ა-თეთრ-ებ-დ-ა, გა-ა-თეთრ-ა ფორმებთან უკვე დროის ფაქტორზე ამახვილებს ყურადღებას.

ამრიგად, გრამატიკულ მნიშვნელობათა სტრუქტურის ანალიზისას ივარაუდება გარკვეული წინაპირობის დაშვება, კვლევის მიზანდასახულობის იმთავითვე განსაზღვრა, რის საფუძველზეც მოხდება საანალიზო მონაცემების კვალიფიკაცია. ამისდა კვალობაზე, ა-თეთრ-ებ-ს და ბარ-ავ-ს ფორმებს გააერთიანებს აქტიურობის ფუნქცია, დააპირისპირებს გარდაქცევითობისა და ინსტრუმენტატივის ფუნქციები. ა-თეთრ-ებ-ს და თეთრ-დ-ებ-ა ფორმებს კი, პირიქით, გააერთიანებს გარდაქცევითობის ფუნქცია, მაგრამ დააპირისპირებს აქტიურობა-პასიურობის ფუნქციები. იმის მიხედვით, თუ რომელ შემთხვევაში რა თვალსაზრისით კვლევა იქნება საჭიროდ მიჩნეული, ძირითად, საკლასიფიკაციო ნიშნად აიღება ერთი რომელიმე ამ ფუნქციათაგანი.

IV

უკვე აღინიშნა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში პარალელური ფორმები ხაირგვარი ფორმობრივი დეტერმინირების შედეგია. ამის ნიმუშია, მაგალითად:

გა-ი-ღ-ო — გა-ღ-ებ-ულ ი-ქნ-ა

მოქმედებითი გვარის ამოსავალი ფორმა ადვილად აგვახსნევინებს ამის მიზეზს:

გა-ა-ღ-ო მან ის→გა-ი-ღ-ო,
მაგრამ:
გა-ი-ღ-ო მან ის→გაღებულ იქნა ის.

მეორე მიმართებაში მოქმედებითი გვარის გა-ი-ღ-ო იმ ზმნათა რიგს განეკუთვნება, რომელთაც ფორმა სათავისო ქცევისა აქვთ, მნიშვნელობა კი საარვისო ქცევის ზმნისა ([304], 295). როგორც სათავისო ქცევის ფორმას, მას არ შეიძლება მოეპოვებოდეს ვნებითი: ეს ცნობილი აკრძალვაა ქართული ზმნის სისტემაში, მაგრამ. როგორც საარვისო ქცევის ფუნქციის მქონე ზმნას, როგორც წესი, ვნება ჰქონდეს შესაბამისი ვნებითის ფორმა. და აი, ამ შემთხვევაში ძალიან გამოსაყოფი გამოინახა: ვნებითი აღწერითად იწარმოა (იხ. ზემოთ: თავი III, ნაწილი XXII).

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს არ ვარაუდობს ფორმათა პარალელური წარმოების ყველა შემთხვევაში ხაირგვარი ფორმობრივი დეტერმინიზმის აუცილებელ არსებობას. და მაშინ ასეთ მაგალითებში დამატებითი ფუნქციური სხვაობაა საძიებელი (გრამატიკის, ლექსიკისა თუ სტილისტიკის დონეზე).

V

ზემოხსენებულის ნიმუშად ა-ფენ-ი-ა — და-ეფენ-ილ-ი-ა (—და-ფენ-ილ-ი არ-ს) პარალელური ფორმები გამოგვადგება.

მიუხედავად აშკარა ფუნქციური იგივეობისა, ხსენებულ ფორმებს შორის სხვაობა მაინც იჩენს თავს: ა-ფენ-ი-ა ფორმისგან განსხვავებით, რომელიც აწმყოში მოცემულ სტატიკას წარმოგვიდგენს, და-ფენ-ილ--ი-ა (დაფენილი არის) ფორმაში ეგევე სტატიკა ხაზგასმულადაა წარმოდგენილი როგორც წინარე მოქმედების შედეგი, ე. ი. პერფექტულობის შინაარსია დამატებით წარმოჩენილი. მართალია, შედეგობის გაგება გარკვეულად ა-ფენ-ი-ა ფორმასაც უკავშირდება, მაგრამ აქ ეს მაინც მეორე პლანზეა გადაწეული შედარებით და-ფენ-ილ-ი-ა ფორმასთან, სადაც შედეგობის გამოხატვა მთლიანად ენებითი გვარის ნამყო დროის მიმღეობას აკისრია (და-ფენ-ილ-ი).

პერფექტულობის თვალსაზრისით და-ფენ-ილ-ი-ა ფორმა I თურმეობითის ფორმებს ამოუდგება გვერდით: ცნობილია, ქართულში პერფექტის ფუნქციას სწორედ ეს პარადიგმი გადმოსცემს. ამიტომაც არ არის გასაკვირი, ერთპირიან ზმნათა I თურმეობითი ნამყო დროის ენებითი გვარის მიმღეობას რომ იღებს საყრდენად: და-ფენ-ილ-ა, შდრ.: და-უ-ფენ-ი-ა, და-ჰ-ფენ-ი-ა, სამივე პერფექტული ფორმაა.

რა აღმოჩნდა?

აღმოჩნდა, რომ ერთი ფუნქცია აერთიანებს (ერთ სიბრტყეზე აყენებს) ხუთ სხვადასხვა ფორმას:

ა-ფენ-ი-ა — და-ფენ-ილ-ი-ა — და-უ-ფენ-ი-ა — და-ჰ-ფენ-ი-ა — და--ფენ-ილ-ა.

ეს ფუნქციაა სტატიკურობა.

სხვაობას თითოეულ მათგანში წარმოჩენილი დამატებითი ნაირგვარი ფუნქციები იძლევა და მათი წარმოჩენის შესაძლებლობა ისევ და ისევ იმ საერთო, გამაერთიანებელი ფუნქციის შესაძლებლობის კონკრეტული გამოვლინებაა. ეს კი ნიშნავს, რომ თვით სტატიკურობის ფუნქციაა რთული შედგენილობისა, რთული სტრუქტურისა და შედგება იგი ისეთი ფუნქციური ელემენტებისაგან, რომლებიც იმთავითვე იძლევიან სტატიკურობის ფუნქციის ნაირგვარი კონფიგურაციისა და, შესაბამისად, მისი ნაირგვარი გამოყენების შესაძლებლობას.

კერძოდ: ხუთივე ხსენებული ფორმის სემანტიკურ სტრუქტურაში მეტნაკლებად წარმოჩენილია შედეგობა. ეს კი ნიშნავს, რომ ყველა შემთხვევაში ამჟამინდელი სტატუსის წინარედ ივარაუდება დინამიკური პროცესი, რომლის რეზულტატად გაიაზრება ზემოთ მოტანილი ფორმებით გამოხატული სტატიკა.

მაგრამ ეგ შედეგობა ერთ შემთხვევაში შეუღლებულია აქტიურ წინარე მოქმედებასთან (და-უ-ფენ-ი-ა), მეორე შემთხვევაში პასიურ, ირიბი ობიექტისადმი მიმართულ მოქმედებასთან (და-ჰ-ფენ-ი-ა), მესამე შემთხვევაში პასიურ მიუმართავ მოქმედებასთან (და-ფენ-ილ-ა),

მეოთხე და მეხუთე შემთხვევებში ასევე პასიურ მიუმართავ მოქმედებასთან (და-ფენ-ილ-ი-ა, ა-ფენ-ი-ა).

ამდენად, გაირკვა, რომ სამ ფორმას: და-ფენ-ილ-ა—და-ფენ-ილ-ი-ა — ა-ფენ-ი-ა (ჰ-ფენ-ი-ა) ორი სემანტიკური კომპონენტი (შედეგობა და პასიურობა) საერთო ჰქონია. თუ ასეა, მაშინ უნდა დაიძებნოს მესამე კომპონენტი, რომელიც ამ ფორმათა შორის სხვაობის მიზეზს ახსნის.

გაირკვა — რა აერთიანებს ამ ფორმებს.

გასარკვევია — რა განასხვავებს მათ.

და-ფენ-ილ-ი-ა და და-ფენ-ილ-ა ფორმები, რომლებიც ფაქტიურად ერთი ფორმობრივი ყალიბით არიან ნაწარმოები (ოღონდ ერთ შემთხვევაში სახელადი ნაწილი სახელობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი: დაფენილ-ი, მეორე შემთხვევაში — ფუძის სახით: დაფენილ-), დროის გამოხატვის ინტენსივობით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: და-ფენ-ილ-ი-ა ფორმაში ჭარბობს აწმყოს ფუნქცია, შედეგის აწმყოში მოცემულობის სემანტიკა, ხოლო ამის საპირისპიროდ, და-ფენ-ილ-ა ფორმაში აქცენტი გადატანილია მოქმედების წარსულში შესრულებულობაზე, ის კი, რომ ამ მოქმედების შედეგი აწმყოშია წარმოდგენილი, აქ ფაქტიურად მეორე პლანზეა გადატანილი.

(ამიტომაცაა, რომ ქართული I თურმეობითი მთლიანად არ უთანაბრდება ინდოევროპული ენების პერფექტებს: ამ უკანასკნელთ ერთი ფორმა აქვთ იმ რთული შედგენილობის მქონე ფუნქციის გამოსახატავად, რომელიც ქართულმა ორ — და-ფენ-ილ-ი-ა და და-ფენ-ილ-ა — ფორმაზე გადაანაწილა).

ამავე რიგისაა დაპირისპირება ა-ფენ-ი-ა და და-ფენ-ილ-ა ფორმებს შორის. ასე რომ, ამ თვალსაზრისით ერთმანეთს გვერდით ამოუდგება ა-ფენ-ი-ა და და-ფენ-ილ-ი-ა ფორმები. მაშასადამე, ახლა ამ ორ ფორმას შორისაა სემანტიკური დიფერენცირების საფუძველი დასადგენი. ეს საფუძველი შედეგობის გამოხატვის ინტენსივობაში უნდა ვეძიოთ. აშკარაა: შედეგობის სემანტიკა გაცილებით უფრო ძლიერაა წარმოჩენილი და-ფენ-ილ-ი-ა ფორმაში, ვინემ ა-ფენ-ი-ა ფორმაში. სამაგიეროდ, ა-ფენ-ი-ა ფორმა მეტი ინტენსივობით გადმოსცემს დიურატიულობის ფუნქციას, ვინემ მასთან შეპირისპირებული და-ფენ-ილ-ი-ა ფორმა.

VI

გაირკვა: ამა თუ იმ ენობრივი მნიშვნელობის შემადგენელი სემანტიკური ელემენტების ნაირგვარი ოდენობა და ინტენსივობა შესაძლებლობას იძლევა ერთი და იმავე მნიშვნელობის ნაირგვარი კონფიგურაციით, ნაირგვარი კუთხით, თვალსაზრისით წარმოდგენისა. აქვე დგას

საკითხი ერთი საერთო, გამაერთიანებელი ფუნქციის დამატებითი, მადიფერენცირებელი ფუნქციებით აღჭურვისა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში.

განხილული მაგალითები ცხადყოფენ, რომ ერთ შემთხვევაში დამატებით ფუნქციად დროის სემანტიკა გვეელინება, სხვა შემთხვევაში აქტიურობა-პასიურობისა თუ შედეგობის ინტენსივობის სემანტიკა. ამის მიხედვით თითოეულ ზემოხსენებულ ფორმათაგანს ადვილად ეძებნება ადგილი ქართული ზმნის პარადიგმათა სისტემაში: ა-ფენ-ი-ა||ჰ-ფენ-ი-ა სტატიკური აწმყო იქნება, და-უ-ფენ-ი-ა — გარდამავალი ზმნის I თურმეობითი (შედეგობითი, პერფექტი), და-ჰ-ფენ-ი-ა — ორპირიანი გარდაუვალი ე-ფინ-ებ-ა ზმნის I თურმეობითი, და-ფენ-ილ-ა — ერთპირიანი გარდაუვალი ი-ფინ-ებ-ა ზმნის I თურმეობითი...

ერთი და იგივე ფუნქცია შეიძლება რამდენიმე ფორმით გამოიხატოს. მაშასადამე, ეს ფუნქცია ერთ სიბრტყეზე აყენებს ამ სხვადასხვაგვარ ფორმებს, ერთ სემანტიკურ სისტემაში აერთიანებს მათ. მაგრამ ეს საკითხის ერთი მხარეა მხოლოდ. ერთი ფუნქციის გამოსახატავად რამდენიმე ფორმა, მით უმეტეს, რამდენიმე ფორმობრივი სისტემა, არ იარსებებდა, ამ უკანასკნელთა შორის რაიმე დამატებითი სემანტიკური სხვაობა რომ არ დასტურდებოდეს.

ასე რომ, სემანტიკური ინტეგრაციისა და სემანტიკური დიფერენციაციის საკითხები ერთი და იმავე პრობლემის ურთიერთშემადგენელი და ურთიერთშემავსებელი ორი მხარეა.

ამის საფუძველზე ერთი ზოგადი ხასიათის დასკვნაც გაკეთდება:

ენაში ყველაფერი ინტეგრირებულია, ყველაფერი ერთიანდება და იმავდროულად ყველაფერს დამოუკიდებელი სახე, თავისთავადობა აქვს შენარჩუნებული. ეს იმიტომ ხდება შესაძლებელი, რომ ნებისმიერი ენობრივი ფორმა ნაირგვარ ფუნქციათა თვისობრივი ერთიანობის გამომხატველია, რომელთაგან თითოეულ ფუნქციას თავისეულ სისტემაში შეჰყავს ესა თუ ის ფორმა. იმავდროულად ენაში არ არსებობს ორი აბსოლუტურად ერთნაირი ფუნქციური შედგენილობის ფორმა, ანუ: ორი ფორმა, რომელთაც აბსოლუტურად ყველა ფუნქცია ერთი და იგივე ექნება, რაც განაპირობებს კიდევაც ამ ფორმათა ერთადერთობას და, ამდენად, შეუცვლელობას ენაში, უკეთ: ენის მოცემული პერიოდის სისტემაში.

ეს კი ნიშნავს, რომ ერთი ფუნქციის ფარგლებში დამატებითი (მადიფერენცირებელი) ფუნქციის წარმოჩენის შესაძლებლობაც თვით იმ გამაერთიანებელი ფუნქციის სტრუქტურულ შედგენილობაშია საძიებელი. ამ სტრუქტურის ამოხსნა დაგვადგენინებს, თუ რატომ არის, რომ მოცემული ფუნქციის ფარგლებში დამატებით (მადიფერენცირებელ)

ფუნქციებად წარმოდგენილია სწორედ ეს და არა სხვა ფუნქციები. თავის მხრივ, ეს საკითხი უშუალოდ უკავშირდება ფუნქციათა შეთავსებულობის ზემოხსენებულ პრობლემასაც.

VII

აქ რეალობის ტრანსფორმირების საკითხიც დადგება. იგულისხმება: რეალობის ენობრივ მონაცემებად ტრანსფორმირება. რადგან ენაში მოქმედი ფუნქციები სხვა არაფერია, თუ არა ენის „განზომილებებად" ტრანსფორმირებული ფაქტი ცნობიერებისა. სწორედ ცნობიერებაა სინამდვილის ამოსავალი პირველწყარო ენისათვის.

სინამდვილის ფაქტის ენობრივ მონაცემებად ტრანსფორმირება (გარდასახვა) არ არის მექანიკური, უბრალო გარდაქმნითი პროცესი. ენა თავისი განზომილებებით ზომავს სინამდვილეს, რადგან ენა არის არა მხოლოდ ასახვა სინამდვილისა, არამედ მისი ანალიზიც. ენა არა მხოლოდ აღნიშნავს, არამედ აფასებს კიდეც. აქედან გამომდინარე, რეალობაში არსებული მოქმედების შედეგს ენა არა მხოლოდ ასახავს, არამედ შეაფასებს კიდევაც თავისი განზომილებების შესაბამისად, რაც იმთავითვე შეაპირობებს შედეგობის სემანტიკური მონაცემის „შემოსვას" სხვა სემანტიკური ატრიბუტებით. ეს კი ნიშნავს, რომ ენობრივ ფუნქციად ტრანსფორმირებული ცნება შედეგობისა ენაში ვერ იარსებებს ნეიტრალურად, იგი უთუოდ „შეიმოსება" სხვა ენობრივი ფუნქციებით, ენაში მოხდება მისი შეფასება, მისი გარკვეული ინტერპრეტაცია, რის გამოც აქ იგი მოკლებული იქნება რეალობაში მისთვის დამახასიათებელ განყენებულ ნეიტრალობას. სხვაგვარად: რეალობის თავისთავადი მოვლენა ენობრივი „მსოფლხედვის" (ე. ჰუმბოლდტის ტერმინია) შესაბამისად გარდაიქმნება.

სწორედ ამგვარი გარდაქმნის გამო ენობრივი „მსოფლხედვის" შესაბამისად შეფასებული შედეგობა სტატიკურობის სემანტიკური სტრუქტურის ერთ-ერთ შემადგენელ ელემენტად იქცევა.

VIII

ამრიგად, გარკვეულ შემთხვევაში შედეგობა სტატიკურობის ფუნქციის შემადგენელ სემანტიკურ ელემენტად მოგვევლინა. მაგრამ შედეგი განიხილება არა განყენებულად, არამედ როგორც გარკვეული მოქმედების (მიზეზობრიობის) შედეგი. მოქმედება (მიზეზობრიობა) დროის მიხედვით შეიძლება იყოს შემოსაზღვრულიც და შემოუსაზღვრელიც, ე. ი. ხდებოდეს მხოლოდ დროის გარკვეულ მონაკვეთში ან ხდებოდეს საერთოდ. რაც შეეხება შედეგს, იგიც შეიძლება შეფასდეს ან როგორც მომენტური მოცემულობა (და-ფენ-ილ-ი), ან როგორც მუდ-

მივი მონაცემი დროის განსაზღვრული მონაკვეთისათვის (ა-ფენ-ი-ა). ამიტომაც შესაძლებელი ხდება შედეგობის განხილვა აწმყოს, მყოფადისა და ნამყოს გრამატიკული დროების მიხედვით.

მაშასადამე, თავის მხრივ, შედეგობის სემანტიკაც შეიძლება შეუღლებული იყოს მომენტურობისა ან განგრძობითობის სემანტიკასთან.

ამისდა კვალობაზე, სწორედ მომენტურობის გაგება შეაქვს ნამყო დროის ვნებითი გვარის მიმღეობას და-ფენ-ილ-ი-ა (დაფენილი არის) ზმნურ ფორმაში, განსხვავებით განგრძობითი ა-ფენ-ი-ა ფორმისაგან.

ამრიგად, ზემოხსენებულის მიხედვით, ორი სემანტიკური სტრუქტურა აღმოაჩნდა სტატიკურობას:

ა) შედეგობა+განგრძობითობა,
ბ) შედეგობა+მომენტურობა.

ორივე შემთხვევაში სტატიკურობას ზმნა გამოხატავს, მაგრამ სტატიკურობის ობიექტი ზმნის მიღმა ძევს (თუმცა ზმნის სემანტიკურ ფარგლებში კი შემოდის): ეს არის საგანი (კონსტრუქციაში ქვემდებარედ წარმოდგენილი), რომელიც, როგორც შედეგი რაღაც მოქმედებისა, ბოცეშულია (შეფასებულია) ან როგორც მომენტურად მყოფი, ან როგორც დროის გარკვეული მონაკვეთისათვის მუდმივ მახასიათებელი.

მომენტურობა შედეგობას სახელთა სემანტიკასთან აახლოვებს. როგორც წესი, ნაზმნარი სახელები (უპირატესად მიმღეობები) გვეელინებიან ამიტომაც ამგვარი ფუნქციის გამომხატველებად (და-ფენ-ილ-ი, გა-კეთ-ებ-ულ-ი): აქ შედეგი გაიაზრება როგორც საყრდენი ზმნით გამოხატული მოქმედების რეზულტატი.

დიურატიულობას მეტი ზმნურობა შეაქვს შედეგობის სემანტიკაში.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, სრულიად არ გულისხმობს თვით ფუნქციური სტრუქტურის ფარგლებში შემადგენელ სემანტიკურ კომპონენტთა რაოდენობრივ უცვლელობას: ერთის მეტობა და მეორის ნაკლებობა ს ესებით შესაძლებელია და ჩვენს შემთხვევაში განაპირობებს სტატიკურობის ფუნქციის ყოველ კონკრეტულ იერ-სახეს, ანუ: მეტ-ნაკლებობა ქმნის მოცემული ფუნქციის ყოველ კონკრეტულ გამოხატულებას. თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ, მაგალითად, სტატიკურობის იმ ფუნქციურ სტრუქტურას, რომელიც შედეგობისა და განგრძობითობის სემანტიკური ელემენტებისაგან შედგება, აღმოჩნდება, რომ ა-ფენ-ი-ა — ჰ-ფენ-ი-ა — და-უ-ფენ-ი-ა — და-ჰ-ფენ-ი-ა, ყველა ეს ფორმა, კი გამოხატავს სტატიკურობის ფუნქციას, რომ ყველა მათგანში არის შეუღლებული შედეგობა და განგრძობითობა, მაგრამ ერთ შემთხვევაში მეტობს განგრძობითობა (ა-ფენ-ი-ა||ჰ-ფენ-ი-ა), მეო-

რე შემთხვევაში კი პირიქით, ჰარბობს შედეგობა და შედარებით მკრთალადაა წარმოდგენილი განგრძობითობა (და-უ-ფენ-ი-ა||და-ჰ--ფენ-ი-ა).

ამრიგად, შედეგობა და განგრძობითობა შესაძლოა ერთმანეთის მიმართ მეტ-ნაკლებად იყოს წარმოჩენილი ერთი, სტატიკურობის, სემანტიკური სტრუქტურის ფარგლებში, მაგრამ მათი თვისობრივი ერთიანობა („ერთად მყოფობა") ხსენებულ სტრუქტურაში მაინც ყოველთვის დაცული იქნება.

გარდა ხსენებული მომენტებისა, ზემოთქმული დამატებით ამასაც გულისხმობს: როდესაც საჭირო ხდება სხვა ენობრივ ფუნქციებთან მიმართების დამყარება, ამ მიმართებას ამყარებს უშუალოდ სტატიკურობის ფუნქცია როგორც მთლიანობა და არა მისი შემადგენელი კომპონენტები ცალ-ცალკე; ამ უკანასკნელთა ზეგავლენა მათ მიერ ინტეგრირებული ფუნქციის საზღვრებს არ სცილდება. მართალია, შემადგენელ კომპონენტებს ამა თუ იმ სისტემაში შეჰყავთ ესა თუ ის ენობრივი მონაცემი, მაგრამ სისტემაში იგი უკვე მოქმედებს როგორც მთლიანი, ინტეგრირებული მოცემულობა და არა როგორც შემადგენელ ელემენტთა ჯამი.

IX

კონკრეტულად როგორ, რა ფორმებით გამოიხატება ენაში სტატიკურობის ფუნქცია?

ამ კითხვაზე პასუხი გაარკვევს ფორმისა და ფუნქციის ურთიერთზეგავლენის (ურთიერთშემზღუდავი ზემოქმედების) საკითხსაც.

ზოგადად თუ ვიტყვით, სტატიკურობის ფუნქცია ენაში გამოიხატება ორგანული წარმოების ფორმებითაც, აღწერითადაც და ლექსიკურადაც. რა თქმა უნდა, მხოლოდ ასეთი ზოგადი დასახელება საკითხის არსში ვერ ჩაგვახედებს. რა სახის ორგანული, აღწერითი ან ლექსიკური ფორმები გამოიყენება სტატიკურობის ფუნქციის გამოსახატავად? აი, ამ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი. შეპირობებულია თუ არა ეს ფორმობრივი ნაირგვარობა სტატიკურობის სემანტიკური სტრუქტურით? ეს საკითხიც უნდა გაირკვეს.

კლასიკური გრამატიკის პრინციპების თანახმად, დინამიკური და სტატიკური ფორმების დაპირისპირება იმთავითვე გულისხმობს, რომ მოგვეპოვება ერთი ფუძისგან წარმოებული დინამიკური და სტატიკური ზმნები; ამოსავალი შეიძლება იყოს:

ა) ნეიტრალური ფუძე (ქართულში ეს ვითარება ენის ადრეულ საფეხურზე ივარაუდება უპირატესად),

ბ) სტატიკური ზმნა: წუხ-ს—ა-წუხ-ებ-ს,

გ) დინამიკური ზმნა: წერ-ს—ს-წერ-ი-ა.

ამ პრინციპით სტატიკურობა მთლიანად ზმნური სიტყვათწარმოების სფეროს განეკუთვნება. ამის მიხედვით გვაქვს სტატიკური და დინამიკური ზმნა, ანუ: ზმნური ფორმა, რომლის მუდმივი სტატუსია ან სტატიკურობა (ზის, დგას, უყვარს...), ან დინამიკურობა (წერ-ს, მალა-ავ-ს, ა-კეთ-ებ-ს...).

მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ თვალსაზრისის უკომპრომისოდ გავრცელება მხოლოდ ზმნათა ერთ ნაწილზე შეიძლება. სხვა შემთხვევაში არც ასეთი შეპირისპირება აღმოგვაჩნდება და არც ასეთი სტაბილურობა სტატიკურობისა ან დინამიკურობის ფუნქციისა ამა თუ იმ ფორმის მიმართ. გარდა ამისა, ქართულში დამოწმებულია სტატიკურობა-დინამიკურობის მიხედვით უღვლილების პარადიგმების დაპირისპირებაც: I და II სერიის ფორმები დინამიკურია, III სერიის I თურმეობითი — სტატიკური. სხვათა შორის, სტატიკურ ფორმებთან I თურმეობითის ფუნქციურ მსგავსებას ახალ ქართულში ფორმობრივი ნიშანიც გაუჩნდა: I და II გრამატიკული სუბიექტის პირის ფორმებმა ერთნაირად დაირთეს მეშველი ზმნები:

	აწმყო	I თურმეობითი	
I პირი:	ვ-ა-ბ-ი-ვარ	და-ვ-ბ-მ-ი-ვარ	და-ვ-უ-ბ-ი-ვარ
II პირი:	ა-ბ-ი-ხარ	და-ჰ-ბ-მ-ი-ხარ	და-უ-ბ-ი-ხარ
III პირი:	ა-ბ-ი-ა	და-ჰ-ბ-მ-ი-ა	და-უ-ბ-ი-ა.

ყველაფერი ეს იმაზე მიუთითებს, რომ ენის რეალური ფაქტი სტატიკური და დინამიკური ზმნები კი არ არის, არამედ, თუ ფუნქციური კატეგორიებიდან ამოვალთ, სტატიკურობისა და დინამიკურობის ფუნქცია, რომელთაც ნაირგვარი ფორმობრივი ყალიბით შეუძლიათ რეალიზაცია: ორგანული ან აღწერითი წარმოების ფორმებით, ლექსიკური საშუალებებით, კონტექსტით.

თუ ამ პრინციპს ბოლომდე მივყვებით, მაშინ უნდა ითქვას, რომ არც აქტიური ან პასიური ზმნები არსებობენ როგორც მუდმივმოცემულობა ენაში. აქაც უმჯობესია ვილაპარაკოთ აქტიურობის ან პასიურობის ფუნქციაზე, რომელიც ნაირგვარი ფორმობრივი საშუალებებით გამოიხატება ენაში. და მართლაც, აქტიურობის ფუნქცია ენაში გამოიხატება არა მხოლოდ წერ-ს ყალიბით, არამედ ი-წერ-ებ-ა ყალიბითაც, თუკი შესაფერისი კონტექსტი შეიქმნა („სოფლიდან წერილს ი-წერ-ებ-ა“). ვნებითის ფუნქციისაა არა მხოლოდ ი-თქმ-ებ-ა, არამედ ა-მბ-ობ-ენ, რა თქმა უნდა, ესეც გარკვეულ კონტექსტში ([305], 060). სასხვისო ქცევის ფუნქციას გამოხატავს არა მხოლოდ უ-წერ-ს, არამედ ს-წერ-ს (ის მას მას) ფორმაც.

სხვათა შორის, განხილვის ამგვარი პრინციპი თავიდან აგვაცილებს იმ მოჩვენებით წინააღმდეგობას, რომელიც, კლასიკური გრამატიკის თანახმად, ფორმასა და ფუნქციას შორის არსებობს ზოგიერთ შემთხვევაში. მაგალითად, ი-წერ-ებ-ა ვნებითის ყალიბია, მაგრამ აქტიურობის ფუნქციის გამოხატვაც შესძლებია („სოფლიდან წერილს იწერება“ = „სოფლიდან წერილს მწერს“). წინააღმდეგობაა? არა, კანონზომიერებაა, რომელიც ახლებურ საკითხებს სვამს და რომელსაც ახსნა ესაჭიროება.

გრამატიკა იმთავითვე ესწრაფვოდა სტანდარტებს. სტანდარტიზაციის დაუოკებელმა ტენდენციამ თან მოიტანა დაჟინებული მოთხოვნა ამა თუ იმ ყალიბისათვის სტაბილური ფუნქციის მისადაგებისა. ენაში ეძებდნენ იმას, რაც სინამდვილეში მისთვის არასდროს ყოფილა დამახასიათებელი. ეს არის პირწმინდა სქემატიზაცია ენის ცოცხალი, შემოქმედებითი პროცესისა. ენაში სულ სხვაგვარი წესრიგი არსებობს, ვინემ ამის დანახვას ცდილობდნენ, უფრო კანონზომიერი და მკაცრად დეტერმინირებული, მაგრამ არ არსებობენ ის კანონები და მათგან გამონაკლისები, რომლებიც ხელოვნურად იქმნებოდა გრამატიკულ ლიტერატურაში, რეალურის ხელმიუწვდომლობისა გამო. სასურველი სინამდვილედ ცხადდებოდა...

გამოსავალი ერთადერთია: თავი უნდა დავაღწიოთ გრამატიკულ სტანდარტებს და ენის რეალური კანონზომიერებები გავიხადოთ კვლევის ობიექტად.

X

სემანტიკური კვლევის დროს, როგორც ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი, უნდა განხილულ იქნეს ამა თუ იმ ფორმის კონსტრუქციული ბუნება.

ნებისმიერი ფორმის ფუნქცია მთელი სისრულით მხოლოდ კონტექსტში ვლინდება.

მეტიც შეიძლება ითქვას: ნებისმიერი ენობრივი ფუნქცია დგინდება და რეალურად არსებობს მხოლოდ და მხოლოდ კონტექსტში.

რადგან ზემოთ ძირითადად სტატიკურობის ფუნქციაზე გვქონდა საუბარი, ნიმუშად მისივე კონსტრუქციული ნიშნების კვლევა ავიღოთ.

XI

კონსტრუქციული ნიშნის მიხედვით სტატიკური ზმნები ორ ჯგუფად განიყოფება: ერთია პირდაპირი წყობის ზმნები, მეორე — ინვერსიული წყობისა.

პირდაპირი წყობისაა, როგორც წესი, ის სტატიკური ზმნები, რომ-

ლებიც ამოსავალი ფორმით ერთპირიანი არიან: დგა-ს, ზი-ს, წევ-ს... წერ-ი-ა, თეს-ი-ა, ყუდ-ი-ა... არსებ-ობ-ს, ცხოვრ-ობ-ს... წუხ-ს, დუღ-ს, დუმ-ს... ბუნებრივია, ერთპირიანი ზმნა ინვერსიას ვერ განიცდიდა: არ არის წარმოდგენილი მეორე პირი, რომელთანაც ფუნქციას შეინაცვლებდა არსებული.

ეს ზმნები ორპირიანი ხდებიან მხოლოდ მაშინ, როდესაც ზმნით გადმოცემული სტატუსის სხვა პირისადმი მიკუთვნების (მიმართების) აღნიშვნაა საჭირო:

დგა-ს—უ-დგ-ა-ს, ა-დგა-ს...
წერ-ი-ა—უ-წერ-ი-ა, ა-წერ-ი-ა...
წუხ-ს—უ-წუხ-ს...

ზოგიერთისათვის კი, თავისი ლექსიკური მნიშვნელობის გამო, ამგვარი მიკუთვნების გამოხატვა იმთავითვე გამორიცხულია, ასეთებია: არსებ-ობ-ს, ცხოვრ-ობ-ს...

ყველა ის ფორმა, რომელიც ამოსავალი ფუძის სემანტიკით არის იმთავითვე ორპირიანი და იმავდროულად სტატიკურობის ფუნქციას გამოხატავს, ინვერსიული წყობისაა. ამ ენობრივმა მოვლენამ ქართული ენის უცხოელი მკვლევრების განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია. ა. დირი იმასაც კი აღნიშნავდა, რომ გრძნობა-აღქმის გამოსახატავად კავკასიურ ენებს გაცილებით უფრო შესაფერისი კონსტრუქციები მოეპოვება, ვინემ ზოგიერთ ინდოევროპულ ენას და ამ შემთხვევაში იგი სწორედ ინვერსიულ კონსტრუქციას გულისხმობდა: უ-ყვარ-ს, ს-ძულ-ს. ს-წყურ-ი-ა, ს-ძინ-ავ-ს... მას ([309], 18).

მიუხედავად დიდი ინტერესისა და უაღრესად ფასეული აღმოჩენებისა, ინვერსიულობის ბუნებაში, მიზეზსა და მისგან გამოწვეულ კონსტრუქციულ ცვლილებებში ჯერჯერობით უფრო მეტია ამოსახსნელი, ვინემ უკვე ახსნილი. ინვერსიულობა იმდენად ნიშანდობლივი და ღირსაცნობი მხარეა სტატიკურობის ფუნქციის გადმომცემ ფორმათა მომეტებული ნაწილისათვის, რომ იგი შეიძლება დავასახელოთ ხსენებული ფორმების ძირითად კონსტრუქციულ ნიშან-თვისებად.

XII

ყველა ინვერსიული ფორმა ქართულში სტატიკურობის ფუნქციის გამომხატველია. მაგრამ სტატიკურობის გამომხატველი ყველა ფორმა არ არის ინვერსიული. ქართულში ისე აეწყო ფორმათა მიმართება, რომ ინვერსიულობის კონსტრუქციული თვისება იმავდროულად სტატიკურობის მაუწყებელიცაა.

ინვერსიული კონსტრუქციები საკმაოდ მრავალსახოვანია ენაში.

ინვერსიულია:

ა) გარდამავალი ზმნის III სერიის ფორმები (გა-უ-კეთ-ებ-ი-ა, გა--ე-კეთ-ებ-ინ-ა, გა-ე-კეთ-ებ-ინ-ო-ს მას ის):

ბ) „საშუალ ფორმათა“ სახელწოდებით ცნობილი ზმნების ერთი ნაწილი (უ-ყვარ-ს, ს-ძულ-ს, სურ-ს, ს-წყურ-ი-ა, ს-ძინ-ავ-ს მას);

გ) მოქმედებითი გვარის (ხშირად: კაუზატივის ფუნქციის მქონე) ზოგიერთი ზმნა, რომლებიც პირდაპირი წყობიდან ინვერსიულად გადაქცევის შემდეგ ნატერითობის, სურვილობის გამომხატველი ხდებიან, შდრ.:

პირდაპირი წყობა:	ინვერსიული წყობა:
მამღერა მან მე ის	--(ნეტავი) მამღერა მე ის
გამაკეთებინა მან მე ის	—(ნეტავი) გამაკეთებინა მე ის
მომკლა მან მე	—(ნეტავი) მომკლა მე.

თავისთავად ესეც ყურადსაღები ფაქტია: თხრობითი კილოს ფორმა ინვერსიის საფუძველზე იქცევა კავშირებითი კილოს გამომხატველად.

დ) ვნებითის ყალიბის მქონე ფორმები, რომლებიც პოტენციალისის, გუნებითობის, მიჩნევითობის მნიშვნელობის გამომხატველი არიან: ე-ჭმ-ებ-ა, ე-მღერ-ებ-ა, ე-პატარავ-ებ-ა... მას.

ე) მოქმედებითი გვარის ქვემდებარეგაუჩინარებული ზმნების ერთი რიგი: ა-ცახცახ-ებ-ს, ა-ჟრჟოლ-ებ-ს... მას.

როგორც ვხედავთ, ინვერსიულ კონსტრუქციას ქმნის საკმაოდ მრავალფეროვან, ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებულ ფორმათა წყება.

ინვერსიულობა იმდენად ნიშანდობლივი აღმოჩნდა სტატიკურობის ფუნქციის გამომხატველ ფორმათა კონსტრუქციებისათვის, რომ ახალ ქართულში დინამიკურ ზმნათა სტატიკურად გარდაქცევა ხშირად სწორედ ინვერსიის გზით მიიღწევა:

ა-ცახცახ-ებ-ს ის მას—ა-ცახცახ-ებ-ს მას

გა-მ-ა-კეთ-ებ-ინ-ა მან მე ის—(ნეტავი) გა-მ-ა-კეთ-ებ-ინ-ა მე (კაცს) ის...

XIII

სემანტიკური სტრუქტურის კვლევის დროს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ კიდევაც, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ერთი და იმავე მნიშვნელობის გადმოსაცემად გამოყენებულ პარალელურ ფორმათა შეთანაბრება-შეპირისპირებას.

ისიც აღინიშნა, რომ ერთი და იგივე პროცესი შესაძლოა ნაირგვარი თვალსაზრისით შეაფასოს ენამ. აი, რამდენიმე ნიმუში ამისა:

ე-ნდ-ობ-ა — ნდ-ობ-ს — ნდობა აქვს
ე-ცილ-ებ-ა — ცილ-ობ-ს — ცილობა აქვს
ე-დარდ-ებ-ა — დარდ-ობ-ს — დარდი აქვს
ე-სურ-ვ-ებ-ა||ე-სურვილ-ებ-ა — სურ-ს — სურვილი აქვს.

გვაქვს ისეთი ნიმუშებიც, რომელთაც სამთაგან მხოლოდ ორი რიგის ფორმები მოეპოვებათ:

ე-რიდ-ებ-ა — X — რიდი აქვს
X — ჰ-შურ-ს — შური აქვს...

არის ცალეულებიც: ს-წყურ-ი-ა, ჰ-ში-ა...

ამ სქემიდან უკვე ჩანს, თუ რანაირი პოტენცია აქვს ენას ამ შემთხვევაში და საჭიროების დროს იგი მოახდენს კიდევაც ამ პოტენციის რეალიზაციას. ამიტომაც რომელიმე *ხათრ-ობ-ს, *რიდ-ობ-ს ფორმათა გაჩენა მოულოდნელი არ უნდა იყოს.

სქემაზე მოხსენიებული აღწერითი ფორმები ქართულში შემთხვევითობად არ შეიძლება ჩაითვალოს. მათ კარგა ხნის ისტორია აქვთ და ენაშიც საკმაოდ ფეხმოკიდებული არიან. რამდენიმე ნიმუში „ვეფხისტყაოსნიდან“:

„ს წ რ ა ფ ვ ა ა ქ ვ ს წყლულთა ხვევისა“ (98₃),
„ვის ა ქ ვ ს მ ი ნ დ ო ბ ა კაცისა“ (702₁),
„ჰ ქ ო ხ დ ა მზისაცა ც ი ლ ო ბ ა“ (102₂).

ხსენებული მაგალითების ფორმობრივი სტრუქტურა ასეთია: „აქვს“ ზმნა შეუღლებულია არსებით სახელთან, მაგრამ არა ყოველგვარი დანიშნულების არსებით სახელთან. ეს კი უკვე იმას ნიშნავს, რომ ფორმობრივი ყალიბის თვით დეტალური განხილვაც ვერ ამოხსნის ამ ტიპის ფორმათა სიღრმისეულ თავისებურებას. მხოლოდ სემანტიკური სტრუქტურის ამოცნობით შევძლებთ განვმარტოთ ხსენებულ ფორმათა ენობრივი არსი.

აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება თვით არსებითი სახელის სემანტიკას: გამოყენებულია მხოლოდ ისეთი არსებითი სახელი, რომელიც სახელდებს მოქმედებას; ეგაა ან მასდარი, ან ისეთი არსებითი სახელი, რომელიც ჩვეულებრივ მასდარის დანიშნულებით გამოიყენება: რიდი, ხათრი, შიში, დარდი, ჩხუბი და ზოგი სხვა (ამათგან „შიში“ თავისთავადაც ნაზმნარი ფორმა ჩანს). ამის გარეშე ამ ფორმობრივი ყალიბით შედგენილ არცერთ აღწერით ფორმას არ აღმოაჩნდება შესაბამისი ზმნური ორგანული წარმოების კორელატი, შდრ.:

რიდი აქვს— ე-რიდ-ებ-ა, ერთი მხრივ, და
წიგნი აქვს — X მეორე მხრივ.

(საგულვებელი *ე-წიგნ-ებ-ა ფორმა სხვა სემანტიკური სისტემისაა, გუნებითობას გამოხატავს).

გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ იმ არსებითი სახელების მიმართ, რომლებიც, მართალია, მოქმედებას არ სახელდებენ, მაგრამ ნასახელარ ზმნათა ფუძეებადაა გამოყენებული:

„ძალი არ ჰქონდა ჭამისა...“ (923$_1$)=„ჭამა არ შეეძლო“.

XIV

თავისთავად ე-რიდ-ებ-ა ფრიად თავისებური ზმნაა.

მისი თავისებურება ის არის, რომ ერთი ლექსიკური მნიშვნელობის ფარგლებში მოვლენის ნაირგვარი შეფასების უნარი აქვს:

ა) ე-რიდ-ებ-ა შვილი მამას (ის მას)
ბ) ე-რიდ-ებ-ა შვილს ამ საქმის გაკეთება (მას ის)
გ) ე-რიდ-ებ-ა შვილს მამისა (მას მისი).

პირველი ვარიანტი სავსებით იმეორებს ორთოდოქსალური ენიანი ვნებითის კონსტრუქციას: ზმნა სუბიექტური წყობისაა, ეს კარგად ჩანს პირველი და მეორე პირის ფორმებში:

ვ-ე-რიდ-ებ-ი მე მას
ე-რიდ-ებ-ი შენ მას

მეორე ვარიანტი ინვერსიული ზმნების პრინციპს მიჰყვება. ზმნა ამ შემთხვევაში ობიექტური წყობისაა:

მ-ე-რიდ-ებ-ა მე ის (მაგ., მე რაღაცის თქმა)
გ-ე-რიდ-ებ-ა შენ ის (შენ რაღაცის გაკეთება)
ე-რიდ-ებ-ა მას ის (მას საჯაროდ გამოსვლა).

სემანტიკური თვალსაზრისით ეს ფორმები ე. წ. მიჩნევის ვნებითებს (მ-ე-პატარავ-ებ-ა, მ-ე-ცოტავ-ებ-ა...) ამოუდგება გვერდით. მნიშვნელობა ასეთია: „მერიდება“=„მოსარიდებლად მივიჩნევ“. ამ ზმნათა ინვერსიულ წყობისად გაგება ერთ აუცილებელ სემანტიკურ პირობასთანაა დაკავშირებული: მიცემითი ბრუნვით სულიერი პირი (ადამიანი) უნდა იყოს წარმოდგენილი, სახელობითი ბრუნვით კი — მასდარი იმ ზმნისა, რომლით გამოხატული მოქმედებისა ან მდგომარეობის ჩადენას ერიდება სუბიექტი: მ-ე-რიდ-ებ-ა (რაღაცის) გა-კეთ-ებ-ა, თქ-მ-ა, და-წერ-ა...

მესამე ვარიანტი სულ უფრო მეტად იჩემებს ფართოდ გავრცელე-

ბის უფლებას. იგი უმტკივნეულოდ ცვლის როგორც პირველ, ასევე მეორე ვარიანტს:

ა) ერიდება შვილი მამას—ერიდება შვილს მამისა

ბ) ერიდება შვილს ამ საქმის გაკეთება—ერიდება შვილს ამ საქმის გაკეთებისა.

ზმნა აქაც ინვერსიულია. ამით იგი თითქოს მეორე ტიპის ზმნებს უთანაბრდება. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეგ ინვერსიულობა ფრიად თავისებური ხასიათისაა: კონსტრუქციაში მოცემულია მხოლოდ ერთი პირი (განმცდელი: „მას“), ხოლო მეორე პირად ივარაუდება ნათესაობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი ობიექტი (მისი).

ამ ტიპის მაგალითი ქართულში სხვაცაა: ე-შინ-ი-ა, ს-ცხვენ-ი-ა, ე-ხათრ-ებ-ა, ე-დარდ-ებ-ა... მას მისი. ყველა ამ შემთხვევაში გრამატიკული ქვემდებარის (რეალური ობიექტის) ადგილს იჭერს ნათესაობითში დასმული ფორმა.

ძველი ქართული ამ თვალსაზრისით საყურადღებო კონსტრუქციებს გვიმოწმებს:

„მ-ე-შინ-ი-ს მე შენთჳს...“ ([300], 55),

„არა შე-მ-ე-შინ-ო-ს მე ბოროტისაგან“ ([300], 61),

„მ-ე-შინ-ი-ს მე დადუმებად“ ([300], 66),

„ამისთჳსცა არა მ-ე-შინ-ი-ს მე მახჳლისაგან შენისა, არამედ მისა მ-ე-შინ-ი-ს, რომელი-იგი შემძლებელ არს მოწყუედად სულისა“ ([306], 77),

„რაჲთა გ-ე-შინ-ოდ-ი-ს ღმრთისა და შეეყო ნებასა მისსა“ ([302], 248).

ანალოგიურ კონსტრუქციებს ქმნიან:

ჰ-რცხვენი-ან: „კაცთაგან არა მრცხუენიან“ ([301], 164):

სური-ან: „სურიან შენდამი“ ([301], 165):

ს-წყური-ან: „რომელთა სწყურიან ჰეშმარიტად შენდა მიმართ. უფალო“ ([301], 166) და სხვანი.

უნდა აღინიშნოს: ხსენებული კონსტრუქციები, როგორც ჩანს, სხვა ენათა გავლენითაა ქართულში ჩამოყალიბებული. მაგრამ გავლენა ნაირგვარი ხასიათისა შეიძლება იყოს. ერთ შემთხვევაში გავლენა პირწმინდა კალკირების საზღვრებს არა სცილდება. ასეთი ფორმები უპირატესად თარგმანებში გვხვდება და საბოლოოდ ენაში ფეხს ვერ იკიდებს. ძველ ქართულში მრავლადაა ამგვარი გავლენის ნიმუშები, არც ახალი ქართულია ამ მხრივ გამონაკლისი. იმავდროულად შეიძლება დავამოწმოთ მეორე სახის გავლენაც: ამ შემთხვევაში ერთი ენა მეორის მიმართ ერთგვარი იმპულსის როლს ასრულებს ამ უკანასკნელის შინაგანი პოტენციის ასამოქმედებლად, შინაგანი რეზერვების გამოსავლინებლად. ამიტომაც ამ ტიპის კალკირება ორგანულად მოერგება ხოლმე ენას,

იმთავითვე უცხოდ არ აღიქმება და ფეხს იკიდებს. ამის შემოწმების უტყუარი საშუალებაა ამგვარ ფორმათა და კონსტრუქციათა დამოწმება არანათარგმნ, ორიგინალურ ძეგლებში, ცოცხალ კილოებში, მეტყველებაში. სწორედ ამ ტიპისად შეიძლება მივიჩნიოთ ზემოხსენებული ფორმები.

„მ-ე-შინ-ი-ს მე მისგან“ ენიანი ვნებითის ისეთ კონსტრუქციად ივარაუდება, რომელშიც გაუჩინარებულია გრამატიკული ქვემდებარე (ამოსავალია: *„მეშინის მე ის მისგან“). გრამატიკული ქვემდებარის დაკარგვისა და კონსტრუქციის გაინვერსიულების შემდეგ, მ-ე-შინ-ი-ს ფორმა სტატიკურ ზმნებს ამოუდგა გვერდით. სტატიკურობაზე გადასვლის შედეგი ჩანს ამ ცვლილებაში: მისგან—მისი, რადგან ის, რაც რეალურად მოქმედი პირი იყო ვნებითის კონსტრუქციაში, ზედმეტი აღმოჩნდა სტატიკური ზმნის კონსტრუქციაში.

ამ ტიპისა ჩანს „მერიდება მე მისი“, რომლის კორელატია აღწერითი „რიდი მაქვს მე მისი“. ეს უკანასკნელი კონსტრუქცია სხვა თვალსაზრისითაც იქცევს ყურადღებას: იგი მიგვანიშნებს, რომ სემანტიკურად ხსენებული აღწერითი ფორმა მონოლითურია, არ იშლება მის შემადგენელ ელემენტებად. ეს, კერძოდ, იმით მტკიცდება, რომ კონსტრუქცია, რომელიც დამახასიათებელია მთლიანი ფორმისათვის „რიდი მაქვს მე მისი“, არასდროს არ არის დამახასიათებელი ცალკე აღებული „მაქვს“ (მე ის) ფორმისათვის.

რასაკვირველია, „რიდი მაქვს მე მისი“ კონსტრუქციის ზემოხსენებული სემანტიკური გაგება მეორეულია, რადგან მეორეულია „მაქვს“ ზმნის გამოყენება მეშველ ზმნად ამ კონსტრუქციაში.

ამოსავალი ვითარება ასეთი ივარაუდება:

„მას მისი რიდი აქვს“, სადაც „რიდი“ გრამატიკული ქვემდებარე›, „მას“ გრამატიკული ირიბი დამატება, ორივე უკავშირდება „აქვს“ ზმნას, ხოლო „მისი“ განსაზღვრებაა „რიდი“ ფორმისა. მაგრამ აშკარაა ტენდენცია „რიდი“ და „აქვს“ ფორმების ერთ ბირთვში მოქცევისა, მათი ერთ სემანტიკურ სტრუქტურაში გაერთიანებისა, რის გამოც ორშემადგენლიანი ფორმა ერთშემადგენლიანობისაკენ მიისწრაფვის. ასეთ პირობებში განსაზღვრება გრამატიკული ქვემდებარის ადგილს იპერს, ამიტომაც ორი კონსტრუქცია:

ა) მე მერიდება მეგობრის (მერიდება მე მისი),

ბ) მე რიდი მაქვს მეგობრის (რიდი მაქვს მე მისი)

იდენტურ კონსტრუქციებად გაიგება. სემანტიკურმა გადააზრიანებამ ცვლილება შეიტანა კონსტრუქციის შემადგენელ ფორმათა სემანტიკურ სტრუქტურაში. სხვათა შორის, ამგვარმა გადანაცვლებამ ხელი შეუწყო იმას, რომ განსაზღვრების („მისი“) ადგილი კონსტრუქციაში მყა-

რად ფიქსირებული არ არის: „მისი“ გაგებულ იქნა რეალურ დამატებად და დასცილდა იმ ფორმას, რომელსაც უშუალოდ განსაზღვრავდა („რიდი“).

XV

„ერიდება“ — „რიდი აქვს“ ტიპის მიმართებანი კიდევ ერთ ღირსაცნობ ფაქტზე მიგვითითებენ: ორგანული წარმოების ფორმები ე-პრეფიქსიანებია, რომლებიც, როგორც ცნობილია, თავისი ფუნქციით სასხვისო ქცევის ფორმებს უთანაბრდებიან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოქმედების მიკუთვნებულობას გამოხატავენ. აღწერით ფორმებში ამ მიკუთვნებულობას „აქვს“ ზმნა გადმოსცემს. ასე რომ, „აქვს“ ზმნა ფაქტიურად აღწერით ფორმებში ე-პრეფიქსის სემანტიკური კორელატი გამოდის გარკვეული თვალსაზრისით.

ამ მხრივ განსაკუთრებით ყურადსაღებია რელატიური თურმეობითებისა და შესაბამისი აღწერითი ფორმების ურთიერთმიმართება, შდრ.:

I თურმეობითი: უ-ნახ-ავ-ს — ნანახი აქვს
II თურმეობითი: ე-ხახ-ა — ნანახი ჰქონდა
III კავშირებითი: ე-ნახ-ო-ს — ნანახი ჰქონდეს.

ამ ტიპის აღწერით ფორმებში მიმღეობა არის გამოყენებული სახელად ნაწილად, მეშველი ზმნა I თურმეობითში აწმყოს პარადიგმისაა გამოყენებული, II თურმეობითსა და III კავშირებითში, შესაბამისად, უწყვეტლისა და აწმყოს კავშირებითის პარადიგმისა. სიმპტომატურია ამგვარი შეუღლება ორი ფუნქციისა ერთ ზმნურ ფორმაში: ნამყოში შესრულებული მოქმედება („ნანახი“) განეკუთვნება აწმყოს („აქვს“): დინამიკის შედეგად მიეიღეთ სტატიკა. ასეთი სემანტიკა კი პერფექტისთვისაა დამახასიათებელი. მართლაც, ხსენებული აღწერითი ფორმა ზუსტად იმეორებს ზოგი ინდოევროპული ენის პერფექტის ყალიბს.

პერფექტად, შედეგობის გამომხატველ ფორმებად ქართულში თურმეობითის პარადიგმია მინიშნებული. ეს ვარაუდი რეალურ დადასტურებას პოულობს როგორც სხვა ენებთან ქართულის შეპირისპირების დროს, ასევე თვით ქართული (და ქართველური) თურმეობითის სემანტიკური ანალიზის დროს.

ამრიგად, აღმოჩნდა, რომ რომელიმე უ-ნახ-ავ-ს ფორმაში აბსტრაჰირებულია ის სემანტიკური სტრუქტურა, რომელიც კონკრეტული სემანტიკური ელემენტების სახითაა ინტეგრირებული „ნანახი აქვს“ აღწერით ფორმაში. ინტეგრირებული იმას ნიშნავს, რომ, მიუხედავად რთული შედგენილობისა, „ნანახი აქვს“ გაგებულია როგორც სემანტიკური მთლიანობა.

ანალოგიური წარმოების პარალელური ფორმები საკმაოდ ფეხმოკიდებულია ქართულში:

გა-მ-ი-გონ-ი-ა — გაგონილი მაქვს
მ-ი-თქვამ-ს — ნათქვამი მაქვს
ჩა-მ-ი-ბარ-ებ-ი-ა — ჩაბარებული მაქვს...

ამისდა კვალობაზე, უ-ყვარ-ს გაიგება როგორც ასეთი სემანტიკური შედგენილობის ფორმა: „მას მისი სიყვარული აქვს“.

ძიუკუთვნებელი შედეგობის სემანტიკა (ე. ი. ის, რასაც ერთპირიანი თურმეობითი გადმოსცემს) იმავე ნამყო დროის მიმღეობის „არის“ მეშველ ზმნასთან შეუღლებითაა გამოხატული, შდრ.:

უნახავს — ნანახი აქვს, მაგრამ: ნახულა — ნახული არის
გაუგონია — გაგონილი აქვს, მაგრამ: გაგონილა—გაგონილი არის
უთქვამს — ნათქვამი აქვს, მაგრამ: თქმულა — თქმული არის.

ნახული არის—ნახულია, გაგონილი არის—გაგონილია...

აქ აღარ შევეხებით სხვა აღწერითი ფორმების მიმართებას ორგანული წარმოების ფორმებთან, რადგან ამჯერად ჩვენს მიზანს წარმოადგენდა არა თითოეული ტიპის დეტალური ანალიზი, არამედ ზოგადად მიმართებათა ძირითადი პრინციპის წარმოჩენა. თორემ აქ ისეთი ფრიად თავისებური ფორმებიც იმსახურებენ საგანგებო ყურადღებას, როგორებიცაა: ნანახი ჰქონია, მნახველი ვარ, სანახავი მყავს (შდრ.: უნდა ვნახო, ასევე აღწერითი ფორმა) და სხვანი.

XVI

თავისი ზოგადი სემანტიკით მასდარ-მიმღეობიანი აღწერითი ფორმები ორ კონსტრუქციულ მნიშვნელობაზე დაიყვანება.

ერთია იდენტიფიკაცია: „ეს წიგნი ნანახია“ ნიშნავს: „ნანახი წიგნი ეს წიგნი არის“.

მეორეა შედეგობის მიკუთვნებულობა: „ეს წიგნი ნანახი მაქვს“ ნიშნავს: „წიგნის ნახვის შედეგი მე გამეკუთვნება“.

სხვა მრავალსახოვანი აღწერითი ფორმებიც, ჩანს, რამდენიმე ძირითად სემანტიკურ ტიპზე დაიყვანება.

XVII

ყოველივე ზემოთქმული ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს სემანტიკური სტრუქტურის კვლევისაგან მხოლოდ მაშინ შეიძლება მოველო-

დეთ რაიმე შედეგს. როდესაც საკონტროლო საშუალებად აღწერითი ფორმები მოგვეპოვება, რამეთუ აღწერით ფორმებში ხელშესახებადაა დაკონკრეტებული ის, რაც ორგანული წარმოების დროს აბსტრაჰირებულია, და ამდენად, კონკრეტული კვლევისათვის ნაკლებ ხელმისაწვდომი სახითაა წარმოდგენილი.

არა, აღწერითი ფორმები მხოლოდ ერთი ნაწილია უაღრესად რთული სისტემებისა და ამიტომაც მარტოოდენ მათზე ყურადღების გადატანა გაუმართლებელია.

ნაკლებ ხელმისაწვდომი არ ნიშნავს შეუძლებელს.

მიზანიც ეგაა: ისეთი პრინციპები დაიძებნოს, ენობრივ მოვლენათა რთული მონაკვეთებიც დაკონკრეტებული კვლევისათვის ხელმისაწვდომი გახდეს.

XVIII

ქართულში კარგადაა ცნობილი ზმნურ ფორმათა სამეულები:

აწუხებს — წუხდება — წუხს
ნერს — იწერება — სწერია
აბნელებს — ბნელდება — ბნელა
აკრთომებს—კრთება—კრთის...

აქ ძირითადი ტიპებია დასახელებული. ძირითადი — ფორმობრივი წარმოების თვალსაზრისით, თორემ სემანტიკურად აქ ერთადერთ ტიპთან გვაქვს საქმე და ამიტომაც სემანტიკური კვლევისას ნებისმიერი სამეულის ანალიზი ყველა დანარჩენ სამეულზეც გავრცელდება სხვათა შორის, ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ სემანტიკური და ფორმობრივი სტრუქტურები არ უთანაბრდებიან და არ ფარავენ ერთმანეთს.

ფორმობრივ ა-წუხ-ებ-ს მიღებულია წუხ-ს ფორმისაგან, ეს უკანასკნელია მისთვის ამოსავალი. ვნებითი სუფიქსიანია და უშუალოდ მოქმედებითი გვარის ა-წუხ-ებ-ს ფორმას ეყრდნობა.

წერ-ს. პირიქით, თვით არის ამოსავალი როგორც ვნებითისათვის (ი-წერ-ებ-ა), ასევე სტატიკური (ს-წერ-ი-ა) ფორმისათვის.

ა-ბნელ-ებ-ს — ბნელ-დ-ებ-ა ნასახელარი ფორმებია, ერთმანეთის შესაბამისი მოქმედებით-ვნებითი. ბნელ-ა წარმოშობით შედგენილი შემოსმენელია: ბნელ არს—ბნელ-ა, მაგრამ შემდგომ პირწმინდად გაზმნურებული, ბოლოკიდური -ა პირის ნიშანს გაუტოლდა ფაქტიურად და ამ ფორმის უღლებაც კი გახდა შესაძლებელი: ბნელ-ოდ-ა, ბნელ-ოდ-ე-ს...

ამ ფორმათა სემანტიკური სტრუქტურის განხილვისას ენობრივი

ღირებულების ცნება უნდა მოვიშველიოთ. ფ. დე სოსიურის მიერ განმარტებული ენობრივი ღირებულების მიდევნებით, კვლევის ეს პრინციპი წამოაყენა ლ. იელმსლევმა (ამ პრინციპის რაობისათვის იხ. ზემოთ: თავი III, ნაწილი XXIV).

ამრიგად, შესადარებელია სამი ფუნქციური მონაცემი, გამოხატული აწუხებს — წუხდება — წუხს ფორმებით (იგულისხმება ამ ტიპის ყველა სხვა ნებისმიერი სამეული). საკონტროლოდ შევუპირისპიროთ რუსული და ინგლისური ენების მონაცემებს:

აწუხებს	беспокоит	worry
წუხდება	беспокоится	
წუხს		

მაშასადამე, ინგლისურის ერთი და რუსულის ორი ფორმის ნაცვლად ქართულში სამი ფორმა გვქონია. ინგლისურში არ ხდება ფუნქციის დიფერენცირება, რუსული ახდენს დიფერენცირებას უკუუქცევობისა (беспокоит) და უკუქცევითობის (беспокоится) თვალსაზრისით.

ქართულისა და რუსულის მონაცემთა შედარება ცხადყოფს, რომ ა-წუხ-ებ-ს ფორმა გრამატიკული ღირებულების მიხედვით უტოლდება беспокоит ფორმას. აქ, თუ შეიძლება ასე ითქვას, სემანტიკური იგივეობის ნიშანი უნდა დაისვას. რაც შეეხება წუხ-დ-ებ-ა და წუხ-ს ფორმებს, აქ გადანაწილებული ჩანს ის ფუნქციები, რომლებიც რუსულში ერთ (беспокоится) ფორმაშია ინტეგრირებული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რუსულში ან საერთოდ არ არის დიფერენცირებული ის მნიშვნელობები, რომლებსაც წუხ-დ-ებ-ა და წუხ-ს ფორმები განასხვავებენ, ანდა, როცა ამას საჭიროება მოითხოვს. ამ მნიშვნელობათა განსხვავება მხოლოდ კონტექსტურად ხერხდება.

რა დამატებითი ფუნქციაა ის, რომლისთვისაც ქართულში საჭირო აღმოჩნდა ორი ფორმის არსებობა ნაცვლად რუსულში დამოწმებული ერთისა?

ამ კითხვაზე პასუხი გაგვარკვევინებს წუხ-დ-ებ-ა და წუხ-ს ფორმებს შორის დაპირისპირების საფუძველს. ეს კერძოდ.

ზოგადად კი შესაძლებლობა მოგვეცემა წარმოვაჩინოთ, თუ რატომ დიფერენცირდება ერთ ენაში რომელიმე გრამატიკული ფუნქცია მაშინ, როდესაც მეორე ენაში ეს ფუნქცია წარმოდგენილია როგორც დაუნაწევრებელი მთლიანობა.

სხვადასხვა ენის მონაცემთა შეპირისპირება რომ წარმოგვიჩენს თითოეული ამ ენათაგანის თავისებურებებს, ეს, რა თქმა უნდა, ეჭვს

არ იწვევს, მაგრამ ნებისმიერი ენის ნებისმიერი მონაცემი ბოლომდე ამოუხსნელი დარჩება, მისი მექანიზმი კი — შეუცნობელი, თუ თვით მოცემული ენის შინაგანი რაობიდან არ ამოვალთ, თუკი კვლევა იმანენტური პრინციპით არ იქნება შეპირობებული. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ეს ნიშნავს: უნდა დაიძებნოს პრინციპი, რომელიც შეგვაძლებინებს თვით ქართულის საფუძველზე მოვახდინოთ წუხ-დ-ებ-ა და წუხ-ს ფორმებს შორის ფუნქციური დიფერენცირების წარმოჩენა. სწორედ ეს იქნება ძირითადი, არსებითი ენის შინაგანი ბუნების კვლევისას, ხოლო სხვა ენებთან შეპირისპირება დამატებით, საკონტროლო საშუალებად იქნება გამოყენებული.

ამრიგად, იძლევა თუ არა ქართული ენა იმის საფუძველს, რომ წუხ-დ-ებ-ა და წუხ-ს ფორმები მიჩნეული იქნან ერთი ფუნქციის დიფერენცირების რეზულტატად?

ვფიქრობთ, რომ იძლევა. ამის გამოსავლინებლად უნდა მოვიშველიოთ ის პრინციპი, რომელიც კონვერსიად იწოდება. მით უფრო, რომ სწორედ ფუნქციათა და ფორმათა ურთიერთმიმართებაა ძირითადი კონვერსიის დროს, ანუ: სწორედ ის, რაც თავისსავე დინამიკაში გამოავლენს ხოლმე როგორც ფორმობრივ, ასევე ფუნქციურ და კონსტრუქციულ ნიშნებს.

ა. შანიძის განმარტებით, „ერთიერთობა აქტივსა და პასივს შორის ისეთია, რომ ერთი წარმოადგენს მეორის მობრუნებულ სახეს. ამიტომ ერთი გვარიდან მეორეში გადაყვანა არსებითად არის ფორმის მობრუნება ანუ კონვერსია (მოქცევა)... ის პირი, რომელიც სუბიექტურია მოქმედებითში, გვარის მობრუნების დროს კი არ გადაჰყვება ვნებითში, არამედ დაიკარგება სრულიად. ამიტომ პირთა რაოდენობა მუდამ ერთით ნაკლებია ვნებითში, ვიდრე სათანადო მოქმედებითში“ ([304], 282—283).

თუკი კონვერსიის ფორმობრივი ნიშანი პირის დაკარგვაა ერთი გვარიდან მეორეში გადაყვანისას, მაშინ ჩვენთვის საინტერესო ფორმები ასეთ მიმართებას დაამყარებენ ერთმანეთთან:

აწუხებს ის მას ↗ წუხდება ის
↘ წუხს ის (იხ.: [304], 306).

მაშასადამე, კონვერსიის თვალსაზრისით წუხ-დ-ებ-ა და წუხ-ს ფორმები იდენტურ მიმართებას ამყარებენ ა-წუხ-ებ-ს ფორმასთან. აი, სწორედ ეს არის ის საფუძველი, რომელიც თვით ქართულის ნიადაგზე იძლევა შესაძლებლობას წუხ-დ-ებ-ა და წუხ-ს ფორმათა ერთ რიგში დაყენებისა, ხოლო მათ შორის სხვაობა მავანი დამატებითი ფუნქციის შემოტანით უნდა აიხსნას.

თუკი ასეა, ე. ი. თუკი წუხ-დ-ებ-ა და წუხ-ს ფორმები ერთი და

იმავე ა-წუხ-ებ-ს ფორმის კონვერსიულ შესატყვისს წარმოადგენენ, რაც კონვერსიის პრინციპით მათ ერთ სიბრტყეზე დაყენებას ნიშნავს, მაშინ, ბუნებრივია, დაისვას ასეთი საკითხი: იმის გამო, რომ ენა, როგორც წესი, ერიდება ერთი და იმავე ფუნქციის გამოსახატავად ორი ან მეტი ფორმის გამოყენებას, თუკი ამ ფორმებით რაიმე დამატებითი ფუნქციური სხვაობა არ აღინიშნება, მაშინ უნდა დავასკვნათ: წუხ-დ-ებ-ა და წუხ-ს ტიპის ფორმები რაღაც ერთი, საერთო ფუნქციის დამატებითი დიფერენცირების გამომხატველი არიან.

რა არის ამ შემთხვევაში ის საერთო ფუნქცია და რა დამატებითი ფუნქციებია მისი დიფერენცირების შედეგად მიღებული? ანუ: რა აქვთ სემანტიკურად საერთო წუხ-დ-ებ-ა და წუხ-ს ფორმებს და რა დამატებითი ფუნქცია განასხვავებს მათ?

აშკარაა, რომ სემანტიკურად ამ ფორმებს აერთიანებს მოქმედების გახცდა. სხვაობას იძლევა ამ მოქმედების შეფასება დინამიკურობა-სტატიკურობის თვალსაზრისით.

XIX

საკითხს ფორმობრივ სისტემებზე სემანტიკის უცილო ზეგავლენის შესახებ ზემოთაც შევხებივართ. აქ რამდენიმე ნიმუშით შემოვიფარგლებით.

ეს ზეგავლენა საკმაოდ ხელშესახებია და აშკარა.

შევუპირისპიროთ ერთმანეთს ორი ფორმობრივი სისტემა:

ა-ცურ-ებ-ს — ცურ-დ-ებ-ა — ცურ-ავ-ს — X
X — X — წურ-ავ-ს — ი-წურ-ებ-ა

ცურ-ავ-ს და წურ-ავ-ს აბსოლუტურად იდენტური ფორმობრივი ყალიბის მქონე მონაცემებია. თუ ასეა, მაშინ რამ უნდა შეუშალოს მათ ხელი, ააგონ ასევე იდენტური ფორმობრივი სისტემა?

ხელისშემშლელად ფუნქცია გამოდის.

ერთი და იგივე ყალიბი (ფუძე+-ავ) ერთ შემთხვევაში „საშუალი" ფორმის სტატუსით გამოდის (ცურ-ავ-ს), მეორე შემთხვევაში მოქმედებითი გვარის გამომხატველის სტატუსით (წურ-ავ-ს). პირველს თავისი მოქმედებითი მოეპოვება, სხვა ყალიბით წარმოებული, მეორე თვით ხდება ამოსავალი ვნებითისათვის. ა-ცურ-ებ-ს მოქმედებითი გვარის ფორმის ყალიბი განსაზღვრავს სუფიქსიანი ვნებითის (ცურ-დ-ებ-ა) არსებობას, წურ-ავ-ს ფორმის ყალიბი კი, როგორც წესი, პრეფიქსიან ვნებითებს შეისაბამებს.

ამავე რიგისაა:

ა-ფარ-ებ-ს — X — ჰ-ფარ-ავ-ს (მნიშვნელობით: „აფარია")
X — X — ფარ-ავ-ს — ი-ფარ-ებ-ა.

ცურ-ავ-ს მერყეობას განიცდის. ეს უღვლილებაშიც ჩანს: პარადიგმების წარმოების ხან მოქმედებითისათვის ნიშანდობლივი პრინციპია გამოყენებული, ხან — „საშუალისათვის“ დამახასიათებელი:

	მოქმედებითი:	„საშუალი“:
აწმყო:	ცურ-ავ-ს	ცურ-ავ-ს
მყოფადი:	გა-ცურ-ავ-ს	ი-ცურ-ებ-ს
ნამყო ძირ.:	გა-ცურ-ა	ი-ცურ-ა
I თურმეობ.:	გა-უ-ცურ-ავ-ს	უ-ცურ-ავ-(ნ)-ი-ა.

მოქმედებითის სისტემის გამოყენების შემთხვევაში ზმნისწინი ცვლის პარადიგმს: ცურ-ავ-ს აწმყოა, გა-ცურ-ავ-ს — მყოფადი. „საშუალის“ სისტემის გამოყენებისას კი ზმნისწინი მხოლოდ მიმართულებას უჩვენებს: ცურ-ავ-ს — მი-ცურ-ავ-ს — მო-ცურ-ავ-ს, — ყველა აწმყოა.

ისევ და ისევ ფუნქციური სხვაობაა იმის მიზეზი, რომ ამგვარი დაპირისპირება გვაქვს ფორმათწარმოებაში:

ცურ-ავ-ს — ცურ-ა-ობ-ს,
მაგრამ: წურ-ავ-ს — X

სემანტიკამ შეზღუდა წურ- ფუძესთან -ობ თემის ნიშნის გამოყენება. იქაც, სადაც წარმოება ხერხდება, სხვაობა მაინცა გვაქვს, თუნდაც ფორმათა შეპირისპირების პრინციპში:

ცურ-ავ-ს — ცურ-ა-ობ-ს: ორივე „საშუალია“,

წუწ-ავ-ს — წუწ-ა-ობ-ს: პირველი მოქმედებითია, მეორე — „საშუალი“.

ასევე: ცურ-ავ-ს „საშუალია“ — ა-ცურ-ებ-ს მოქმედებითი, მაგრამ წუწ-ავ-ს და ა-წუწ-ებ-ს — ორივე მოქმედებითია.

მაგალითების გაზრდა, რა თქმა უნდა, შეიძლება, პრინციპი კი, ვფიქრობთ, ზემოდასახელებული ნიმუშებითაც ნათელი ხდება.

XX

ენაში არც ისე იშვიათია შემთხვევები, როცა ფორმობრივ ერთი რიგის მიმართებანი განსხვავებული სემანტიკური სტატუსით გვეელინებიან. შდრ.:

ერთი მხრივ,

ა-თეთრ-ებ-ს — თეთრ-დ-ებ-ა
ა-ერთ-ებ-ს — ერთ-დ-ებ-ა...

და, მეორე მხრივ,

ა-პირ-ებ-ს — ჰ-პირ-დ-ებ-ა.

ორივე შემთხვევაში ფორმობრივ მოქმედებითისა და ვნებითის კონვერსიულ ფორმებთან გვაქვს საქმე, მაგრამ სემანტიკურად სულ სხვაგვარია საქმის ვითარება: პირველ შემთხვევაში კონვერსიული მიმართების ფაქტი უცილობელია, მაგრამ მეორე შემთხვევაში შეუძლებელია წმინდა კონვერსიაზე ლაპარაკი: ა-პირ-ებ-ს და ჰ-პირ-დ-ებ-ა ლექსიკურად განსხვავებული ფორმებია. ეს იძლევა შესაძლებლობას, რომ ჰ-პირ-დ-ებ-ა ფორმის გვერდით წარმოჩნდეს (უპირატესად დიალექტებში) ე-პირ-ებ-ა ფორმა, რაც გამორიცხულია თეთრ-დ-ებ-ა, ერთ-დ-ებ-ა ფორმების შემთხვევაში.

ფორმობრივი და ფუნქციური მიმართებების სხვაობა ნაირგვარი დეტერმინაციის შემთხვევებშიც ვლინდება:

ფორმობრივ საქმის ვითარება ასეა წარმოდგენილი:

წუხ-ს—»ა-წუხ-ებ-ს—»შე-წუხ-ებ-ულ-ი,

ფუნქციურად ამ ფორმათა ურთიერთმიმართება სულ სხვაგვარია: ამოსავალია დინამიკური ზმნის ნამყო ძირითადის მნიშვნელობა:

ა წ მ ყ ო: ა-წუხ-ებ-ს
ნამყო ძირ.: შე-ა-წუხ-ა → [შე-წუხ-ებ-ულ-ი
წუხ-ს (—მ-წუხ-არ-ე).

ანუ: „შეწუხებულია“ ის, ვინც შეაწუხეს, „წუხს“ ის, რომელშიც ეს წუხილი გამოიწვიეს (შდრ.: [313], 142—146). ეს იმიტომ, რომ სემანტიკურად როგორც „შეწუხებული“, ასევე „წუხს“ შედეგად, დინამიკური მოქმედების რეზულტატად გაიაზრება, ოღონდ პირველ შემთხვევაში ეს შედეგი მომენტურობასთან იქნება შეუღლებული, მეორე შემთხვევაში — განგრძობითობასთან.

კონტექსტურმა მნიშვნელობამ შესაძლებელია ერთი და იგივე ფორმა ფუნქციურად დააპირისპიროს სხვადასხვა კონსტრუქციაში. ასე, მაგალითად, ი-კბინ-ებ-ა განსხვავებული გრამატიკული ღირებულებისა აღმოჩნდება ამ ორ კონსტრუქციაში:

ა) ძაღლი ი-კბინ-ებ-ა, მნიშვნელობით: „ძაღლის თვისებაა კბენა“. ამ შემთხვევაში ზმნა ქვემდებარის თვისების გამომხატველად გველინება და ფაქტიურად სტატიკურ ფორმას უთანაბრდება, შდრ.: „ძაღლი ოთხფეხა ცხოველია, ყეფს, იკბინება“;

ბ) ეს ძაღლი დღეს მწარედ ი-კბინ-ებ-ა, მნიშვნელობა: „ძაღლი დღეს მწარედ კბენს ვიღაცას“. ზმნა დინამიკურია, მოქმედებას გამოხატავს.

ამავე რიგისა ჩანს:

ა) პური თხელ ნაჭრებად ი-ჭრ-ებ-ა; დინამიკაა, აქვს ნამყო ძირითადი: პური თხელ ნაჭრებად და-ი-ჭრ-ა;

ბ) პური უფრო ადვილად ი-ჭრ-ებ-ა, ვიდრე მჭადი; სტატიკაა, თვისების გამოხატვაა, პოტენციალისის შინაარსია გადმოცემული. ამ შემთხვევაში შესაძლებელია მყოფადი (და-ი-ჭრ-ებ-ა), მაგრამ გამორიცხულია ნამყო ძირითადის გამოყენება.

ერთსა და იმავე ფორმაში ფუნქციური დაპირისპირების უფრო რთული შესაძლებლობაა შემდეგ შემთხვევაში:

ა) კარგი წიგნი კარგი მწერლის მიერ ი-წერ-ებ-ა; ზმნა ი-წერ-ებ-ა ვნებითობის სემანტიკის გამომხატველია ამ შემთხვევაში, ერთპირიანია, ე. ი. კონსტრუქციაში ერთი (სუბიექტური) პირის გარდა სხვას ვერ შეითავსებს. გადმოცემულია დინამიკა.

ბ) ჩემი მეგობარი სოფლიდან კარგ ამბებს ი-წერ-ებ-ა; ამ შემთხვევაში ზმნა აქტივის ფუნქციას გამოხატავს. მოულოდნელია თითქოს, მაგრამ ფაქტია, რომ სემანტიკურად ამ შემთხვევაში ზმნასთან ორი პირია დაკავშირებული: ი-წერ-ებ-ა მეგობარი ამბებს (ის მას). ნამყო ძირითადში მერყეობაა: მეგობარმა კარგი ამბები მოიწერა, თუ: მეგობარი კარგ ამბებს მოიწერა? ზმნა აქაც დინამიკურია.

გ) ვრცელი წერილი მოკლე წერილზე უფრო იოლად ი-წერ-ებ-ა. აქ უკვე თვისების გამოხატვასთან გვაქვს საქმე, სტატიკაა სემანტიკურად. ზმნა ერთ (სუბიექტურ) პირს იგუებს მხოლოდ.

ამრიგად, ერთ ფორმას სამი განსხვავებული ფუნქცია დაუკავშირდა. ი-წერ-ებ-ა ფორმობრივ ერთადერთ სისტემაში იქნება განხილული, მაგრამ სემანტიკურად უკვე სამი სავსებით განსხვავებული სისტემის გათვალისწინება ხდება აუცილებელი.

რადგან ფუნქციის კონტექსტურ შეპირობებულობაზე ჩამოვარდა სიტყვა, ერთ საკითხსაც უნდა შევეხოთ. კერძოდ, იგულისხმება კონტექსტის უნარი, მოახდინოს ფუნქციურად (და ფორმობრივად) დაპირისპირებულ მონაცემთა ნეიტრალიზაცია (ტერმინისათვის იხ.: [307], 159—163) და, ამისდა კვალობაზე, მათი სემანტიკური გათანაბრება. ამგვარი სემანტიკური ნეიტრალიზაციის მარტივი და თვალსაჩინო ნიმუშია შემდეგი:

ა) ორი წლის წინ
ბ) ორი წლის უკან

კონტექსტმა ფაქტიურად მოახდინა ანტონიმების — წინ და უკან— ნეიტრალიზაცია და ფუნქციურად გაუტოლა ისინი ერთმანეთს (რა თქმა უნდა, ეს თანაბრობა მთლიანობაში აღიქმება, სხვაგვარად: კონტექსტური თვისებაა ხსენებული ფორმებისა). ამ ორ კონსტრუქციას ორ-ორი წევრი საერთო აქვს („ორი“ და „წლის“), მთლიანი სემანტიკაც იდენტურია, რაც განაპირობებს კიდეც „წინ“ და „უკან“ მო-

ნაცემების ფუნქციურ გათანაბრებას. უეჭველია, აქ გარკვეული დამატებითი პირობაც მოქმედებს: საკმარისია „წლის“ სიტყვა სხვა სიტყვით შეიცვალოს, რომ „წინ“ და „უკან“ ფორმები ანტონიმების ძალას შეინარჩუნებს და კონსტრუქციებსაც ამ პრინციპით დაუპირისპირებს ერთმანეთს, შდრ.:

ა) ორი კაცის წინ
ბ) ორი კაცის უკან.

თუ კონტექსტს ფართო მნიშვნელობით გავიგებთ, კერძოდ, როგორც ყოველგვარ გარემოცვას, მაშინ ანალოგიურად შეიძლება წარვმართოთ ფორმანტების სემანტიკური ანალიზიც.

მართლაც, გარკვეულ კონტექსტში ერთმანეთს შესაძლოა ფუნქციურად გაუტოლდეს სხვა შემთხვევაში სემანტიკურად დაპირისპირებული ფორმანტები. მაგალითად,

ა-ცთ-უნ-ებ-ს
ა-ცთ-ომ-ებ-ს

ამ ფორმებში -უნ და -ომ ფორმანტები თანაბარი სემანტიკური ღირებულებისა გამოდიან, მაგრამ ეს პირწმინდად კონტექსტითაა შეპირობებული და ამიტომაც არ შეიძლება ეს სემანტიკური თანაბრობა ყველა სხვა შემთხვევაზე, ან უფრო მეტი: მთლიანად მათ ძირითად ბუნებაზე გავავრცელოთ; სხვა კონტექსტში -უნ და -ომ სემანტიკურად დაპირისპირებულებიც კი აღმოჩნდებიან., შდრ.:

ცთ-უნ-ებ-ა
ცთ-ომ-ა

-უნ კაუზატივის ფუძეს ქმნის, -ომ გარდაუვალი ზმნის მასდარისა. ასევე გაუთანაბრდა -ენ და -ივ ერთმანეთს შემდეგ ფორმებში:

ცვ-ენ-ა
ცვ-ივ-ნ-ა.

თუმცა სხვა შემთხვევაში ერთმანეთს უპირისპირდებიან:

ა-ცვ-ენ-ს
ცვ-ივ-ა.

მი-ვ-ცვ-ინ-დ-ი-თ ფორმაში („ჩვენთან ქაიხოსროს ქალი ჩამოვიდა. მივცვინდით.“ [298], 273) -ინ ფორმანტი სემანტიკურად გათანაბრებულია -ივ ფორმანტთან (შდრ.: მი-ვ-ცვ-ივ-დ-ი-თ), თუმცა სხვა შემთხვევაში ასეთი თანაბრობა გამორიცხულია: -ინ ფონეტიკური ვარიანტია იმავე -ენ ფორმანტისა.

ამავე რიგის სემანტიკურ გათანაბრებასთან გვაქვს საქმე ფორმებში:

ა) დილა-ს და-ა-ცვითა წა-ჰ-ხდ-ენ-ი-ა პირ-დ-ებ-ა

ბ) დილ-ით და-ს-ცვითა წა-ჰ-ხდ-ომ-ი-ა ე-პირება და ა. შ.

აქედან გამომდინარე, შეუძლებელია რომელიმე კონტექსტში ფუნქციურად გათანაბრებული ფორმებისა თუ ფორმანტების საერთოდ სემანტიკურ თანაბრობაზე ლაპარაკი.

მაგალითების გაზრდა, რა თქმა უნდა, შეიძლებოდა, მაგრამ პრინციპის წარმოსაჩენად, ვფიქრობთ, ეს ნიმუშებიც კმარა.

XXI

სემანტიკურ გათანაბრებასთან ერთად ენას სემანტიკური დაპირისპირების საშუალებანიც მოეპოვება. ეს საშუალებანი ნაირგვარია, პრაქტიკულად შეუზღუდავი.

ფუნქციური დაპირისპირება ქართულში ძირითადად ფორმანტებს აკისრია. ეს ფაქტი კარგადაა ცნობილი სპეციალური ლიტერატურიდან:

სა-ჭრ-ელ-ი — სა-ჭრ-ი-ს-ი
სა-ხნ-ავ-ი — სა-ხნ-ი-ს-ი
წიგნ-ი-ან-ი — წიგნ-ი-ერ-ი
და-დგ-ენ-ა — და-დგ-ომ-ა
ა-პირ-ებ-ს — პირ-ავ-ს
ს-ძლ-ებ-ს — ს-ძლ-ევ-ს
ა-ბოლ-ებ-ს — ბოლ-ავ-ს და სხვანი.

ფორმათა ფუნქციური დაპირისპირება შეიძლება იკისროს ბგერათმონაცვლეობამ.

ა) მონაცვლეობს თანხმოვანი:

დებ-ს — დევ-ს (ბ:ვ)
კრებ-ს — კრეფ-ს (ბ:ფ)...

ბ) მონაცვლეობს ხმოვანი:

კრებ-ს — კრიბ-ა
ლეწ-ს — ლაწ-უნ-ი
ა-ნთ-ებ-ს — ა-ნათ-ებ-ს...

ბგერათმონაცვლეობით ფუნქციური დაპირისპირების გამოხატვა საკმაოდ პროდუქტიული პრინციპია ქართულში.

ფუნქციური დაპირისპირების კერძო საშუალებად შეიძლება მივიჩნიოთ პოზიციის პრინციპი. როცა ერთი და იგივე ფორმობრივი მონაცემი სხვადასხვა პოზიციაში სხვადასხვა ფუნქციის გამომხატველად გვევლინება:

კეთ-დ-ებ-ოდ-ა: -ოდ უწყვეტლის ფორმანტია,
კა-ჰ-კეთ-ებ-ოდ-ა: -ოდ II თურმეობითის ფორმანტია.

XXII

ვაქვს ფუნქციის დაბსელების ას სრული გაუჩინარების შემთხვევებიც. სპეციალური ანალიზის დროს აშნაირ ფაქტებს სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ე. წ. კონფიქსით წარმოებული ფორმები: სა-ყურ-ე, სა-ჯარ-ო, სა-ფეხ-ურ-ი; სი-კეთ-ე, სი-ძნელ-ე; გა-სა-კეთებ-ელ-ი, გა-უ-კეთებ-ელ-ი, გა-მ-კეთებ-ელ-ი, სადაც კონფიქსები სა- -ე, სა- — -ო, სა- — -ურ დანიშნულების, სი- — -ე აბსტრაქტულობის, სა — -ელ, უ- — -ელ, მ- — -ელ მიმღეობის მაწარმოებლად მიიჩნევა. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ის, რაც ახლა ერთი ფუნქციის გამომხატველ პრეფიქს-სუფიქსად (კონფიქსად) გაიგება, ისტორიულად თავთავისი ფუნქციის მქონე პრეფიქსებად და სუფიქსებად იყო წარმოდგენილი, მაგრამ ფუნქციის გაუჩინარებამ ხელი შეუწყო მათ ერთ მთლიანობად გაგებას. ნათქვამს ფორმათა უპრალო შეპირისპირებაც დაადასტურებს:

სა-ყურ-ე
სა-ჯარ-ო
სა-ხატ-ავ-ი

აშკარაა: სამივე ფორმაში დანიშნულების ფუნქციას სა- პრეფიქსი გამოხატავს, სუფიქსთაგან -ავ ფორმანტის ფუნქცია ცნობილია (თემის ნიშანია: ხატ-ავ-ს), მაგრამ -ე და -ო ფორმანტების ფუნქცია კი გაუჩინარებულია. ამოსავალი ფუძის კუთვნილებად მათი მიჩნევა შეუძლებელია: ყურ-, ჯარ- ფუძეები რეალური მონაცემებია. მაშასადამე, -ე და -ო კი გამოიყოფა, მაგრამ ამჯერად კონკრეტული ფუნქცია არ ეძებნებათ. იძულებითი გზაა: სა- პრეფიქსთან ერთად ისინი ერთი ფუნქციის გამომხატველად მივიჩნიოთ: სა- — -ე, სა — -ო.

ანალოგიურად წყდება საკითხი სხვა შემთხვევაშიც:

სი-კეთ-ე
სი-ძნელ-ე
სი-ყვარ-ულ-ი
სი-რბ-ილ-ი

„აბსტრაქტულობა" („განყენებულობა") ამ ფორმებში სი- პრეფიქსს შეაქვს, -ე, -ულ, -ილ სხვა ფუნქციის გამომხატველი სუფიქსებია.

გა-სა-კეთ-ებ-ელ-ი
გა-მ-კეთ-ებ-ელ-ი
გა-უ-კეთ-ებ-ელ-ი,

აქაც ცხადია, რომ -ელ სუფიქსს სამივე ფორმაში ერთი და იგივე ფუნქცია შეაქვს (როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში ზმნურ ფუძეს სახელად ფუძედ აქცევს, თუმცა სხვა დროს ეს არ არის საჭირო), მაღიარებელი დანიშნულება სა-, მ-, უ- პრეფიქსებს აკისრიათ. რაც შეეხება შესაბამისად დანიშნულებას, მოქმედების ჩამღენს, შედეგის უარყოფას აღნიშნავენ.

აქედან გამომდინარე, სა-ყურ-ე და გა-სა-კეთ-ებ-ელ-ი ფორმებში სა- ერთი და იმავე მნიშვნელობის ფორმანტი ჩანს. სხვაობას -ე და -ელ სუფიქსები იძლევიან.

ძირითადი დებულებანი და დასკვნები

1. ყველაფერი ენაში, უმარტივესიდან ურთულესამდე, განისაზღვრება ერთი პრინციპით, ერთი დანიშნულებითა და მიმართულებით, რასაც ამა თუ იმ ენის იმანენტური არსი განაპირობებს.

2. ენა არის შინაგანად თვითორგანიზებულ და დეტერმინირებულ ფორმათა სისტემა, რომლითაც გამოიხატება (წარმოისახება) ენობრივ ფუნქციებად (მნიშვნელობებად) ტრანსფორმირებული სინამდვილე ცნობიერებისა.

3. ენა არის არა მხოლოდ შემოქმედება, არამედ შედეგიც, ანუ: ენა გვეძლევა როგორც ისეთი შედეგი, რომელშიც იმთავითვე არის მოცემული შემდგომი შემოქმედებითი განვითარების პოტენცია.

4. ენაში გვაქვს როგორც ფორმობრივი, ასევე ფუნქციური ყალიბები, სისტემები და სტრუქტურები. მათი ერთიანობა ქმნის მოცემული ენის ლინგვისტურ სტატუსს.

5. ფორმობრივი ანალიზი ემყარება ორ ძირითად პრინციპს: ფორმის (ფორმობრივი ელემენტების) ქმედებასა და თვისობას. ფორმანტთა დახასიათება მათი თვისობისა და ქმედების მიხედვით ვარაუდობს თითოეული ფორმანტის შეფასებას მათივე უნარის მიხედვით, დაექვემდებარონ (ან არ დაექვემდებარონ) ცვლილებას და გამოიწვიონ (ან ვერ გამოიწვიონ) ცვლილება.

6. მნიშვნელობა ენაში ორგვარია: ლექსიკური და გრამატიკული. ორთავეს რთული ორგანიზაცია ახასიათებს. ამ რთული ორგანიზაციის პრინციპების ამოხსნა არის სემანტიკური ანალიზის ძირითადი მიზანი. სემანტიკური კვლევა ორი ძირითადი საშუალებით ხდება: ერთია სემანტიკური პერიფრაზირება, როდესაც რთული სემანტიკური სტრუქტურა შემადგენელ ფუნქციურ ელემენტებად სეგმენტირდება, მეორეა სემანტიკურ მონაცემთა შეპირისპირება მათივე სემანტიკური ღირებულების მიხედვით.

7. ფუნქციური სისტემებისა და სტრუქტურების აგების პრინციპები წარმოქმნიან ფუნქციურ კატეგორიებს.

ფორმობრივი სისტემებისა და სტრუქტურების აგების პრინციპები წარმოქმნიან ფორმობრივ კატეგორიებს,

8. ზემოხსენებულის კვალობაზე, ენობრივი ფორმისა და ენობრივი ფუნქციის შემსწავლელი დარგები ასე განიმარტება:

მორფოლოგია არის ენათმეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის ფორმობრივ სისტემებსა და სტრუქტურებს, მათ შინაგან და გარეშე მიმართებებს მათსავე დინამიკაში.

სემანტიკა არის ენათმეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის ფუნქციურ სისტემებსა და სტრუქტურებს, მათ შინაგან და გარეშე მიმართებებს მათსავე დინამიკაში.

ლიტერატურა

თავი I: ენათმეცნიერების საბანი: ონტოლოგიისა და მეთოდოლოგიის საკითხები

1. იოჰან ვოლფგანგ გოეთე, ფაუსტი, თბილისი, 1962.
2. მ. მაჭავარიანი, ლინგვისტიკის საგნის შესახებ, თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები, ტ. II, თბილისი, 1967.
3. ციტირებულია მ. მაჭავარიანის სტატიის მიხედვით, იხ.: ბერკლის ნააზრევი ენის შესახებ, თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები, ტ. III, თბილისი, 1971.

3ა. გ. რამიშვილი, ენის ენერგეტული თეორიის საკითხები, თბილისი, 1978.

4. თინ. შარაძენიძე, თანამედროვე ენათმეცნიერების თეორიული საკითხები, თბილისი, 1972.
5. არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, II, ძირითადი პრობლემები, თბილისი, 1945.
6. О. С. Ахманова, Словарь лингвистических терминов, Москва, 1966.
7. Аристотель, Об истолковании, Сочинения, т. 2, Москва, 1978.
8. Э. Бенвенист, Общая лингвистика, Москва, 1974.
9. Дж. Бонфанте, Позиция неолингвистики, Хрестоматия по истории языкознания XIX—XX веков, составил В. А. Звегинцев, Москва, 1956.
10. В. Брёндаль, Структуральная лингвистика, Хрестоматия по истории языкознания XIX—XX веков, составил В. А Звегинцев, Москва, 1956.
11. Гегель, Сочинения, том III, Энциклопедия философских наук, часть третья, Философия духа, Москва, 1956.
12. Томас Гоббс, Избранные произведения в двух томах, Том I, Москва, 1965.

12а. Томас Гоббс, Избранные произведения в двух томах, Том II, Москва, 1965.

13. Я. Гримм, О происхождении языка, Хрестоматия по истории языкознания XIX—XX веков, составил В. А. Звегинцев, Москва, 1956.
14. В. Гумбольдт, О различии строения человеческих языков и его влиянии на духовное развитие человеческого рода, Хрестоматия по истории языкознания XIX—XX веков, составил В. А. Звегинцев, Москва, 1956.
15. Л. Ельмслев, Метод структурного анализа в лингвистике, Хрестоматия по истории языкознания XIX—XX веков, составил В. А. Звегинцев. Москва, 1956.
16. И. Кант, Сочинения в 6 томах, том 6, Москва, 1956.
17. В. И. Кодухов, Общее языкознание, Москва, 1974.
18. Н. В. Крушевский, Предмет, деление и метод науки о языке, Хрестоматия по истории языкознания XIX—XX веков, составил В. А. Звегинцев, Москва, 1956.

19. Культура древней Индии, Москва, 1975.
20. Г. Лейбниц, Новые опыты о человеческом разуме, Москва, 1936.
21. Дж. Локк, Опыт о человеческом разуме, Антология мировой философии, в четырех томах, том 2, Москва, 1970.
22. Ж. Марузо, Словарь лингвистических терминов, Москва, 1960.
23. Методологические вопросы общественных наук, Москва, 1971.
24. Н. Мулуд, Современный структурализм, Москва, 1973.
25. Общее языкознание, Методы лингвистических исследований, Москва, 1973.
26. Г. Пауль, Принципы истории языка, Москва, 1960.
27. Платон, Сочинения, том I, Москва, 1968.
28. А. А. Реформатский, Принципы синхронного описания языка, О соотношении синхронного анализа и исторического изучения языков, Москва, 1960.
29. Ф. де Соссюр, Курс общей лингвистики, Труды по языкознанию, Москва, 1977.
30. К. Фосслер, Позитивизм и идеализм в языкознании, Хрестоматия по истории языкознания XIX—XX веков, Москва, 1956.
31. Э. Хауген, Направления в современном языкознании, Новое в лингвистике, Выпуск I, Москва, 1960.
32. С. К. Шаумян, Структурная лингвистика, как имманентная теория языка, Москва, 1958.
33. О соотношении синхронного анализа и исторического изучения языков, Москва, 1960.
34. K. Jaspers, Philosophische Logik, Bd. I, von der Wahrheit, München, 1947.
35. M. Joos, Description of language design, Readings in linguistics New York, 1958.

თავი II. ცვლადი და მუდმივი ენაში

36. მ. მაჭავარიანი, ლინგვისტიკის საგნის შესახებ, თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები, ტ. II, თბილისი, 1967.
37. ზ. ჭუმბურიძე, -ავ და -ამ თემის-ნიშნიან ზმნათა უღლებისათვის პირველ თერმეობითში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 19, თბილისი, 1976.
38. О. С. Ахманова, Словарь лингвистических терминов, Москва, 1966.
39. В. Брёндаль, Структуральная лингвистика, Хрестоматия по истории языкознания XIX—XX веков, составил В. А. Звегинцев, Москва, 1956.
40. В. Гумбольдт, О различии строения человеческих языков и его влиянии на духовное развитие человеческого рода, Хрестоматия по истории языкознания XIX—XX веков, составил В. А. Звегинцев, Москва, 1956.
41. Л. Ельмслев, Метод структурного анализа в лингвистике, Хрестоматия по истории языкознания XIX—XX веков, составил В. А. Звегинцев, Москва, 1956.
42. Зенон, в сб.: Антология мировой философии, в четырех томах, том I, Философия древности и средневековья, часть I, Москва, 1969.

43. Э. Косериу, Синхрония, диахрония и история, Новое в лингвистике, Выпуск III, Москва, 1963.
44. Б. Кроче, Эстетика как наука о выражении и как общая лингвистика, I, Москва, 1920.
45. Е. С. Кубрякова, О понятиях синхронии и диахронии, Вопросы языкознания, 1968, № 3.
46. Ж. Марузо, Словарь лингвистических терминов, Москва, 1960.
47. Г. Пауль, Принципы истории языка, Москва, 1960.
48. Ф. де Соссюр, Курс общей лингвистики, Труды по языкознанию, Москва, 1977.
49. Тезисы Пражского лингвистического кружка, в сб.: Пражский лингвистический кружок, Москва, 1967.
50. К. Фосслер, Позитивизм и идеализм в языкознании, Хрестоматия по истории языкознания XIX—XX веков, составил В. А. Звегинцев, Москва, 1956.
51. Н. Хомский Синтаксические структуры, Новое в лингвистике, Выпуск II, Москва, 1962.
52. Р. Якобсон, Типологические исследования и их вклад в сравнительно-историческое языкознание, Новое в лингвистике, Выпуск III, Москва, 1963.
53. E. Koerner, **Ferdinand de Saussure. Origin and development of his linguistic thought in western studies of language, Braunschweig,1973**

თავი III. ენის ფორმოგრიული და ფუნქციური კვლევის მეთოდოლოგიური საკითხები

54. ი. იმნაიშვილი, ენებითი გვარის ზმნათა თავისებურებანი ძველ ქართულში, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, II, თბილისი, 1968.
55. ი. კანტი, პროლეგომენები ყოველი მოსალოდნელი მეტაფიზიკისათვის, რომელიც მეცნიერების სახით შესძლებდა გამოცხადებას, ტფილისი, 1936.
56. სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, თხზულებანი, IV$_2$, თბილისი, 1966.
57. ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1975.
58. ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი, 1974.
59. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი, 1973.
60. არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციის ისტორიული ურთიერთობა ძველი ქართული სალიტერატურო ენის მონაცემთა მიხედვით, თბილისი, 1948.
61. არნ. ჩიქობავა, მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში, აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის (ენიმკი-ს) მოამბე, V—VI, თბილისი, 1940.
62. არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, ქვემდებარე-დამატების საკითხი ძველს ქართულში (მეორე გამოცემა), თბილისი, 1968.
63. არნ. ჩიქობავა, გრამატიკის აგებულების ძირითადი საკითხები, სსრკ მეც-

ნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მოამბე, ტ. I, 1940. წერილი II, № 3.

64. არნ. ჩიქობავა, გრამატიკის აგებულების ძირითადი საკითხები, დანართი მონოგრაფიისა: „მარტივი წინადადების პრობლემა ძველ ქართულში, I", თბილისი, 1968.

65. არნ. ჩიქობავა, ზმნის გარდამავლობასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხები, ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენისათვის, ტფილისი, 1934.

66. არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი I, თბილისი, 1950.

67. ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტომი II, თბილისი, 1950.

68. Т. А. Амирова, Б. А. Ольховников, Ю. В. Рождественский, Очерки по истории лингвистики, Москва, 1975

69. Э. Бенвенист, Общая лингвистика, Москва, 1974.

70. Л. Блумфилд, Язык, Москва, 1968.

71. Г. Глисон, Введение в дескриптивную лингвистику, Москва, 1959.

72. В. Гумбольдт, О различии строения человеческих языков и его влиянии на духовное развитие человеческого рода, Хрестоматия по истории языкознания XIX—XX веков, составил В. А. Звегинцев, Москва, 1956.

73. Л. Ельмслев, Пролегомены к теории языка, Новое в лингвистике, Выпуск I, Москва, 1960.

74. Л. Ельмслев, Можно ли считать, что значения слов образуют структуру? Новое в лингвистике, Выпуск II, Москва, 1962.

75. Г. А. Климов, К характеристике языков активного строя, Вопросы языкознания, № 4, 1972.

76. Г. А. Климов, Очерки общей теории эргативности, Москва, 1973.

77. В. И. Кодухов, Общее языкознание, Москва, 1974.

78. Н. И. Кондаков, Логический словарь-справочник, Москва, 1975.

79. Т. П. Ломтев, Фонология современного русского языка, Москва, 1972.

80. А. Мартине, Основы общей лингвистики, Новое в лингвистике, Выпуск III, Москва, 1963.

81. А. Мейе, Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, Москва—Ленинград, 1938.

82. Л. Новак, Основная единица грамматической системы и типология языка, Пражский лингвистический кружок, Москва, 1967.

83. Общее языкознание, Внутренняя структура языка, Москва, 1972.

84. Г. Пауль, Принципы истории языка, Москва, 1960.

85. М. В. Панов, Русская фонетика, Москва, 1967.

86. Х. Путнам, Некоторые вопросы теории грамматики, Новое в лингвистике, Выпуск IV, Москва, 1965.

87. В. Скаличка, О грамматике венгерского языка, Пражский лингвистический кружок, Москва, 1967.

88. В. Скаличка, Асимметричный дуализм языковых единиц, Пражский лингвистический кружок, Москва, 1967.

89. Ф. де Соссюр, Курс общей лингвистики, Москва, 1933.

90. Ф. де Соссюр, Курс общей лингвистики, Труды по языкознанию, Москва, 1977.
91. Н. С. Трубецкой, Основы фонологии, Москва, 1960.
92. Х. И. Ульдалль, Основы глоссематики, Исследование методологии гуманитарных наук со специальным приложением к лингвистике, Новое в лингвистике, Выпуск I, Москва, 1960.
93. Формы мышления, Москва, 1962.
94. Ч. Фриз, Значение и лингвистический анализ, Новое в лингвистике, Выпуск II, Москва, 1962.
95. Н. Хомский, Логические основы лингвистической теории, Новое в лингвистике, Выпуск IV, Москва, 1965.
96. А. Шлейхер, Компендий сравнительной грамматики индоевропейских языков, Хрестоматия по истории языкознания XIX—XX веков, составил В. А. Звегинцев, Москва, 1956.
97. А. Шлейхер, Немецкий язык, Хрестоматия по истории языкознания XIX—XX веков, составил В. А. Звегинцев, Москва, 1956.
98. N. Chomsky, Cartesian Linguistics, A chapter in the history of rationalist thought. New York 1966
99. Ch. Hockett, რეცენზია, ე. ნაიდას ნაშრომზე, იხ. "Language", 1947, 23.
100. Z. Harris, Methods in structural linguistics, Chicago. 1951

თავი IV. ფუძის წარმოქმნის დინამიკა ქართულში

101. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973.
102. ლ. ბარამიძე, ზოგიერთი ტიპის მეშველ-ზმნიან ფორმათა ჩასახვა და განვითარება ქართულში, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 9, თბილისი, 1964.
103. თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965.
104. გ. გოგოლაშვილი, სახელთა პრეფიქსული წარმოება ქართულში, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, თბილისი, 1975, № 3.
105. თ. ზურაბიშვილი, ნა-—-ევ და ნა- აფიქსებით სახელთა წარმოებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი ჰერველი, თბილისი, 1972.
106. ვ. თოფურია, ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის ქართულში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. III, № 5, 1942.
107. ე. თოფურია, ფუძედრეკად ზმნათა სუფიქსაციისათვის, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, III, ტფილისი, 1936.
108. ვ. თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში, იქვე I, თბილისი, 1946.
109. ვ. თოფურია, ნამყოს სახეობათა საერთო ნიშნისათვის ქართულში, იქვე VII, თბილისი, 1955.
110. ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვათწარმოებიდან, II, აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის (ენიმკი-ს) მოამბე, V—VI, თბილისი, 1940.
111. ვ. თოფურია, მესამე ტიპის ენებთის წარმოება ქართულში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. III, № 9, 1942.
112. გრ. იმნაიშვილი, ქართული დიალექტი, I, თბილისი, 1974.

113. ი ვ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ენებითი გვარის ზმნათა თავისებურებანი ძველ ქართულში, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, II, 1968.
114. ი ვ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტომი I, ნაწილი I, თბილისი, 1970.
115. ლ. კ ი კ ნ ა ძ ე, ძირეული და ნასახელარი ზმნები ქართულში, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XXVIII, თბილისი, 1946.
115ა. ლ. კ ი კ ნ ა ძ ე, შერეული ხოლმეობითის მწკრივი ძველ ქართულში, „ორიონი", თბილისი, 1967.
116. ლ. ლ ე ჟ ა ვ ა, ზემოიმერულის მასალები ერთი სოფლის მცხოვრებთა მეტყველების მიხედვით, იკე IX—X, თბილისი, 1958.
117. ჭ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, თ ბ ე ბ ა ტიპის ზმნათა ისტორიისათვის ქართულში, იკე IV, თბილისი, 1953.
118. ჭ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, -ქ სუფიქსისათვის მეგრულ ზმნებში, იკე I, თბ., 1946.
119. შ. ნ ი ჟ ა რ ა ძ ე, აჭარული დიალექტი, ბათუმი, 1975.
120. ე კ. ო ს ი ძ ე, მიმღეობის წარმოება ქართულში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 67, თბილისი, 1957.
121. თ. ს ა ნ ი კ ი ძ ე. მიმღეობათა პარალელური ფორმების წარმოების ზოგი საკითხისათვის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 164 („ენათმეცნიერება"), თბილისი, 1975.
122. მ. ს უ ხ ი შ ვ ი ლ ი, სტატიკური ზმნები ქართულში, თბილისი, 1976.
123. ჟ. ფ ე ი ქ რ ი შ ვ ი ლ ი, ორპირიანი გარდაუვალი ზმნების დრო-კილოთა მესამე სერია ახალ ქართულში, მ ა ც ნ ე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბილისი, 1972 № 3.
124. ჟ. ფ ე ი ქ რ ი შ ვ ი ლ ი, თურმეობითის მნიშვნელობა და გამოყენება ახალ ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, თბილისი, IV, 1974.
125. ი ვ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბილისი, 1954.
126. ი ვ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, დრო-კილოთა მესამე სერიის წარმოების ერთი თავისებურება ახალ ქართულში, იკე VII, თბილისი, 1955.
127. ი ვ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ხოლმეობითის კატეგორიის ისტორიიდან ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბილისი, 1961.
128. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბილისი, 1973.
129. ა. შ ა ნ ი ძ ე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი, 1976.
130. მ. შ ი ნ ჯ ი ა შ ვ ი ლ ი. ეშინიან თუ ეშინია? ურჩევენიან თუ ურჩევნია? ჰქვიან თუ ჰქვია?, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი პირველი, თბილისი, 1972.
131. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი I, თბილისი, 1950.
132. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა. სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942.
133. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა. ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I. ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციის ისტორიული ურთიერთობა ძველი ქართული სალიტერატურო ენის მონაცემთა მიხედვით, თბილისი, 1948.
134. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში, აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის (ენიმკი-ს) მოამბე, V—VI, თბილისი, 1940.

135. არნ. ჩიქობავა, ვნებითის ჩამოყალიბების ზოგი საკითხისათვის ქართულში მასდარის ჩვენებათა მიხედვით, იკე VIII, თბილისი, 1956.
136. არნ. ჩიქობავა, აწმყოს ფუძის წარმოქმნის ისტორიისათვის. I. -ავ, -ამ და -ევ, -ემ სუფიქსთა ისტორიული ურთიერთობა, იქე XIV, თბილისი, 1964.
137. არნ. ჩიქობავა, ქართული ზმნის ნაკვთეულთა დაჯგუფების პრინციპისათვის, იკე XIII, თბილისი, 1962.
138. დავ. ჩუბინოვი, ქართული ღრამმატიკა, ს.-პეტერბურღი, 1887 (წინ უძღვის „ქართულ-რუსულ ლექსიკონს").
139. ი. ლ. ცერცვაძე, ფუძედრეკად ზმნათა თავისებური წარმოებისათვის, სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, I, თბილისი, 1941.
140. შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1970.
141. ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, ენობრივი მიმოხილვა და ტექსტები, თბილისი, 1973.
142. ა. ჩინჩარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბილისი, 1960.
143. ხოსე მარტი, კუბა ყვაეილებში, თარგმნა შ. ღებანიძემ, თბილისი, 1974.
144. Э. Бенвенист, Индоевропейское именное словообразование, Москва, 1955.
145. Н. Я. Марр, Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка с предварительным сообщением о родстве грузинского языка с семитическими, СПб., 1908.
146. Н. Я. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград, 1925.
147. В. Скаличка, О грамматике венгерского языка, Пражский лингвистический кружок, Москва, 1967.
148. Ф. де Соссюр, Курс общей лингвистики, Труды по языкознанию, Москва, 1977.
149. Арн. Чикобава, Картвельские языки их исторический состав и древний лингвистический облик, Иберийско-кавказское языкознание, II, Тбилиси, 1948.
150 G. Deeters, Das kharthwelische Verbum, Leipzig, 1930.

თავი V. ზმნურ ფუძეთა შენებისა და ურთიერთმიმართების პრინციპები ქართულში

151. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973.
152. მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბილისი, 1966.
153. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები. თბილისი, 1949.
154. ბესიკი, თხზულებანი, თბილისი, 1962.
155. ბ. გაბუური, ქევსურული მასალები, პროფ. ა. შანიძის რედაქციით, ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, I—II, ტფილისი, 1923—1924.
156. კ. გამსახურდია, თხზულებათა ათტომეული, ტომი მეოთხე, თბილისი, 1975.
157. თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში. თბილისი, 1965.
158. ტ. გუდავა, ფუძედრეკადი ზმნები მეგრულში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, № 4, 1974.

159. პ. გაჩეჩილაძე, უვის ზმნის ეტიმოლოგიისათვის, იკე XIX, თბილისი, 1974.
160. ფ. ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბილისი, 1970.
161. ფ. ერთელიშვილი, ლ||ლე პრეფიქსები ქართულში, მაცნე, № 5, 1969.
162. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტომი II, თბილისი, 1961.
163. ვ. თოფურია, სვანური ინა, I, ზმნა; შრომები, I, თბილისი, 1967.
164. ვ. თოფურია, ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის ქართულში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. III, № 5, 1942.
165. ვ. თოფურია, მესამე ტიპის ვნებითის წარმოება ქართულში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. III, № 9, 1942.
166. ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, II, ბგერით მოვლენათა თანამიმდევრობა, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, X, ტფილისი, 1929—1930.
167. ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, V, ე სონანტის გადასვლა ღე, გე, ჭე-დ; ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის (ენიმკი-ს) მოამბე, X, თბილისი, 1941.
168. ვ. თოფურია, ფუძედრეკად ზმნათა სუფიქსაციისათვის, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, III, ტფილისი, 1936
169. ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I. ნაწილი II, თბილისი, 1971.
170. კიმენი, ტომი I, პროფ. კ. კეკელიძის რედაქტორობით, ტფილისი, 1918.
171. არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბილისი, 1956.
172. გ. მაჭავარიანი, ხმოვანთა შესატყვისობის ისტორიიდან ქართველურ ენებში, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 69, თბილისი, 1958.
173. რუსუდანიანი, ილია აბულაძისა და ივანე გიგინეიშვილის რედაქციით, თბილისი, 1957.
174. ლ. სანიკიძე, გაორკეცება ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული, III. თბილისი, 1976.
174ა. ზ. სარჯველაძე, ორი ზანური ზმნური ძირის ქართული შესატყვისებისათვის, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 81, № 1, 1976.
175. თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბილისი, 1976.
176. ჰ. ფოგტი, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბილისი, 1961.
177. ჰ. ფოგტი, ზმნური სუფიქსები ძველ ქართულში, მიმომხილველი, 4—5, თბილისი, 1968.
178. ი. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბილისი, 1954.
179. ი. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, XII—XVIII სს. I, თბილისი, 1964.
180. ი. ქავთარაძე, დადარ თავსართები ქართულ ზმნებში, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXX/IB, თბილისი, 1947.
181. მ. ქალდანი, სვანური ენის ფონეტიკა, I, უმლაუტის სისტემა სვანურში, თბილისი, 1969.

182. ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961.
183. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტომი VIII, მერვე ტომის რედაქტორები — დოც. ივ. გიგინეიშვილი, უფროსი მეცნ. თანამშრ. ბიძ. ფოჩხუა.
184. ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, ტფილისი, 1931.
185. ა. შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936 და 973 წწ.), გამოსცა ა. შანიძემ, თბილისი, 1945.
186. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბილისი, 1973.
187. ა. შანიძე, კევსურული მასალების ლექსიკონი, ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, I—II, ტფილისი, 1923—1924.
188. ნ. ჩართოლანი, ქართულ ენაში აბლაუტის ზოგიერთი შემთხვევის ფონეტიკური საფუძვლის შესახებ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა XXX სამეცნიერო კონფერენციის (ენათმეცნიერების სექციის) მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1968.
189. ჩვენი საუნჯე, I, ძველი მწერლობა, თბილისი, 1960.
190. არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942.
191. არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციის ისტორიული ურთიერთობა ძველი ქართული სალიტერატურო ენის მონაცემთა მიხედვით, თბილისი, 1948.
192. არნ. ჩიქობავა, თურმეობითი პირველის წარმოების ერთი თავისებურება უღვლილების სისტემის ისტორიასთან დაკავშირებით ქართულში, ლიტერატურული ძიებანი, II, თბილისი, 1944.
193. არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 1938.
194. არნ. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, ტფილისი, 1936.
195. ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, თბილისი, 1973.
196. ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბილისი, 1974.
197. გ. წერეთელი, სონანტებისა და აბლაუტის თეორიის გამო ქართველურ ენებში, წინასიტყვაობა თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის მონოგრაფიისა „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“, თბილისი, 1965.
198. ა. ჯინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბილისი, 1960.
199. კ. შმიდტი, ქართველური ფუძე-ენის ბგერათსისტემის რეკონსტრუქციისათვის, თსუ, სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიული კრებული, № 2—3, თბილისი, 1964; თარგმანი I ნაწილისა ნაშრომიდან: **K. H Schmidt, Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache, Wiesbaden, 1962.**
200. Г. Ахвледиани, Сборник избранных работ по осетинскому языку, I, Тбилиси, 1960.
201. Э. Бенвенист, Индоевропейское именное словообразование, Москва, 1955.

202. Н. Горяев, Сравнительный этимологический словарь русского языка, Тифлис, 1896.
203. Л. Р. Зиндер и Т. В. Сокольская, Научная грамматика немецкого языка, Ленинград, 1938.
204. Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва, 1964.
205. G. Deeters, Das kharthwelische Verbum, Leipzig, 1930.
206. F. Neisser, Studien zur georgischen Wortbildung. Abhandlungen für die Kunde des Morgenlandes, XXXI. 2, Wiesbaden, 1953.
207. H. Vogt, Alternances vocaliques en géorgien, Norsk Tidsskrift for Sprogvidenskap, Bind XI, Oslo, 1959.

თავი VI. ფორმანტთა შედგენილობისათვის ქართულში
(ზოგადი ფორმობრივი მიმოხილვა)

208. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973.
209. ი. აბულაძე, ქართული ზმნის იშვიათი ფორმები VIII—X სს-ის ძეგლების მიხედვით, შრომები, II, თბილისი, 1976.
210. ანტონ I, ქართული გრამმატიკა, თბილისი, 1885.
211. ახალი ალთქუმაჲ უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, თბილისი, 1963.
212. გ. ახვლედიანი, ყრუ mediae ქართულში, ჟურნალი: „განათლება", 1920, № 3, თბილისი.
213. ე. ბაბუნაშვილი, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბილისი, 1970.
214. გაიოზ რექტორი, ქართული გრამმატიკა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ელენე ნიკოლაიშვილმა, თბილისი, 1970.
215. თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965.
216. დ. გეწაძე, მესამე პირის სუბიექტის ნიშანი -დ ძველ ქართულში, ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XI, ქუთაისი, 1952—1953.
217. ს. დოდაშვილი, თხზულებანი, თბილისი, 1961.
218. ფ. ერთელიშვილი, ლაკლე პრეფიქსები ქართულში, „მაცნე", 1969, № 3.
219. ფ. ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბილისი, 1970.
220. გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბილისი, 1966.
221. ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბილისი, 1957.
222. ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვათწარმოებიდან. I. ნე-, ნი-, ნა- პრეფიქსებისათვის, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, VII, ტფილისი, 1938.
223. ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვათწარმოებიდან, II, -ედ, -ურ, რაფიქსებისათვის, აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინ-ტის (ენიმკი-ს) მოამბე, V—VI, თბილისი, 1940.
224. ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვათწარმოებიდან, III, -ვნ, მ- არ,

სე-, -აქა აფიქსებისათვის, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XV, თბილისი, 1940.

225. ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვათწარმოებიდან, IV, ხმოვანთავსართოვანი სახელები, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXX/IB, თბილისი, 1947.

226. ვ. თოფურია, ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის ქართულში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. III, № 5, თბილისი, 1942.

227. ვ. თოფურია, დ-თავსართიანი ზმნები ქართულში, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXV, თბილისი, 1942.

228. ვ. თოფურია, ფუძედრეკად ზმნათა სუფიქსაციისათვის, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, III, ტფილისი, 1936.

229. ვ. თოფურია, მესამე ტიპის ენებითის წარმოება ქართულში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. III, № 9, თბილისი, 1942.

230. ვ. თოფურია, ენის განვითარების შინაგან კანონთა ერთი ნიმუში ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, V, თბილისი, 1953.

231. გ. მაჭავარიანი, შედარებითი ხარისხის ფორმათა გენეზისისათვის ქართველურ ენებში, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 71, თბილისი, 1958.

232. ს. ქოჩენტი, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა, I, მარცვლის აგებულების პრობლემა, თბილისი, 1960.

233. გ. როგავა, ე- ბგერის მეტათეზისის საკითხისათვის ქართულში, ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XVIII, ქუთაისი, 1958.

234. შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1957.

235. ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1975.

236. თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბილისი, 1976.

237. ჰ. ფოგტი, ზმნური სუფიქსები ძველ ქართულში, მიმომხილველი, 4—5, თბილისი, 1968

238. ჰ. ფოგტი, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბილისი, 1961.

239. ი. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბილისი, 1954.

240. ი. ქავთარაძე, დრო-კილოთა მესამე სერიის წარმოების ერთი თავისებურება ახალ ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VII. თბილისი, 1955.

241. ი. ქავთარაძე, დ და რ თავსართები ქართულ ზმნებში, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXX/IB. თბილისი, 1947.

242. ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961.

243. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, რვატომეული, თბილისი, 1950—1964.

244. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შეადგინა ა. ღლონტმა, I, თბილისი, 1974.

245. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შეადგინა ა. ღლონტმა, II, თბილისი, 1975.

246. ი. ყ ი ფ შ ი ძ ე, ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, I, ტფილისი, 1919.
247. გ. შ ა ლ ა მ ბ ე რ ი ძ ე, ზმნისართი ძველ ქართულში. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები. I, თბილისი, 1959.
248. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. I, თბილისი, 1973.
249. ა. შ ა ნ ი ძ ე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი, 1976.
250. ა. შ ა ნ ი ძ ე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები. I. თბილისი. 1957.
251. ა. შ ა ნ ი ძ ე, პირის ნიშანი ბრუნვიან სიტყვასთან ქართველურ ენებში. თბილისის უნივერსიტეტის შრომები, I, თბილისი, 1936.
252. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა. სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942.
253. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბილისი, 1965.
254. ა რ ნ ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში, აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის (ენიმკი-ს) მოამბე, V—VI, თბილისი, 1940.
255. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მიმართულებითი (გარდაქცევითი) ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის, სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი I, თბილისი, 1956.
256. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, აწმყოს ფუძის წარმოქმნის ისტორიისათვის. I. -აე, -ამ და -ეე, -ემ სუფიქსთა ისტორიული ურთიერთობა, იბერიულ-კავკასიური ენამეცნიერება, XIV, თბილისი, 1964.
257. ა. ჰ კ ა დ უ ა. „ჩრდილ“ ცნების შემცველი საერთო-ქართველური ტოპონიმები და ზოგი რამ ტოპონიმიკურ შესატყვისობათა შესახებ. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 3, 1976, თბილისი.
258. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტფილისი, 1937.
259. მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული გრამატიკა, ტფილისი, 1906.
260. Я. М. Боровский, А. В. Болдырев, Учебник латинского языка, М., 1975
261. И. П. Иванова. Морфемный статус нулевой морфемы. Philologica. Исследования по языку и литературе. Ленинград. 1973.
262. Н. Я. Марр. Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград, 1925.
263. Н. Я. Марр. К вопросу о положении абхазского языка среди яфетических. Материалы по яфетическому языкознанию, V. СПб., 1912.
264. С. И. Соболевский. Грамматика латинского языка. ч. I. М., 1950.
265. Э. Г. Туманян. Древнеармянский язык. М., 1971.
266. А. Цагарели. О грамматической литературе грузинского языка. СПб.. 1873.
267. А. Эрну, Историческая морфология латинского языка, М., 1950.

თ ა ვ ი VII. ფორმანტთა ანალიზის პრინციპები ქართულში

268. ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973.
269. მ. ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბილისი, 1966.

269ა. გ. გოგოლაშვილი, შერეული პარადიგმები ნამყო ძირითადის წარმ. ბაში, ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხები, თბილისი, 1978.
270. ვ. დონდუა, „ლიპარიტეთისა“ და ანალოგიური ფორმის გვარსახელებისათვის ქართულ ისტორიულ წყაროებში, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 33 B, თბილისი, 1948.
271. ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო თ. ცქიტიშვილმა. თბილისი, 1976.
272. ა. თაყაიშვილი, კაუზატივის წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, თბილისი, 1974.
273. ვ. თოფურია, ქართლური, „არილი“, ტფილისის უნივერსიტეტის რექტორის პროფ. ივანე ჯავახიშვილისადმი მისი სამეცნიერო მოღვაწეობის 25 წლისთავზე (1900—1925) მიძღვნილი კრებული, ტფილისი, 1925.
274. ვ. თოფურია, მთარაჭულის დახასიათებისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. II, თბილისი, 1961.
275. გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბილისი, 1966.
276. გრ. იმნაიშვილი, ზოგიერთი დროის წარმოება ინგილოურში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VI, თბილისი, 1954.
277. ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწილი I, თბილისი, 1970.
278. ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბილისი, 1957.
279. კიმენი, ტომი I, პროფ. კ. კეკელიძის რედაქტორობით, ტფილისი, 1918.
280. მოქალაქეობაჲ და წმიდისა აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსისაჲ, ჩვენი საუნჯე, ტ. I, თბილისი, 1960.
281. ი. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბილისი, 1954.
282. ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961.
283. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. I—VIII. თბილისი, 1950—1964.
284. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შეადგინა ა. ღლონტმა, I, თბილისი, 1974.
285. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. I. თბილისი, 1973.
286. ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი, 1976.
287. ა. შანიძე, ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართულ ზმნებში, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, თბილისი, 1957.
288. არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942.
289. არნ. ჩიქობავა, ვნებითის ჩამოყალიბების ზოგი საკითხისათვის ქართულში მასდარის ჩვენებათა მიხედვით, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VIII, თბილისი, 1956.
290. არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბილისი, 1948.

291. არ ნ. ჩიქობავა, აქუს-ფუძის უცნობი ვარიანტებისათვის ძველს ქართულში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXX/IB, თბილისი, 1947.
292. არ ნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში, წიგნში: „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში", I, თბილისი, 1968.
293. შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1970.
294. ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტომი II, თბილისი, 1950.
295. ა. ჩინჩარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბილისი, 1960.
296. ა. ჩინჩარაული, ლექსიკოლოგიური ძიებანი, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, № 2, 1973.
297. Ф. де Соссюр, Курс общей лингвистики, Труды по языкознанию, Москва, 1977.

თავი VIII. ზმნურ ფორმათა სემანტიკური სტრუქტურის საკითხისათვის

298. შ. დადიანი, რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად, ტომი I, თბილისი, 1958.
299. თ. ჟორდანია, ქართული გრამატიკა, ტფილისი, 1889.
300. იოანე საბანისძე, წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტჱსისა ჰაბოჲსი, ჩვენი საუნჯე, ტომი I, თბილისი, 1960.
301. ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1975.
302. სიბრძნე ბალაჰვარისი, ჩვენი საუნჯე, ტომი I, თბილისი, 1960.
303. ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი, 1974.
304. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი, 1973.
305. არ ნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი I, თბილისი, 1950.
306. ცხოვრებაჲ და წამებაჲ წმიდისა მოწამისა კოსტანტისი ქართველისაჲ, ჩვენი საუნჯე, ტომი I, თბილისი, 1960.
307. Ю. Д. Апресян, Лексическая семантика. Синонимические средства языка, Москва, 1974.
308. Э. Гуссерль, Логические исследования, Часть первая, Пролегомены к чистой логике, СПб., 1909
309. А. М. Дирр, Глагол в кавказских языках, Эргативная конструкция предложения, Москва, 1950.
310. Принципы описания языков мира, Москва, 1976.
311. Н. А. Слюсарева, Проблемы лингвистической семантики, Вопросы языкознания, 5, сентябрь-октябрь, 1973, Москва.
312. Ф. де Соссюр, Курс общей лингвистики, Труды по языкознанию, Москва, 1977.
313. Уоллес Л. Чейф, Значение и структура языка, Москва, 1975.
314. Д. Н. Шмелев, Очерки по семасиологии русского языка, Москва, 1964.
315. G. Mounin, Clefs pour la sémantique, Paris, 1972.
316. J. Trier, Der deutsche Wortschatz im Sinnbezirk des Verstandes. Die Geschichte eines sprachlichen Feldes. Heidelberg, 1931.
317. L. Weisgerber, Grundzüge der inhaltbezogenen Grammatik, Düsseldorf, 1962.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა 3

თ ა ვ ი I. ენათმეცნიერების საგანი: ონტოლოგიისა და მეთოდოლოგიის საკითხები 5

თ ა ვ ი II. ცვლადი და მუდმივი ენაში 46

თ ა ვ ი III. ენის ფორმობრივი და ფუნქციური კვლევის მეთოდოლოგიური საკითხები 72

თ ა ვ ი IV. ფუძის წარმოქმნის დინამიკა ქართულში 118

თ ა ვ ი V. ზმნურ ფუძეთა შენებისა და ურთიერთმიმართების პრინციპები ქართულში 194

თ ა ვ ი VI. ფორმანტთა შედგენილობისათვის ქართულში 252

თ ა ვ ი VII. ფორმანტთა ანალიზის პრინციპები ქართულში 272

თ ა ვ ი VIII. ზმნურ ფორმათა სემანტიკური სტრუქტურის საკითხისათვის 355

ძ ი რ ი თ ა დ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი და დ ა ს კ ვ ნ ე ბ ი 392

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა 394

გამომცემლობის რედაქტორი მ. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე
ტექნიკური რედაქტორი ი. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი
კორექტორი დ. მ ა ნ ჯ გ ა ლ ა ძ ე

.

სბ 407

გადაეცა წარმოებას 17.07.79. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.06.80.

უე 07501. საბეჭდი ქაღალდი № $60\times90^{1}/_{16}$. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 25,5. საღრ.-საგამომც. თაბახი 23,33.

ტირაჟი 2000. შეკვეთის № 1447.

ფასი 2 მან. 10 კაპ.

თბილ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 380028, ი. ჭავჭ. პრ. 14.
Изд. Тбилисского университета, Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе 14

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა, თ. ·ლისი 380028, ი. ჭავჭავაძის პრ., 1.
Тип. Тбилисского университета, Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.